

ରେବିଲ୍‌ଯୁକ୍ତି

ପ୍ରକାଶନ  
ପରିଚୟ ଓ ବିବରଣୀ  
ପରିବହିତ ମାଧ୍ୟମଙ୍କଳ-  
ପାଠ୍ୟ ବିଷୟ  
ଅଭିଭାବକ



ବୈଜ୍ଞାନିକ ପଦ୍ଧତି

საქართველოს სსრ მიცნიერებათა აკადემია  
არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

## რ. ჩაგუნავა

ვაჟაფარ ბაზრაშიძის საგუნდისეაზუველო-  
სამეცნიერო მოღვაწეობა (საგუნდისეაზუველო  
დარგები და წევნიკა)



თბილისი  
„გეოცნიერება“

1990

მონოგრაფია ეძღვნება ვახტანგ VI-ის (1675—1737) მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას. დაწერილი ბითაა გარჩეული ვახტანგის ცნობილი და ახლად გამოვლენილი ორიგინალური და თარგმნილი შრომები ასტრონომიის, გეოგრაფიისა და ქიმიის სფეროთან. ნაჩვენებია, რომ ამ სამუშაოებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

წიგნი გათვალისწინებულია საბუნებისმეტყველო დარგების, მეცნიერების ისტორიის და წყაროთმცოდნეობის სპეციალისტების სათვის.

რედაქტორი ჭიმ. მეტნ. კანდ. ა. ავალიანი

რეცენზენტები: საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. ლ. ჭაფარიძე  
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. ვ. პარკაძე

6 1701000000  
M 607(06)-90 46—89

ISBN 5-520-00297--5

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990

წინამდებარე ნაშრომი 1986 წელს გამოცემული მონოგრაფიის „ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-საშეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა)“ — უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ამჯერად, როგორც ნაშრომის სათაურიდანაც ჩანს, კვლევის ობიექტს შეადგენს ვახტანგის მეცნიერული მემკვიდრეობა მთელ რიგ საბუნებისმეტყველო დარგებში (ასტრონომია, გეოგრაფია, ქიმია და სხვა) და აგრძელებს მისი საქმიანობა საწარმოო ტექნიკის ზოგიერთ სფეროში. მათემატიკის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ვახტანგის მოღვაწეობა საგრძნობლად სცილდება ჩვეულებრივი სპეციალისტის შემოქმედების ჩარჩოებს და მაღალკვალიფიციური მეცნიერის ღონეს პასუხობს. პრატიკულ სფეროში ვახტანგმა შეძლო ისეთი რთული ამოცანის გადაჭრა, როგორიც იყო ქართული სამთო-მეტალურგიული წარმოების აღორძინება. თუმცა ამ წარმოებამ მცირე ხნით იარსება, მაგრამ, ისევე როგორც მისმა სტამბამ და ზარაფხანამ, ნიადაგი მოუმზადა ერევლე II-ის ცნობილ წამოწყებებს.

მონოგრაფიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებული გვაქვს ვახტანგისეულ შრომებზე და მის სამუშაო ჩანაწერებზე. ამ შემთხვევაში კვლევის პროცესს ძალზე აბრკოლებდა ვახტანგის თავისებური წერის მანერა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგს ქართულ სინამდვილეში პირველს უხდებოდა საბუნების მეტყველო და ტექნიკური თხზულების წერა, ცხადი გახდება, თუ რაოდენ რთულ ამოცანას წარმოადგენდა მისი ტექსტების გაშიფრა (ხელნაწერებიდან დაშორებულ ტექსტში სასვენი ნიშნები ჩვენ გვეკუთვნის). შეძლებისამებრ ზოგიერთ თავში ტერმინოლოგიის საკითხებსაც ვეხებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამეცნიერო ტერმინოლოგია ცალკე მონოგრაფიულ გამოფენებას მოითხოვს.

დასასრულ, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ს დიდი ყურადღება და დაქმარება, რომელსაც იჩენდა ამ სამუშაოს მიშართ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეცელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. დიდი მაღლობა მინდა მოვახსენო სასაოგებლო კომისულტაციებრივებს აღ. გვაჩარიას და ო. ჭელიას; ხელნაწერებია და სააწერვო მასალებზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებასთვის -- მ. უკლიაშვილი, ნ. ბედოშვილს და ვ. ტულუშს.

## ასტრონომიის დარგს ვახტანგის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი აღვილი უჭირავს და ეს არც არის გასაკვირი. არსებული მასალების თანახმად, მეცნიერების დარგებიდან ყველაზე აღრე მეცნიერება მან სწორედ ასტრონომიაში დაიწყო. ჯერ კიდევ თბილისში, XVIII საუკუნის დასაწყისში, ის გაკვეთილებს იღებდა სწავლული კათოლიკე მისიონერებიდან, ხოლო შემდგომ, 1713—1714 წლებიდან მოყოლებული, მან მომზადების საფუძვლიანი კურსი გაიარა ორანში პროფესიონალი ასტრონომის ხელმძღვანელობით. უკვე კვალიფიციური სპეციალისტის დონეზე მან ხელი მიჰყო უაღრესად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს, რომელიც მიზნად აღმოსავლური ასტრონომიული ცოდნის ქართულ ენაზე ამეტყველებას ისახავდა. ამ პერიოდში ითარგმნა და ქართველი მკითხველის დონის გათვალისწინებით გადამუშავდა მთელი რიგი ასტრონომიული თხზულებები, მათ შორის ულულბეგის (1394—1449) ცნობილი „ზიჯი“ — აღმოსავლურ ლიტერატურაში ყველაზე დიდი სიზუსტის ასტრონომიული ცხრილების კრებული; „ქმნულების ცოდნის წიგნი ანუ აიათი“ — ასტრონომიის კურსის პოპულარული შესავალი, რომელიც დაიბეჭდა კიდეც თბილისის სტამბაში (1721); ნასირ ედ-დინ თუსელის სახელმძღვანელო ასტროლაბზე, რომელიც ვახტანგის დაკვეთით ისპაპანში დამზადებული და ქართულ ყოფაში პრაქტიკულად გამოყენებული ასტროლაბების სამუშაო ინსტრუქტურის ფუნქციებს ასრულებდა და სხვ. დღი მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე ვახტანგის მიერ დამუშავებულ კალენდარს, რომელმაც ფართო გავრცელება პპოვა ქართულ პრაქტიკაში. ასტრონომიულ საკითხებზე მუშაობა ვახტანგს არც რუსეთში შეუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ იქ ის ძირითადად მათემატიკის სახელმძღვანელოების შედგენით იყო დაკავებული. შიძი მრავალრიცხვანი ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ის ხშირად უბრუნდებოდა ასტრონომიის საკითხებს.

## მოკლე ცენზები ასტრონომის ისტორიდან

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნით ადრე, მათემატიკის და განსაკუთრებით გეომეტრიის განვითარებასთან ერთად, ინტენსიური კვლევები მიმღინარეობდა ასტრონომიის სფეროშიც. სამყაროს აგებულებაზე წარმოდგენის შესაქმნელად და ციური მნათობების ხილული მოძრაობის ასახსნელად ძველი ბერძენი მოაზროვნები ქმნიდნენ გეომეტრიულ მოდელებს, რომელებშიც სამყაროს ცენტრად უძრავი დედამიწა იყო წარმოდგენილი. სამყაროს გეოცენტრული სისტემების სახელწოდებით ცნობილ ამ მოდელებს თავისი სიცოცხლისუნარიანობა ჩვენი წელთაღრიცხვის XVI საუკუნემდე არ დაუკარგავთ. გამოჩენილი ფილოსოფოსის არისტოტელეს (384—322 წ. ძ. წ.) მიხედვით სამყაროს ცენტრში მდებარე სფერული მოყვანილობის დედამიწა შემოსაზღვრული იყო პლანეტების შემცველი 7 კონცენტრული სფეროთი და უძრავი ვარსკულავების ცით. ყოველივე ზეციური მკვეთრად განსხვავდებოდა მიწიერისაგან. პირველი უნაკლო იყო და შეღვებოდა ეთერისაგან — განსაკუთრებული შუქმფენი, უწონალო და უცვლელი ნივთიერებისაგან. ხოლო მეორე, სამყაროს ყველაზე ნაკლული შემადგენელი ნაწილი — დედამიწა — ოთხი ელემენტისაგან (ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი).

სამყაროს გეოცენტრული სისტემის ბაზაზე ძველი საბერძნეთის ასტრონომებმა შეიმუშავეს პლანეტების, მზის და მთვარის ხილული მოძრაობის მათემატიკური თეორია. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძლოდა ცნობილ ბერძენ ასტრონომს პიპარქეს (II ს. ძ. წ.).

არისტოტელესეულ სამყაროს აგებულების ზოგად სურათს დასრულებული სახე მისცა II საუკუნეში გამოჩენილმა ალექსანდრიელმა ასტრონომმა კლავდიუს პტოლომეემ (87—165). მან ჩამოაყალიბა თავისი სამყაროს გეოცენტრული სისტემა და შეიმუშავა მზის, მთვარის და პლანეტებს მოძრაობის ყველაზე უფრო სრულყოფილი თეორია, რომელიც ამ მნათობების ხილული მდებარეობის წინასწარ გამოთვლის საშუალებას იძლეოდა.

არისტოტელეს ავტორიტეტია და იმდროინდელი პრაქტიკის მოხარულებისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ დამაჭავიყოფილებელმა უხეშმა

შიახლოებებმა, რომელსაც პტოლომეს თეორიით წარმოებული წინას-წარ გათვლები იძლეოდნენ, გეოცენტრიზმის გაბატონებული მდგომა-რეობა რამდენადმე გამახანგრძლივეს. ამასთან ერთად თავისი სიტყვა თქვა ქრისტიანულმა სარწმუნოებამაც, რომელიც II—IV საუკუნე-ებიდან ევროპაში სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა. ეკლესიის მა-მების მიხედვით, არისტოტელეს მოძღვრება ზეციერის მიწიერთან დაპირსპირებულობაზე და პტოლომეს სამყაროს გეოცენტრული სისტემა პირდაპირ ამტკიცებდა „სამყარო წერილის“ ვერსიას, რომ დედამიწა და მთელი სამყარო ღმერთშია აღამიანისათვის შექმნა. ამიტომაც, როგორც არისტოტელეს, ისე პტოლომეს მოძღვრება ურ-შევ სამეცნიერო ჭეშმარიტებად იქნა გამოცხადებული.

პტოლომეს მოძღვრებისათვის აშკარად რეაქციული ელფერის მინიჭებამ და თეოლოგიური ელემენტებით გადატვირთვამ საგრძნობ-ლად შეაფერება ასტრონომიული მეცნიერების შემდგომი განვითა-რება.

ერთგვარ გამოცოცხლებას ჰქონდა ადგილი არაბულენოვან სამ-ყაროში, სადაც აღორძინებისწინარე პერიოდში საკმაოდ მნიშვნელო-ვან შედეგებს მიაღწიეს ამ წვეულების ასტრონომებმა. მკვეთრი პრო-გრესი განიცადა ასტრონომიული დაკვირვებებისათვის გამოყენებულ-მა ტექნიკამ, თავიდან გადაიანგარიშეს და მთელი რიგი კორექტივე-ბი შეიტანეს მნათობების ხილული მოძრაობის ცხრილებში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბირუნის (973—1048), ნასირ ედ-დინ თუსელის (1201—1274), ულულბეგის (1394—1449) და სხვა თეორიული და პრაქტიკული სახის სამუშაოებს.

დაკვირვების სიზუსტის ზრდამ, პლანეტების ხილულ მოძრაობა-ზე დიდძალი დაკვირვებითი მასალების დაგროვებამ, პრაქტიკის, პირ-ველ რიგში კი ზღვაოსნობის გაზრდილობა მოთხოვნილებებშია უფრო ზუსტ ასტრონომიულ ცხრილებზე, მეცნიერთა წინაშე ახალი ამოცა-ნა წამოაყენა. მომწიფედა და გარდაუვალი გახდა პტოლომეს მნათობ-თა მოძრაობის თეორიის რევიზია და ახალი უფრო ზუსტი თეორიის შემუშავება.

1543 წ. ასტრონომიის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, რომელ-საც დასაბამი მისცა დიდი პოლონელი მეცნიერის ნიკოლოზ კოპერ-ნიკის (1473—1543) ჩევოლუციურმა ნაშრომმა „ციური სფეროების გარემოქცევის შესახებ“ (1543). ავტორი უარყოფიდა პტოლომეს მოძღვრებას სამყაროს გეოცენტრული სისტემის შესახებ და მის ნა-ცვლად შეის სისტემის აგებულების მეცნიერულად დასაბუთებულ სურათს იძლეოდა.

ჰელიოცენტრულმა სისტემამ, რომელმაც სამყაროს ცენტრში დაცვამიწის ნაცვლად შეე მოათავსა, ასტრონომიის ფუნდამენტური

ქვაკუთხედის და ახალი პროგრესული იდეების გზამქვლევის ფუნქციები იტვირთა. მოგვიანებით, ჯერ გალილეო გალილეისა (1564—1642) და იოჰან კეპლერის (1571—1630), ხოლო შემდგომ ისააკ ნიუტონის (1643—1727) და სხვათა უდიდესმა აღმოჩენებმა ასტრონომიას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს.

საქართველოში ასტრონომიის ჩასახვისა და განვითარების შესახებ, სამწუხაროდ, ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. მტრის მრავალსაუკუნოვანი შემოსევებით არაერთი კულტურული ძეგლი მოისპონ და ცოდნის ბევრი დარგი მივიწყებას მიეცა. ამ მხრივ არც ასტრონომიული ცოდნა წარმოადგენდა გამონაკლის და ამიტომაც ქართულ ენაზე რამე მნიშვნელოვან ძეგლ ასტრონომიულ ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი არაპირდაპირი მონაცემებიდან ჩანს, რომ ძეგლ საქართველოში ასტრონომიული ცოდნა საქმაოდ მაღალ დონიზე უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით ძალზე მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა დროს საქართველოში მოქმედ უმაღლეს რიტორიკულ სკოლას (ქოლხეთი, III—VI სს.) და აქადემიებში (გელათისა და იყალთოს, XI ს.), რომის იმპერიის რიტორიკული სკოლებისა და ბიზანტიის აკადემიების სასწავლო პროგრამების ანალოგით, ერთ-ერთ აუცილებელ სასწავლო დისკიპლინად ასტრონომიაც უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ასტრონომიული განათლების კიდევ ერთ შესაძლო კერად უნდა ჩაითვალოს VIII ს. დამლევს თბილისში (ნარიყალაზე) არაბების მიერ აგებული ასტრონომიული ობსერვატორია. როგორც ეტუბა, თავისი მოღვაწეობის გარეკვეულ პერიოდში ამ ობსერვატორიაში მუშაობდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ისაარ-არაკი ატ-ტიფლისი (X ს.), ჰუბაიშ ატ-ტიფლისი (1150—1230), ფახრ ად-დინ ალ-ხელათი (1197—1282) და სხვები. მართალია, როგორც ობსერვატორია, ისე მისი თანამშრომლები მაჰმადიანურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ, მაგრამ გარკვეული კავშირი ქართულ გარემოსთან მაინც უნდა არსებულიყო. სხვა თუ არაფერი, ამ მხრივ საყურადღებოა დავით აღმაშენებლის (1089—1125) მაგალითი. სწორედ მაჰმადიანი შრერლების ცნობებიდან ირკვევა, რომ დავითს მაჰმადიანი პოეტებისა და სუფიებისათვის ცალკე სახლი აუგია. ის მათ ნივთიერადაც ესმარებოდა და ხანგამოშვებით საზემოონბასაც უმართავდა. მამისეული ტრადიცია გააგრძელა და კიდევ უფრო განამტკიცა დავითის ვაჟმა—დემეტრე I-მა (ნარკვევები, III, გვ. 497—498). თვით დავითი ძალზე დაინტერესებული იყო ქართველ მეცნიერთა კადრების აღზრდით და, როგორც ცნობილია, სწორედ მისი

ინიციატივით დაარსდა გელათის აკადემია, ბიზანტიაში ცოდნის მისაღებად სპეციალურად გაიგზავნა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი და ა. შ. ცხადია, რომ ის არც ისეთ ხელსაყრელ საშუალებაზე იტყობა უარს, როგორიც იყო ადგილობრივ მაჰმადიან მეცნიერთაგან საბუნებისშეტყველო და, პირველ რიგში, ასტრონომიული ცოდნის მიღება. მითუმეტეს, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც მეორე პტოლომედ („სხუამან პტოლომეოს“) წოდებულ დავითს მიეწერება გელათის აკადემიის გვერდით ობსერვატორის აგება და ასტრონომიული დაკვირვებების წარმოება, კუთხმზომი ასტრონომიული ზელსაშუალება — ასტროლაბის პრაქტიკულად გამოყენება და სხვა (ენციკლოპედია, I, გვ. 650).

ციურ მოვლენებზე დაკვირვების მაღალ კულტურაზე მეტყველებს ლიხნის ქვის დათარიღებული წარწერა (1066), რომელშიც აღწერილია ჰალეას კომეტის გამოჩენა. ზუსტი მითითება კომეტის ფორმებზე და აგრეთვე იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც კომეტა ჩანდა ცაზე (2 აპრილიდან 13 აპრილამდე), ამ ძეგლს უაველესი ასტრონომიული წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს (სვიატისკი, II, გვ. 46—47).

ძველ საქართველოში ასტრონომიული ცოდნის მაღალ დონეზე მიუთითებს აგრეთვე მთელი რიგი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ძეგლები, რომლებშიც ასტრონომიის „საკითხებიც არის განხილული (მაგალითად, იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ ორი ქართული თარგმანი-რედაქციია, ზესრულებული ეფრემ შეკრესა და არსენ იყალთოელის მიერ). მართალია, ამ სახის ლიტერატურა ჩვენამდე არმოლწეული წმინდა ასტრონომიული თხზულებების კომპენსაციას ვერ ახდენს, მაგრამ ასტრონომიული ცოდნის ზოგად დონეზე მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა.

წმინდა ასტრონომოული შინაარსის შრომებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენამდე არ მოულწევია, თუ არ ჩავთვლით ასტრონომიულ დაკვირვებებზე დაფუძნებულ კალენდარულ ტრაქტატებს (X—XIII სს). მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტბელ აბუსერიძის (დაახლ. 1190—1240) თხზულებას „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლოთა და განგებითა“, რომელშიც განხილულია დროის აღრიცხვის ხერხებსა და მნათობთა მოძრაობის კანონზომიერებათა წორის არსებული წინააღმდეგობები. თხზულების მონაცემებიდან ჩანს, რომ მთვარის ფაზებზე დამყარებული კალენდარი საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო ადრე უარუცვიათ (ენციკლოპედია, I, გვ. 650).

შეიძლებოდა კიდევ სხვა ცალკეული მაგალითების მოყვანა, რაც ძალზე შორს წაგვიყვანდა. აღნიშნული მასალიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქველ საქართველოში ასტრონომიული ცოდნა მაღალ დონეზე იყო. მაგრამ მოძალებული დამპყრობლებს მუდმივმა შემოსევებმა, სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად, ქვეყნის კულტურული დაქვეთებაც გამოიწვიეს და ხელი შეუწყვეს საუცუნეებით დაგროვილი ცოდნის განალებურებასა და მივიწყებას. განსაკუთრებით მძიმე აღოჩნდა X IV—XVII საუკუნეების პერიოდი, რომლის სავალალო შედეგებიც მემკვიდრეობად გადაეცა ვახტანგისდროინდელ ეპოქას. აღორძინების გზაზე დამდგარ, მაგრამ კულტურულად იზოლირებულ ქვეყანას, ცოდნის აღდგენისა და შევსებისათვის დიდი არჩევანი არ ესახებოდა და ის უნდა დაკმაყოფილებულიყო იმ მინიმუმით, რომლის მოცემაც შეეძლო საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს ან ირანში შემორჩენილ ძველი აღმოსავლური ასტრონომიის სპეციალისტებს. ვახტანგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ორივე გზა მაქსიმალურად გამოიყენა. მართალია, ამ წყაროებიდან ათვისებული, შემოქმედებითად გადამუშავებული და შემდგომ გარკვეულ წრეებში გავრცელებული ცოდნა ჯერ კიდევ შორს იდგა ევროპული დონისაგან, მაგრამ იმდროინდელი საქართველოშათვის მას მარც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

### „თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვებისანი და ვარსკულაცისანი მოსწავლეთათვის მჯვენიერი“

ამ საყურადღებო ასტრონომიული თხზულების ტექსტი მოყვანილია Q—884 ხელნაწერში, რომელიც სხვადასხვა შინაარსის ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს. გარეგნული იერით კრებული უფრო ინდივიდუალური პიროვნების სამუშაო რვეულის და არა მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის განკუთვნილი საკითხავის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ ბევრია ცარიელი ფურცლები, რომელთა გამოყენებაც კრებულის მფლობელს, როგორც ჩანს, მომავლის-თვის ჰქონდა განზრახული, მაგრამ ჩაღაც შიზეზთა გამო მას ეს ჩანაფიქრი ვეღარ განუხორციელებია. თვით წარმოდგენილი მასალებიც შინაარსობრივად იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რომ საკითხავი კრებულს ალბათობა თამამად შეიძლება გამოირიცხოს.

„თარგმანი და გამოცხადებანი...“ წარმოდგენილია კრებულის საწყის ნაცვეთში (ფფ. 4r—25r). შემდეგ ერთმანეთისაგან განცალკევებულად კრებული შეიცავს შელოცვა-მისნობის შინაარსის რეცეპტებს და მაგიური კვადრატების ჩანახაზებს (ფფ. 46r—48v), არითმეტიკულ გასართობ ამოცანებს (47r—48v), ვახტანგ VII-ის ისტორი-

ული ჭანიათის ნაშრომის „ნათესაობის წიგნის“ (ფფ. 63v—78r) და ძალზე საინტერესო გეომეტრიულ ნახატს (ფ. 80v), რომლისთვისაც რატომლაც აქამდე არავის მიუშეცევია სათანადო კურადღება.

მთლიანად კრებულის ზოგადი ოლწერილობა მოყვანილია „ქართულ ხელნაწერთა ოლწერილობის (Q — ფონდი)“ მეორე ტომში (ხელნაწერთა ოლწერილობა, Q—I, გვ. 296—297). რაც შეეხება ტექსტების გამოკვლევას, უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო შინაარსის მასალებილან დღეისათვის მხოლოდ „თარგმანი და გამოცხადებანი“... არის შესწავლილი. კ. გრიგოლიას მონოგრაფიის „ახალი ქართლის ცხოვრება“ დამატებაში ეს თხზულება საქმიან დაწვრილებით არის გარჩეული და სათანადოდაც შეფასებული ვახტანგის მეცნიერულ მოლვაწეობასთან დაკავშირებით (გრიგოლია, გვ. 331—340). ძირითადი დებულებები, რომლებიც ტექსტის ანალიზის საფუძველზე წამოაყენა პატივულებულმა მკვლევარმა, შეიძლება მოკლედ ასე წარმოვადგინოთ: კოსმოგრაფიული სახელმძღვანელო შედგენილი უნდა იყოს პირადად ვახტანგისათვის იმ კათოლიკე მისიონერების შიერ, რომლებიც 1709 წლის დოკუმენტის მახედვით ასტრონომიის გაცვეთილებს უტარებდნენ ვახტანგს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ლათინური ტერმინოლოგიით გადატერიფიცირებული სახელმძღვანელო მხოლოდ ერთი მოწაფის და ისიც წარმოიდგინება „არის განკუთვნილი“. თვით სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მოსწავლეებს გააცნოს სამყაროს წარმოშობა და აღნაგობა. მის უმთავრეს ნაწილს შეადგენს ნაკვეთი სამყაროს შინაგანი წყობის შესახებ, რომელიც არისტოტელე—პტოლომეს სისტემის მიხედვით სამყაროს სფერული აგებულების დებულებას ემყარება. „რთული მოვლენების ასახსნელად და წარმოდგენის გამაადვილებლად“ დამხმარე საშუალებად გამოიყენება თვით მასწავლებლის მიერ დაზადებული „ნივთიერი სფერა“, რომელიც შესაძლოა ვახტანგის სახელით ცნობილ და საქართველოს მუზეუმში დაცულ ასტროლაბს წარმოადგენდეს. თავის მხრივ ვახტანგს, ჩვეულებისამებრ, შიგადაშიგ ტექსტში ლათინური ტერმინების გადმოქართულებაც უწარმოებია. სახელმძღვანელოს სულთან-საბას ხელშიც გაუვლია. მას გულდასმით წალკითხავს ტექსტი და „საჭირო განმარტებაზი იქვე კიდეებზე თავისი ხელით მიუწერია“. „აქაც საბა ვახტანგის გულითადი და უმთავრესი მასწავლებელი ჩანს“, რომლის მაღალ ასტრონომიულ განათლებაზე მეტყველებს „სიტყვის კონაში“ კოსმოგრაფიის არაერთი საკუთხი საკითხების დიდი სიზუსტით გაშუქება და „რაც მთავარია, აღნიშნული გაშუქება ორივე შემთხვევაში (საბას ლექსიკონი და ეს სახელმძღვანელო წიგნი) თვალსაჩინოდ იღენტურია“ (გრიგოლია, გვ. 333, 335—339).

მონაცემით, როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესო ფაქტებია გამოვლენილი, და საერთოდ, მასში წამოყენებული ეს დებულებები მეტად საყურადღებოა „თარგმანი და გამოცხადებანის“ გამოკვლევისას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭითხი მაინც არ არის საბოლოოდ ამოწურული, ვინაიდან აღნიშნული ქეგლი, როგორც საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თხზულება, ჯერ კიდევ არ ყოფილა წესწავლილი უშუალოდ მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით. ამ მեტივ, რასაკვირველია, გაცილებით საინტერესო შედეგებია მოსალოდნელი და ჩვენც, სწორედ ამ მოსაზრებით, მიზანშეწონილად კოვლით თხზულების ხელმეორედ გარჩევას.

„თარგმანი და გამოცხადებანის...“ შინაარსი.  
ტექსტი იწყება ავტორის შეგონებით, რომლის თანახმად, „ზეციერსა  
ანუ თუ ქვეყნიერთა“ საქმეებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლი-  
სა საჭიროა თვით „ცათა და ქვეყნის ვითარობის“ ცოდნა. ქვეყანა  
წარმოდგენილია როგორც „შეკრებულობა სრულიად დაბალებულ-  
თა“, რომლებიც ღმერთმა არაფრისაგან გააჩინა („დაბალა ღმერთმან  
არაფრისაგან“). ბიბლიისა და „წმინდა მამათა“ დამოწმებით ავტო-  
რი ანგითარებს მოსაზრებას, რომ ამ „დაბალებულთა“ ანუ „ქმნილთა“  
მთავარი დანიშნულება აღამიანის სამსახურია („მონებად კაცისად“,  
„სახმარად კაცისთვინ“). ხოლო ადამიანი „ღვთის გულისათვინ ცყო  
დაბალებული“ და „შუამდგომლობითა სწვათა დაბალებულთათა“  
უფლის სამსახურისა და სიყვარულისთვის არის მოწოდებული!

სამყაროს „შექმნის“ პროცესთან დაკავშირებით მოკლედ არის გაღმოცემული ლმერთის მიერ 6 დღეში „სრულიად ქვეყნის“ გაჩენის ცნობილი ბიბლიური კერძია<sup>2</sup>. ამის შემდგომ, როდესაც აკტორ-მა უკვე გააცნო მოწაფეს „თუ რა არს ქვეყანა და ანუ ვით იქმენ დაბადებული ლეთისაგან“, ტექსტი გადადის სამყაროს აგებულების საჭითებზე („ხერ არს ცნობად დიდი ესე შენებულობა ქვეყანისა“).

სამყარო („ქვეყანა“), რომელსაც სფერული („მგრგვალი“) მო-  
ყვანილობის გამო „ბევრნი უწოდებენ კოზმოსის“ და ლათინი უწო-  
დებენ ორბის [ს], ორ ნაწილად „განიყოფა“. პირველ ნაწილს შეად-  
გენს „ქვეყანა ზეციერი“, რომელსაც უჭირავს „ყოველი შემკული  
ზეციერი, მზითა და მთვარითა და ვარსკვლავებითა“, ხოლო მეორე  
ნაწილს „ქვეყანა ნივთიერი“ (ვახტანგის ჩედაქციით, „კავშიროვანი“),  
რომლის ხევდრს წარმოადგენს „ყოველივე შემკული ნივთისანი, რო-  
მელი არიან ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა“. ქვეყანა ზეციერი ნივ-

1 Q—884, 93. 4r—4v.

2 օվՅՅ, ց. 6r—8v.

თიერზე „უკეთესია“, ვინაიდან მისი არსი („გითარობა“). უფრო ბირწყინვალეა. ის უსრულია და უცვლელია, მაშინ როდესაც „ნო-თიერი ქვეყანა“ პირიქით, ხრუნადი და ცვალებადია.

ზეციური ანუ ეთეროვანი მატერიის ქვეყნის ოთხ სტიქიონთან (ელემენტთან) ტრადიციული დაპირისპირების შემდგომ ავტორი აცნობს მოწაფეს, თუ რა თანამიმდევრობით იქნება გარჩეული ცალ-ცალკე თვითეული „ქვეყანა“: „მაშ უკვე ზეციერი ქვეყანა უფრო საღ პატიოსანი არს ნივთიერის ქვეყნისაგან, კერ არს უწინარეს მო-თხრობა ზეციერ ქვეყნიერისასა და მისი ნაწილებისასა და შემდ-გომად ძალითა ღვთისათა ნივთიერის ქვეყნისაც ვიწყოდ მოხსენება“<sup>3</sup>.

ზეციერი ქვეყნისადმი მიძღვნილი საკითხები ქვეთავში ცალკეა გამოყოფილი, რაზედაც მიუთითებს ქვეთავის დანომრილი სათა-ურის ნომერი: „ა. რა არს ზეციერი ქვეყანა“. ქვეთავში წინასიტყვა-ობასავით ისევ ზეციერი ქვეყნის უპირატესობაზე და მიწიერ ყო-ფაზე მისი მომაწესრიგებელი გავლენის შესახებ არის ლაპარაკი. ცის სფეროები და შვიდი მნათობი „სხვათა და სხვათა ძვრითა გვა-ჩენებენ ჩვენ წელიწადს, თვესა, დღესა და უამსა. სხვა და სხვა დროთი და მათისა გარღმოცემითა, არიგებენ ესე ოთხის კავშირისა-გან... შობითა და განხრწინითა ყოვლისა რასამე ქვეყანასა“<sup>4</sup>.

წინასიტყვაობის შემდგომ განმარტებულია თუ რამდენ „ცალ“ იყოფა „ზეციერი ქვეყანა“ და ჩამოთვლილია თვითეული მათგანი. ამ შემთხვევაში და საერთოდ სახელმძღვანელოს მთელ ტექსტში ქართული სახელწოდების პარალელურად ხშირად იტალიური ტერ-მინებიც ახმარება, თუმცა ავტორი რატომღაც მათ ლათინურად („ლა-თინი უწიოდებენ“, „ლათინურად“) აქვთდებს. კათა საერთო რი-ცხვი ათს შეადგენს. გარდა ამ ათი ცისა, რომელთაც „აქვთ თვით-თვისად ძვრანი სხვადასხვა“, არსებობს კიდევ ერთი, დედამიწისაგან ყველაზე დაშორებული უძრავი ცა. „ლმერთის საყდრად“ და „წმინდა მამათა“ სამკვიდრებლად გამოცხადებულ ამ ცას სასუფეველი ეწოდება (იტალიურად „ჩელო ემფრიო“ — დამახინჯებული cielo empireo, ე. ი. ემპირეის ცა). „სასუფეველსა ჭვეშე და უფრო შორს სხვა-თაგან ჩვენზედ“ მოთავსებულია მბრუნავი ცა, რომელიც „სხვათა ცათაც და[ა]ბრუნებს, რომელნი არიან ამის ქვეშე“. მბრუნავი ცის „ქვეშე“ თანამიმდევრულად განლაგებულია: ბროლის ცა, ვარს-კვილავთა ცა და „შვიდი მნათობის“: სატურნის, იუპიტერის, მარსის, მზის, ვენერას, მერკურის და მთვარის ცები, ე. ი. სულ ათი ცა. აღსა-ნიშნავია, რომ შეიდი მნათობის ქართული, არაბული და იტალიუ-

<sup>3</sup> Q—884, ფ. 9r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 10r—10v.

Հո Սահելլթռազեծ Շյմիջոմ զաթրանց մովյերուլո պյառ Ռոնագալք-  
ծա „նօթանո մօսո յըս ահս“ լա տցուցպլո թնատռն Շըսաձամուսո աս-  
քիրոնոմուլո նօթանօ.

ათი ცის შემდგომ დასახელებულია კიდევ რამდენიმე სფერო, რომლებსაც ხანდახან ცაც ეწოდება, მაგრამ ცების საერთო წუმე-რაციაში ისინი არ შედიან. ასეთ ცად თუ სფეროდ დასახელებულია მთვარის ცის ქვეშ მოთავსებული ცეცხლის სტიქიონის („ნივთი ცე-ცხლისა“) ფენა, რომელიც რატომლაც ეთერთან არის გაიგივებული (სხვათა შორის, ასეთი გაიგივება ზოგჯერ არისტოტელესთან და სხვა ჩერძენ ფილოსოფოსებთანაც გვხვდება — იხ. ქიმიის წარმოშობა, გვ. 139). მას მოსდევს ჰაერის სფერო და ზოლოს წყლის სტიქიონთან ერთად დედამწით მთავრდება სამყაროს სფერული დაყოფა. სტი-კვიერ განმარტებებთან ერთად სახელმძღვანელოში კონცენტრული წრეწირების სახით მოყვანილია ციური სფეროების ნახაზი, რომლის წარწერების მიხედვით ეთერი და ჰაერის სფერო „ცის“ სახელწო-ლებაშია გაერთიანებული<sup>6</sup>.

სფერული ცების ზოგადად ჩამოთვლის შემდგომ ავტორი გადაღის თვითეული მათგანის დახასიათებაზე, რომელშიც ძირითადი აქცენტი რაოდენობრივ მონაცემებზეა გადატანილი. თითქმის ყველა შემთხვევისათვის მოყვანილია სფეროს დიდი წრეწირის სიგრძე და დიამეტრი, მბრუნავ ცათა მოქცევის ხანგრძლივობა, ხოლო მნათობებისათვის — დედამიწის მარტიანებში გამოსახული შეფარდებით მოცულობითი ზომებიც<sup>7</sup>. ამ მონაცემების წყაროების კონკრეტულად დაგვენა ვერ ხერხდება. რაც შეეხება მათ უტყუარობას, ამ მხრივ ერთგვაროვნება არ არის დაცული — ზოგ შემთხვევაში ისინი აშკარად სცილდებიან, ხოლო ზოგჯერ პირიქით, საყმაო სიზუსტით თანხვდებიან თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. ამ თვალსაზრისით მიუღებელი ჩანს სფეროთა დიდი წრეწირის სიგრძისა და დიამეტრის რიცხვითი მნიშვნელობები. ამასთან არც სიგრძის ერთეულების — რომაული მილის და ქართული „ეგის“ გაიგივებაა გამართლებული, ვინაიდან სინამდვილეში მათი ტრადიციული შეფარდება იყო 1:3 (ჯაფარიძე, გვ. 150—151). სამაგიროდ ნდობას იმსახურებს მნათობების გარემოქცევის პერიოდთან დაკავშირებული მონაცემები. ტრეჭისტის თანამდებობა, დედამიწის გარშემო მბრუნავი მზე სრულ გარემოქცევას 365 დღე-ლამეს და 6 საათს ანდომებს და „ამას ეწოდებას წელიწადი მზისა“. ონიშნულია აგრეთვე, რომ მზე ერთ

5 Q-884, ff. 11r-11v.

6 Q-884, 9. 12r.

7 ১৩২. ৩৩. 13v--21r.

დღე-ლამეში 59'-ს, ხოლო ერთ თვეში ზოდიაქოს ერთ ბურჯს („ცხოველთ ნიშანს“), ე. ი. 30<sup>0</sup>-ს გადის. ასევე რამდენიმე და სხვადასხვა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი სიზუსტის მონაცემები არის მოყვანილი მთვარის გარემოქცევისათვის. დედამიწის გარშემო მთვარის მოქცევას პერიოდად 27 დღე-ლამე და 8 საათია წარმოდგენილი, თანაც ამ ხნის განმავლობაში საკუთრივ მზის (სინამდვილეში კი დედამიწის) გადაადგილების გათვალისწინებით („ორი სხვა დღე ვიღრე მზეს გამოუვლის“) უხეში მიახლოებით სინოდური თვე 29 დღელამითაა განსაზღვრული. გარდა ამისა, ტექსტის თანახმად, მთვარე გადაადგილდება 1 საათში 33'-ით, 1 დღე-ლამეში—13°11'-ით, ხოლო ზოდიაქოს

1 ბურჯის გავლას  $2\frac{1}{2}$  დღე-ლამეს ანდომებს<sup>8</sup>. რაც შეეხება პლანეტებს, მათთვისაც რამდენიმე მონაცემია მოყვანილი (საათური, დღე-ლამური და სხვა გადაადგილებებისათვის). თუ ყველაზე ზუსტ მნიშვნელობებს შევარჩევთ, მაშინ თვითეული პლანეტის გარემოქცევის პერიოდის სია ასე გამოიყურება: სატურნი — 30 წ. (29,46 წ.), იუპიტერი — 11.87 წ. (11.86 წ.), მარსი — 1.91 წ. (1.88 წ.), ვენერა — 1 წ. (0,62 წ.) და მერკური — 1 წ. (0,24 წ.). ფრჩხილებში მოყვანილ თანამედროვე მონაცემებთან შედარებისას ცხადად ჩანს, რომ დამაკმაყოფილებელ თანხვდენას მხოლოდ მერკურის და ნაწილობივ ვენერას შემთხვევისთვის არა აქვს ადგილი.

თანამედროვე მონაცემებისაგან უფრო მეტად განსხვავდებიან დედამიწის მოცულობის მასშტაბებში გადათვლილი მზის, მთვარის და პლანეტების მოცულობების რიცხვითი მაჩვენებლები: სატურნი — 91(95), იუპიტერი — 95(318), მარსი — 2(0,108), მზე —

$166(1297000)$ , ვენერა — 73(0,815), მერკური —  $\frac{1}{213}(0,055)$  და მთვა-

რე —  $\frac{1}{39} \left(\frac{1}{49}\right)$ .

რიცხვითი მონაცემები მოყვანილია „მთვარის ქვედა სამყაროს“ დასასიათებაშიც, მხოლოდ ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება უკვე სხვა დეტალებს ექვევა. „ცეცხლის ეთერის“ მომდევნო ჰაერის სფერო სამ ფენად („მაღალი“, „შუა“ და „დაბალი“) იყოფა. ტექსტის თანახმად, თვითეულ მათგანს ბუნების გარკვეული მოვლენა შეესაბამება: „მაღალ“ ფენას კომეტების („ქეომეთე“) არსებობა უკავშირდება, „შუა“ ფენ ფენაში „შეიქმნებიან წევიმიანი სეტყვანი

8 Q — 884, ფფ. 17r, 19r;

და თოვლინი“, რომლებსაც ზოგადად „მეტეორებს“ („მეტორეს“) უწოდებენ, ხოლო პეტრის „დაბალი“ ფენა შეიცავს ორთქლს („ოშხივარს“), რომელსაც „მიწისაგან ამოიღებს“ მზის შუქის მხურვალება („მზის შუქის ჭყრტიალითა“)<sup>9</sup>.

თხზულებაში სფეროებად დაყოფის პრინციპი, და თანაც რაოდენობრივი მახასიათებლებით, დედამიწაზეც ვრცელდება, რომელიც სიტყვიერი გამიმარტებით და თანდართული გრაფიკული გამოსახულებით 4 სფეროს შეიცავს (ჯოჯოხეთის, სალჩინობელის, უნათლავ ყრმათა და მამამთავართა სამყოფ სფეროებს)<sup>10</sup>.

ამის შემდგომ ტექსტი წმინდა ასტრონომიის, კერძოდ სფერული ასტრონომიის საკითხებზე გადადის. განხილვას ობიექტს წარმოადგენს ცის სფერო, ე. ი. ნებისმიერი რადიუსის მქონე წარმოსახვითი სფერო, რომლის ცენტრში დამკვირვებელი იგულისხმება, ხოლო შიგა ზედაპირზე მნათობებია აღნიშნული ისე, როგორც ისინი ცენტრიდან ჩანან დროის რომელიმე მომენტში. თვალსაჩინოებისათვის ცის სფეროს შესასწავლად სახელმძღვანელო სპეციალური ასტრონომიული ხელსაწყოს „ნივთიერი სფერას“ გამოყენებას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში „ნივთიერი სფერა“ გეოცენტრული სისტემის სქემის ამსახველი მოდელის როლს ასრულებს და მისი საშუალებით, როგორც ტექსტი იუწყება, „მეფე სცნობს სრულიად ძვრასა ცათასა და სვლასა ვარსკვლავთასა და წიწწალსა არიეთისასა (ვერძისას) და მიზანისა (სასწორისასა), რომელსა ლატინი [უწოდებენ] ეკვინოციი, [რომე] დღესა და ღამეს გა[ა]სწორებენ; კანკირს (კირჩხიბი) და კარგორნოსი (თხის რქა) წინწყალი, რომელთა ლათინნი უწოდებენ სოლისტიცი, რომელი არიან ეს ორნი, მოიმატებენ და დაიყლებენ დღეთა. უფროსღა შეიტყოს მეფემან შეცვალება დროთა, სიდიდე და სიმოქლევე დღეთა და ღამეთა, განცოფილება სარტყლისა, რომელსა ლატინნი უწოდებენ ძონე და სრულიად ქვეყნის კიდენიცა“<sup>11</sup>. ამ სასწრერესო ფრაგმენტშიც ჭანტანგს ზოგიერთი სიტყვა გადაუშლია და თავზე ან აშიაზე გატანით შესაბამისი ქართული ტერმინი მიუწერია. ჩეენ ვახტანგისეული შესწორებები ჩეეულებრივ ფრჩხილებში მოგვყავს, ხოლო ტექსტში აშკარად გამორჩენილი სიტყვები კვალრატულ ფრჩხილებში გვაქვს აღვგენილი. ფრაგმენტში ვარსკვლავთა მოძრაობა და ცის სფეროს ზოგიერთი წერტილი („წიწწალი“) მოყვანილია ერთ-ერთ კერძო მაგალითად იმ საერთო ინფორმაციიდან, რომელიც მოწაფემ შეიძლება მიიღოს.

9 Q—884, ფ. 20v—21r.

10 იქვე, ფ. 21v—22v.

11 იქვე, ფ. 23r—23v.

შოდელური სქემიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასტრონომიული ტერმინები კვლავ ოტალიურ ენაზეა, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში „ლათინნი“ ან „ლატინი“ არიან დამოწმებული. „არიეთი“ და მახიჯებული სახით იტალიურ ტერმინს Ariete-ს გადმოგვცემს და, როგორც სამართლანად თარემნის ვახტანგი, ის ვერძის ქნებას შეესაბამება. სწორად არის თარემნილი მეორე წერტილის სახელწოდებაც („სასწორი“), მხოლოდ რატომდაც ავტორისეული ტერმინი არა იტალიური, არამედ არაბული ფორმით არის მოყვანილი („მიზანი“). ეს წერტილები იმ ფაქტის აღმნიშვნელი არიან, რომ რომელიმე მათგანზე მზის გავლისას „დღე და ღამე გასწორდება“, ე. ი. აღგილი ექნება გაზაფხულის და შემოსგომის დღელამტოლობას ანუ ბუნიობას (equinozio). ჩაც შეეხება კირჩხიბის (Cancro) და თხის რქის (Capricorno) წერტილებს, ამ შემთხვევაში იგულისხმება გაზაფხულის და ზამთრის მზებულობა ანუ მზედგომა (solstizio), რომლებიც შესაბამისად „მოიმატებენ და დაიჭლებენ დღეთა“. ფრაგმენტის ბოლო წინადაღებაში წელიწადის სეზონების ცელასა („შეცვალება დროთა“) და დღისა და ღამის ზანგრძლივობასთან („სიმკლევე დღეთა და ღამეთა“) ერთად „სარტყლის განყოფილების“ ანუ „ძონეს“ (zona) მოხსენება ისევ ცის სფეროზე მზის წლისური სრბოლვის და აგრეთვე დედამიწის სფერულობის წარმოდგენებით არის განპირობებული. ამ წარმოდგენებისა და სხვადასხვა ქვეყნებში წელიწადის სეზონების განსხვავებათა შესწავლის საფუძველზე, ჯერ კოდევ ძველი საბერძნეთის პრაქტიკაში შემოიღეს ცის სფეროს დაყოფა სარტყლებად (ზონებად), რომელიც შემდგომ დედამიწისთვისაც გამოიყენეს (ბარანკოვა, გვ. 56).

სახელმძღვანელოს ზოგიერთი ცნობა არის მოყვანილი უშუალოდ „ნივთიერი სფეროს“ ჟესახებ. ის, როგორც ტექსტიდან ჩანს, პირადად ავტორს დაუმზადებია („ვითარცა შემისლებელ არს ხელწითე ხილვად ამა უნდოსა შინა, რომელ მე გავაკეთე“<sup>12</sup>): ხელსაწყოს სახელწოდება ავტორის მტკიცებით დაკავშირებულია „დიდისა... არქიმედისა, სამეფოსა სიჩილიფისა და მოქალაქისა სირაქუზისა“ სახელთან. არქიმედს გამოუგონია და გაუკეთებია („მიწიდომილ და გაკეთებულ არს“) „დიდი ოსტატობით“ ამ ტიპის „სფერა წმინდა ბროლისაგან, რომელსა შინა გამოჩნდებოდა ძერანი სრულიად ცათა, მზისა, მთოვარისა და მარსკვლავთასა, ვითარცა მართლა ცანი ყოფილიყვნენ“<sup>13</sup>.

<sup>12</sup> Q--884, ფ. 23r.

<sup>13</sup> ეგვ., ფ. 23v.

„ნივთებრი სფეროს“ შემდეგ სახელმძღვანელოში ცის სფეროს ძირითადი დეტალების — წრეების და საყრდენი წერტილების განხილვაა. წრეებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ არსებობს დიდი და მცირე წრეები („მგრგვალი უდიდესი და ზოგნი უმცირესი“). „უდიდესი მგრგვალი“ განსაზღვრულია როგორც სფეროს წრე, რომლის ცენტრი სფეროს ცენტრს თანხვდება („რომელთა აქვთ სწორი მათ შორის წინწერი“) და რომელიც სფეროს ზედაპირს ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს („განიყოფის ორგნითა სწორეთ“). დიდი წრეისაგან განსხვავებით, მცირე წრეების ცენტრები სფეროს ცენტრს არ თანხვდება („აქვთ მათი წინწერალი სხვადასხვა სფერისა წინწერალისაგან“) და ისინი სფეროს ზედაპირს ორ არა ტოლ ნაწილად ჰყოფენ („განუყოფენ სფერასა ორ ნაწილად უსწორო[თ]“).

ცის სფეროს დოდ წრეებიად დასახელებულია შემდეგი „უდიდესი მგრგვალი“:

1. „ეკვინოციალე“ — სრული სახელწოდება, როგორც ეტყობა, უნდა იყოს *circolo equinoziale*, რომელიც სიტყვასიტყვით, ასე ვთქვათ, „ტოლლამიან წრეს“ (равноношный круг) ნიშნავს და ცის ეკვატორის ცნებას გამოხატავს.

2. „ზოდიაჟეო“ — სრული სახელწოდება *zircolo zodiaco*, ე. ი. ეკლიპტიკა.

3. „კოლურო დელ ეკვინოცი“ — *coluro del equinizio*, ე. ი. დღელამტოლობის კოლური.

4. „კოლურო დელ სოლსტიციო“ — *coluro del solstizio*, ე. ი. მზებუღობის ანუ ბუნიობის კოლური.

5. „მერიდიანი“ — სრული სახელწოდება *circolo meridiane*, ე. ი. ცის მერიდიანის წრე.

6. „ორიძონთე“ — სრული სახელწოდება *circolo orizonte*, ე. ი. პორიზონტის წრე<sup>14</sup>.

მცირე წრეებიდან წარმოდგენილია ის წრეები, რომლებიც ცის სფეროს სარტყლებად ჰყოფენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი დაყოფა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში შეიმუშავეს და შემტყობდება მისი სფეროს გამოიყენეს. ამიტომაც დღელამტურ პარალელებს იყიდე სახელწოდება აქვთ, რაც დედამიწის პარალელებისათვის არის

<sup>14</sup> Q—884, ფ. 24r.

დღესათვის გამოყენებული. ტექსტის მიხედვით ცნობილია ოთხი ასეთი დღედამური პარალელი:

1. „ტორფიკო დი კანკრო გინა ტორფიკო ფელა ესტატე“ — tropico di Cancro ან tropico della estate, ე. ი. კირჩიბის ტროპიკი ან ზამთრის ტროპიკი.

2. „ტროფიკო და კაფრიკორნე გინა ტროფიკო დელ ინვერნო“ — tropico di Capricorno ან tropico del inverno, ე. ი. თხის რესის ტროპიკი ან ზაფხულის ტროპიკი.

3. „ჩირკელო ართიკო“ — circolo Artico, ე. ი. პოლარული წრე (ჩრდილოეთის).

4. „ჩირკელო ანთარტიკო“ — circolo Antartico, ე. ი. პოლარული წრე (სამხრეთის).

შემდეგ განხილულია ცის სფეროს სხვადასხვა საყრდენი წერტლები. დღიდი და მცირე წრეები დაკავშირებულია სფერული ზედამხრის ორ ღიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარეზე მდებარე წერტილებთან. ტექსტის მიხედვით, ერთს პოლო ართიკო (Polo Artico), ე. ი. ჩრდილოეთი პოლუსი, ხოლო მეორეს — პოლო ანტარტიკი (Polo Antartico), ე. ი. სამხრეთი პოლუსი ეწოდება. პირველი „ინახების ჩვენ შორის“, ხოლო მეორე კი „ჩვენგან უხილველ არს“. პოლუსების შემარტებელ ღერძს („ამა ორსა პოლუსა შინა არს ერთი ლერძი“), რომელიც სამყაროს ცენტრში („შუაგულში“) გადის, „ლატინნი უწოდებენ ასე დელმუნდო“ (asse del mundo) ე. ი. სამყაროს ღერძს. თვით სამყაროს ცენტრი („ქვეყნის შუაგული“) განსაზღვრულია როგორც წერტილი, რომლის გარშემოც ცის სფეროზე შემოხაზული წრეწირები („სრული ხაზები, რომელ არიან უემოხაზული გარეშეს იმავ წინწყალსა“) ერთნაირი სიღიღის არის („სულ სწორ არიან“). ცის სფეროს წერტილების განხილვა მთავრდება ზენიტით და ნადირით. პირველი წარმოდგენილია როგორც „წინწკალი ცის, რომელ არს ჩვენს თავსა ზედან“, ხოლო მეორე, როგორც „ცის წინწკალი, რომელ არს სწორე ჩვენს ფეხს ქვეშე“.

ტექსტის დასასრულს ავტორი აკეთებს შემაჯამებელ შენიშვნას, რომელშიც ის მოწაფეს შეახსენებს ცის სფეროსა და მისი დეტალების როგორც წარმოდგენით ხასიათზე, ისე მათ შემეცნებით დარღვეულებაზე: „მაგრამ ხელმწიფებ უნდა იცოდეს, რომე ესე მგრივალი, ეს პოლები, ეს ლერძი... არ არიან მართლად [ც]ათა შინა, მაგრამ ე გაფიქრებული არის ასტრონომეთაგან ჩვენს ფიქრის მოსაშევ-

ლებელად და ჩვენთვინ შესატყობლად ფერად-ფერადობა ძერისა ცისა და მასკვლავთა”<sup>15</sup>.

„თარგმანი და გამოცხადებანის“ შინაარსის ანალიზი. შინაარსის გაცნობის შემდეგ საშუალება გვეძლევა ვიმსჯელოთ მის რაობაზე და განსაკუთრებით იმ თავისებურებებზე, რომლითაც ის გამოირჩევა სხვა მანამდე არსებული ქართული წერლობითი ძეგლებიდან. შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კალენდარულ ტრაქტატებს, „თარგმანი და გამოცხადებანი“ ერთ-ერთ პირველ თხზულებას წარმოადგენს შემორჩენილი ლიტერატურიდან, რომელშიც ანტიკური საბუნებისმეტყველო-საშუალებები და კურძოდ ასტრონომიის ელემენტები დამოუკიდებლად არიან გადმოცემული. მართალია, ამ შემთხვევაში საღვთისმეტყველო-მისტიკური წარმოდგენები ჟერ კიდევ წინაპლაზზე წამოწეული. მაგრამ ისინი უწინდებურად თხზულების ძირითად ქარგას უკვე აღარ შეაღეცენ და მეტნაკლებად ამ უკანასკნელის რელიგიურ ჩარჩოებში. მოქცევის მიზანს ემსახურებიან. ამგვარი „ღირებულებათა გადაფასების“ ტენდენცია სწორედ შუალუკუნეობრივი თხზულებებისათვის იყო დამახასიათებელი. ერთგვარ გამონაკლისს საერთო სქემიდან სახელმძღვანელოს შესავალი შეადგეს, სადაც სამყაროს რაობისა და წარმოშობის საკითხები წმინდაბიბლიური თვალთახედვით არის წარმოდგენილი. ეს არც არის გასაუირი, ვინაიდან სახელმძღვანელოს ავტორი მისიონერია და ის ყველგან, სადაც კი მას საშუალება ეძლევა, მაქსიმალურად ანვითარებს საღვთისმეტყველო-მისტიკურ შეხედულებებს.

ევროპული ხელწერა ვლინდება სახელმძღვანელოს ცალკეულ დეტალებზეც. საგრძნობი ყურადღება ექცევა ასტრონომიულ რიცხვით მონაცემებს ცის სფეროების სხვადასხვა მახასიათებლებისათვის, მნათობთა დღელამური, თვიური და სხვა გადაადგილებებისათვის და ა. შ. გარევეული ცვლილებებია შეტანილი სამყაროს შექცეველ სფეროებთან დაკავშირებით. თუ არისტოტელუს მიხედვით 8 სფერო ანუ ცა არსებობდა, სახელმძღვანელოში მათი რიცხვი ათამდეა განზრდოლი. არისტოტელეს წარმოდგენით ბოლო მერვე ანუ უძრავ ვარსკვლავთა სფერო საკუთარი ბრუნვის წყალობით ყველა ციური სხვულის დღილამური გადაადგილების პირველად მიჩეზს წარმოადგენდა. სახელმძღვანელოში პრეცესიის მოვლენის გათვალისწინებასთან დაკავშირებით უძრავი ვარსკვლავები კვლავ მერვე სფეროზეა განლაგებული, მაგრამ ამ სფეროს დღელამური გადაადგილების ნაცვ-

15 Q—884, ფ. 24r—25r.

ლად „თრთოლის ბრუნვა“ ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, რხევითი მოძრაობა (ტრეპიდაცია) მიეწერება. სწორედ ტრეპიდაციის და აგრეთვე პრეცესის გათვალისწინებით შემოტანილია ორი ახალი სფერო — მეცნიერება და ანუ ბროლის ცა და მეათე ანუ პირველმა მოძრავებელი ცა. თუ ეს ორი სფერო არაბული წყაროების ზეგავლენით იქნა შემოღებული, საკუთრივ ევროპული ინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენს სასუფევლის და ჯოჯოხეთის ცნებების შემოღება, დედამიწის სფეროებზე და ჰაერის ფენებზე დაყოფა და სხვ.

თავისი შინაარსითა და დანიშნულებით სახელმძღვანელოში შევეთრად გამოიჩინება ბოლო ნაწილი, რომელიც ყოველგვარი სალვატორის ტყველო-მისტიკური ჩანართების გარეშე მხოლოდ „ნივთიერ სფერასთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. თუ წინამდებარე ნაწილი სამყაროს აგებულების აღწერით მოსწავლის ამ საკითხებში ზოგად გათვითქმნიბიერებას ითვალისწინებს, აქ უკვე ამოცანა უფრო კიტრო ხასიათს ატარებს და სფერული ასტრონომიის ელემენტების შესწავლას ემსახურება. ამ შემთხვევაში ავტორი გამოცდილი პედაგოგის როლში გვევლინება, რომელმაც კარგად იცის, თუ რა ძნელ ამოცანას წარმოადგენს დამწყები მოსწავლისათვის სივრცული ობიექტების — ცის სფეროსა და მისი ელემენტების აღქმა. ამასთან დაკავშირებით ის ნახაზებს კი არ მიმართავს, რომლებიც ასევე ძნელად აღსაქმელ კატეგორიას განეკუთვნებიან, არამედ თვალსაჩინოების სეთ ეფექტურ საშულებას, როგორიცაა საღემონსტრაციო მოდელი „ნივთიერი სფერას“ სახით.

ამ საღემონსტრაციო მოდელზე და მასთან დაკავშირებით შოუვანილ ცნობებზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. ტექსტში წინა პლანზე „ნიფთიერი სფერას“ საღემონსტრაციო და არა გამზომი დანიშნულება არის წამოწეული, გამოყენეთილად მითითებულია საღემონსტრაციო ობიექტებიც და მათ შორის პირველ რიგში ციური სფეროს წრეები და წერტილები („ამ სფეროს შინა არიან ზოგადი მეტყვალნი უდიდესები და ზოგნი უმცროსნი...“; „შუამდგომლობითა ქს] სფეროსითა მეტე სტრობს ძვრასა სრულად ცაფასა და სკლასა გარსკვლავთასა და წინწყალსა არითისასა (ვერძისას) და მიზანისა (სასწოროსასა)...“ და ა. შ.). აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ „ნივთიერ სფერაში“ არმილარული სფერო უნდა იგულისხმებოდეს. ამ უკანასკნელის ძირითად კონსტრუქციულ ჩონჩხს სფერული ასტრონომიის მთელი რიგი ძირითადი ფიგურების წარმოშსახველი „წრეების“ კომბინაცია შეადგენს და საღემონსტრაციო მოდელის თვალსაზრისით სწორედ ის და არა ასტროლაბი პასუხობს „ნივთიერი სფერას“ ცნებას.

არმილარულ სფეროს დიდი გამოყენება ჰქონდა აღრე და შუა საუკუნეების ასტრონომიულ პრაქტიკაში და ციურ გლობუსთან ერთად მას ხშირად ხმარობდნენ როგორც სასწავლო, ისე გაზომვა გამოანგარიშების მიზნებით. სასწავლო პროცესებისათვის არმილარული სფეროს გამოყენების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ონგლისელი მეცნიერის იოანე დე საქრაბოსკოს (გარდ. 1256) ცნობილი შრომა „ტრაქტატი სფეროზე“. ეს შრომა მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში, რაზეც თვალსაჩინოდ მეტყველებს შემდგომი საგულისხმო ფაქტები: „ტრაქტატი სფეროზე“ ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე მრავალრიცხოვანი კომენტარების დართვით XV—XVI საუკუნეებში, მარტო ლათინურ ენაზე განხორციელდა ტექსტის 144 ბეჭდური გამოცემა. როგორც სახელმძღვანელოს, მუღმოვად იყენებდნენ XIII საუკუნიდან მოყოლებული XVII საუკუნეებში, ხოლო გერმანიასა და ნიდერლანდებში XVII ს. ბოლომდეც (ბერი, გვ. 83; ზუბოვი, გვ. 222—223). ძნელი წარმოსადგენია, რომ ასე ფართოდ გავრცელებული სახელმძღვანელო ცნობილი არ ყოფილიყო ვახტანგის მასწავლებლისთვის. უკვე ის ფაქტი, რომ ქართულ ტექსტში და საქრაბოსკოს სახელმძღვანელოშიც არმილარულ სფეროს ცრთნარი მეთოდოლოგიური როლი განეკუთვნება, იმაზე მიუთითებს, რომ ვახტანგის მასწავლებელი გარეულ ფარგლებში საქრაბოსკოს მასალებითაც სარგებლობს. ფაქტობრივად ერთნაირად არის განხილული აგრეთვე სფერულ ცათა სქემა და განსაკუთრებით სფერული ასტრონომიის ელემენტები. ყურადღებას იქცევს არმილარული სფეროს სახელწოდებაც. ქართული სახელმძღვანელოს „ნივთიერი სფერა“ შინაარსობრივად ზუსტად თანხვდება საქრაბოსკოს „მატერიალურ სფეროს“ (*sphera materialis*). ვინაიდან ქართული სიტყვა „ნივთიერი“ სწორედ „მატერიალურის“ აზრით იხმარება. საქრაბოსკოს მიხედვით არმილარული სფეროს შემაღენელი რგოლების საშუალებით წარმოიდგინება ზეციური სფეროს წრეები (ზუბოვი, გვ. 223). მსგავსი აზრია გამოთქმული ქართულ სახელმძღვანელოშიც, სადაც არმილარული სფეროს „მგრგვალი“ და სხვა დეტალები „არ არიან მართლად [ც]ათა შინა, მაგრამ გაფიქრებული არის ასტრონომეთაგან ჩვენს ფიქრის მოსაშვერებლად“.

არ შეიძლება გვერდი აუსაროთ იმ დამატებით ცნობას, რომელსაც იძლევა ქართული ტექსტი არმილარულ სფეროსთან ანუ „ნივთიერ სფერასთან“ |დაკავშირებით. ავტორის თანახმად, პირველი „ნივთიერი სფერა“ არქიმედეს გამოიგონა და დაამზადა („მიწიდომილ და გაფეთებულ არს“), „რომელმან დიდი ისტატობითა გააკეთა

ერთი სფერა წმინდა ბროლისაგან, რომელსა შინა გამოჩნდებოდა ძვრანი სრულიად ცათა, მზისა და მთოვარისა და მარსკვლავთასა, ვითარცა მართლა ცანი ყოფილიყვნენ“<sup>16</sup>. ეს ინფორმაცია იმით არის „საკურადღებო, რომ ლიტერატურაში არქიმედეს სფეროს შესახებ მხოლოდ რამდენიმე, ისიც ძალზე ძუნწი ცნობა არის შემორჩენილი და ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი ამ საინტერესო ხელსაწყოს სახეობა და კონსტრუქცია. ამ ცნობების ანალიზის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ხელსაწყო წარმოადგენდა ლითონის (ბრინჯაოს) ვარსკვლავიერ გლობუსს, რომელის მიმართაც ეკლიპტიკის გასწვრივ მზის, მთვარის და პლანეტების მოძრავების გადაადგილება მნათობების ხილულ მოძრაობას იმეორებდა ვარსკვლავებს შორის. ვინაიდან თვით მოძრავები გლობუსის შიგნით იყვნენ განლაგებული, მათ გადაადგილებაზე დაკვირვება ისევ ეკლიპტიკის გასწვრივ დატანებული სპეციალური სარკმლების საშუალებით ხორციელდებოდა (ყიტომირსკი, გვ. 278—283).

ქართული ტექსტის მონაცემებითაც არქიმედეს გლობუსი სფერული მოყვანილობის ხელსაწყოა და მნათობების ხილული მოძრაობის სურათს იმეორებს („ვითარცა მართლა ცანი ყოფილიყვნენ“). სადემონსტრაციო მაკეტი ამ შემთხვევაშიც სფეროს შიგნით იგულისხმება („რომელსა შინა გამოჩნდების ძვრანი სრულად.“), ხოლო მასთან დაკავშირებით ბროლის სფეროზე მითითება შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ სამზერ სარკმლებში მართლაც ბროლი იყო გამოყენებული და მოგვიანო გაღმოცემებში ის უკვე მთელი ზედაპირის მომცეულ მასალად იქნა აღქმული. აღნიშნული ცნობები გარკვეულწილად ავსებენ და ადამტურებენ იმ მცირერიკხოვან ინფორმაციას. რომელიც არქიმედეს საინტერესო ხელსაწყოსთან დაკავშირებით მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასთან ერთად, რასაცირკელია, არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ აღინიშნოს მისი ონერი მასწავლებლის განსწავლულობა, რომელსაც თუნდაც ასეთი იწევათი მონაცემების მოყვანით ამეღავნებს. საერთოდ კი სახელმძღვანელოს საქმიანო მაღალი დონე, რომელიც სწავლების ეფექტურ მეთოდიკაზე არის დაფუძნებული, და გამსაკუთრებით კი თვითნაკეთი არმილარული სფეროს გამოყენება, აშკარად მეტყველებს იმ ფაქტზე. რომ მასწავლებლის ასტრონომიული მომზადება პროფესიონალი სპეციალისტის კვალიფიკაციას შეესაბამებოდა.

სამწუხაროდ, ამ მომზადების უფრო სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას ჩვენ მოკლებული ვართ, ვინაიდან, როგორც ირკვევა, თვით სახელმძღვანელო ხელნაწერი არასრულია.

<sup>16</sup> Q — 884, ფ. 23v.

ამ გარემოებაზე აშკარად მიგვთითებს შემდეგი ფაქტები: სახელმძღვანელოს საერთო შესავლის ბოლო ნაწილში ჩანს ავტორის „ჩანაფიქრი გასაშუქრებელი“ საყითხებრის თანამომდევრობის „ტესახებ, რომლის მიხედვითაც ჯერ ცისა და მისი ელემენტების, ხოლო შემდეგ დედამიწის განხილვა არის გათვალისწინებული („ჯერ არს უწინარეს მოთხრობა ზეციერისა ქვეყნიერისასა და მისი ნაწილებისასა და შემდგომად ძალითა ღმრთისითა ნივთიერის ქვეყნისაც ვიწყოდ მოხსენებად“)<sup>17</sup>. ამ პროგრამის შესაბამისად ცალთან დაკავშირებულ საკითხებს პირველი თავი წარმოადგენს („ა. ჩა არს ზეციერი ქვეყანა“). ავტორის დაბირებისამებრ, სახელმძღვანელოში, როგორც მინიჭუმი, „ბ“-თი დანომრილი მეორე თავიც უნდა ყოფილიყო დედამიწის შესახებ. ტექსტი კი ცის წრეებზე და წერტილებზე ზოგადი მსჯელობით მთავრდება და, თუ ამ ფრაგმენტის დასაწყისში მოყვანილ ცნობებს გავითვალისწინებთ, არც პირველი თავი უნდა იყოს ბოლომდე მიყვანილი. აღნიშნული ცნობების თანახმად, არმილარული სფეროს საშუალებით აშკარად გათვალისწინებული იყო ისეთი საყითხების განხილვა, როგორიც არის „ტრასრულიად ცათა და სვლა ვარსკვლავთა“, „შეცვალება დროთა, სიდიდე და სიმოკლევე დღეთა და ღამეთა“ და სხვ. ამ უშუალო მონაცემების გარდა, სახელმძღვანელოში განსახილავი საკითხების უფრო სრული სია ვარაუდის ფარგლებში შეიძლება საკრაბოსკოს ტრაქტატის მიხედვით აღვადგინოთ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართული ტექსტის შემორჩენილი ნაწილი ხშირად თანხვდება ამ ტრაქტატის ცნობებს და მრავალ მომდინარეობის აშკარა ნიშნებს ატარებს. ამიტომაც, მუნებრივია, რომ ქართულ ვარიანტში დაახლოებით იგივე საკითხები იქნებოდა წარმოდგენილი, რაც ერთ-ერთ ამოსავალ წყაროდ გამოყენებულ თხზულებაში. ეს უკანასკნელი ოთხი თავისაგან შედგება. აქედან პირველ ორ თავში („თავი I. ჩა არის სფერო, მისი ცენტრი, ღერძი, სამყაროს პოლუსი, რამდენი სფერო არსებობს და როგორიც სამყაროს ფორმა“ და „თავი II. „მატერიალური სფეროს“ შემადგენელი წრეების შესახებ“) მოყვანილი საკითხები ქართულ ტექსტში შემორჩენილ პირველ თავში არის გაერთიანებული. რაც შეეხება დანარჩენ ორ თავს, უკვე მათი სათაურებიდან შეიძლება ქართული ტექსტისათვის სავარაუდო საკითხების განსაზღვრა. მესამე თავის საერთო სათაურია — „თანავარსკვლავედების ამოსვლისა და ჩასვლის შესახებ; ღამეების და დღეების განსხვავებაზე, რომელიც სხვადასხვა აღგილმდებარეობის მცხოვრებლებისათვის არსებობს; კლიმა-

17 Q — 884, ფ. 9v.

ტების დაყოფა“, ხოლო მე-4 თავის — „პლანეტების წრეებისა და მოძრაობათა შესახებ; მზის დაბნელების შესახებ“ (ზუბოვი, გვ. 223). ამ სათაურებში მოყვანილი ზოგიერთი საკითხი მსგავსი ფორმული-რებით ქართულ ტექსტშიც იყო წინასწარ მოხსენებული („სულა ვარსკვლავთა“, „სიღიდე და სიმოკლევე დღეთა და ღამეთა“ და სხვ.). ასე რომ, ჩვენამდე მოლწეველი ქართული ვარიანტისა და საკრა-ბოსკოს თხზულების უკანასკნელ თავებში წარმოდგენილი საკითხების მეტნაკლები დამთხვევები ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

თუ რატომ არ მოალწია ჩვენამდე სრული სახით სახელმძღვანე-ლომ, ამაზე ზუსტი პასუხს გაცემა გაძნელებულია. თავის დროზე მისი რეალური არსებობა, სხვა თუ არაფერი, თუნდაც სამუშაო ჩა-ნაწერების სახით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სწავლის გასაადვილებ-ლად თუ ისეთი შრომატევადი სამუშაოს ჩატარება მოხერხდა, რო-გორიც არის არმილარული სფეროს დამზადება, ყოვლად წარმოუღ-გენელია, რომ შესაბამისი სახელმძღვანელოს შეღენა ბოლომდე არ ყოფილიყო მიყვანილი. ვახტანგმა რომ სწავლების კურსი ბოლომდე გაიარა, ამაზე, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ საკმაოდ დაბეჭითე-ბით ერთი საინტერესო ფაქტიც მიუთითობს. კერძოდ, ამავე Q—884 ხელნაწერის ბოლო ფურცელზე მოთავსებულია გეომეტრიული წესით აგებული მზის საათის ნახაზი, რომელიც კრებულში სახელმძ-ღვანელოს ჩაწერის შემდგომ მალე უნდა ყოფილიყო შეტანილი. ნა-ხაზს უფრო დაწვრილებით მოვიანებით განვიხილავთ, ამჯერად კი აღვნიშვნავთ. რომ მზის საათის საკმაოდ რთულ პრობლემაზე გადასვ-ლას ვახტანგი ვერ შეძლებდა სათანადო ასტრონომიული მომზადე-ბის გარეშე.

„თარგმანის და გამოცხადებანის“ გნი შვნელ ო-ბა ვასტანგის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის თხზულებასთან ვახტანგის კავშირი მარტო იმით როდი ამოიწურება, რომ ის საგანგებოდ ვახტანგისათვის იქნა შეღენილი, როგორც ასტრონომიის შესასწავლი სახელმძღვანელო. სწავლული მეფის შემოქმედებითი მოღვაწეობის აღრეულ ეტაპთან დაკავშირე-ბული ეს ტეგლი სხვა სახის ინფორმაციების მიღების საშუალებასაც იძლევა.

როგორც ცნობილია, ყველა კიდევ 1709 წლის 15 აგვისტოს ერთ-ერთი კათოლიკუ მისიონერი (პატრი რეჯინალდი) თბილისიდან რომში გაგზავნილ წერილში წერდა: „ეს ბატონი მთავარი საკმაოდ მაღალიჭირი და სწავლისმოყვარეა... ამ უკანასკნელ ღრმში იგი ძლიერ დაგვიახლოედა და დაგვიმეგობრდა იმის გამო, რომ უფრო-სი პატრი ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს, ისიც კარგად ითვი-სებს და ძალიან კმაყოფილიყაა“ (თამარაშვილი, გვ. 339). მოყვანი-

ლი ქნობილან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ სახელმძღვანელოს შექმნა ამ გაცვეთილებთან იყო დაკავშირებული. პატრი რეგინალდის მიერ აღნიშნული „მაღალნიჭიერება და სწავლის მოყვარეობა“ ვახტანგისა უშუალოდ უნდა მომდინარეობდეს უფროსი პატრის დახასიათებილან, რომელიც გაცვრით სახელმძღვანელოშიც არის მოსხენიებული („მოყვარულმან და მეძიებელმან ესევითართა სიბრძნისამან ხელშიწიფება...“ — ფ. 12v).

ვახტანგის მისიონერებთან შეუცადინეობის და მისთვის სპეციალური სახელმძღვანელოს შედგენის ფაქტები ერთის შეხედვით თითქოს იმაზე მეტყველებს, რომ ეს სახელმძღვანელო მეცადინეობის პროცესშივე შეიქმნა სწავლის გააღვილების მიზნით. მაგრამ მთელი რიგი მონაცემები იმ გარემოებაზე მიუთოთებენ, რომ სახელმძღვანელო ცოტა მოგვიანებით არის დაწერილი და მისი გამოყენება გაცილებით უფრო დღდი აუდიტორიისათვის იყო გათვალისწინებული.

ამასთან დაჭავშირებით, პირველ რიგში ჟურალებას იქცივს თხზულებაში ვახტანგის ხელით შეტანილი განმარტებები და შესწორებები, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მას ტექსტზე გარკვეული სარედაქტო მუშაობაც ჩაუტარებია. ქვემოთ გვერდების მიხედვით მოგვყავს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაგალითები (ვახტანგის დამატებები, რომლებიც უშუალოდ აგრძელებენ ტექსტის წინადაღებებს, კვადრატულ ფრჩხილებში მოგვყავს, ხოლო შენიშვნა-განმარტებებს, რომლებიც ვახტანგს პატარა წრის ან ჯვრის ნიშნავით არშიაზე აქვს გატანილი, ჩვენ ამ ნიშნავების შემდეგ უშუალოდ სტრიქონშივე ვაგრძელებთ):

5v. „შემოღვიძების ნავრუზს, რომელსა ეწოდების ფრანგულად ეკვინოციი დი პირმა ვერა“<sup>o</sup> — „ქართველნი უწოდებენ, რომ მელ არს ბუნიობა“. აქ ვახტანგს ერთდროულად განმარტებაც და ჟესტორებაც შეაქვს ტექსტში. გაზაფხულის ღლელამტოლობა ანუ ბუნიობა (ეკვინოციი დი პრიმავერა შეცდომით „შემოღვიძების ნავრუზად“ არის თარგმნილი და თანაცსპარსული ტერმინის გამოყენებით (საბათი — „ნავრუზი — სხვათა ენაა, ქართულად ბუნიობა ჰქიციან“). ორბელიანი, IV(1), გვ. 563). ვახტანგს „შემოღვიძა“ გადაუხაზავს და მის თავზე მიუწერია სიტყვა „გაზაფხულის“, ხოლო „ნავრუზთან“ და იტალიურ ტერმინთან დაკავშირებით განმარტება არშიაზე მოყავს.

8v—9r — „ბევრნი უწოდებენ კოზმოს და ლათინნი უწოდებენ ორბის“ [„ქართულად სიმგრგვლე სავსე“].

ამავე გვერდზე ხშირად არის გადახაზული „ნივთი“ და

„ნივთიერი“ და მათ ნაცვლად გადანახაზის თავზე მიწერილია შესაბამისად „კავშირი“ და „კავშიროვანი“.

11v—12r „მეტვილესა ქართულად ცა მზადა, არაბულად ცა შამშისა, ლათინურად ცა სოლესი“ [„ნიშანი მისი ესე არის ☺“]. დანარჩენი 6 მნათობისათვისაც, ზუსტად ამავე სიტყვებით ვახტანგს მოჰყავს შესაბამისი ასტრონომიული სიმბოლო-ნიშნების გამოსახულებები.

12r — „როდესაც სანთელმან თვისისა ამპარტავნობითა ინება რათა მღრთას მსგავსად შექმნილიყო, ვითარ იტყვის ესაია წინასწარმეტყველი | იდ | თავსა და | იგ | რიცხვსა შინა“. წინადაღების მეორე სიტყვა, რომელიც გადახაზულია და ცუდად იქოთხება, ვახტანგს შეცვლილი აქვს „მთიებით“ („როდესაც მთიებმან თვისისა...“). თუ გადახაზული სიტყვის ჩვენი წაცითხვა სწორია, მაშინ შესწორება შემდეგი გარემოებით უნდა იყოს განპირობებული: იტალიურ ენაზე ესაიას წინასწარმეტყველების მითითებული თავის პარაგრაფში ლიუციფერი (Lucifer) მოიხსენიება, რომელიც ერთდროულად შუქმდენსაც ნიშნავს, სატანასაც და ცისკრის ვარსკვლავსაც ანუ მთიებსაც. ქართულ თარგმანში თხზულების ავტორმა ეს სიტყვა პირველი მნიშვნელობით, ე. ი. შუქმდენის ანუ სანთლის სახით წარმოადგინა. ვინაიდან ქართული ბიბლიის აღნიშნულ ფრაგმენტში „მთიები“ ფიგურირებს, ვახტანგმა, როგორც ეტყობა, მითითებული ნუმერაციით ეს ფრაგმენტი შეამოწმა და მის საფუძველზე „სანთელი“ „მთიებით“ შეცვალა.

13v — „ესრეთ იტყვის მეცნიერნი, რომელ სასუფევლის სიმგრევლე იყოს ათი ათას სამას თოთხმეტი მილიონი და ორას ოთხმოცდახუთი ათას შეიძლა ათი ეჯი, რომელსა უწოდებენ ლატინინი მილიო, რომელ არს ათასი ნაბიჯი და სასუფევლის განი არის სამი ათას ექვსასი მილიონი“ — „მილიონს ლ° ატინნი უწოდებენ ასე ბევრსა. რომელ არს ქართულად ბევრი ათი ათასი“. ძირითად ტექსტში წინადადებას, „რომელსა უწოდებენ ლატინნი მილიო“, ვახტანგი ასწორებს ასე: „ამ ეჯსა ლატინნი უწოდენ მილსა“. არშიაზე გატანილი „მილიონის“ განმარტება ყურადღებას იქცევს როგორც ქართულ წერილობით წყაროებული „ამ ტერმინის ყველაზე აღრეული სწორი განმარტება (საბას მიხედვით, „მილიონი — ბევრის-ბევრია“, ხოლო ვინაიდან მისივე განსაზღვრით „ათჯერ ბევრი არს ბევრის-ბევრი“ (იხ. ორბელიანი, IV(1), გვ. 486; IV(2), გვ. 175), გამოდის, რომ მილიონი უდრის ასი ათასს).

- 14v — „დახიხა“+„რომელ არს ქართულად წამი“. განმარტებასთან ერთად „დახიხა“ — „დაღილად“ არის შესწორებული.
- 16r — „მერვე ცასა, რომელსა უწოდიან ლატინნი ფირმაძენთოს და ქართველნი ცასა ვარსკულავთასა“+„ამასვე ჰქვიან სამყარო“. აქ „firmamentus“-ის (ცის სიმყარე, ჩენესია თვერდე) ქართულ შესატყვისად ვახტანგს წარმოლენილი აქვს „სამყარო“.
- 17r — „ერთსა წელსა ვლის მილიონი და ოთხას ოცდათოთხმეტი ათასი ეგი“ — ფურცლის პირველ სტრიქონში წარმოდგენილ ამ წინადადების თავზე მიწერილია შემდეგი ფრაზა: „არს სიმგრევლე მისი ექვსას ცამეტი“, რომელსაც საბას ხელით ჩაწერილ კრონისის ცის განზომილებად მიიჩნევენ (გრიგოლია, გვ. 332). ფრაზას მართლაც კრონისის ცის განზომილებასთან აქვს კავშირი, მხოლოდ არა დამოუკიდებელი, არამედ დამატებითი ფრაგმენტის სახით. გადამწერს სრული განზომილებრდან ნაწილი გამორჩენია და სწორედ ამ ნაწილს აღადგენს მინაწერიც. მინაწერის გათვალისწინებით პირველ სტრიქონში წარმოდგენილი ერთი წინადადება სინამდვილეში ორ დამოუკიდებელ წინადადებად იყოფა: „ერთსა წელსა ვლის. არს სიმგრევლე მისი ექვსას ცამეტი მილიონი და ოთხას ოცდათოთხმეტი ათასი ეგი“. მელნის და ხელის მიხედვითაც ჩამწერად აქ უდავოდ ვახტანგი ჩანს, მითუმეტეს, რომ ასეთი დამატების შემოტანა ამ თხზულებაში მხოლოდ მას შეეძლო.
- 20v ტექსტში კომეტის ქართულ შესატყვისად მოყვანილ „ეუდიან ვარსკულავს“ ვახტანგი „თაგდირად“ ასწორებს, რაც ამჯერად გამართლებული არ უნდა იყოს, ვინაიდან ქართულ წერილობით წყაროებში „თაგდირი“ ერთ-ერთი კაშპაშა ვარსკულავის სახელწოდება უნდა იყოს (იხ. მაგ. ორბელიანი, IV(1), გვ. 298; ჩუბინოვი, გვ. 534).
- 20v „დიდის სიცივისაგან მუნ შეიქმნებიან წერიანი სეტყვანი და თოვლინი. ლატინნი უწოდებენ მეტორეს“ [„და ქართულად მყინვარეს“].
- 22v აქ სასწორის რატომდაც არაბული და ვერძის, კირჩხიბის და თხის რქის იტალიური სახელწოდებები გადახაზულია, და გადანახაზის თავზე მიწერილია შესაბამისი ქართული სახელწოდებები.
- ნასწორები მასალა გვიჩვენებს, რომ ვახტანგი კარგად არის გათვითქმინობიერებული ასტრონომიის საკითხებში. ტერმინოლოგიური განმარტებების გარდა მას დამატებებიც კი შეაქვს ტექსტში ასტრო-

ნომიული ზიშანსიმბოლოების სახით, ზოგ შემთხვევაში კი გაპარულ შეცდომებსაც ასწორებს (განაფხულის ბუნიობა — შემოდგომის ბუნიობის ნაცვლად, კრონოსის ცის „სიმღრღვლის“ სრული განზომილება და ა. შ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის მიერ ტექსტში შეტანილი დამატებები მოსწავლის პირადი საჭიროებისათვის ჩანიშნულ მასალას კი არ ჰგავს, არამედ საერთოდ წებისმიერი მკითხველისათვის გათვალისწინებულ რედაქტორის დამხმარე განმარტებებს. როგორც ჩანს, მისიონერებთან მეცადინეობის პროცესში ჩანიშნული მასალით ან იქნება კონსპექტითაც სარგებლობდა ალბათ ვახტანგი სახელმძღვანელოს რედაქტორებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეამჩნევდა „კრონოსის ცის“ რიცხვით მონაცემებთან დაკავშირებულ ჟურნალს და ვერც სათანადო დამატებას შეიტანდა „ექვსას ცამეტი“ რიცხვის სახით.

სახელმძღვანელოს რედაქტორებასთან ერთად ყურადღებას იქცევს სათაურში და შესავალში მოყვანილი ინფორმაცია. სათაურში „თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისა და ვარსკულავისანი, მოსწავლეთათვის მშვენიერი“ ცხადად ჩანს, რომ სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი (ეს გარემოება ტექსტშიც ხშირად არის ზაზგასმული, მაგრამ არა ზოგადი მიმართებით, არამედ პირადად ვახტანგთან დაკავშირებით). კიდევ უფრო მრავლისმეტყველია შესავლის ტექსტი: „ოდეს ენებოს კაცია საქმე და მეტყველობა ზეციერსა ანუ თუ ქვეყნიერთა გინა სხვისა რისამე ზედან, პირველად ჯერ არს და უქმის, რათა იცოდეს რა არს ცა ანუ ქვეყანა. უკეთუ არა საცნაურ იყოს მცნობელი ცათა და ქუეყანისა ვითარობისა ვერ შემძლებელ არს ქმობად სიტყვათა, ვინათგან თვით არა უწყის ვითარ ასწავებს სხვათა მსმენელთა“<sup>18</sup>. ამ შეგონების მაგვარი მიმართვის ბოლოს აშკარად იგულისხმება, რომ ცისა და ქვეყნის „ვითარობის“ ცოდნა განსაკუთრებით იმ პირებს მოეთხოვებათ, რომ მაც „სხვათა მსმენელთა“ უნდა ასწავლონ. ვინაიდან აქვე გამოიტქმა „ქმობა სიტყვათა“ სწავლების აზრით არის წარმოლენილი, ამავე სწავლებას უნდა ნიშნავდეს „შეტყუელობაც“; ასე რომ, მიმართვა ზოგადი სახით ძირითადად პერაფოგებს უნდა განეკუთვნებოდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, რალგან მიმართვის კონკრეტულ ადრესატს ვახტანგი წარმოადგენს. გამოდის, რომ სახელმძღვანელო ჩაფიქრებულია არა ვახტანგი-მოსწავლის, არამედ ვახტანგი-მასწავლებლის საჭიროებისათვის.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე სახელმძღვანელოს შექმნასთან დაკავშირებული ზოგადი სურათი ჩვენ ასე გვესახება: უფროს

პატრიან ასტრონომიის კურსის გავლის შემდგომ, ვახტანგმა საჭიროდ ჩატეალა ამ კურსის მიხედვით ქართულ ენაზე სასწავლო სახელმიწლვანელოს შექმნა. ბუნებრივია, რომ ამ საქმეს ის თავის მასწავლებელს დაავალებდა, რომელმაც საგანიც ყველაზე კარგად იცოდა და ქართულ ენასაც, როგორც ყველა მისიონერი, ჩინებულად ფლობდა. არ არის გამორიცხული, რომ წერის პროცესში ვახტანგს ეთანამშრომლა ავტორთან, ვინაიდან ქართულ სპეციფიკასთან დაკავშირებით ყოფილ მოწაფეს მისთვის არაერთი სასარგებლო რჩევის მიცემა შეეძლო. ყოველ შემთხვევაში ამ თანამშრომლობის ერთი ეტაპი, რომელიც სახელმძღვანელოს რედაქტირებასთან იყო დაკავშირებული, დოკუმენტურ ფაქტს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, დღეისათვეს არ არის ცნობილი — მოხერხდა თუ არა სახელმიწლვანელოს ბოლომდე ზარერა და მისი პრაქტიკულად გამოყენება. არც თუ ისე დიდი ხნის შემდგომ ვახტანგს ირანში გამგზავრება მოუწია. დაბრუნებისას მან „ქმნილების ცოდნის წიგნი“ ჩამოიტანა და, ბუნებრივია, რომ ამ ახალი სახელმძღვანელოს ფონზე „თარგმანი და გამოცხადებანი“ დაიჩრდილებოდა.

შიუხედავად ამისა, „თარგმანს და გამოცხადებანს...“ განსაკუთრებული აღგილი უკავია ვახტანგის საგანმანათლებლო-სამეცნიერო მოღვაწეობაში. ქართულ ენაზე ეს პირველი სახელმძღვანელო ასტრონომიის დარგში ვახტანგის ინციატივით უნდა იყოს შექმნილი, მანვე გაუწია რედაქტირობა და არ არის გამორიცხული, რომ პრაქტიკულადაც გამოიყენა პედაგოგიურ სარბიელზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „თარგმანი და გამოცხადებანი“ საშუალებას იძლევა წარმოდგენა შევიქმნათ ვახტანგის შემოქმედებითი მუშაობის სტილზე (საწყის ეტაპზე), რომელსაც, სხვათა შორის, შემდგომშიც არ განუცდია რამე მნიშვნელოვანი ცვლილება. რომელიმე დისკიპლინის შესასწავლად ვახტანგი საგანგებოდ იყვანს მასწავლებელს, რომელთანაც გადის საგნის თეორიულ და პრაქტიკულ კურსის. კურსის გავლის შემდგომ, უმეტესად თვითონ ან მასწავლებელთან თანამშრომლობით ქართულ ენაზე თარგმნის ან აღწერის შესაბამის სახელმძღვანელოს ან პრაქტიკულ კურსის, შემოქმედებითად ამუშავებს და რედაქტირებას უკუთებს თარგმნილ მასალას და, ბოლოს, ქართულ სახელმძღვანელოს პრაქტიკულად იყენებს ქართველი ახალგაზრდების სასწავლო კურსისათვის.


Q — 884 კრებულის სახე გა მას ალები. კრებული, როგორც ცნობილია, სახელმძღვანელოსთან ერთად საბუნებისმეტყველოსამენციერო ხსიათის სხვა მასალებსაც მოიცავს.

პირველ რიგში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბოლო — მე-80 გვერდზე მოყვანილმა ნახაზმა. მკრთალი ფერის მელნით შესრულებული

ნახაზი, თანაც ბოლო გვერდზე, ისე გადატვირთულია წრფეებით, რომ ის ერთის შეხედვით უბრალოდ გადახაზული ფურცლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამას ისიც ემატება, რომ იქვე მოყვანილი წრეწირები და ასოები გაყვითლებული ქალალდის ფონზე თითქმის შეუმჩნეველი რჩება. როგორც ჩანს, ამ მიზეზების გამო ხელნაწერის აღწერისას ნახაზმა ყურადღება არ მიიქცია და ის ვერც ხელნაწერის გამოქვეყნებულ აღწერილობაში მოხვდა (შდრ. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, Q—I, გვ. 297—298). სინამდვილეში კი ეს ნახაზი — გეომეტრიული აგებების მეთოდებით ჰესრულებული ერთერთი უძველესი ქართული გრაფიკული ნიმუში — განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მითუმეტეს, რომ ის ვაკტანგის სახელთან არის დაკავშირებული.

როგორც ნახაზიდან ჩანს (რჩ. სურ. I), ის კონსტრუქციული გეომეტრიის კლასიკური მეთოდით — სახაზავისა და ფარგლის წესით არის აგებული. თითქმის ყველა წრფეს მიწერილი აქვს შესაბამისი ქართული ასო-ნიშანი, რომელიც ასორიცხვნიშნის ფუნქციებს ასრულებს. გამონაკლიპს შეადგენს ის ოთხი ასო-ნიშანი, რომელიც ორ ურთიერთგადამჯერით ღერძის წვეროებთან არის მოყვანილი ზოდიაქოს ნიშნებთან ერთად. ვერტიკალური ღერძის ზედა წვეროზე „ს“ სამხრეთს აღნიშნავს, ხოლო ზოდიაქოს ნიშანი — კირჩხიბს. ღერძის ქვედა წვეროზე „ჩ“ — ჩრდილოეთს და ზოდიაქოს ნიშანი — თხის რქას. პორიზონტალური ღერძის მარცხნა წვეროზე „ა“ აღმოსავლეთს აღნიშნავს, ზოდიაქოს ნიშანი — სასწორს. ხოლო მარჯვენა წვეროზე „დ“ — დასავლეთს და ზოდიაქოს ნიშანი კი — ვერძის. წრფეებთან მიწერილი ასორიცხვნიშნების მნიშვნელობა გარკვეული თანამიმდევრობრივ რცვლება. ზედა მარჯვენა ანუ პირველ კვადრანტში მოთავსებულია წრფეები, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობა საათის ისრის მიმართულებით 9-დან 12-მდე (თ-დან იბ-მდე) იზრდება. ქვედა მარჯვენა ანუ მეორე კვადრანტში იმავე მიმართულებით ასორიცხვნიშნების ზრდა გრძელდება 13-დან 20-მდე (იგდან კ-მდე), ასევე მესამე კვადრანტში 21-დან 23-მდე (კა-დან კე-მდე) და მხოლოდ მეოთხე კვადრანტი არის წარმოდგენილი ორდინატის პარალელური და 24-ით (კდ-ით) აღნიშნული ერთი წრფით. გარდა ამისა, უფრო გრძელი წრფეების კიდევ ორი სისტემა არის წარმოდგენილი მესამე და მეორე კვადრანტებში. ორივეს მნიშვნელობა საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით იზრდება, პირველისათვის 6-დან 12-ის, ხოლო მეორესათვის — 1-დან 6-ის ფარგლებში.

კვადრანტებად დაყოფა ქვეყნის მხარეების და ზოდიაქოს იმ ნიშნების ჩვენებით, რომლებიც დღედაღამ ტოლობის ან მზებულო-



სურ. 1. კატალის, მიმდევარი განვითარებული გზის განვითარებული სახი.

ზის პერიოდს შეესაბამება, წრთეების მაქსიმალური რიცხვითი მნი-შვნელობების ტოლობა 6-თან (კვადრანტის ფარგლებში) და 24-თან, წრეწარების გამოყენება წრთეთა მიმართულებების მისაცემად და სხვა დეტალები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ აյ მზის საათის ნა-ხაზთან გვატეს საჭმე.

ნახაზი დაუმთავრებელი ჩანს. თავისი ხასიათით ის უფრო სა-მუშაო ნახაზს მიაგვეს, ვიდრე საილუსტრაციო მოყვანილ გრაფი-კულ გამოსახულებას. სამუშაო ნახაზი კი კრებულში მხოლოდ ვახ-ტანგს შეეძლო შეესრულებინა.

ნახაზის ავტორი რომ ვახტანგია, ეს ასორიცხვნიშნების თავისე-ბურებებიდანაც ჩანს. ვახტანგის ხელწერისათვის დამახასიათებე-ლი გადაბმებით არის დაწერილი ასოთა წყვილები: ია (ი ისე გა-დადის ა-ში), რომ ~-ის მსგავსი გამოსახულება მიღება), იდ (დ მოთავსებულია ი-ს თავზე, ისე, რომ პირველს ფეხის გამო-ნაზარდი მეორეს ზუსტად შუა ნაწილში ეყრდნობა) და იც (ი-ს ფე-ხიდან გადაბმული ხაზი პირდაპირ ც-ს ყუნწის შემოხაზავს). ვახტანგის ავტორობის ფაქტი უაღრესად საგულისხმო დეტალს წარმოადგენს. ისეთ რთულ საყითხზე მუშაობა, როგორც არის მზის საათის აგება, მხოლოდ ასტრონომიაში საფუძვლიანად მოშზადებულ პიროვნებას შეეძლო. ნახაზი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ ვახტანგის უფ-როს პატრითან მეცადინეობა ნამდვილად ნაყოფიერი და შედეგიანი იყო. სწორედ ამ ცოდნის საფუძველზე შესძლო შემლებში ვახტანგ-მა ომოსავლური ასტრონომიის პრობლემებში სწრაფად გარკვევა და შეთვისებული მასალების ქართულ ენაზე შემოქმედებითად ამეტყ-ველება.

ნახაზთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ აღვნიშნოთ, რომ მისი აგებისას ვახტანგი შესაძლოა პრაქტიკულ მიზანსაც ისახავდა. იმ პე-რიოდში მზის საათების მთავარი დანიშნულება შექანიური საათე-ბის შემოწმებაში მდგომარეობდა. მექანიური საათები კი იმ დრო-ისათვის თბილისში რომ გამოიყენებოდა, ამას ადასტურებს ერთი ცნობა, რომლის თანახმად 1704 წ. დედაქალაქში პროფესიონალი მე-საათე გაჩნდა (ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 334). ისევ ნახაზთან და-კავშირებით არ შეიძლება გვერდი ავტაროთ შემდეგ საყურადღებო გარეშოებას: ნახაზი ვახტანგს კონსტანტიუსიული გეომეტრიის მეთო-დებით აქვს აგებული და ის უკვე ამ ადრეულ ეტაპზე გვევლინება ჩვალიფრიულ მხაზველად. ამ ფაქტის გამოვლენის შემდეგ უკვე სრულიად გასაგები ხდება, თუ როგორ შესძლო ვახტანგმა 1725—1726 წლებში ქართულად გაღმიკეთებული გეომეტრიის სახელმძღვა-ნელოებისათვის დამოუკიდებლად. ნახაზების აგება და დედნისეული შეცდომების გასწორება (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 221—223).

არანაკლებ ინტერესს იწვევს კრებულის 47—48v გვერდებზე მოყვანილი მასალა, რომელიც „ქართულ ხელნაწერთა ოლწერილობის“ თანახმად, ქართული ასოებით შესრულებულ ტაბულებს წარმოაღეს (ხელნაწერთა ოლწერილობა, Q—II, გვ. 298).

ამ ტაბულების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შათი სახით კრებულში ე. წ. „მაგიური კვადრატები“ არის ჩაწერილი. „მაგიური კვადრატი“, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სვეტებისა და სტრიქონების ტოლ ი რიცხვად დაყოფილ კვადრატს, რომლის უქრედებში ჩაწერილი პირველი  $n^2$  ნატურალური რიცხვების ჯამი თვითეული სტრიქონის, სვეტისა და ორი დიდი დამგონალის გასწვრივ იძლევა ერთსა და იმავე  $\frac{n(n^2+1)}{2}$ -ს ტოლი სიღიღის რიცხვს.

კრებულში ქართული ასორიცხვნიშნებით წარმოადგენილია ყველა „მაგიური კვადრატი“ დაწყებული  $n=3$  და ღამთავრებული  $n=10$ -ით. გარდა ამისა ღამთატებით მოყვანილია 9-უქრედიანი (ე. ი.  $n=3$ ) და 81-უქრედიანი ( $n=9$ ) კვადრატებს თოთო-თითო ვარიანტი და ერთი სამუშაოების ფორმის ფრენი, რომელიც 9 მცირე სამკუთხედისაგან შედგება (აქაც ღახრილი სვეტების თუ სტრიქონის გასწვრივ, რიცხვების ჯამი ერთი და იგრევა). ზოგიერთი კვადრატი ბალის გარეშე ჩაწერილი, მაგრამ მაინც ადვილი მისახვედრია, რომ აქ მაგიურ კვადრატთან გვაძეს საქმე. ერთი-ორის გამოკლებით, ყველა კვადრატს ვახტანგის ჭელით ზემოთ აქვს მიწერილი სახელწოდება. ამა თუ იმ კვადრატის სახელწოდების დარქმევის პრინციპი ვახტანგს ზოგადად განმარტებული აქვს 64-უქრიანი ( $n=8$ ) კვადრატის ზემოთ მოყვანილ წარწერაში: „ამას რვადან რვა და რამთონიც კარი იქნება ესევე სახელი ჰევიან“. გამონაკლის შეადგენენ 9-უქრიანი კვადრატისა და სამუშაოების სახელწოდებები: პირველს „ოთხიდან ოთხის“ ნაცვლად „მუსალასა მისრი“ (ე. ი. ეგვიპტური სამუშაოები) ეწოდება, ხოლო მეორეს — „მუსალასა ინდი“ (ე. ი. ინდური სამუშაოები). ძველ და შუასაუკუნეების აღმოსავლეთში „მაგიურ კვადრატებს“ ავგაროზებად იყენებდნენ.

ევროპა ამ კვადრატებს მოგვიანებით, XV ს. გაეცნო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის მისტიკურ შეხედულებებს ფართო ასპარეზი ჰქონდათ მოპოვებული, ზოგიერთ მათემატიკურ თხზულებებში მაგიურ კვადრატებთან დაუავტირებით განსხვავებული თვალსაზრისი ყალიბდებოდა. მაგიური კვადრატების შათემატიკური ფორმების ანალიზი პირველად გვხვდება XVI ს. პირველ ნახევარში შ. შტიფელის არითმეტიკის სახელმძღვანელოში. მოგვიანებით, XVII ს. პირველ მეოთხედში, ფრანგი მათემატიკოსის ბაშეს

ცლოდ გასპარ ბაშე დე მეზირიაკის) მიერ გასართობი და თავსატენი ამოცანების შესახებ გამოქვეყნებულ კრებულებში მაგიური კვადრატები უკვე ახალ როლში — მათემატიკური გასართობების სახით იყო წარმოდგენილი. მაგრური კვადრატების შედგენის პრობლემებთან დაუკავშირებით XVII ს. ბოლომდე და შემდგომ იბეჭდებოდა საგანგებო შრომები, რომლის ავტორებიც იმდროინდელი ცნობილი მათემატიკოსები იყვნენ.

კრებულში მოყვანილი ვარიაციები უდავოდ ევროპული წარმოშობისაა (ორი არაბული სახელწოდება უშუალოდ ვახტანგის შემოტანილი უნდა იყოს. როგორც ეტყობა, აღმოსავლური წყაროებიდან მას უკვე ჰქონდა რაღაც ცნობები მაგიურ კვადრატებზე და ამ ცნობებიდან აიღო ეს სახელწოდებებიც). ამაზე დამაჯერებლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ წარმოდგენილია მაგიური კვადრატების უწყვეტი სპეციფიკი  $p=3$ -დან  $p=10$ -დე. ასეთი სრული მონაცემები შხოლოდ ევროპულ მათემატიკურ ლიტერატურას გააჩნია. გარდა ამისა ეს მაგალითები აშეარად მათემატიკური გასართობების დანიშნულებით არის მოყვანილი და აქ აღმოსავლური წარმომავლობის მაგიური კვადრატებისათვის რამათასიათებელი მისტიკური მიმართება არსებ არ იგრძნობა. ამიტომაც, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ აღნიშნულ მასალებს ვახტანგი ისევე სწავლული მისიონერების საშუალებით გაეცნო. ისიც უნდა დღვნიშნოთ, რომ ვახტანგის დაინტერესება მაგიური კვადრატებით მოშავალშიც გაფრძელდა. ერთ-ერთ მის სამუშაო ჩანაწერებში, რომელიც დააბლოებით 1726—1728 წლებსა განეკუთვნება, მოყვანილია 16-უჯრედიანი მაგიური კვადრატის ორი ვარიაციი. ასორიცხვენიშნების ნაცვლად ამ შემთხვევაში უკვე ინდოევროპული ციფრები გამოიყენება. აქვე, მცირეოდენი ცვლილებებით მოყვანილია ოთხსატროფიანი მოკლე ტექსტი, რომელიც მინაწერის სახით სულთან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ნუსხებიდან არის ცნობილი („მოურნე შარიამ განსწმენდს ვერცხლისაებრ ბერთა...“ და ა. შ.)<sup>19</sup>. როგორც ლ. ქუთათელაძემ გაარკვია, აქ საქმე გვაქვს ქართლში იმ დროს გავრცელებულ გონების სავარჯიშო თამაშების ერთ-ერთ სახეობასთან, რომელიც დამსმარე საშუალებად ნარდის ქვების გამოყენებას ითვალისწინებდა (ქუთათელაძე, გვ. 265—266). ასეთი ტექსტის გვერდით მაგიური კვადრატების წარმოდგენა კი უკვე ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს უკანასკნელებიც ვახტანგის მიერ მათემატიკური გასართობების რანგში არიან გააზრებული.

მათემატიკური გასართობების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს კრებულის 56v—57v გვერდებზე მოყვანილი მასალა სამი ამოცა-

<sup>19</sup> E—106, ფ. 12v; შდრ. ორბელიანი, IV(2), გვ. 655.

ნეს სახით. ვინაიდან ამ ამოცანებს, როგორც ქართულ ენაზე შემორჩენილ შათემატიკური ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე აღრცეულ ძეგლებს, ძალზე დღი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენ ქვემოთ მოვცყავს სამივეს ტექსტი (ძველ პუნქტუაციას, რომელიც ყოველი სიტყვის შემთხვეობის თვალისწინებს, ჩვენ ახლით ვცვლით და აღდგენილი სიტყვებისათვის კვადრატულ ფრჩხილებს ვიყენებთ):

პირველი ამოცანა. „რაც სახელი ერთმა კაცმა გულში გაივლოს, უთხარ — პირველი ასო გაუშვი და სხვა ასო ანერთის ანგარიშით დასთვალოს რამთონია და თქვას. რა ერთიცა თქუას, დასწერე. მერმე პირველს ქვეითი გაუშვას, პირველი ზელავ და[ა]დვას, რამთონც იყოს თქვას. მერმე შესამე და რამთონჯერაცა თქვას შენ იმთონ დასწერე მანამდის, რომ ბოლოს ასოც და[ა]კლოს და სხვა სულა თქვას. მერმე ნახე რამთონს ადგილას დაწერილა, სულ ერთპირად ჯამი კარითუ საში ადგილს დაწერილიყოს — ორად გაყავ, თუ ოთხს — სამათ გაყავ, თუ ხუთს — ოთხათ გაყავ. ამ წესით რა გაყოს, ერთი მათგანი დასვი რამთონია. მერმე რამთონს ალაგას რომ დაგიწერია, თითო იმისი ამას შეუფარდე. რაც დარჩებოდეს, იმას დასთვლიდე. რომელიც ასო იმას სათვალავი იყოს, იმას დასვამდე, რაც იმ კაცს უთქვამს, ის სახელი დაწერე ამრიგად:

ს ა ბ ა  
დ ს გ ს ბ ს გ  
ს დ

მეორე ამოცანა. „კაცმა რამთონიც სათვალავი რომ გულში თქვას. შენ უთხარ: „მაგის ნახევარი და[ა]დევ“. რა და[ა]დვას, კითხე — „ერთი ნაკლებია?“. თუ გითხოვ „ნაკლებია“, ერთი შეინახე, თუ არა და ნუ შეინახავ. მერმე კიდევ უთხარი — რაც ახლა მაგის ნახევარი[ა], კიდევ და[ა]დევთქო. რა და[ა]დვას, კიდევ კითხე — „ერთით ნაკლებია?. თუ თქვას არისო, ორი შეინახე, თუ თქვას არ არის და ნუ შეანახავ. მერმე უთხარი რამთონი[ა] ცხრით. თუ გითხოვას ცხრა არ არის, რაც რომ შენ გიყითხავს ერთი ნაკლებია თუ არა და იმისგან შეგინახავს, იმთონი უთქვამს. თუ ცხრით თქვას, რამთონსა ცხრა თქვას, იმთონი ოთხი იქნება და თუ ერთის ნაკლებობით მაქვს რამე, ისიც და[ა]დევ, იმთონი იქნება. თუ არა რაც რამთონიც ცხრა თქვას, იმთონი [ოთხი]<sup>20</sup> იქნება“.

<sup>20</sup> ტექსტში შეცდომით ათი წერია. შესწორებას ვიძლევით წინა წინადაღებების შესავალი ნაწილის მონაცემების თანახმად („თუ ცხრით თქვას... იმთონი ოთხი იქნება“), რომლის განმეორებასაც აქვს აღგილო უკანასკნელ წინადაღებაშიც.

მესამე ამოცანა. „რამთონიც კაცი გინდოდეს — დააყენე. ერთი, ორი, სამი ასე ჩაყევ და თითო ჩასთვალე და დაისწივლე რომელი მერამთენია. მერმე მოიტანე ერთი ბეჭედი, მერამთენის კაცსა, რომლისაც გინდა წამოაცვი თითზე. ცერიდამ ჩაყევ, ცერი პირველია და იმის ჩაყოლით მეორე, ვიდრე ხუთამდის. მერმე სახსარი, ფრჩხილიდამ ჩაყევ და რომელსაც სახსარზე წამოაცვა, პირველი ფრჩხილისაკუნია], მეორე შუა და მესამე ძირისა. ესე[ე]ბი ვინც ჰეთხაეს, იმან უნდა ქმნას. რა გა[ა]თაოს, გამომცნობმან უთხრას „მერამთონეს კაცს აცვია იმთონი რიცხვი დასვი“, რა დასვას, უთხარ 2 გამრავლეთქო. რა გა[ა]მრავლოს, უთხარ 5 დაურთეთქო. [რა] დაურთოს, უთხარ ხუთი გა[ა]მრავლეთქო. მერმე უთხარ მერამთონე თითზე აცვია, იმთონი და[ა]დევთქო. მერმე 10 გა[ა]მრავლებინე, მერმე მერამთონი სახსარზე აცვია, იმთონი და[ა]დებინე. ესენი ჯამი აქენევინე, გამოართვი რაც დაღგეს. 250 [გამოაკელ]<sup>21</sup>. რაც დარჩეს ნახე, რამთონი სათვალავი ბოლოს ასოდ მორჩეს, იმთენს სახსარზე, რამთონი შუა დარჩეს [მოთენს]<sup>22</sup> თითზე და რამთონიც რიცხვიც თავს დაჯდეს მეიმთენე კაცს, იმთენსა [თითზე] და იმ სახსარზე ეცის“.

როგორც ვხედავთ, გასართობი ამოცანების ტექსტი დაწვრილებით ინფორმაციას იძლევა თამაშის ჩასატარებლად. პირველი გასართობის მიზანს არითმეტიცული ხერხით ჩაფიქრებული სახელის ამოცნობა წარმოადგენს. ფაქტობრივად აქ რიცხვების ამოცნობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან გამომცნობის მიერ ნაკარნახევი ოპერაციები სახელის წევზადგენელი ასოების ჟესაბამის რიცხვით მნიშვნელობებზე მოქმედებას ითვალისწინებენ. განვიხილოთ სახელის გამოცნობის ხერხი ამოცანის ბოლოში მოყვანილი კონკრეტული მაგალითის მიხედვით. აქ მოტანილი სიტყვა „საბა“ ლიტერატურაში მინაწერად არის მიღებული და მას სულხან-საბას სახელს უკავშირებენ (გრიგოლია, გვ. 332). სინამდვილეში, როგორც კერძო მაგალითის სახელი, „საბა“ ამოცანის ორგანულ ნაწილს შეაღენს. ამ ჩაფიქრებული სახელის შემადგენელი ასოები რიცხვთა შემდეგ თანმიმდევრობას იძლევიან: 200, 1, 2, 1. ჩამფიქრებელმა „ანერთის ანგარიშით“ (ე. ი. ასოების რიცხვის მნიშვნელობების ანგარიშით) გამომცნობს უნდა გამოუკითხოს სამ-სამი რიცხვის დაჯამებით მიღებული შედეგები, ე. ი.  $4(1+2+1=4)$ ,  $203(200+2+1=203)$ ,  $202(200+1+1=202)$  და  $203(200+1+2)$ . სწორედ ეს რიცხვები ასორიცხვინიშნების ფორმით მოყვანილია ამოცანის პირობის ბოლოს: დ, სგ, სბ და სგ.

<sup>21</sup> ტექსტში შეცდომით წარმოდგენილია: „გაყავ“.

<sup>22</sup> ტექსტში — იმთეთენს.

შემდეგ უკვე გამომცნობი აჭამებს ამ რიცხვებს („რამთონს აღგილას დაწერილა, სულ ერთპირად ჯამი კარი“):  $4+203+202+203=612$  ანუ  $დ+სგ+სბ+სგ=ქიბ.$  მიღებული ჯამი სამზე იყოფა („თუ სამს აღგილს დაწერილიყოს, ორიდ გაყავ, თუ ოთხს — სამიდ გაყავ...“ და ა. შ.).  $612:3=204.$  განაყოფი, რომელიც ჩაფიქრებული სახელს შემადგენელი ასოების რიცხვითი მნიშვნელობების ჯამს წარმოადგენს, ასოთრიცხვნიშნის სდ-ს სახით ასევე ამოცანის პრტობის ბოლოს არს მოყვანილი. თუ ამ რიცხვს სათითაოდ გაშოვაკლებთ სამ-სამი რიცხვის ჯამებს, თვითეული სხვაობა სახელის შემადგენელი ასოს რიცხვითი მნიშვნელობის ტოლი იქნება და ამის მიხედვით ჩაფიქრებული სახელიც დაიწერება:  $204-4=200$  (ე. ი. ს),  $204-203=1$  (ე. ი. ა).  $204-202=2$  (ე. ი. ბ) და  $204-203=1$  (ე. ი. ა). გამოვიდა სიტყვა „საბა“, რომელიც ამოცანის ბოლოს მოყვანილია როგორც ჩაფიქრებული და გაშიფრული სახელი.

შეორე გასართობი ერთი ჩაფიქრებული რიცხვის ამოცნობას ითვალისწინებს და ამ წესსაც კერძო მაგალითზე განვიხილავთ. დავუშვათ, რომ თამაშის ერთ-ერთმა მონაწილემ ჩაიფიქრა რიცხვი 11. გამომცნობის მოთხოვნით ჩამფიქრებელი ამ რიცხვს შისავე. ნახევარს უმატებს („მაგის ნახევარი და[ა]დევ“). თუ საწყისი რიცხვი კუნტია, მისი ორი „დადი“ და „მცირე“ ნახევრებან (ე. ი. 6-დან და 5-დან) შესაკრებად პირველი აიღება, თუმცა ტექსტში რატომდაც მხოლოდ ორი არატოლი ნახევრის მიღების ფაქტია მინიშნებული (ამ მინიშნებას შეიცავს კითხვა „ერთი ნაკლებია?“, რომელიც ნახევრებთან დაკავშირებით ისმება). სამაგიეროდ ხაზგასმულია, რომ კენტი რიცხვის შემთხვევა ჩამფიქრებელმა გამომცნობს უნდა შეატყობინოს და უკანასკნელმა ამასთან დაკავშირებით რიცხვი 1 უნდა დაიმახსოვროს („თუ გითხრას ნაკლებია, ერთი შეინახე, თუ არა და ნუ შეინახავ“). შესაკრებების ჯამი კერძო მაგალითისთვის 17 აქნება ( $11+6=17$ ). ჯამს კვლავ მისივე ნახევარი ემატება, მხოლოდ თუ ჯამიც კენტი რიცხვია, დასამახსოვრებლად უკვე რიცხვი 2 აიღება. კერძო მაგალითისათვის ახალი ჯამი 26-ის ტოლი იქნება ( $17+9=26$ ), ხოლო გამომცნობი რიცხვ 2-ს იმახსოვრებს. შემდეგ ჩამფიქრებელი ითვლის თუ „რამთონი[ა] ცხრით“ (ე. ი. რამდენ ცხრას შეიცავს) ეს ახალი ჯამი და მიღებულ რიცხვს უცხადებს გამომცნობს. კერძო მაგალითისათვის ეს რიცხვი 2-ს შეადგენს (26-ის ცხრაზე გაყოფით მიღებული განაყოფის მთელი ნაწილი). ამის შემდეგ უკვე თვით გამომცნობი ჩამფიქრებლისაგან შეტყობილ რიცხვს ოთხზე ამრავლებს, მიღებულ ნამრავლს დამახსოვრებულ რიცხვებს უმატებს და საბოლოოდ თავიდან ჩაფიქრებულ რიცხვს იღებს

(„რამთონისა ცხრა თქვას, იმთონი ოთხი იქნება და თუ ერთის ნაკლებობით მაქვს რამე ისიც და[ა]დევ, იმთონი იქნება“). კერძო მაგალითისათვის ამ ოპერაციების ჩატარებით მართლაც თავიდანვე ჩაფიქრებული რიცხვი — 11 მიიღება ( $4 \cdot 2 + 1 + 2 = 11$ ).

მესამე გასართობში თამაშის ერთ მონაწილეს ევალება გამოიცნოს თუ შეორე მონაწილე, აღამიანთა ჯგუფიდან რომელ პიროვნებას, რომელ თითა და თითის რომელ სახსარზე უცეობს ბეჭედს. წინასწარ განსაზღვრულია ნუმერაცია აღამიანებისათვის („ერთი, ორი, სამი... ასე ჩაყევ და თითო ჩასთვალე, და დასწავლე რომელი მერამთენეა“), თითებისათვის („ცერიდან ჩაყევ... ცერი პირველია და იმას ჩაყოლით მეორე ვიდრე სუთამდე“) და სახსარებისათვის („პირველი ფრჩხილისაკენი[ა], მეორე შუა და მესამე ძირისა“). თვალსაჩინოებისათვის, აქაც კერძო მაგალითი მოვიშველით და დავუშვათ, რომ ბეჭედი მე-6 კაცს ნეკა თითის ქვედა სახსარზე აქვს წამოცმიული (ე. ი. შე-5 თითის შე-3 სახსარზე). გამომცნობის მოთხოვნით თამაშის მეორე მონაწილე შემდეგ ოპერაციებს ატარებს: ბეჭდის მფლობელის ნომერის აორქეცებს („მერამთონე კაცს აცვია, იმთონი რიცხვი... 2 გაამრავლეთქო“), გაორქეცებულ რიცხვს 5-ს უმატებს („[რა] გაამრავლოს, უთხარ 5 დაურთეთქო“) და მიღებულ ჯამს 5-ზე ამრავლებს („რა დაურთოს, უთხარ ხუთი გაამრავლეთქო“). კერძო მაგალითისათვის ამ ოპერაციების ჩატარების შედეგად მიიღება  $85((6 \cdot 2 + 5) \cdot 5 = 85)$ . შემდეგ ნამრავლს ემატება ბეჭდიანი თითის ნომრის რიცხვითი მნიშვნელობა („მერამთონე თითზე აცვია, იმთონი და[ა]დევთქო“), მიღებული ჯამი  $10 \cdot 9$  მრავლდება („მერამე 10 გა[ა]მრავლებინე“) და ნამრავლს ამჯერად ბეჭდიანი სახსარის ნომრის რიცხვითი მნიშვნელობა ემატება („მერამთონე სახსარზე აცვია. იმთენი და[ა]დებინე“). კერძო მაგალითისათვის გვექნება:  $(85 + 5) \cdot 10 + 3 = 903$ . ეს შედეგი გამომცნობის უნდა ათქმევინოს თამაშის მეორე მონაწილეს („გამოართვი რაც დაფგეს“) და ახლა თვითონ უნდა შეასრულოს ამ რიცხვიდან 250-ის გამოკლება („250 [გამოაკელ]“). მიღებული რიცხვის ბოლო ციფრი — სახსრის ნომერს, შუა ციფრი — თითის ნომერს, ხოლო წინა ციფრი კაცის ნომერს უჩვენებს („რამთონი სათვალავი ბოლოს ასოდ მორჩეს იმთონს სახსარზე, რამთონი შუა დარჩეს იმთენს თითზე და რამთონიც რიცხვი თავს დაჯდეს მეიმთენე კაცს...“). მართლაც:  $653 - 250 = 653$  ბოლო ციფრი — შე-3 სახსარს, შუა ციფრი — მე-5 თითს (ე. ი. ნეკს) და წინა ციფრი რიგით მე-6 კაცს შეესაბამება.

ამოცანების ეცროპული წარმოშავლობა ცხადია. XV საუკუნიდან მოყოლებული აქ სისტემატურად იბეჭდება გასართობი და თავსატეხი ამოცანების კრებულები. ამ მხრივ დიდი პოპულარობით

სარგებლობდა ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ფრანგი მათემატიკოსის პაშეს კრებულები. ამ კრებულებში მოყვანილი ამოცანების საჭ-მაოდ დიდი ნაწილი დღესაც ფართოდ გამოიყენება დანიშნულები-სამებრ. ქართულ კრებულში ჩაწერილი ამოცანები წარმომავლობით სწორედ ბაშესგან უნდა მომდინარეობდნენ და მისი სხვა ამოცანების მსგავსად, სხვათა შორის, დღესაც პოპულარობით სარგებლობენ. გა-სართობი მათემატიკური ამოცანებისადმი მიძღვნილი თანამედროვე ლიტერატურის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ აქ ჩვენ მიერ განხილუ-ლი სამივე ამოცანა თითქმის უცვლელი სახით არის წარმოდგენილი (იხ. დეპმანი, გვ. 329—333; იგნატიევი, გვ. 62—63, 173).

ასევე ეცეს არ იწვევს, რომ ამ ამოცანებს ვახტანგი მსიმონერე-ბის საშუალებით გაეცნო, მაგრამ, „თარგმანი და გამოცხადებანისა-გან“ განსხვავებით, ქართულ ენაზე ეს ამოცანები უშუალოდ მან გადმოაკეთა, ამას ნათლად ადასტურებს ტექსტის ლექსიკური და ტერმინოლოგიური თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ ვახტან-გისათვის არის დამახასიათებელი. აზრის გამეორება და წინადაღებე-ბის რთული კომსტრუქცია ხშირად გვხვდება ვახტანგისეულ თხზუ-ლებებში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტერმინოლოგიური მსგავ-სება. „ჩაყოლით“ — ე. ი. მიყოლებით, „და[ა]ღევ“ — ე. ი. მიუმატე, „სათვალავი“ — ე. ი. რიცხვი და ა. შ. — ეს სიტყვები ხშირად გვხვდე-ბა ვახტანგის ნაწერებში. შედგენილი სიტყვა „ანერთი“ საერთოდ ვახტანგის მიერ არის შემოღებული. რიცხვების ან ასოების მწყრივ-ში მომდევნო წევრს სწორედ ვახტანგი უწოდებს „ქვეითს“, არით-მეტიკულ მოქმედებებთან დაკავშირებით ვახტანგი ხშირად ხმარობს „კვრას“ („ერთპირად ჯამი კარი“ — ამოცანა პირველი), ასევე ვახ-ტანგის ტერმინოლოგიისათვის არის დამახასიათებელი რიცხვის და-მაჩსოვრების აზრით სიტყვა „შენახვას“ ხმარება, გამოკლების მოქ-შედებისათვის „შეფარდებას“ გამოიყენება და სხვ. (ამ ტერმინებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 42, 53—54).

ეს ამოცანები და მაგიური კვადრატები შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა ქართველი ახალგაზრდობის მათემატიკური საკითხე-ბით დაინტერესებისათვის და ვახტანგიც, რასაკვირველია, სათანადოდ მცდებოდა ამ საყითხების ფართოდ გვირცელებას. სხვათა შორის, კრებულმა შემოინახა ორი პატარა ბარათი, რომლითაც უცილობ-ლად დასტურდება ამ გასართობ ამოცანებზე და მაგიურ კვადრატებ-ზე შეუშაობის ფაქტი.

ეს ბარათები დამოუკოდებელი სახით ჩატრულია 25 და 26 ფურ-ცილს შორის და მათ შესახებ ხელნაწერის აღწერილობაში შემდეგი ცნობებია მოყვანილი: „ბ. ქართული ასოებით (ციფრობრივი მნიშვნე-

ლობის შესრულებული ტაბულა ( $9,5 \times 7,5$ ). გ. კვადრატული ქაღალდის ნაჭერი  $11 \times 11$ . უმთავრესად ქართული ასოებით და ნაწილობრივ არაბული ციფრებით წარწერილი (ნანგარიშევი?)” (ხელნაწერთა აღწერილობა, Q—I, გვ. 298).

პირველ ბარათში წარმოდგენილია ქართული ასორიცხვნიშნების ორი რიგი:

„ა ბ გ დ ე ვ ზ ტ თ ი რ ა ი ბ ი გ ი დ ი ე ი ვ  
ა რ ვ ბ ი ე გ რ დ დ ი გ ე ი ბ ვ ი ა ზ ი ტ თ“

ქხადია, რომ პირველ სტრიქონში მოყვანილია რიცხვების ნატურალური მწერივი 1-დან 16 -მდე. მეორე სტრიქონიც აზრს იძებს, თუ მას თანამედროვე აღნიშვნებით წარმოვადგენთ „ა — ივ, ბ — იე, გ — იდ, დ — იგ, ე — იბ, ვ — ია, ზ — ი, ც — თ“. აქ საქმე გვაძეს პირველი მწერივის ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული რიცხვების წყვილთა მიმდევრობასთან. ასეთი რიცხვთა წყვილები, რომლებისათვის ყველა წყვილის ჯამი ერთსა და იმავე სილიდეს წარმოადგენს, ჩვეულებრივ, მაგიური კვადრატების შესაღებენად გამოიყენებოდა. 16-უჯრედიანი მაგიური კვადრატის მისაღებად უკვე XVI საუკუნეში დამუშავდა შემდეგი წესი: ჯერ 16-უჯრედიან ბალეს ავსებდნენ ბუნებრივი მიმდევრობით 1-დან 16-მდე და შემდეგ ოთხ წყვილში (2—15, 3—14, 5—12 და 8—9) რიცხვების აღვილების ურთიერთშეცვლით იღებდნენ მაგიურ კვადრატს (გურევიჩი, გვ. 17, 28—29). აქედან ჩანს, რომ ბარათი იძლეოდა აუცილებელ გასაღებს მაგიური კვადრატის ასაგებად. ცხადია აგრეთვე, რომ ვახტანგი და მისი თანამოაზრები ისე საფუძვლიანად იყონენ გათვითუნობიერებული მაგიური კვადრატების საკონკებში, რომ მათ შესადგენად ისინი მათემატიკური გზით შემუშავებულ მეთოდსაც კი იყენებდნენ.

მეორე ბარათი სამუშაო ჩანაწერს წარმოადგენს და მასში მოცვანილია ის გამოთვლები, რომლებიც პირველი გასართობი ამოკანის მიხედვით სახელის ამოსაცნობად არის საჭირო. ასეთი გამოთვლები ბარათის ორივე მხარეს არის ჩაწერილი, და როგორც იმ დროისათვის იყო დამახსიათებელი, არითმეტიკული ნიშნების გარეშე.

ბარათის ერთ-ერთ მხარეზე ასორიცხვნიშნები ისე გაფანტულად არის ჩაწერილი, რომ ჩანაწერის აზრის დადგენა საჭმაოდ გაძნელებულია. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით დამოგვეყო ორი „უბანი“, რომელშიც გამოთვლები სახელების „ესაიას“ და „თომას“ ამოცნობასთან არის დაკავშირებული. პირველის „უბანს“ ბარათის ზედა და მარჯვენა კიდე შეადგენს, მეორისაკ კი — ბარათის ცენტრა-

ლური ნაწილი, თუმცა რატომლაც თვით სახელი „ესაია“ უშუალოდ მეორე უბანშია ჩაწერილი. სახელ „ესაიათან“ დაკავშირებით ანგარიშის დაწყებისას, გამომთვლელს ჩანაწერში და ანგარიშში შეცდომა აქვს დაშვებული. შემდეგ ეს შეცდომა გასწორებულია, მაგრამ შესწორებული ვარანტის ჩანაწერი ისე გაფანტულია, რომ ერთის შეხედვით ძნელია ჩატარებული გამოთვლებისადმი თვალის მიღევნება (მთუმეტეს, რომ გამოთვლები არითმეტიკული მოქმედების ნიშნების გარეშეა ჩაწერილი).

პარასის მეორე გვერდზე წარმოდგენილი მასალა ჩვენ აქ სრული სახითა და იმავე განლაგებით მოვყავს, მხოლოდ ჩანაწერის განსაკუთრებით საინტერესო ნაწილი წყვეტილი ხაზით გვაქვს შემოსაზღვრული.

3	10	70	100	3	10	რებ
ნია ხა						
მა	კა	ა		—	—	—
კ მ ა				რი.	ტ ბ	
				პია რეა რე რია რ		
					უპგ	რეა
						ბ
						რეა

ციფრებით წარმოდგენილი მწერივი სათვალავადი კრიტოგრამა და იშიცრება როგორც „გიორგი“ (3—გ, 10—ი, 70—ო, 100—რ, 3—გ, 10—ი). დანარჩენი ჩანაწერები წყვეტილი ხაზის გარეთ ერთმანეთთან უშუალოდ არიან დაკავშირებული როგორც სიტყვა „კმა“-ს ამოცნობისათვის გამოყენებული გამოთვლების დეტალები. „კმა“-ს ზემოთ წარმოდგენილია ამ სიტყვის შემადგენელი ასორიცხვინიშნების კერძო ჯამები. მათი შეკრებით მიღებული საერთო ჯამი რებ რატომლაც მოშორებით კრიპტოგრამის გაგრძელებაზე არის მოყვანილი. ამ ჯამის ორზე გაყოფით (ვინაიდან „კმა“ სამი რიცხვინიშნისაგან შედგება, ერთით ნაკლები გამყოფი 2 იქნება) მიიღება ასორიცხვინიშანი — ნია. ამ ჩანაწერში ორი ათეულის (ნ-ის და ის) წარმოდგენა ამჯერად თვით გაყოფის სპეციფიკური ხასიათით არის განპირობებული: ეს მოქმედება გასაყოფის ყოველ თანრიგზე ცალ-ცალკე ხორციელდება და ასევე ცალ-ცალკე იწერება განაყოფში მიღებული თანრიგებიც (რ:ბ=ნ, კ:ბ=ი და ბ:ბ=ა). მოქმედების დამთავრების შემდეგ კი ჩანაწერის, ასე ვთქვათ, „დროებითი“ ფორმა ჩვეულებრივში გადაიყვანება იქვე მოწერილი ხა-ის სახით. ამ უკანასკნელს, როგორც ჩაფიქ-

რებული სიტყვის შემაღენელი ყველა ასორიცხვიშნის ჯამს, სა-  
თითაოდ აკლდება სამივე კერძო ჯამი და მიიღება საბიებელი სიტ-  
ყვა „ჭმა“.

საინტერესო ინფორმაციას შეიცავს წყვეტილი ხაზით შემოსა-  
ზლვრული ჩანაწერი. აქ თუმცა იგივე გასართობ ამოცანასთან გვაქვს  
საქმე, მაგრამ ზოგიერთი დამატებითი დეტალი საშუალებას გვაძ-  
ლეს გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას შეკრებისა და გაყოფის  
წესების ზოგიერთ თავისებურებაზე.

სიტყვა „ომანის“ თავზე წარმოდგენილი კერძო ჯამების შეკრე-  
ბის შუალედური ოპერაციები აღვილად შეიძლება დაღვინდეს „რკა“  
კერძო ჯამის თავზე მიწერილი „რი“ ასორიცხვიშნით და საერთო  
ჯამის („ტპგ“) უჩვეულო ჩანაწერით. კერძო ჯამების შეკრების პრო-  
ცესი მარცხიდან მარჯვნივ მიმდინარეობს თანრიგობრივად: ჯერ იქ-  
რიბება უმაღლესი და შემდეგ მომდევნო თანრიგები. ამიტომ კერ-  
ძო ჯამების სამი ასეული (ე. ი. „რ“) ჯამში იძლევა „ტ“-ს. ათეულე-  
ბის შექრებისას, უკვე მეორე შესაკრებზე მიიღება ასეული („რ“),  
ამიტომ არაერთვაროვნების თავიდან ასაცილებლად ეს შუალედუ-  
რი შედეგი მეორე შესაკრების თავზე იწერება „რი“-ს სახით (პი+  
ქ=რი). შეკრება ახლიდან იწყება ამ „რი“-ის ათეულის ჩათვლით  
და მიღებული შედეგი — „პ“-ს სახით „ტ“-ს გვერდით თავსდება. მას  
მოჰყვება ერთეულის წარმომადგენელი „გ“ და მიიღება არასრული  
ჯამი „ტ პ გ“. ამ უკანასკნელთან კი დაჯამების ღროს მორჩენილი  
ასეულის დამატებით მიიღება საბოლოო ჯამი — უპგ. ამ ჯამის 3-ზე  
გაყოფისას (ჩაფიქრებული სახელი 4 ასორიცხვიშანს შეიცავს)  
შართლაც „რ დ ა“ უნდა იქნეს მიღებული, მაგრამ ამ უკანასკნელის  
ზევით ორი ასორიცხვიშნის არსებობა, რომელთა ჯამი „რ დ ა-ს  
ტოლია, იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ გაყოფა რაღაც თავისებური  
წესით არას შესრულებული. როგორც „ქ მ ა“-ს მაგალითში, გაყო-  
ფა აქაც თანრიგობრივად სრულდება, შხოლოდ უფრო რთული შემ-  
თხვევის გამო დამატებითი ჩანაწერის აუცილებლობა იჩენს თავს.  
კერძოდ, თანრიგების სათითაოდ სამზე გაყოფისას აქ განაყოფის  
არასრული მნიშვნელობა დაიწერა (რკა), მაგრამ იგივე არ გაკეთდა  
გასაყოფილან მიღებული „რკ“ ნაშთის მიმართ. შემდგომ ეტაპზე, ამ  
„რკ“-ის გაყოფით მიღებული შუალედური განაყოფი მ რკას ქვე-  
მოთ იწერება და მათი დაჯამებით მიიღება რდა. არ არის გამორი-  
ცხული, რომ გაყოფის ეს თანრიგობრივი წესი ძველ საქართველოში  
ჟოფილიყო გავრცელებული. როგორც ზემოთ მივუთითეთ, აღნიშ-  
ნული ჩანაწერები XVIII ს. საწყის წლებს მიეკუთვნებიან, ამ ღროს  
ჯერ კოდევ არ არსებობდა ვახტანგის მათემატიკური სახელმძღვანე-

ლოგები, რომ იქიდან აეთვისებინათ გაყოფის რომელიმე წესი. აშავე დროს თანრაგობრივი გაყოფა სწორედ ასორიცხვიშნებისათვის იყო მოხერხებული. ასე რომ, დღემდე მოპოვებული მასალების ფონზე ჩვენი ვარაუდი სავსებით დასაშვებია.

ბარათების ჩამწერის ვინაობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ ამას უადამწყვეტი შინიშვნელობა ამ შემთხვევაში არა აქვს. მთავარია თვით ასეთი ბარათების არსებობის ფაქტი, რაც იმას მოწმობს, რომ ვახტანგის მიერ შევროვილი მაგიური კვალრატებითა და გასართობი აშორანებით პრაქტიკულადაც კი ვარჯიშობილნენ ზოგიერთი პირები.

## ვახტანგის მეცნიერული გეგმის განვითარება ასტრონომიის დარგში

ვახტანგის, როგორც პროფესიონალი ასტრონომის ფორმირებაში გაღამწყვეტი როლი ითამაშა ირანში მისმა იძულებითმა გამგზავრებამ (1712—1719), საღაც შას შესაძლებლობა მიეცა უშესალოდ გასცნობოდა ასტრონომიულ ლიტერატურას. ამ სახის ლიტერატურა კი ძალზე მრავალრიცხოვანი იყო, ვინაიდან საპუნებისმეტყველო მეცნიერებიდან მთელს აღმოსავლეთში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ასტრონომია (ილმ ალ-ჰაია — „მეცნიერება ფორმის შესახებ“, ილმ ალ-ფალაკ — „მეცნიერება ცის სფეროს შესახებ“ და აგრეთვე ტერმინები ილმ ან-ნუჭუმი და ილმ ათ-თაჯიმი — „მეცნიერება ვარსკვლავების შესახებ“, რომლებიც ასტრონომიის გარდა ასტროლოგიასაც აღნიშნავდნენ). ეს მრავალრიცხოვანი ასტრონომიული ლიტერატურა შინაარსის მიხედვით რამდენიმე ნაირსახეობით იყო წარმოდგენილი და თვითეულ მათგანში შემდეგი სახის თხზულებები იყო გაერთიანებული:

1. ზიჯები, ე. ი. ასტრონომიული ცხრილები, რომელთა საშუალებით განისაზღვრებოდა მნათობების მდებარეობა ცის სფეროზე. ასეთი ზოგები წარმოადგენენ წესების კრებულს მნათობების, უპირატესად მზის, მთვარის და ხუთი პლანეტის მდებარეობის ცხრილების შესადგენად და მათი პრაქტიკული სარგებლობისათვის. ამგვარი ზოგების ძირითადი შინაარსი ჩვეულებრივ მთავარ და დამსმარტიცხრილებისაგან შედგებოდა (დამსმარე ცხრილებში მოყვანილი იყო ტრიგონომეტრიული სრდიდები და კალენდრის მასალები).

2. წარმოებული ზიჯები, ე. ი. შნათობების შდებარეობის და კალენდრის ცხრილები, რომლებიც პირველი ჯგუფის ყველაზე უფრო გვიანდელი ზიჯების საფუძველზე იყო შედგენილი.

3. ძირითადი ზიჯების კომენტარები. ამ კომენტარებში მოყვანილი იყო ზიჯის თთქმის ცოველი ფრაზის განმარტება. ასეთი სახის თხზულებებს იმ დროს იგივე როლი ეკისრებოდათ, რაც დღეს თა-

ნამედროვე სახელმძღვანელოებს თეორიულ და პრაქტიკულ ასტრო-ნომიაში. ამიტომაც ზიჯების კომენტარების ცოდნის გარეშე იმ დროს შეუძლებელი იყო კვალიფიციურ ასტრონომიად განლომა.

4. ასტრონომიის შესასწავლი სახელმძღვანელოები.

5. კომენტარები ასტრონომიის სახელმძღვანელოებზე.

6. ასტრონომიული ტრაქტატები, რომლებშიც ასტრონომიის ესა-თუ ის პრობლემა იყო განხილული (გალიალოვე, გვ. 85). ამ უფასა-კუნელ სახეობიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტრაქტატები ასტრო-ნომიული ხელსაწყოების შესახებ, რომლებშიც დაწვრილებით იყო აღ-წერილი ამ ხელსაწყოების დამზადებისა და მათი პრაქტიკულად გა-მოყენების წესები.

ვახტანგის მიერ ქართულ ენაზე გამოკეთებული თუ თარგმ-ნილი ლიტერატურა თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახეობით არის წარმოდგენილი. კერძოდ, პირველი სახეობიდან მან შეარჩია ულულბეგის (1394—1449) ცნობილი „ზიჯი“, რომელიც ამ სახის ლი-ტერატურიდან ყველაზე უფრო სრულყოფილ თხზულებად არის აღიარებული. ვახტანგის სამუშაო ჩანაწერებიდან იჩვევა, რომ აღ-ნიშნული „ზიჯის“ შესასწავლისას და შემდგომში მისი მასალების პრაქტიკული გამოყენებისას მას ამ „ზიჯის“ ერთ-ერთი კომენტარი-თავი უხელმძღვანელია. ასტრონომიის შესასწავლი სახელმძღვანე-ლოგბიდან ვახტანგმა თარგმნა „ქვნულების ცოდნის წიგნი ანუ სპარ-სული აიათი“, სპეციალური ასტრონომიული ტრაქტატებიდან ჭი ნა-სირ ედ-დინ თუსელის (1201—1274) თხზულება „20 თავი ასტროლა-ბის შესახებ“ (ქართულად „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“), ვახტანგის დაკვეთით და კონსულტაციით ირანშივე დამზადდა რამ-დენიმე კალი ქართულწარწერებიანი ასტროლაბიც. ასტროლოგიური ტრაქტატების „თალა მასალის“ და „ჰიდახათ ილ-ნუჭუმის“ თარგმნით ხარჯი მიღებოდა ასტროლოგიასაც, რაც იმ დროს საესებით ჩვეულებ-რივ მოვლენას წარმოადგენდა, როგორც აღმოსავლური, ძვე ევრო-პული ასტრონომიული პრაქტიკისათვის. ირანშივე დაწერა ვახტანგმა ორიგინალური კალენდარული ხასიათის შრომა „ფეინცლისი“.

სპარსულიდან თარგმნილი ასტრონომიული თხზულებები აშკა-რად გარკვეული პრინციპით არის შეარჩეული. როგორც შემდგომში იქნება ნაჩვენები. მათი უმრავლესობა სამარყანდის ასტრონომიული სკოლის წარმომადგენლებს ეკუთვნის. ეს სკოლა როგორც ცნობი-ლია, სამარყანდის მმართველის და გამოჩენილი მეცნიერის მიზა-მუქამების იბნ შავრუჟ იბნ თემურ ულულბეგ გურავანის (1394—1449) სახელთან არის დაკავშირებული. მისი ინიციატივით სამარყანდში დაარსებულ მედრესესა (1417) და ობსერვატორიაში (1425) გაერ-თიანებულმა მდროინდელმა საუკეთესო სამეცნიერო ძალებმა აძა-ლი ფურცელი ჩაწერეს აღმოსავლური ასტრონომიის ისტორიაში.

აქ შოლვაწერიძენენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ: შუსა იბნ მაჰმუდ ყაზი-ზადე. არ-რუმი (1360—1437) — ულულბეგის მასწავლებელი და უაქლოესი თანამშრომელი, მთელი რიგი ასტრონომიული ტრაქტატების ავტორი: ჯემშიდ იბნ მასუდ ალ-ქაშანი (გარდ. 1430) — სამარყანდის ობსერვატორის პირველი ხელმძღვანელი, ცნობილი ასტრონომიული და მათემატიკური თხზულების, მათ შორის „არითმეტიკის გასაღების“ ავტორი („არითმეტიკის გასაღებს“). რომ ვახტანგი საფუძვლიანად იკნობდა, ეს თვალწათლივ ჩანს მისივე შოქლე. სახელმძღვანელოდან სამოცობითი რიცხვების არითმეტიკულ მოქმედებებზე. — იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 63); ალა აღ-დინ ალი იბნ მუჰამედ ალ-კუშჩი (გარდ. 1474) — ენციკლოპედისტი, ასზე მეტი შრომის ავტორი. სწორედ ამ მეცნიერებთან მრავალშოთანი უშუალო თანამშრომლობათ 1437 წ. ულულბეგშა დაასრულა თავის სახელგანთქმულ „ზოგზე“ მუშაობა, რომელიც სამარყანდის სკოლის მეცნიერული მექანიდრეობის უმაღლეს მიღწევად ითვლება.

ვახტანგის მიერ სამარყანდის სკოლით გამოკვეთილი დაინტერესება უკვე თავისითავად იმ ფაქტზე შეტყველებს, რომ ის თავიდანვე საფუძვლიანად გაერკვა მრავალრიცხოვანი ასტრონომიული ლიტერატურის კეშმარიტ ფასეულობაში. აქ, როგორც ეტყობა, გადამწყვეტი როლი მის ახალ მასწავლებელს მირზა აბდურიზა თავრიზელს უნდა ეთამაშა. ამ უკანასკნელის შესახებ აღმოსავლურ ლიტერატურაში სამწუხაროდ ვერავითარ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. შეგრამ, თუ ვახტანგის მიერ თარგმნილი მასალების ხასიათით და მათი დამსუშვების სილრმით ვიმსჯელებთ, მირზა აბდურიზა თავრიზელი აღმოსავლურ პრაქტიკაში თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განსწავლული პიროვნება უნდა ჭოფილოყო (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 29—30).

### „ქმნულების ცოდნის ჭიგნი ანუ სპარსული აიათი“

„ქმნულების ცოდნის ჭიგნი ანუ სპარსული აიათი“, რომელსაც შემდგომში შემოკლებით „აიათს“ ვუწოდებთ, 1721 წელს დაიბეჭდილა თბილისის სტამბაში. თხზულების ხელნაწერ დედანს სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოულწევია და არც მისი თარგმნის დრო არის ზუსტად ცნობილი. მიუხედავად ამისა, ვახტანგის მიერ თარგმნილ თხზულებათა გარჩევეა სწორედ „აიათით“ უნდა დავიწყოთ, ვინაიდან ის წარმოადგენს ასტრონომიისა და მისი მომიჯნავე მეცნიერებების პოპულარულ შესავალს, რომელთა ცოდნაც აუცილებელი იყო დამწყები ასტრონომისათვის.

სახელმძღვანელოს შედგენილობა და თხზულების ავტორი. საკუთრივ „აიათის“ ტექსტს ნაბეჭდი წიგნის ნაწილი უჭირავს. მთლიანად წიგნი 4 დაუნომრავი და 148 დანომრი-

სი გვერდისაგან შედგება. პირველი თხზიდან მეორე და მესამე გვერდზე მოყვანილია მთარემნელის, ე. ი. ვახტანგის წინასიტყვაობა. ძირითადი 148 გვერდიდან „აიათს“ ეთმობა 1—128 გვერდები, ხოლო 129—148 გვერდებზე დაბეჭდილია გეოგრაფიული შინაარსის თხზულება.

„აიათი“ შედგება შესავლისა და ორი კარისაგან, თავს მხრივ კი პირველი კარი — 6 თავს, ხოლო მეორე კარი 11 თავს შეიცავს. თხზულების სათაურზე მინიშნება ვახტანგის წინასიტყვაობაში გვხვდება („სპარსული აიათი, რომელ არს „ქმნულების ცოდნის წიგნი“). მეორე ადგილას, კერძოდ პირველ გვერდზე სათაურში ფიგურირებს „ფარსი აიათი“ („ფარსი აიათის თარგმანი ქართულად“). რომელიც თარგმანის გარეშე დატოვებულ სპარსული დედნის დასათაურებას წარმოადგენს. „აიათს“, უფრო ზუსტად კი „ჰაიათს“ (სიტყვასიტყვით „ფორმა“), უმეტეს შემთხვევაში თარგმნიან როგორც „ასტრონომიას“, მაშინ როდესაც აზრობრივად ის უფრო „კოსმოგრაფიას“ შეესაბამება (ვახტანგისეული „ქმნულება“ აშეარად წარმოადგრაფიის ცნების გამომხატველია).

სარსულ ენაზე შემორჩენილი სათაურის („ფარსი აიათის“) მე-შვეობით ჩვენ შევძელით დაგვეღინა, რომ ქართული თარგმანის პირველწყაროს წარმოადგენს სპარსული თხზულება „რისალა-იი ფარსიია დარ ჰაიათ“, რომელიც სამარყანდის სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ალი ყუშის კალამს ეკუთვნის.

ალი აღ-დინ ალი იბნ მუჰამედ ალ-ყუში (გარდ. 1474 წ.), როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ულულბეგის უახლოესი თანამშრომელი და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი იყო. ულულბეგის სიჭმილის შემდგომ გაღარნაცვლა კონსტანტინოპოლის, სადაც უშადლესი სკოლის რექტორად მუშაობდა. დიდი როლი ითამაშა თურქეთში გათემატიკურ-ასტრონომიული ცოდნის გავრცელებაში. ვარაუდობენ, რომ ევროპელები სამსახურდის სკოლის მოწევებს ალი ყუშის მეშვეობით გაეცნენ (ვორონოვსკი, გვ. 127—129).

ის ფაქტი, რომ „აიათის“ ავტორი ალი ყუში აღმოჩნდა, გვაიძულებს ახლებურად შევხედოთ ამ თხზულებას. აქამდე თუ „აიათის“ ღირსებას შესინაური წარმომავლობა შეაღვენდა, ამ-ჯერად ამას ავტორის დღი სამეცნიერო ავტორიტეტიც ემსატება.

ქვემოთ საქამიანობა დაწვრილებით მოგვყავს თხზულების შინაარსი. ვინაიდან ტექსტი სპეციფიკური შინაარსის გამო ძალზე რთული აღმოჩნდა, ხშირად ესარგებლობდით ალი ყუშის თხზულების უსმანვისეული თარგმანით (იხ. ბიბლიოგრაფიაში ალი ყუში). მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ქართული თარგმანი, თუ ზოგიერთ

მცირე ხარვეზს მხედველობაში არ მივიღებთ, ძალზე მაღალ დონეზეა შესრულებული. ამას ვერ ვიტყვით ა. უსმანოვის თარგმანზე: რომლის შეცდომებს ჩვენ უკვე ქართული ტექსტის დახმარებით ვაღენდით (შინაარსის გადმოცემისას ჩვენ ამ შეცდომებსაც აღვნიშნავთ, რათა მათ მაგალითზე უფრო თვალსაჩინო გავხდოთ ვახტანგის მიერ დაძლეული სიძნელეები).

„ა ი ა თ ის“ ქშ.ი ნ ა ა რ ს ი. თხზულება ზეწყება ვახტანგის წინასიტყვაობით, რომელშიც ის მოუწოდებს ქართველობას შემოსევებისაგან განალგურებული ქართული შეცნიერების აღორძინებისაკენ. ამის შემდეგ იწყება შესავალი, რომლის პირველი ნაწილი წარმოადგენს მოკლე სახელმძღვანელოს გეომეტრიის, პლანიმეტრიის, სტერეომეტრიის და ნაწილობრივ სფერული გეომეტრიის ძირითადი ცნებების შესახებ. ამ ცნებების განსაზღვრები ძირითადად გაღმოცემულია ეკვლიდეს საწყისების I და XI წიგნების შესავლების მიხედვით (დაწვრილებით იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 134—146).

პირველი კარი, რომლის საერთო სათაურია „მაღლის გვამების შეტყობა“, 6 თავისაგან შეღება. პირველ თავში („ცების ცოდნა თუ როგორ ერთშანეთზედ არის“) გადმოცემულია სამყაროს აგებულების სფერული სურათი (აიათი, გვ. 8—10). სამყაროს ცენტრში სფეროს მოყვანილობის დედამიწაა, ხოლო ცენტრიდან ყველაზე უფრო შორს ცის სფეროა (ე. წ. „მეცხრე ცა“).

მეორე თავი („დიდით პატარამდე ყველა გრკალების შეტყობის ამბავი და მშვილდებისა“) სფერული ასტრონომიის ძირითად წრეებისა და წერტილებს ეძღვნება (აიათი, გვ. 11—20). შესავალში ზოგიერთი ცნობებია მოყვანილი წრის რაცხვითი მახასიათებლების შესახებ. პტოლომედინ მოყოლებული, ტრადიციით მიღებულია წრის სიგრძის („გრკალის სიმგრგვლე“) 360, ხოლო წრის დამეტრის („გრკალის კენტორი“) 120 გრადუსად („შენაკად“) დაყოფა. თვლის სამოცაბითი სისტემის გამოყენებაზე მიუთოებს გრადუსის დაყოფაც უფრო მცირე ერთეულებად. წარმოდგენილია ამ ერთეულების შემდეგი მიმღებრობა: მინუტი („წამი“), სეკუნდი („წუთი“), ტერცია („კესრი“), კვარტა („მასი“). აქვე განმარტებულია რკალის 90°-მდე დამატების ცნება („რაც მშვილდი ოთხმოცდაათი მენაკის ნაკლები იყოს, იმის დანარჩობს ოთხმოცდაათამდე იმ მშვილდის შესასრული ჰქვიან“).

ამის შემდეგ სათითაოდ განხილულია ძირითადი წრეები და წერტილები.

1. ცის ეკვატორი — „უმაღლესის ცის სარტყელი“ ანუ „დღის გამასწორებელი“ (არაბ. „მუაღილ ნაპარის“ — ე. ი. „დღის ჟუაზე

გამყოფის“ თარგმანი). მისი პოლუსი („ღერძის თავი“) სამყაროს („ქვეყნის“) პოლუსებია, რომელთაგან დიდი დათვის თანავარსკვლავედის მხარეს მდებარეს ჩრდილოეთის პოლუსი, ხოლო მეორეს — სამხრეთის პოლუსი ეწოდება.

2. ეკლიპტიკა — „ღამტყიცებულის ცის სარტყელი“, „ეტლების სარტყელი“ ანუ „ეტლების ცა“. ეკლიპტიკის ეკვატორთან გადაჭვეთის ორ წერტილს („ორ ადგილს გადაჯვარედინებულია“), ე. ი. ჰოლეოზმტოლობის წერტილებს ტექსტის შიხედვით „შეზავებული წინწკლები“ ეწოდებათ (დღელამტოლობის ცნების გამომხატველი არაბული ტერმინი „ითიდალი“ სიტყვასიტყვით „სიმეტრიას“, „ტოლობას“ ნიშნავს და, როგორც ჩანს, ქართული „შეზავებული“ დახლოებით ამ მნიშვნელობის გადმოცემის ცდას წარმოადგენს).

3. მზებუდობათა კოლური — „ოთხს ღერძის თავზე გარდავლილი“ (არაბული შესატყვასიც ზუსტად ამავე სახელწოდება-განსაზღვრას წარმოადგენს) განმარტებულია როგორც ეკლიპტიკისა და ეკვატორის პოლუსებზე გამავალი დიდი წრე. აღნიშნულია აგრეთვე, რომ ის მზებუდობის ორ წერტილსაც („ორს გამასწორებელს წინწკალს“) გაივლის<sup>23</sup>.

ეკლიპტიკის უდიდესი დახრისათვის, რომელიც ეკლიპტიკის და ეკვატორის წრეებით შემოსაზღვრულ მზებუდობათა კოლურის რკალურ მონაკვეთს უესაბამება, გამოიყენება ტერმინი „ერთპირ მიზეული“ (არაბ. „მაღლი ქულის“ — ე. ი. „სრული დახრილობას“ თარგმანი).

4. დახრილობის წრე — ტექსტში სახელწოდების გარეშე განმარტებულია როგორც დიდი წრე, რომელიც ცის ეკვატორის პოლუსებზე გაღის და რომელზედაც აითვლება მნათობების დახრილობა („ვარსკვლავის სიშორე“) და ე. წ. პირველი დახრილობა („პირველი მიზეული“). ეს უკანასკნელი, განსაზღვრის თანახმად, წარმოადგენს დახრილობის წრის რკალს, რომელიც ეკვატორსა და ეკლიპტიკას შორის მდებარეობს, ხოლო მნათობის დახრილობა („ვარსკვლავის სიშორე“) — ამავე წრის რკალურ მონაკვეთს, რომელიც მნათობის ცენტრსა („ცენტრს“) და ცის ეკვატორს შორის არის მოთავსებული.

5. ეკლიპტიკური განედის წრე — „განის გრკალი“. ექლიპტიკის ორ პოლუსზე გამავალი დიდი წრე. აქვე განმარტებულია „შეორე დახრილობა“ („მასუკან მიზეული გრძა მეორე მიზეული“), როგორც

23 რუსულ თარგმანში ეს ფაქტი, რომელიც წრის სახელწოდებას („მზე შედობათა კოლურს“) დაედო საფუძვლად, რატომღაც გამოტოვებულია (იხ. ალ ზუში, გვ. 12).

ამ წრის რეალური მონაცევეთი ეკლიპტიკასა და ეკვატორს შორის და მნათობის ეკლიპტიკური განედი („ვარსკლავის განი“), როგორც რეალური მანძილი ეკლიპტიკიდან მნათობის ცენტრამდე.

6. ჰორიზონტის წრე — „შუახმელის გრალი“ („შუახმელი“ ირატული ტერმინის — „უფლის“ თარგმანი არ უნდა იყოს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მომდინარეობს სიტყვა „აფაყიდან“, რომელიც სიტყვასიტყვით „ქვეყნად ხეტიალს“ ნიშნავს — იხ. ბირუნი VI, გვ 272). ეს წრე ცის სფეროს ორ ტოლ ნაწილად ყოფს, რომელთაგან ერთი ზენიტის, ხოლო მეორე — ნაღირის მხარეს არის („ნახევარი თავის ასწერივისაკენ არის, რომ გამოჩნდება, და მეორე ნახევარი რომ არ ინახება ფეხის ჩასწერივისაკენ არის“).

ჰორიზონტის წრე ორ-ორ წერტილში კვეთს ეკვატორსა და ეკლიპტიკას. ეკვატორს გადაკვეთის წერტილებს აღმოსავლეთის და დასავლეთის წერტილები ეწოდება, ხოლო მათ შემაცრთებელ ხაზს აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზი. ეკლიპტიკის გადაკვეთის აღმოსავლეთ წერტილს „ჰოროსკოპი“ („აღმოსვლა“), ხოლო დასავლეთის წერტილს — მეშვიდე სახლი („მეშვიდე სახლი“, „დასავლეთის სახლი“) ეწოდება (12 ასტროლოგიურ სახლად დაყოფილ ეკლიპტიკაზე „ჰოროსკოპი“ იგივე პირველი სახლია, რომლის დამეტრალურად საწინააღმდეგო მხრივ სწორედ მეშვიდე სახლი უნდა მდებარეობდეს).

ჰორიზონტის წრის რეალურ მონაცევეთებს შეადგენენ აღმოსავლეთის ან დასავლეთის წერტილებით და ეკლიპტიკის წრით შემოსაზღვრული აღმოსავლეთის განედი („აღმოსავლის სიშორე“) და დასავლეთის განედი („დასავლის სიშორე“).

7. ცის მერიდიანი — „შუადღის გრალი“ (არაბ. „ნახარის“, ე. ი. „შუადღის“ თარგმანი) გაცელის ჰორიზონტზე და ცის ეკვატორის პოლუსებს და ჰორიზონტის წრეს ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს ჩრდილოეთსა და სამხრეთს წერტილებში. ამ წერტილების შემაცრთებელ ხაზს „შუადღის ხაზი“ ეწოდება. ცის მერიდიანი, რომლის პოლუსები აღმოსავლეთისა და დასავლეთის წერტილებს ემთხვევა, ორ წერტილში კვეთს ეკვატორსა და ეკლიპტიკას. ამ უკანასკნელის „მიწის პირს ზეით“ არსებულ წერტილს „მეათე სახლი“ ან „ცის სამსკვალი“ ეწოდება, ხოლო „იმის პირდაპირ ქვემოთ“ არსებულ წერტილს „მეოთხე სახლი“ ან „მიწის სამსკვალი“ (მეორე სახელწოდებები დაკავშირებული უნდა იყოს ამავე დასახელების მქონე ზოდიაქურ თანაფარსკვლავედებთან, რომელთაგან ერთი — ცის შუა ნაწილში, ხოლო მეორე დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარეს მდებარეობს). ცის შერდიანის რეალურ მონაცევეს სამყაროს პოლუსსა და ჰო-

რიზონტს შორის ან პორიზონტის პოლუსსა და ექვატორს შორის რა-  
ტომლაც ადგილის გეოგრაფიული განედი („ქალაქის განი“) ეწოდება<sup>24</sup>.

8. პირველი ვერტიკალი — „პირველი მხარეების გრძალი“ (ქარ-  
თული სახელწოდება არაბული სახელწოდების „საწყისი აზიმუტების  
წრის“ თარგმანს წარმოადგენს) განმარტებულია როგორც პორიზონ-  
ტის და მერიდიანის პოლუსებზე გამავალი დიდი წრე. მერიდიანის  
პოლუსები კი, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის და დასავლეთის  
წერტილებს წარმოადგენენ.

9. დიდი წრე „საშუალის ცის სანახაობის გრძალის“ სახელწო-  
დებით. განმარტებულია როგორც ექლიპტიკის და პორიზონტის პო-  
ლუსებზე გამავალი დიდი წრე, რომლის ორი პოლუსი აღმოსავლე-  
თის და დასავლეთის წერტილებია („აღმოსავლისა და დასავლის ორი  
წინწერალია“). ეს წრე ექლიპტიკის ნახევრებს, „რაც ან ზეითი ჩანს  
და ან ქვეითი არა ჩანს“, ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. აღნიშვნული  
წრის რკალს, რომელიც პორიზონტსა და ექლიპტიკის პოლუსს შო-  
რის ან პორიზონტის პოლუსსა და ექლიპტიკას შორის მდებარეობს,  
„დამზერის კლიმატის განედი“ („განი იყლიმის სანახავი“) ეწოდება  
(შრ. ბირუნი, V (1), გვ. 92—93).

10. სიმაღლის წრე („შემაღლების გრძალი“). განმარტებულია  
როგორც პორიზონტის პოლუსებსა და ცის შოცემულ წერტილზე  
(„რაც წინწერალი გვინდა“) გამავალი დიდი წრე (და არა როგორც  
დღეისათვის მიღებული ნახევარწრე!). ვინაიდან ეს წრე პორიზონტს  
იმ ორ წერტილში კვეთს, რომლებსაც „აზიმუტის ორ წერტილს“  
(„მხრის ორ წინწერალს“) უწოდებენ, ის „აზიმუტის წრეს“ („მხრის  
გრძალის“) მეორე სახელწოდებითაც არის ცნობილი. „სი-  
მაღლის წრესთან“ დაკავშირებულ რკალებიდან და ხაზებიდან და-  
სხელებულია: „აზიმუტის ხაზი“ („მხრის ხაზი“) — „აზიმუტის ორი  
წერტილის“ შემართებელი წრფე; მოცემული წერტილის სიმაღლე  
(„წინწერალის შემაღლება“) — სიმაღლის წრის რკალი, რომელიც მო-  
ცემული წერტილითა და პორიზონტით ჰემისაზღვრება; „წერტი-  
ლის აზიმუტის რკალი“ („წინწერალის მხრის მშვილდი“) — სიმაღლის ანუ  
აზიმუტის წრით („შემაღლების“ ანუ „მხრის გრძალით“) და პირვე-  
ლი ვერტიკალით („პირველი მხრების გრძალით“) შემოსაზღვრული  
პორიზონტის წრის რკალი. პორიზონტს ზევით ან ქვევით შედებარე  
წერტილისათვის „აზიმუტს“ („მხარს“) შესაბამისად „მხარი შემრღ-  
ლებისა“ და „მხარი ქუ[ე]ვითი“ ეწოდება.

24 ტექსტში განედის განსაზღვრის მეორე ნაწილში შეცდომითაა პორიზონტის  
პოლუსის ნაცვლად ეკვატორის პოლუსი (აიათი, გვ. 16).

დიდი წრეების შემდგომ ტექსტი გადადის მცირე წრეების განხილვაზე. ერთ-ერთ სახეობად წარმოდგენილია დახრილობის ორბიტები („მიზეულების სასიარულო“), რომლებიც დახრილობის დღელამური პარალელების სახელწოდებით არიან ცნობილი („მიზეული და გრკალები დღისა ჰქვიან“). ყველა ეს წრე ცის ეჭვატორის პარალელურია („დღის გამასწორებლის გვერდწყვილები ხაზი სთქვა“). რომელიმე მნათობზე ან წერტილზე გამავალ ასეთ წრეს პორიზონტი თხად ჰქონდა და „რაც მიწას ზეით დარჩება, რასაც ვარსკვლავსა თუ რიცხვზე ვარდაუვალია, იმისი დღის მშვილდი ჰქვიან, და მიწას ქვეშ რომ დარჩება — ღამის მშვილდი ჰქვიან“. დღის რკალის („დღის მშვილდი“) გარდა განმარტებულია „დღის სწორების“ („დღის გასწორების“) ცნებაც. ის წარმოადგენს დღელამური პარალელის რკალს, რომელიც პორიზონტითა და აღმოსავლეთის და დასავლეთის წერტილებზე<sup>25</sup> გამავალი დახრილობის წრით არის შემოსაზღვრული. აქვე სიტყვიერად ჩამოყალიბებულია „დღის სწორების“ გამოსაანგარიშებული ფორმულა, რომელიც თანამედროვე სიმბოლოებით ასე გამოისახება:

$$\Delta D = \frac{180^\circ - D}{2}.$$

სადაც  $\Delta D$  — „დღის სწორებაა“ და  $D$  — დღის ან ღამის რკალი. დღელამური პარალელის კიდევ ერთი რკალი არის წარმოდგენილი „გრკალიკის“ სახით, რომელიც რკალურ მანძილს მოიცავს ნებისმიერი მნათობიდან პორიზონტამდე.

მცირე წრეებს მიეკუთვნება განედის წრეებიც („განებზედ საგრკალის გრკალი“), რომლებიც ეკლიპტიკის პარალელურად („ეტ-ლების ცის წყვილედად“) „მერვე ცის სიარულისაგან გაჩნდება“.

„პატარა გრკალებისაგანია“ აგრეთვე პორიზონტის პარალელური აღმუკანტარატები. სავარაუდოა, რომ ქართული სახელწოდება „ხილური“ არაბული აღმუკანტარატიდან მომდინარეობს. ეს უფანასეკნელი წარმოებულია სიტყვიდან „მუკანტარე“, რაც სიტყვასიტყვით „თაღით აშენებულს“ ნიშნავს. თაღოვანი ელემენტი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ქართული ხილების კონსტრუქციისათვის და, აქედან გამომდინარე, ტერმინი „თაღური“ სავსებოთ პასუხობს მას გამოსახატავ ცნებას. „ხილური შემალლება“ და „ხილური ქვედათი“ შესაბამისად პორიზონტის ზემოთ და ქვემოთ განლაგებული აღმუკანტარატებისათვის იხმარება.

<sup>25</sup> ტექსტში შეცდომით „წინწელის“ ნაცვლად „გრკალის“ (ითარი, გვ. 19).

ბოლოს განხილულია ჰორიზონტთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულია, რომ ალმუქანტარატები ჰორიზონტიდან ზენიტამდე ერთი გრადუსის ინტერვალით არიან განლაგებული. თვით ჰორიზონტი ორი სახისაა: ერთი — ხილული („შუახმელი სახილველი“) და მეორე — ჭეშმარიტი („შუახმელი ჭეშმარიტი“; ავტორის თანახმად, ამ და წინა თავებში ცველგან ჭეშმარიტი ჰორიზონტია დასახელებული. რაც შეეხება ხილულ ჰორიზონტს — ის განმარტებულია როგორც დედამიწის ნებისმიერი აღგილის მიწის ზედაპირთან შეთავსებული ჰორიზონტი („ამ ჟუახმელებისაგანი, რომელიც რასაც ქვეყანას ვართ, იმ ქვეყნის მიწის სიფრიფანას მიყრულსავით არი. იმას შუახმელი სახილველი ჰქვიან“).

მესამე, თავი („ქმნელების შეტყობის ამბავი“) მეტე და მეცნე ცის სფეროებს ეძღვნება, თუმცა სათაური უფრო ზოგად საკითხებს გულისხმობს. ალსანიშნავია, რომ რუსული თარგმანის სათაურშიც აღნიშნული ცის სფეროები ფიგურირებენ. ასე რომ, ქართული სათაური, ვფიქრობთ, მთარგმნელის, ე. ი. ვახტანგის ინიციატივით უნდა იყოს შემოტანილი.

მეცნე ცასთან დაკავშირებით მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ იქ „ვარსკლავები სულ არ არი“, რომ ცა „დღე და ღამე ერთ სიმგრგვეს მობრუნდება“ და რომ „ეს სიარული აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ არის“. ე. ი. აქ იგულისხმება ცის სფეროს ხილული დღელამური მოძრაობა, რომელიც სინამდვილეში დედამიწის ბრუნვის ზარჯზე აღიქმება. ამ მოძრაობას შუასაუკუნეთა ასტრონომიულ ლიტერატურაში „პირველი დასავლეთის მოძრაობა“ ეწოდებოდა, ვინაიდან ის სუბიექტურად მართლაც პროცესი და თანაც დასავლეთის მიზართულების მოძრაობა არის, რომელიც დამკვრვებელს შეეძლო აღექვა ცაზე (იხ. ბირუნი, VI, გვ. 52—53).

მეცნე ცასაგან განსხვავებით, „დამტკიცებული“ ვარსკვლავების სამყაფული — მერვე ცა — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობს. „თითო სამოცდაათს წელიწადში ერთს დარაჯას გაივლის“ და, აქედან გამომდინარე, „ოცდახუთი ათას წელიწადში ერთ სივრცელეს მობრუნდება“<sup>26</sup>. ამ შემთხვევაში ალი ყუშჩი იმ მოძრაობას გულისხმობს. რომელსაც აღგილი აქვს პრეცესის შედეგად. თვით პრეცესის სიდიდე  $1^{\circ} 70$  წელიწადში საკმარდ მაღალი სიზუსტითა განსაზღვრული (თანამედროვე მონაცემებით  $1^{\circ} 72$  წელიწადში) და იმითაც არის საყურადღებო, რომ ის ულულბეგის „ზღვის“ მონაცე-

<sup>26</sup> რუსულ დედანში სრული „მობრუნება“ რიცვითი მონაცემით საერთოდ არ არის ნახსენები. ქართული ტექსტის „ოცდახუთიათასი“, როგორც ჩანს, 25200-ის დამრგვალებით უნდა იყოს მიღებული ( $70 \cdot 360 = 25200$ ).

მებსაც თანხვდება<sup>27</sup>. უძრავ ვარსკვლავთა ეს ნელი მოძრაობა, ისე-ვე ჩოგორუ მზის ხილული წლიური მოძრაობა, მთვარის თვიური მოძრაობა და პლანეტების მოძრაობა ე. წ. „პირველ აღმოშავლეთის მოძრაობას“ განეკუთვნებოდა.

შემდეგ წარმოლებენილია ეკლიპტიკის უმნიშვნელოვანესი წერტილები: გაზაფხულის დღელამტოლობის („შეზავებული გაზაფხული“) და შემოლების დღელამტოლობის („შეზავებული შემტოლობა“) წერტილები, რომლებიც ეკლიპტიკის ეკვატორით გადაკვეთის წერტილებში მდებარეობენ; ზაფხულის მზებულობის წერტილი („დაუმტკიცი წინწყალი ზაფხულისა“) და ზამთრის მზებულობის წერტილი („დაუმტკიცი წინწყალი ზამთრისა“), რომლებიც ეკლიპტიკის მზებულობათა კოლურით გადაკვეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ წერტილებში მდებარეობენ. ეს წერტილები ეკლიპტიკას ოთხ ნაწილად ყოფენ და თვითეულ მეოთხედში მზის ყოფნას „თითო“ სეზონი („არე“) ეწოდება.

ეკლიპტიკური კოორდინატების სისტემის ასაგებად რეკომენდებულია შემდეგი წესი: თვითეული მეოთხედი ჯერ „ორის წინწყლით სწორად სამრიგად გაიყოფა“. შემდეგ ეკლიპტიკის პოლუსებიდან გაივლება ხუთი ეკლიპტიკური განედის წრე („განის გრკალი“). „ერთი ამ ხუთისაგანი ორს შეზავებულის წინწყალზე გაივლის“, დანარჩენი ოთხი კი თვითეულ მეოთხედში მონიშნულ ორ-ორ წერტილზე. მზებულობის ორ წერტილზე გასავლელი მეექვსე ეკლიპტიკური განედის ფუნქციებს თავისთავად მზებულობათა კოლური („ოთხს ღერძისთავზე გავლილი გრკალი“) ასრულებს, ასე რომ, ეკლიპტიკის წრე „თორმეტად სწორად“ გაიყოფა. „თითოს ამ თორმეტისაგან — ზოდია გინა ეტლი ჰქვიან; თითოს ეტლის სიგრძე ოცდაათი მენაკია და განი ასოთხმოცი მენაკი არის“. აღსანიშნავია, რომ ეს მასალა რუსულ თარგმანში საერთოდ გაუგებარია. იქ რატომლაც ორი წერტილით ერთი მეოთხედის ნაცვლად ორი მოსაზღვრე მეოთხედი მოინიშნება და მიიღება ოთხი თანაბარი ნაწილი, რომლის დანიშნულებაც შემდგომში არ ჩანს. ასევე არ ჩანს ეკლიპტიკური განედების დანიშნულებაც და საერთოდ ავტორისეული ჩანაფიქრი. რომელიც, ვახტანგის სასახელოდ უნდა ითქვას, სავსებით წარმოჩენილია ქართულ თარგმანში. შემდეგ ტექსტში დასახელებულია ზოდიაქოს ის სამ-სამი ნიშანი, რომლებშიც მზის ყოფნა წელიწადის ერთ-ერთ სეზონს შეესაბამება. აქვე განმარტებულია, რომ თუ მნათობი ზოდიაქოს ნიშნების თანამიმდევრობის თანხვდრობად მოძრაობს, ამ

27 იხ. 5 — 161, გვ. 329—330.

მოძრაობას „წალმა გინა წესით სიარული ჰქვიან“. საწინააღმდეგო შემთხვევაში მოძრაობას „უწესო გინა უყულმართი სიარული“ ეწოდება.

შემდეგ ტექსტი „უძრავ“ ვარსკვლავებს განიხილავს, რომლებიც მცენ „ეტლის ცას“ განეკუთვნებიან. ასტრონომებისა და მეცნიერების („ამ საქმის მცოდნეთ და ფილასოფოსთ“) მიერ ვარსკვლავთა ურიცხვი სიმრავლიდან 1022 ვარსკვლავის<sup>28</sup> მდებარეობა განისაზღვრა ვარსკვლავების ცაზე („იმათში ათასოცდაორი ვარსკვლავი გაუწილავთ და ამათი ალაგები ეტლის ცაზე უთქვამთ“). აქ 1022 ვარსკვლავის დასახელება იმას ნიშნავს, რომ ალი ყუშჩის მხედველობაში აქცის პტოლომეის მიერ შეკრებილი მონაცემები. სწორედ პტოლომეის „ალმაგესტრი“ ვარსკვლავთა კატალოგი 1022 ერთეულს მოიცავდა (ბირუნი, VI, გვ. 277), რასაც, სხვათა შორის, პირდაპირ აღნიშნავს ულულბეგიც თავის „ზიგში“: „ბეთლემიუსის უწინ ჩებ [1022] შასკვლავი დამტკიცებულისაგანი გაუწილავთ: ბეთლემიუს მაჭისტის<sup>29</sup> წიგნში დაუწერიათ“<sup>30</sup>. პტოლომეის მიხედვითვე აღნიშნულია, რომ ეს ვარსკვლავები 48 თანავარსკვლავედშია გაერთიანებული (თანავარსკვლავედის აღსანიშნავად ვახტანგი ხმარობს სიტყვებს: „სურათს“ ან „სახეს“, რომლებიც ზუსტად პასუხობენ არაბული „სურათ“-ის შინაარსს). ამ 48 თანავარსკვლავედიდან („სახიდან“) 21 ეკლიპტიკის წრის ჩრდილოეთით, 15 სამხრეთით, ხოლო ცნობილი 12 თვით ეკლიპტიკაზე განლაგებული. თანავარსკვლავედებში შემავალ ვარსკვლავებს, ტექსტის თანახმად, „შერეული ვარსკვლავები“ ეწოდებათ, ხოლო „სახეებს გარეთ რომ არიან, იმას სახეს გარეთ ეტყვიან“.

შეოთხე თავში („შვიდის ვარსკვლავის ქმნულებისა, რომ იმას შვიდს ცდომილს ეძახიან“) განხილულია შვიდი მნათობის სფეროების ფორმის საკითხები (აიათი, გვ. 24—31). აქ წინასწარ უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მომენტი: მასალის გაღმოცემისას ალი ყუშჩი პტოლომეის „ალმაგესტით“ კი არ ხელმისაწვდომია, არამედ მისივე ნაკლებად ცნობილი შრომით „პლანეტური პიპოთეზები“. „ალმაგესტის“ მიხედვით პლანეტების დეფერენციები და ეპიციკლები შათემატიკურ წრეწირებს წარმოადგენენ ცარიელ სივრცეში, თანაც პლანეტების ცენტრები ეპიციკლებზე, მოძრაობენ, ხოლო ეპიციკლების ცენტრები — დეფერენციებზე. „პლანეტურ პიპოთეზებში“ პტოლომემ ეპიციკლების და დეფერენციების ეს თეორია არისტოტელესულ

28 რუსულ თარგმანში შეცდომით 1202 ვარსკვლავია დასახელებული (ალ ყუშჩი, გვ. 18).

29 „ბეთლემიუს მაჭისტი“ — ე. ი. პტოლომეის „ალმაგესტი“.

30 ს — 161, გვ. 329—330.


შატერიალური ორბიტების იდეასთან გააერთიანა. აქედან გამომდინარე, პლანეტების სფეროები წარმოდგენილია როგორც ბირთვული რგოლები, რომლებიც გამჭვირვალე ეთერისაგან შედგებიან და შემოსაზღვრული არიან ორი კონცენტრული სფერული ზედაპირით, რომელთა ცენტრიც სამყაროს ცენტრს ემთხვევა. ყოველი ასეთი პლანეტის სფეროში ისევ ბირთვული რგოლის სახით ექსცენტრულად მოთავსებულია მეორე. უფრო ძირი სფერო, რომლის გარე, ე. ი. ამოზნექილი ზედაპირი ერთ წერტილში ეხება პირველი სფეროს გარე ზედაპირს, ხოლო შიგა, ე. ი. ჩაზნექილი ზედაპირი ასევე ერთ წერტილში პირველის შიგა ზედაპირს. ექსცენტრული სფეროს სიზრქეში და თანაც გარე და შიგა ზედაპირთან შეხებაში მოძრაობს მზე ან პლანეტის ეპიციკლის სფერო. თავის მხრივ ეპიციკლიც კონკრეტული სფერული ზედაპირებით შემოსაზღვრულ გაცილებით მცირე სფერულ რგოლს წარმოადგენს, რომელშიც ორივე ზედაპირთან შეხებაში მყოფი პლანეტის სხეული გადაადგილდება.

ალი ყუშჩი მნათობების სფეროების ფორმის განხილვას მზის სფეროთი იწყებს. ამ უკანასკნელს ორი სფერო („ცა“) აქვს და თვითეული მათგანი ორი კონცენტრული სფერული ზედაპირით შემოისაზღვრება („გარეთისა შიგნითი პირი და შიგნითისა გარეთი პირი მიჯრულია“). პირველ, უფრო დიდ სფეროს, რომლის ცენტრიც სამყაროს ცენტრს თანხვდება („ამის ცენტრი ქვეყნის ცენტრია“) პარეკლიტიკა („მსგავსიერი“) ეწოდება. ქართული ტერმინი არაბული „მუმასალის“ (ე. ი. მიმსგავსებულის) თარგმანს წარმოადგენს და ისევე როგორც ბერძნული „პარეკლიტიკა“, სახელდებული სფეროს პომოთეტურობას აღნიშნავს ეკლიპტიკის და საერთოდ უძრავ ვარსკვლავთა სფეროს მიმართ. მეორე, ექსცენტრული სფერო, რომლის „ცენტრი ქვეყნის ცენტრს გარდა არის და ყსე მსგავსიერის ცის სისქეში არის“, ცენტრის მდებარეობის მიხედვით „გარე ცენტრის სფეროს“ („გარეთი ცენტრის ცა“) სახელწოდებით მოიხსენიება. ორივე სფეროს სიბრტყე, ტექსტის თანახმად, ეკლიპტიკის სიბრტყეში მდებარეობს. სფეროების ამოზნექილი და ჩაზნექილი ზედაპირების წყვილები ერთმანეთს ეხებიან შესაბამისად აპოგეის („უმაღლესის“) და პერიგეის („მდაბალის“ ან „დაამდაბლების“) წერტილებში.

მსგავსიერის სფეროდან გარე ცენტრის სფეროს გამოყოფით („გამოღებით“) მიღება თრი სივრცე, რომელთაგან „ერთს სისქე ზეით ექნება“ და მას „გარეთი ცენტრის ცა გარ ავლია“, ხოლო მეორეს „სფეროს სისქე ქვეით აქუს“ და „ის გარეთი ცენტრის ცას გარ ავლია“.

ტექსტში ორივე სივრცეს „გამასრულებელი“ (ან „შემასრულებელი“) ეწოდება „დამატების“ აზრით. თანამეღროვე ტერმინოლოგით პირველ „დამატებას“, რომელიც გარე ცენტრის სფეროთია


შემოსაზღვრული, შეიძლება „შემოსაზღვრული დამატება“ ეწოდოს, ხოლო მეორე „დამატებას“, რომელიც პირიქით, გარე ცენტრის სფეროს შემოსაზღვრავს — „შემომსაზღვრული დამატება“. რაც შეეხება მზეს, რომლის „კვერი სფეროსაერთ არი, მყარია“, ის გარე ცენტრის სფეროში მდებარეობს და ორი წერტილით ეჭება სფეროს გარე და შიგა ზედაპირებს.



სურ. 2. „მზის ცის სახე“. 1. აპოგეა („უმაღლესი“), 2. მზე, 3. გარე ცენტრი („გარე ცენტრი“), 4. სამყაროს ცენტრი („ქვეყნის ცენტრი“), 5. პარეკლიპტიკის სფერო („მსგავსიერის სფერო“), 6. შემოსაზღვრული დამატება („გამასრულებელი“), 7. პერიგეა („მდაბალი“), 8. გარე ცენტრის სფერო, 9. შემომსაზღვრული დამატება („გამასრულებელი“).

სიტყვიერ განმარტებებთან ერთად ტექსტში მოყვანილია ნახაზებიც. რომლებზედაც სიბრტყეზე დაპროექტებული სფეროებია გამოსახული („ცების სახე, რომ ვაკეზედ გაშალო, ამ გუარად იქნება რომ ცხადად იხრლვების...“). ეს ნახაზები ჩვენ ძირითადად დედნისეული სახით მოგვყავს. მხოლოდ განმარტებითი შინაწერები თანამედროვე ტერმინოლოგიური შესატყვისების დამატებით და ნუმერაციის გამოყენებით გადატანილი გვაქვს სურათების წარწერებში (იხ. სურ. 2—5). სურ. 2-ზე, რომელშიც „მზის ცის სახეა“ მოცემული, თვალნათლივ ჩანს მზის სფეროს ცველა ზემოთ განხილული დეტალი. სამყაროს ცენტრალუნ (4) გავლებული უმცირესი და უდიდესი წრეწირები მსგავსიერი სფეროს შიგა და გარე ზედაპირებს შეესაბამება. ამ წრეწირებთან აპოგეისა (1) და პერიგეის (7) წერტილებში ურთიერთშემხები ორი კონცენტრული წრეწირი, რომელთა ცენტრი გარე ცენტრს (3) ემთხვევა, ექსცენტრულია და


გარე ცენტრის სფეროს (8) ანალოგიურ ზედაპირებს წარმოადგენს. ზედა პლანეტების (სატურნის, იუპიტერის და მარსის) და ვენერას სფეროებს ფორმა („ქმნულება“) „მზის ცასავით არის“, მხოლოდ ორი განმასხვავებელი ნიშნით: ა. გარე ცენტრის სფეროში პლანეტა მზისაგან განსხვავებით თავისი ეპიციკლის სფეროში („აბრუნებულის ცაში“) მოძრაობს ზუსტად ისევე, როგორც მზე გარე ცენტრის სფეროში („თითოს იმათგანს კიდევ ერთი ცა აქვს, გარეთ უძროს ცაშიგ არის, როგორც მზე თავის გარეთ უძირის ცაში არის, ეს ცაც ისრე არის“). ბ. პლანეტის გარე ცენტრის სფეროს სიბრტყე ეკლიპტიკის სიბრტყის მიმართ დახრილია და „ეტლების ცას გასჭრის თრი წინწლით“. გარდა ამისა, ალნიშნულია, რომ პლანეტების „გარეთის ცენტრის ცას გარეთს ცენტრს არ ეტყვიან. მაკე ცა ჰქვიან“. აქ დეფერენცის აღმნიშვნელი სიტყვა „მაკე“ არაბული „ჰამილის“ თარგმანს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი — „მიმტანის“ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რუსული „нечушии“-ს) ცნებას გამოხატავს, მავრამ „მაკეს“ აზრითაც იხმარება. თუ რატომ შეჩერდა ვახტანგი მეორე ვარიანტზე, ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ ისიც უნა აღინიშნოს, რომ დეფერენცის შინაარსის გამოსახატავად საერთო ჯამში „მაკეც“ და მაკმაყოფილებელია. ასევე არაბული „თაღვირის“ (სიტყვასიტყვით „ბრუნვაში მოყვანილის“) თარგმანს წარმოადგენს ეპიციკლის ცნების გამომხატველი ქართული შესატყვისი „აბრუნებული“.



სურ. 3. მნათობთა სფერო. 1. აპოვეა, 2. ეპიციკლი („აბრუნებული“), 3. ეპიციკლის ცენტრი, 4. მნათობი („ვარსკვლავი“), 5. გარე ცენტრი, 6. სამყაროს ცენტრი, 7. პარეკლიპტიკის სფერო, 8. გამასრულებელი, 9. პერივეა, 10. დეფერენცი („მაკე“), 11. გამასრულებელი

შნათობების სფეროს ნახაზი (ჩ. სურ. 3) არსებოთად თანხვდება შეს სფეროს ნახაზს, ჩეოლოდ ზეს ნაცვლად აქ უცვე მნათობის ეპიცელია გამოსახული და „გარე ცენტრის სფეროს“ ნაცვლად მინაწერებში „მაკე ცა“ ფიგურირებს.

მთვარის სფეროც ზემოთ აღნიშნული პლანეტების სფეროების შეგვასად ითვლება, მხოლოდ ამ შემთხვევაშიც ორი განმასხვავებელი ნიშანი არსებობს: ა. მთვარის სფეროს სიბრტყე, რომელიც დეფერენტის სიბრტყესაც მოიცავს, ამ დეფერენტთან ერთად დახრილია ეკლიპტიკის სიბრტყის მიმართ და ამასთან დაკავშირებით „დახრილი სფეროს“ („მრწეული ცოს“) სახელწოდებას ატარებს. ბ. „დახრილი სფერო“ თავის მხრივ შემოსაზღვრულია ე. წ. „ბირთვისებრი სფეროთი“ („გარდაჯვარედინებული ცოთ“), რომლის სიბრტყე ეკლიპტიკის სიბრტყეში მდებარეობს. ხოლო ცენტრი სამყაროს ცენტრის თანხვდება. ე. ი. მთვარის შემთხვევაში პარეკლიპტიკის სფეროს ნაცვლად დახრილი სფერო ფიგურის და დამატებით ახალი ე. წ. „ბირთვისებრი სფერო“ ფუნქციონირებს (ჩ. სურ. 4).




სურ. 4. მთვარის სფერო. 1. აპოგეა, 2. ეპიცელი, 3. ეპიციელის ცენტრი, 4. მთვარე, 5. დეფერენტის ცენტრი, 6. სამყაროს ცენტრი, 7. მწერული სფერო, 8. გმასრულებელი, 9. პერიფეა, 10. დეფერენტი, 11. გამასრულებელი, 12. ბირთვისებრი („გარდაჯვარედინებული“) სფერო

პლანეტების სფეროების ფორმების განხილვა მერყურის („ერმის“) სფეროთი მთავრდება. დეფერენტის სფეროს მომცველი მერყურის სფეროს ცენტრი სამყაროს ცენტრის არ თანხვდება<sup>31</sup>, ხოლო

<sup>31</sup> რეჭსტი შეცდომით თანხვდენაა აღნიშნული.

შისი სიბრტყე, რომელიც დეფერენტის სიბრტყესთან არის შეთავსებული, დახრილია ეკლიპტიკის სიბრტყის მიმართ. მერქურის ამ სფეროს „დამბრუნებელი“ ეწოდება (არაბ. „მუდრის“ — ე. ი. „მმართველის“ თარგმანია). ტექსტში წარმოდგენილია მერქურის კიდევ ერთი სფერო, რომელიც დეფერენტის გარდა „დამბრუნებელ“ სფეროსაც მოიცავს. მისი სიბრტყე ეკლიპტიკის სიბრტყეში მდებარეობს და ცუნტრი სამყაროს ცენტრს თანხვდება. ამ სფეროს „მსგავსიერის სფერო“, ე. ი. პარეკლიპტიკის სფერო ეწოდება. გარდა ამისა აღნიშნულია, რომ მერქურის სფეროზე ორი აპოგეა არის: ერთი შათგანი საერთო „მსგავსიერი“ და „დამბრუნებელი“ სფეროებისათვის და ამიტომაც „დამბრუნებელის უმაღლესი“, ე. ი. დამბრუნებლის აპოგეა ეწოდება. მეორე — „დამბრუნებელი“ სფეროსა და დეფერენტის სფეროს საერთო აპოგეა არის დამბრუნებელის უმაღლესი.



სურ. 5. მერქურის სფერო. 1. ორი აპოგეა, 2. ეპიციელი, 3. ეპიციელის ცენტრი, 4. მერქური, 5. დეფერენტის ცენტრი, 6. მმართველი („დამბრუნებელი“) სფეროს ცენტრი, 7. მსგავსიერის ცენტრი

ტის საერთო წერტილს წარმოადგენს და ტექსტში „მაკის უმაღლესით“ ე. ი. დეფერენტის აპოგეის სახელწოდებითაა მოცემული. ტექსტის მონაცემებს ავსებს ნახაზიც. რომელიც სურ. 5-შია შოკვანილი.

მომდევნო მეხუთე თავი („მოარულის ვარსკვლავების სიარულის შეტყობა“) განხილული სფეროების მოძრაობის საკითხებს ეხება (არათი. ცვ. 29—31). მოძრაობები დაჯგუფებულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების მიხედვით (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ).

პირველ მიმართულებას შესაბამება ტექსტის მიხედვით პარეკლიპტიკების სფეროების, აპოგეების („მთვარის უმაღლესის გარდა,

ერმის მაკის უმაღლესის გარდა”), მზის გარე ცენტრის სფეროსა და მნათობთა დეფერენციების სფეროების „სიარული“. მოყვანილია რიცხვითი მონაცემებიც. პარეკლიპტიკების სფეროებისა და აპოგეების „სიარული დამტკიცებულის ცის სიარულსავრთ არის“, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც მეტამეტე თავში იყო აღნიშნული, „თითო სამოცდაათს წელიწადში ერთს დარაჯას გაივლის“ (აიათი, გვ. 21). მზის გარე ცენტრის სფეროს დღელამური გადაადგილება  $59'8''$ -ს შეადგენს, ხოლო დეფერენციების სფეროებისათვის, ანუ რაც იგივეა, ეპიციკლების ცენტრებისათვის შემდეგი მნიშვნელობებია მოყვანილი: ვენერა —  $59'8''$ ; მერკური —  $1^{\circ}58'16''$ , სატურნი —  $2'$ , ოუპიტერი —  $4'59''$ ; მარსი —  $31'27''$  და მთვარე —  $24^{\circ}22'53''$ .

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართულების მოძრაობებიდან დღელამური გადაადგილების რიცხვითი მონაცემები არის მოყვანილი მერკურის მმართველი („დამბრუნებელი“) სფეროსათვის —  $59'8''$ , მთვარის ბირთვისებრი („გადაჯვარედინებული“) და დახრილი („მიწეული“) სფეროებისათვის შესაბამისად  $3'11''$  და  $11^{\circ}9'7''$ .

პლანეტების ეპიციკლებისათვის (მთვარის გამოკლებით), ვინაიდან „ამათი ზეითი პირი რომ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოვიდოდეს, ქვეითი პირი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წავა“, მოძრაობის მიმართულება პირობით ზედა „პირის“ მიხედვით განისაზღვრება. ამიტომაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმართულების მქონე მხრილი მთვარის ეპიციკლია დასახელებული, ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებრისათვის დანარჩენი პლანეტების ეპიციკლები. მთვარის დღელამური ბრუნვა ეპიციკლზე, შეადგენს  $13^{\circ}3'52''$ -ს. რაც შეეხება სხვა პლანეტებს; მათ შესახებ ტექსტი შემდეგ ცნობებს გვაძლევს: „სამი ზედა ვარსკვლავის აბრუნებულის სიარული, ვითამ კრონის, დია და არიასი, რაც მეტნაკლებობა მზის გარეს ჰქიტის ცას და იმ სამს ვარსკვლავის მაფე ცის სიარულს შუა არის, იმოდენია. და აფროდიტესი ოცდათეტვსმეტი წამი და ორმოცდატრამეტი წუთი არის. ერმისა — სამი მენაფი, ექუსი წამი და ოცდაოთხი წუთი არის“ (არათი, გვ. 31). „მეტნაკლებობა“ აქ სხვაობამ ნიშნავს და საწყის წინადადებაში ის აზრი არის გატარებული, რომ სამი „ზედა“ პლანეტის ეპიციკლზე დღელამური ბრუნვა რიცხობრივად მზის გარე ცენტრის სფეროსა და შესაბამისი პლანეტის დეფერენცის („მაჭე ცის“) დღელამური გადაადგილების სიღიდეთა სახვაობების ტოლია. ვნაიდან ეს საწყისი მონაცემები ზემოთ იყო მოყვანილი, შესაბამისი ანგარიშით მიიღება სატურნისათვის  $57'8''$ ; ოუპიტერისათვის —  $54'9''$  და მარსისათვის —  $27'41''$ . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ფრაგმენტი რუსულ თარგმანში არასწორად არის გადმოცემული: იქ საერთოდ არ ჩანს ზედა პლანეტებისათვის რიცხ-

ვითი მონაცემების პილების შესაძლებლობა და წინადადებებიდან გარევეული აზრის გამოტანა გაძნელებულია (ალი ყუშჩი, გვ. 22).

შეექვსე თავი („მოარულ ვარსკულავის სიგრძე-განის ამბავი“) ოთხი ქვეთავისაგან შედგება. პირველი ქვეთავი („ვარსკულავის სიგრძის ამბავი“) მნათობების ეკლიპტიკურ გრძელთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს (აიათი, გვ. 32—52). !

ქვეთავის შესავალში მოყვანილია მნათობის ეკლიპტიკური გრძელის განსაზღვრა, რომლის თანახმადაც ის წარმოადგენს ვერძის საწყისი წერტილითა და მოცემული მნათობის ცენტრით შემოსაზღვრულ ეკლიპტიკის რკალს. ამ განსაზღვრაში ის მნათობები მიიღება მხედველობაში, რომელთა ეკლიპტიკური განედი ნულის ტოლია („თუ განი არა ჰქონდეს ვარსკულავს“). ხოლო მნათობს „თუ განი ჰქონდეს“, მაშინ ეკლიპტიკის რკალის მეორე ბოლო იმ ეკლიპტიკური განედს წრით („განის გრკალი“) წემოისაზღვრება, რომელიც ამ მნათობის ცენტრზე გაივლის.

ვახტანგი მნათობთა ეკლიპტიკური გრძედის ცნების აღსანიშნავად ხმარობს გამოთქმებს: „ვარსკულავთ სიგრძეს“ (ხან „სიგრძეს“) და „ვარსკულავთ სადაობას“. ეკლიპტიკაზე გრძედის სიღრიდის ასათვლელ პირდაპირ მიმართულებას (ე. ი. მზის ხილული წლიური მოძრაობის ანუ ზოდიაქოს თანავარსკულავედთა მიმდევრობის მიმართულებას) ვახტანგი „წალმა“ მიმართულებას უწოდებს („ვერძის პირველიდან ვარსკულავის ალაგაძე წალმა რომ მივიღოდეს“). ეკლიპტიკის გასწვრივ მნათობის მოძრაობას. „რასაც გზის“ მოძრაობით „ვარსკულავს ეს ადგილი გაუვლია, სიგრძეზე სიარულიც ჰქვიან და სადაობის სიარულიც ჰქვიან“.

შემდეგ ტექსტში განხილულია მოძრაობის თავისებურებები, რომლებიც განპირობებული არიან მნათობის სფეროთა სიმრავლით.

ვინაიდან ეკლიპტიკურ გრძელზე მნათობთა მოძრაობას სამყაროს ცენტრის მიმართ განსხვავებული ხასიათი აქვს, „შეცნიერთ ამათის სადაობისა დასწავლისათვის, იმათი საშუალო და გასწორება გაურიგებითა“. „საშუალოში“ აქ „საშუალო მნათობი“ ანუ „მნათობის საშუალო მდგომარეობა“ იგულისხმება. ტექსტის მიხედვით „საშუალო“ განმარტებულია როგორც მნათობის პარეკლიპტიკის (მთვარისთვის — დახრილი ორბიტის) ას რკალი („მშვილდი“), რომელიც ვერძის შესაბამისი პირველი წერტილიდან იწყება და ზოდიაქოს ნიშნების თანამიმდევრობის მიმართულებით „საშუალო ხაზის“ გადაკვეთის წერტილში ბოლოვდება. თვით „საშუალო ხაზი“ სამყაროს ცენტრიდან პარეკლიპტიკისადმი (მთვარისათვის — დახრილი ორბიტისადმი) გაულებულ წრფეს წარმოადგენს, რომელიც მნათობის

კონკრეტული სახეობის მიხედვით: ა) გაივლის დეფერენციზე მდებარე ეპიკიკლის ცენტრს (მთვარე), ბ) პარალელურია იმ წრფისა, რომელიც გარე ცენტრსა და ამ ცენტრის ორბიტაზე, მდებარე მნათობის ცენტრს აერთიანებს (მზე) და გ) პარალელურია იმ წრფისა, რომელიც ეკვანტის ცენტრსა („გასწორებით მოარულის ცენტრს“) და დეფერენციზე მდებარე ეპიკიკლის ცენტრს აერთიანებს (პლანეტები).

„საშუალო მნათობის“ შესაბამისი რკალის დროში ცვლილებას „საშუალო მოძრაობა“ („საშუალო სიარული“) ეწოდება. მზისა და ჰლანეტებისათვის (მერქურის გამოცლებით) „საშუალო მოძრაობა“ „მსგავსიერი ცის სიარული და გარეთი ცქიტის ცის სიარული რომ ერთად შეკრიბო... იმდენი არის“. მთვარისათვის ის ბირთვისებრი ჯა დახრილი სფეროების „სიარულის“ შეკრებით და ჯამშაგან დეფერენცის სფეროს მოძრაობის გამოკლებით მიიღება. მერქურისათვის ანალოგიურად ჯამდება „მგავსიერისა და შავის წალმა სიარული და დამბრუნებლის უკულმა სიარული“ აკლდება მიღებულ შედეგს.

რაც შეეხება სწორებებს, ჯერ ნაჩვენებია, რომ მზეს მხოლოდ ერთი სწორება („შესწორება“) გააჩნია, რომელიც საშუალო ხაზითა და ეკლიპტიკური კოორდინატული ხაზით შემოსაზღვრულ პარეკლიპტიკის რკალს წარმოადგენს. „რომ სადაობა გამოცხადდეს“, ეს სწორება აკლდება ან ემატება საშუალო მზეს, იმისდა მიხედვით „მზე უმაღლესიდამ დამდაბლებისაკენ მრვილოდეს“ თუ პირიქით.

ტექსტის თანახმად სწორებას „ცომილებიც“ საჭიროებენ, ვინაიდან „იმათი მაკეცის სიარული ქვეყნის ცქიტის გარშემო მოარული არ არის“. ამასთან დაკავშირებით შემოტანილია ე. წ. „მესამე სწორების („მესამე გასწორებულის“) ცნება. ეს სწორება წარმოადგენს პარეკლიპტიკის რკალს, რომელიც საშუალო ხაზითა და სამყაროს ცენტრიდან ეპიკიკლის ცენტრზე გამავალი წრფით შემოისაზღვრება. მზის სწორების ანალოგით, „საშუალო მნათობიდან“ მესამე სწორების მიმარტებით ან გამოცლებით ე. წ. გასწორებული ცენტრი („გასწორებული ცენტრი“) მიიღება. სხვა პლანეტებიდან განსხვავებით, მერქურის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ პლანეტის მმართველი („დამბრუნებელი“) სფეროს აპოგეა და პერიგეა.

მთვარე, რომლის დეფერენცის მოძრაობაც სამყაროს ცენტრის მიშართ თანაბარია („მისი მაგის სიარული ქვეყნის ცენტრის გარშემო მოარული არის“), ამ სწორებას არ საჭიროებს.

ეპიკიკლებთან დაკავშირებით იმავე, მთვარეს და პლანეტებს „სხვა გასწორება აქცისთ“. ამ სწორების საჭიროება ტექსტში შემთხვენაირად არის დასაბუთებული: სამყაროს ცენტრიდან ეპიკიკლის

ცენტრში გამავალი წრფე, რომლისთვისაც შემოღებულია სახელწოდება „გასწორებული ცენტრის წრფე“ („გასწორებულის ცქინის ხაზი“), ცნობილი იქნება მთვარისათვის და პლანეტებისათვის, თუ ცნობილი იქნება პირველის დეფერენციის საშუალო მოძრაობა და დანარჩენების მესამე სწორება. ეს წრფე პლანეტის ცენტრშიც რომ გადიოდეს, მაშინ „სადაობის გამორჩევაში სხუა გასწორება აღარ მოუნდებოდა“, ვინაიდან თვითონ ის იქნებოდა ეკლიპტიკურ კოორდინატთა წრდფე ანუ „სადაობის ხაზი“. სინაზღვილეში გასწორებული ცენტრის წრდფე მხოლოდ ორ შემთხვევაში გადის მნათობის ცენტრზე: ერთხელ — როდესაც მნათობი ეპიციკლის აპოგეაშია, და მეორეჯერ — როდესაც ის პერიგეაში იმყოფება. ეპიციკლის აპოგეის წერტილს, რომელიც „ქვეყნის ცქინიდამ უფრო მოშორებული არის“, ხილულის აპოგეა („მაღლა საჭვრეტელი“) ეწოდება, ხოლო პერიგეის წერტილს, რომელიც ახლო არის — ხილულის პერიგეა („საჭურეტელით მდაბალი“).

მნათობის ეპიციკლზე მოძრაობისას ხილული აპოგეიდან პერიგესკენ, „ხაზი სადაობასა და ხაზს ცქინტი გასწორებულს შუა ერთი კუთხე გაკეთდება“. ვინაიდან დეფერენციები გადაადგილების დროს უპირველის ცენტრი „ხან ქვეყნის ცქინტის დაახლოვდება და ხან თაშორდება, ეს კუთხეც ხან განიერი შეიქმნება, ხან ვიწრო“. ეს გარემოება ახალი სწორების შემოტანის აუცილებლობას განაპირობებს. ივარაუდება, რომ ეპიციკლის ცენტრი დეფერენციის აპოგეაში იმყოფება და, აქედან გამომდინარე, აღნიშნული კუთხის სიღიღე განისაზღვრება ეპიციკლის ყოველ ნაწილში მნათობის მდებარეობის შიხედვით. ამ სწორებას ტექსტის მიხედვით „პირველი სწორება“ („პირველი გასწორება“) ანუ „მარტივი სწორება“ („მარტივი გასწორებული“) ეწოდება.

გარდა ამისა, კუთხის სიღიღე განისაზღვრება დეფერენციის ყოველ ნაწილში ეპიციკლის მდებარეობის მიხედვით და ამ სწორებას „მეორე სწორება“ („მეორე გასწორება“) ეწოდება. პირველი და მეორე სწორების შეჯამებით მიღებულ სიღიღეს კი „გასწორებული სწორება“ ანუ, როგორც ტექსტი აღნიშნავს, „გასწორებულს გასწორება ჰქონიან“.

მთვარის „სადაობა რომ გამოცხადდეს“, თუ მნათობი „მაღლა საჭვრეტელიდამ საჭვრეტელით მდაბლისაკენ მივიღოდეს“, „გასწორებულის გასწორება“ „საშუალო მთვარეს“ („საშუალოს“<sup>32</sup>) აკლ-

<sup>32</sup> რცსულ თარგმანში ამ შემთხვევაში და საერთოდ ხშირად „საშუალოს“ (ე. ი. „საშუალო მნათობის“ ანუ „მნათობის საშუალო მდგომარეობის“) ნაცვლად შეცდომით „საშუალო ხაზი“ იხმარება (იხ. ალი ყუში, გვ. 27—29).

დება, ხოლო თუ მნათობი ხილული პერიგეიდან აპოგეისკენ მოძრაობს, მაშინ ემატება. აქ მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ „მთოვარისა აბრუნებულის ზედათი პირი უულმა იარება“, ე. ი. ზოდიაქოს ნიშნების თანამიმდევრობის საწინააღმდეგო მიმართულებთ მოძრაობს, ხოლო „შევედათი პირი წალმა“, ე. ი. აღნიშნული თანამიმდევრობის თანმხევედრი მიმართულებით. რაც შეეხება პლანეტებს, ვინაიდან მათი ეპიციულების ბრუნვის მიმართულება მთვარის ეპიციკლის ბრუნვის მიმართულების საწინააღმდეგოა, „საშუალო პლანეტიდან“ გასწორებული სწორების შეკრება-გამოკლება შებრუნებულად ტარდება.

როგორც მომდევნო ტექსტიდან ირკვევა, ზოგიერთი მეცნიერი პლანეტების ეპიციულების ცენტრების მდგომარეობას შათი დეფერენციდან საშუალო მანძილის საფუძველზე ფანიხილავდა. ტექსტში მოკლედ არის აღწერილი ეს, როგორც ჩანს, უფრო ახალი მეთოდი, რომელიც ავტორის დადებით შეფასებას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, აქვე ის აცხადებს, რომ „ჩვენ ახალი ზიჯი უწინდელის რიგით გავაკეთოთ; იმ გაცემის შემდეგ თუ რისთვის ვამჯობინეოთ“. კახალ ზიჯში<sup>33</sup>, როგორც შემდგომში დაეინახავთ, ულულბეგის „ზიჯი“ იგულისხმება.

შემდეგ ტექსტი ისევ მნათობის ეპიციულზე მოძრაობის საკითხებს უბრუნდება. ვინაიდან წებისმიერი ცენტრის გარშემო თანაბრად მბრუნავი სფეროს ერთ-ერთი დიამეტრი („ცენტორი“) აუკილებლად („უსაცილოდ“) მიმართულია ამ ცენტრისაჭენ, პლანეტების შემთხვევაში, მათი ეპიციულების ერთ-ერთი დიამეტრი ასევე. „უსაცილოდ“ ეკვანტის ცენტრის („გასწორებით მოარულის ცენტრის“) „პირდაპირ იქნება“. მთვარის ეპიციულისათვისაც თითქოს ანალოგიურ შემთხვევას უნდა ჰქონდეს ადგილი, ვინაიდან მისი „აბრუნებულის ცენტრის სიარული ქვეყნის ცენტრის გარშემო მოარულია“, მაგრამ „გაწილვითა და ანგარიშით გამოუტადებიათ, რომ იმისი კენტორის პირდაპირობა ერთის წინწკლისა არის“. ეს წერტილი, რომელსაც „დიამეტრული დაპირისპირებულობის წერტილი“ („მეპირდაპირე წინწკლება“) ეწოდება, დეფერენტის და სამყაროს ცენტრებზე გამავალი წრფის გაგრძელებაზე მდებარეობს. პერიგეის მხრიდან ის იმავე მანძილით არის დაშორებული სამყაროს ცენტრს, რა მანძილითაც ეს უკანასკნელი აპოგეის მხარეს მდებარე დეფერენტის ცენტრს არის დაშორებული<sup>34</sup>.

<sup>33</sup> რუსულ თარგმანში შეცდომით პლანეტებისათვის ეკვანტის ცენტრის ნაცვლად ისევ „დიამეტრული დაპირისპირებულობის წერტილი“-ა, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ მთვარისათვის არის მიღებული (ალი ყუშჩი, გვ. 29, 30).

თანაბარი მოძრაობის ცენტრების დაზუსტების შემდეგ ტექსტში განმარტებულია ეპიციკლებთან დაკავშირებული მთელი რიგი ცნებები: 1. ეპიციკლის საშუალო აპოგეა („მაღალი საშუალო“) და ეპიციკლის საშუალო პერიგეა („მდაბალი საშუალო“) — ეპიციკლის წრეზე მიმართული დიამეტრით ფიქსირებული წერტილები, რომელთაგან პირველი მაქსიმალურად, ხოლო შეორე მინიმალურად არის დაშორებული ეკვანტრს ცენტრიდან ან დიამეტრული დაპირისპირებულობის წერტილიდან; 2. გასწორებული ანომალია („საკუთარი საჭვრეტელი“) — ეპიციკლის რყალი, რომელიც შემოსაზღვრულია ეპიციკლის ხილული აპოგეის („მაღალი საჭვრეტელის“) წერტილითა და მნათობის სხეულის ცენტრით. ტექსტის თანახმად „პირველს და მეორს გასწორებას სიარულსაც ამის ძალით გამოაცხადებენ“. 3. საშუალო ანომალია („საკუთარი საშუალი“) — ეპიციკლის საშუალო აპოგეის („მაღლა საშუალის“) წერტილითა და მნათობის სხეულის ცენტრით შემოსაზღვრული ეპიციკლის რყალი; 4. მესამე სწორება („მესამე გასწორება“) — ეპიციკლის ხილული და საშუალო აპოვების წერტილებით შემოსაზღვრული რყალი.

აღნიშნულ ცნებებთან ერთად ტექსტი იძლევა მთელ რიგ ცნობებს ეპიციკლის ელემენტების ზოგიერთ დამახსიათებელ თავისებურებებზე. კერძოდ, თუ ეპიციკლის ცენტრი დეფერენცის აპოგეაზე ან პერიგეაზე იმყოფება, ეპიციკლის ხილული და საშუალო აპოგეების წერტილები, ისევე როგორც ხილული და საშუალო პერიგეების წერტილები ერთმანეთს თანხედებიან. გასწორებული ანომალიის („საკუთარი საჭვრეტელის“) ძნიშვნელობის მისაღებად საშუალო ანომალიას („საკუთარ საშუალს“) ემატება ან აკლდება მესამე სწორება, იმისდა მიხედვით თუ სად მდებარეობს ეპიციკლის ცენტრი — დეფერენცის ზედა თუ ქვედა პირველი ნაწილში<sup>34</sup>.

შემდეგ განხილულია ექსცენტრული ანუ გარე ცენტრის და ეპიციკლის სფეროების ზონებად („სასარტყელებად“) დაყოფის საკითხი. როგორც ტექსტი იუწყება, ასტრონომებს „თითო გარეთი ცენტრს ცა და აბრუნებული ცა ოოხ წილად გაუყვიათ. ორი ზედათი ერთმანეთის ტოლი და ორი ქვედათი ერთმანეთის ტოლი“. მაგრამ ზოგიერთი სწავლული ამ კავყოფისას მხედველობაში იღებდა სხვადასხვა მანძილებს („სიშორებს“), ხოლო სხვები — არათანაბარ მოძრაობას. პირველი და მესამე ზონის დასაწყისზე აზრთა სტკაობა არ არსებობდა: როგორც ექსცენტრული, ისე ეპიციკლების სფეროებისათვის — პირველი ზონის დასაწ

<sup>34</sup> ქართულ ტექსტში სიტყვებს „მაღალს“ და „მდაბალს“ რატომღაც დამატებული აქვთ სიტყვა „საჭვრეტელი“, რის გამოც იგულისხმება არა დეფერენცის, არამედ ეპიციკლის ხილული აპოგეა და პერიგეა (აითო, გვ. 46).

ყისი აპოგეებზე, ხოლო მესამე ზონის დასაწყისი პერიგეებზე იგულისხმებოდა. რაც შეეხება მეორე და მეოთხე ზონებს, მანძილთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით მათი დასაწყისი „ის ადგილი იქნება, რომ აბრუნებულში ვარსკვლავი ქვეყნის ცეიტიდამ არც შორის და არც ახლოს; და გარეთის ცეიტში გარეთი ცეიტის კენტორის ნახევარს ქვეყნის ცეიტიდამ სიშორე ჰქონდეს“ (აიათი, გვ. 47). ეპიციულის სფეროს ორი წერტილი, რომელიც სამყაროს ცენტრის შიმართ საშუალო მანძილს ინარჩუნებს („არც შორის იყოს და არც ახლოს“), ამ ჟემთხვევაში სფეროს იმ წრის გადაჭვეთით შიიღება, რომლის ცენტრიც სამყაროს ცენტრს ემთხვევა. ვინაიდან ეს წრე ეპიციულის ცენტრსაც გაიყლის, უხადია, რომ მეორე და მესამე ზონების დასაწყისი წერტილების მანძილი სამყაროს ცენტრამდე იგივე იქნება, რაც ეპიციულის ცენტრისათვის. რაც შეეხება ექსცენტრულ სფეროს, აქ შეორე, და მეოთხე ზონების საწყისი წერტილების დაშორება სამყაროს ცენტრიდან ექსცენტრული სფეროს რადიუსის („ცენტორის ნახევარის“) ტოლ მანძილს შეადგენს.

არათანაბარი მოძრაობის გათვალისწინებით ექსცენტრული სფეროსათვის მეორე და მეოთხე ზონები მიიღება სფეროს იმ წრფის გადაჭვეთით, რომელიც აპოგეის და პერიგეის შემართებელი წრფის პერპენდიკულარულად სამყაროს ცენტრზე გადის („გარეთ ცეიტში ის აღგილი არის, რომ დამდაბლებიდან ერთი ხაზი შემაღლებაში გაატარო, მეორე, ერთი ბორი ქვეყნის ცეიტიდამ განზე გასდვა“). ეპიციულებისათვის აღნიშნული ზონების საწყისები მიიღება სამყაროს ცენტრიდან ეპიციულის მიმართ გავლებული ორი მხები წრფის საშუალებით. ამ წრფეთა და ეპიციულის სფეროს ურთიერთშეხების 2 წერტილი სწორედ მეორე და მეოთხე ზონების დასაწყისს იძლევა.

ეპიციულის ან ექსცენტრული სფეროს აპოგეიდან, რომელიც I ზონის დასაწყისს ემთხვევა, მნათობი თანამიმდევრულად გადის მეორე, მესამე და მეოთხე, ზონების დასაწყისს. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ პირველ და მეორე „სასარტყლეში“ მნათობი „ჩავარდნილია“ და მას „შელმავალი“ ეწოდება, ხოლო მესამე და მეოთხე ზონაში — „ზეით მიმავალი“, „აღმავალის“ სახელწოდებით. აქვე, ე. ი. 49 გვერდზე მოყვანილია ზონებად დაყოფილი ექსცენტრული წრისა და ეპიციულის ნახაზები.

ცაზე მნათობების „სწორმოარულობის“, „გაბრუნების“ და „შელგომის“ ანუ პირდაპირი და პირუცუ მოძრაობებისა და შეჩერების მოვლენები ტექსტში ტრადიციულად დაკავშირებული არის ეპიციულების თეორიასთან. თუ მნათობი ეპიციულის ზედა მხარეს („პირზეით“) მიყოფება, მისი მოძრაობა ზოდიაქოს ნიშნების მიზანების მიმართულებით აჩქარებული ჩანს („იმისი სიარული წალ-

მა სიარულით ჩქარა გამოჩენდება“), ვინაიდან დეფერენცის („მაკის“) და „აბრუნებულის სიარულიც დასაცლეთიდამ აღმოსავლეთისაკენ იქნება... ორივ რომ ერთისვა მხრით მოარული იქნება“. ეპიციკლის ქვედა მხარეში („პირტვევით“) ეპიციკლის და დეფერენცის მოძრაობის მიმართულებები უკვე ურთიერთსაწინააღმდეგო ხდება და მნათობის მოძრაობაც შენელებული ჩაის („მაკის სიარული იქით მხრისაკენ სიარულს დაუშლის და ვარსკვლავის სიარული დაწყნარდება“). შემდეგ მნათობი „ერთს ისეთს აღილს მივა, რა ერთსაც მაკი. იქით გაივლის, აბრუნებულიც აქეთ მეტს ვერ გაივლის და ვარსკვლავის სიარული უძრავად და მფლომად გამოჩენდება“. ეპიციკლის პერიგეიში გავლისას მნათობს „მაკის სიარული ველარ დაუშლის“ და ის პირუკუ მოძრაობას იწყებს („გაბრუნებული შეიქმნება“). პირუკუ მოძრაობაც აჩქარების, ზენელების და შეჩერების სტადიებს მოიცავს („ჩქარა წავა, მერმე კიდევ მდაბლიდან რომ წავა, პირველისებრივ დაწყნარდების, მერმე კიდევ პირველისებრივ შედგების“), რომელსაც ისევ პირდაპირი მოძრაობა მოჰყვება („მერმე ისევ სწორე წავა და გაჩქარდების“). ასე რომ „ამ გზით ვარსკვლავი ორჯერ შემდგარი შეიქმნება... პირველს დამდგარი შემდგარი პირველი ეწოდება, მეორეს დამდგარს შემდგარი მეორე ჰქვიან“.

ჭვეთავის ბოლოს მოყვანილია მნათობთა ეპიციკლების რადიუსებისა და სამყაროს ცენტრიდან დეფერენციების ცენტრამდე შანდილების რიცხვითი მონაცემები (იმ განზომილებაში, რომელშიც დეფერენცის რადიუსი  $60^{\circ}$ -ს შეადგენს): მთვარე —  $5^{\circ}12'$  და  $10^{\circ}23'$ ; სატურნი —  $3^{\circ}29'$  და  $6^{\circ}51'$ ; იუპიტერი —  $2^{\circ}27'$  და  $11^{\circ}47'$ ; მარსი —  $6^{\circ}4'$  და  $39^{\circ}43'$ ; ვენერა —  $52'$  და  $43^{\circ}10'$ . მერკურისათვის ეპიციკლის რადიუსი  $22^{\circ}30'$ -ს შეადგენს, ხოლო მისი დეფერენცის ცენტრის დაშორება სამყაროს ცენტრიდან 3-დან  $9^{\circ}$ -ის ფარგლებში მერყეობს. ტექსტის თანახმად, ეს იმით არის გამოწვეული, რომ დეფერენცის ცენტრი თვითონ მოძრაობს მმართველი სფეროს ცენტრის („დაბრუნებელის ცენტრის“) გარშემო შეიცირაზე, რომელსაც დეფერენცის ცენტრის ორბიტა („მაკის ცენტრის დასაგრძალი“) ეწოდება. ერთ წრფეზე მდებარე სამყაროს ცენტრი და ეკვანტრის („გასწორებით მოარულის“) და მმართველი სფეროების ცენტრები ერთმანეთისაგან თანამიმღევრულად სამ-სამი გრადუსის მანძილით არიან დაცილებული. ვინაიდან დეფერენცის ცენტრის ორბიტას რადიუსიც  $3^{\circ}$ -ს შეადგენს, ერთი სრული შემობრუნებისას ამ ცენტრის დაშორება სამყაროს ცენტრიდან მართლაც 3-დან  $9^{\circ}$ -ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება მზეს, მისი გარე ცენტრის ანუ ექსცენტრული წროს

ცენტრის დაშორება სამყაროს ცენტრიდან  $2^{\circ}1'10''$ -ს შეაღენს, იმ განზომილებაში, რომელშიც გარე ცენტრის წრის რადიუსი  $60^{\circ}$ -თან არის გატოლებული. ეს მონაცემები ალი ყუშის შენიშვნის თანახმად, ავტორისა და, როგორც ეტყობა, მისი სამარყანდელი კოლეგების ერთობლივი კვლევით არის მიღებული („ეს რიგები ჩვენის გაწილვის ანგარიშით არის“). ზოგიერთი მათგანი სხვა მკვლევარების მიერ აღრე მიღებულ შედეგებს თანხვდება („ზოგი წინანდელის გაწილვის მსგავსია“), ხოლო ზოგიერთი კი სრულიად განსხვავებულია (არათი, გვ. 50—52; შდრ. ბირუნი, VI, გვ. 84—85).

მეორე ქვეთავში („იმისი ამბავი ვარსკვლავები რომ მოგანებული შეიქმნება“) მნათობთა განცდების საკითხი არის გამუქებული (არათი, გვ. 52—61). ნაჩერებია, რომ მზის გარდა, ყველა მნათობს ახასიათებს ეკლიპტიკის მიმართ ხან ჩრდილოეთით და ხან სამხრეთით გადახრა, ვინაიდან მათი ეკლიპტიკისადმი დახრილი ღეფერენტის წრები ეკლიპტიკის სიბრტყეს ორ წერტილში ანუ კვანძში („ნძუკვერ“) კვითენ. აღმავალ კვანძს, ე. ი. წერტილს, რომელშიც ზედა პლანეტების და მთვარის ეპიცილის ცენტრი „ჩრდილოს მყრისაკენ წავა ეტლების სარტყლიდამ“, ტექსტის მიხედვით „გველის თავი“ ეწოდება, ხოლო დამზადალ კვანძს — ღიამუტრულად საპირისპიროდ შედებარე და ცკლიპტიკის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადასვლის წერტილს — „გველის ბოლო“. ჰელი ამ შემთხვევაში იმ მითურ დრაკონს გულისხმობს, რომელიც, ძველი წარმოლგენების თანახმად, მზეს თოქავს მზის დაბნელების დროს და რომლის თავს და კულს (ანუ ბოლოს) უკაგშირებდნენ მთვარის კვანძებს, ვინაიდან ამ კვანძებში ხდება დაბნელება. ტექსტში „გველის თავი“ და „ბოლო“ მთვარის გარდა პლანეტებისათვისაც იხმარება ორივე კვანძის („ნძუკვერს“) აღსანიშნავად. ვახტანგი ხვარობს აგრეთვე სიტყვა „გადანასულს“, რომელიც არაპ. „ჭოუზაპირის“ (კვანძების) შესატყვის წარმოადგენს.

მთვარისა და ზედა პლანეტებისაგან განსხვავებით, ქვედა პლანეტებსათვის „თავის“ და „ბოლოს“ წერტილების აღნიშნული წესით წარმოდგენა უკვე აღარ შეიძლება. უნერას აღმავალი და მერკურის დაღმავალი კვანძები სურათების წარმოადგენს, რომლებიც მნათობის გაცლისას შესაბამისად აპოგეისკენ და პერიგეისკენ მიემართებიან, ასე რომ, თითოეული მათგანისათვის აღმავალი კვანძი დაღმავალს ემთხვევა.

დეფერენტის სიბრტყით უმსაღლესი სფეროს („უჭრელო ცის“) გადაკვეთისას მიღებული წრე, რომელსაც დახრილი („მიზეული“) წრე ეწოდება, უკლიპტიკის სიბრტყის მიმართ „განზე გარდავლებული შეიქმნება“. ამიტომაც ასეთ გადახრას ეკლიპტიკის სიბრტყის

მიმართ ავტორი განედად მიიჩნევს, ვინაიდან ამ გადახრის ათველა ეკლიპტიკიდან წარმოებს. აქვე მოყვანილია მნათობის ეკლიპტიკის მიმართ გადახრის ანუ მათი განედების რაცხვითი მონაცემებიც: მთვარე —  $5^{\circ}$ , სატურნი —  $2^{\circ} 30'$ ; იუპიტერი —  $1^{\circ} 30'$ ; გარსი —  $1^{\circ} 20'$ ; ვენერა —  $10'$  და მერკური —  $25' 36''$ .

შთვარისა და ზედა პლანეტებისათვის ეს გადახრა მუდმივია, ხოლო ქვედა პლანეტებისათვის — ცვალებადი. როდესაც ქვედა პლანეტის ეპიცილის ცენტრი ერთ-ერთ კვანძში იმყოფება, ამ დროს მისი დახრილი წრის სიბრტყე ეკლიპტიკის სიბრტყეს თანხვდება („მწერულის ცას სარტყელი ეტლების სარტყელს მიეკვრის“). კვანძში გასვლისას დახრილი წრის ნახევარი მასზე მოძრავი ეპიცილის ცენტრთან ერთად გადაიხრება: ვენერას შემთხვევაში ეკლიპტიკის სიბრტყედან — ჩრდილოეთით. ხოლო მერკურის შემთხვევაში — სამხრეთით. ეს გადახრა თანდათან იზრდება, „სანამდი რომ აბრუნებულის ცენტრი ორის იმ ნაცვლის სწორად ნახევარზე მივიდოდეს“. ამ წერტილიდან მეორე კვანძამდე ეპიცილის ცენტრის მოძრაობისას დახრა თანდათან მცირდება, უშუალოდ კვანძთან სიბრტყეები ერთმანეთს თანხვდებიან და მხოლოდ კვანძის გავლის შემდგომ დახრა სუვ ზრდას აწყებს „პირველისებრივ“. „ამ გზით ლეპველი არის, რომ“ ვენერას ეპიცილის ცენტრი ეკლიპტიკიდან „ნიადაგ ჩრდილოსაკენ იქნება“, ხოლო მერკურის ეპიცილის ცენტრი „ნიადაგ სამხრისაკენ“.

შემდეგ ტექსტი განიხილავს მნათობების სხვა განედებს, რომლებიც ეპიცილებთან დაკავშირდებით არის შემოღებული. აქ გამონაცლის მთვარე შეადგენს, რომელსაც „ერთს მეტი მიზეულობა არა აქვს“, ვინაოდან მისი სამივე წრის (დახრილის, დეფერენტის და ეპიცილის) სარტყელი ერთ სიბრტყეზე მდებარეობს. ჩაც შეეხება პლანეტებს, მათთვის განედის ერთ-ერთი სახეობა მიიღება ეპიცილების პოვერა და პერიგეაზე გამავალი დიამეტრის გადახრით დაფერენტის სიბრტყის ანუ დახრილი წრის მიმართ. ეპიცილის ცენტრის დეფერენტზე მოძრაობისას დიამეტრის ეს გადახრა რამდენიმე შუალედურ ეტაპს გადის: ზედა პლანეტების შემთხვევაში, როდესაც ეპიცილის ცენტრი ერთ-ერთ კვანძში იმყოფება, ეპიცილს „განი არ ექნება“, ვინაიდან მისი სიბრტყე დახრილი წრის სიბრტყეს თანხვდება. კვანძის, კერძოდ, აღმავალი კვანძის გავლის შემდგომ ეპიცილის ხილული პოვერა „სამხრეთისაკენ მიზეული შეიქნება მიწეულის ცისაგან“, ხოლო ჰილული პერიგეა „ჩრდილია-

36 რესულ თარგმანში ვენერას 6', ხოლო მერკურის 45' შეესაბამება (ალი ყუშჩი, გვ. 36).

კენ მიზეული შეიქმნება მიწეული ციდამ“. ეს გადახრა იზრდება და თავის ზღვრულ მნიშვნელობას აღწევს, როდესაც ეპიციკლის ცენტრი „ნასკვებს შუაში მოვა“. შემდეგ გადახრას მნიშვნელობა კლებულობს და დაღმავალ კვანძში ისევ სიბრტყეების თანხვდენას უჭინება ადგილი („აბრუნებულის კენტორი კიდევ მიწეულს ცას ჰვეშ მოვა“). დაღმავალი კვანძის გავლის შემდგომ ეპიციკლის აპოგეა სამხრეთით, ხოლო პერიგეა ჩრდილოეთით იხრება და ამ დახრის ზღვრული მნიშვნელობა იმ მომენტისათვის ფიქსირდება, როდესაც ეპიციკლის ცენტრი კვანძების მეორე შუა წერტილში აღმოჩნდება. ამ წერტილის გავლის შემდგომ გადახრა „მოკლებაში წავა“ და აღმავალ კვანძში ეპიციკლის ცენტრის შესვლისას მისი დიამეტრი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება. როგორც ტექსტშია აღნიშნული, „მას უკან კიდევ ისევ უწინდელს რიგს ავით“ განმეორდება და მუდმივად („ნიაღაგ“) ეპიციკლის აპოგეა დახრილი წრიდან ეკლიპტიკის სიბრტყისაკენ, ხოლო პერიგეა — საწინააღმდეგო მიმართულებით იქნება გადახრილი.

1

რაც შეეხება ქვედა ორ პლანეტას, ეპიციკლის დახრის მიმართულება აქაც პერიოდულად იცვლება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გადახრის ზღვრულ მნიშვნელობას ეპიციკლის ცენტრის კვანძებში ყოფნის დროს აქვს ადგილი. გარდა ამისა, კვანძების შუალედური მანძილის წერტილებიდან ერთი — პლანეტების დეფერენციის აპოგეას და მეორე — პერიგეას თანხვდება. ასე რომ, ეპიციკლის ცენტრის ერთ-ერთ კვანძში ყოფნისას ვენერას ეპიციკლის აპოგეა ჩრდილოეთისაკენ, ხოლო მერკურის ეპიციკლის აპოგეა სამხრეთისაკენ მაქსიმალურად არის გადახრილი (ეპიციკლების პერიგეების გადახრა შესაბამისად საწინააღმდეგო მხარეს იქნება). მეორე კვანძში ეს მაქსიმალური გადახრა ვენერას ეპიციკლის აპოგეისათვის უკვე სამხრეთით იქნება, ხოლო მერკურის ეპიციკლის აპოგეისათვის — ჩრდილოეთით. რაც შეეხება კვანძებს შორის წერტილებს დეფერენციების აპოგეებასა და პერიგეებს სახით, ამ წერტილებში ეპიციკლის ცენტრის ყოფნისას, ორივე შემთხვევაში ეპიციკლის სიპრტყე დახრილი წრის სიბრტყეს თანხვდება.

როგორც ზედა, ისე ქვედა პლანეტებისათვის ეპიციკლის დიამეტრის პერიოდული გადახრებით განპირობებულ განედს „ეპიციკლის აპოგეისა და პერიგეის გადახრა“ უწოდება („მიზეული მალალ საჭრეტელისა და მიზეული დაბლა საჭრეტელისა პერიგეისან“). ამ გადახრების ზღვრული მნიშვნელობა თვითეული პლანეტისათვის ასეთია: სატურნი —  $6^{\circ}$ ; იუპიტერი —  $2^{\circ}46'$ , მარსი —  $2^{\circ}7'$ , ვენერა —  $2^{\circ}30'$  და მერკური —  $6^{\circ}15'$ .


ქვედა პლანეტებისათვის არსებობს კიდევ მესამე განედი, ორშელიც ე. წ. „საშუალო სიშორის“ პერიოდული გაღახრით არის განპირობებული. „საშუალო სიშორე“ წარმოადგენს ეპიციკლის აპოგეისა და პერიგეის შემატებელი დიამეტრის მართობულ დიამეტრს. როდესაც ეპიციკლის ცენტრი აღმავალ ან დაღმავალ კვანძში იმყოფება, ვადახრას არა აქვს აღგილი და „საშუალო სიშორე“ დახრილი წრის სიბრტყეში მდებარეობს („მიწეულის ცის სიფრიფანას ჭვეშ მოვა“). აღმავალი კვანძის გავლის შემდგომ „საშუალო სიშორის“ წინა, ე. წ. დილის ნახევარი („დილისაკენი“) სამხრეთით, ხოლო უკანა. ე. წ. საღამოს ნახევარი („მწუხრისაკენი“) ჩრდილოეთით იხრება. ეს გადახრა მაქსიმუმს აღწევს კვანძებს შუა მდებარე წერტილში, რომელიც ვენერასათვის აპოგეას, ხოლო მერკურისათვის პერიგეას წარმოადგენს. დალმავალი კვანძის გავლის შემდეგ „საშუალო სიშორის“ წინა ნახევარი უკვე ჩრდილოეთისაკენ, ხოლო უკანა ნახევარი სამხრეთისაკენ იხრება. მაქსიმალურ გადახრას ამ შემთხვევაში აღგილი აქვს მეორე კვანძებს შუა მდებარე წერტილში. ტექსტის თანახმად, ამ განედს სამი სახელწოდება აქვს: „გაზაფხულის განედი“ („გაზაფხულის განი“), „მრუდი განედი“ („მრუდი განი“) და „ხვეული განედი“ („ახვეული განი“)<sup>37</sup>. გადახრის რეცხვითი მონაცემი ვენერას განედისათვის  $3^{\circ}30'$ -ს შეაღენს, ხოლო მერკურის განედისათვის —  $7^{\circ}$ -ს.

ქვეთავის ბოლოს მოყვანილია მონაცემები ეკლიტიკაზე მნათობების აპოგეების და პლანეტების კვანძების მდგომარეობის შესახებ. დროის ამოსავალ თარიღებად მოჩენეულია ჰიქრის წელთაღრიცხვით 841 წლის მუჰარამის პირველი, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით 1437 წლის 5 ივლისს შეესაბამება. ეს თარიღი დაკავშირებულია „ახალი ზიქრის“ ე. ი. ულულბეგის „ზიქრის“ შექმნის დროსთან. ვინაიდან აპოგეები და კვანძები „მტკიცეს ვარსკლავებსავით იარებიან“, იგულისხმება, რომ ისინიც  $70^{\circ}$  წელიწადში  $1^{\circ}$ -თ გადაადგილდებიან და აქედან გამომდინარე, 1437 წლის მონაცემები შეიძლება გადათვლილ იქნეს ნებისმიერი შემდგომი წლისათვის. რაც შეეხება აღნიშნულ საწყის მონაცემებს, ტექსტში ნაჩვენებია, რომ ამ დროისათვის მზის აპოგეა შეესაბამება კირჩხიბის  $2^{\circ}26'$ -ს; სატურნის აპოგეა — მშვილდოსნის  $16^{\circ}56'$ -ს; იუპიტერის აპოგეა — ქალწულის  $29^{\circ}32'$ -ს; მარსის აპოგეა — ლომის  $21^{\circ}57'$ -ს; ვენერას აპოგეა — მარჩბივის („ტყუბის“)  $22^{\circ}28'$ -ს. რაც შეეხება კვანძების მდგომარეობას, სატურნის აღმავალი კვანძი თავის აპოგეას წინ უსწრებს

<sup>37</sup> რუსულ თარგმანში მხოლოდ შეორე და მესამე სახელწოდებებია მოყვანილი (იხ. ალი ყუშჩი, გვ. 39).

150°-ით, ხოლო დაღმავალი კვანძი „უკან არის წალმა სიარულით“ 30°-ით. ასევე აღმავალი კვანძი წინ უსწრებს აპოგეას 82°-ით იუპიტერისათვის, 94°-ით — მარსისათვის და 90°-ით — ვენერასათვის, ხოლო მერკურისათვის აღმავალი კვანძი აპოგეას 90°-ით ჩამორჩება. ეს მონაცემები, ტექსტის თანახმად, „ჩვენის გაწილვის ანგარიშით არის“ და „ჩვენში“, ცხადია, სამარყანდელ ასტრონომთა ცნობილი კოლექტივი იგულისხმება.

მესამე ქვეთავი („თქმა ამბოსა რაც ვარსკვლავებს სიგძესა და სიგანეზე მოუხდება“) განიხილავს მნათობების მდგომარეობას გრძელისა და განედის მიხედვით (აიათი, გვ. 61—64).



სურ. 6.— პარალაქსური წანაცვლება. 1. სამყაროს ცენტრი („ქვეყნის ცენტრი“), 2. დედამიწის სფერო („მიწის სფერო“), 3. მნათობის სფერო („ვარსკვლავთ სფერო“), 4. უმაღლესი ცა („მაღალი ცის სიფრიფანა“), 5. ჰეშმარიტი პორიზონტი („შუახმელი ჰეშმარიტი“), 6. ხილული პორიზონტი („შუახმელი სმზერელი“), 7. დაკვირვების ადგილი („ადგილი სახედველი“), 8. ზენიტი („თავის სწორი“), 9. მნათობის ცენტრი, 10. მნათობის ჰეშმარიტი ადგილი („ადგილი ჰეშმარიტი“), 11. დღეღამური პარალაქსი („კუთხე არეული სამზერელი“), 12. მნათობის ხილული ადგილი („ადგილი სამზერელი“)

დედამიწისათან ახლო მდებარე მნათობი, განსაკუთრებით კი მთვარე, ზოგჯერ ისეთ მიღვომარეობაში იმყოფება, რომ დედამიწი-დან ათვლილი მათი გრძელი და განედი ჰეშმარიტ მდგომარეობას არ შეესაბამება. ამ მიზუზის ასახსნელად დაკვირვების უშუალო ადგილმდებარეობიდან („საიდამეც უჭვრეტ იქიდამ“) და სამყაროს ცენტრიდან მნათობის ცენტრში ორი წრფე გაივლება (იხ. სურ. 6). ამ წრფეების ურთიერთგადაქვეთსას „ურთი კუთხე გაკუთდება“,

რომელსაც დღეღამური პარალაქსის კუთხე ეწოდება. ქართულ ტექსტში პარალაქსი, ე. ი. მნათობის ხილული მდგომარეობის ცელი-ლებას დამზერის წერტილის ცელილებისას — „არეული სამზერელი“ ან „არეული საცეკველი“ ეწოდება (როგორც ეტყობა, მომდინარეობს პარალაქსის არაბული სახელწოდებიდან „იხთილაფ მანზარ“, რაც სიტყვასიტყვით „ხედვის სხვადასხვაობას“ ნიშნავს).

მნათობის ხილული ადგილის სიმაღლე („ვარსკვლავის საცეკველი-ტელიდან შემალება“) სწორედ დღეღამური პარალაქსის კუთხით იქნება ნაკლები მნათობის ჭეშმარიტი ადგილის სიმაღლეზე („ჭეშმარიტის სიმაღლიდამ“). ზენიტზე („თავის სწორად“) „ორივ ხაზი ერთმანეთს მიეკვრის, ერთი შეიქმნება“ და ამიტომაც დღეღამური პარალაქსი ნულს გუტოლდება. ზენიტიდან ხილული ჰორიზონტის („სამზერელი შუახმელი“) მიმართულებით დღეღამური პარალაქსის მნიშვნელობა მატულობს და თვით ხილულ ჰორიზონტზე მაქსიმალური („სქესი“) ხდება. აქვე განმარტებულია მნათობის ჭეშმარიტი და ხილული ადგილების ცნებები. პირველი ცის სფეროს („მალლის ცის“) იმ წერტილს წარმოადგენს, რომელსაც სამყაროს ცენტრიდან მნათობის ცენტრში გამავალი წრფე „მისლგომია“, მეორე — ასევე ცის სფეროს წერტილია და სამყაროს ცენტრიდან გამოსულ იმ წრფის დაბოლოებას შეესაბამება, რომელიც დაკაირვების წერტილიდან („საიდამეც რომ უკვერეტთ ვარსკვლავს“) მნათობის ცენტრში გამავალი წრფის პარალელურად არის მიმართული<sup>38</sup>.

მნათობის ჭეშმარიტი და ხილული ადგილების შესაბამის წერტილებზე, მათი კოორდინატების დაზუსტების მიზნით, ეკლიპტიკური განედის ორი წრე („განის გრძალი“) გაივლება. ეს წრეები ერთმანეთს ერწყმიან („ერთმანეთს სწორად დაღვება“), თუ მნათობი „საშუალოს ცის სანახაობის გრძალზე“, ე. ი. ჰორიზონტისა და ეკლიპტიკის პოლუსებზე გამავალ დიდ წრეზე მდებარეობს. ამ დროს მნათობის ჭეშმარიტ და ხილულ ადგილებს შორის გრძედებში განსხვავდება, ე. ი. გრძელური პარალაქსი („არეული სიგრძე“), არ არსებობს, ვინაიდან ორივე ადგილის წერტილი განედის ერთ წრეზე მდებარეობს. სამაგიეროდ ამ წერტილებით შემოსაზღვრული განედის რყალი „ამ დროს არეული სამზერელი“, ე. ი. პარალაქსი იქნება, რომელსაც განედური პარალაქსი („არეული სამზერელი განი“) ან შემოკლებით „არეული განი“) ეწოდება.

<sup>38</sup> ქართულ თარგმანში ცნობა პარალელური წრფის შესახებ გამორჩენილია, და ამიტომაც ხილული ადგილი წარმოდგენილია უშუალოდ დამზერის ადგილიდან. მნათობის ცენტრში გამავალი წრფის დაბოლოებაზე (შდრ. აიათი, გვ. 63 და ალი ყუშჩი, გვ. 41).


ზოგად შემთხვევაში ეკლიპტიკური განედის ორი წრე „ერთმანეთს გასჭრიან და ეტლების ცასაც თითო ისინი ორის წინშექლით გასჭრიან“ (ერთმანეთის „გაჭრა“ ამ შემთხვევაში, ცხადია, ეკლიპტიკის პოლუსებზე განედის წრეების ურთიერთგადაკვეთას გულისხმობს). ამ დროს მნათობის ხილული აღგილი გრძელზე „ჰეშმარიტის აღგილის ოდენი არ იქნება, და რაც ეტლების სარტყლის მშეილდი ამ ორს განის გრკალის შუა დარჩება“, იმ რკალს ვრძედური პარალაქსი („არეული სიგრძე“) ეწოდება.

შემდეგ ტექსტში აღნიშნულია, რომ მნათობის ხილული აღგილის განედი ზოგჯერ შეიძლება ჰეშმარიტი აღგილის განედზე მცტი იყოს, ზოგჯერ კი ნაკლები. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც არ უნდა იყოს („როგორც რომ იყოს“), ეს მეტნაკლებობა განედური პარალაქსი იქნება. გამონაკლის მხოლოდ ის შემთხვევა შეაღენს, როდესაც მნათობის ხილული აღგილის განედი ჰეშმარიტი აღგილის განედის ტოლია და, ცხადია, რომ მნათობის განედური პარალაქსი ნულის ტოლია („ამ დროს ვარსკვლავს არეული განი არ ექნება“). თუ მნათობი ეკლიპტიკაზე მდებარეობს და ეს უკანასკნელი ზენიტზე გადის („თავის სწორად გამვლელი იყოს“), განედური პარალაქსი ისევ ნულის ტოლია. მხოლოდ ამ შემთხვევაში მნათობის პარალაქსი ზუსტად გრძედური პარალაქსი იქნება („არეული აღგილი სწორად როგორც რომ არეული სიგრძე არის, ისე იქნება“).

განხილული ქვეთავი, მიუხედავად საკმაოდ რთული შინაარსისა, ვახტანგის მიერ ფაქტობრივად უნაკლოდ არის თარგმნილი. ამასვე ვერ ვიტყვით რუსულ თარგმანზე, რომელიც მთელ რიგ უზუსტობებს შეიცავს. აქ რატომდაც ეკლიპტიკური განედის ორ წრესთან დაკავშირებით ნახაზია მითითებული, რომელიც სინამდვილეში ტექსტის წინა ნაწილს განეკუთვნება და, ბუნებრივია, რომ ამ წრეებს არ შეიცავს. რუსული ტექსტის მიხედვით აღნიშნული წრეები მითოთებულ ნახაზზე კი არ უნდა დაფიქსირდეს, არამედ წარმოსახვით მკითხველმა ისანი სივრცეში უნდა გაიაზროს. ეკლიპტიკის და პორიზონტის პოლუსებზე გამავალი დიდი წრე (ე. წ. „საშუალი ცის სანახაობის გრძალი“), წარმოდგენილია როგორც სრულიად განსხვავებული ცნების მომცველი — „ცის სფეროს ხილული ნახევრის შუალი“ (პირველი დიდი წრეა, ხოლო მეორე, უთუოდ ზენიტს გულისხმობს). ასევე შეცდომით ტექსტში მნათობის ხილული აღგილი იგივეა, რაც „მნათობის ხილული ეპიციკლის აღგილი“. ეს დაშვებული უზუსტობები თავის შერიც გავლენას ახდენს ქვეთავის მთელ შინაარსზე და ძალზე აძნელებს. ავტორისეული ინფორმაციის სწორად გაგებას.

მეოთხე ქვეთავი („ვარსკვლავთ რაც დაემართებათ ერთმანეთი-საგან“) ეძღვნება იმ მოვლენებს, რომლებიც სიერცეში მნათობთა ურთიერთგანლაგებასთან არის დაკავშირებული (აიათი, გვ. 64—71).

პრეველ რიგში განხილულია მთვარის მდგომარეობა მზის მიმართ. მთვარე აქვთ წარმოლენილია როგორც თავისთავად ბნელი სხეული, რომლის „სფეროსებრივი“ ზედაპირის ნახევარს მზე მუდმივად ანათებს („რაც პირი მზისაკენ აქუს — ნათელია, და რომელიც პირი მზისაკენ არ აქუს და ის უნათლოა“). დედამიწის გარშემო მოძრაობისას მზით განათებული ნაწილი მთვარის ადგილმდებარეობის მიხედვით სხვადასხვანაირად ჩანს. მზესთან შეერთებაში, ე. ი. როდესაც ამ ორი მნათობის ეკლიპტიკური კოორდინატები ერთმანეთს თანხვდება, მთვარის სფეროს „მზის მიუწიდომელი ადგი-



სურ. 7. — მთვარის ფაზები. 1. მზე („მზის გვამი“), 2. დედამიწის სფერო („მიწული სფერო“), 3. პირველი კვადრატურა („მეოთხე კუთხე პირველი“), 4. მეორე კვადრატურა („მეოთხე კუთხე მეორე“), 5. პირისპირ დგომა („მიგებება“), 6. შეერთება („შეერთება“)

ლი ჩვენკენ იქნება“ და „მთვარისეული სინათლე სულ არ გამოჩნდება“. შეერთების შემდგომ, როდესაც მთვარე დაახლოებით „თორმეტს მენაკის ოდენ მზის მოშორებით“ გადადგილდება, მისი განათებული ნახევრის მცირე ნაწილი გამოჩნდება, რომელსაც „დრეკილი“ ჰქვიან და ახალი მთვარეც; შემდგომ მოძრაობისას „ჩვენგან სანახავი სფერო თანდათან ნათელს მოიმატებს“ და როდესაც მთვარე „მზის პირდაპირ“, ე. ი. პირისპირ დგომის პოზიციაში აღმოჩნდება, დედამიწისგან მთლიანად გამოჩნდება მთვარის განათებული ნახევარი („სულ ჩვენკენ განათებული იქნება, იმას გავსებული ჰქვი-

ან“). პირისპირ დგომიდან კვლავ შეერთებამდე გასავლელ გზაზე შებრუნებულ პროცესს („ნათლის მოქლებას“) ექნება ადგილი და თანაც ამ შემთხვევაში, ვინაიდან „მზის პირდაპირი სხვა მხარე შეიქმნება“, ნამგალი მთვარის ამოზნექილობა უკვე საწინააღმდეგო მიმართულებით იქნება (იხ. სურ. 7).

შემდგა მზის, მთვარის და დედამიწის სივრცეში ურთიერთგანლაგებასთან დაკავშირებით განხილულია მზისა და მთვარის დაბნელების მომენტები. მზის დაბნელებას („მზის მოფარება“ — ან „მზის დაბნელება“) ადგილი აქვს მთვარის ორბიტის აღმავალი და დაღმავალი კვანძის („ნასკვეზე ვთამან გველის თავსა და ან გველის ბოლოზე“) მახლობლად. მთვარის მზესთან შეერთების დროს, როდესაც „მთვარე ჩუენს თვალს წინ მზეს შუა დაფარებული შეიქმნება“, განახლვავებენ სრულ და ნაწილობრივ დაბნელებას. მზის დასკონზე დაპნელება ბინდის გადაკვრის სახით („სიბნელე მოშაოთ მზის პირზე“) დასავლეთიდან აღმოსავლეთით ვრცელდება და „განათლებასაც იქიდამ დაიწყებს“. მზისაგან განსხვავებით მთვარის დაბნელებას ადგილი აქვს მთვარის კვანძების მახლობლად მთვარის მზისადმი პირისპირდგომის დროს, როდესაც „ქვეყანა მზესა და მთვარეს შუა დარჩება და მთვარეს მზისაგან შუქის მიღებას დაუშლის“. ამ შემთხვევაშიც დაბნელება შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი („ნაკლები“), ხოლო მზისაგან განსხვავებით, „დაბნელებაცა და განათლებაც ორივე მთვარის აღმოსავლეთის მხრიდამ დაიწყება“.

მომდევნო ტექსტში ნათქვამია, რომ „მზე ნიაღაგ მთოვარის უმაღლესსა და აბრუნებულის ცეტიტის საშუალ არის“. ამ დებულების დასაჭირებულებლად მოყვანილია ის მდგომარეობა, როდესაც მთვარის ეპიციკლის ცენტრი, მთვარის აპოგეა და მზის ცენტრი ერთდროულად იმყოფებიან ეკლიპტიკის ერთ წერტილში, კერძოდ ვერძის საწყისში. აქედან ერთ დღელაშეში ეპიციკლის ცენტრი თავისი დეფერენციის მოძრაობით „წალმა“ (ე. ი. ზოდიაქოს ნიშნების მიმდევრობის თანხვდენილად) გადააღილდება  $24^{\circ}22'$ -ის ტოლი რყალური მანძილით. ამავე დროს დახრილი და ბირთვისებრი („მიწეული და გარდაჯვარედინებული“) სფეროები მთვარის აპოგეასა და ეპიციკლის ცენტრსაც „თავის სიარულის ოდენს უკუაბრუნებენ თერთმეტს მენაკა თორმეტ წამის“. „ამ გზით“, როგორც აღნიშნულია ტექსტში, ეპიციკლის ცენტრი მზეს  $13^{\circ}10'$ -ით<sup>39</sup> დაშორდება ( $24^{\circ}22' - 11^{\circ}12' = 13^{\circ}10'$ ). ვინაიდან მზის

<sup>39</sup> ტექსტში შეცდომით „ცამეტი მენაკი და თორმეტი წამი“ არის მოყვანილი (აიათი, გვ. 68).

ცენტრიც დღელამეში „წალმა სიარულით“ 59'-ს გადის, ის ამდენი მანძილით მიუახლოვდება ეპიციკლის ცენტრს და დაშორდება მთვარის აპოგეას. საბოლოო ჯამში მზის „სიშორე“ როგორც ეპიციკლის ცენტრიდან, ისე მთვარის აპოგეიდან  $12^{\circ}11'$  იქნება ( $13^{\circ}10' - 59' = 12^{\circ}11'$  და  $11^{\circ}12' + 59' = 12^{\circ}11'$ ). ე. ი. „რაც სიშორე უმაღლესიდამ მზის ცენტრამდია, იმდენი მზის ცენტრიდამ აბრუნებულის ცენტრამდია“. მაშასადამე, „უმაღლესიდამ აბრუნებულის ცენტრამდი ორი იმთონი იქნება“ და სწორედ ამიტომაც მთვარის აპოგეას დაშორებას ეპიციკლის ცენტრიდან გაორკეცებული დაშორება ეწოდება.

აქედან გამომდინარე, ტექსტის მიხედვით მთვარის ეპიციკლის ცენტრი შეერთებასა და პირისპირ დგომაში („შეერთებასა და გაპირდაპირებაში“) მუდამ აპოგეაში იქნება, მზის კვადრატურაში („მზის ოთკუთხით შეხედვა“) — პერიგეაში და „თითო მობრუნებაზე ორჯელ უმაღლესსა და ორჯელ დამდაბლებაში მივა“<sup>40</sup>. მზის მსგავსად („როგორც ამას ზეთ მზისა ვთქვით“) ასევე მერყურის მმართველი („დაბრუნებული“) სფეროს აპოგეაც „აბრუნებულის ცენტრსა და მაკას უმაღლეს შეა“ იმყოფება. ამ დებულების დასამტკიცებლად განხილულია ისეთი საწყისი მდგომარეობა, როდესაც მერყურის ორი აპოგეა და ეპიციკლის ცენტრი ერთდროულად იმყოფებიან ეკლიტიკის ერთ წერტილში. დეფერენტის „წალმა“ მოძრაობით ეპიციკლის ცენტრი დღელამეში „ორ იმთონს...გაივლის“, „რა ერთსაც მზის გარეთი ცენტრი“. ვინაიდან მზის გარე ცენტრის დღელამური გადაადგილება 59'-ს შეადგენს, დეფერენტისა და ეპიციკლის ცენტრის მიერ გავლილი მანძილი  $1^{\circ}58'$  იქნება. ამავე დროს მმართველი სფერო დეფერენტის აპოგეას აიძულებს<sup>40</sup>  $59'$ -ით გადაადგილდეს საწინააღმდეგო მიმართულებით და „აბრუნებულის ცენტრსაც ამავ ღდენს უკუაბრუნებს“. ამის შედეგად მმართველი სფეროს აპოგეის სათითაო მანძილი დეფერენტის აპოგეამდე და ეპიციკლის ცენტრიდე „მზის გარეთის ცენტრის ღდენი“, ე. ი.  $59'$  იქნება. ამასთან დაკავშირებით ცხადი ხდება („გამოცხადდა“), რომ სანამდის მმართველი სფეროს აპოგეას მოცილებული („გაყრილი“) ეპიციკლის ცენტრი ისევ ამ აპოგეას დაუბრუნდება, მანამდის ის ორჯერ გაივლის დეფერენტის აპოგეასა და პერიგეაზე.

მზისა და პლანეტების ურთიერთგანლაგებასთან დაკავშირებით ტექსტში აღნიშნულია, რომ ზედა პლანეტების ცენტრების მანძილი

<sup>40</sup> რუსულ თარგმანში ისეა წარმოდგენილი, თითქოს მმართველი სფეროს აპოგეა ზემოქმედებს დეფერენტზე რაც სწორი არ არის (იხ. ალი უშჩი, გვ. 44).

ეპიციკლების აპოგეამდის ყოველთვის ტოლია მზის ცენტრიდან ეპიციკლის ცენტრამდე<sup>41</sup> მანძილისა. აქედან გამომდინარე, მზისა და პლანეტების შეერთებას ყოველთვის აღგილი უნდა ჰქონდეს ეპიციკლის აპოგეაში და პლანეტების პირდაპირი მოძრაობის შუა ეტაპზე („შუა გამართვით მიმავლობაში“), ხოლო პირისპირ დგომას — პერიგეაზე და უკუმოძრაობის შუა ეტაპზე („შუას გაძრუნებაში“). აქ ჟურალებას იქცევს მზისა და პლანეტების შეერთების აღსანიშნავად ქართულ ტექსტში გამოყენებული ტერმინი „დაწვა“. მზესთან პლანეტების შეერთების დროს პლანეტების მხედველობის არიდან გაქრობა მზის სხივებში მათი დაწვის მსგავს მოვლენას წარმოადგენს და ეს ტერმინიც სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს.

ქვეთავის ბოლოს მოკლედ არის განხილული ცაზე პლანეტების ხილული მოძრაობის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება. ზედა პლანეტებთან შეერთებაში შეიძლება მყოფი მზე რაღვანაც „უფრო ჩქარი მოარულია“, „წალმა სიარულით“ (ე. ი. დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით) ან პლანეტებს სცილდება და მაშინ პლანეტის დამზერა შეიძლება დილით აღმოსავლეთის მხარეზე. ასეთ პლანეტას „აღმოსავლური“ ეწოდება, სანამ ის მზეს  $60^{\circ}$ -ით „მოშორდებოდეს“ (ზოგიერთის შესეღულებით —  $90^{\circ}$ -ით). როდესაც მზე პლანეტის დასავლეთიდან მიუახლოვდება  $60^{\circ}$ -ზე (ზოგიერთის აზრით  $90^{\circ}$ -ზე) ნაკლები მანძილით, ასეთ პლანეტას „დასავლური“ ეწოდება (აქ ტექსტი გულისხმობს, რომ ის მზის ჩასვლის შემდეგ გამოჩნდება დასავლეთ მხარეზე). რაც შეეხება ქვედა პლანეტებს, რომლებიც უფრო „ჩქარი მოსიარულე არიან“, თვითეულის ეპიციკლის ცენტრი და მზის ცენტრი, ისევე როგორც მათი საშუალო ხაზები, „ყოველთვის მახლობელი არიან“. ამიტომ, როდესაც ეს პლანეტები პირდაპირი ან პირუკუ მოძრაობის შუა სტადიაში იშკონდებიან, ადგილი აქვს მათ შეერთებას მზესთან. პირდაპირი მოძრაობის (და არა შეჩერების, როგორც ეს ყველგან შეცდომით არის წარმოდგენილი ქვეთავის ამ ნაწილში) შუა სტადიის შემდგომ პლანეტები სცილდებიან მზეს და „დასავლეთისაკენ გამოჩნდებიან“ „დასავლურის“ სახელწოდებით. პირუკუ მოძრაობის შუა სტადიის შემდგომ მზისაგან დაცილებული პლანეტები კი უკვე „აღმოსავლურის“ სახელწოდებით დამზირებიან აღმოსავლეთის მხარეს.

მეორე კარი („მიწის ქმნულების გამოცხადება და იმათის გაყოფისა და იულიშების გამოცხადება, რაც რომ იქნება ზედათებიდამ“)

41 ქართულ თარგმანში შეცდომით მზის ცენტრი ეპიციკლის აპოგეასთან მომართებაში არის წარმოდგენილი (ითა, გვ. 71).

დედამიწას ეძღვნება და, როგორც სათაუროდან ჩანს, განიხილავს. დედამიწის აგებულებას, მის კლიმატებად („იყლიმებად“) დაყოფას და დედამიწის მნათობებთან („ზედათებთან“) ურთიერთკავშირით განპირობებულ საკითხებს. როგორც სათაურშივეა აღნიშნული, ეს კარი 11 თავს შეიცავს.

პირველ თავში („მიწის ქმნულება და შვილის იყლიმის ხენება“) მოყვანილია ცნობები დედამიწის დასახლებულ ნაწილზე, მის საზღვრებზე და 7 კლიმატურ დაყოფაზე (აიათი, გვ. 72—76). რადგანაც დედამიწის ცენტრი სამყაროს ცენტრს წარმოადგენს, ცის ეკვატორის „ჩამოსწვრივ ერთი ხაზი მიწაზე უნდა ვიდისტროთ“ და ეს წრე დედამიწის ეკვატორი („მართლა სწორი ხაზი“) იქნება. ეკვატორით და მის პოლუსებზე გამავალი დიდი წრით დედამიწა ოთხ ტოლ მეოთხედად იყოფა. ჩრდილოეთის მეოთხედებიდან ერთ-ერთი ოკუმენას ანუ დასახლებულ მეოთხედს („რუბი სამყოფს“) წარმოადგენს, „მაგრამ ისიც სრული შენი არ არის“. ჩრდილოეთისაკენ, იმ ადგილებში, რომელთა განედიც „ერთპირ მიზეულის შესასრულის“ ე. ი.  $66^{\circ}29'34''$ -ის მნიშვნელობაზე მეტია, „სიცივის ძალით“ მაცხოვრებლები არ არიან. ასევე სხვა ადგილებში მთებს, ზღვებს, დიდ მდინარეებსა და ტყეებს დიდი აღვილი უკავიათ. ზღვებსა და ოკეანეებში ბევრი — „შენი და უშენი“ კუნძულებია, რომელთა შესახებ უფრო სრული ცნობების მისაღებად ავტორი მიუთითებს „მასლიქისა და მამალიქის წიგნებზე“<sup>42</sup>. ეკვატორის სამხრეთითაც „ცოტა რამ შენობა უპოვნიან“, მაგრამ მცირერიცხოვნების გამო „ანგარიშში არ ჩაუგდიათ“.

რაც შეეხება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზღვრებს, ავტორს მიაჩინია, რომ ამ საკოთხზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ძველ ბერძნებს („ათინელთ“) „შენობის“ საწყისი გრძელი „დასავლეთის მხრიდან დაუჭერიათ და ქალაქების სიშორე იქიდამ დაუწყიათ“. ვინაიდან ამ მიმართულებით მოძრაობენ ზოდიაქოს თანავარსკელაველებიც. ინდოელი სწავლულები კი ცის ეკვატორის დღელამური მოძრაობის მიმართულების მიხედვით საწყისი გრძელი აღმოსავლეთიდან, ე. წ. „ქონგი ზარიდან“ აითვლიდნენ („ქონგი ზარი“ — როგორც ეტყობა. მითოურ ციხესიმაგრე „ქანგდიზ“ ნიშნავს, რომელსაც მართლაც მიიჩნევდნენ დასახლებული მეოთხედის უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტად — იხ. კრაჩქოვსკი, გვ. 529). პტოლომე („ბეთლამიუს“) და მისი მოწაფეები საწყისი გრძელს დასავლეთიდან ე. წ. ხალიდათის კუნძულებიდან აითვლიდნენ. ავტორის დახასიათებით ეს

<sup>42</sup> „ვა-მასალიქ ვა-ლ მამალიქ“, ე. ი. „გზების და ქვეყნების“ წიგნები — აღმოსავლური აღწერითი სახის გეოგრაფიული თხზულებები.

ჭუნწულები „ერთ დროს შენობა ყოფილა და ეხლა ოხერია... იქიდამ დასავლის ზღვის ნაპირამდი ათი დარაჯა არის“. ზოგიერთი სწორედ „დასავლის ზღვის ნაპირს“ მიიჩნევდა უკიდურესი დასავლეთის აღგილმდებარეობად, მაგრამ უმრავლესობა მაინც საწყის გრძელს ხალიდათს ჭუნწულებს უკავშირებს.

„მცულნეთაგან“ ერთნაირად მიღებულია, რომ ერთი კლიმატის ყველაზე დიდი დღის ხანგრძლივობა წინა ან მომდევნო კლიმატის უდიდესი დღის ხანგრძლივობას ნახევარი საათით აღმატება ან ჩამორჩება და რომ ეკვატორზე ამ უდიდესი დღის ხანგრძლივობა ზუსტად 12 საათს შეადგენს.

ქვეთავის ბოლოს ავტორს სქემატურ ნახაზთან ერთად თვითეული კლიმატის დასაწყისისათვის მოჰყავს შესატყვისი განედისა და მასთან დაკავშირებული უდიდესი დღის ხანგრძლივობის ის მნიშვნელობები, რომლებიც მისი აზრით ყველაზე ზუსტად ასახავენ საქმის ნამდვილ ვითარებას. ეს ზონაცემები, თუ ლათინური ასოებით კლიმატების რიგით ნომერს აღვნიშნავთ, შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: I— $12^{\circ}40'$  და 12 სთ 45 წთ; II— $2^{\circ}27'30''$  და 13 სთ 15 წთ; III— $27^{\circ}30'$  და 13 სთ 45 წთ; IV— $30^{\circ}37'30''$  და 14 სთ 15 წთ; V— $38^{\circ}54'$  და 14 სთ 45 წთ; VI— $53^{\circ}22'30''$  და 15 სთ 15 წთ; VII— $47^{\circ}12'$  და 15 სთ 45 წთ. 1

მეორე თავი („მართლა სწორი ზაზის ნიშატი“), როგორც სათაურიდან ჩანს, დედამიწის ეკვატორის „ხასიათს“ ან, უფრო ზუსტად. იმ თავისებურებებს ეძღვნება, რაც ახასიათებს ე. წ. პირდაპირ სფეროს („სფერო სწორედ მდგომი და სფერო რიგზე მდგომი“), ე. ი. ცალ სფეროს კოორდინატების ეკვატორული სისტემით, რომელიც დედამიწის ეკვატორიდან დამზირება.

ნაჩვენებია, რომ დედამიწის ეკვატორზე განლაგებული ნებისმიერი პუნქტისათვის ცალ ეკვატორის წრე ზენიტზე გადის, ცალ ეკვატორის ორი პოლუსი პორიზონტზე მდებარეობს, ხოლო პორიზონტის წრე დღელამურ პარალელებს „სწორად შუა ორად გასჭრის და ერთი ნახევარი ზეით დარჩება და ერთი ნახევარი ქვეით“. ამის გამო დღე და ლამე „ნიადაგ სწორი იქნება და ყოველს ვარსკულავს აღმოსვლა და ჩასვლა ექნება“.

შემდეგ აღნიშნულია, რომ: „ცას იმ თემებში სფეროს სწორედ მდგომი ჰქვიან. ამისათვის რომ ცას ბრუნვა ჩალხსა ჰგავს“. ეკლიპტიკის სარტყელი ვერძის და სასწორის საწყისებით დღე-ლამეში ორჯერ გაივლის ზენიტზე და ამ დროს ეკლიპტიკის ორივე პოლუსი და შზებუდობათა კოლური პორიზონტს თანხვდება. დანარჩენ დროს ეკლიპტიკის ყველა ნაწილი ვერძის საწყისიდან სასწორის საწყისამდე

ზენიტის ჩრდილოეთით, ხოლო სასწორის საშუალებან ვერძის საწყი-  
სამდე ზენიტის სამხრეთით გაივლის. პირველ შემთხვევაში ეკლიპტი-  
კის ჩრდილოეთი პოლუსი „მრწას ქვეშ“ და სამხრეთით პოლუსი „მრ-  
წას ზეთ“ იქნება, ხოლო მეორე შემთხვევაში შებრუნებული მდე-  
ბარეობა მიღება. პოლუსების გადახრის ზღვრული მდგომარეობა  
რიცხობრივად სრული დახრილობის ტოლი იქნება. ამ დროს მზე-  
ბულობათა კოლური ცის მერიდიანს („საშუალეოს“) თანხვდება.  
ხოლო მერიდიანის იმ წერტილებში, სადაც ზენიტიდან ჩრდილოეთით  
ან სამხრეთით ეკლიპტიკის უდიდეს გადახრას აქვს ადგილი, პირველ  
შემთხვევაში კირჩხიბის, ხოლო მეორე შემთხვევაში თხისრქის საწ-  
ყისი იქნება მოთავსებული.

შემდეგ ტექსტში განხილულია ის თავისებურებები, რომელნიც  
ეკლიპტიკაზე მზეს წლიურ გადაადგილებასთან არის დაკავშირებუ-  
ლი. აღნიშნულია, რომ მზე ორჯერ გადას დღელამტოლობის წურტი-  
ლებს და შესაბამისად „წელიწადში ორჯერ მზე იმ ადგილებში თა-  
ვის სწორად გაივლის“. ამ შემთხვევაში „შუა დღის დროს კაცს იქ  
ჩრდილი არ ექნება“, ხოლო „წელიწადში სხვას დღებში ნახევარში  
ჩრდილი სამხრეთისაკენ ექნება, ნახევარში ჩრდილოეთისაკენ ექ-  
ნება“.

სხვა ადგილებისაგან განსხვავებით, ეკვატორს წელიწადის რვა  
დრო ანუ: სეზონი („არე“) შეესაბამება: ორი ზაფხული წყება, რო-  
დესაც მზე დღელამტოლობის 2 წერტილს მიაღწევს: ორი ზამთარი,  
როდესაც მზე მზებულობათა ორ წერტილს მიაღწევს; ორი შემოდ-  
გომა, როდესაც მზე კუროს და ღრიანკლის შუა ადგილებს მიაღ-  
წევს და ორი გაზაფხული, როდესაც მზე ლომის და მეტყულის  
შუა ადგილებს მიაღწევს.

აქვე მოყვანილია აღმოსავლურ წრეებში გავრცელებული შეტე-  
ლულება, რომლის თანახმადაც დედამიწის ეკვატორზე კლიმატი  
ზომიერი („შუათანა“) და წლის სეზონები ერთმანეთის მსგავსი უნდა  
იყოს. აკტორი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ  
ეკვატორზე მდებარე პუნქტები — სულანის („სულანის“) ჩრდილოეთი  
მხარე, ბერბერების („ბარბარას“) დაბლობი, ეგვიპტის („მისრის“)  
ჩრდილოეთი, აბისინიის („აბაშის“) და შავკანიანთა („ზანჯის“) ქალა-  
ჭები, ცეილონის („სარანდიბის“) სამხრეთი — ესეები სულ ცხელი  
ალაგებია“.

მესამე თავში („მიზეულის შუახმელის ნიშატი“) ე. წ. დახრილი  
პორიზონტების („მიზეულის შუახმელი“) მახასიათებლები განიხილე-  
ბა (აიათი, გვ. 80—83). დახრილ პორიზონტში იგულისხმება ყველა  
იმ ადგილმდებარეობის პორიზონტი, სადაც ცის ეკვატორი ზენიტზე  
არ გადის და ცის სფეროს დღელამტურ მოძრაობას იჩიბი („ალმედი“),

ზენიტის შიშვართ დახრილი ხასიათი აქვს („რასაც აღგილს დღის გამასწორებელი... თავის სწორად რომ არ იყოს და თავის სწორედამ მიზეული იქნება“). დღედამიწის როგორც ჩრდილოეთ ისე სამხრეთ ნახევარსფეროებისათვის წარმოდგენილია ამ ჰორიზონტების 5 ძირითადი სახეობა („რიგი“) გეოგრაფიული განედის (φ) შემდგომი მასასიათებლებით: 1.  $\phi < \varepsilon$ ; 2.  $\phi = \varepsilon$ ; 3.  $\varepsilon < \phi < 90^\circ - \varepsilon$ ; 4.  $\phi = 90^\circ - \varepsilon$ ; 5.  $90^\circ - \varepsilon < \phi < 90^\circ$  (საღაც  $\varepsilon = 23^\circ 30'$  ეკლიპტიკის უდიდესი დახრა ანუ „ერთპირ მიზეულია“, ხოლო  $90^\circ - \varepsilon = 66^\circ 30'$  უდიდესი დახრის დამატება  $90^\circ$ -მდე ანუ „ერთპირ მიზეულის შესასრულია“).

ასეთი ჰორიზონტებისათვის როგორც „მიწას ზეით“, ისე „მიწას ქვეშ“ სამყაროს პოლუსის სიმაღლე ჩერ ადგილის განედის ტოლია (ე. ი.  $h_p = \phi$ ). ეს ჰორიზონტები ეკვატორს ყოველთვის ორ თანაბარ, ხოლო დღელამურ პარალელებს („დღის დასაგრკალებს“) კი არათანაბარ ნაწილებად ჰყოფენ. იმ დღელამურ პარალელებს, რომელთა ეკვატორული მანძილი („სიშორე დღის გამასწორებელიდამ“) ანუ დახრილობა „განის შესასრულს“ ( $90^\circ - \phi$ ) აღემატება ან უტოლდება, „შუაჭმელი ვერ გასჭრის“. ასეთი დღელამური პარალელები ჩრდილოეთ პოლუსის („სახილველის დერძისთავის“) მხარეს მუდმივად ხილვად, ხოლო სამხრეთ პოლუსის („უნახავის ლერძისთავის“) მხარეს მუდმივად უხილავს პარალელებს განეკუთვნებიან. ტექსტში მათთვის საგანგებო სახელწოდებებიც არის მოყვანილი: „სანახავი დასაგრკალი“ და „უხილავი დასაგრკალი“.. სიტყვიერად ჩამოყალიბებული ხილვადობის ან უხილავობის პირობა ანუ მნათობთა ჩაჭკლელობის ან ამოუსვლელობის პირობა, მათემატიკური სიმბოლოებით შეიძლება ასე გამოისახოს:  $|\phi| \geq 90^\circ - \phi$ .

დანარჩენ დღელამურ პარალელებს ჰორიზონტი ორ ნაწილად ჰყოფს. „ზედათი სანახავი წილი“ დღელამური პარალელის ჰორიზონტის ზემოთ მდებარე ნაწილს აღნიშნავს, ხოლო „უნახავი წილი“ — ჰორიზონტის ქვემო მდებარე ნაწილს. ნაჩვენებია, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარე პარალელებში („რომელიც სახილველის ლერძის თავის მხარეს არის“), „ზედათი სანახავი წილი უნახავის წილისაგან უფრო იქნება“, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროსათვის („უნახავის ლერძის თავისკენ“) შებრუნებული სურათი მიიღება. ეკვატორიდან სხვადასხვა მხარეს ტოლი მანძილით დაშორებულ პარალელებში ერთის „სანახავის დასაგრკალი“ მეორის „უნახავის დასაგრკალის ტოლი იქნება“. ეკვატორის ჩრდილოებით მდებარე ორი დღელამური პარალელის „სანახავი დასაგრკალებიდან“ ის უფრო

ფაზი იქნება, რომელიც შეტატორიდან „უფრო მოშორებით არის“, ხოლო ეკვატორის სამხრეთით მდებარე პარალელებისათვის შებრუნებული სურათი მიიღება. ამ დებულების მაგალითად მოყვანილია ის დღელამური პარალელები, რომლებიც მზის ზაფხულისა და ზამთრის მზებულობათა წერტილებში ყოფნას შეესაბამება (პირველ შემთხვევაში უკვატორის ჩრდილოეთი მდებარე დღელამური პარალელებიდან უკველაზე უფრო დიდი „სანახავი დასაგრძალით“ უკიდურესი, ე. ი. ზაფხულის მზებულობის წერტილის შესაბამისი პარალელი ხასიათდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ე. ი. უკვატორის სამხრეთ მდებარე პარალელებისათვის უკველა მცირე „სანახავი დასაგრძალი“ ისევ უციდურეს, ზამთრის მზებულობის წერტილის შესაბამის პარალელს აქვს).

დღელამურ პარალელებთან დაკავშირებით განხილულია აგრეთვე მნათობის დღელამური გადაადგილების ზოგიერთი შაჩქენებელი. კერძოდ, თუ მნათობის „სიშორე დღის გამასწორებლიდამ უხრილავის ღერძის თავისაკენ იყოს“ (ე. ი.  $\delta < 0$ ), ის პორიზონტს ზემოთ ვერასოდეს ვერ გადაჰკვეთს პირველ ვერტიკალს („პირველი მხრის გრძალს“). დადებოთი დახრილობისათვის (ე. ი.  $\delta > 0$ ) რამდენიმე ვარიანტია შესაძლო: „ერთს დაბრუნებაზე“ ვარსკვლავი ერთხელ გადის ზენიტზე და პირველ ვერტიკალს „მიწას ზეით მიეკვრის“ (როდესაც  $\delta = \varphi$ ), ვარსკვლავი საერთოდ „პირველის მხრების გრძალზე ვერ გაივლის“ (როდესაც  $\delta > \varphi$ ) და ვარსკვლავი პირველ ვერტიკალს „ორის წინწკლით გასჭრის, ერთს აღმოსავლეთისაკენ, ერთს დასავლეთისაკენ“<sup>43</sup> (როდესაც  $\delta < \varphi$ ).

შეხუთე თავი („ხუთის როგოს მიზეულის შუახმელის ამბავი, თითოსა და თითოს ნიშატი თუ როგორ არის“) სათითაოდ განიხილავს ხუთი „რიგის“ დახრილი პორიზონტის თავისებურებებს. თვითეული პორიზონტის გეოგრაფიული განედი, როგორც აღრე იყო ნაჩვენები, შემდეგი მახსათებლებით არის წარმოდგენილი: 1.  $\varphi < \varepsilon$ ; 2.  $\varphi = \varepsilon$ ; 3.  $\varepsilon < \varphi < 90^\circ - \varepsilon$ ; 4.  $\varphi = 90^\circ - \varepsilon$  და 5.  $90^\circ - \varepsilon < \varphi < 90^\circ$  (აიათი, გვ. 84—98).

I რიგის თავისებურებები ( $\varphi < \varepsilon$ ). დღელამური პარალელი, რომლის დახრილობა განედის ტოლია ( $\delta = \varphi$ ), ხილული პოლუსის მხარეს ეკლიპტიკას ორ წერტილში კვეთს. ერთ-ერთ წერტილში მზის მისვლისას, შუადღეზე ის ზენიტში იქნება. ამ დროს „კაცი ჩრდილი სულარ ექნება“, ხოლო ეკლიპტიკის ორივე პოლუსი პორიზონტის სიბრტყეში მდებარეობს. თუ მზე ხილული პოლუსის მხარეს ამ ორი

<sup>43</sup> რუსულ თარგმანში რატომლაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის წერტილებია აღნიშნული (ალი ყუშჩი, გვ. 53).

წერტილით; შემოსაზღვრული მკლიპტიკის რეალის („მშვილდის“) შუაგულში იმყოფება, ე. ი. ზენიტიდან ხილული პოლუსის მხარეს, შუადღისას ჩრდილი უხილავი პოლუსისაკენ იქნება მიმართული. თუ მზე წერტილებით შემოსაზღვრული ეკლიპტიკის ქვემო რყალზე იმყოფება, მაშინ ის ზენიტიდან<sup>44</sup> უხილავი პოლუსის მხრისაც გაიღლის და შუადღისას ჩრდილი „სახილველის ღერძის თავისკენ მიადგების“. პირველ შემთხვევაში ეკლიპტიკის პოლუსი, რომელიც ხილული პოლუსის მხარესაა, „მიწას ქვეშ იქნება“, ხოლო მეორე პოლუსი — „მიწის ზეით“. იმ დროისათვის, როდესაც ეკლიპტიკის ქვემო რეალი მერიდიანს („საშუალეოს“) მიაღწევს, პირიზონტის ქვემოთ მდებარე პოლუსი „მიწას ზეით“ გადაინაცვლებს, ხოლო მეორე პოლუსი, პირიზით, პირიზონტს ქვემოთ აღმოჩნდება. ამავე ორ შემთხვევას მზის ზღვრული სიმაღლეები შეესაბამება. პირველი ზღვრული სიმაღლე — ზენიტიდან ხილული პოლუსის მხარეს მდებარეობს, ხოლო მეორე, უფრო მცირე სიმაღლეზე — ზენიტიდან მოპირდაპირე მხარეს.

II რიგის ( $\varphi = \varepsilon$ ) თავისებურებები. ხილული პოლუსის მხარეს მდებარე მზებუდობის წერტილის დღელამური პარალელი ზენიტზე გადის, ხოლო მეორე მზებუდობის წერტილის დღელამური პარალელი — ნაღირზე. მაქსიმალურ სიმაღლეს მზე მხოლოდ ერთხელ აღწევს. და ამ დროს ეს სიმაღლე  $90^\circ$ -ის ტოლია. მზე „უანამდი მატებაში არის“, მისი ჩრდილი ყოველთვის ხილული პოლუსის მხარეს ქვება მიმართული. მაგრამ როდესაც მზე ხილული მზებუდობის წერტილს მიაღწევს, იმ დღეს ჩრდილი საერთოდ არ არსებობს. ხილული პოლუსის მხარეს მდებარე ეკლიპტიკის პოლუსი ყოველთვის ხილულია. მხოლოდ „ერთს მობრუნებაში“ ის ერთხელ პირიზონტამდე დაიწევს, მაგრამ არ ჩადის. მეორე პოლუსი ყოველთვის უხილავია, მხოლოდ ერთხელ პირიზონტს აღწევს, მაგრამ არ ამოღის.

III რიგი. მზეს გააჩნია ორი განსხვავებული სიმაღლე: მაქსიმალური და მინიმალური, რომლებიც მათემატიკური ფორმულებით შეიძლება ასე გამოისახოს:

$$h_{\max} = \varphi + \varepsilon \quad \text{და} \quad h_{\min} = \varphi - \varepsilon$$

ეკლიპტიკის ხილულ პოლუსსაც ორი სიმაღლე აქვს. „ერთი უმაღლესი — თხის აქტის უმტკიცის“, ხოლო „მეორე უმდაბლესი — მეორეს უმტკიცის“ წერტილების მერიდიანზე „მისვლის დროს“.

<sup>44</sup> ჩუალულ თარგმანში ამ ზემოთ მოყვანილი შემთხვევისათვის მზე შუადღისას ზენიტზე გადის, რაც აშკარა შეცდომა (იხ. აღი ყუშჩი, გვ. 53).

IV რიგის ( $\varphi = 90^\circ - \varepsilon$ ) თავისებურებები. ზილული და უხილავი მხებულობების წერტილების დღელამური პარალელები („სახილველს“ და „უხილავის“ „დაუმტკიცის დასაგრეალები“) ყოველთვის აღმატებიან, პირველი — ყველა ხილულ, ხოლო მეორე — ყველა უბილავ დღელამურ პარალელებს. ბრუნვის ერთ პერიოდში („ერთის დაბრუნვაზე“) ორივე მხებულობის წერტილი ერთხელ აღწევს პორიზონტის სიბრტყეს. ამ შდგომარეობაში უკლიპტიკის ხილული პოლუსი ზენიტს. უხილავი პოლუსი კი ნადირს თანხედება, ხოლო უკლიპტიკის სიბრტყე პორიზონტს უთავსდება („მიკრული შეიქმნება“). ამის შემდეგ უკლიპტიკის სიბრტყის ერთი ნახევარი „ერთპირად“ პორიზონტს ზემოთ აღის, ხოლო მეორე ნაწილი კი ჩადის. ის „ნახევარი რომ მიწის ქვეშ იქმნება, ერთმანეთის მიყოლებით ამოვა“ და სანამდის სულ „ამოვიდოდეს, დღის გამასწორებელი, ერთ მობრუნებას გაათავებს“. ასევე, უკლიპტიკის სიბრტყის მეორე „მიწის ზეითა“ ნახევარი შემობრუნდება. ამის შედეგად, თუ ხილული პოლუსი ჩრდილოეთისაა, მაშინ ის ნახევარი, რომელიც „თხის რქის პირველიდამ კირჩხიბის პირველადმი არის, ის ერთპირად ამოვა“ და მეორე ნახევარი ცის ეკვატორი „რომ ვრთ ბრუნვას გაათავებს, მასუცან ისიც ამოვა“. თუ ხილული პოლუსი სამხრეთის იქნება, მაშინ შებრუნებული სურათი მიიღება („იმის წინაუკმო იქნება“).

ამ პორიზონტზე „სანამდი დღის გამასწორებელი ვრთ ბრუნვას გაათავებდეს“ ერთხელ „სულ დღე იქნება“ და ერთხელ „სულ ღამე იქნება“. მზის სიმაღლის მაქსიმუმი („მზის შემაღლების სქესი“) კი „ორი ერთპირ მიზეულის“, ე. ი. ორი სრული დაბრილობის ტოლია.

V რიგის ( $90^\circ - \varepsilon < \varphi < 90^\circ$ ) თავისებურებები. უდიდესი ზილული და უხილავი დღელამური პარალელები უკლიპტიკის სარტყელს ორ-ორ, ხილული და უხილავი პოლუსების მიმართ ერთნაირად გადახრილ წერტილებში კვეთენ.

ამ ოთხი წერტილით ეკლიპტიკა „ოთხ მშვილდად გაიყოფება“. ქედან ერთი ყოველთვის ხილულია და მის შუაგულში, ხილული პოლუსის მხარეს დგომის წერტილი („დაუმტკიცის წერტილი“) მდებარეობს. მზის ამ რკალზე ყოფნის დრო ყველაზე დიდ დღეს შეესაბამება. უდიდესი ღამე კი მზის იმ ყოველთვის უხილავ რკალზე ყოფნას შეესაბამება, რომლის შუაგულშიც მეორე დგომის წერტილი მდებარეობს. როგორც ხილული, ისე უხილავი რკალი „ორისავ მხრისაკუნ“ პორიზონტზე „მიკრული შეიქმნება“ ზევიდან და ქვევიდან და პირველი „აღარ ჩავა“ და მეორე „აღარ ამოვა“. დანარჩენი ორიდან ის რკალი, რომლის შუაგულშიც ვერძის საწყისია, „უკულმა

ამოვა“. ე. ი. ხილული პოლუსი ჩრდილოეთისაა. რკალის<sup>45</sup> ბოლო მის საწყისშე ადრე ამოვა, ჩასვლით კი „სწორად ჩავა“. თუ ხილული პოლუსი სამხრეთისაა, მაშინ პირიქით რცალი „სწორად ამოვა და უკულმა ჩავა“. მეოთხე რკალი, რომლის შუაგულშიც სასწორის საწყისია ზემოთ აღნიშნულის „წრნაუკმო ამოვა და ჩავა“.

ამ პირიზონტზე მზებუდობის წერტილს ორი სიმაღლე აქვს. მაქსიმალური სიმაღლე ზენიტიდან უხილავი პოლუსის მხარეს მდებარეობს და რცხობრივად სრული დახრილობისა და იმ აღვილმდებარეობის განედის  $90^{\circ}$ -მდე დამატების ჯამის ტოლია (ე. ი.  $h_1=e+(90^{\circ}-\varphi)$ ); მეორე, მინიმალური სიმაღლე კი ზენიტიდან ხილული პოლუსის მხარესაა და „იმ აღგილის განისა და ერთპირ მიზეულის შესასრულის<sup>46</sup> თაფაუთის<sup>47</sup> ტოლი იქნება“ (ე. ი.  $h_2=\varphi-(90^{\circ}-e)$ ); ეკლიპტიკის პოლუსებსაც ორი განსხვავებული სიმაღლე აქვთ  $h_1=(90^{\circ}-e)+(90^{\circ}-\varphi)$  და  $h_2=\varphi-e$ . თუ ეკლიპტიკის ხილული პოლუსი მაქსიმალურ სიმაღლეზე იმყოფება, მზებუდობის ხილული წერტილი ზენიტიდან სამხრეთით მინიმალურ სიმაღლეზე იქნება და თუ პირიქით მზებუდობის წერტილს მაქსიმალური სიმაღლე შეესაბამება. მაშინ ეკლიპტიკის ხილული პოლუსი ზენიტიდან ჩრდილოეთით, მინიმალურ სიმაღლეზე იქნება. „უკულმა აღმოსვლა და უკულმა ჩასვლა“ რომ აღვილი წარმოშადგენი იყოს, ავტორი განიხილავს კონკრეტულ პირიზონტს, რომლის განედი  $70^{\circ}$ -ის ტოლია.

მეხუთე თავი („იმ აღგილების ნიშატი, რომ იმისი განი ერთის მობრუნების რუბი იყოს“) კიდევ ერთ ზღვრულ შემთხვევას განიხილავს, კერძოდ, როდესაც  $\varphi=90^{\circ}$  („განი ერთის მობრუნების რუბი იყოს“) და დამკვირვებელი დედამიწის პოლუსებზე იმყოფება. (აიათი, გვ. 98—100). ამ ორ აღგილას ცის ეკვატორის პოლუსი ზენიტში იმყოფება, მისი წრე პირიზონტს თანხვდება და ცის სფეროს დღედამური ბრუნვა „წილქვერისაუკით იქნება“. ვინაიდან ყოველი მნათობის მოძრაობა ცის ეკვატორის პარალელურია („დღის გამასწორებლის წყვილად მოარული იქნება“); მას ამ შემთხვევაში „არც აღმოსვლა ექნება და არც ჩასვლა და რამთონსაც მენაკს დღის გაძასწორებელს ზეით იქნება, იმ სიმაღლედ მიწის გარმოარული იქნება“.

45 ტექსტში „მშვილდის“ ნაცვლად შეცდომით დაბეჭდილია „მშვილდოსნის“ (იხ. აიათი, გვ. 90).

46 რუსულ თარგმანში აქ და შეძლეომ ფრაგმენტებში სრული დახრილობის  $90^{\circ}$ -მდე დამატების ნაცვლად შეცდომით სრული დახრილობა არის მოყვანილი (ალი უშჩი, გვ. 57).

47 ტექსტში — თამაუთი (იხ. აიათი, გვ. 98) ამ შემთხვევაში „ე“ ასო „ჭ“-ს აღსანეშნავად იხმარება და სიტყვა წაკითხება როგორც „თაფაუთი“.

თუ ზენტში ჩრდილოეთი პოლუსი იმყოფება, მაშინ ჩრდილოეთი ნახევარი „გამოჩენილი“, ხოლო სამხრეთი ისახევარი „დაფარული“ იქნება. ზენიტთან სამხრეთის პოლუსის თანხვდენისას შებრუნებული სურათი მიიღება. ამ ადგილებში „აღმოსვლას და ჩასვლას“ მხოლოდ მეორე მოძრაობით („თავის ბუნებით სიარულით“) ექნება აღვილი. ამ მოძრაობის დროს მნათობი („ვარსკვლავი“) ცის ვკვატორის სამხრეთი ნაწილიდან ჩრდილოეთ ნაწილში გადასვლისას და ან პირიქით, ეკვატორის გადაკვეთის ყველა შემთხვევაში პორიზონტზე აღმოჩნდება. „მიწის ზეთ“ ის იქნება პორიზონტზე, რომლის ჩრდილოეთი პოლუსი ზენიტში იმყოფება იმ ნახევარწელიწადს, როდესაც მზე ჩრდილოეთ ზოდიაქურ თანავარსკვლავედებშია. „მიწის ქვეშ“ კი წელიწადს „სხვა ნახევარში“ იქნება. შებრუნებული სურათი მიიღება პორიზონტისათვის, რომლის სამხრეთი პოლუსიც ზენიტში იმყოფება. ამის შედეგად ერთი დღე და ღამე წელიწადს უტოლდება („ნახევარი წელიწადი დღე იქნება და ნახევარი ღამე“), ვინაიდან მზის მოძრაობა ერთ ნახევარ წელიწადს უფრო ჩქარია და მეორე ნახევარ წელს ნელი, დღის და ღამის ხანგრძლივობები განსხვავებული იქნება და ეს განსხვავება („თაფაუთი“) თითქმის „ჩვენის შვიდის დღისა და ღამის ოდენი იქნება“. აქვე აღნიშნულია, რომ ამ პორიზონტში „აღმოსავლეთი და დასავლეთი არ გაიჩჩევა“. ივარაუდება, რომ მნათობი ყველა მხარეს ამოდის ან ჩადის, ცის მერიდიანი არ არსებობს. მზის მაქსიმალური სიმაღლე კი სრული დახრილობის („ერთპირ მიზეულის“) ტოლია.

მცემებს თავში („ეტლების აღმოხდომის ამბავი“) განხილულია ზოდიაქურ თანავარსკვლავედთა აღვლენის („აღმოხდომის“) საკითხები (აითო, გვ. 100—105). აღვლენა განმარტებულია როგორც ცის ეკვატორის რკალი („მშვილდი“), რომელიც ეკლიპტიკის რკალთან ერთად პორიზონტზე ამოდის. ამ უკანასკნელს ტოლი გრადუსების რკალი („სწორი მენაკი“) და „აღმოსვლაც“ ეწოდება. ზოდიაქურ თანავარსკვლავედთა ჩასვლის შემთხვევაში ქართულ ტექსტში დამატებით აღნიშნულია, რომ იმავე რკალებიდან „დღის გამასწორებელისას ჩასავლეთი ჰქვიან და ეტლების ცისას დასავლეთი“ (აითო, გვ. 100). აღვლენის შესაბამისი ცის ეკვატორის რკალი შემოსაზღვრულია დახრილობის („მიზეულის“) ორი წრით, რომელთაგან ერთ-ერთი პორიზონტის წრე არის. აქვე ამასთან დაკავშირებით ქართულ ტექსტში დამატებით მოყვანილია შემდეგი განსაზღვრა: „დღის გამასწორებლის მშევრულს ხომ აღმოხდომა ჰქვიან და ეტლების ცის ამ ორ მიზეულს ფრკალს შუას მშვილდის აღმოსვლა ჰქვიან“ (აითო, გვ. 100—101). დედამიწის ეკვატორზე აღვლენას („მართლა სწორი ხაზისას აღმოხდომას“), ტექსტის თანახმად, პირდაპირ სფეროში აღვლენა („აღმოხდომა გამართული ცისას“) ეწოდება და აქაც დამატებით აღ-

ნიშნულია, რომ „აღმოსვლას — აღმოსვლა სფეროს დაჩენილი ჰქვიან“. რაც შეეხება დახრილობის მეორე დიდ წრეს, რომელიც პორაზონტის წრესთან ერთად შემოსაზღვრავს ცის ეკვატორის რკალს, ის ყოველთვის „მშეილდის პირველ დასაწყისზე“ უნდა იქნეს გატარებული, რომ ყოველთვის „სახილველის გრკლების უფროსის გრკლის მცრული ციოს“.

დედამიწის ეკვატორზე ეკლიპტიკის წრის ყოველი მეოთხედი, რომელიც მზებულობის ან დღელამტოლობის წერტილებს შორის არის („დაუმტკიცა და შეზავებულს... წინწკალს შუა იყოს“), ცის ეკვატორის მეოთხედთან ერთად ამოდის. გაგრამ ეკლიპტიკის სახვა, ერთმანეთის ტოლი რკალები ცის ეკვატორის ტოლ რკალებთან ერთად არ ამოდიან. რადესაც ეკლიპტიკის რკალი წრის მეოთხედზე ნაკლები და ნახევარზე მეტია, იმისდა მიხედვით თუ რკალის დასაწყისი რომელი წერტილია (დღელამტოლობის თუ მზებულობის), წესაბამისად „აღმოხდომა აღმოსვლაზე“ ნაკლები ან მეტი იქნება. თუ ეკლიპტიკის რკალი წრის მეოთხედზე მეტი ან ნახევარზე ნაკლებია, მაშინ შებრუნებული შედეგი მიღება („ამისი წინაუკმო იქნება“). „ორის მიზეულის გრკლით“ ეკლიპტიკის წრის ოთხად გაყოფისას, აღნიშნული ოთხი წერტილი „ამ რუბების შუაში უნდა იყოს“. იმისდა შიხედვით თუ რომელი წერტილია შუაში, დღელამტოლობის თუ მზებულობისა, მეოთხედი თავის აღვლენაზე („აღმოხდომაზე“) შესაბამისად 5 გრადუსით მეტი ან ნაკლები იქნება და, მაშასადამე, ერთი მეოთხედის აღმოსვლა სხვა მეოთხედებისაგან შეიძლება ჯამში  $10^{\circ}$ -ით განსხვავდებოდეს.

მეცნიერებულ თავში („ვარსკვლავის გამვლელის მენაკებისა და აღმოსვლის და ჩასვლის მენაკების შეტყობისა“) განხილულია მნათობის გავლის, ამოსვლის და ჩასვლის გრადუსები, ე. ი. ეკლიპტიკის ის გრადუსები, რომელთა ერთადაც მნათობი მერიდიანზე გადის, ამოღის ან ჩაღის (აიათი, გვ. 105—110). ნაჩვენებია, რომ გარკვეული განედის მქონე მნათობის გავლის გრადუსი ეკლიპტიკაზე „სხვა მენაკები იქნება“ და ამ გრადუსსა და მნათობის გრადუსს „შუა რაც მშეილი რომ დარჩება“, ის მნათობის პარალაქსური წანაცვლება („გამვლელის არეული“) იქნება. თუ მნათობის გრადუსი დაღმავალ ნახევარშია, მაშინ გრადუსი მნათობს ასწრებს მერიდიანზე გავლას (როდესაც მნათობი განედი ჩრდილოეთისაა). ან პირიქით — ჩამორჩება (როდესაც მნათობის განედი სამხრეთისაა). აღმავალი ნახევრის შემთხვევაში ზუსტად შებრუნებული სურათი მიიღება.

ტექსტის მეორე ნაწილში მნათობის ამოსვლისა და ჩასვლის გრადუსები განხილულია პორიზონტის სხვადასხვა დახრილობებისათვის.

მერვე თავში („დილისა და წიქის შეტყობისა“) დილისა და სალამოს ბინდთან დაკავშირებული საკითხებია განხილული (აიათი, გვ. 110—111). დილის და სალამოს ბინდის სინათლე განმარტებულია როგორც ცის სინათლე შესაბამისად მზის ამოსვლამიღე (აღმოსავლეთით) და მზის ჩასვლისას (დასავლეთით). დასახულებულია ბინდის არსებობის სამი საფეხური და ამ საფეხურების მიხედვით ბინდის სინათლის ცვლილებები. ცდებით („დაცდითა და გასინჯვითა“) დადგენილი ფაქტების საფუძველზე ტექსტი აღნიშნულია, რომ დილის და სალამოს ასტრონომიული ბინდის დაწყებას ან დამთავრებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მზე პორიზონტს ქვეშ  $18^{\circ}$ -ს მიაღწევს.

შეცტრე თავი („წელიწადებისა, თვისა, იმათის რიცხვისა, დღისა, ღამისა და კამის ცოდნისა“) საკმაოდ დაწვრილებით კალენდრის საკითხებს მიმოხილავს (აიათი, გვ. 111—120). ტექსტი იწყება მზის და მთვარის წელიწადისა და თვის განხილვით. შემდეგ გარჩეულია დღელამის ხანგრძლივობა. განმარტებულია ჭეშმარიტი და საშუალო დღე-ღამე და მათთან დაკავშირებული დღის სწორება. მოყვანილია საშუალო სამოქალაქო დღე-ღამის ხანგრძლივობის სიდიდე გრადუსულ ერთეულებში ( $59^{\circ}8'20''$ ), რომელიც ულულბეგის მონაცემებს თანხვდება. წარმოდგენილია განსხვავებული შეხედულებები დღე-ღამის დაწყებასთან დაკავშირებით. განმარტებულია სწორი და მრუდი საათების („უამების“) ცნებები.

წელთაღრიცხვის განსაზღვრის შემდეგ ტექსტში სათითაოდაა განხილული სხვადასხვა ჭვეუნის წელთაღრიცხვები — ჰიგრის („ოჯრის“), ირანის („ფარსის“) სელევკიდების („რუმის“) და მელიქშაპის („მელქაშის“). აქვე ვახტანგს თავის მხრივ მოკლე ცნობები აქვს შემოტანილი ქართული კალენდრის შესახებ. აღსანიშნავად, რომ მთელი ეს პარაგრაფი დიდ მსგავსებას იჩენს ულულბეგის „ზიგის“ ამავე საკითხებისადმი მიძღვნილ თავებთან.

მეათე თავი („ჩრდილის გამოცხადება“) ტრიგონომეტრიულ სიდიდეებს — ტანგენსსა და კოტანგენსს ეძღვნება (აიათი, გვ. 120—122). ეს სიდიდეები აქ განიხილებიან როგორც გნომონიკაში (მეცნიერება მზის საათის შესახებ) არსებული წირები. ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით თანხვდება „ზიგის“ მეორე კარის მე-3 თავში წარმოდგენილი მასალის ნაწილს, რომელიც ჩვენ ადრე უკვე დაწვრილებით გვქონდა გარჩეული (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 244, 246, 252).

მეთერთმეტე თავი („შუალის ხაზისა და ყიბლის მჯრის გამოცხადებისა“) ინდური წრის საშუალებით შუალის ხაზის განსაზღვრას ეძღვნება (აიათი, გვ. 122—125). შუასაუკუნეების აღმოსავლეთში კომპასის შემცვლელი ეს ხელსაწყო მიწის მოსწორებულ ზედაპირზე მზადდებოდა წრისა და წრის ცენტრში ამართული გნომონის

სახით. ორჯერ დღის განმავლობაში შუადღემდე და შუადღის შემ-  
ღოვმ) წრეწირზე მოინიშნებოდა მხის ჩრდილის წრეში შესვლის და  
გამოსვლის წერტილები. ამ წერტილებით შემოსაზღვრული უმცი-  
რესი რკალის შუაზე გაყოფით მიღებული შუაწერტილიდან წრის  
ცენტრისაკენ წრფის გავლებისას მიღებოდა საძიებელი შუადღის  
ხაზი. ამავე პარაგრაფში მოყვანილია ყიბლის მიმართულების განსაზ-  
ღვრის წესი. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც ინდურ წრესთან  
დაკავშირებული ტექსტი დიდ მსგავსებას იჩენს „ზიჯის“ II კარის  
მე-15 თავის ტექსტთან<sup>48</sup>.

მეთორმეტე თავის მასალა სათაურის გარეშე უშუალოდ მო-  
სდევს მეთერთმეტე თავს (აიათი, გვ. 125—128). აქ მოყვანილია დე-  
დამიწიდან მნათობებამდე მანძილის და ამ მნათობთა დიამეტრების  
რიცხვითი მნიშვნელობები. შესავალში წარმოდგენილია სიგრძის სა-  
ზომი ერთეულთა სისტემა: „თოთო ეჭი სამი მილია; თითო მილი სამი  
ათასი ადლია<sup>49</sup>; თითო ადლი ოცდათორმეტი თოთია და თითო ექუსი  
შუათანა ქერია; და თითო ქერი ცხენის ფაფრის ექვსი ბალანია“  
(აიათი, გვ. 126). აღსანიშნავია, რომ ვახტანგი ამ სისტემის ქართლის  
სინამდვილეში დამკვიდრებას ცდილობდა და ამ მიმართულებით გარ-  
კვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ტექსტში მოყვანილია აგრეთვე დე-  
დამიწის გაბარიტებთან დაკავშირებული შემდეგი მონაცემები: დე-  
დამიწის წრეწირის სიგრძე („ხმელეთის გარეშემო სიგრგვლე“)—8000  
ეჭი, დიამეტრი („ყუნტორი“)—2485 ეჭი, ზედაპირის ფართობი  
(„ერთპირად მიწის სიმგრგვლე“)—20363036 ეჭი, დასახლებული ნაწი-  
ლის ფართობი — 4676740 ეჭი.

შემდეგ წარმოადგენილია მანძილები მნათობებამდე. ვინაოდან  
ჟოველ ცას შიგა და გარე ზედაპირები აქვს, თვითეულისათვის მო-  
ცემულია ორ-ორი მნიშვნელობა. რაც შეეხება მნათობთა დიამეტ-  
რებს, მათვის შემდეგი მნიშვნელობებია მოცუმული: მზე — 17532  
ეჭი, მთვარე — 732 ეჭი, სატურნი — 14435 ეჭი, იუპიტერი — 14596  
ეჭი, მარსი — 27735 ეჭი, ვენერა — 965 ეჭი, მერკური — 109 ეჭი.  
ამ მონაცემებით 128-ე გვერდზე მთავრდება „ქმნულების ცოდნის  
წიგნის“ ტექსტი. შემდეგი გვერდიდან იწყება სხვა თხზულება („იყ-  
ლიმების ზოგიერთის ადგილების მოთხოვნა“), რომელსაც გეოგრა-  
ფიისადმი მიძღვნილ თავში განვიხილავთ.

„ქ მ ნ უ ლ ე ბ ი ს ც თ დ ნ ი ს წ ი გ ნ ი ს“ როლი ქარ-  
თული ასტრონომიული აზრის განვითარების  
შემ მ უ შ ა. როგორც შეინახულს ესანხილვიდან ჩამს. „ქმნუ-

<sup>48</sup> შლრ. S — 161, გვ. 87—88.

<sup>49</sup> ტექსტში შეცდომით — ადგილია.

ლებას ცოდნის „წიგნში“ წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც იმდროინდელი აღმოსავლური ასტრონომიის საფუძველს შეადგენდა. ულულბეგის „ზიჯის“ მსგავსად ეს სახელმძღვანელოც სამარყანდის სამეცნიერო სკოლის მიერ ჩატარებული სამუშაოების ურთვევარი შემაჯამებელი თხზულებაა, მხოლოდ სხვა კუთხით: იგი სამარყანდის ობსერვატორიაში მიღებული ახალი მონაცემების საფუძველზეა შედგენილი. ამის შესახებ ტექსტშიც საგანგებოდა აღნიშნული: „ეს რაოდენობა რომ ვთქვით, ეს რიგები ჩვენის გაწილვის ანგარიშით არის. ზოგი წინანდელის გაწილვის მსგავსია, ზოგი არ არი“ (აიათი, გვ. 52). ახალი მასალების გამოყენებაზე მიუთითებს აგრეთვე „ქმნულების ცოდნის წიგნში“ ხშირად მოყვანილი რიცხვითი სიდიდეების თანხვედრა ულულბეგის „ზიჯის“ მონაცემებთან.

თხზულებაში შევნებულად არაა გამოყენებული მათემატიკური აპარატი და საკითხების გაღმოცემის მანერით ის ბირუნის ცნობილ სახელმძღვანელოს „მეცნიერება ვარსკვლავთა შესახებ“ უახლოვდება. ისევე როგორც ამ უკანასკნელში, ასტრონომიისთან ერთად „ქმნულების ცოდნის წიგნშიც“ გარკვეული აღვილი ეთმობა ასტრონომებისათვის სავალდებულო დისკიპლინების (ცეომეტრიის, გეოგრაფიის და კალენდრის) საფუძვლების გაღმოცემას. სახელმძღვანელოში არ არის მოცემული მხოლოდ ასტროლაბთან და ასტროლოგიასთან დაკავშირებული მასალა. ეჭვს არ იწვევს, რომ ბირუნის თხზულების მსგავსად, „ქმნულების ცოდნის წიგნიც“ მედრესებში უნდა გამოვყენებინათ როგორც ასტრონომიის სახელმძღვანელო. ამისათვის კი ყველა პირობა არსებობდა, ვინაიდან XV—XVIII სს. აღმოსავლეთში ასტრონომიული მეცნიერებისა და განათლების განვითარება სამარყანდის სკოლის მიერ შემუშავებული ხაზით მიმდინარეობდა და ალი ყუშჩის თხზულება კი ამ სკოლის ერთ-ერთ საუკთესო ნიმუშს წარმოადგენდა. თავის დროზე ცნობილი ასტრონომი, ალი ყუშჩის ერთ-ერთი მოსწავლე აბდულ კადირ იბნ ჰასან რუიანი ასე აფასებდა და თავისი მასწავლებლის შრომას: „მე შევისწავლე შამსედინ ალ-ქაშანის, ჰუსეინ შაჰი სიმნანის, ნასირი შირაზის და ალი შაჰი ხორეზმის მრავალი შრომა ასტრონომიაში და ასტრონომიული ცხრილები, მაგრამ როდესაც წავიკითხე ალი ყუშჩის ტრაქტატი, ჩემთვის ცოველივე გაუგებარი გასაგები გახდა“ (სობიროვი, გვ. 67). აღმოსავლურ სამყაროში თხზულების ღიღ ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მისთვის საგანგებოდ შეაღვინეს კომენტარები ალ-ტარისიმ (XVI ს.), სიღი ქათიბ რუმიმ (გარდ. 1568), მუსალიჟ ალ-

ანსარიმ (გარდ. 1571) და სხვ. (ბიბლიოგრაფია, II, გვ. 553, 555, 569—570).

ქართულ ენაზე ამ თხზულების თარგმნით ვახტანგმა სამაშულო შეცნიერულ ლიტერატურას იმ დროისათვის აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ასტრონომიული სახელმძღვანელო შესძინა. თავისთავად უნიკალური იყო ის ფაქტი, რომ წიგნი ნაბეჭდი სახით გამოიცა. აქ უნებლიერ არ შეიძლება არ მოვაყვანოთ ერთი შედარება: ალი ყუშის ეს თხზულება ასტრონომიის ისტორიკოსთა მონაკვემდით პირველად თურქულ ენაზე 1824 წ. დაიბეჭდა სტამბოლში (ვორონოვსკი, გვ. 164). ალი ყუში თურქული ზუსტი მეცნიერებების ფუძემდებლად იყო აღიარებული, სტამბაც თურქეთში ჯერ კიდევ 1729 წ. გაიხსნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვახტანგმა ამ ქვეყანას ერთი საუკუნით „დაასწრო“ „ქმნულების ცოდნის წიგნის“ გამოქვეყნება.

სტამბური წიგნით „ქმნულების ცოდნის წიგნის“ გამოცემა იშმირივაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ წიგნის მრავალრიცხვანი ტირაჟის საშუალებით საქართველოში ასტრონომიული ცოდნის გავრცელების საგენერალო გაცილებით ფართო მასშტაბური ხასრათი ენიჭებოდა (მითუმეტეს, რომ წიგნის მთელი რიგი თავები, კერძოდ პირველი კარის II და III და მეორე კარის I, II, VIII—XI თავები სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვდა და ადვილად ასათვისებელ ზოგადსაგანმანათლებლო მასალას წარმოადგენდა).

ზოგადსაგანმანათლებლო დანიშნულების გარდა თხზულება უკვე სრული სანით სახელმძღვანელოდ იყო გამოყენებული განათლებულ პირთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც ვახტანგის ხელმძღვანელობით ასტრონომიის სპეციალობას ეცნობდა. ულულბეგის „ზიჯის“ თარგმანის ბოლო რედაქტირის (S — 161 ნუსხა) ვახტანგის უკვე ლექსიკონი მთელი რიგი ტერმინების მნიშვნელობის განმარტებისათვის მითითებულია „ქმნულების ცოდნის წიგნი“ („ქმნულების წიგნით შეიტყობა“, „ქმნულების წიგნით შეიტყობ როგორც არი“, „ქმნულების წიგნით შეიტყობ რაც არი“ და ა. შ.). ე. ი. ვახტანგი „ქმნულების ცოდნის წიგნს“ „ზიჯის“ აუცილებელ დამხმარე დამატებად თვლიდა და, ცხადია, რომ „ზიჯის“ შესწავლის საქმეში ამ სახელმძღვანელოს განსაკუთრებული როლი ექნებოდა განკუთვნილი.

ცხადია აგრეთვე ისრც, რომ თავის დროზე „ქმნულების ცოდნის წიგნს“ დადი პოპულარობით უნდა ესარგებლა ქართულ შეითხველთა შორის. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სახელმძღვანელომ მოგვიანო წლებშიც შეინარჩუნა დიდი პოპულარობა. „ქმნულების ცოდნის წიგნი“ თითქმის ყველა ქართული წიგნის ძველ კოლექციაშია წარმოდგენილი. 1836 წ. პეტერბურგში გა-

შოცემული წიგნის „მიმოხილვა რუსეთის სამფლობელოებისა კავკა-  
სიონის იქით“ პირველ ტომში ქართული ლიტერატურის ყველაზე  
ცნობილ 22 წიგნს შორის დასახელებულია სომხურიდან თარგმნილი  
(?) ასტრონომიული თხზულება („Рассуждение об астрономии“),  
რომელშიც აშკარად „ქმნულების ცოდნას წიგნი“ იგულისხმება (მი-  
მოხილვა, I, გვ. 124). კიდევ უფრო უჩვეულო ჩანს 1878 წ. გაზეთ  
„დროებაში“ (№ 112, 10 ივნისი) გამოქვეყნებული ზ. მთაწმინდელის  
ცნობა, რომლის თანახმად ეს სახელმძღვანელო იმ დროსაც კი ისევ  
ასრულებდა საკითხავი წიგნის ფუნქციებს. 1887 წ. კი ის თავისი  
„ქართულ-რუსული ლექსიკონის“ ერთ-ერთ წყაროდ გამოიყენა  
დ. ჩუბინაშვილმა.

### ულულებეგის „ზიჯი“

„ქმნულების ცოდნის წიგნიდან“ განსხვავებით, ულულბეგის „ზი-  
ჯი“ (1437) უკვე პროფესიული ასტრონომიის სფეროს განეკუთვ-  
ნებოდა. სამარყანდის ცნობილი ასტრონომიული სკოლის მთავარი  
შრომის ქართულ ენაზე გადმოღება უკვე თავისთავად ნიშნავდა, რომ  
ვახტანგის საქართველოში ასტრონომიის აღორძინება არა მარტო ზო-  
გადსაგანმანათლებლო, არამედ ეროვნული მეცნიერული აზროვნების  
დონეზე ესახებოდა.

„ზიჯის“ ქართული თარგმანის შედეგი და გ. ნ. ა-  
ლობა და ხელნაწერთა ნუსხები. ულულბეგის  
„ზიჯის“ ავტორისეული ვარიანტი ოთხი კარისაგან შედგე-  
ბა. პირველი კარი, რომელიც შეიცავს, კალენ-  
დრის თეორიის საკითხებს ეძღვნება. მეორე კარის 22 თავში გან-  
ხილულია პრაქტიკული ასტრონომიის საკითხები. მესამე კარის 13  
თავი პლანეტების მოძრაობის თეორიას ეთმობა, ხოლო IV კარის 2  
თავი — ასტროლოგიას. თხზულებას წინ უძღვის ულულბეგის შესა-  
ვალი, ხოლო II, III და IV კარის ბოლოს მოყვანილია სხვადასხვა  
სახის ცხრილები (იხ. ბიბლიოგრაფია, II, გვ. 494—495).

ვახტანგის ქართული თარგმანიც ამ სქემას მიყვება, მხოლოდ. დედ-  
ნისაგან განსხვავებით, აქ მთელი რიგი დამატებითი მასალები არის  
შემოტანილი, რაც თარგმანს გარკვეულ ინდივიდუალობას ანიჭებს. ჩვენამდე, როგორც ცნობილია, თარგმანის სამა ხელნაწერმა მოაღ-  
წია, აქედან ორი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდ-  
ნების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში არის დაცული  
(E—107 და M—12 ხელნაწერები), ხოლო ერთი — კ. კეკელიძის სახ.  
ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—161 ხელნაწერი).

ამ სამი ხელნაწერიდან ყველაზე აღრეულია E—107 ნუსხა, რო-

მელშიც ცხრილების გარეშე მხოლოდ ტექსტი არის წარმოდგენილი, და ისიც არა სრული სახით. ხელნაწერის 17 ფურცელზე მოყვანილია II კარის XI—XXII თავები და III კარის ცამეტივე თავი. ხელნაწერში სპარსულ-არაბული ტერმინების და გამოთქმების სრული დომინირება იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ეს ტექსტი უნდა იყოს დაკავშირებული „ზიჯის“ თარგმანის პროცესის პირველ ეტაპთან. ამ საკითხზე დაწვრილებით ჩვენ ქვემოთ ვიმსჯელებთ, ხოლო აჭ ხელნაწერის დახასიათებას მისი ერთი მინაწერის განხილვით დავამთავრებთ. ეს მინაწერი ვახტანგს ეკუთვნის და ის ტექსტის ბოლოში ამ სახით არის მოყვანილი: „მაის (კბ) მზე ორუბლებში იყო. ყურსი ჩნდა და შუქი და სხივი არა. არღავნის ფერად გაწოლენ, დღის ერთი ს[ა]თი და [...] ირები<sup>50</sup> დარჩომილიყო<sup>51</sup>. მინაწერი ძალზე საყურადღებოა. როგორც ვხედავთ, ვახტანგი დაინტერესებულია საგულისხმო მოვლენით, რომელიც ატმოსფეროში მზის სხივების გაბნევასთან არის დაკავშირებული (მზის სხივების წითელი ნაწილის სხვა ფერის ნაწილებთან შედარებით ორუბლებში ნაკლებად გაბნევის გამო დამკვირვებელს მნათობი ყოველთვის უფრო მოწითალოდ ეჩვენება, ვიღრე იგი სინამდვილეშია). თარიღთან ერთად დღის დროის ზუსტი ფიქსირება იმაზე მეტყველებს, რომ ვახტანგი ინსტრუმენტით აწარმოებდა მზეზე დაკვირვებას (სწორედ ზუსტი დრო ასტროლაბის საშუალებით უნდა იყოს დადგენილი). ამიტომ ეს მინაწერი ჯერჯერობით ყველაზე აღრეულ ცნობას უნდა შეიცავდეს ვახტანგის მიერ წარმოებული ასტრონომიული დაკვირვებების შესახებ.

მეორე ლენინგრადული M—12 ხელნაწერი უკვე სრულად შეიცავს ტექსტობრივ მასალებსაც და ცხრილებსაც. ხელნაწერი. რომელიც მ. კავკასიის მიერ არის გადაწერილი, ვახტანგის სამუშაო პირის როლს ასრულებდა. ამაზე მიუთითებს მეტის მრავალრიცხოვანი შენიშვნები უშუალოდ ტექსტსა და არშიებზე. მოგვიანებით, ხელნაწერის აკინძვისას, ქაღალდის ფორმატი მნიშვნელოვნად ჰეუმურიებრათ, მაგრამ შემცირების არში მოხვედრილი ვახტანგის ჟველა შენიშვნა წანაზარდების ფორმით შემოუჭრიათ და ახალი ზომის ფურცლის შესაბამის ხაზზე გადაუკეციათ (დაწვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ჩავუნავა, მათემატიკა, გვ. 25—27). ნ. ნევსკაიას თანახმად, თავდაპირველად ამ ხელნაწერის ფურცლებს შორის ჩაწყობილი იყო უამრავი ბარათი ასტრონომიული, გეოგრაფიული და მათემატიკური ტერმინების ჩანაწერებით სპარსულ, ქართულ და

<sup>50</sup> სიტყვაში პირველი ორი თუ სამი გადაბმული ასო არ იყითხება და ამიტომ დროის მცირე ერთეულის აღმნიშვნელი ამ სიტყვის ფაშიფრა არ ხერხდება.

<sup>51</sup> E — 107, ფ. 17v.

ფრანგულ ენებზე. პატივცემული მქოლევარი თვლის, რომ ამ წელა  
ნაწერზე ვახტანგი რუსეთშიც განაგრძობდა მუშაობას და მას ტერმი-  
ნოლოგიურ საკითხებში დიდ დახმარებას უწევდა აკად. ჟ. ნ. დელილი  
(ნევსკაია, გვ. 170—171).

სამწუხაროდ პატივცემული მქოლევარის ვარაუდი არ მართლ-  
დება. ვახტანგის დელილთან კონტაქტებზე ჯერჯერობით არავითარი  
საბუთი არ არსებობს, ხოლო „ზიჯის“ ტერმინოლოგია მხოლოდ აღ-  
მოსავლური ლექსიკით შემოიფარგლება. M—12 ხელნაწერი 1719-  
წლისათვის უკვე გადაწერილი ჩანს (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ.  
25) და მისი გადამუშავება ვახტანგს რუსეთში წასვლამდე (1724) უნ-  
და მოესწრო. რაც შეეხება ბარათებს, აქ მარტო ტერმინოლოგიური  
მასალა როდი იყო წარმოღენილი. ეს ბარათები ვახტანგის ცნობილ  
შავ და სამუშაო ჩანაწერებს წარმოადგენენ მათემატიკის, გეოგრაფიის  
და ასტრონომიის სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც ეხლა K—3  
ლიტეროთ რამდენიმე საქალალდეში ინახება აღმოსავლეთმცოდნე-  
ობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში. ის ფაქტი, რომ  
თავდაპირველად ბარათები M—12 ხელნაწერში ინახებოდა, ერთხელ  
კიდევ ამტკიცებს, რომ ჩანაწერებში მოყვანილ მრავალრიცხვან  
მათემატიკურ გამოთვლებს, ტერმინოლოგიურ ძიებებს, გრაფიკულ  
აგებებს თუ ექსპერიმენტების მონაცემების აღნუსხვებს ულუღე-  
გის „ზიჯში“ შემუშავებული მეცნიერული პრინციპები ედოთ სა-  
ფუძვლად.

თბილისური S—161 ხელნაწერი ლენინგრადული ნუსხიდან არის  
გადაწერილი, ამ უკანასკნელში შეტანილი შესწორებების გათვალის-  
წინებით და ზოგიერთი ახალი მასალის დამატებებით. ვინაიდან ეს ხელ-  
ნაწერი ცეკვაზე უფრო სრულია და საბოლოო რედაქციას წარმო-  
ადგენს, „ზიჯის“ ვახტანგისეული თარგმანის შედგენილობას სწორედ  
მისი ტექსტის მიხედვით განვიხილავთ. ჯერ ვაჩვენებთ შესაბამის  
კარსა თუ თავს, შემდეგ დასათაურებას და ბოლოს, ფრჩხილებში —  
გვერდებს.

ვახტანგის მათემატიკურ-ასტრონომული ლექსიკონი (გვ. 1—26);  
ულუღებების შემოკლებული წესავალი, I კარის I თავის შესავალი  
(გვ. 39—41); I—III თავი. პრერის, სელევკიდების და სპარსელების  
კალენდარი (გვ. 39—43); ვახტანგის ჩანართი ქართული კალენდრის  
შესახებ (გვ. 43—44); IV თავი. სამი კალენდრის ურთიერთგადა-  
ყვანის წესები (გვ. 44—48); V—VII თავი. რეფორმირებული სპარსუ-  
ლი კალენდარი, ჩინურ-უიგურული კალენდარი და სადღესასწაულო  
დღეები (გვ. 49—68); ვახტანგის „ანდერძი“ (გვ. 69). II კარი. I თა-  
ვი — ქხრილების ინტერპოლაციის შესახებ (გვ. 69—70); II—III თავი —  
ტრიგონომეტრიული სიდიდეები (გვ. 70—72); IV—XIV თა-

ვი — ცის სფეროს წერტილებისა და მნათობების სხვადასხვა კო-ორდინატების განსაზღვრა, დახრილობა და პირდაპირი აღვლენა, ექლიპტიკური განედი და გრძელი, სიმაღლე და აზიმუტი და ერთის საშუალებით მეორის განსაზღვრა (გვ. 72—87); XV—XVII თავი — ადგილის გრძელისა და განედის და აზიმუტების განედების განსაზღვრა (გვ. 87—92); XVIII თავი — მნათობებს შორის სფერული მანძილის განსაზღვრა (გვ. 92—96); XIX თავი — ინდური წრე, ყიბლის მიმართულების განსაზღვრა (გვ. 96—98); XX—XXII თავი. პოროსკოპის განსაზღვრა მნათობის სიმაღლით და სიმაღლის — პოროსკოპის მიხედვით (გვ. 98—105). ცხრილები (გვ. 106—254); ტრიგონომეტრიულ სიდიდეთა ცხრილები (გვ. 106—136); ეკლიპტიკური კოორდინატების ცვატორულში გადასცლის, პირდაპირი აღვლენის (სამარყანდის და ნებისმიერი განედისათვის) ცხრილები (გვ. 137—252); სამარყანდის განედზე მზის საათის ცხრილები (გვ. 253—254); მსოფლიოს დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების ცხრილები (გვ. 255—258); ვახტანგის მოკლე ლექსიკონი (გვ. 259); ბერძნულ-ეროვნული და რუსული წარმომავლობის პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების ცხრილები (გვ. 260—288); III კარი (გვ. 290—330); I თავი — დღის სწორების განსაზღვრა (გვ. 290—291); II თავი — მნათობის საშუალო გრძელის განსაზღვრა (გვ. 291—293); III თავი — მნათობთა ეფემერიდების შესახებ (გვ. 293—294); IV თავი — მთვარის და პლანეტების განედის განსაზღვრა (გვ. 294—296); V თავი — მზის და მთვარის მანძილი სამყაროს ცენტრამდე (გვ. 296); VI თავი — პლანეტების პირდაპირი, პირუკუ მოძრაობა და შეჩერება (გვ. 296—298); VII თავი — მნათობთა ეფემერიდების ინტერპრეტაციის შესახებ (გვ. 298—300); VIII—XI თავი — მნათობთა შეერთება და პირისპირდგომა, მზის და მთვარის დაბნელება, პარალაქსის შესახებ, ახალი მთვარის გამოჩენის შესახებ, პლანეტების გამოჩენა და გაქრობა (გვ. 300—325); XII თავი — სახლების ეკვივალიზაციის შესახებ (გვ. 325—327); XIII თავი — უძრავ ვასკვლავთა გრძელების და განედების შესახებ (გვ. 327—330); ცხრილები (გვ. 331—443); მნათობთა მოძრაობის ცხრილები (გვ. 331—395); პარალაქსების და დაბნელებების ცხრილი (გვ. 396—419); პლანეტების შეერთების ცხრილი (გვ. 421—433); 1018 უძრავი ვარსკვლავის ეკლიპტიკური კოორდინატების ცხრილი (გვ. 434—473); ვახტანგის მოკლე ლექსიკონი (გვ. 474—475); IV კარი: ასტროლოგიის საკითხები შვიდ თავად (გვ. 476—487); ცხრილები (გვ. 488—537); ასტროლოგიური ცხრილები (გვ. 488—494); ვახტანგის მოკლე ლექსიკონი (გვ. 495); ასტროლოგიური და ასტრონომიული ცხრილები (გვ. 496—506); მთვარის სადგომების არაბულ-ქართული სია (გვ. 507);

ასტრონომიული და ასტროლოგიური ცხრილები (გვ. 508—518); გამრავლების ტაბულა (60X60) თვლის სამოცობითი სისტემისათვის (გვ. 522—537); მოკლე არითმეტიკული სახელმძღვანელო თვლის სამოცობითი სისტემისათვის (გვ. 554—556).

თარგმანთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ის, ულულბეგის შრომების ცნობილი მცველევარი ტ. ყარა-ნიაზოვი „ზევის“ ტექსტთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „თავისებური, ზუსტ მეცნიერებათა თანამედროვე ენაზე ზოგჯერ სრულიად უთარგმნელი ტერმინოლოგია, მუა საუკუნეთა სპეციფიკისათვის დამახასიათებელი გადმოცემის სტილი, მათემატიკური სიმბოლოებისა და ტოლობების უქონლობა, საილუსტრაციო მაგალითების უქონლობა და ამასთან ულულბეგის სიტყვამუნწობა — ძალზე აძნელებს ულულბეგის ტექსტის გაგებას“ (ყარა-ნიაზოვი, გვ. 213—214). ბუნებრივია, რომ ვახტანგიც ამ მხრივ გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდა, მითუმეტეს, რომ ტექსტი მას იმ ენაზე უნდა ეთარგმნა, რომელსაც ასტრონომიული ტერმინოლოგია ფაქტობრივად არ გააჩნდა.

თუ რა ზრომატევადი სამუშაოს ჩატარება დასჭირდა ვახტანგს სასურველი შედეგების მისაღწევად, ეს გასაგები ხდება ქართული თარგმანის სამივე ნუსხის ურთიერთშედარებისას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ტიპიური ფრაგმენტი II კარს XV თავიდან. ფრაგმენტი ე. წ. ინდური წრის ასაგებად განხორციელებულ შემდეგ ოპერაციებს გადმოგვცემს: წრეწირის ორი წერტილით მონიშნული უმცირესი რკალი შუაზე იყოფა და წრეწირის ცენტრიდან ამ შუაწერტილზე წრფის გავლებით შუადღის ხაზი მიიღება. E—107 ხელნაწერში ეს პროცესი ასეა წარმოდგენილი: „ამ დაირიდამ ნიშანი ვქნათ. ის ყოუსი რომ ამ ორსავ ნიშანს შუვა არის, თანსიფი უყოთ [გავანახევროთ]. მარქაზიდამ მანთასიფს [ნახევარს] ერთი ხათი იხრაჭი ვქნათ [გავყოთ] და ის ხათი ნისვი ნაპარი ხათი იქნება [არის]“<sup>52</sup>. აქ ჰვადრატულ ფრაგმენტში ის სოტყვები გვაქვს მოყვანილი, რომლებიც ვახტანგმა ტექსტში შესაცვლელ სიტყვებს თავზე მიაწერა. რაც შეეხება ძირითად ტექსტს, როგორც ვხედავთ, აქ არა მარტო ტერმინები, არამედ გამოთქმებიც კი სპარსული ენის კანონებით არის ნაწარმოები (სწორედ სპარსულისათვის არის დამახასიათებელი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის დამხმარე ზმნით წარმოება: „თანსიფი უყოთ“. იხრაჭი ვქნათ“ და თუნდაც „ნიშანი ვქნათ“). ე. ი. თარგმნის პირველ სტადიაზე ქართული ტერმინების უქონლობის გამო, ძირითადი აზრი რომ არ დაიკარგოს, ვახტანგი ხმარობს არაბულ-სპარსულ ტერმინებს და თანაც სპარსულად აზროვნებს. მეორე სა-

52 E — 107, ფ. 2v.

ფეხურზე ის სპარსულ გამოთქმებს და ზოგიერთ ტერმინს ქართული შესატყვისებით ცვლის (თანსიფი უყოთ — გავანახევროთ, იხრავი ვქნათ — გავყოთ (?), მანათასიფი — ნახევარი და სხვ.), მიუხედავად ამისა, ტექსტი მაინც ბუნდოვანი რჩება.

M—12 ხელნაწერში იგივე ტექსტი გარკვეული ცვლილებითაა შეტანილი: „რომ ამ ორსავ დავნიშნავთ, ამრიგან ერთი ყოუში [მშვილდი] გამოვა, რომელიც უმცროსი ყოუსი [მშვილდი] იქნება, იმას სწორედ შუა გავყოფთ, მერმე მარქაზიდამ [ცქილიდამ] იმ ყოუსს შუამდი [და იმაზე პირდაპირამდი] ერთს ხაზს გავსწევთ. ის ხაზი ნისპი ნარის [შუა დღის] ხაზი იქნება“<sup>53</sup>. ცვლილებიდან პირველ რიგში ალსანიშნავია დამატებითი განმარტება (უფრო სწორად ადრე გამორჩენილი განმარტება), რომ „უმცროსი ყოუსი იქნება“. მცდარი ფრაზა: „ერთი ხათი გავყოთ“, რომლითაც ვახტანგმა შეცვალა თავდაპირველი „ერთი ხათი იხრავი ვქნათ“, ამჯერად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული: „ერთს ხაზს გავსწევთ“ („გაწევას“ ვახტანგი სისტემატურად ზმარობს „გავლების“ აზრით). ფრაგმენტში უკვე სავსებით გასაგებად არის გადმოცემული ძირითადი აზრი, მხოლოდ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განდევნილი სპარსულ-არაბული ტერმინები („ყოუსი“, „მარქაზი“ და „ნისპი ნარის ხაზი“). მათ შესაცვლელად ტექსტში სიტყვების თავზე მოწერილი ქართული შესატყვისებით ეს ხარვეზიც შევსებულია და ფრაგმენტი უკვე წმინდა ქართული ტექსტია.

M—12 ხელნაწერის საბოლოო ვარიანტი მცირე შესწორებებით გადატანილია S—161 ხელნაწერში: „ამ ორს შუა ერთი მშვილდი გაჭეთდება. რომელიც უმცროსი იქნება, იმას სწორად შუა გავყოფთ. მერმე ცქილიდამ იმ მშვილდის შუამდი და იმის პირდაპირამდი ერთს ხაზს გავსწევთ. ის ხაზი შუადღის ხაზი იქნება“<sup>54</sup>. ძირითადად ამ სქემით მოქმედებს ვახტანგი სხვა შემთხვევებშიც. ასე რომ, ტექსტის საბოლოო ჩედაჭერია მრავალჯერადი და საფეხურებრივი შესწორება-დახვეწის შედეგს წარმოადგენს.

ვასტანების ჩანართი მასალის განხილვა ვახტანგის ანდერძიდან უნდა დავოწყოთ. ეს ანდერძი ჩვენ უკვე განხილული გვქონდა (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 25—32). მაგრამ იქ ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება საგანგებო მსჯელობის საგანი არ ყოფილა. ამ დროს გამოსარკვევია, თუ რატომ მოხვდა ეს ტექსტი ანდერძისათვის უჩვეულო ადგილას, რატომ მოიხსენიება ანდერძის სათაურში: „დასაწყისი ზიჯისა ამის

<sup>53</sup> M—12, ფ. 41v.

<sup>54</sup> S—161, გვ. 88.

სწავლისა“, რაზედ მიუთითებენ ტექსტში ხშირად ხმარებული სიტყვები „ქვეით“ და „წალმართ“ და ა. შ.

ანდერძს აშკარა კავშირი აქვს ვახტანგის თარგმნით (ანუ მოკლე) და განმარტებით (ანუ ვრცელ) ლექსიკონს უშუალოდ მოსდევს განმარტებითი და ოთხი ასეთი მიმღევრობიდან სამი მოყვანილია I, II და III კარის ბოლოში. ვინაიდან II და III კარი ცხრილების დანართითაა, მიმღევრობები ამ ცხრილების შემდგომაა წარმოდგენილი. რაც შეეხება მეოთხე მიმღევრობას, ისიც აშკარად ამ წესით უნდა იყოს მოთავსებული, მხოლოდ ვახტანგის დანართების გამო ის უკვე აღარ წარმოადგენს ტექსტის დაბოლოებას. ლექსიკონების ამ პრინციპით განლაგება გასაგებს ზდის, თუ რატომ მოხვდა ვახტანგის ანდერძი უჩვეულო ადგილზე (M—12 ნუსხაში ის 25v ფურცელზეა მოყვანილი). სინამდვილეში აქ ანდერძთან კი არ გვაქვს საჭირო. არამედ ლექსიკონებისადმი დართულ წინასიტყვაობასთან, რომელიც უშუალოდ პირველი ლექსიკონის წინ არის წარმოდგენილი.

წინასიტყვაობის სათაურში „დასაწყისი ზიჯისა ამის სწავლისა, თარგმნილი მეტოს ვახტანგისა“ აშკარად მითითებულია არა „ზიჯის“, არამედ „ზიჯის სწავლის“ დასაწყისი. „ზიჯის სწავლა“, როგორც ეს წინასიტყვაობის სხვა ადგილებიდან ჩანს, „ზიჯის“ თეორიულ ნაწილს გულისხმობს, რომელიც ჩვეულებრივ ცხრილების შედგენისათვის საჭირო წესებს შეიცავდა. რაც შეეხება „დასაწყისს“, აქ ვახტანგს მხედველობაში აქვს მის მიერვე შედგენილი („თარგმნილი“) ლექსიკონები, რომლებსაც ის ქართველ მკითხველს „ზიჯის“ შესწავლისათვის აუცილებელ შესავლად თავაზობს.

ბუნებრივია, რომ წინასიტყვაობის ტექსტშიც მთავარი ყურადღება ლექსიკონებზე და „ზიჯის“ შესწავლის საკითხებზეა გადატანილი. როგორც ჩანს, თავდაპირველად ვახტანგი „ზიჯში“ სპარსულ-არაბული ტერმინოლოგიის გამოყენებას აპირებდა. ყოველ შემთხვევაში ამ პრინციპით არის წარმოდგენილი M—12 ხელნაწერი და მისი ლექსიკონების „წინასიტყვაობაშიც“ ამასვე აღნიშნავს ვახტანგი: „ეს „ზიჯის“ სწავლების რიგი, როგორც იმათში იყო ისე გადმოვსწერე და სახელები იმათისავ ენით არის“. ვინაიდან „ქართულს ენაში არც მცოდნე ვინმე იყო და არც წიგნი და შესატყობრად მოსწავლეს გაუჭირდებოდა“, ვახტანგს ერთად დაწყვილებული თარგმნითი და განმარტებითი ლექსიკონები შეუდგენია („იმათი სახელებისა ერთი თარგმანი და მეორე — რომელი რასა ქვიან იმას ქვეით დაგვიწერია“).

აქვე ის ურჩევს მკითხველს, რომ მან ჯერ პირველი და შემდეგ შეორე ლექსიკონი ისწავლოს („ჯერ ეს ისწავლეთ და მერმე ქვეითოთ“). ვინაიდან „უოსტატოდ ცოტა ამ წიგნის საქმე ყველა რამ ძნე-

ლია”, ვახტანგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასეთი მიმღევრობით ლექსიკონების შესწავლას (ვახტანგის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „წალმართ სწავლას”). ამასთანავე ის იწვევს მკითხველს ტერმინოლოგის დაზუსტების საქმეში მონაწილეობის მისაღებად და სთხოვს „ქართული სახელებით“ შეცვალოს ლექსიკონისა და ტექსტის სიტყვები.

არანაკლებ საყურადღებოა „წინასიტყვაობის“ მეორე ნაწილი, რომელშიც ვახტანგი ქართველ მკითხველს მოკლედ უხასიათებს „ზიჯის“ ქართული თარგმანის თავისებურებებს. პირველ კარში („ამას ზეით“) მისი განცხადებით „თარიხებისა და თვის დადეგების“ (ე. ი. I—V თავების) თარგმანი სრულ ნდობას იმსახურებს, ხოლო ჩინურ-უიგურთა კალენდრის და დღესასწაულების მასალა (VI—VII თავები) არც ქართული სინამდვილისათვის წარმოადგენს რამე ღირებულებას და არც სათანადოდაა გადამუშავებული („არც მაგთონ სახმარია, მაგთონ არ გამოვეკიდენით“). თუ ვინმე მაინც დაინტერეს-დება სიზუსტით („ვისაც ამის წალმართ გინდოდეს“), ვახტანგი იუწყება, რომ ცხრილები სწორად არის გადმოღებული, ხოლო მათი შედგენის თეორიულ წესებს სიზუსტე აკლია („გაზვალი სწორად გამოგვილია და როგორც უნდა, იმის სწავლას სისწორე აკლია“). რაც შეეხება II—IV კარის მასალებს, აქ, თარგმანი, ვახტანგის მტკიცებით, ზუსტია. მხოლოდ თეორიული ნაწილი ფაქტობრივად იმათვისაა საჭირო, ვინც ახალი „ზიჯის“ შედგენას აპირებს (აქ ვახტანგი „სწავლაებს“ უწოდებს „ზიჯის“ და კერძოდ, ცხრილების შედგენის წესებს — „ეს სწავლაები, როგორც ეს ზიჯი გამოულიათ და ან რომელი როგორ უპოვნიათ“). დანარჩენი საკითხები, ე. ი. „რაც მოსახმარისია ყველასათვის“, ცხრილებში არის წარმოდგენილი. ვინც ამ ცხრილებით სარგებლობას ისწავლის („იმ ჯადვალიდამ რომ იმ საჭირო გამოღება ისწავლოთ“), მაგ., მნათობთა კეშარიტი მდებარეობის განსაზღვრა „თუ სხვა მასკულავების საქმე“, მაშინ ის შეძლებს გაერკევს პლანეტებთან („მნათობთა“) თუ უძრავ გარსევაუნდან („დამტკიცებულთა“) დაკავშირებულ ყველა საყოჩში.

გარჩეული ტექსტი, რომელიც ვახტანგის კრიტიკული აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, ეჭვს არ იწვევს, რომ „წინასიტყვაობა“ ლექსიკონებისათვისაა საგანგებოდ დაწერილი. ლექსიკონების მათემატიკური ტერმინები აღრე დაწერილებით გავარჩიოთ (ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 40—46). რაც შეეხება ასტრონომიულ ტერმინებს — ისინიც მათემატიკური ტერმინების მსგავსად არის მოცემული. განმარტებით ლექსიკონებში ისე დაწერილებით არის გაშემუშავებული ასტრონომიული ობიექტისა თუ მოვლენის არსი, რომ „ზო-

ჯის” დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ძირითადი ტექსტის დაძლევა, მართლაც, შეიძლება საგრძნობლად გაიოლებულიყო.

S—161 ნუსხაში ლექსიკონების სისტემამ გარდევული ცვლილება განიცადა. ვახტანგმა განმარტებითი ლექსიკონები გააერთიანა და შეესებული სახით თხზულებას უკვე წინ წარუმდოვარა. შევსების გარდა ლექსიკონის მთელ რიგ ტერმინებს ვახტანგმა მითითება დაურთო „ქმნილების ცოდნის წიგნზე“ და ამრიგად, „ზიჯის“ შესწავლისათვის საჭირო დამხმარე საშუალებათა წრეში ეს სახელმძღვანელოც მოაქცია (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. აქვე, გვ. 92). ამასთან ერთად ნუსხაში გადმოიტანა ბოლო სამი თარგმნითი ლექსიკონი და ერთი ბოლო განმარტებითი ლექსიკონი (M—12 ნუსხის 127—128v ფურცლების ლექსიკონი S—161 ნუსხაში 259 გვერდზე გადავიდა. მხოლოდ რატომლაც მოულოდნელად სიტყვა „ინტირაფზე“ წყდება; 226—226v ფურცლის ლექსიკონი 474—475 გვერდებზე და 238v გვერდის თარგმნითი და განმარტებითი ლექსიკონები 495 გვერდზე).

ცალკე დგას მთვარის 28 სადგომის სია. რომელშიც სახელწოდებები მოყვანილია არაბულ და ქართულ ენებზე (M—12 ნუსხაში 251r ფურცელზე, ხოლო S—161 ნუსხაში — 507 გვერდზე).

ლექსიკონებს გარდა ვახტანგმა S—161 ნუსხაში დამატებების სახით შეიტანა გამრავლების ცხრილი (60X60) თვლის სამოცობითი სისტემისათვის და მოკლე არითმეტიკული სახელმძღვანელო სამოცობითი რიცხვების არითმეტიკულ მოქმედებებზე<sup>55</sup> (ცხრილი M—12 ნუსხაშიც იყო მოყვანილი<sup>56</sup>).

სახელმძღვანელო იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ თვით ვახტანგის მიერ შედგენილი და ქრონოლოგიურად პირველ ქართულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა არითმეტიკაში (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 47—65). ვინაიდან „ზიჯში“ გამოყენებული თვლის სამოცობითი სისტემა ქართველი შეითხველისათვის სრულიად უცნბი იყო, ვახტანგის ამ ღონისძიებით ეს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაც დაძლეულ იქნა.

„ზიჯის“ ზოგიერთი პრობლემის შესახებ. „ზიჯის“ შინაარსის აქ არ განვიხილავთ, ვინაიდან ტ. ყარანიაზოვის ნაშრომში — „ულულბეგის ასტრონომიული სკოლა“ — ეს შინაარსი ძალზე დაწვრილებითაა გადმოცემული (იხ. ბიბლიოგრაფიაში ყარანიაზოვი). ჩვენ მხოლოდ იმ საკითხებზე შევჩერდებით, რომლებშიც ვახტანგმა დამატებები შეიტანა უკვე უშუალოდ ტექსტთან დაკავშირებით.

55 S—161, გვ. 522—537; 554—556.

56 M—12, ფფ. 258r—265r.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამატებას წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა პუნქტების გეოგრაფიულ კოორდინატთა ორი ცხრილი. პირველი ცხრილი („თარგმანი ბერძნთა და ფრანგთაგან“<sup>57</sup>), როგორც აღრე ვუჩვენეთ, ორი წყაროს (ბერძნულის და ევროპულის) გაერთიანებას წარმოადგენს, რომელთაგან ევროპული სულხან-საბამ გამოიყენა თავისი ლექსიკონისათვის (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 311—312). აქვე დამატებით უნდა აღნიშნოთ, რომ ამ ცხრილში მოყვანილი მთელი რიგი ქალაქებისათვის („დიოსკურია ანუ სევაჭტოპოლის კოლქიდოსი“, „ფასოს კოლქიდოსი“, იერუსალიმი, „სიდონ ფინიკისა“ და სხვ.) კოორდინატები პტოლომეს მონაცემებს თანხვდება. მეორე ცხრილი რუსული წყაროდანაა თარგმნილი, მხოლოდ, სამწუხაროდ, კოორდინატების გარეშე<sup>58</sup>.

დამატებებს განეკუთვნება 508—518 გვერდებზე მოყვანილი ცხრილებიც. მათ შორის პირველ ორს M—12 ნუსხაში ვახტანგის ხელით მოწერილი ჰქონდა გამოყენების წესი, ხოლო S—161 ნუსხაში იგივე ტექსტი უკვე გადამწერის კალიგრაფიული ხელითაა გადატანილი<sup>59</sup>.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ვარსკვლავთა კატალოგი. რომელიც ულულბეგის „ზიჯის“ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს<sup>60</sup>. ჰიპარქეს (ძვ. წ. II ს.) შემდეგ ულულბეგს მიიჩნევენ მეორე ასტრონომად, რომელმაც ვარსკვლავთა ფუნდამენტური კატალოგი შეადგინა. კატალოგის 1018 ვარსკვლავიდან 900 ვარსკვლავის გრძედის და 878 ვარსკვლავის განედის მნიშვნელობა უშუალო გაზომვებითაა მიღებული (ყარა-ნიაზოვი. გვ. 315, 318). ვახტანგს ამ კატალოგთან დაკავშირებით ძალზე შრომატევადი სამუშაო აქვს ჩატარებული ვარსკვლავთა სახელწოდებების გადმოსაქართულებლად (ზოგრერთი ეს სახელწოდება განხილული გვაქვს ასტროლაბისადმი მიძღვნილ განყოფილებაში).

ვარსკვლავებზე დაკვირვებების თარიღად კატალოგის სათაურში მოთითებულია ჰიჯრის წელთაღრიცხვით 841 წლის 1 მუჰარამი, რასაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1437 წ. 5 ივლისი შეესაბამება. ვახტანგისთვის „ზიჯის“ III კარის XXII თავიდან კარგად იყო ცნობილი, რომ პრეცესიის ძალით ვარსკვლავების გრძელი 70 წელიწადში 1°-ით მატულობს. ამიტომაც არაა გამორიცხული, რომ ამ კონსტან-

<sup>57</sup> S—161, გვ. 260—276.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 276—288.

<sup>59</sup> K—12, ფფ. 252г—253г; S—161, გვ. 508—510.

<sup>60</sup> S—161, გვ. 434—473.

ტის მიხედვით მას ვარსკვლავების გრძელების გადანგარიშება შოუხდინა. ასეთი ვარაულის უფლებას გვაძლევს ვახტანგის ერთი სამუშაო ჩანაწერი, რომელშიც მოყვანილია ვახტანგისეული ასტროლაბის მესერზე ამოტვიფრული 29 ვარსკვლავის სია<sup>61</sup>. ამ სიას გვედრზე მიწერილი აქვს „სიგდე“, ე. ი., როგორც ჩანს, სიას დართული უნდა ჰქონოდა თვითეული ვარსკვლავის გრძელების რიცხვითი შენიშვნელობა, მაგრამ რატომლაც ეს პირობა მხოლოდ პირველი და მესამე სტრიქონისთვის არის შესრულებული. ამ სტრიქონების ჩანაწერებს შექმნამისად ასეთი სახე აქვს: „ყალბულ აღრაბ — ლრიანკულის გული — ც. ვ. კბ“ და „ყალბულ ასად — ლომის გული — დ. კვ. თ“, ანუ ვარსკვლავების დღევანდელ სახელწოდებებს და ციფრებს თუ გამოვიყენებთ „ანტარესი — 8.6.22“ და „რეგული — 4.26.19“. აქ გრძელები მოყვანილია „ზოდიაქტოს ნიშნებში“ (თვითეული 30°-ის ტოლია), გრადუსებში (0-დან 29°-მდე) და მინუტებში. ულულბეგის კატალოგით<sup>62</sup> ანტარესის გრძელს 8.2.16 და რეგულის გრძელს 4.22.13 შექმნამისად. აქ ჩვენ უურადლება მივაჭრით იმ გარემოებას, რომ ჩანაწერისა და ცხრილის მნიშვნელობათა სხვაობა ორივე ვარსკვლავისათვის ერთი და იგივე სიდიდე აღმოჩნდა (0.4.6 ანუ 4°6'). ეს კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ ჩანაწერის მონაცემები გადათვლილია რომელიდაც წლის შესაბამისად. ამ წლის მოსახებნად ჯერ 4°6'-ის შესაბამისი წლები ვიბოვეთ პრეცესიის კონსტანტის გამოყენებით. ის 287 წლის ტოლი აღმოჩნდა. ამ რიცხვის ამოსავალ 1437 წელთან მიმატებით მივიღეთ 1724 წ., სწორედ ის წელი, რომელიც ხშირად გვხვდება ვახტანგის სამუშაო ჩანაწერებში. აქედან გამომდინარე, მართლაც, არ არის გამორიცხული, რომ ვახტანგს თავის დროზე ვარსკვლავთა კატალოგის გადაანგარიშება ეწარმოეპინა.

I კარის მასალაში ვახტანგმა საკუთარი ჭვეთავი ჩაურთო კალენდრის შესახებ<sup>63</sup>. ამავე დროს ჩვენი წელთალრიცხვის სხვა ერებში გადასაყვანად მანვე გადამყვანი კოეფიციენტები გაიანგარიშა და ეს მონაცემებიც ძირითად ტექსტში შეიტანა<sup>64</sup>. ეს საკითხები დაწერილებით გვაქვს განხილული და მათზე აქ ალარ შევჩერდებით (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 319—326). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ სახის დამატებებით ვახტანგმა „ზიჯი“ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართულ სინამდვილეს და შესაბამისად ქართველ მკითხველს მისადმი ინტერესი გაუზარდა.

<sup>61</sup> K—3, საქ. 3, ფ. 13r—13v.

<sup>62</sup> S — 161, გვ. 451, 455.

<sup>63</sup> იქვე გვ. 43—44.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 47—50.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო მომენტი: სელევკილების კალენდართან დაკავშირებით ანგარიშებისთვის ქართულ თარგმანში გასული წლების რიცხვი გამოიყენება<sup>65</sup>, მაშინ როდესაც ულულბეგი მიმდინარე წლების რიცხვით სარგებლობს. ქართული თარგმანი ამ შემთხვევაში „ზიჯის“ კომენტატორ ბირჯანდის (გარდ. 1525) ვარიანტს თანხვდება (ყარა-ნიაზოვი, გვ. 157). აქედან ჩანს, რომ ვახტანგი პრაქტიკული მეცადინეობისას ბირჯანდის შრომას იყენებდა და მისი ვარიანტი შეუტანია თარგმანში.

კრხადია, რომ „ზიჯის“ შესწავლას და შემდგომ მის თარგმნას ვახტანგმა დიდი ენერგია შეალია, მიუხედავად იმისა, რომ მან ჯერ კიდევ საქართველოში მისიონერებთან გაიარა ასტრონომიის კურსი, ხოლო ირანში „გზის მკვლევად“ მიზანი აბდურიზა თავრიზელი აიყვანა. სხვათა შორის ვახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიაში ვახტანგის მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით სწორედ „ზიჯზე“ მუშაობის მომენტს გამოყოფს: „ისპაპანსა ყოფასა შინა მეფემან ვახტანგ ისწავლა და სთარგმნა ქართულად სპარსული ზიჯი, წიგნი ვარსკვლავთ-მრიცხველობისა და ცის ქმნულებისა“ (ვახუშტი, გვ. 493). არაა კლებ მუშაობას მოითხოვდა ის მრავალფეროვანი დამატებებიც, რომელთა „ზიჯში“ შეტანით ვახტანგი შორს გასცდა უბრალო მთარგმნელის ჩარჩოებს.

ყველა ეს ღონისძიება აშკარად ერთ მიზანს უმსახურება — „ზიჯის“ ეროვნულ ნიადაგზე დამკვიდრებას და მისი საშუალებით ასტრონომიული კვლევების წამოწყებას ქართულ სინამდვილეში. ამიტომაც, ეჭვს არ იწვევს, რომ ვახტანგი კადრების მომზადების საქმესაც ასეთივე გულმოძგინებით მოექიდებოდა. მისი ორი მოსწავლე დანამდვილებით ცნობილია: პირველი, მისი ვაჟი — ვახუშტი ბატონიშვილი იყო. ვახუშტიმ რომ კარგად იცის „ზიჯი“, ეს აშკარად ჩანს მისივე ჩანაწერებიდან (ჩ. აქვე, გვ. 185). რაც შეეხება მეორე მოსწავლეს — იოანე ორბელიანს — ყველაფრის მთქმელია მისივე ცნობილი განცხადება: „სანატრელმან მეფემან ვახტანგ ფრიადი შრომა ყო ჩემდა და მასწავა რომელიმე სწავლა ჭალდეური ვარსკვლავთ-მრიცხველობისა“ (ხელნაწერთა აღწერილობა, A—IV, გვ. 211). ქალდეური ვარსკვლავთმრიცხველობა შუა საუკუნეებში აღმოსავლურ ასტრონომიას წიშნავდა, ხოლო „ფრიად შრომაზე“ მითითება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ვახტანგის დამოკიდებულებას „ზიჯის“ შესწავლის პრობლემებისადმი.

<sup>65</sup> აქვე, გვ. 41—42.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკონის საშუალებით „ქმნულების ცოდნის წიგნი“ ისე ორგანულადაა დაკავშირებული „ზიჯთან“, რომ ვახტანგს, შესაძლოა, ამ უკანასკნელის მომდევნო წლებში დაბეჭდვის ჩანაფიქრიც ჰქონოდა.

## პ ს ტ რ ი ლ ა ბ ი

შუა საუკუნეების აღმოსავლური ასტრონომიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად დიდი სიზუსტით ჩატარებული ასტრონომიული გაზომვები ითვლება. დიდი სიზუსტე კი თავის მხრივ ძველი ასტრონომიული ხელსაწყოების გაუმჯობესებამ და ახალი უფრო სრულყოფილი ინსტრუმენტების შექმნამ განაპირობა. ხელსაწყოებს იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ ბევრი გამოჩენილი მეცნიერი მათი კონსტრუირებითა და უშუალოდ დამზადებითაც იყო დაკავებული.

ყველაზე დიდი პოპულარობით ამ ხელსაწყოებიდან სარგებლობდა ასტროლაბი — ორმელშიც მოხერხებულად იყო ერთმანეთთან შეთავსებული ორი დამოუკიდებელი ხელსაწყოს მუშაობის პრინციპი. ასტროლაბის ერთ მხარეს მოთავსებული იყო აღიდადიანი რგოლური ხელსაწყო, ორმლითაც ვარსკვლავების სიმაღლე იზომებოდა. მეორე მხარე სამოდელო ხელსაწყოთი იყო წარმოდგენილი, ორმელიც უძრავი პლანისფეროსა და ცის სფეროს გამომსახველი მბრუნავი მესროსაგან შედგებოდა. პლანისფეროზე გამოსახული იყო ცის სფეროს ნაწილის წერტილებისა და წრეების სტერეოგრაფიული პროექცია<sup>66</sup> სამხრეთ ან ჩრდილოეთ პოლუსიდან მოპირდაპირე. პოლუსის მხებ სიბრტყეზე. ამავე პროექციით მესერზე წარმოდგენილი იყო ექლიპტიკის წრე და ყველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავები. შესრის ისეთი შემობრუნებით, რომ მოცემული დღისათვის მზის ან ვარსკვლავების გამოსახულება გაზომილი სიმაღლის შესაბამის ალბუკანტარაზე მოხვედრილიყო, ვარსკლავიანი ცის გამოსახულებას იძლეოდა გაზომეოს მომენტში.

აღმოსავლურ ასტრონომიულ ლიტერატურაში ასტროლაბს იძლენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ მასზე საგანგებოდ დაწერილ უამრავ ტრაქტატებს გარდა, ხელსაწყოს ასტრონომიულ სახელმძღვანელოებშიც ცალკე თავი ეთმობოდა.

66 სტერეოგრაფიული პროექცია სასიათდება სამი შნიშვნელოვანი თვისებით:

1. პროექციის ცენტრში გამავალი სფეროს წრეები სიბრტყეში წრფეებად გამოისახებან. 2. წრეები, რომლებიც პროექციის ცენტრზე არ გადიან, სიბრტყეში ისევ წრეებად გამოისახებიან. 3. სფეროს მრუდებს შორის მდებარე კუთხეები სიბრტყეშიც თავის სიდიდეს ინარჩუნებენ (ავტ.).


დღიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასტროლაბს ვახტანგიც. „ქმნულების ცოდნის წიგნის“ წინასიტყვაობაში, მის მიერ თარგმნილი ასტრონომიული თხზულებების დასახელებასთან ერთად საგანგებოდ არის აღნიშნული ასტროლაბის დამზადებაც („გამოღება“). მართლაც, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალიზმის განკოფილების ფონდებში დაცულია ასტროლაბი, რომელიც სატატულო ადგილას ამოცვეთილი ვახტანგის სახელის მიხედვით ამ უკანასკნელის საკუთრება უნდა ჟოფილიყო. ეს ასტროლაბი შეისწავლა და მისი მოკლე აღწერა ცალკე სტატიის სახით გამოაქვეყნა გ. გიორგობიანი (ჩ. გიორგობიანი, გვ. 235—241).

როგორც „ქმნულების ცოდნის“ განხილვაშ გვიჩვენა, აქ ასტროლაბი საერთოდ არ არს წარმოდგენილი, თუმცა სწორედ ამ სახის სახელმძღვანელოებში, როგორც წესი, ერთი თავი უოველოვას ასტროლაბს ეთმობა. ამ ხარევზის შესავსებად და, როგორც ეტყობა, დამზადებული ასტროლაბისთვის ინსტრუქციის მაგვარი სახელმძღვანელოს შესადგენად, ვახტანგმა თარგმნა „ხოჯა ნასირ თუსელის“, ე. ი. ნასირ ედ-დინ თუსელის (1201—1274) ცნობილი შრომა „20 თავი ასტროლაბის შესწავლის შესახებ“. ქართულ ენაზე შრომის სათაურია „სტაროლაბის სასწავლებელი წიგნი“ და ის მხოლოდ ერთი ხელნაწერით (H—457) არის შემორჩენილი. ჩვენი შრომის პირველ ნაწილში ნაჩვენები იყო, რომ ეს ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს, რომელშიც თუსელის შრომის ეგარდა ასტროლოგიური შინაარსის თხზულება „თალა მასალაც“ არის მოყვანილი. ამასვე ვიმეორებდით საქართველოს ცენტრალური სახელმწიფოს საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 108 და № 109 ნუსხების მიმართ (ჩაგუნავა. მათემატიკა, გვ. 32—33), რაც სწორი არ იყო, ვინაიდან სინამდვილეში ორივე ხელნაწერი მხოლოდ „თალა მასალის“ ტექსტს შეიცავს და თანაც მეორე ხელნაწერი პირველის უშუალო გავრძელებაა.

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ ვახტანგისეულ ასტროლაბს „სტაროლაბის წიგნის“ პირველ თავთან („დასაწყისთან“) ერთად<sup>67</sup>, რომელიც ასევე ასტროლაბის ზოგად აღწერის ეტლუნება და სამუშავებო ექსპონატის დასახსიათებლად ძალზე მნიშვნელოვანი მონაცემების შემცველია.

ვახტანგის ეული ასტროლაბის აღწერა. სპილენძისაგან დამზადებული ხელსაწყოს ნაწილებს წარმოადგენს ძირითადი კორპუსი ერთ მხარეს ჩაღრმავებული კამერით, 6 მრგვალი და მთლიანი ფირფიტა (ე. წ. პლანისფერო), ერთი მრგვალი და ჭრი-

67 H—457, ფფ. 1r—4r.



ქათ. 8. ვახტანგის ასტროლაბის საერთო ხედი


ლების მქონე ფირფიტა (ე. წ. მესერი) და ერთი დიოპტრებიანი შიმშა (ე. წ. ალიდადა). სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მიზნით კორპუსის კამერაში ათავსებენ პლანისფეროებს და შემდეგ შესერს. კორპუსის ამავე ან საწინააღმდეგო მხარეს თავსდება ალიდადაც. ჭველა ეს ნაწილი საერთო ცენტრის მქონე ხვრელში გაყრილი ლერძითა და ამ უკანასკნელის ბოლოში გაცემული ჭილიბით ფიქსირდება (იხ. სურ. 8).

ძირითადი კორპუსი სპილენძის მასიურ დისკოს წარმოადგენს, რომლის დიამეტრი 162,0 მმ, ხოლო სისქე 8,8 მმ-ია. ზემოთა ნაწილში დასკოს გაგრძელებას სამკუთხედისმაგვარი ფორმა შეადგენს, რომელიც „სამეფო ტახტის“ (ტრო) სახელწოდებით არის ცნობილი. როგორც ეტყობა, ეს სახელწოდება სამეფო ტახტის მოყვანილობასთან მსგავსებით უნდა იყოს შემოღებული. ვახტანგისეული ტერმინი „სკამიც“, რომელსაც ის „სტრონლაბის წიგნში“ იძლევა, ასევე საზურგის ცნებას უკავშირდება.

დისკოს წინა პირზე სიმეტრიულად ამოკვეთილია 150 მმ დიამეტრისა და 6,4 მმ სიღრმის მრგვალი კამერა, რომელიც პლანისფეროებისა და მესრის სათავსის ფუნქციებს ასრულებს. ქართული სახელწოდება „ჩაწყობილაც“ სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს (წდრ. საბასთან: „ჩაწყობილი — ღრმაში წყობით ჩადებული“ — ორბელიანი, IV(2) გვ. 316). კამერის ფსკერზე ამოკვეთილია 46 ქალაქის სახელწოდება შესაბამისი გეოგრაფიული გრძელით. განედით და კიდევ ორი დამატებითი გრაფის მონაცემებით (იხ. სურ. 9). სია, რომელიც ცნობარის როლს ასრულებს, გადმოტანილი გვაქვს I ცხრილში ზოგიერთი დამატებითა და ცვლილებებით. კერძოდ, შემოტანილი გვაქვს ქალაქების ნუმერაცია. ბოლო გრაფიაში ასოებით ს-ა. კ. და ს.-დ. კ. შემოკლებით გადმოიცემა შემდეგი წარწერები: „ს/აღმოსავლის კერძო“ (ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე) და „ს/დასავლის კერძო“ (ე. ი. სამხრეთ-დასავლეთის მხარე). უფრო მცირე წრეში მოყვანილი № 32—46 ქალაქებისათვის ეს გრაფა ურთი საერთო წინადადებით არის წარმოდგენილი: „ესენი სულ სამხრეთი დასავლის კერძო არის“. ცხრილში მხოლოდ თავრიზისათვის (№ 32) მოგვყავს შემოკლება — ს.-დ. კ., ხოლო დანარჩენი ქალაქებისათვის იგივეობის ნიშანს ვიყენებთ (იხ. ცხრილი).

აღნიშნულ ცხრილში დასადგენი იყო მნიშვნელობა მესამე გრაფისა „მიზეული“ თავის რიცხვითი მონაცემებით და მეოთხე გრაფის |დ| კუთხზე ქვეყნის მიმართულების ზოგადი მაჩვენებლებით. მსგავს სპარსულ-არაბულ ასტროლაბში, რომელიც 1909 წელს დაწვრილებით აღწერა მ. ოსიპოვმა, მესამე გრაფაში სათაურად სიტყვა 108

„светлость“ არის წამარი. როგორც ავტორი აცხადებს, მან ვერ შესძლო ამ სიტყვისა და მისი შესაბამისი რიცხვითი მონაცემების მნიშვნელობის დადგენა (ოსიპოვი, გვ. 131). რაც შეეხება მეოთხე გრაფის, აღნიშნულ ასტროლაბში ის საერთოდ არ არის მოყვანილი. სიტყვა „მიზეულს“ ვახტანგი საერთოდ დახრილობის აზრით



სურ. 9. ასტროლაბის წინა მხარე

## კამერის ფსკეურზე მოთავსებული ცხრილი

No	„ქალაქი“	„სიგძე. დარაჯა და დალილა“	„განი. დარაჯა და დალილა“	„მიზეული“	„ დ. კუთხე“
1	მაქა	ოზ/10	კა/40	არაფერი	არაფერი
2	მაღინა	ოგ/20	ლ/—	ლ/10	იდ/ს-ა. ქ.
3	მისრ	1 გ/20	ლ/20	ნ/38	იდ/ს-ა. ქ.
4	სანაა	ოზ/—	იდ/30	1/55	—
5	ლასა	პგ/30	კდ/—	მო/30	ს-დ. ქ.
6	ღიმაშე	3/—	ლგ/ 15	ლ/31	ს-დ. ქ.
7	ალაბ	ობ/10	ლე/ 50	იპ/48	იდ/ს-ა. ქ.
8	ბალდად	3/—	ლგ/ 25	იბ/45	იდ/ს-ა. ქ.
9	სამარა	ოთ/10	ლდ/—	ზ/55	ს-დ. ქ.
10	ტრილისი	პგ/—	მგ/—	იდ/41	ს-დ. ქ.
11	ჭესელი	პგ/—	მა/50	იგ/28	ს-დ. ქ.
12	მულითარი	პლ/30	ლ/30	ლი/24	ს-დ. ქ.
13	ქაზარანი	პზ/—	კთ/15	ნა/7	ს-დ. ქ.
14	შირაზი	პგ/—	კთ/36	ნგ/15	ს-დ. ქ.
15	იქჩელი	პთ/—	ლბ/—	მგ/28	ს-დ. ქ.
16	ამადანი	პგ/—	ლე/ 10	კბ/16	ს-დ. ქ.
17	ყაზმინი	პე/—	ლგ/—	კზ/34	ს-დ. ქ.
18	გულუაქარი	პე/30	ლდ/ 15	ლგ/ 41	ს-დ. ქ.
19	ისპანი	პგ/40	ლგ/ 25	მ/28	ს-დ. ქ.
20	ქაშანი	პე/—	ლდ/—	ლდ/ 31	ს-დ. ქ.
21	რეი	პე/20	ლე/—	ლე/36	ს-დ. ქ.
22	თალიყონი	პე/45	ლგ/10	კთ/33	ს-დ. ქ.
23	ისტარაბადი	პთ/35	ლგ/50	ლგ/10	ს-დ. ქ.
24	სიმწონი	პგ/—	ლგ/—	ლგ/17	ს-დ. ქ.
25	დამღანი	პგ/15	ლგ/ 20	ლგ/—	ს-დ. ქ.
26	ბასტამი	პთ/30	ლე/ 10	ლგ/53	ს-დ. ქ.
27	საბზიერ	უა/30	ლე/—	მდ/53	ს-დ. ქ.
28	ნიშაბურ	უბ/30	ლგ/ 21	ბგ/25	ს-ო. ქ.
29	გაშათ	უბ/30	ლგ/—	მგ/6	ს-ო. ქ.
30	მარკი	უზ/—	ლგ/ 40	უბ/30	ს-დ. ქ.
31	ცერათი	უდ/20	ლგ/ 30	ნდ/8	ს-დ. ქ.
32	თავრიზი	პგ/—	ლგ/—	იგ/40	ს-დ. ქ.
33	არაველი	პგ/ 30	ლგ/—	იზ/13	ს-დ. ქ.
34	მარაყა	პგ/—	ლგ/ 20	იგ/17	"
35	შირვანი	პდ/30	გ/50	გ/9	"
36	ერევანი	პთ/15	ლგ/ 30	ლგ/20	"
37	განჯა	პგ/—	მა/20	იგ/40	"
38	სულთანია	პლ/6	ლგ/ 30	კბ/40	"
39	ლაიან	პდ/—	ლგ/ 15	კბ/22	"
40	ქირიმანშა	პგ/—	ლგ/ 30	კბ/18	"
41	ხოი	ოთ/40	ლგ/40	გ/23	"
42	სალმას	ოთ/ 15	ლგ/ 40	ზ/15	"
43	ქირჯან	ე/—	ლგ/50	მა/40	"
44	სისტანი	ეზ/—	ლგ/ 30	უგ/58	"
45	ქირმანი	უბ/33	კთ/5	უბ/51	"
46	ყანდარი	პგ/4	ლგ/—	ოე/5	"


ხმარობს. მაგრამ „ზიჯის“ თარგმანში ის სხვა შნიშვნელობითაც გვხვდება. კერძოდ, მეორე კარის მეცხრამეტე თავში, სადაც ყიბლის აზიმუტის მიბაძვით იერუსალიმის (ქრისტეს საფლავის) მხრისაკენ მიმართულების განსაზღვრის წესია განხილული, „მიზეული“ არაბული ტერმინის „ინცირაფის“ შესაბამისი აზრით იხმარება<sup>68</sup>. „ინცირაფს“ კი მუსულმანი ასტრონომები იმ კუთხეს ეძახდნენ, რომელიც მოცუმული ადგილმდებარეობის (ქალაქის) შესაბამის მერიდიანსა და მექის მხრისაკენ მიმართულებას (ე. ი. ყიბლის აზიმუტს) შორის მდებარეობს. ამავე თავში მოყვანილი წესით და ცხრილში წარმოდგენილი გრძელ-განედების სიღიძეთა გამოყენებით ჩატარებულმა „ინცირაფის“ გამოთვლებმა ცხრილისა და გამოანგარიშებული შედეგების სრული თანხვდენა გვიჩვენეს და ამით უცილობლად გაირკვა მესამე გრაფის სათაურისა და მონაცემების კეშმარიტი მნიშვნელობა. რაც შეეხება მეოთხე გრაფის „|დ| კუთხეს“, ამ ტერმინის მომდინარეობის დაზუსტება ვერ შევძელით. შინაარსობრივად კი ის ისევ მექასთან, უფრო ზუსტად, მექის მხრისაკენ მიმართულებასთან (ე. ი. ყიბლის აზიმუტთან) არის დაკავშირებული და ზოგადად გვიჩვენებს თუ მოცემული ქალაქიდან ქვეყნის მხარეების მიხედვით როგორ არის ორიენტირებული ეს მიმართულება (იმისდა მიხედვით მოცემული ქალაქის ფრძელი მეტია თუ ნაკლები მექის გრძელზე, |დ| კუთხე შესაბამისად „ს/დასავლის“ ან „ს/აღმოსავლის კერძოა“. სამწუხაროდ გაურკვევილია „იდ“(14) რიცხვის მნიშვნელობა №№2-3,6-7 ქალაქებისათვას).

აქვე უნდა აღინიშნოს ცხრილის ერთი თავისებურებაც: გრადუსები ასორიცხენიშნებით არის აღნიშნული, ხოლო მინუტები — ციფრებით. ნულის ნიშანი თუ სხვა ციფრთან კომბინაციაშია, ასეთ შემთხვევაში აწერება, ხოლო თუ ცალქე უნდა დაისვას, მაშინ აღგილს ცარიელს ტოვებენ (ჩვენ ტირეს კრმარობთ).

კამერის („ჩაწყობილას“) შემომსაზღვრელი ჩაულრმავებელი წრიული ნაწილი ლიმბს წარმოადგენს, რომელიც 360 გრადუსად არის დაყოფილი და ჟოველი ხუთი გრადუსის ინტერვალში შესაბამისი რიცხვიშნით არის ფიქსირებული („რამთონს სახლს გაივლის, იმ-თონი ხუთ-ხუთი მოემატება და ესე რომ სახლად-სახლად შემოუვლით, კრკალ-სახლედი ჰქვიან“). გრადუსებად დაყოფა ლიმბის ზემოთა მხარეს, ზუსტად შუაგულის მარჯვნივ აწყება და საათის მიმართულებით იზრდება.

ამავე მხარეს, „სკამის“ შუა ნაწილში ამოქცეთილია ხელულად შესრულებული წარწერა „გახტანგ“.

„სკამის“ წვეროს ნახვრეტში გაცმულია ლითონის რგოლი, რომელშიც თავის მხრივ ზონარზე დასაჭიდებელი რგოლი არის გაყრი-



სურ. 10. ასტროლაბის ზურგი

ლი. ქართული ტექსტით პირველს „გრგოლს გასაყარი“, ხოლო მეორეს უბრალოდ „გრგოლი“ ეწოდება.

ასტროლაბის კორპუსის მეორე მხარე, რომელსაც ზურგი ეწოდება (ასევე უწოდებს ვახტანგიც), ვერტიკალური და პორიზონტალური დიამეტრებით ოთხ კვადრანტად არის დაყოფილი. ზურგის გარეგანი კიდე დანაყოფებიან ლიმბს წარმოადგენს. ლიმბის ზემოთა ნაწილი 180°-ად არის დაყოფილი და უკველ მეხუთე დანაყოფს შესაბამისი ასორიცხვნიშანი აქვს მიწერილი. გრადუსებად დაყოფა პორიზონტალური დიამეტრის ორივე წვეროდან ერთნაირად იწყება. ისე რომ, ვერტიკალური დიამეტრის ზედა წვეროსთან ორივე შეკლა 90°-ის შესაბამისი დანაყოფით მთავრდება. აქედან ჩანს, რომ ამ დანაყოფების და ალიდადას საშუალებით შეიძლება როგორც ციური, ისე მიწიერი საგნების სიმაღლის კუთხის გაზომვა (იხ. სურ. 10).

ზედა მარცხენა კვადრანტი წარმოადგენს სინუს-კვადრანტს, რომლის ზედაპირზე ურთიერთპერპენდიკულარული დიამეტრების პარალელურად გავლებულია წრფეთა ორი რიგი. ალიდადას გაშოყენებით ამ კვადრანტით გამოიახვარიშება სინუსები და კოსინუსები მოცემული რკალების მიხედვით და პირიქით, რკალები სინუსებისა და კოსინუსების მოხედვით. მაგალითად, პირველი შემთხვევისათვის ალიდადას წვეროს აყენებენ რკალის სიღრიფის შესაბამის ლიმბის დანაყოფზე და პერპენდიკულარულ დიამეტრებამდე გავლებულ წრფეთა მონაკვეთების საშუალებით აითვლიან ამ რკალის სინუსისა და კოსინუსის წირებს რადიუსის სამოცურავით წილებში. ამრიგად, სინუს-კვადრანტი ფაქტობრივად წარმოადგენს წრფივ ტრანსპარანტულ ნომოგრამას, რომლის ტრანსპარანტის როლსაც ალიდადა ასრულებს.

ასტროლაბის ზურგის ზედა მარჯვენა კვადრანტის „სიმაღლის კვადრანტი“ ეწოდება. აქ კონცენტრული წრეწირების შეოთხედების სახით წარმოდგენილია 60-მდე პარალელი<sup>69</sup>, რომელიც ზოდიაქოს 12 ნიშანს შეესაბამება. ამ ნიშნების აღმნიშენელი წარწერები წრეწირების საწყის და საბოლოო წერტილებთან, ვიწრო სექტორებშია მოყვანილი. მრუდების ორი ჯგუფიდან პირველი, რომლის 6 შემაღენელი დაგრადუირებულია ასორიცხვნიშნების საშუალებით 30-დან 40°-მდე („ლ“-დან „მ“-მდე), სხვადასხვა განედებისათვის მერიდიანში მზის სიმაღლეს უჩვენებს. ამასვე მიუთითებს ლიმბის ქვემოთ გოთავსებული წარწერა: „განზე რომ ხაზები გაუწევიათ, ნისბი ნარის ხაზებია“. „ნისბი ნარი“ — ე. ი. „ნისფ ან ნაპარი“ მერიდიანს აღნიშნავს, „განზე რომ ხაზები გაუწევიათ“ — განედებთან დაკავშირვ-

69 ზუსტი რაოდენობის დაღვენა ზედაპირის გაცვეთის გამო არ ხერხდება.

ბულ წირებს, და მთლიანობაში წინადადება გვეუბნება, რომ განედების მიხედვით გავლებული წირები მეტიდიანში მზის სიმაღლის აღმნიშვნელი წირებია. მეორე ჯგუფის მრუდები სამი ქალაქისათვის (ისპაპაპინისათვის, ბალდადისა და მაშათისათვის), მზის სიმსლეს გამოხატავენ იმ მომენტში, როდესაც მნათობი მექის აზიმუტს (ე. ი. ყიბლის აზიმუტს) კვეთს. სწორედ ამ მრუდებს გულისხმობს ასტროლაბის ცენტრთან მოთავსებული წარწერა, რომელიც. გ. გიორგობიანის მიხედვით ასე იყოთხება: „სამხრის მხრის ფარგლები, რ' ჟყიბლამითი შეიტყობა“. ასეთი წაკითხვის საფუძველზე ავტორი ვარაუდობს, რომ ასტროლაბს თან ახლდა კომპასი, „რომელიც მას გადასატანადაც მოხერხებულს ხდიდა“ (გიორგობიანი, გვ. 237). სინამდვილეში წარწერაში „ყიბლამიროს“ ნაცვლად აშეარაც იყოთხება „ყიბლა ამითი“ (როგორც სხვა, ისე ეს სიტყვები ერთმანეთისგან ორწერტილით არის გამოყოფილი), მთელ წინადადებაში კი ის აზრია გატარებული, რომ მექის მხრისაკენ მიმართულება (ე. ი. ყიბლის აზიმუტი) მოცუმული ქალაქებისათვის „ამითი“, ე. ი. მითითებული მრუდებით „შეიტყობა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასტროლაბით ყიბლის განსაზღვრის მეთოდი თავისთავად გამორჩება კომპასით სარგებლობის შესაძლებლობას.

ასტროლაბის ზურგის კვედა ნაწილზე ორი „ჩრდილის კვადრანტი“ ანუ „ტანგენს-კვადრანტი“ და ასტროლოგიური გათვლებისათვის საჭირო მონაცემები არის წარმოდგენილი. თვითეული ჩრდილის კვადრანტი წარმოადგენს კვადრატს (31 მმ×31 მმ), რომლის ორი გვერდი დაყოფილია 12 „თითად“ (მარჯვენა კვადრატი) ან 7 „ტერფად“ (მარცხენა კვადრატი). ვერტიკალურ შეკალზე ტანგენსი აითვლება, ხოლო პორიზონტალურზე — კოტანგენსი. ამასვე მოუთოთებენ წარწერები „ზილი აყდამ“ და „ზილი ასაბ“ — ე. ი. ჩრდილის ტერფები და ჩრდილის თითები, ორივე კვადრატის ვერტიკალურ შეკალსათან. რაც შეეხება პორიზონტალურ შეკალებს, ორივეგან წარწერილია „მუსთავი“, ე. ი. „ბრტყელი“, რაც კოტანგენსის ერთ-ერთი არაბული სახელწოდების კომპონენტს წარმოადგენს (სრული სახით „ზილი მუსთავი“ — ე. ი. ბრტყელი ჩრდილი).

ჩრდილების, ე. ი. ტანგენსებისა და კოტანგენსების გაზომვა ალიდადას დახმარებით წარმოებს, რომლის ერთი წვერო ზედა ნახევრის ერთ-ერთ ლიმბზე რკალის სიღიდის შესაბამის დანაყოფზე ფიქსირდება. იმისდა შიხედვით რკალი მეტია თუ ნაკლები  $45^{\circ}$ -ზე, შესაბამისად პოულობენ სიღიდეებს  $1 \cdot \text{tg} \alpha$  ან  $1 \cdot \text{ctg} \alpha$ , საღაც  $t$  12-ს ან 7-ის ტოლია.

„ჩრდილის“ კვადრანტებთან არის დაკავშირებული ქვედა ორი ლიმბიც, რომლებზედაც ჰორიზონტალური შეკალის დანაყოფებისადმი მიმართული რაღიუსების გაგრძელებებია გამოსახული. მარცხენა ლიმბი, როგორც ამას ლიმბზევე მოყვანილი წარწერა („ზილი აყდამ“) გვიჩვენებს, „ტერფების“ შეკალის გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო მარჯვენა, ასევე წარწერითვე („ზილი ასაბ“) „თითების“ შეკალის გაგრძელებას. პირველი 45°-მდე არის დაგრადუირებული, ხოლო მეორე — 50°-მდე. ორივე ლიმბის დანაყოფების დასაწყისში, იქ სადაც მათ ვერტიკალური დიამეტრის ქვედა ბოლო უნდა გამოჰყოფდეს, მოთავსებულია არაბულ-სპარსული წარწერა, რომელსაც ჩვენ მოვისანებით გავარჩევთ. ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ გ. გიორგობიანის თანახმად, ის იყითხება როგორც „ხელოვნებისა და მხატვრობის დიდოსტატთა მონა“ (გიორგობიანი, გვ. 236).

ქვედა ნაწილის დანარჩენი ზედაპირი დათმობილი აქვს ასტროლოგიური ხასიათის წარწერებს, ფატრობრივად ცხრილებს, რომლებსაც უფრო საცნობარო დანიშნულება აქვთ. პირველი ასეთი ცხრილი მოთავსებულია ორივე „ჩრდილის კვადრანტის“ შიგა არეში და მას ასეთი სახე აქვს:

ცხრილი 2  
მუსალასას ბუნება და პატრონი, იმათი დღესთვის ვინ არი და ღამით ვინ

მყურვალი	ვერდი	ლომი	მშეკრილდო- სანი	მზე	მუშ- თარ	ზომლ	მუშთარ	მზე	ზომლ
მიწისგანი	კურო	ქალწული	თხის რქა	ზორა	მთვარე	მარის	მთვარე	ზორა	მარის
პაერისა	ტყუბი	სასწორი	წყლის სა- ქანელი	ზომლ	ოთა- რიდ	მუშთა- რი	ოთა- რიდ	ზომლ	მუშ- თარ
წყლისა	კირჩხა- ლრიანკე- ლი	თევზი	ზორა	მარის	მთოვა- რე	მარის	ზორა	მთვა- რე	

„მუსალასა“, ე. ი. „სამკუთხედები“, ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებულ ზოდიაქოს ნიშნების სამეულებს ნიშნავს, რომლებიც ეკლიპტიკის წრეში ჩახაზული ტოლგვერდა სამკუთხედების ფორმით გამოისახებიან. ცხრილის მარცხენა ნაწილში მოყვანილია თვითეული ელემენტ-სტიქიონის შესაბამისი ზოდიაქოს ნიშნების „სამკუთხედე-  
ელემენტ-სტიქიონის“ გაერთიანება. ამის მიხედვით ვერდი — ლომი — ქალწულის სამ-  
ბად“ გაერთიანება. ამის მიხედვით ვერდი — ლომი — ქალწულის სამ-  
ბად“ გაერთიანება. ამის მიხედვით ვერდი — ლომი — ქალწულის სამ-

ლი — თხის რქის სამკუთხედს „შიწიური“ („შიწისგანი“), მარჩბივი („ტყუბი“) — სასწორი — მეტყულის („წყლის საქანელის“) სამკუთხედს — „ჰეროვანი“ („ჰერისა“) და კირჩხიბი („კირჩხალი“?) — ღრიანკალი — თევზების („თევზის“) სამკუთხედს — „წყლიანი“ („წყლისა“). ზუსტად ასეთივე სქემას იძლევა ბირუნი (ახ. ბირუნი, VI, გვ. 178), მხოლოდ აյ გამომცემლების მიერ დართულ შენიშვნაში (გვ. 311, ს 44) იყორისეული შესაბამისობის სქემა აღრეულია.

ცხრილის მარჯვენა ნაწილში „სამკუთხედების“ პატრონი არის წარმოდგენილი დღისით (V—VII სკეტი) და ღამით (VIII—X სკეტი). ასტროლოგიური წარმოდგენების თანახმად, თვითეულ „სამკუთხედს“ დღისით და ღამით თავისი პატრონები ჰყავდა. მაგ. „მყურვალი“ სამკუთხედის პატრონი დღისით მზე, ოუპიტერი („მუშთარი“) და სატურნია („ზოტლ“ — ე. ი. ზუალი), ღამით კი იგივე მნათობი, მხოლოდ ასეთი თანამიმდევრობით: იუპიტერი, მზე და სატურნი. ბირუნის მიხედვით ამ სქემით ჰაშვიტების (ლვთისმეტყველების — ანტროპომორფისტების) ასტროლოგები სარგებლობდნენ (ბირუნი, VI, გვ. 199—200). აღსანიშნავია, რომ ვახტანგის მიერ თარგმნილ ასტროლოგიურ თხზულებაში „ჰიდაიათ ილ-ნუჯუმი“ ზუსტად ასეთი ცხრილია მოყვანილი და ტექსტში დაწვრილებითაა განხილული „სამკუთხედებთან“ დაკავშირებული საკითხები<sup>70</sup>.

ასტროლოგიური ცხრილების მეორე ნაწილი „ჩრდილის კვადრანტის“ გარეთ, ლიმბის კონკრეტულად 5 ნახევარწრეული ჩაწერილი შონაცემებია. ამ მონაცემების თანამიმდევრობა საათის საწინააღმდევე გო მიმართულებას თანხვდება. დასათაურება თვითეული ნახევარწრის თავსა და ბოლოშიც არის მოყვანილი. 5 ნახევარწრიდან პირველი ოთხის მონაცემები (თუ ლიმბიდან გადავითვლით) აშკარად ერთმანეთთან არის უშუალო კავშირში და ამიტომაც ისინი ჩვენ ერთი ცხრილის სახით მოვყეყას (მხოლოდ ნახევარწრეების ნაცვლად სამ ზოლად „გამართულ“ სკეტებს ვიძლევით, სადაც ყოველი მოძევნო ზოლი წინას გაგრძელებას წარმოადგენს — იხ. ცხრილი 3).

ცხრილში მოყვანილი მასალიდან განმარტებას მოითხოვს სათაურები „ჰუდუდ“ და „ვუჯუ“. პირველი „საზღვრებს“ ნიშნავს და ზოდიაქოს ნიშნების ისეთ ქვედაყოფას ითვალისწინებს, რომლის დროსაც თვითეულ მათგანს „თავისი“ პლანეტა შეესაბამება (იხ. ბირუნი, VI, გვ. 203). ცხრილის პირველი სკეტის „მასკვლავი“ ამ შემთხვევაში „ჰუდუდის“ პატრონად არის მიღებული. „ბრჯი“ — ე. ი. „ბურჯი“ ზოდიაქოს იმ ნიშანს აღნიშნავს, რომლის ქვედაყოფაც არის განხორციელებული. „ჰუდუდის“ სკეტში მოყვანილი ასორიცხვნიშნები კი

ამ ქვედაყოფის რიცხვით მნიშვნელობას გამოხატავენ გრადუსებში. ბირუნის თხზულებაში „მეცნიერება ვარსკვლავების შესახებ“ და აგრეთვე ვახტანგის მიერ თარგმნილ ასტროლოგიურ ტრაქტატში „პი-დაიათ ილ-ნუჯუმი“ ნაჩვენებია, რომ არსებობს „საზღვრებად“ ქვედაყოფის რამდენიმე ვარიანტი, რომელთა შორის უპირატესობა ეგვიპტელთა ვარიანტს ენიჭება. განმარტებასთან ერთად მოყვანილია სათანადო ცხრილიც, რომლის მონაცემებიც ზუსტად თანხვდება ასტროლაბის ცხრილის მონაცემებს (იხ. ბირუნი, VI, გვ. 203, 206; Q—1493, ფფ. 25N—26T).

რაც შეეხება „ეუჭუს“, ე. ი. „წახნაგებს“, ამ შემთხვევაში ზოდიაჭის ნიშნების საშ ნაწილად დაყოფა იგულისხმება. დასანანია, რომ კტრილში ასორიცხვნიშნების სახით მოყვანილი ასეულების დანიშნულება ვერ დავადგინეთ და შესაბამის ლიტერატურაშიც მსგავსი მონაცემების კვალს ვერ. მივაგერით.

მეხუთე, ცხრილისაგან დამოუკიდებელ ნახევარწრეში, მთვარის საჟღომების სია არის მოყვანილი, რაზედაც ნახევარწრის ორივე ბოლოში ამოტეიფრული სათაურაც („მანძილი“) მიუთოთებს. ქვემოთ მოვყავს ეს სია. ფრჩხილებში დამატებით წარმოლგენილი გვაქვს თვითეული ტერმინის ზუსტი შესატყვისი არაბულ ენაზე: 1. შარა-თან (აშ-შარათან), 2. ბათინ (ალ-ბუთეინ), 3. სურაგრა (ას-სურეია), 4. დაბარან (ად-დაბარან), 5. აყცა (ალ-ჰაყა), 6. ჰანაყ (ალ-ჰანა). 7. ზირა (აზ-ზირა), 8. ნასრა (ან-ნასრა), 9. თარფა (ათ-თარფა), 10. ჯაბრჰ (ალ-ჯაბრჰ), 11. ზაბარა (აზ-ზუბრა), 12. სარფა (ას-ხარფა), 13. ავა (ალ-ავა), 14. სამაქ (ას-სიმაქ), 15. ღაფარ (ალ-ღაფრი), 16. ზაბანა (აზ-ზუბანანი), 17. იქლილ (ალ-იქლილ), 18. ყალბ (ალ-ყალბ), 19. შევილ (აშ-ჰაულა), 20. ნააიმ (ან-ნააიმ), 21. ბალადა (ალ-ბალდა), 22. ზაბჰ (საად აზ-ზაბჰ), 23. ბალაყა (საად-ბულა), 24. სუუფუდ (საად ას-სუუდ). 25. აზბია (საად-ალ-აზბია), 26. მუყადამ (ალ-ფარგ ალ-მუყადამ), 27. მახრ (ალ-ფარგ ალ-მუახარ), 28. რაშა (რიშა).

ასტროლაბის კორპუსის ზურგთან დაკავშირებით „სატროლაბის სასწავლებელ წიგნში“ რატომლაც ძალზე მცირე ცნობებია მოყვანილი. ეს მით უფრო შოულოდნელია, რომ სხვა ნაწილების აღწერას შედარებით მეტი ადგილი ეთმობა.

ურთიერთპერსენციკულარულ დიამეტრებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ვერტიკალურ დიამეტრს მერიდიანის ხაზი („შუადღის ხაზი“) ეწოდება, ხოლო პორიზონტალურს — „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხაზი“. ქვემოთა ნახევრის ლიმბს „ჩრდილ-სახლედს ეძახიან“, ცხადია, იმასთან დაკავშირებით, რომ ის „ჩრდილის კვანძრანტების“ შეალის გაგრძელებას წარმოადგენს. ასევე, ზედა ნახევ-

## ასტროლაპის ზურგის ნახევარწრეებში მოყვანილი წარწერები

მასკვლავი	კულტ	ბაზა	ცუცუ	მასკვლავი	ჭულ	ბაზა	ცუცუ	მასკვლავი	ჭულ	ბაზა	ცუცუ
მუშთარ ზოტრა ოტერიდ მარის ზოალ	ვ ებ ქ კ /ვ	ვერი ც ფ ფ	ტ ც ც ც	მუშთარ ზოარა ზოალ ოტერიდ მარის	ვ ის კდ ლ	ს ლიმი ტ	რ ც ტ	მუშთარ ზორა ოთარიდ ზოალ მარის	იბ კა კე რ	შეველისანი	ა.
ზოტრა ოტერიდ მუშთარ ზოალ მარის	ც იზ ქ კზ 3	ერი ც რ რ	ქ ც რ	ოტერიდ ზოტრა მუშთარ მარის ზოალ	ზ იზ კც ლ	ც კლწულ ქ	ც ც ქ	ოთარიდ მუშთარ ზოტრა ზოალ მარის	ც კპ კვ რ	თხის აძე ც	ს
ოტერიდ მუშთარი ზოარა მარის ზოალ	ვ იზ კც რ	ტანი ც ც	ს ტ ტ	ზოალ ოთერიდ მუშთარ ზოტრა მარის	ვ იდ კც ლ	სასწრი ს	რ ს	ოტარიდ ზოარა მუშთარი მარის ზოალი	ზ ივ კ კ რ	გერმული	ც
მარის ზოარა ოტერიდ მუშთარ ზოალ	ზ ივ კც რ	ერისძი ც ლ	ფ ქ ლ	მარის ზოტრა ოთარიდ მუშთარ ზოალ	ზ ის კც ლ	ლრიანელი ლ	ც ც ფ	ზოარა მუშთარ ოტერიდ მარის ზოალ	იბ ივ ით კა რ	თუჭი ც	რ

რის ლიმბს, რომელიც ძირითადად სიშაღლეების გაზომვასთან არის დაკავშირებული, შესაბამისად „მაღალ-სახლედი“ ეწოდება.

ასტროლაბის კამერაში ინახება პლანისფეროების ფირფიტების ანუ, ვახტანგის ტერმინოლოგით, „რვალ-ფიცრების“ კომპლექტი, რომელიც მოცემული ხელსაწყოოებისათვის 5 ეგზემპლარისაგან შედგება. თვითეული პლანისფერო წარმოადგენს 0,9 მმ სისქის და 140 მმ დიამეტრის მქონე მრგვალ ფირფიტას, რომლის ორივე მხარეს სტერეოგრაფულ პროექციაში გამოსახულია ცალ სფეროს წრეები და წერტილები. ვინაიდან პორიზონტის, ალმუკანტარატების და ვერტიკალური წრეების მდგომარეობა პლანისფეროზე აღილმდებარეობის განედზე არის დამოკიდებული, ამიტომაც თვითეული პლანისფერო გარკვეული განედისათვის ან ქალაქისათვის არის დამზადებული („ქალაქების გულისათვის რვალ-ფიცრი სხვადასხვა იქნება“). ამაზე მიუთითებს წარწერაც „განი“ და ასორიცხვისშენებით გამოსახული შესაბამისი გრადუსების რიცხვი. „განის“ გამწვრივ, მარცხენა მხარეზე ამოტვიფრულია წარწერა „სათ“ (ე. ი. სათი) შესაბამისი სათისა

და წუთის მნიშვნელობით. ქვემოთ პირობითად დანომრილი პლანი-სფეროების ფირფიტების ორივე მხარისათვის მოგვყავს ამ გრძელებისა და საათების მნიშვნელობები:

ცხრილი 4


პლანისფერო	№ 1	№ 2	№ 3	№ 4	№ 5
"განი" (განე-დი)	ლბ	ლგ	ლდ	ლვ	ლზ
"სათ" (საათი)	იღ/ზ	დდ/თ	იღ/იზ	იღ/კლ	იღ/ლთ

№ 4 ფირფიტის მეორე მხარეზე გამსხვავებული ხასიათის ნახაზია ამოტიფირული, რომელსაც მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ. დანარჩენ ფირფიტებზე მოყვანილი სიდიდეები კონკრეტული ქალაქების განედს შეესაბამებიან. მაგ., თუ ასტროლაბის კამერის ფსკერზე მოთავსებული ქალაქების სიით ვიხელმძღვანელებთ (იხ. ცხრილი 1), მაშინ № 1 ფირფიტის ერთი მხარე ( $\varphi=32^\circ$ ) იეზოს შეესაბამება, ხოლო მეორე მხარე ( $\varphi=33^\circ$ ) — ყანდარს. ასევე № 2 ფირფიტის ერთი მხარე ( $\varphi=34^\circ$ ) — სამარას და ქაშანს, ხოლო მეორე მხარე ( $\varphi=36^\circ$ ) — სიმნონს, ყაზმინს და საბჭევარს. ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა № 5 ფირფიტის მეორე მხარე ( $\varphi=43^\circ$ ), რომელიც თბილისს თანხვდება. სწორედ ეს მხარე არის წარმოდგენილი სურ. 11-ზე და პლანისფეროს ზოგად აღწერას მის მიხედვით ვაწარმოებთ.

როგორც ასტროლაბის ზურგზე, ამ შემთხვევაშიც სიბრტყე დაყოფილია ორი ურთიერთპერიოდიკულარული დიამეტრით. ვერტიკალურ დიამეტრს საშუალეო ხაზი ("შუვა დღის ხაზი") ეწოდება, ხოლო ჰორიზონტულს — აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზი („აღმოსვლისა და დასავლის ხაზი“). ამ უკანასკნელს მარცხენა ბოლოში მიწერილი აქვს სიტყვა „აღმოსავალი“, ხოლო მარჯვენა ბოლოში — „დასავალი“. საშუალეო ხაზის ქვედა ბოლოსთან (ე. ი. ჩრდილოეთის წერტილთან) ყველა ფირფიტის პატარა ამონაჭერი აქვს, რომელიც კორპუსის (კამერის) შვერილში ჭდება. ამის წყალობით პლანისფერო სამუშაო მდგომარეობაში კორპუსის მიმართ უძრავი რჩება.

ფირფიტის ცენტრში ღერძის გასაყრელი ნახერეტი პოლუსს შეუსაბამება, ხოლო მის კონცენტრულად გავლებული სამი წრე თანა-შიმდევრულად კირჩხიბის, ვერძის (ან სასწორის) და თხის რქის ტრიპიკებს გამოსახავს („რვალ-ფიცრის პირზე რომ სამი კარაკინი

ავლია, სამივ ერთას წინწელიდამ მოუცლიათ. რომელიც შუვა კარა-  
კინია, იმას ვერძის გინა სასწორის გზა ჰქვიან გინა სასიარულო, რომე-  
ლიც კარაკინი გარეთ ავლია, თხის რქის სასიარულო ჰქვიან და რომე-  
ლიც კარაკინი შიგნით — იმას კირჩხიბის სიარულს ეძახიან<sup>71)</sup>). ვერძის  
ან სასწორის ტროპიკი ცის ეკვატორის წრეს შეესაბამება, რომლის  
ორივე მხარეს  $\epsilon = 23^{\circ}30'$  ( $\approx 24^{\circ}$ ) მანძილით გადაზომოლია კრჩხიბისა  
და თხის რქის ტროპიკები.



სურ. 11. პლანისფერო (თბილისის განედისათვეს)

იმისდა მრჩედვით თუ რომელი პოლუსიდან წარმოებს პროექ-  
ცია, ხელსაწყოს ეწოდება „ჩრდილოეთის“ ან „სამხრეთის“ ასტრო-  
ლაბი. წარმოდგენილი ასტროლაბი „ჩრდილოეთისას“ განეკუთვნება,  
ვინაოდან კირჩხიბის ტროპიკი შეგა, ხოლო თხის რქის ტროპიკი გარე

<sup>71</sup> H—457, ფ. 2v.

წრეს წარმოადგენს (რაც შეეხება „სამხრეთის“ ასტროლაბს, მისთვის „თხის რქის სასიარულო შიგნით იქნება და კირჩხიბის სასიარულო გარეთ“). ასე რომ, წარმოადგენილ პლანისფეროზე გამოსახულია ცის სფეროს ნაწილი სამყაროს ჩრდილოეთი პოლუსიდან თხის რქის ტრიპიკამდე, რომლის ფარგლებშიც დახრილობა  $+90^{\circ}$ -დან —  $23^{\circ}30'$ -მდე იცვლება.

სამხრეთის მხარეზე წრეების მჭიდრო ქსელი  $2^{\circ}$ -ის ინტერვალით განსხვავებული ალმუკანტარატების პროექტის წარმოადგენს („კარაკინები ერთმანეთზე რომ შემოუვლია, მისი წინწყალიც ერთდამ არის და ის კარაკინები ზოგი სრულად ავლია და ზოგი უსრულოა. ამას ხიდურს-კარაკინს ეტყვიან“). გარეთა, ყველაზე დღი დღამეტრის წრე მოცემული განედის პორიზონტს შეესაბამება („რომელიც კარაკინი უსრულოა და ყველას გარეთ ავლია, იმას აღმოსავლისა და დასავლის ზუვახმელი ჰქვიან“). მოძღვვის ალმუკანტარატის სიშალლე  $2^{\circ}$ -ია, შემდეგის  $4^{\circ}$  და ა. შ.  $90^{\circ}$ -მდე, რომელიც უმცირეს წრეში მდებარე წერტილშია და ზენიტს შეესაბამება („ოთხმოცდაათსაც ეძახიან და თავს ზერთ მდგომიცა ჰქვიან“). ალმუკანტარატების ერთ ნაწილს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეზე ერთნარად დატანებული აქვს სიმაღლის შესატყვისი რეცხვი (ასორიცხვნიშნებში) — 2-დან 60-მდე, დანარჩენი ალმუკანტარატებისათვის რიცხვების წარწერა ( $60$ -დან  $90^{\circ}$ -მდე) საშუალეო ხაზის გასწვრივ არის მოყვანილი.

პლანისფეროზე ამოტვიფრული ალმუკანტარატთა რაოდენობის (90, 45, 30 და ა. შ.) შესაბამისად განასხვავებენ სრულ, ორკერძო, სამკურძო და ა. შ. ასტროლაბებს. ნასირ ედ-დინ თუსელის კლასიფიცირებით „ასტროლაბი ოთხი როგია:

ერთი სრულია, ერთი ნახევარია, ერთი მესამედია. ერთი მეექვსედი“, კონკრეტულად კი ის ორკერძო ასტროლაბს განიხილავს, ვინაიდან ტექსტში ასეთი წინადადება არის მოყვანილი: „ხიდურს — კარაკინს შუვა და შუვა სათვალავები აქათ და იქით რომა ზის, ორიდან ოთხი დაუსვათ, ეს ასეა...“. ვახტანგისეული ხელსაწყოც ანალოგიური ნიშნის მიხედვით ამავე ორკერძო ასტროლაბის ტიპს ვანეკუთვნება.

ზენიტიდან ალმუკანტარატების პერპენდიკულარულად გავლებულია მოცემული ქალაქის (ამ შემთხვევაში თბილისის) ვერტიკალები („კიდევ სხვა მრუდი კარაკინებია, ოთხმოცდაათი რომ ჰქვიან, იმ წინწკლიდამ რომ გაუწევიათ, იმას მხრის გრკალი ჰქვიან“). თვითეული ვერტიკალი  $10^{\circ}$ -ის ინტერვალით არის გავლებული და მის ბოლოში ამოტვიფრული ასორიცხვნიშანი შესაბამის გრადუსს უჩვენებს.

პლანისფეროს ჭვედა ნაწილში ამოტვიფრულია რეალების ორი სისტემა. პირველის რკალები, რომლებსაც თხის რქის ტრიპიკან

შიწერილი აქვთ ასორიცხვნიშნები 1-დან 14-მდე („ა“-დან „იდ“-მდე), „სწორი საათების“, ე. ი. დღელამის 1/24 ნაწილის რაოდენობას უჩვენებენ („თხის რქის სასიარულოსთან რომ ერთიდამ თოთხმეტი სწორია, იმას გამართული საათი ჰქვიან“). ამ რკალებს შეესაბამება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მბრუნავი პორიზონტის მდგომარეობა ყოველი ერთი საათის ანუ 15°-ის შემდეგ.


აღნიშნულ რკალებთან დაკავშირებით უნდა დავუბრუნდეთ პლანისფეროს ცენტრთან ამოტვიფრულ წარწერას „სათ“-ი. მ. ოსიპოვის თანახმად, ეს წარწერა და მისი შესატყვისი რიცხვითი მონაცემები რალაც დროს გულისხმობენ, მაგრამ კონკრეტულად თუ რა დროა ეს, ამაზედ ავტორი პასუხს ვერ სცემს. კომპლექტის თვითეულ პლანისფეროზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ რაც უფრო მეტია პლანისფეროს შესაბამისი განედი, მით უფრო მაღლა მწევს პორიზონტის და თხის რქის ურთიერთგადაკვეთის წერტილი. პროპორციულად იზრდება წრის იმ ნაწილის სიგრძე, რომელიც გადაკვეთის ორ წერტილს შორის ქვემო ნაწილში არის მოჭიმული და, მაშასადამე, მასზე გადაზომილი „სწორი საათების“ რიცხვითი მნიშვნელობაც. ამას გვიჩვენებს მეთოთხმეტე რკალიდან პორიზონტამდე დარჩენილი მანძილის გაზომვა, რომელიც წარწერებშიც აისახება წუთების მზარდი მიმდევრობის სახით (7, 10, 17, 28, 38, 39, 51, 18 და 4). გამონაკლის შეადგენს № 5 ფირფიტის რიცხვი იც (18), რომელიც, ეტყობა, შეცდომით არის მოყვანილი. რაც შეეხება ბოლო მონაცემს, რომელიც თბილისის პლანისფეროს შეესაბამება, აქ ნაზრდი საათების ხარჯზეა მოცემული: 15 სთ. 4 წთ. (პლანისფეროს ნახაზზე მეთხუთმეტე რკალი გამორჩენილია).

რკალების მეორე სისტემა „მრუდ საათებს“ (დღელამის ნათელი ან ბნელი ნაწილის 1/12-ს (გამოსახავს. ეს რკალები მიიღება სამივე წრის პორიზონტსა და მერიდიანს შორის მოთავსებული მეოთხედი რკალების დაყოფით ზუსტად 6 ტოლ ნაწილად და თვითეულ 3 შესაბამის წერტილზე წრის რკალების გავლებით. ქვედა ნაწილის ორივე მხარეს ეს რკალები ყველა ღამის პარალელს 12 ნაწილად ყოფს. ეკვატორის წრესთან თვითეულ რკალს შესატყვისი რიცხვნიშანი აქვს მიწერილი („ხიდურს-კარაკინს ქვეშ რომ მრუდი კარაკინებია, თორმეტად გაუწევიათ... იმას განყოფა საათის ჰქვიან და დროს საათსაც ეძახიან“).

№ 4 ფირფიტის მეორე მხარეზე ამოტვიფრულია ე. წ. „პორიზონტების პლანისფეროს“ („შუახმელთა საკრებულოს“) ნახაზი (იხ. სურ. 12). „სტროლაბის სასწავლებელ წიგნში“ ამ პლანისფეროსთან დაკავშირებით შემდეგი ცნობაა მოყვანილი: „ზოგს სტროლაბში ერთი

რიგი რვალ-ფიცარი იქნება, რომ იმს პირზედ მრავალრიგად განასკულსათვის კარაკინები გაწეული იქნება, იმას შუა ხმელთა საკრძოლო ჰქვიან“.

პლანისფეროზე წარმოდგენილია პორიზონტის ნახევრები განელებისათვის 12-დან  $66^{\circ}$ -მდე,  $2^{\circ}$ -ის ინტერვალით („თითო მს კარაკინები თითო ქვეყნის აღმოსავლეს შუა ხმელი არის“). ცალკე ჯგუფებში გაერთიანებულია შვიდ-შვიდი პორიზონტი  $8^{\circ}$ -ის ინტერვალით. ყოველი ჯგუფის თითოეული პორიზონტი ერთმანეთს კვეთს



სურ. 12. პლანისფერო (ნებისმიერი განედისათვის)

ერთსა და იმავე წერტილში, რომელიც ეკვატორზე მდებარეობს. ნასირ ედ-დინ თუსელის თანახმად: „ეს კარაკინები სრულ ყველა ოთხსწინწალს გასჭრის და ის წინწკლის გასაჭრელი აღაგი სულ ყოველ-

თვის აღმოსავლისა და დასავლის ხაზად უნდა დადგეს ვერძის სასიარულოს ფარგალზე...“. დიამეტრების გასწვრივ მოყვანილი შეკლები 2-დან 24°-ის ფარგლებში მზის დახრილობების მასშტაბებს შეადგენს. 66°-ის ჰორიზონტი თავისი ზომებითა და მდებარეობით ექლიპტიკას თანხვდება და შესაბამისად ნახევარი წრის სახით არის წარმოდგენილი.


„ჰორიზონტების პლანისფერო“ სინამდვილეში უნივერსალურ პლანისფეროს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პრაქტიკულად თითქმის ყველა განედისათვის ჩატარდეს გაზომვები. გარდა ამისა, „ჰორიზონტების პლანისფერო“ ეტალონად გამოიყენებოდა ჩვეულებრივი პლანისფეროების დასამზადებლად (ბირუნი, VI, გვ. 306).

მესერი ანუ ვახტანგის ტერმინოლოგიით „რვალ-ქანდაკი“ ასევე ცის სფეროს სტერეოგრაფიულ პროექციას წარმოადგენს (იხ. სურ. 13). მასზე გამოსახულია ეკლიპტიკა თორმეტი თანავარსკვლავედით და ფოთლის მსგავსი ფიგურები, რომელთა წვეროები ცის სფეროს 29 კაშაშა ვარსკვლავის მდგომარეობას უჩვენებს. პლანისფეროსაგან განსხვავებით მესერს თავისუფლად შეუძლია ბრუნვა და ამ მიზნით მის ზედა ნაწილში სახელურის მსგავსი მცირე წვეროლია მიმაგრებული. ვახტანგის ტერმინოლოგიით ამ შვერილს „დასაბრუნი“ ეწოდება.

ფოთლის მსგავს ფიგურებზე ანუ „რვალ-ფოთლებზე“ ამოტვითრულია 29 ვარსკვლავის სახელწოდება, რომლის წაკითხვაც სხვადასხეა მიზეზების გამო (ზედაპირის გაცრეცა, მექანიკური დაზიანება. წარწერის თავისებური ხელწერა, არაბული სახელწოდების ქართულად გადმოცემასთან დაკავშირებული გადახრები და ა. შ.) საკმაოდ რთულია. წარწერების ზუსტად წაკითხვისა და ვარსკვლავების იდენტიფიკაციის მიზნით ხშირად ვიყენებდით ბ. ა. როზენფელდის მიერ გამოცემულ ბირუნის, ომარ ხაიამის და ნასირ ედ-დინ თუსელის ვარსკვლავთა კატალოგებს, ულულებეგის „ზიგის“ კატალოგის ვახტანგისეულ თარგმანს ძეველი და ახალი რედაქციით და ვახტანგის სამუშაო ჩანაწერებში მოყვანილ ასტრონომიული ლექსიკონების ფრაგმენტებს. განსაკუთრებით ყი მის მიერვე შედგენილ კაშაშა ვარსკვლავთა მოკლე ლექსიკონს. ქვემოთ მოგვყავს ვარსკვლავთა ამოკრითული სახელწოდებები და აგრეთვე მათი ზუსტი ფორმები (ფრანგისტებში) და თანამედროვე ტერმინოლოგიაში მიღებული შესატყვისები.

1. „ყალბ ღრიანკელი“ — არაბულ-ქართული სიტყვებისაგან შეღენილი ეს ტერმინი „ღრიანკალის გულს“ გულისხმობს, რომელიც:

თანამედროვე ტერმინოლოგიით ანტარქტიკას ან ა-ლრიანკალისას შეესაბამება. როგორც ეტყობა, ამომტვიფრავისათვის გადაცემულ ქართულ წარწერაში ვახტანგმა ავტომატურად „ყალბ ალ-ალრაბის“ ნაცვლად „ყალბ ლრიანკელი“ დაწერა და ოსტატმაც ამ სახით გადა-



სურ. 13. ასტროლაბის ნაწილები. I. მესერი. II. ალიდალა, III. ლერძი,  
IV. ჭილიბი

იტანა წარწერა მესერზე. S—161 ნუსხის კატალოგით: „ღრიანკელის გული“<sup>72</sup>.

2. „სამაქი აზალ“ („სიმაქ ალ-აზალ“) — შეუიარალებელი სიმაქი. თანამედროვე ტერმინოლოგიით სპიკა ანუ ა-ქალწულისა. S—161 ნუსხის კატალოგით: „შუბჩამოვარდნილი“<sup>73</sup>.

3. „ჯუნაცილ ყურაბ“ („ჯანაც ალ-ყურაბ“) — ყვავის ფრთა. თანამედროვე ტერმინოლოგიით ყ-ყვავისა. ამ ვარსკლავთან დაკავშირებით ვახტანგის ერთ-ერთ ლექსიკოგრაფიულ ჩანაწერში მოყვანილია ასეთი განმარტება: „ჯანცუ ყურაბ — ყვავის ფრთა. ჯანცუ — ფრთა, ყურაბ — ყვავი“<sup>74</sup>.

4. „ყადათულ ბათია“ („ყადათ ალ-ბათია“) — ფიალის ძირი. თანამედროვე ტერმინოლოგიით ა-ფიალისა. ვახტანგის საყრდენი ვარსკვლავების მოკლე ლექსიკონში ასეთი სახის განმარტებაა მოყვანილი: „ყადათელ ბათია — ბადის ძირი“<sup>75</sup>.

5. „ყალბულ ასაღ“ („ყალბ ალ-ასაღ“) — ლომის გული. თანამედროვე ტერმინოლოგიით — რეგული ანუ ა-ლომისა, S—161 ნუსხის კატალოგით: ლომის გული<sup>76</sup>.

6. „ჭარსუ შუჯა“ („ფარდ ალ-შუჯა“) — მარტოხელა ჰიდრა. თანამედროვე ტერმინოლოგიით — ალფარდი ანუ ა-ჰიდრასი. S—161 ნუსხის კატალოგით „ტუნტი აფთარი“<sup>77</sup>.

7. „შარაი შამი“ („შირა აშ-შამი“) — სირიის სირიუსი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: პროციონი ანუ ა-პატარა ქოფაკისა. ამ ვარსკვლავს სირიის ე. ი. ჩრდილოეთის სირიუსი ეწოდებოდა იემენის, ე. ი. სამხრეთის სირიუსისაგან განსასხვავებლად. S—161 ნუსხის კატალოგით „გოშის ზურგი“<sup>78</sup>. (ეს სახელწოდება ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ვარსკვლავი პატარა ქოფაკის გამოსახულების ზურგზე მდებარეობდა).

8. „შარაი იამანი“ („შირა ალ-იამანია“) — იემენის სირიუსი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: სირიუსი ანუ ა-დიდი ქოფაკისა. S—161 ნუსხის კატალოგით „ძალლის პირი“ (ვარსკლავი დიდი ქოფაკის გამოსახულების პირთან მდებარეობდა).

9. „იადი იომნია“ („იად ალ-იამინ“) — მარჯვენა ხელი. თანამედროვე ტერმინოლოგიით ბეთელჰეიზე ანუ ა-ორიონასა. M—12

72 S—161, გვ. 455.

73 იქვე, გვ. 454.

74 K—3, საქ. № 3, ფ. 30r.

75 K—3, საქ. № 3, ფ. 13r.

76 S—161 გვ. 452.

77 S—161, გვ. 469.

78 იქვე, გვ. 467.

ნუსხის კატალოგში მოყვანილია ამ ვარსკლავის ორი სახელწოდება: „იოდი იუმნა“ და „მანქაბელ ჭავზე“ („მანქაბ ალ-ჭაუზა“ — წყვილის ანუ ტყუპის მხარი), ხოლო S—161 ნუსხის კატალოგში ისინი უკვე ქართული შესატყვისებით: „მარჯვენა ხელით“ და „ტყუბის ბეჭით“ არის შეცვლილი<sup>79</sup>.

10. „რიგილი იოსრა“ („რიგლ ალ-იასარ“) — მარცხენა ფეხი. თანამედროვე ტერმინოლოგით: რიგელი ანუ წ-ორიონისა. S—161 ნუსხის კატალოგით „მარცხენა ფეხი ტყუბისა“<sup>80</sup>.

11. „ალნო სოვარ“ („აინ ალ-სოვარ“) — კუროს თვალი. თანამედროვე ტერმინოლოგით ალდებარანი ანუ ა-კუროსი.

M—12 ნუსხის კატალოგში მოყვანილია ამ ვარსკლავის ორივე ძველი სახელწოდება: „ალდაბირანი“, ე. ი. ალდებარანი და „აინელ სოვარი“, ე. ი. აინ-ალ-სოვარი<sup>81</sup>.

პირველი სახელწოდება, რომელიც თანამედროვე ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა, სიტყვა „ად-დაბარანის“ („[ცლეადების] კვალდაკვალ მიმავალის“) ტრანსკრიფციას წარმოადგენს. მეორე სახელწოდება დაკავშირებულია კუროს თანავარსკვლავედის გამოსახულებასთან, სადაც ვარსკვლავი კუროს სამხრეთ მდებარე თვალს „განასახიერებდა“. S—161 ნუსხის კატალოგშიც ორი სახელწოდება არის მოყვანილი. პირველი — „ალდებირანის“ შესატყვისის ნაცვლად „დიდი წითელის“ სახელწოდებით არის წარმოდგენილი (ეს სახელწოდება ვარსკვლავის გარევნულ მონაცემებს თვალსწინებს, როგორც ქვეარის აღნიშნული, „ას ნათელი, მოწითალო დიდი ვარსკვლავი“-ა). რაც შეეხება მეორე სახელწოდებას — „კუროს თვალს“, ცხადია, რომ ის „აინ ალ-სოვარის“ თარგმანს წარმოადგენს<sup>82</sup>.

12. „მასაჭათენ ნოტრ“ („მასაფათ ან-ნაპრ“) — მდინარის სიგრძე. თანამედროვე ტერმინოლოგით უნდა იყოს ახერნარი ანუ ა-ერიდანისა. ვარსკვლავთა მოკლე ლექსიკონში ვახტანგს მოჰყავს შემდეგი განმარტება: „მასაჭათ ან ნოტრ — რუს სიგრძე“<sup>83</sup>. „ნოტრ“ ანუ „ნოტრ“ დამახინჯებული „ნაპრ“-ია, ე. ი. მდინარე (ანუ რუ), რომლითაც აღმოსავლურ ლიტერატურაში აღნიშნავდნენ ერიდანის თანავარსკვლავედს. ამ თანავარსკვლავედის უცელაზე კაშკაშა ვარსკვლავია ახერნარი, რომლის სახელწოდებაც სიტყვების „ახარ ან-ნაპრის“ („მდინარის ბოლოს“) დამახინჯებას წარმოადგენს. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში ერიდანის („რუს“) თანავარსკვლავედის რიგით 34-ე

<sup>79</sup> M—12, ფ. 218r; S—161, გვ. 462.

<sup>80</sup> S—161, გვ. 464.

<sup>81</sup> M—12, ფ. 211v.

<sup>82</sup> S—161, გვ. 449;

<sup>83</sup> K—3, საქ. № 3, ფ. 13r;

ვარსკვლავის სახელწოდებია „ახირ ნარ“ და „რუს ბოლო“<sup>84</sup>. როგორც ეტყობა, ამავე ვარსკვლავს გულისხმობს რვალ-ფოთლის „მასაჭათენ ნოტრიც“, მხოლოდ ეს განსხვავებული სახელწოდება ვახტანგს ჩვენთვის უცნობი წყაროდან უნდა ჰქონდეს აღებული.

13. „ფამი ყეითუს“ („თუმ ალ-ყეითოს“) — ვეშაპის პირი. თანამედროვე ტერმინოლოგიით უნდა იყოს α-ვεშაპისა. ვარსკვლავების მცირე ლექსიკონში მოყვანილია ასეთი განმარტება: „ფამი ყეითუს — პირი“ (ვეშაპისა პირი)<sup>85</sup>. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში ვეშაპის თანავარსკვლავედის ვარსკვლავებისათვის მსგავსი ტერმინი არსად არ ჩანს. მხოლოდ რიგით მესამე ვარსკვლავის მდებარეობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ის ვეშაპის („ორფეებოლოსანის“) გამოსახულების „პირს შიგა არის“<sup>86</sup>. ამის მიხედვით, როგორც ჩანს, ჩვენთვის უცნობ წყაროებში ვარსკვლავს „ვეშაპის პირს“ უწოდებდნენ, ხოლო რაც შეეხება მის თანამედროვე სახელწოდებას, ბირუნის კატალოგში ის უ-ვეშაპისას შეესაბამება (როჩენ-ფელდი, კატალოგები, გვ. 131).

14. „სადრი ყეითუს“ („სადრ ალ-ყეითოს“) — ვეშაპის მკერდი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: შეიძლება იყოს ρ-ვეშაპისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში ასეთი სახელწოდების ვარსკვლავს ვერ მივაკვლიეთ. ვეშაპის მკერდთან დაკავშირებით რიგით მე-8 ვარსკვლავია წარმოდგენილი<sup>87</sup> : (ე. ი. ρ-ვეშაპისა) და არ არის გამორიცხული, რომ ჩვენთვის უცხო წყაროებში მას „სადრ ალ-ყეითოს“ უწოდებდნენ.

15. „ზანაბი ყეითუს“ („ზანაბ ალ-ყეითოს“) — ვეშაპის კუდი. თანამედროვე ტერმინოლოგიით τ-ვეშაპისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში წარმოდგენილია სახელწოდებებით „ზანაბი ყაითუს“ და „[ბოლო] ორფეებოლოსნისა“<sup>88</sup>.

16. „აიუყ“ („აიუყ“) — კოპტია. თანამედროვე ტერმინოლოგიით: კაპელა ანუ α-მეეტლისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგით შესაბამისად „აიუყი“ და „მარცხენა ბეჭი“<sup>89</sup>. ქართული სახელწოდება, რომელიც „აიუყის“ თარგმანს არ წარმოადგენს, დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ თანავარსკვლავედის გამოსახულებაში ვარსკვლავი მეტლის მარცხენა ბეჭზე მდებარეობს.

84 M—12, ფ. 213v; S—161, გვ. 465.

85 K—3, საქ. 3, ფ. 13r.

86 M—12, ფ. 218r; S—161, გვ. 462.

87 S—161 გვ. 462.

88 M—12, ფ. 218r; S—161 გვ. 462;

89 M—12, ფ. 208v; S—161, გვ. 443:

17. „ზარი დობ“ („ზაპრ ალ-დუბ“) — დათვის ზურგი (?). თანამედროვე ტერმინოლოგიით: დუბჰე ანუ ა-დიდი დათვისა. M—12 ნუსხის კატალოგში უფრო ზუსტი ფორმით („ზაპრელ დუბ“), მაგრამ რატომღაც მეთექტესმეტის ნაცვლად მეთხუთმეტე ნომრით არის მოყვანილი<sup>90</sup>. ვარსკვლავთა ლექსიკონში შემდეგნაირი განმარტებაა: „ზარი დობ — დათვის ზურგი“<sup>91</sup>.

18. „სამაქი რამა“ („სიმაქ არ-რამიქ“) — შუბოსანი სიმაქი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: არქტური ანუ ა-მენახირისა. M—12 და S—161 ნუსხებში დამახინჯებული ფორმით: „ასმაქელ რამე“ და მისი ქართული შესატყვისი „მეშუბარი მაღალი“<sup>92</sup>.

19. „ნერი ჭაქა“ („ნეირი ალ-ფაქა“) — ფიალს მნათობი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: გეგმა ანუ ა-ჩრდილოეთის გვირგვინისა. ჩრდილოეთის გვირგვინის თანავარსკვლავედის ძველ სახელწოდებას „ალ-ფაქას“ (ე. ი. ფიალს) ვახტანგი თარგმნის როგორც „პინას“. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში ვარსკვლავს სახელწოდებებია „ნეირელ ფაქა“ და „პინის მნათობი“, ხოლო თანავარსკვლავედისა შესაბამისად „აქლილ“ (ე. ი. იქლილ) და მისი ქართული შესატყვისი „გვირგვინი“<sup>93</sup>.

20. „უნიყელ ტია“ („უნყ ალ-ჰიია“) — გველის კისერი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: უნუყ ელჰაია ანუ ა-გველისა. ვარსკვლავს სახელწოდება „ონყულ ტიას“ ფორმით მარტო M—12 ნუსხის კატალოგშია წარმოდგენილი, ხოლო ვარსკვლავთა მცირე ლექსიკონში ასეთი განმარტება არის მოყვანილი: „უნიყელ ტია — გველის კისერი“<sup>94</sup>.

21. „რასულ ტევა“ („რას ალ-ჰავა“) — გველის შემსრულებლის თავი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: რას ალჰავე ანუ ა-გველისმჭერისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგებით შესაბამისად „რასულ ავა“ ან „ალრაი“ (ე. ი. მწყემსი) და „მეკრავე გინა შავი კრავის თავი“<sup>95</sup>. ძველ-არაბული სახელწოდება „ალ-რაი“ დაკავშირებული იყო ისეთ ტერმინებთან, რომლებიც „ორი ციკნის“, „ორი კრავის“ და სხვა ცნებას გამოხატავდნენ (როზენფელდი, კატალოგები, გვ. 180). საფრენებელია, რომ ქართული სახელწოდება ამ ტერმინებიდან უნდა მომდინარეობდეს.

<sup>90</sup> M—12, ფ. 204v;

<sup>91</sup> K—3, საქ. 3, ფ. 13v;

<sup>92</sup> M—12, ფ. 206r; S—161, გვ. 438.

<sup>93</sup> M—12, ფ. 206r; S—161, გვ. 438.

<sup>94</sup> M—12 ფ. 209v. K—3, საქ. 3, ფ. 13v.

<sup>95</sup> M—12, ფ. 208r; S—161, გვ. 493.

22. „ზანაბელ ოყაბ“ („ზანაბ ალ-უყაბ“) — არწივის კუდი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: ჯ-არწივისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგებით შესაბამისად „ზანაბელ უყაბ“ და „არწივის ბოლო“<sup>96</sup>.

23. „ნასრი თაირ („ნასრ ათ-თაირ“) — მფრინავი არწივი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: ალტაირი ანუ α-არწივისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში შეცდომით მესამე ნომრის ნაცვლად მეორე ნომრად მოყვანილია შესაბამისად „ნასრულ თაირ“ და „მფრინალე სვავი“<sup>97</sup>.

24. ფამულ ფარს“ („ფუმ ალ-ფარას“) ცხენის პირი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: უნდა იყოს ეპეგასისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგებში ამ ვარსკვლავს უნდა შეესაბამებოდეს „ყამარელ ფარას“ და „ცხენის ტუჩი“. ეს უკანასკნელი იგრვე „ცხენის პირი“ უნდა იყოს, რომელიც ვახტანგს ვარსკვლავთა მცირე ლექსიკონში აქვს მოყვანილი „ფამულ ფარს“ შესატყვისად<sup>98</sup>.

25. „მანქაბულ ფარს“ („მანქაბ ალ-ფარას“) — ცხენის ბეჭი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: β-პეგასისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგებით „მანქაბულ ფარას“ და „ცხენის ბეჭი“<sup>99</sup>.

26. „ქაფულ ხაზიბ“ („ქაფ ალ-ხალიბა“) — შელებილი ხელი. თანამედროვე ტერმინოლოგიით კაფი ანუ β-კასიოპეისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგებით შესაბამისად „ქაფულ ხაზიბი“ და „ნებშელებული“<sup>100</sup>.

27. „რასულ ყულ“ („რას ალ-ყული“) — გორგონას თავი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: ალგოლი ანუ β-პერსევსისა. M—12 ნუსხის კატალოგშიც „რასულ ყული“ არის წარმოდგენილი, რომელიც S—161 ნუსხაში რატომღაც „ტყის კაცის თავით“ არის შეცვლილი<sup>101</sup>.

28. „ზანაბელ დაჯაჭა“ („ზანაბ ალ-დაჯაჭა“) — ქათმის კუდი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: დენები ანუ α-გედისა. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგებით: „ზანაბი დაჯაჭა“ და „ქათმის ბოლო“<sup>102</sup>.

29. „ნასრი ვაყა“ („ნასრ ალ-ვაყი“) — ვარდნილი არწივი. თანამედროვე ტერმინოლოგიით: ვეგა ანუ α-ქნარისა. M—12 ნუსხის

96 M—12, ფ. 209v; S—161, ფ. 445.

97 M—12, ფ. 209; S—161, გვ. 445.

98 M—12, ფ. 210v; S—161, გვ. 446; K—3, საჭ. 3, ფ. 13v.

99 M—12, ფ. 210r; S—161, გვ. 446;

100 M—12, ფ. 207v. S—161, გვ. 441.

101 M—12, ფ. 208v; S—161, გვ. 442.

102 M—12, ფ. 207r; S—161 გვ., 440.

კატალოგში რატომღლაც — „ალრასულ ვაყა“, რომელიც S—161 ნუ-  
სხის კატალოგში „მხარდაშვებული სეცით“ არის შეცვლილი<sup>103</sup>.

„რვალ-ფოთლების“ გარდა მესრის („რვალ-ქანდაკის“) ძირითად  
ნაწილს შეადგენს ექსცენტრულად მდებარე წრე, რომელიც ასევე  
ეკლიპტიკის ზუსტ სტრერეოგრაფიულ პროექციას წარმოადგენს. ეკ-  
ლიპტიკის წრე („ბურჯის სიმგრგვლე“) დაყოფილია ზოდიაჭოს ნიშ-  
ნების შესაბამის 12 ნაწილად. თვითეული ნაწილი თავის მხრივ 15  
ქვედანაყოფს შეიცავს, რაც ორკერძო ასტროლაბებისათვის არის  
დამახსიათებელი („ეს ბურჯის სიმგრგვლე თორმეტი წილი თუ სტრო-  
ლაბი სრულია, თითო წილი ოცდაათად გაყოფილი იქნება. თუ ნა-  
ხევარია — თხოოსმეტათ და მესამედი და მეექვსედი იმავ ანგარიშით  
იქნება“). დანაყოფებს თვითეული ნიშნის საზღვრებში მიწერილი  
აქვთ გრადუსების მნიშვნელობა ასორიცხვიშნებში (ბ-დან ლ-მდე,  
ე. ი. 2-დან 30°-მდე). ეკლიპტიკის ცველა ნიშნის დანაყოფები სრიამ-  
დეილები ერთმანეთის ტოლია, შაგრამ პროექციაში ისინი პროგრე-  
სულად დიდოდებიან ზემოლან ქვემოთ მიმართულებით. უკადურეს  
ქვემოთა ნაწილში წრეს აქვს ისარი (D) — ე. ი. მაჩვენებელი, რომ-  
ლის საშუალებითაც კორპუსის ლიმბზე ანათვალი აიღება („ერთი  
ნიშანი, რომ თხის რქისა და შშეილდოსნის შუვაში უგრძედ გაუწე-  
ვიათ, სახლედს რომ უვლის მაჩვენებელი ჰქვიან“).

გაზაფხულის (A) და შემოღომის (C) დღელამტოლობათა წერ-  
ტილები ზუსტად ეკვატორზე მდებარეობენ და მათი შემაერთებელი  
წრფე (AC) ცენტრზე (O) გადის, ზაფხულის (B) და ზამთრის (D)  
მზებულდობათა წერტილების მდებარეობა კი შესაბამისად კირჩხიბისა  
და თხის რქის ტროპიკებს თანხვდება.

ალიდადა წარმოადგენს 151,0 მმ სიგრძის, 12 მმ განის და 2,8 მმ  
სისქის ლითონის შიმშას (იხ. სურ. 13). ცენტრიდან 53 მმ-ის და-  
შორებით ორივე მხარეს ალიდადაზე პერპენდიკულარულად დამაგ-  
რებული იყო დიოპტრები, რომელთაგან ერთი მოტეხილია და მხო-  
ლოდ მისი ფუძის ნაკვალევი ჩანს. რაც შეეხება შემორჩენილ დი-  
ოპტრს, ის წარმოადგენს ოთხეუთხ ფირფიტას. რომელშიაც ორი კო-  
ნუსური ფორმის ნახვრეტია გაყეთებული. უფრო ზემოთ მდებარე  
დიდი ნახვრეტის დიამეტრის ზომებია: ფირფიტის ერთი მხრიდან —  
2,00 მმ, ხოლო მეორე მხრიდან — 3,4 მმ. მცირე ნახვრეტისათვის  
ეს სიდიდეები შეადგენს შესაბამისად 0,7 და 3,1 მმ-ს. დიდი ნახვრე-  
ტი გამოიყენებოდა უხეში, ხოლო მცირე ნახვრეტი — ზუსტი ვიზი-  
რებისათვის. „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის“ მიხედვით ალი-

103 M—12, ფ. 207v; S—161, გვ. 440.

დადას „მკლავი“ ეწოდება. ასევე გაღმოქართულებულია დიოპტრებიც („ორი რომ მკლავის თავებზე მაღალი ასვია, იმას გასახედავს ეძახიან“), ალიდადის ინდექსები („რაც აქათ იქით გასახედავს დარჩების, იმას მზის წვერს ეძახიან“) და სავიზირო ნახვრეტები („ორს გასახედავში რომ თროლი გახვრეტილია, იმას მზის თვალი ჰრეტიან“).

ალიდადის ერთ მხარეს, ვიწრო დამრეც ზოლზე ამოტვიფრულია დანაყოფები (როგორც ჩანს, გათვალისწინებული იყო 60 დანაყოფი, მაგრამ პირველი 7 არ არის, ვინაიდან მათ ადგილს ალიდადის ზახე-კარტრიული შვერილი იჭერს). ყოველ 5 გრადუსს შესაბამისი ასო-რიცხვიშანი უწერია (ე-დან ე-მდე). ეს დანაყოფები სამოცონითი სისტემის რადიუსის დანაყოფებს წარმოადგენენ და მათ „სინუს — კვადრანტში“ წარმოებული გაზომებისათვის იყენებდნენ. გარდა ამისა დანაყოფების მოპირდაპირე მხარეს დარჩენილი ზოლი სექტო-რებად არის დაყოფილი და თვითეულ სექტორში ორ-ორი ასორი-ცხვნიშანია ამოტვიფრული საეთი თანამიმდევრობით, რომ ერთი რიგი დ, გ, ბ, ა კლებად მიმდევრობას, ხოლო მეორე — ც, თ, ი, ია, იბ ზრდად მიმდევრობას უჩვენებს. ასეთივე რამდენიმე სექტორი ალიდადის მეორე მხარესაც არის. უთუოდ ეს აქვს მხედველობაში ნა-სირ ედ-დინ თუსელსაც, როდესაც ალნიშნავს: „მკლავზე ზოგს სტრო-ლაბში თორმეტს ხაზს განზე გასწევენ, იმასაც განყოფა საათისა ჰრეტიან და დროს საათსაც ეძახიან“. ალიდადის მეორე მხარეს ორ რი-გად ამოტვიფრული ზოდიაქოს ნიშნების სახელწოდებები სიმაღლის კვადრანტთან უნდა იყოს დაკავშირებული, ვინაიდან იქაც ზუსტად ასევე ორ რიგად არას განლაგებული ეს ნიშნები.

ასტროლაბის დამხმარე დეტალს მიეკუთვნება ღერძი, რომელ საც ვახტანგის მიხედვით „უძრავი“ ეწოდება („ერთი რომ ლუსმანი-ვით არის, ჩაწყობილად რვალ-ფიცარი და რვალ-ქანდაკი ზედ აესხ-მის, იმას უძრავი ჰქონდან“). მართლაც, როგორც სურათიდან ჩანს (ი. სურ. 13), ღერძი ლურსმანს მიაგავს. ღერძის თავის დიამეტრი, ბუ-ნებრივია, უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე თვით ღერძ (პირველის დიამეტრია 10,5 მმ, ხოლო მეორესი — 7,4 მმ). ღერძის საერთო სიგრძე 30,5 მმ-ს შეადგენს. ღეროზე არის მართულთხა ფორმის გამ-ჭოლი ნახვრეტი, ჭილიბის გასაყრელად. ჭილიბს სპარსულ-არაბულ ასტროლაბებში ცხენის თავის ფორმა ჭილნდა და ვახტანგიც ამ დე-ტალს „ცხენისთავს“ უწოდებს. სამწუხაროდ, ვახტანგისეული ასტრო-ლაბის ჭილიბი დაჭარგულია, და ის სპილენძის მავთულით შეუცვ-ლიათ.

ასტროლაბის საშუალებით სხვადასხვა ასტრონომიულ, ასტრო-ლოგიურ და გეოდეზიურ გაზომვებს ასრულებდნენ. ამიტომაც ბუ-

ნებრივია, რომ ვახტანგის ხელსაწყოს აღწერის შემდგომ მისი პრაქტიკული გამოყენების საკითხებსაც რომ შევეხოთ. ყველაზე უფრო ამომწურავ ინფორმაციას ამ „შემთხვევაში, რასაკვირველია, ნასირ ედ-დინ თუსელის „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“ მოგვაწვდის, რომელიც ვახტანგს სამუშაო იმსტრუქტიად უნდა გამოეყენებონა. ამიტომაც მომდევნო ქვეთავი მთლიანად ამ თხზულების მასალების განხილვას ეძღვნება.

ასტროლაბის გამოყენება პრაქტიკული გაზოვებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სტროლაბის სასწავლებელ წიგნში“ თითქმის ყველა ის ამოცანა გვხვდება, რომელიც აღმოსავლურ ასტრონომიულ პრაქტიკაში ასტროლაბის მეშვეობით გადაიტრებოდა. ამიტომაც მათი განხილვით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნეს არა მარტო ნასირ ედ-დინ თუსელის წიგნს შინაარსზე, არამედ იმ გაზომვებზეც. რომელსაც ვახტანგი ატარებდა ასტროლაბის საშუალებით.

მეორე თავში განხილულია ასტროლაბის საშუალებით მზის სიმაღლის განსაზღვრას წესი<sup>104</sup>. ასტროლაბის ზურგის მხარეს დამაგრებულ ალიდადას („მკლავს“) მზისკენ ისე მიმართავენ, რომ მზის ჟღვმა ალიდადას ორივე დიოპტრის („გასახედავის“) საეიზირო ნახვრეტში გარაროს („ქვეით, რომ მზის თვალი დარჩება. იმაში იმ ზეითის მზის თვალში გავლილი მზის შუქი მიადგეს“). მაშინ ალიდადის მაჩვენებლის („მზის წვერის“) ლიმბზე მონრშნული დანაყოფის გრადუსი მზის სიმაღლეს შეესაბამება. თუ დაკვირვების ობიექტს ვარსკვლავი ან ღრუბლებით დაბინდული მზის დისკო წარმოადგენს, მაშინ დამკვირვებელმა უნდა „იმ ორის მზის თვალებში ასე გახედოს“. რომ ვიზუალურად განვე დაინახოს მნათობი. გაზომვებისას მხედველობაშია მისაღები, თუ რომელ მხარეს იმყოფება მნათობი. „თუ ჟღვა დღე ჯერ არ იყოს“, მნათობი აღმოსავლეთისაკენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთისაკენ იმყოფება. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს გაზომვები, როდესაც „მზე ან ვარსკულავი შტაა დღის ალაგს მიახლოვდებოდეს“. შეცდომის თავრდან ასაცილებლად („რომ მჩუდათ არ მოვიდეს“) დროის მცირე ინტერვალში ზედიზედ ორ გაზომვას ახდენენ. თუ მეორე გაზომვისას მნათობის სიმაღლე მატულობს, მაშინ ის „აღმოსავლისაკენ უოფილა“, ხოლო თუ კლებულობს — „დასავლისაკენ“.

მესამე თავი ეძღვნება პოროსკოპის განსაზღვრას მზის ან ვარსკულავების სიმაღლის საშუალებით<sup>105</sup>. პოროსკოპს (არაბ. „თალა“, ქართ. ტექსტით „აღმოსვლა“), ე. ი. პორიზონტთან ეკლიპტიკის გა-

<sup>104</sup> H—457, ფფ. 4r—5r;

<sup>105</sup> იქვე, ფფ. 5r—6v.

დაკვეთის წერტილს, მთავარი ოოლი განეკუთვნებოდა ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებაში. გაზომვები შემდეგნაირად ტარდება: ეფექტური დღის მოცემული დღისათვის და მესრის ეკლიპტიკის წრეზე („ეტლის სიმრგვალე“) შესაბამისი გრადუსის დანაყოფზე მოინიშნება. შესაბამისი განედის („რასაც ქვეყანაში რამ იყოს“) პლანის ფეროზე მოიძებნება და აღინიშნება ის ალმუკანტარატი („ხილურ — კარაკინი“), რომელიც წინა თავში შეისით მოძებნილი მზის სიმაღლის ტოლია. შემდეგ მესერს ისე აბრუნებენ, რომ ეკლიპტიკის ფრესირებული წერტილი აღნიშნულ ალმუკანტარატის შეუთავსდეს. მაშინ აღმოსავლეთის მხარეს ჰორიზონტის გადამკვეთი ეკლიპტიკის გრადუსი ჰოროსკოპი ანუ „აღმოსავლა ღწება“. ღამის შემთხვევაში ჰოროსკოპი ერთ-ერთი საყრდენი ვარსკვლავის სიმაღლის საშუალებით განისაზღვრება (თვით ვარსკვლავის სიმაღლე წინა თავში მოყვანილი წესით გაიზომება). ამ შემთხვევებაში მესერს ისე აბრუნებენ. რომ ვარსკვლავის სიმაღლის შესაბამის ალმუკანტარატს, ამ ვარსკვლავის გამომსახველი „ფოთლის“ წვერი თანხვდეს. აქაც „აღმოსავლით მხარეს“ ჰორიზონტის გადამკვეთი ეკლიპტიკის გრადუსი ჰოროსკოპი იქნება.

ამავე თავში დაწვრილებით არის განხილული არასრულ ასტროლაბებში რიცხვითი მონაცემების ფიქსირების ან ათვლის მიახლოებითი და ზუსტი წესები (ვახტანგის ტერმინოლოგიით: „თვალდათვალ გაყოფა“ და „ძებნითა პოვნა“). თუ ეკლიპტიკის წრეზე ალმუკანტარატის შესაბამისი გრადუსის დანაყოფი არ არის წარმოდგენილი, მისი ფიქსირება ზუსტი მეთოდით შემდეგნაირად ხორციელდება. ამ ალმუკანტარატს რიგრიგობით უთავსებენ ეკლიპტიკის წრის იმ ორ არსებულ დანაყოფს, რომელთა შორის აღნიშნული გრადუსი უნდა დაფიქსირდეს. ამასთან ერთად, მაჩვენებლით კორპუსის ლიმბზე, რომელიც  $1^{\circ}$ -ის ინტერვალით არის გრადუსირებული, მოინიშნება თითოეული მდგომარეობის შესაბამისი გრადუსების მნიშვნელობა. მათი სხვაობა ეკლიპტიკის წრის ერთი დანაყოფით და ჩეალურად კი ამ დანაყოფის ტოლი გრადუსებით გადაადგილებას შეესაბამება. აჭერან გამომდინარე, ლიმბის დანაყოფების ის რიცხვი, რომელიც ეკლიპტიკის წრეზე დასაფიქსირებელი გრადუსის ნაზრის ეთანადება, პროპორციის წესით შეიძლება გამოითვალოს. მიღებული სიდიდით კი, ლიმბზე მაჩვენებლის გადაადგილებისას, ცნობილ ალმუკანტარატს ეკლიპტიკის წრის ზუსტი მნიშვნელობა შეუთავსდება. თვალსაჩინოებისათვის წესთან ერთად რიცხვითი მაგალითიც არის მოყვანილი: ეკლიპტიკის წრის  $6^{\circ}$  ინტერვალის მეონე ორ დანაყოფს შორის სამი გრადუსი ჰოროსკოპის წრის დანაყოფის მნიშვნელობა შეუთავსდება.

სია გადასაზომი, ხოლო მაჩვენებლის გრადუსების სხვაობა 4-ს შეადგენს. 3°-ის 4°-ზე გადამრავლებით და 6°-ზე გაყოფით მიიღება 2°, რომლითაც უნდა გადაადგილდეს ლიმბზე მაჩვენებელი, რათა ეკლიპტიკის წრეზე 3° გადაიზომოს.

ანალოგიური წესი არის რეკომენდებული ალმუკანტარატის დანაყოფებისათვისაც, როდესაც ამ უკანასკნელებს „არასტანდარტული“ რიცხვითი მნიშვნელობის ეკლიპტიკის წრის წერტილს ან „ფოთლის“ წვერს უთავსებენ.

- მეოთხე თავში მოცემულია ჰოროსკოპის საშუალებით დღის ან ღამის განვლილი საათების განსაზღვრას წესი<sup>106</sup>; თავიდან მესერის აყენებენ სე, რომ ეკლიპტიკის წრეზე ჰოროსკოპის შესაბამისი გრადუსი აღმოსავლეთის ჰორიზონტს შეუთავსდეს. ამავე დროს კორპუსის ლიმბზე აღინიშნება ის დანაყოფი, რომელიც მესრის მაჩვენებელს შეესაბამება. მზის ეფექტურიდებში მოცემული დღისათვის ეკლიპტიკაზე მოინახება მზის მდგომარეობა და მოინიშნება მესრის ეკლიპტიკის წრეზე. შემდეგ მესრის დაბრუნებით ეკლიპტიკის ეს წერტილი აღმოსავლეთის ჰორიზონტს უთავსდება და ისევ ფიქსირდება მესრის მაჩვენებლის მდგომარეობა კორპუსის ლიმბზე-დანაყოფების სხვაობა, რომელსაც ლიმბზე მაჩვენებლის საშუალებით და საბოლოო მდგომარეობა იძლევა, გავლილ დროს შეესაბამება გრადუსებში. გრადუსების დროის ერთეულებში გადასაყვანად მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ 15 გრადუსი 1 საათს შეესაბამება და 1 საათი — 4 წუთს.

თუ ჰოროსკოპის გრადუსის ჰორიზონტთან შეთავსებისას ეკლიპტიკის წრეზე მონიშნული მზის გრადუსი „დასავლის შუა ხმელს ქვე-თ დარჩეს“, მაშინ განისაზღვრება ღამის გავლილი ნაწილი. ამ მიზნით მესერს ისე აბრუნებენ, რომ მზის გრადუსი დასავლეთის ჰორიზონტს შეუთავსდეს. მაშინ ლიმბიდან მესრის მაჩვენებლის საშუალებით მოხსნილი გრადუსების სხვაობა დროის ერთეულებში გადაყვანისას ღამის გავლილი საათების რაოდენობას უჩვენებს.

მეხუთე თავში მოყვანილია დღის და ღამის გასული ან დარჩენილი საათების განსაზღვრის წესები<sup>107</sup>. დღის გასული საათების დასადგენად მზის სიმაღლის შესატყვის ალმუკანტარატის უთავსებენ ეკლიპტიკის წრის იმ წერტილს, რომელიც მოცემული დღისათვის ეფექტურიდან აღებულ მზის გრადუსს შეესაბამება (მზის სიმაღლე წინასწარ მეორე თავში მოყვანილი წესით განისაზღვრება). შემდეგ ეკლიპტიკაზე ფიქსირებული მზის გრადუსი მესრის შემობრუნებით აღმოსავლეთის ჰორიზონტს უთავსდება. მესრის მაჩვენებლის

<sup>106</sup> H—457, ფფ. 6v—7r.

<sup>107</sup> H—457, ფფ. 7r—9v.

მიერ ლიმბზე, („კრკალ სახლედზე“) ათვლილი გრადუსების სხვაობა ჩვეულებრივი წესით დროის ერთეულებში გადაიყვანება და მიღება „მზის აღმოსავლეთიდაშ გაცლილი“ საათების რიცხვი. დღის დარჩენილი საათების დასადგენად ზუსტად იგივე ოპერაციები ტარდება, მხოლოდ ეკლიპტიკის წრეზე მონიშნული მზის გრადუსი აღმოსავლეთის ნაცვლად დასავლეთის ჰორიზონტს უთავსდება.

ღამის გაცლილი საათების დასადგენად მეორე თავში მოყვანილი წესით იზომება ერთ-ერთი საყრდენი ვარსკვლავის სიმაღლე და მისი რვალფოთლის წვერო შესაბამისი სამაღლის მქონე აღმუკანტარატის უთავსებდა. შემდეგ მესერს ისე აბრუნებენ, რომ ეკლიპტიკის წრეზე ამ დღისათვის ეფემერიდებიდან აღებული მზის გრადუსის შესაბამისი წერტილი დასავლეთის ჰორიზონტს დაემთხვეს. ამ შემთხვევაშიც მესრის მაჩვენებლის მიერ ლიმბზე ათვლილი გრადუსების სხვაობის დროის ერთეულებში გადაიყვანა ღამის გაცლილი საათების რაოდენობას იძლევა.

დღის ან ღამის ხანგრძლივობის დასადგენად ეკლიპტიკის წრეზე მოცუმული დღისათვის ეფემერიდებიდან აღებული მზის გრადუსის შესაბამისი წერტილი როგორიგობით უთავსდება ორივე ჰორიზონტს (დღის შემთხვევისათვის ჯერ აღმოსავლეთის და შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტებს, ხოლო ღამის შემთხვევისათვის — პირიქით). მესრის მაჩვენებლით ლიმბიდან ათვლილი და გადაანგარიშებული მონაცემები შესაბამისად დღის ან ღამის შემადგენელი საათების რაოდენობას იძლევა.

ღამის რომელიმე საყრდენი ვარსკვლავის ამოსვლის დროის დასადგენად ჯერ აღმოსავლეთის ჰორიზონტს უთავსდება შესაბამისი რვალ-ფოთლის წვერი, ხოლო შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტს — ეკლიპტიკის წრეზე ამ დღისათვის ფიქსირებული მზის გრადუსის წერტილი. ვარსკვლავის ამოსვლის მომენტიდან გასული საათების რაოდენობა მიიღება მესრის მაჩვენებლის მონაცემების დროის ერთეულებში გადაიყვანით.

მოცემული თავის დანარჩენი ნაწილი ე. წ. „მრუდი საათებით“ ოპერირების საკითხებს ეთმობა. „მრუდი საათის“, როგორც დღეღამის ნათელი ან ბნელი დროის 1/12 ნაწილის განსაზღვრის შემდგომ მოყვანილია ნებისმიერი დღე-ღამისათვის ამ საათების გამოთვლის პრაქტიკული წესი. ამ წესის თანახმად, ჯერ საათებში განისაზღვრება დღე-ღამის ნათელი და ბნელი დროის ხანგრძლივობა, ზუსტად იმავე მეთოდით, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. შემდეგ დღის და ღამის მონაცემები ცალ-ცალკე 12-ზე იყოფა და მიიღება შესაბამისად დღის ან ღამის „მრუდი საათის“ მნიშვნელობა. მეორე წესი უშუალოდ პლანისფეროზე მოყვანილი „მრუდი საათების“ ხაზების გამო-

ყენებას ითვალისწინებს. ამჯერად მოცემული დღისათვის ეფემერი-ლებიდან აღებული და მესრის ეკლიპტიკის წრეზე შესაბამის წერტილზე ფიქსირებული მზის გრადუსი (ღმის შემთხვევისათვის), ან მისი მოპირდაპირე, ე. ი. ეკლიპტიკის მეშვიდე წილის ტოლფასი გრადუსი (ღმის შემთხვევისათვის) რიგრიგობთ უთავსდება „მრუდი საათების“ ჯერ ერთ და შემდეგ მეორე მომდევნო ხაზს. მესრის მაჩვენებლით ლიმბიდან ათვლილი და დროის ერთეულებში გადაანგარიშებული მონაცემები შესაბამისად ღმის ან ღლის შემადგნელი „მრუდი საათის“ სიღილეს იძლევიან. ამ „მრუდი საათის“ 12-ზე გამრავლებით ღმის ან ღლის დროის ხანგრძლივობა მიიღება.

ღლის გასული დროის „მრუდ საათებში“ („საათის განყოფის ან-გარიშით“) გამოსათვლელად მზის სიმაღლის შესატყვის ალმუკანტარატს უთავსდება მესრის ეკლიპტიკის წრის ს წერტილი. რომელიც მოცემული ღლისათვის ეფემერიდებიდან აღებულ მზის გრადუსს შეუსაბამება (მზის სიმაღლე წინასწარ განისაზღვრება მეორე თავში მოყვანილი წესით). „მრუდი საათის“ ის ხაზი, რომელსაც ამ ღროს თანხვდება ეკლიპტიკის წრეზე მზის გრადუსის მოპირდაპირედ მდებარე წერტილი, მრუდი საათების რაოდენობას უჩვენებს ღლის გასული ნაწილისათვის.

მეექვსე თავში მოცემულია მზის და ვარსკვლავების დახრილობის განსაზღვრის წესები<sup>108</sup>. მზის დახრილობის, ე. ი. ეკვატორიდან („ვარსკვლავთ დღე-ღამის გასასწოროს ხაზიდამ“) მისი მანძილის განსაზღვრისათვის მზის გრადუსი ცის მერიდიანის ხაზს უთავსდება და დამთხვევის წერტილზე გამავალი პარალელის სიმაღლის მიხედვით მზის სიმაღლე განისაზღვრება. ამის შემდეგ აშკარად გამოტოვებულია წინადადება უშუალოდ დახრილობის განსაზღვრის შესახებ, რომელსაც ცის მერიდიანზე მზის შესაბამისი პარალელის და ვერძის თანავარსკვლავედის პარალელის სიმაღლეთა სხვაობა იძლევა. უზუსტობა არის დაშვებული მომდევნო წინადადებაშიც: მერიდიანზე მზის გრადუსის შემობრუნებისას, ეს უკანასკნელი „თუ ვერძის სასიარულოს შიგნით ბრუნავდეს, იკოდე ჩრდილოს მხრით მიზეულია, თუ გარეთ ბრუნავს — სამხრის მიზეულია“. სინამდვილეში პიროვნითაა — პირველ შემთხვევაში სამხრეთის, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩრდილოეთის დახრილობას („მიზეულს“) ეჭნება აღვილი.

ვარსკვლავის დახრილობის განსასაზღვრავად შესაბამისი რვალფოთლის წვერი უთავსდება ცის მერიდიანს. ამ შემთხვევაში უკვე აღნიშნულია, რომ ვარსკვლავისა და ვერძის შესატყვისი პარალელე-

მიერ ლიმბზე („ქრეალ სახლედზე“) ათვლილი გრადუსების სხვაობა ჩვეულებრივი წესით დროის ერთეულებში გადაიყვანება და მიღება „მზის აღმოსავლეთიდამ გავლილი“ საათების რიცხვი. დღის დარჩენილი საათების დასადგენად ზუსტად იგივე ოპერაციები ტარდება, მთლიან ეკლიპტიკის წრეზე მონიშნული მზის გრადუსი აღმოსავლეთის ნაცვლად დასავლეთის ჰორიზონტს უთავსდება.

ღამის გავლილი საათების დასადგენად მეორე თავში მოყვანილი წესით იზომება ერთ-ერთი საყრდენი ვარსკვლავის სიმაღლე და მისი რვალფორთლის წვერო შესაბამისი სიმაღლის მქონე აღმუკანტარატს უთავსებდა. შემდეგ მესერს ისე აბრუნებენ, რომ ეკლიპტიკის წრეზე ამ დღისათვის ეფემერიდებიდან აღებული მზის გრადუსის შესაბამისი წერტილი დასავლეთის ჰორიზონტს დაემთხვეს. ამ შემთხვევაშიც მესრის მაჩვენებლის მიერ ლიმბზე ათვლილი გრადუსების სხვაობის დროის ერთეულებში გადაყვანა ღამის გავლილი საათების რაოდენობას იძლევა.

დღის ან ღამის ხანგრძლივობის დასადგენად ეკლიპტიკის წრეზე მოცემული დღისათვის ეფემერიდებიდან აღებული მზის გრადუსის შესაბამისი წერტილი რიგრიგობით უთავსდება ორივე ჰორიზონტს (დღის შემთხვევისათვის ჯერ აღმოსავლეთის და შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტებს, ხოლო ღამის შემთხვევისათვის — პირიქით). მესრის მაჩვენებლით ლიმბიდან ათვლილი და გადაანგარიშებული მონაცემები შესაბამისად დღის ან ღამის შემადგენელი საათების რაოდენობას იძლევა.

ღამის რომელიმე საყრდენი ვარსკვლავის ამოსვლის დროის დასადგენად ჯერ აღმოსავლეთის ჰორიზონტს უთავსდება შესაბამისი რვალ-ფორთლის წვერი, ხოლო შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტს — ეკლიპტიკის წრეზე ამ დღისათვის ფიქსირებული მზის გრადუსის წერტილი. ვარსკვლავის ამოსვლის მომენტიდან გასული საათების რაოდენობა მიიღება მესრის მაჩვენებლის მონაცემების დროის ერთეულებში გადაყვანით.

მოცემული თავის დანარჩენი ნაწილი ე. წ. „მრუდი საათებით“ ოპერირების საკითხებს ეთმობა. „მრუდი საათის“, როგორც დღე-ღამის ნათელი ან ბნელი დროის 1/12 ნაწილის განსაზღვრის შემდგომ მოყვანილია ნებისმიერი დღე-ღამისათვის ამ საათების გაშოთვლის პრაქტიკული წესი. ამ წესის თანახმად, ჯერ საათებში განისაზღვრება დღე-ღამის ნათელი და ბნელი დროის ხანგრძლივობა, ზუსტად იმავე მეთოდით, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. შემდეგ დღის და ღამის მონაცემები ცალ-ცალკე 12-ზე იყოფა და მიიღება შესაბამისად დღის ან ღამის „მრუდი საათის“ მნიშვნელობა. მეორე წესი უშუალოდ პლანისფეროზე მოყვანილი „მრუდი საათების“ ხაზების გამო-

ყენებას ითვალისწინებს. ამჯერად მოცემული დღისათვის ეფემერი-დებიდან აღებული და მესრის ეკლიპტიკის წრეზე შესაბამის წერტილზე ფიქსირებული მზის გრადუსი (ღამის შემთხვევისათვის), ან მისი მოპირდაპირე, ე. ი. ეკლიპტიკის მეშვიდე ზიშნის ტოლფასი გრადუსი (დღის შემთხვევისათვის) რიგრიგობთ უთავსდება „მრუდი საათის“ ჯერ ერთ და შემდეგ მეორე მომდევნო ხაზს. მესრის მაჩვენებლით ლიმბიდან ათვლილი და ღროის ერთეულებში გადაანვარიშებული მონაცემები შესაბამისად ღამის ან დღის შემადგენელი „მრუდი საათის“ სიდიდეს იძლევიან. ამ „მრუდი საათის“ 12-ზე გამრავლებით ღამის ან დღის ღროის ხანგრძლივობა მიიღება.

დღის გასული ღროის „მრუდ საათებში“ („საათის განკუთვის ან გარიშით“) გამოსათვლელად მზის სიმაღლის შესატყვის ალმუკან-ტარატს უთავსდება მესრის ეკლიპტიკის წრის ს წერტილი, რომელიც მოცემული დღისათვის ეფემერიდებიდან აღებულ მზის გრადუსს შეესაბამება (მზის სიმაღლე წინასწარ განისაზღვრება მეორე თავში მოყვანილი წესით). „მრუდი საათის“ ის ხაზი, რომელსაც ამ ღროს თანხვდება ეკლიპტიკის წრეზე მზის გრადუსის მოპირდაპირედ მდებარე წერტილი, მრუდი საათების რაოდენობას უჩვენებს დღის გასული ნაწილისათვის.

მეექვსე თავში მოცემულია მზის და ვარსკვლავების დახრილობის განსაზღვრის წესები<sup>108</sup>. მზის დახრილობის, ე. ი. ეკვატორიდან („ვარსკვლავთ დღე-ღამის გასასწორის ხაზიდამ“) მისი მანძილის განსაზღვრისათვის მზის გრადუსი ცის მერიდიანის ხაზს უთავსდება და დამთხვევის წერტილზე გამავალი პარალელის სიმაღლის მიხედვით მზის სიმაღლე განსაზღვრება. ამის შემდეგ აშეკარად გაზოტოვებულია წინადადება უშუალოდ დახრილობის განსაზღვრის შესახებ, რომელსაც ცის მერიდიანზე მზის შესაბამისი პარალელის და ვერძის თანავარსკვლავედის პარალელის სიმაღლეთა სხვაობა იძლევა. უზუსტობა არის დაშვებული მომდევნო წინადადებაშიც: მერიდიანზე მზის გრადუსის შემობრუნებისას, ეს უკანასკნელი „თუ ვერძის სასიარულოს შიგნით ბრუნავდეს, იცოდე ჩრდილოს მხრით მიზეულია, თუ გარეთ ბრუნავს — სამხრის მიზეულია“. სინამდვილეში პირუქითა — პირველ შემთხვევაში სამხრეთის, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩრდილოეთის დახრილობას („მიზეულს“) ექნება აღვილი.

ვარსკვლავის დახრილობის განსასაზღვრავად შესაბამისი რვალფოთლის წვერი უთავსდება ცის მერიდიანს. ამ შემთხვევაში უკვე აღნიშნულია, რომ ვარსკვლავისა და ვერძის შესატყვისი პარალელ-

ბის სიმაღლეთა სხვაობა ვარსკვლავის დახრილობის გრადუსებს იძლევა<sup>109</sup>. ჩაც შეეხება დახრილობის ხასიათს, აქც ის შექანიჭური აღრევა არის დაშვებული, რასაც მზის შემთხვევისათვის პერნდა აღგილო.

მეშვიდე თავში განხილულია დედამიწის ეკვატორზე ზოდიაქტოს ნიშნების აღმოსვლის განსაზღვრის წესი: მოცემული ზოდიაქტოს ნიშნის საწყისი და ბოლო წერტილები რიგრიგობით ჰორიზონტს უთავს-დება. მესრის მაჩვენებლით კორპუსის ლიმბზე ათვლილი გრადუსების სხვაობა აღმოსვლის გრადუსებს შეადგენს.

მერვე თავი 12 ასტროლოგიური სახლის ეკვალიზაციას და მის საფუძველზე ჰორიზონტის ცხრილის („სახლედი ხაზის“) შედგენას ეძღვნება.

ჯერ მესამე თავში მოყვანილი წესით განისაზღვრება მოცემული დღის ჰორიზონტი, რომელიც პირველ სახლს შეესაბამება. მაშინ მესრის ეკლიპტიკის წრის ის წერტილები, რომლებიც თანხვდებიან მერიდიანის ქვედა ნაწილს, დასავლეთის ჰორიზონტს და მერიდიანის ზედა ნაწილს, შესაბამისად განეკუთვნებიან IV, VII და X სახლს. მესრის შემობრუნებისას VII სახლის წერტილის თანამიმდევრული დამთხვევით მრუდი საათების ხაზებზე, მერიდიანის ზედა და ქვედა ნაწილებს შემდგომი სახლები უთავსდება: მე-2 საათის ხაზზე V და XI სახლი, მეოთხე ხაზზე — VI და XII სახლი. ანალოგიურად პირველი სახლის წერტილის შეთავსება ჯერ შეათე და მერე მფრვე საათის ხაზებთან<sup>110</sup>, მერიდიანის ქვედა და ზედა ნაწილში თავდაპირველად III და IX, ხოლო შემდეგ II და VIII სახლებს იძლევა. მიღებული მონაცემების მიხედვით დგება ჰორიზონტის ცნობილი ცხრილი, რომელსაც ვახტანგი „სახლედ ხაზს“ უწოდებს.

მეცხრე თავი დილის და საღამოს ბინდის ხანგრძლივობის გაზომვის წესს ეძღვნება<sup>111</sup>. ამ წესით, ჰორიზონტის ქვეშ ამოსასვლელით თუ ჩასული მზე მიაღწევს  $18^{\circ}$ -ს, შესაბამისად იწყება ან მთავრდება დილის ან საღამოს ასტრონომიული ბინდი. მესრის შემობრუნებით ეკლიპტიკის წრეზე, მზის მოპირდაპირე გრადუსი რიგრიგობით უთავსდება ჯერ  $18^{\circ}$  სიმაღლის დასავლეთის აღმუკანტარატს და შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტს. მაჩვენებლით ათვლილი და საათებში გადაყვანილი გრადუსების სხვაობა „ალიონიდან მზის ამოსვლამდე“

<sup>109</sup> ხელნაწერის ამ ადგილას დაზიანების გამო მთელი რიგი სიტყვები არ იყოთხება. მიუხედავად ამისა, მირითადი აზრის აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს.

<sup>110</sup> ტექსტში შეცდომით XI და IX საათებია მოყვანილი.

<sup>111</sup> H—457, ფფ. 117v—11r.

პერიოდის ხანგრძლივობას უჩვენებს. რაც შეეხება საღამოს ბინდის ხანგრძლივობას, ის ზუსტად ასევე გაითვლება, მხოლოდ ამ შემთხვევაში ეკლიპტიკის წრეზე მზის მოპირდაპირე გრადუსი აღმოსავლეთის  $18^{\circ}$ -იან აღმუკანტარატის და აღმოსავლეთის ჰორიზონტის შეუთვესდება.

მეათე თავში მზის სიმაღლის მიხედვით ჩრდილისა და ჩრდილის მიხედვით კი მზის სიმაღლის განსაზღვრის წესებია მოცემული<sup>112</sup>. მზის მიმართულებით აღიდადის დაყენებისას, მისი მაჩვენებლით („მზის წვეროთი“) ლიმბზე, მზის სიმაღლის შესაბამისი გრადუსი აღინიშნება, ხოლო ჩრდილის კვადრანტზე აღიდადის მეორე წვერით მონიშნული დანაყოფი ჩრდილის სიღიდეს იძლევა „ტერთ-ჩრდილებში“ ან „თითებ-ჩრდილებში“.

აქვე მოყვანილია „უსტროლაბოდ“ მზის სიმაღლის განსაზღვრის წესი. რომელიც ამ ფაქტს ემყარება, რომ „ყოველი რამ თვეის ტოლს ჩრდილს დაყენებს“. ნებასმიერი, წინასწარ გაზომილი ჭიკისათვის („ხისთვის“), როდესაც ჩრდილის ზომა ჭიკის ზომას მიაღწევს, მზის სიმაღლე  $45^{\circ}$  იქნება; თუ ჩრდილი ნაკლებია, „რა ერთიც აკლია იმ ხის ზომაზე“, მზის სიმაღლე „იმთონი მეტი იქნება“, და თუ ჩრდილი მეტია, მაშინ მზის სიმაღლე „აგრევ იმთონი ნაკლები იქნება“.

შეთერთმეტე თავი გვასწავლის მიმღინარე წლის ახალწლის („ნავ-რუზის“) ჰოროსკოპით მომავალი ახალწლის ჰოროსკოპის განსაზღვრას<sup>113</sup>. მესრის ეკლიპტიკის წრეზე მოინიშნება „ის შენაკი, რომელზედაც მზე შესულა“ და მესრის შემობრუნებით აღმოსავლეთის ჰორიზონტს შეუთავსდება. მაჩვენებლის მდგომარეობის დაფიქსირების შემდგომ, ეს უკანასკნელი  $87^{\circ}$ -ით გადაადგილდება (ეს რიცხვი მთვარის წელიწადთან უნდა იყოს დაყავშირებული. თუ მზის წლის მეოთხედი პერიოდი წრეწირის  $90^{\circ}$ -იან რკალს შეესაბამება, მთვარის წლისათვის წრეწირის რკალი მიახლოებით  $87^{\circ}$ -ს შეადგენს). ამ დროს, იმისდა მიხედვით თუ „რომლის ეტლის მენაკზე მზე ვერძე შევა“, სწორედ ის შეესაბამება საძიებელ „ნავრუზს“.

მეთორმეტე თავი გეოგრაფიული განედის გაზომვას ეხება<sup>114</sup>. ყველა დეტალის გათვალისწინებით იზომება მზის სიმაღლე შუადღისას. ე. ი. როდესაც მნათობი მერიდიანშია. შემდეგ მესრის მობრუნებით მზის გრადუსს „შუა დღის ხაზზე“ აყენებენ და ითვლიან აღმუკანტარატების რაოდენობას, რომლებიც მზის გრადუსსა და ვერძის „სასიარულოს“ შორის აღმოჩნდება. მიღებულ რიცხვს უმატებენ ან აკლებენ მზის გაზომილ სიმაღლეს, იმისდა მიხედვით ვერ-

<sup>112</sup> H—457, ფ. 11v—12r.

<sup>113</sup> H—457, ფ. 12r—12v.

<sup>114</sup> H—457, ფფ. 12v—13r;

ძის „სასიარულო“ „გარეთ თუ შიგნით არის“. თავის მხრივ, ეს ჭამი ან სხვაობა  $90^{\circ}$ -ს აკლდება და რაც „დარჩება, ქვეყნიდამ უძრავამდი სიმაღლე იქნება გინა ქვეყნის განი“. აქ ჩატარებული მექანიკური და გამოთვლითი ოპერაციების ერთობლიობას თუ მათემატიკური ფორმულით გამოვსახავთ, ასეთი სახე აქვს:  $\varphi = 90^{\circ} - (h - \delta)$ , როდესაც დახრილობა (δ) ჩრდილოეთისაა და  $\varphi = 90^{\circ} - (h + \delta)$ , როდესაც დახრილობა სამხრეთისაა.

შეცამეტე თავში განხილულია პოროსულის განსაზღვრის წესი იმ აღვილმდებარეობისათვის, რომლის განედის შესაბამისი პლანისფერო („რვალფიცარი“) სახეზე არ არის<sup>115</sup>. ამ შემთხვევაში იყენებენ პლანისფეროს, რომელიც უახლოესი ადგილის განედს პასუხობს; შერჩეული პლანისფეროთი განსაზღვრავენ დაკვირვების აღვილის პოროსულს და მესრის მობრუნებით პოროსულს „შუა ღლის ხაზზე“ აყენებენ. ამ მდგომარეობაში დაითვლიან ალმუკანტარატების რაოდენობას, რომლებიც ვერძის წრისა და მის გარეთ ან შიგნით მოხვედრილ პოროსულის წერტილს შორის მდებარეობენ (აქვე უნდა აღვინიშნოთ, რომ შესაბამისი პლანისფეროს შემთხვევაში პოროსულის წერტილი ვერძის წრეს დაემთხვეოდა). ალმუკანტარატების მიღებული რაოდენობა (n) დამოკიდებულია განედების სხვაობის სიღილისაგან ( $\Delta\varphi$ ), ისევე როგორც ვერძი — თხისრქის ან ვერძი — კირჩიბის ინტერვალში ალმუკანტარატების რიცხვი (N) დამოკიდებულია ინტერვალის სიღილისაგან, კერძოდ კი  $24^{\circ}$ -ისაგან (ასტროლაბებში ჩვეულებრივ  $23^{\circ}30'$ -ის ნაცვლად  $24^{\circ}$  არის წარმოდგენილი). ამით ტომ საწყის მდგომარეობაში დაბრუნებული მესერი ხელმეორედ უკვე გარტვეული სიღილით გადაადგილდება და ეს სიღილე შეიძლება ასეთი სახით წარმოვალგინოთ:  $n = \frac{\Delta\varphi \cdot N}{24}$ . მესრის მაჩვენებლის მოძრაობის მიმართ განედი და მეტია, მაშინ შებრუნებული სურათი მიიღება.

მეთოთხმეტე თავში მოყვანილია ეკლიპტიკის პოლუსის („ვარსკვლავის ცის უძრავის“) განსაზღვრის წესი<sup>116</sup>. ჯერ მოინახება თუ

<sup>115</sup> იქვე, 13r—14v.

<sup>116</sup> H—457, ფ. 14v.

რომელიც „ეტლის რამთონი მენაკი‘ აღმოსვლა“ არის მოცუმული ადგილმდებარეობაში. შემდეგ მესრის ეკლიპტიკის წრის ამ „მენაკიდან“ ზევით  $90^{\circ}$  გადაითვლება. იმ აღმუკანტარატის მნიშვნელობა, რომელსაც გადათვლის ოთხშოულამეათე გრადუსი ემთხვევა, ეკლიპტიკის პოლუსის სიმაღლე იქნება პორიზონტიდან.

მეთხუთმეტე თავი — მზის და ვარსკვლავების აზიმუტის („მხარის“) განსაზღვრას წესი<sup>117</sup>. ჩვეულებრივი წესით განისაზღვრება მზის სიმაღლე და მესრის შემობრუნებით მზის გრადუსი ამ სიმაღლის შესაბამის აღმუკანტარატს უთავსდება. შეთავსების წერტილზე გამავალი აზიმუტის წირი („მხრის კარაკინი“) საძიებელ აზიმუტს შეესაბამება. აზიმუტის წირების რიცხვითი მნიშვნელობები, როგორც ეს ტექსტშია განმარტებული, თვითეულ წირს მიწერილი აქვს ბოლოში. იმისდა მიხედვით, თუ სად მდებარეობს შეთავსების წერტილი, „ვერის სასიარულოს“ შიგნით თუ გარეთ, შესაბამისად აზიმუტის „იმთონი მენაკი“ ჩრდილოეთის ან სამხრეთისაკენ „იქნება მიზეული“.

მეთექვსმეტე თავში დახასიათებულია მზის ეფემერიდები<sup>118</sup>. რამდენიმე დღეს აკვირდებიან მერიდიანზე გამავალი მზის სიმაღლის ცვლილებას. თუ მატებას აქვს ადგილი, და ადგილის განედი (φ) მზის სიმაღლეს (h) აღემატება, მაშინ მზე ვერძში, კუროსა ან მარჩბივშია. თუ მზის სიმაღლე მატულობს, მაგრამ არა იმდენად, რომ „ქვეყნის განის ოდენი იყოს“, მაშინ მნათობი თხის რქაში, მერწყულსა ან თევზებშია. როდესაც მზის სიმაღლე დღითიდლე კლებულობს და  $h > \phi$ , მზე „კირჩხიბსა და ლომსა და ან ქალწულში არის“. თუ მზის სიმაღლის კლებისას  $h < \phi$ , მაშინ მზე „სასწორსა, ან ლრიანკალსა და ან მშეილდოსანში“ იქნება. მზე გაზაფხულის დაწყებისას ვერძის პირველ გრადუსზე, ხოლო შემოდგომის დაწყებისას სასწორის პირველ გრადუსზე იმყოფება.

ასტროლაბის საშუალებით „ეტლის იმ მენაკის“ შესატყობად, რომელშიც მზე იმყოფება, ჯერ ამ უკანასკნელის სიმაღლეს განსაზღვრავენ. თუ მნათობი ჩრდილოეთისაკენ არის „რვალ-ფოთლის თვალაკიდამ“ ქვემოთ, მზის სიმაღლისა და ადგილის განედის სხვაობის შესაბამისი აღმუკანტარატების რაოდენობას „ჩამოთვლიან“ (თუ მნათობი სამხრეთისაკენ არის, მაშინ „ჩამოთვლა“ ზევით წარმოებს). „რამთონზედაც მივიდეს იქ ნიშანი“ დაისმება. შემდეგ წლის სეზონის შესაბამისი „ეტლები იმაზე დაბრუნდება“, რომელი ზოდი-

<sup>117</sup> H—457, ფფ. 14v—15r.

<sup>118</sup> H—457, ფფ. 15r—15v.

აქოს ნიშანიც იმ წერტილს შეუთავსდება, მზე, სწორედ „იმ ეტლის იმ მენაკში არის“.

მეჩვიდეტე თავი ასტროლაბის საშუალებით მიუდგომელი საგნების სიგრძე-სიგანისა და მანძილის განსაზღვრის წესებს ეძღვნება<sup>119</sup>. ვინაიდან ეს თავი ჩვენ პირველ მონოგრაფიაში დაწვრილებით გვაქვს ეგანხილული, ამიტომ აქ მხოლოდ ამ მონოგრაფიის მითითებით შემოვიფარგლებით (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 254—256).

მეთვრამეტე თავში „პორიზონტების პლანისფეროს“ („შუახმელის საკრებულოს“) გამოყენების საკითხები<sup>120</sup> განხილულია შემდეგნაირად:

ა) პლანისფეროზე წარმოდგენილი განედების ფართო ინტერვალი (8—66°) საშუალებას იძლევა პრაქტიკულად ნებისმიერი განედისათვის გათვლილ იქნეს დღის ხანგრძლივობა. ამ მიზნით მესრის ეკლიპტიკის წრის მზის გრადუსი რეგრიგობით უთავსდება ჯერ სასურველი განედის პორიზონტს და შემდეგ მერიდიანს. მაჩვენებლის საშუალებით ათვლილი და დროის ერთეულებში გადაანგარიშებული გრადუსების სხვაობა — „დღილიდამ შუადღემდე“ გასული საათების რაოდენობას იძლევა (ტექსტში მოხსენიებული არ არის, მაგრამ ნამდვილად იგულისხმება, რომ ამ საათების გაორკეცებით მთელს დღის ხანგრძლივობა მიიღება).

ბ) დღის სწორების („გასწორება დღისა“), ე. ი. დღის ნამეტის ნახევრის გამოსათვლელად ეკლიპტიკის მზის გრადუსი რეგრიგობით უთავსდება ჯერ სასურველ განედს და შემდეგ აღმოსავლეთის ხაზს. მაჩვენებლის მიერ ათვლილი გრადუსების სხვაობა საძიებელ სიდიდეს შეადგენს.

გ) პოროსკოპის განსაზღვრავად ეკლიპტიკის წრის მზის გრადუსი დაემთხვევა სასურველი განედის პორიზონტს და აღინიშნება მაჩვენებლის მერი ლიმბზე ათვლილი მნიშვნელობა. თუ მესრის შემობრუნება ხდება დღის გავლილი საათების ტოლი გრადუსით, მაშინ პოროსკოპის შესაბამისი ეკლიპტიკის წრის გრადუსი თანხვდება მოცემულ პორიზონტს. შემდეგ მესერს დროებით აბრუნებენ ისე, რომ ეკლიპტიკის წრის პოროსკოპის გრადუსი მერიდიანს დაემთხვეს. შემობრუნების გრადუსების რაოდენობა სამაც იყოფა და ამ მესამედით, რომელიც  $30^{\circ}$ -ს შეესაბამება (ისევე, როგორც VIII თავში მოყვანილი მრუდი საათის 2 დანაყოფი), მესერი გადაადგილდება საწყისი მდგომარეობიდან (ე. ი. მოცემული პორიზონტიდან, რომელზედაც ეკლიპტიკის წრის პოროსკოპის წერტილი იყო ფიქსირებული).

<sup>119</sup> H—457, ფფ. 15v—16v.

<sup>120</sup> H—457, ფფ. 16v—18v.

ლი). ეკლიპტიკის წრის ის წერტილი, რომელიც ამ დროს მერიდიანს შეუთავსდება, მეთერთმეტე სახლის შესაბამისი იქნება, კიდევ ერთი მესამედით გადაადგილება კი მერიდიანზე მეთორმეტე სახლს იძლევა. თუ საწყისი მდგომარეობიდან მესერი საწინააღმდეგო მხარეს გადაადგილდება ამავე სიღილეებით, მაშინ მერიდიანზე შეთავსებული ეპლიპტიკის წრის წერტილში ჯერ IX და შემდეგ VIII სახლებს შეესაბამება. დანარჩენი სახლები ეკლიპტიკის წრეზე ცნობილი სახლების ფრადულებსს დამეტრალურად საწინააღმდეგო წერტილებში მოიძებნება.

მეცხრამეტე თავი „სტროლაბის სიმრუდესა და სისწორის“ შემოწმებას ეძლევნება<sup>121</sup>. მერიდიანის ხაზის „სისწორე“ ტეირთიანი ძაფით მოწმდება. კორპუსის და პლანისფერობის წრეწრების შესამოწმებლად ფარგალი გამოიყენება. ალიდადით მზის სიმაღლის გაზომვისას, ანათვალი ლიმბის ჯერ ერთ და შემოეგ მეორე მხარეს აღდება. თუ შედეგები არ თანხვდება ერთმანეთს, „ან მკლავი მრუდი ან სახლებია მრუდი“. გამართული პლანისფერობისათვის მანძილი ვერძის წრიდან ზენიტმდე და თხის რქის წრემდე 24—24°-ს უნდა შეადგენდეს. ეკლიპტიკის წრის ვერძის წერტილის ჰორიზონტის ხაზზე დაყენებისას მოპირდაპირე ეტლს სასწორი უნდა წარმოადგენდეს და თანაც სას, რომ „რამთონიც მენაკი ვერძისა დგას, ისრც იმთონი დგას“. ამავე ეკლიპტიკის წრეში ერთნაირი სიგრძით უნდა იყოს გადაზომილი შემდეგი ნიშნები: თხის რქა — მშვილდოსანი, მერწყული — ლრიანქალი, თევზები — სასწორი, ვერძი — ქალწული, კურო — ლომი და მარჩივი — კირჩიბი.

ორი ვარსკვლავის სიმაღლის გაზომვის შემდეგ ერთ-ერთის მესრის რვალფოთლის შესაბამის ალმუკანტარატზე დაყენებისას თუ მეორის რვალფოთოლიც განაზომის შესატყვის ალმუკანტარატს შეუთავსდება, ვარსკვლავების პროექციები მესერზე სწორად არის შესრულებული. მრუდი საათების დანაყოფების სიზუსტე ფარგლის საშუალებით მოწმდება.

მეოცე თავში ორწერილია ცის თაღზე ამ ვარსკვლავების აღვილ-მდებარეობა, რომლებიც ასტროლაბის მესრის „რვალ-ფოთლებზე“ არიან ალნუსსული<sup>122</sup>. ეს თავი კეშარიტად ცის გზის მკვლევის როლს ასრულებს, ვინაიდან აქ ორიენტირებისათვის საჭირო თითქმის ყველა ძირითადი ობიექტი არის დასახელებული. ყველა ვარსკვლავის სახელწოდება ქართული ტერმინით არის გაღმოცემული და ისინი

<sup>121</sup> H—457, ფფ. 18v—19r.

<sup>122</sup> H—457 ფფ. 19r—20v.

ძირითადად სპარსულ-არაბული სახელწოდებების თარგმანს წარმოადგენენ. დასახელებული ვარსკვლავების იდენტიფიცირებისათვის ვსარგებლობდით „ზიჯის“ ლენინგრადული და თბილისური წუსხების ვარსკვლავთა კატალოგის და აგრეთვე ვახტახის სამუშაო ჩანაწერებში მოყვანილი ვარსკვლავთა მოქლე ლექსიკონების მონაცემებით.

ცაშე საწყის ორიენტირად წარმოდგენილია „ხომლი“ (ე. ი. პლე-ადები) — გამნეულ ვარსკვლავთა ჯგუფი, ქუროს თანავარსკვლავებში, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც საკმაოდ იოლია. ხომლიდან „ჩრდილოეთის განისაკენ“ და „ორი შუბის სიგრძეზე“ მდებარეობს „მარცხენა ბეჭი“. „შუბი“ აქ სიგრძის, უფრო ზუსტად, კუთხური მანძილის მასშტაბს წარმოადგენს და ტექსტში შემდგომ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე დაახლოებით 16—20 გრადუსამდე მანძილს უნდა შეიცავდეს (ამ საზომს ბირუნიც შოიხესენიებს. იბ. ბირუნი, VI, გვ. 72). რაც შეეხება „მარცხენა ბეჭის“, ამ ვარსკვლავს „ზიჯის“ თარგმანის ადრეულ რედაქციაში „აიუყ“ ეწოდება, ხოლო გვიანდელში „მესადავის მარჯვენა ბეჭი“<sup>123</sup>. ამ უკანასკელში შეცდომაა. გაპარული: უნდა იყოს „მესადავის მარცხენა ბეჭი“. სხვა ვარსკვლავების კატალოგებთან შედარებით ირკვევა, რომ „მარცხენა ბეჭი“ ცნობილ ვარსკვლავს — კაპელას (ანუ α-μέγεტლისას) გულისხმობს.

ხომლის ამოსკვლისას, მას ერთი შუბის დაცილებით — „კუროს-თვალი“ მისდევს, რომელიც თანამედროვე ტერმინოლოგიით ალდებარანს ანუ α-კუროსას გულისხმობს (ქართული სახელწოდება ვარსკვლავის მეორე არაბული სახელწოდების „აიან ას-საურ“-ის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს). ალდებარანის შემდეგ, ტექსტის თანახმად, „ტყუბის ბურჯი ამოვა. ამაში ვარსკვლავებია ხრმალით შემორტყმულის კაცის სახედ. მარჯვენას ხელისაკენ რაც არის — მარჯვენა ხელი ჰქვიან, მარცხნის ფეხისაკენ სხვა არის — მარცხენა ფეხი ჰქვიან“. „ტყუბის“ სახელწოდებით ვახტანგი ჩვეულებრივ მარჩბივის ზოდიაქურ თანავარსკვლავედს აღნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ის სხვა თანავარსკვლავედს გულისხმობს და ამიტომაც ზოდიაქოს კუთვნილების გამომხატველი „ბურჯის“ ხმარება ამ „ტყუბის“ მიმართ უნებლივ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. სინამდვილეში ავტორს მხედველობაში აქვს ორიონი და ტერმინების დამთხვევა იმით არის გამოწვეული, რომ, ორიონის ერთ-ერთი არაბული სახელწოდება „ჯაუზა“, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც „შეწყვილებული“ ანუ წყვი-

123 M—12, ფ. 208v. S—161, ფ. 443.

ლი“, ასტრონომიულ ლიტერატურაში მარჩბივის თანავარსკვლავედის აღსანიშნავადაც იხმარებოდა (იხ. როზენფელდი, კატალოგები, გვ. 184). რაც შეუხება „მარჯვენა ხელს“ და „მარცხენა ფეხს“, ერთი მხრივ M—12 და S—161 ნუსხების და, მეორე, მხრივ, ბირუნის და ნასირ ედ-დინ თუსელის ვარსკვლავთა კატალოგების შესაბამისი მონაცემების ურთიერთშედარებიდან ჩანს, რომ პირველი ბეთელქე-იზეს ანუ ა-ორიონისას, ხოლო მეორე — რიგელს ანუ ბ-ორიონისას ნიშნავს<sup>124</sup>.

ბეთელქეიზესა და რიგელის შემდგომ ცაზე ორი ერთმანეთისა-გან საგრძნობლად დაცილებული ვარსკვლავი ამოდის, ერთი რძიანი გზის („იერუსალიმის გზის“) „აქეთ არის და შეორე იქით“. ჩრდი-ლოეთით მდებარე ძალზე ნათელ ვარსკვლავს „იამნის გაწითლებული“, ხოლო სამხრეთით მდებარე უფრო მომცრო და „ყირმიზ“ ვარსკვლავს „დამამწიფებელი“ ეწოდება. ისინი, ტექსტის თანახმად, „ზაფხულის ლამის ბოლოს ინახება“. ვახტანგის ვარსკვლავების ლექსიკონში „იამნის მაწითლებელი“ და „დამამწიფებელი“ არაბული „შარი იამა-ნისა“ და „შარი შამის“ შესატყვისი ქართული ტერმინებია<sup>125</sup>. აქედან გამომდინარე, „იამნის გაწითლებული“ სირიუს ანუ ა-დიდი ქოფა-კისას, ხოლო „დამამწიფებელი“ — პროცენს ანუ ა-პატარა ქოფა-კისას გულისხმობს.

პროცენის ჩრდილოეთით „ზამთარ პირველ ღამეს“ ორი ერთ-მანეთთან ახლო მდებარე ვარსკვლავი ჩანს, „წინ რომ არის“ „წინა ტყუბის თავი“ და უკანას „უკანა ტყუბის თავი“ ეწოდება. ამ შემ-თხვევაში „ტყუბი“ მარჩბივის თანავარსკვლავედს გულისხმობს და „წინა ტყუბისთავი“ კასტორი ანუ ა-მარჩბივისა, ხოლო „უკანა ტყუბის თავი“ პოლუქსი ანუ ბ-მარჩბივისა არის. ამ ვარსკვლავებიდან სამხ-რეთით, „ორი-სამი შუბის“ დაშორებით „ოთხი ვარსკვლავია ჩოგანსა-ვით მოყვანილი“. მესამე, ყველაზე უფრო ბრწყინვალე ვარსკვლავის სახელწოდება არის „ლოშის გული“. ცხადია, რომ აქ ლომის თანა-ვარსკვლავედი და მისი ყველაზე ნათელი ვარსკვლავი რევული ანუ ა-ლომისა იგულისხმება. რეგულის გვერდით სამხრეთისაკენ დასახე-ლებულია მარტოდ მდებარე ვარსკვლავი „კეოტი“, რომლის იდენტი-ფიცირებაც ჩვენ ვერ შევძელით, ვინაიდან ვარსკვლავიერი ცის რუქა-ზე მითითებული მიმართულებით ასეთი განცალკევებული და შე-სამჩნევი ვარსკვლავი არ აღინიშნება და არც კატალოგებში აღმოჩნდა ამ სახელწოდების მატარებელი ობიექტი. მოულოდნელი ჩანს აგრეთ-

124 იხ. M—12, ფფ. 218r, 219r. S—161, გვ. 462. შდრ. როზენფელდი, კატალოგები, გვ. 133—134, 174—175.

125 K—3, საქალალდე № 3, ფ. 13r—13v.

ვე ლომის თანავარსკვლავედში შემავალი ვარსკვლავებიდან ორი მცირე სიღიდის („მეტად მნათობი არ არიან“) და ერთი და იმავე სახელწოდების („ზურგისაგანის“) მატარებელი ორი ვარსკვლავის აღნიშვნა. S—161 ნუსხის კატალოგში ამ სახელწოდებით წარმოდგენილია ლომის თანავარსკვლავედის რიგით 21-ე და 22-ე ვარსკვლავები<sup>126</sup>. ადრეულ M—12 ნუსხაში, დასახელებულ რიგით ნომრებს „შინელ ზაბირ“ და „მინელ ზაბარ“ შეესაბამება<sup>127</sup>. ვახტანგის ვარსკვლავთა ლექსიკონშიც ამ ორივე არაბული ტერმინის ქართული შესატყვისა „ზურგისაგანი“<sup>128</sup>. ბირუნის და სხვა კატალოგებთან შედარებით ირკვევა, რომ პირველი „ზურგისაგანი“ ი-ლომისას, ხოლო მეორე — მ-ლომისას გულისხმობს (იხ. როზენფელდი, კატალოგები, გვ. 118). ლომის თანავარსკვლავედთან დაკავშირებით თითქოს უფრო გამართლებული იყო ისეთი შედარებით დიდი ვარსკვლავების ჩვენება, როგორც არის ყ-და მ-ლომისა. გაურკვეველი მიზეზების გამო რატომლაც მათ შესახებ არაფერი არის ნათქვამი და ორი „ზურგისაგანის“ შემდეგ ტექსტში მოხსენიებულია ნათელი ვარსკვლავი „სარფა“.

„ზურგისაგანთა“ შემდგომ, როგორც ტექსტი იუწყება, „ერთის შუბის სიმაღლეზე ერთი ვარსკვლავი ამოვა. სიღიდით შუვათანა არის, მაგრამ ნათელი ვარსკვლავია. იმას სარფა ჰქვიან“. M—12 ნუსხის კატალოგში „სარფა“ მოყვანილა როგორც ლომის თანავარსკვლავების რიგით 27-ე ვარსკვლავი, S—161-ში კი იმავე რიგითი ნომრით — „ლომის კუდი“<sup>129</sup>. ამ შემთხვევაში ორივე წყარო ერთსა და იმავე ვარსკვლავს — ე. წ. დენებოლას ანუ მ-ლომისას აღნიშნავს, მხოლოდ სხვადასხვა სახელებით. „ლომის კუდი“ არაბული „ზანაბ ალ-ასალის“ თარგმანს წარმოადგენს და ამ სახელწოდების წარმომავლობა კომენტარს არ საჭიროებს. რაც შეეხება ტერმინ „სარფას“, რომელიც სიტყვასიტყვით „მობრუნებას“ ნიშნავს, ეს სახელწოდება იმასთან დაკავშირებით გაჩნდა, რომ სიცხე ან სიცივე ამ ვარსკვლავის ამოსვლას მომენტს უკავშირდება.

დენებოლას „უკან ორი შუბის სიგრძეზე ერთი ვარსკვლავი ამოვა მნათობი, დაბალშუბოსანი ჰქვიან“. ამ ვარსკვლავიდან „ჩრდილო მხრით“ კი „დიდი და ნათელი“ ვარსკვლავი „მაღალშუბოსანი“ არის, რომელსაც „გვერდით ერთი პატარა ვარსკვლავი აკრავს — მუხლი მშვილდოსნისა“. პირველი სახელწოდება „დაბალშუბოსანი“ ქალწუ-

<sup>126</sup> S—161, გვ. 453.

<sup>127</sup> M—12 ფ. 213r.

<sup>128</sup> K—3, საქ. № 3, ფ. 13r—13v.

<sup>129</sup> M—12, ფ. 213v; S—161, გვ. 453..

ლის თანავარსკუვლავედის ცნობილ ვარსკუვლავს სპიკას ანუ ა-ქალწული-სას გულისხმობს, რომელიც „შეუიარაღებელი სიმაკის“ („ას-სიმაკ ალ-აზალის“) სახელწოდებითაც არის ცნობილი. მას ჩრდილოეთით მდებარე „მაღალშუბოსანი“ — არქტური ანუ ა-მენახირესია, რომელ-საც „შუბისმტვირთველ სიმაკსაც“ („ას-სიმაკ არ-რამიჰ“) უწო-დებენ.

S—161 ნუსხის კატალოგში მოყვანილი ამ ვარსკუვლავების არა-ბულ სახელწოდებათა საქმაოდ ზუსტი ქართული თარგმანი „შუბ-ჩამოვარდნილი“ და „მეშუბარი მაღალი“<sup>130</sup>, ვახტანგს რატომდაც ამ თხზულებაში „დაბალშუბოსნითა“ და „მაღალშუბოსნით“ აქვს შეცვლილი. რაც შეეხება „მშვილდოსნის მუხლს“, M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში „რუქიათილ რამის“ და „მუხლი მშვილდოსნის“ სახელწოდებით წარმოდგენილია მშვილდოსნის თანავარსკუვლავედის რიგით 24-ე ვარსკულავი, რომელიც ალრამს ანუ ა-მშვილდოსანს შე-ესაბამება<sup>131</sup>. ამ უკანასკნელის და არქტურის სიახლოვე გამორჩეულია, ასე რომ, აქ აშეარა შეცდომასთან გვაქვს საქმე. არქტურთან ახლოს სინამდვილეში უ-მენახირისა არის, რომელიც M—12 ნუსხა-ში „მარაფათელ რამეს“ სახელწოდებით გვხვდება<sup>132</sup>. აქ, როგორც ეტყობა, რაღაც ალრევა მოხდა „მარაფათელ რამესა“ და „რუქიათელ რამეს“ შორის, რის შედეგადაც მეორის ქართული თარგმანი არადანიშნულებისამებრ იქნა გამოყენებული.

არქტურიდან ჩრდილოეთით, ტექსტის თანახმად, „ორს შუბის სიგრძეზე... შვიდი ვარსკუვლავია ნახევარს კრკალსავით მოხრილი“. მათის ყველაზე უფრო ნათელს „პინის მნათობი“ ეწოდება. ეს მოქ-ლე აღწერა სრულიად საქმარისია იმისათვის, რომ ნახევარ რკალის ფორმის 7 ვარსკულავის განლაგებაში „ჩრდილოეთის გვირგვინის“ თანავარსკუვლავედი, ხოლო „პინის მნათობში“ მისი ყველაზე დიდი ვარსკულავი — გემა ანუ ა-ჩრდილოეთი გვირგვინისა ამოვიცნოთ. როდესაც გემა მერიდიანში იმყოფება „სამხრის მხრისაკენ ღრიან-კლის ბურჯი დაინახება“. ამ თანავარსკუვლავედის ერთმანეთთან ახლოს განლაგებული სამი ვარსკულავიდან „შუბას ღრიანკლის გული“ უწო-ბა. ამ უკანასკნელში კი ტექსტი ანტარესს ანუ ა-ლრიანკალისას გუ-ლისხმობს.

ღრიანკლის თანავარსკუვლავედის სამხრეთ მხარეზე ვამოჩენისას, მერიდიანზე იმყოფება მეორე. თანავარსკუვლავედიც, რომელიც „სამ-

<sup>130</sup> S—161, გვ. 438, 454.

<sup>131</sup> M—12, ფ. 215v. S—161, გვ. 457.

<sup>132</sup> M—12, ფ. 206r.

ფეხსავით სამს ალაგას არის ერთმანეთზე ახლო“ აშათგან უველაზე ნათელს „სვავი მხარდაშვებული“ ეწოდება. ამ ვარსკვლავის პირდაპირ რძიან გზაზე („იერუსალიმის გზაზე“) „ერთი თავს, ერთი ბოლოს და ერთი შუვაში“ სამი ვარსკვლავია. შესაბამისი მონაცემები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ პირველ ვარსკვლავში ვეგა ანუ **ა-ქნარისა**, და მეორე ვარსკვლავში ალტაირი ანუ **ა-არწივისა** ვიგულისხმოთ. ასევე აღვილად ამოიცნობა „შავი კრავის თავში“ რას ალპაგუ ანუ **ა-გველისმჭერისა**.

ტექსტის მიხედვით ეს ვარსკვლავი ალტაირთან და ვეგასთან „მესამე კუთხით“ არის ორიენტირებული. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ტოლგვერდა სამკუთხედი იგულისხმება და სწორედ ასეთ სამკუთხედს ქმნის სამივე დასახელებული ვარსკვლავი<sup>133</sup>. გარდა ამისა, M—12 და S—161 ნუსხების კატალოგში „შავი კრავი“ და „კრავის თავი“, როგორც გველისმჭერის თანავარსკვლავედის ყველაზე შესამჩნევი ვარსკვლავია<sup>134</sup> წარმოდგენილი.

უეგასავან დასავლეთით (და არა აღმოსავლეთით, როგორც ამას შეცდომით იუწყება ტექსტი) მდებარეობს ე. წ. „რაღიფი“ ანუ ქათმის ბოლო. „რაღიფი“ (არაბ. „რიდფ“) „უკანას“ ნიშნავს, ამდენად, ორივე სახელწოდება დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. M—12 და S—161 ნუსხების კატალოგების მიხედვით ეს ვარსკვლავი გედის თანავარსკვლავედს განეკუთვნება, სადაც ყველაზე ნათელ ვარსკვლავს დენები ანუ **ა-გედისა** წარმოადგენს. ვარსკვლავების აღწერა მთავრდება ე. წ. „ნებშელებულით“, რომელიც, ტექსტის თანაბმად, რძიან გზაში „ყველაზე წინ არის“. ამ ორიენტირით და S—161 ნუსხის კატალოგის მონაცემის გათუალისწინებით, აღნიშნულ ვარსკვლავში **წ-კასიოპეა** ამოიცნობა.

განხილული მეოცე თავის დასასრულს აღნიშნულია, რომ აღწერილი ვარსკვლავებით „სტროლაბისაგან შემაღლება დაიჭირება“, თუმცა მათ „გარდა სხვანიც არიან“, რომლებიც შეიძლება ამავე შიზნით იქნენ გამოყენებული.

ა ს ტ რ ო ლ ა ბ ი ს ა დ გ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს შ ე მ ი ქ მ ე დ ე-ბ ა შ ი. „ქმნულების ცოდნის წიგნის“ მსგავს სახელმძღვანელოებში მათემატიკის, ასტრონომიის, გეოგრაფიის და ქრონოლოგიის საფუძვლებთან ერთად, ჩეცულებრივ წარმოდგენილი იყო სპეციალური თავი ასტროლაბის შესახებ. ვინაიდან თვით „ქმნულების ცოდნის წიგნში“

<sup>133</sup> ტექსტში შეცდომით აღნიშნულია, რომ რას ალპაგე აღნიშნული ვარსკვლავებიდან აღმოსავლეთის ნაცვლად დასავლეთის მხარეს მდებარეობს.

<sup>134</sup> M—12, ფ. 208; S—161, გვ. 403.

ასეთი თავი არ აღმოჩნდა, ვახტანგმა ნასირ ედ-დინ თუსელის (1201—1274) თხზულება თარგმნა და ამით ეს ხარვეზი შეავსო. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების თარგმნის მთავარი მიზეზი მაინც უშუალოდ მატერიალურ ასტროლაბთან იყო დაკავშირებული და ამ ხელსაწყოს ინსტრუქტორის ფუნქციების შესრულებას ისახავდა მიზნად.

ერთი შეხედვით თითქოს უცნაური უნდა ჩანდეს, თუ რატომ მიმართა ვახტანგმა XIII ს. ავტორის თხზულებას, რომელიც თითქოს მოველებული უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნისათვის. უველაფერი გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საუკუნეების მანძილზე ასტროლაბის კონსტრუქციას არავითარი ცვლილება არ განუცდია და არც მისი გამოყენების სფეროში გამოჩენილა რამე სიახლე. პირიქით, ნასირ ედ-დინ თუსელის თხზულება სხვებისაგან, მათ შორის გვიანდელი ტრაქტატებისაგან, მომგებიანად გამოიჩინა საკითხების მრავალფეროვნებით და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მითითებებით. პირველ რიგში მოყვანილი ხელსაწყოს დეტალური აღწერილობა და ბოლო, მეორე თავში დართული ცის თაღის აღწერილობა-გზისმკვლევი თავსთავად ძალზე ამდიდრებს თხზულების შინაარსს. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იზრდება ქართველი მკითხველისათვის, რომელიც ასტროლაბის დეტალებსა და უველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავებს ქართული სახელწილებით ეცნობა. ასე რომ, ვახტანგის არჩევანი სავსებით გამართლებული იყო და „სტროლაბის საჭავლებელ წიგნს“ თავისუფლად შეეძლო ქართველ მკითხველამდე მიეტანა ის ძირითადი ცოდნა, რომელიც ასტროლაბთან და მის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით გამომუშავდა აღმოსავლურ ასტრონომიაში.

ნასირ ედ-დინ თუსელის თხზულებასთან ერთად, ძალზე მაღალ შეფასებას იმსახურებს ჩვენ მიერ აღწერილი ვახტანგისეული ასტროლაბიც. ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ XVIII საუკუნის დამდევიდან ასტროლაბის დამზადება შეწყდა და ეს ხელობა საერთო დავიწყებას მოეცა (ოსიპოვი, გვ. 117). ვახტანგისეული ასტროლაბი ცხადყოფს ამ მოსაზრების უსაფუძვლობას. ხელსაწყო სრულიადაც არ ჩამოგავს იმ პერიოდის ნაწარმს, როდესაც მისი დამზადების ხელოვნება უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. პირიქით, ვახტანგისეული ასტროლაბი ძალზე მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით გამოირჩევა. მაგალითად, ასტროლაბის ზურგზე სრმალების კვადრანტში კონცენტრული წრის მეოთხედების ერთ-ერთ უბანზე მხოლოდ ლუპის საშუალებით შევძელით დაგვეღგინა, რომ 1,2 მმ-ის ინტერვალში 6 ასეთი მეოთხედი წრე იყო ამოტვიფრული. ფილიგრანულ ტექნიკასთან ერთად ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ასტროლაბის ზედაპირის ზოველი უბანი მაქსიმალურად

არის გამოყენებული და, მაშასადამე, შესაბამისად მეტია ასტროლაბით შესასრულებელი ოპერაციების რიცხვი. ვახტანგისეული ასტროლაბის კამერის ფსკერზე 46 ქალაქისათვის მოყვანილია გეოგრაფიული გრძელის, განედის, „მიზეულისა“ და „დ/კუთხის“ 4 გრაფა, მაშინ როდესაც ოსიპოვის მიერ აღწერილ ასტროლაბში, რომელიც გაბარიტებით უმნიშვნელოდ ჩამორჩება პირველს, მხოლოდ 24 ქალაქია წარმოდგენილი და ისიც პირველი 3 გრაფით (იხ. ოსიპოვი, გვ. 131).

ვახტანგისეული ასტროლაბის ყველა დეტალიდან ჩანს, რომ ის ძალზე დახელოვნებული ოსტატის მიერ არის შესრულებული. ჩვენ შევიტელით დაგვედგინა იმ ოსტატის ვინაობაც, თვით ასტროლაბზე მოყვანილი წარწერის მიხედვით. შევდეველობაში გვაქვს სპარსულ-არაბული წარწერა, რომელიც ასტროლაბის ზურგის კიდური ლიმბის ქვედა ნაწილში არის მოთავსებული და, ვ. გიორგობიანის თანახმად, იყოთხება როგორც „ხელოვნებრისა და მხატვრობის ღიღოსტატთა მონა“ (გიორგობიანი, გვ. 235). ვინაიდან ამ აღვილას ჩვეულებრივ ასტროლაბის დამზადებელი ოსტატის სახელია მოყვანილი, ჩვენ დაგვაეჭვა წარწერაში კონკრეტული პირის მოჯსხენებლობამ და წარწერის ფოტო შესამოწმებლად ენის სპეციალისტს გადავეცით. წაკითხევს ახალმა ვარიანტმაც („სანაპუ ვა ნამაკა აბდალაიმე“) თითქოს სახელი არ გამოავლინა, ვინაიდან წინადადებაში: „დაამზადა და დაზაზა აბდალაიმმა“ — სიტყვა „აბდალაიმ“ გაიაზრებოდა როგორც „მონა იმამთა“.

მოგვიანებით, ლ. მაისტროვის წიგნის „სამეცნიერო ხელსაწყოების“ ასტროლაბების კატალოგის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ „აბდალაიმი“ სინამდვილეში ოსტატის სახელია („აბდ ალ-აიმი“). კატალოგში მოყვანილი ორი ასტროლაბი ამ ოსტატის სახელს უკავშირდება: № 19, რომელიც დამზადებულია ჰალილ შუკამედის მიერ, ხოლო დეკორატორი ანუ, უფრო ზუსტად, მხაზველი აბდ ალ-აიმია. ასტროლაბი 1688—1720 წლებით თარიღდება (იხ. მაისტროვი, გვ. 44 და ტაბულა № 85—86). № 20 ასტროლაბი, თვით აბდ ალ-აიმის მიერ არის დამზადებული და, როგორც ჩანს დახაზულიც. თარიღდება იგივე 1688—1720 წლებით (იხ. მაისტროვი, გვ. 44 და ტაბულა № 87—88).

კწადია რომ ამ და ვახტანგისეული ასტროლაბების წარწერებში მოყვანილი „აბდ ალ-აიმი“ ერთი და იგივე პიროვნებაა. ამაზე მრგვა-თითებს არა მარტო ქრონოლოგიური თანხვდენა, არამედ თვით ასტროლაბების მსგავსებაც. განსაკუთრებით ეს მსგავსება შეიმჩნევა ჰალილ შუკამედთან ერთად დამზადებული ასტროლაბისათვის. აქ მესარის იგივე ფორმებია გამეორებული და ვარსკვლავების სახელწოდებებიც იდენტურია; ასტროლაბის ზურგზე ყველა კვადრანტი ზუსტებიც იდენტურია;

ტად ისევეა წარმოდგენილი, როგორც ვახტანგისეულ ასტროლაბში (იხ. მაისტროვი, ტაბულა № 85—86), ასე რომ, ერთი და იმავე ოსტატის ხელწერის ფაქტი ეჭვს არ იშვევს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო დეტალი: № 73—74 ტაბულაში წარმოდგენილია ჰიჯრის 611 წლით (ე. ი. 1214—1215 წლებით) დათარიღებული ოსტატ ბაჰ-რამის ასტროლაბის ფოტო (იხ. მაისტროვი, გვ. 44 და ტაბულა № 73—74), რომელიც ასევე აღნიშნული ორი ასტროლაბის ზუსტი გამეორებაა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახტანგისეული ტიპის ასტროლაბი XIII ს. დასაწყისშიც არსებობდა და თავის ფორმები მან XVIII საუკუნეშიც შეინარჩუნა.

განსაყუთრებით საინტერესო ცნობებს მივაკვლიეთ აბდ ალ-აიმის შესახებ ლ. მაიერის მონოგრაფიაში აღმოსავლური ასტროლაბების შესახებ, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ის თავის საქმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი ოსტატი ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ აბდ ალ-აიმი-უმცროსი, როგორც მას ეწოდა XVI ს. მოღვაწე თანამოსახელისაგან გასარჩევად, ასტროლაბის გარდა სხვა სამეცნიერო ხელსაწყოების დამზადებაზედაც ყოფილა დაოსტატებული. მიუხედავად ამისა, მის მიერ დამზადებული და დღეისათვის შემორჩენილი ასტროლაბების რაოდენობა გაცილებით აღემატება ყველა დროის სხვა ოსტატების ნაწარმოს რიცხვს.

საწყის ეტაპზე, ე. ი. XVII საუკუნის მიწურულს აბდ ალ-აიმუმცროსი, როგორც ჩანს, ზუმოთ მოხსენებულ ჰალილ მუჰამედთან თანამშრომლობდა. ამ უკანასკნელის 19 ასტროლაბი არის ცნობილი, აქედან 5 დათარიღებულია (1682, 1683, 1684, 1694/95 და 1707/8). აბდ ალ-აიმ-უმცროსის, როგორც მხაზველს 7 დაუთარიღებელი ასტროლაბის დამზადებაში აქვს მონაწილეობა მიღებული (მაიერი, გვ. 55).

საკუთრივ აბდ ალ-აიმ-უმცროსის მიერ დამზადებული და დახაზული ასტროლაბებიდან მონოგრაფიაში ვეცნობით 27 ეგზემპლარს. (ივტორი ერთ-ერთი შეუმოწმებელი წყაროს ცნობას 3 ასტროლაბის შესახებ სათვალავში არ იღებს). აქედან 7 დათარიღებულია 1688/9—1719/20 წლების შუალედში. შეუმოწმებელი წყაროს მონაცემებით კიდევ 3 ასტროლაბის დამზადების თარიღებია: 1689, 1715 და 1724 წლები. დანარჩენი დაუთარიღებელი ასტროლაბები იქცე მოყვანილი წარწერების მიხედვით შაპის სასახლესთან დაახლოებული პირების დაკვეთით არის დამზადებული (მაიერი, გვ. 23—26, 84).

როგორც ვხედავთ, ვახტანგს ხელსაწყოს დასამზადებლად იმ დროისათვის ყველაზე ცნობილ ოსტატისათვის მიუმართავს. როგორც ჩვენი მონოგრაფიის პირველ ნაწილში ვაჩვენეთ, აბდ ალ-აიმ-უმცროსს

ვახტანგისათვის რამდენიმე ასტროლაბი დაუმზადებია. ეს მოსაზრება და დაფუძნებული იყო კად. ფ. ნ. დელილის (1688—1768) ერთ ცნობაზე, რომელიც ხელმეორედ აქაც შოგვიავს: „განსვენებული მეფე ასტრონომიის მოყვარული იყო და მისი ბრძანებით მოახდინეს დაკვირვება თბილისის, ერევნის, განჯის, ქუთაისის, ახალციხის უანედებზე ისპაჲანში დამზადებული ერთი ფუტი დიამეტრის მჭონე პატარა ასტროლაბების საშუალებით. დაკვირვებები მოსკოვში ინახება“ (ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 313). ამავე ცნობიდან იჩვევევა, რომ აბდ ალ-ამ-სუმქროსი ისპაჲანში მოღვაწეობდა და, მაშასადამე, მასთან ქონტაქტებს ვახტანგი ამ ქალაქში ხნგრძლივად ყოფნისას, ე. ი. 1712—1714 ან 1716—1717 წლებში თუ დაამყარებდა.

ვახტანგისა და აბდ ალ-ამიმის ურთიერთობა რომ ჩვეულებრივი დამკვეთისა და დამამზადებლის ურთიერთობის ფარგლებს შორს სკილდება, ამაზედ დამაჯერებლად ის გარემოება მიუთოთებს, რომ ვახტანგმა ერთდროულად რამდენიმე ასტროლაბი დაუკვეთა და თანაც ოსტატისათვის უჩვეულო ქართული წარწერებით. სპარსულის შეკრინე ვახტანგი სპარსულწარწერებიანი ასტროლაბითაც იოლად გავიდოდა, მაგრამ თუ პირადი ხელსაწყოსათვის მან ქართული წარწერები მოინდომა, მითუმეტეს სხვა ეგზემპლარებისთვის, რომლებიც ქართლის პრაქტიკაში დასანერგად ჰქონდა გათვალისწინებული, ის უფრო ეცდებოდა ამ სიახლის შემოლებას. ქართულ წარწერებს აბდ ალ-ამიმ ისე ვერ შეასრულებდა, რომ არ ჰყოლოდა კონსულტანტი, რომელიც არა მარტო ამოსატვითრავ დედანს მიაწვდიდა მას, არამედ მუშაობის პროცესში კორექტირებას გაუწევდა მის ნახელავს. ასეთ დროებითი თანამშრომელი ქართველების მხრიდან თვითონ ვახტანგი ჩანს.

წარწერების ამოტვიფრისას ოსტატი, ცხადია, რომ მაქსიმალურად ეცდებოდა დაეცვა დედანთან მსგავსება. ამ გარემოების გათვალისწინებით ლითონზე გაღატანილი ასოების შესწავლამ გვიჩვენა, რომ დედნის ავტორი ვახტანგი არის. წარწერებში ხშირად გვხვდება სწორედ შისტვის დამახასიათებელი ასოების გამოსახვის და გადაბმის თავისებურებები: მაგ. ლ, დ და ლ ა-თან გადაბმისას ამ ასოს თავზე თავსდებიან, ასო ყ—ცალკე ისეა გამოსახული, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა ასოსთან (მაგ. ა-თან) გადაბმის დროს გეაქეს, ნ-თან ო-ს გადაბმა პირველის თავზე ხორციელდება გაკრული ხაზის სახით. ასო ჭ იწერება ზუსტად როგორც ჟ; პ-ს ნაცვლად იხმარება ც (მაგ. ცერათი) და ა. შ. სხვათა შორის ასტროლაბის აღწერისას ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ვარსკვლავის სახელწოდება — „ყალბ ლრიანკალი“ ქართულ-სპარსული სიტყვების ნარევს

წარმოადგენს. ეს აეტომატური შეცდომა მხოლოდ ვახტანგს შეიძლება მოსვლოდა და არა, ვთქვათ, კალიგრაფის, რომელიც ვახტანგის ნაწერს ოსტატისათვის აუცილებლად „გადაათეთრებდა“ და ე. ი. შეცდომასაც აღმოაჩენდა.

ვახტანგის ხელწერა იგრძნობა ერთ საყურადღებო დეტალშიც: კამერის ფსკერზე, ქალაქების გრძელ-განედებისათვის გრადუსების მნიშვნელობა ასორიცხვიშნებით, ხოლო მინუტებისა — ეკროპული ციფრებით არის ნაჩვენები. ცნობილია, რომ სწორედ ვახტანგი იღვწოდა საქართველოში ინდოევროპული ციფრების შემოტანა-დამკერდრებისათვის და ეს შემთხვევაც მის მიერ აღებული გეზის ერთ-ერთ კერძო გამოვლინებას წარმოადგენს (თვით აბდ ალ-აიშის ინიციატივა ამ შემთხვევაში გამორიცხულია, ვინაიდან ის, როგორც ყველა მისი თანამემამულე, აღმოსავლეთ-არაბული ნუმერაციით სარგებლობდა).

ამრიგად, ვახტანგის შემოქმედებითი კავშირი აღმოსავლური მეცნიერების კიდევ ერთ საინტერესო წარმომადგენელთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საინტერესოა ისიც, რომ აბდ-ალ-აიშს ასტროლაბის კამერის ფსკერზე მოყვანილი ქალაქების კოორდინატები ფაქტობრივად ულულბეგის ქსრილის მიხედვით მოყავს (მხოლოდ ერთორი პუნქტისათვის არის განსხვავება და ისიც რამდენიმე, მინუტით). ასე რომ, როგორც მირზა აბდურიზა თავრიზელი, ისიც საშარყანდის სკოლის მიმდევარი ჩანს. ვინაიდან ეს ოსტატი სხვა ასტრონომიულ ხელსაწყოებსაც ამზადებდა, არ არის გამორიცხული, რომ ვახტანგს ისიც შეეძინა, მაგრამ სამწუხაროდ ამ ნაკეთობებიდან მხოლოდ ვახტანგისეული ასტროლაბი შემოვკრჩა.

ქართული ასტროლაბების დამზადებასთან დაკავშირებით ისევ უნდა დავუბრუნდეთ „ქმნულების ცოდნის წიგნის“ წინასიტყვაობაზი მოყვანილ ცნობილ წინადადებებს; „ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიგი, თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნი ვთარგმნე... და სტროლის ქართულად გამოვიდე. ნუ უკუე ისწავონ და წაღიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართული ენითა ფილაფოსობა და გამოიღონ...“. ჭერ კიდევ ქ. შარაშიძემ აღნიშნა, რომ აქ „გამოლებაში“ ვახტანგისეული ასტროლაბის დამზადება იგულისხმება (შარაშიძე, სტამბა, გვ. 163—164). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში „გამოლება“ უფრო ზოგად ცნებას შეიცავს. მეორე წინადადების ბოლოში, საღაც ვახტანგი მოუწოდებს ქართველებს, რომ მეცნიერება („ფილაფოსობა“) ქართულ ენაზე „შეასრულონ“, სიტყვა „გამოიღონ“ უკვე ამ მეცნიერების ქართულ პრაქტიკაში დანერგვას გულისხმობს. ზუსტად ამასცე გულისხმობს „გამოლება“ ან „მოლება“

სტამბასთანაც დაკავშირებით, რაც ხშირად გვხვდება ვაზტანგის სტამბის პირველი წიგნების შესავალ-წინასიტყვაობებში. ასტროლაბის „ქართულად გამოლებაც“ ამ ხელსაწყოს ქართულ პრაქტიკაში ჩანერგვის აზრით არის მოცემული, რასაც ნამდვილად ჰქონდა აღგილიდა მის ყველაზე უფრო თვალსაჩინო გამოვლინებას, როგორც უ. 5: დელილის ცნობიდან ჩანს, ამიერკავკასიის მასშტაბით ჩატარებული კეოდეზიური გაზომვები წარმოადგენდა.

## გ ა რ გ რ ა ფ ი ა

XVIII ს. პირველი ნახევარი საქართველოში გეოგრაფიული აზ-რის აღმავლობის პერიოდად ითვლება. ამ დროს დაწერა მთელი რიგი გეოგრაფიული შრომები, ქართველი მოგზაურების შეირ გან-ხორციელდა საინტერესო მოგზაურობები, შეიქმნა სხვადასხვა სა-ხის რუკები და ო. შ. იმ ქართველ მოლვაჭეებს შორის, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის ფართოდ გაფრცელებას, საბასთან და ვახუშტისთან ერთად ვახტანგიც მოიხსე-ნიება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატუ-რაში ამ უკანასკნელის კეშმარიტი დამსახურება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. საბასა და ვახუშტის ფონზე ვახტანგის შემოქმედებითი სახე ერთგვარად დაიჩრდილა, რასაც ხელი შეუწყო-ის გარემოებამაც, რომ სწავლული მეფის ას შრომები, რომლებიც გეოგრაფიის საკითხებსაც მოიცავენ, მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა, ზოგიერთი კი საერთოდ არ იყო გამოვლენილი.

ვახტანგის მოერ ქართულ ენაზე თარგმნილ ან გადმოუქმეთებულ ასტრონომიულ და მათემატიკურ თხზულებებში საკმაოდ დიდი ად-გილი ეთმობოდა გეოგრაფიის საკითხებსაც (აღმოსავლური ტრადი-ციით ასტრონომის კურსი ძირითად დისციპლინასთან ერთად ყოველ-თვის რამდენიმე მომიჯნავე დარგით, მათ შორის გეოგრაფიითაც იყო წარმოდგენილი). გეოდეზიისა და კარტოგრაფიის საფუძვლების შესწავლისათვის აუცილებელი საწყისები არის გადმოცემული აგრეთ-ვე ვახტანგის გეომეტრიულ სახელმძღვანელოებში.

გეოგრაფიის სფეროში ვახტანგის მოღვაწეობის შესახებ ძვირ-ფას მასალებს შეიცავენ რუსეთის საარქივო დოკუმენტები, რომლე-ბიც საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების (ლენინგრადი) არქივ-ში არის დაცული (სგს არქივი, განყ. 52, აღწ. 1. ფფ. 1Г—82v). სა-მეცნიერო ლიტერატურაში ამ მასალების არსებობა ცნობილი გახდა ჯერ მ. ბროსეს აღწერილობით და შემდეგ ირ. მათურელის მონოგრა-ფიით, რომელშიც საკმაოდ დიდი აღვილი ეთმობა აღნიშნულ სა-არქივო მონაცემებს (იხ. ბროსე, დელილი; მათურელი).

აღნიშნული მასალები თავის დროზე, ვახუშტის რუკებზე შუშა-

ობისას შეაგროვა XVIII ს. გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა უ. ნ. დელილმა. მას შეალების ერთი ნაწილი აღნიშნული რუკების შედგენის წინა პეტერი-ოდისაკ ესხება და ამასთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირად ვახტანგის შესახებაც იძლევა ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს. არანაკლებ ინ-ტერესს წარმოადგენს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცუ-ლი დელილის დოკუმენტების კოლექციაც, რომელიც ძირითადად რუსეთიდან გატანილ მასალებს შეიცავს. რუსეთში მოღვაწეობის დროს (1726—1747) დელილმა, როგორც პეტერბურგის მეცნიერება-თა აკადემიასთან არსებული გეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმ-ძღვანელმა, რუსეთის ყველა დაწესებულებაში არსებული გეოგრა-ფიული რუკები შეისწავლა და თითქმის ყველა მათგანიდან თავისთვის ასლები გადაიღო. საფრანგეთში დაბრუნებისას მან სწორედ ეს ას-ლები წარიღო და ვინაიდან მათ შორის ვახუშტის რუკების ასლებიც არის მოხვედრილი, ქართული კარტოგრაფიის ისტორიასთან დაკავ-შირებით კოლექციის მასალების მნიშვნელობაზე ორი აზრი არ შე-ძლება არსებობდეს. თუ როდის შეძლებებს ქართველი მკვლევრები უშუალოდ გაეცნონ ამ კოლექციას, ეს მომავლის საქმეა. ამჯერად კი გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ კოლექციის დაწვ-რილებით აღწერილობას, რომელიც 1915 წელს გამოაქვეყნა ა. ინარმა (იხ. ბიბლიოგრაფია). გეოგრაფიასთან დაკავშირებული ზო-გიერთი საინტერესო მასალა მოიპოვება ვახტანგის სამუშაო და შავ ჩანაწერებშიც (დაცულია საკავშირო აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში K—3 ლიტერით).

ვახტანგის მოღვაწეობა ირანში გამგზავ-რებამ დამდე გეოგრაფიის სფეროში ვახტანგის მოღვაწეობის ჟვე-ლაზე უფრო აღრეული ეტაპი მცველი ქართული ისტორიული ძეგ-ლის — „ქართლის ცხოვრების“ ჩედაქტიორებასთან არის დაკავშირე-ბული. 1703 წლამდე გადაწერილ რუმიანცევისეულ ნუსხაში გადამ-წერის მინაწერებში მოყვანილია გეოგრაფიული ცნებების შრავალ-რიცხვები ვახტანგისეული განმარტებები: „კავკასია იალბუზია“, „ბერდუგის მდინარე დებედაა“, „ჰერეთი არს მცირის ალაზნით ამო-ლმართ ვიდრე გულგულამდე, ცივს აქათ ვიდრე აზამბურამდე და მტკუარამდე“, „ეგრისი ოდიშია“, „რაჭი არაზია“, „გარდაბანი ჭა-პალას ქუეით ნახიდურსა და ტაგნაგეთს ქვეით ვიდრე მტკუარამდე ეწოდების“, „ამოცი ყაიყულია“ და ა. შ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს კ. გრიგოლია, ეს განმარტებები უაღრესად მნიშვნელოვა-ნია მთელი ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის გასათვალისწინებლად. მისი აზრით, აქ ძალზე საგული-სხმოა ის გარემოებაც, რომ მინაწერები შესრულებულია ვახუშტიმ-

დე დღიდი ზნით აღრე. ამასთან ერთად შეკველევაზე მიაჩნია, რომ შოვიანებით სწორედ ვახუშტისათვის „ქართლის ცხოვრებამ“ ვახტანგისეული მინაწერებით არა მარტო მშობლიური ისტორიის, არამედ მისი ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი სახელმძღვანელოს როლი ითვაზა (გრიგოლია, გვ. 132—134).

ჩვენი მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ ვახტანგის ეს ყველაზე აღრეული ღონისძიება ისტორიული გეოგრაფიის დარგში მიზნად ისახავდა ტელი მივიწყებული გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენს და მათი სივრცითი მდებარეობის ზუსტ ფიქსირებას. ამ სამუშაოთი ვახტანგმა ჯერ კიდევ 1703 წლამდე დღის წესრიგში დააყენა შემობლიური ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის აუცილებლობა და გარკვეული ნიადაგი შეუმზადა ვახუშტის, რომელმაც მისი წამოწყება ახალ მეცნიერულ საფეხურზე აიყვანა და საგრძნობლად განვითარა. ვახტანგის ზუსტი, შავრამ სქემატური სახით წარმოდგენილი განმარტებები ვახუშტისთან უკვე გავრცობილი და სხვადასხვა დეტალებით შევსებული აღწერების სახით გვივლინება. უფრო თვალსაჩინოდ ეს ჩანს კონკრეტულ მაგალითებზე, და ჩვენც რამდენიმე მათგანს აქვე ვიძლევით: „ქართლიდამ ესე კავკასიი უმეტეს ყოველთა კავკასთაგან უმაღლესად მჩენარებენ და დიდად, და ამისათვის უწოდესცა სპარსთა იალბუზი“, „მდინარე ესე ბერდუჭი... სახელითა იწოდების სამითა: პირველი ბერდუჭი, ბ — საგიმი, გ — დებედა“, „გარდაბანი არს საზღვრით: აღმოსავლეთით მტკუარი და სუნანის გამართებით, ბერდუჭის აღმოსავლეთის მცირე მთა; სამკრით შულავრისა, ჭაპალისა და ბოლნისა გორაები; ჩრდილოთ მტკუარი-დამ ტფილისის გორაები ტაგნაგეთამდე; დასავლეთ ქევი ასურეთისა, წიწყაროს გამომართებით ნაჯიღურამდე და პოლნისის მცირეს მთამდე“ და ო. შ. (ვახუშტი, გვ. 306, 330, 648).

აქვე უნდა მოვიყვანოთ ვახუშტის განცხადება თავისი ნაშრომის ჰეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ, რომლებსაც ის თხზულების „უწყებულობაში“ აკეთებს: „რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ, ვითარცა აღვწერეთ“. კ. გრიგოლიას სამართლიანი დასკვნით, ვახუშტის თავის თხზულებაში ვახტანგის მეთოდოლოგიური კონცეფციები აქვს ხორცებს სმული და საერთოდ აქ ყველაფერი ვახტანგის „განზრახვის“ თანახმად არის შესრულებული (გრიგოლია, გვ. 214). ჯ ზოგადი მიმართების ერთ-ერთ კერძო გამოვლინებას სწორედ ჩვენ შეირ განხილული საკითხი წარმოადგენს. ასე რომ, ვახტანგის წაშოწყება არა მარტო იმ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, რომ ეს იყო ისტორიულ თხზულებაში გეოგრაფიული საკითხების შეტანის პირველი ცდა, არამედ როგორც ერთგვარი გზის გამკვლევიც, რომელმაც ჰემდგომში თავისი სრულყოფა ვახუშტის თხზულებაში მიიღო.

ვახტანგის დაინტერესებას სამამულო გეოგრაფიის საკითხებით უფრო ფართო მასშტაბები უნდა მიეღო ჯანიშნობის პერიოდში (1703—1712), როდესაც მისი ინციდუტივითა და უშუალო მონაწილეობით ქართლის ცხოვრების ყველა სფეროს აღორძინება დაწყო. სამამულო გეოგრაფიის საფუძვლიან ცოდნას მეცნიერულთან ერთად უკვე სახელმწიფოებრივი ინტერესებიც მოითხოვდა, ვინაიდან ეს ცოდნა ქმედით საშუალებას წარმოადგენდა სამხედრო საქმის, საერთაშორისო ურთიერთობისა თუ ქვეყნის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხების წარმატებით გადასაჭრელად. სამწუხაროდ, პირდაპირი წყაროების უქონლობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია იმ სრული სურათის აღდგენა, რომელიც აღნიშნულ პერიოდს შეესაბამება. მაგრამ არსებობს ზოგადი სახის დოკუმენტები, ომელთა ანალიზით საჭმაოდ ტევადი ინფორმაციის გამოვლენა და აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ შევსება შეიძლება. ამ დოკუმენტებს პირველ რიგში მიეკუთვნება Q—884 ხელნაწერში მოყვანილი ასტრონომიული სახელმძღვანელო „თარგმანი და გამოცხადებანი“ და მზის საათის ნახაზი, „დასტურლამალის“ რამდენიმე თავი, 1723 წ. გ. დელილს მიერ გამოცემული ამიერკავკასიის რუკა, ისტორიული ცნობები ვახტანგის მიერ ქართლის ტერიტორიაზე განხორციელებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ და სხვ.

„თარგმანი და გამოცხადებანი“, როგორც დადგინდა, ასტრონომიის კურსის იმ არასრულ ჩანაწერს წარმოადგენს, რომელიც ვახტანგმა გაიარა 1709 წ. კათოლიკე მისიონერების გაკვეთილებზე (იხ. აქვე, გვ. 24—25). შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ სრული სახით სახელმძღვანელო შეიცავდა ცალკე თავს, რომელშიც დედამიწასთან („ნივთიერ ქვეყანასთან“) დაკავშირებული გეოგრაფიული მასალა იყო წარმოდგენილი. გარკვეული მოცულობა ეთმობოდა მათემატიკური გეოგრაფიის საკითხებსაც („უფროსობა შეიტყოს მეფემან შეცვალება დროთა, სიდიდე და სიმოწლევე დღეთა და ღამეთა, განყოფილება სარტყლისა... და სრულიად ქვეყნის კიდენიცა“)<sup>1</sup>, ვინაიდან ვახტანგმა მეცადინეობის კურსი ბოლომდე გაიარა, ცხადია რომ ძირითად საგანთან ერთად ის გეოგრაფიის საფუძვლებსაც შეისწავლიდა. ამ მიმართულებით მის მიერ მიღებულ სოლიდურ მომზადებაზე მეტყველებს მზის საათის ზემოთ აღნიშნული ნახაზიც. ასტრონომიისა და მათემატიკური გეოგრაფიის ამ რთული ობიექტის აგება იოლ ამოცანას არ წარმოადგენდა და შემსრულებლისაგან მაღლა კვალიფიკაციას მოითხოვდა. ეჭვს არ იწვევს, რომ მისიონე-

<sup>1</sup> Q—884, ფ. 23r—23v.

რებისაგან ათვისებულ ზოგად გეოგრაფიულ ცოდნას ვახტანგი შემოქმედებითად გამოიყენებდა საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის საქმეში.

ვახტანგის „დასტურლამალში“, რომელიც აღმინისტრაციულ-სამეურნეო წესდებას წარმოადგენს, გეოგრაფიული მასალაც არის შეტანილი. აյ ჩამოთვლილია ქართლის სამასზე მეტი სოფლისა და დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ამასთან ერთად დაწვრილებით არის აღწერილი ქართლსა და კახეთს შორის გამავალი საზღვარი, თრიალეთის სოფლებს შორის საზღვრები და ა. შ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინსტრუქცია ქვეყნის აღწერის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია აღწერის ჩატარების წესები, კონკრეტულად დასახელებულია ოლიაშერი რაიონები, მათი საზღვრები და მ ლონისძიებაზე განპიროვნებული მოხელეები (სურგულაძე, გვ. 515, 562). ინსტრუქცია ისე არის შედგენილი, რომ აღწერის პროცესში მისი გამოყენებისას ბევრი საინტერესო გეოგრაფიული ცნობის შეგროვება შეიძლებოდა. როგორც ეტყობა, ასეც იყო პრაქტიკაში, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ მოგვიანო, 1721 წ. მჭალებმა მოაღწიეს და ისიც ნაწილობრივ. წესდებაში აღნიშნული ინსტრუქციის საგანგებოდ მოყვანა უკვე თავისთვად მეტყველებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვახტანგი ქვეყნის აღწერის საქმეს და ცხადია, რომ პრაქტიკაშიც ის იქნებოდა შესაბამისი ღონისძიებების მოთავე.

ქვეყანათმკოდნეობითი გეოგრაფიული მასალის ინტენსიურ დაგროვებაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ვახტანგის შეირქანებული ქართლის ტერიტორიაზე განხორციელებულ ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის ე. წ. „მყრელობის“ გზით გლეხების ჩასახლება დიდი ხნის წინ მიტოვებულ სოფლებში, რასაც მთელი რიგი გაუკაცრიელებული რაიონების (თრიალეთის, გუჯარეთის, ბაირაძის, ტაშირის და სხვ.) აღორძინება მოჰყვა: გაუქმებული სარწყავი არხების აღდგენა და ახალი არხების გაყვანა; გზების, ხიდების დ ქარვასლების მშენებლობა და აღდგენა.

ქართლში ქვეყანათმკოდნეობის ცნობებთან ერთად რომ კარტოგრაფიული მასალების დაგროვებასაც პეტონდა ადგილი, ამაზე 1723 წ. პარიზში გამოცემული ამიერკავკასიის რუკა მიგვითითებს. რუკის სათაურები სხვა წყაროებთან ერთად მოხსენიებული სულხან-საბას „სელნაწერი მემუარები“ სწორედ ამ მასალების გამოყენებას გულისხმობენ. საქართველოს ტერიტორიის დასახლებული პუნქტების უმეტეს შემთხვევაში ზუსტი განლაგება და ურთიერთმდებარეობა, ფრანგულად მათი ქართული სახელწოდებების სწორი ტრანსკრიპცია, აღრეული და მოგვიანო რუკებისთვისაც კი უჩვეულო მდ. რონის გამოსახულების გეოგრაფიული მსგავსება და საერთოდ

რუკის ამ ნაწილის სიზუსტე და დეტალურობა თავისთვად ქართული კარტოგრაფიული მონაცემების მაღალ ღირსებებზე მეტყველებს (ჩს. მათურელი, გვ. 10, 12),

რუკასთან და საბას მასალებთან დაკავშირებით ზოგიერთი და-  
მატებითი ცნობების მოპოვება შეიძლება საფრანგეთ-საქართველოს  
ურთიერთობის ამსახველი 1707—1714 წლების საბუთებიდან, რომ-  
ლებიც 1975 წელს კრებულის სახით გამოაქვეყნა ი. ტაბალუაშ (იხ.  
ტაბალუა, საბუთები).

როგორც ცნობილია, სულხან-საბას ელჩობა ევროპაში მიზნად ისახავდა საფრანგეთის შემწეობით ვახტანგის ირანელთა ტყვეობიდან გამოხსნას და შაპის წინააღმდეგ ქმედითი დახმარების მიღებას. ამის სანაცვლოდ ვახტანგის სახელით სულხან-საბა ლუდოვიკო III (1638—1715) აღუთქვამდა ქართველების კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლას და ფრანგი ვაჭრებისათვის სკართველოზე გამავალ სატრანზიტო გზით სარგებლობას. აღნიშნული საბუთებიდან ირკვევა, რომ სატრანზიტო გზის იდეის რეალურ ნიაღაგზე დასაყენებლად ელჩობის წევრების მიერ წინასწარ მთელი რიგი მოსასინჯი ლონისძიებები იქნა გატარებული.

ფრანგმა მისიონერმა უან რიშარმა, რომელიც ვახტანგის საიდუმლო დავალებით ისპაპანიდან საფრანგეთში მიემგზავრებოდა, ტრადიციული სახმელეთო გზის ნაცვლად საქართველოშე გამავალი იმდროისათვის საყმაოდ უჩივეულო მარშრუტი აირჩია (ტაბაღუა, საბუთები, გვ. 127). დღეს ამ არჩევანს რმით ხსნიან, რომ ვახტანგის დასაბას წინასწარი შეთანხმებით, რიშარს ამ უკანასკნელისათვის გორში უნდა გაევლო. მაგრამ გორის შემდგომი მარშრუტი, რომელიც ახალგაზის ცნობილი გზის ნაცვლად დასავლეთ საქართველოში გადასვლას და ზღვით მგზავრობას ითვალისწინებდა, უკვე იმაზე მიუთითებს, რომ რიშარს საბას წამოყვანასთან ერთად სატრანზიტო გზის დაზუსტება და მისი პრაქტიკულად აპრობირება ჰქონდა განზრაპო.

ამავე მიზანს ემსახურებოდა რიშარის და საბას სხვა ღონისძიებებიც. დასავლეთ საქართველოში კათალიკოს გრიგოლ II-ის (1712—1742) „რჩევების მიხედვით“, როგორც რიშარი აქნადებს, „ჩვენ ვიპოვეთ ადვილი გზა ჩვენი ფრანგი ვაჭრებისათვის, რომლებიც მოისურვებენ კონსტანტინეპოლიდან შავი ზღვით საქართველოში და სპარსეთში ჩასვლას...“ (ტაბაღუა, საბუთები, გვ. 129, გლრ. გვ. 150). აქ, როგორც ეტყობა, კათალიკოსის შემოთავზაებული გზებიდან (აღვილზე პრაქტიკულად შესწავლის შედეგად) შეირჩა, ანუ „ნაპოვნი იქნა“ სატრანზიტო გზის რეგიონალური მონაცემთის კვე-  
160

ლაშე უფრო მოხერხებული გარიანტი. ცხადია, რომ ამ ვარიანტების შესწავლა, მათი დანიშნულებიდან გამომდინარე, გზის შიმდებარე ტერიტორიის შესწავლასაც გულისხმობდა. ამ საკმაოდ შრომატევად სამუშაოს, რომელიც ჩანაწერებისა და ნახაზების გაკეთებასაც მოითხოვდა, საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა და სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ რიშარი და საბა დასაელეთ საქართველოში მთელი 40 დღე დარჩენენ. ამავე მიზეზით უნდა ყოფილიყო გამოწვეული რიშარის უფრო ადრინდელი 15-დღიანი გაჩერება თბილისში. ერთი სიტყვით, რიშარს და მოგვიანებით ელჩობის სხვა წევრებსაც საკმაოდ დიდი მუშაობა ჰქონდათ ჩატარებული საქართველოზე გამავალი სატრანზიტო გზის და მისი მიმდებარე რაიონების შესასწავლად.

სატრანზიტო გზის იდეით რიშარი ისე საფუძვლიანად დაინტერესებულა, რომ მას თავისებური ექსპერიმენტიც კი ჩაუტარებია ახალი მარშრუტის ეკონომიკური უპირატესობის საჩვენებლად. როგორც ურთ-ერთი წერილიდან ჩანს, ზოგიერთ მის თანმხლებ პირს საქართველოში აბრეშუმი შეუსყიდია და კონსტანტინოპოლიში რეალიზაციისას 50%-იანი მოგება უნახავს (ტაბაღუა, საბუთები, გვ. 150). ამ ოპერაციის სარგებლიანობის სრულყოფილი შეფასების მიზნით თვით რიშარმა ქართული აბრეშუმის ნიმუში წამოიღო, რათა ფრანგ სპეციალისტებს მისი ჭარისხი განესაზღვრათ.

სატრანზიტო გზის საფუძვლიანი შესწავლის საფუძველზე როშარს რომ დიდძალი გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალა უნდა დაეგროვებინა, ეს კარგად ჩანს მისი ერთი განცხადებიდან, რომ ლის მიხედვით ფრანგ ვაჭრებს საქართველოში დიდი მოგება უნდა ენახათ, თუ ისინი ზუსტად გაჰყვებოდნენ მის „ჩანაწერებს“ (ტაბაღუა, საბუთები, გვ. 129). ამ „ჩანაწერებმა“, ცხადია, რომ შემდგომში სულხან-საბას „ხელნაწერი მემამუარების“ გარკვეული ნაწილი შეადგინა. ცხადი ხდება აგრეთვე „მემუარების“ დანარჩენი, უმეტესი ნაწილის წარმომავლობა და ხასიათიც: სატრანზიტო გზის საკითხის წამოყენებისას თავისთვის უნდა წამოჭრილიყო მთელი საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული დახასიათებრი აუცილებლობა. აქედან გამომდინარე საბას თავიდანვე უნდა დაეჭირა თადარივი და თან წასაღებად ვახტანგის ინიციატივით დაგროვილი გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მასალებიდან ყველაზე უფრო საჭირო მონაცემები უნდა შეეჩიდა.

ფრანგული საბუთებიდან კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ირყევულია: მარსელში ჩასვლისას საბას წინასწარი მოლაპარაკებები ჰქონდა გალერებისა და ვაჭრობის გენერალურ ინტენდანტთან შარსელში პიერ დ' არნუსთან. ეს უკანასკნელი, პროფესიული ილოოს

წყალობით, მაშინვე მიხედა იმ დიდ სარგებლობას, რაც სატრანზიტო გზას შეიძლება მოეტანა საფრანგეთის ვაჭრობისათვის. შემოთავაზებული მარშრუტის კონკრეტულად ოქმისათვის მან, როგორც დოკუმენტის ტექსტიდან ირკვევა, საბას დაავალა რუკის შეღვენა („მე დავავალე მას შეეღვინა რუკა...“ — ტაბალუა, საბუთები, გვ. 214). ეს რუკა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს თავის კომინტარში. ტაბალუა, სწორედ ის პირველწყარო უნდა იყოს, რომელიც გ. დელიმა გამოიყენა 1723 წელს გამოცემული რუკისათვის (იბ. ტაბალუა, საბუთები, გვ. 238). ჩვენი აზრით, რუკის უშუალოდ შედგენას დ' არნუს მიერ საგანგებოდ გამოყოფილი საინტენდანტოს კარტოგრაფი აწარმოებდა, ხოლო საბა რიშარის შეშვეობით საჭირო განმარტებებსა და კონსულტაციებს იძლეოდა. ვინაიდან დ' არნუს სავაჭრო გზების ერთმანეთთან შედარება რუკის მიხედვით მოახდინა, ეს მიუთითებს, რომ მასზე საქართველოსთან ერთად სქემატურად მოსაზღვრე ტერიტორიებიც უნდა ყოფილიყო გამოსახული. თვით საქართველოს ტერიტორია საბასა და რიშარის მეშვეობით, ცხადია, დეტალურად იქნებოდა წარმოლენილი (სხვათა შორის, 1723 წ. რუკაზე მდ. რიონის ზესტი აღნიშვნა შესაძლოა რიშარის დამსახურება იყოს).

რაც შეეხება გ. დელილის ნაბეჭდ რუკას, ამ ხელნაწერი რუკიდან იქ მარტო საქართველოს ნაწილი უნდა იყოს გამოყენებული. გარდა ამისა, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. ნ. დელილის მოწმობით, მის უფროს ძმას გ. დელილს საქართველოსთან დაკავშირებული გეოგრაფიული მასალები გამოუყენებია როგორც 1723 წ. ცნობილი რუკის, ისე 1724 წ. სპარსეთის რუკის გამოსაცემად (დელილი, გვ. 1). აქ, ცხადია, ისევ საბასეული მასალები იგულისხმება. ასე რომ, XVIII ს. დასაწყისის ქართული გეოგრაფიული აზრის დასახასიათებლად მარტო იმ ფაქტის მოყვანაც იყმარებს, რომ მისმა გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულმა პროდუქტურიამ ორ ფრანგულ რუკაზი ჰპოვა გამოყენება.

გეოგრაფიული ლიტერატურა. ვახტანგის შოლვაწეობის შემდგომი ეტაპი, რომელიც 1712—1719 წწ. ირანში ყოფნასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოიჩინდა. იქ მას საშუალება შიეცა გასცნობოდა მდიდარ გეოგრაფიულ ლიტერატურას. ასტრონომიულის მსგავსად, აღმოსავლური გეოგრაფიული ლიტერატურაც მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა არაბების მიერ შემოლებულ გეოგრაფიულ მეცნიერების აღმნიშვნელ სახელწოდებებში. მათემატიკურ გეოგრაფიას ზოგადად ბერძნული ტერმინი „ჯაგრაფია“ დაუშევიდრდა. ხშირად კი ამ ტერმინის ნაცვლად ხმარებაში იყო უფრო გასაგები ფორ-

მეტი „მეცნიერება გრძელებისა და განვედების შესახებ“ (ილმ ალ-ათვალ ვალ-არად) ან „მეცნიერება ქალაქების მდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ (ილმ თაღვიმ ალ-ბულდან). აღწერით გეოგრაფიას ეწოდებოდა „მეცნიერება გზებისა და სახელმწიფოების შესახებ“ (ილმ-ალ-მისალიქ ვალ-მალიქ). ამ უკანასკნელის ნაცვლად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები — „მეცნიერება საფოსტო სადგურების შესახებ“ (ილმ ალ-ბურუდ), როდესაც განსაკუთრებული ყურადღება მარტინუტებს ექცევოდა და „მეცნიერება ქვეყნების საკვირველებათა შესახებ“ (ილმ აჭარბ ალ-ბილად), როდესაც ჭარბობდა კოსმოგრაფიული ელემენტი, რომელსაც სასწაულებრივი ელემენტი, დაპკრავდა (კრაჩკოვსკი, გვ. 18—19).

აღმოსავლურ ასტრონომიულ თხზულებებში, როგორც წესი, ძირითად დისკიპლინასთან ერთად ფართოდ იყო წარმოდგენილი სხვა დისკიპლინების, მათ შორის გეოგრაფიის (უფრო ხშირად კი მათემატიკური გეოგრაფიის) საკითხები. გამონაკლის არც ვახტანგის მიერ თარგმნილი ასტრონომიული თხზულებები — ალი ყუშჩის „აიათი“, ულულბეგის „ზიჯი“ და ნასირ ედ-დინ თუსელის „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“ წარმოადგენდნენ.

„აიათში“, როგორც ეს წინა ნაწილში იყო ნაჩვენები, მეორე კარის („მიწის ქმნულების გამოცხადება“) ძირითადი ნაწილი მათემატიკური გეოგრაფიის თეორიულ საფუძვლებს ეძღვნება (იხ. აქვე, გვ. 78-90). მათემატიკური გეოგრაფიის საკითხები. პხოლოდ უკვე პრაქტიკული განხრით, საკმაოდ დიდი რაოდენობით წარმოდგენილია „სტროლაბის სასწავლებელ წიგნში“ (იხ. აქვე, გვ. 139-142). „ზიჯში“ განხილულ პრაქტიკულ საკითხებს თან ახლავს გეოგრაფიული პუნქტების კოორდინატთა ცხრილები და რამდენიმე თავი გეოგრაფიული კოორდინატების, აზიმუტების განვითარების, გეოგრაფიულ პუნქტებს შორის მანილის და ყიბლის მიმართულების განსაზღვრის წესების შესახებ (იხ. აქვე, გვ. 96 და ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 306—317). იჰკვეს არ იწვევს, რომ 1712—1719 წლებში თარგმნილ თუ გადმოკეთებულ ამ თხზულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდა ქართული გეოგრაფიული აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, ეინაიდან მათი სახით საფუძველი ჩაეყარა ჭართულ სამეცნიერო ლიტერატურას მათემატიკური გეოგრაფიის დაზგეში.

ჩვენ მიერ დალგენილ იქნა, რომ ვახტანგმა, ვარდა ალნიშნული თხზულებებისა, თარგმნა კიდევ ერთი თხზულება, რომელიც გეოგრაფიის განსხვავებულ დარგს მიეკუთვნება. მხედველობაში გვაქვეს „აიათის“ ნაბეჭდ გამოცხადი ბოლო 129—148 გვერდებზე მოთავსებული თხზულება, რომლის სათაურიც არის „იყლიმების ზოგიერთის აღგილების მოთხრობა“.

ეს თხზულება შინარსობრივად სრულიად დამოუკიდებელია „აიათისაგან“. აუცილებლად მიგვაჩნია მისი დაწვრილებითი განხილვა. „იყლიმების ზოგიერთის ადგილების მოთხოვბა“ ანუ შემოყლებით „იყლიმები“ აღმოსავლური აღწერითი გეოგრაფიის ტიპიურ თხზულებას წარმოადგენს. იყლიმებად, ე. ი. კლიმატებად დაყოფილი ტერიტორიების გეოგრაფიული ობიექტების აღწერასთან ერთად აქ მოყვანილია აგრეთვე ამ ობიექტებთან დაკავშირებული ცნობები სხვადასხვა საკვირველებათა შესახებ.

თხზულება შედგება შესავლისა და შვიდი კლიმატის შესაბამისი ქვეთავისაგან. შესავალში ზოგადად განხილულია დედამიწა, დედამიწის ეკვატორი, ოკუმენა და ოკუმენის კლიმატებად დაყოფის საკითხები. ჩამოთვლილია გეოგრაფიული ობიექტები, რომელზედაც დედამიწის ეკვატორი გაივლის, მათ შორის ლეგენდარული ადგილებიც — ე. წ. ჯამშუთის კუნძულები და ჭიბალი ყაშრი, ე. ი. მთვარის მთები (აიათი, გვ. 129—131).

თვითეული ქვეთავის შესავალში საკმაოდ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ის ქვეყნები, პროვინციები, ქალაქები, ზღვები და მდინარეები, რომლებიც წესაბამის კლიმატს უშუალოდ ეკუთვნიან ან მის მახლობლად მდებარეობენ. ქვემოთ მოგვყავს ეს მონაცემები, რომლებსაც ფრჩხილებში დართული აქვთ ჩვენ მიერ დაზუსტებული სახელწოდებები<sup>2</sup>.

I კლიმატი: ჩინეთის ქალაქები, სარანდიბი (შრი ლანკა), სინდი (პენჯაბი), ინდი (ინდოეთი), სპარსეთის ზღვა (ომანის ყურე), უმანი (ომანი — არაპეტის ნახევარკუნძულის ზღვასპირეთი), იამანი (იემენი), მისრის (ეგვიპტის) ნილოსი, ნავბა (ნუბია), ბარბარის ადგილები (ბერბერების ქვეყანა — ჩრდილოეთი აფრიკა და სომალის სანაპირო ადენის ყურეში), იუნანის ქალაქები (საბერძნეთის კუნძულები), ზღვის შემოგრძელული (გარემომცველი ზღვა — ოკუმენის გარემომცველი ზღვა, ამ შემთხვევაში ატლანტიკის ოკეანე).

II კლიმატი: სარანდიბი, ცინდის ყანდაარი (ალ-ყანდარა — ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთის პროვინცია, თანამედროვე ნანგრაპარი), ქაბული (ქაბულის პროვინცია), ქირმანი (ქირმანის პროვინცია), სპარსის ზღვა, რიყა, აფრიკა (აფრიკა), ბარბარია, ყრვანი (ყაირუანი — ქალაქი ტუნისში), უკიანე ზღვა (ატლანტიკის ოკეანე).

III კლიმატი: ჩინეთი, აჯუჯი (გოგი — ბიბლიური ქვეყანა), სონდე

<sup>2</sup> გეოგრაფიული სახელწოდებების დასაზუსტებლად ან იდენტიფიკაციისათვის შირითადად ესარგებლობდით ბირუნის და ბაქუვის თხზულებათა კომენტარებით (იხ. ბირუნი, V(1). გვ. 576—603: ბაქუვი, 117—133), აგრეთვე ი. კრაჩოვსკის ცონბილი შრომით (იხ. ბიბლიოგრ.)

(სინდი?), თურქისტანი, ყანდაარი (ყანდაარის პროვინცია სამხრეთ ავლანეთში), მაქრანი (ბელუგისტანის ზღვისპირა პროვინცია), სინჯის-თანი (სიჯისტანი — ირანის პროვინცია სისტანი), ქირმანი, ფარსი (ფარსის პროვინცია), არაყი (პროვინცია, ირანის ერაყი ანუ ჯიბალი), დიარბექირი, მალრიბი (ჩრდილოეთ აფრიკის ზღვისპირეთი), აშმის თემი (?), მისრი, ისყანდარა (ისკანდერია — ალექსანდრია), ყადასია (ალ-ყადისიია — ქალაქი ერაყში), ყირვანი (ყაირჭანი), თანჯის ადგილი (მარკო), დიდი ზღვა (ატლანტიკის ოკეანე).

IV. კლიმატი: ჩინეთის აღმოსავლეთის ქალაქები, თიბთი (ტიბეტი), ჯორჯირი (?), ხათა (ჩრდილოეთ ჩინეთი), ჯიბალი (ჯიბალის პროვინცია ირანში), ქიშმირი (ქაშმირი — სამხრეთ ინდოეთის პროვინცია), ბლური (ბულურა — ქაშმირის ოლქი), ბაღახშანი, იაჯუ-ჯი, დიარბექრი, არაყი, დაირირაბა (დირარ რაბია — ზემო მესოპოტამიის ოლქი), შამა (შამი — სირია), ურუმის ზღვა (ხმელთაშუა ზღვა), ყიროსის (უნდა იყოს ყიბროსის, ე. ი. კვიპროსის) და სოფალის (სოფალის) კუნძულები, ბასრა, ისკანდარია (ალექსანდრია), მარიყი (?), აქრანჯა (აფრანჯა — საფრანგეთი), თანჯი, დღდი ზღვა.

V კლიმატი: მავრის მდინარე (მდინარე ჯეიხუნი, თანამედროვე ამუ-დარია), თურქისტანი, ქეონი (უნდა იყოს გეონი), ფარსი, ქირმანი, სანჯისთანი, ხორასანი, რეი, არაყი, აღრიშეჯანი (აზერბაიჯანი), სომხეთი, რუმი (ბიზანტია), იუნანის (საბერძნეთის) კუნძულები, აქეალი ზუგრი (?), ონდოლოზი (ანდალუსი — მუსულმანური ესპანეთი), უკიანე ზღვა.

VI კლიმატი: იაჯუჯი, ქვეყანა ხაყანისა (თურქული ხაყანატი — სახელმწიფო შტა აზიის, ყაზახეთის, ციმბირის და ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილის ტერიტორიაზე), ქვეყანა ქეიმაგისა (უიგურების ქვეყანა), ხვარაზმი (ხორეზმი), გილანათი (ალბათ გილანი), კონსტანტინოპოლი, ფალიყა (?) უფალი (?), აიქალი ზუკრი (?), ონდოლოსი, დღდი ზღვა.

VII კლიმატი: ქეილანის ადგილი (?), ალანის ადგილი, ხალახის ადგილი (?), ბულყარი (შუასაუკუნის ქალაქი შ. ვოლგის შუაწელზე) (აიათი. გვ. 133—135, 139, 144, 146—147).

შესაცლის შემდეგ თითოეულ ქვეთავში აღწერილია რამდენიმე ქვეყანა ან ქალაქი. ობიექტების მიხედვით აღწერის ურთვევაროვნება დაცული არ არის. ერთ შემთხვევაში შედარებით დაწვრილებით გადმოცემულია ქვეყნისა და ქალაქის გეოგრაფიული მახასიათებლები, მეორე შემთხვევებში მოყვანილია ზოგიერთი ისტორიული ცნობები, სხვა შემთხვევაში ყურადღება ექცევა ამა თუ იმ განმასხვავებელ ნიშანს, რითაც ობიექტი სხვებისაგან გამოირჩევა. სამაგიეროდ უმ-

რავლესობისათვის აუცილებელ ატრიბუტად მოყვანილია ცნობები საკვირველებათა შესახებ, ხოლო ქალაქებისათვის დამატებით მათი აღმშენებლების ვინაობაც.

ჭვევთავების ანუ კლიმატების მიხედვით აღწერილია შემდეგი გა-ოურაფიული ობიექტები:

I კლიმატი: ნავბა (ნუბია), ადგილი ზანჯა (ზინჯთა ქვეყანა — შოზამბიკის სამხრეთი ნაწილი), აიზრიმავთ (ჰადრამაუთ — არაბეთის ნახევარკუნძულის ოლქი), საბა (ირანის ქალაქი), სუნა (სანა — იემენის ქალაქი) და ჩინი (ჩინეთი).

II კლიმატი: მაქა (მექა), მაღინა (მედინა), ანდოეთი, ბარამ (ბარა-ჰმან ანუ სუმნათი — ქალაქი გუჯარათის ნახევარკუნძულზე), ქლია (კალაპ? — ნავსადგური მალაკის ნახევარკუნძულზე), ქალიქუთი (ნავ-სადგური ინდოეთში), ფიანგრა(?) .

III კლიმატი: ყირვანი (ყირვანი), ისკანდერია (ალექსანდრია), ასარი, საიდი (ეგვიპტის ოლქი), აინუშამსი (აინ აშ-შამს — ეგვიპტის ქალაქი), ალაბი (ალეპო), დიმაშყი (დამასკო), ანთაქია (ანტიოქია), იერუსალიმი, შარაზ, ისთახარი, აბარყუ (ბარყუ — ქალაქი ფარსის პროვინციაში).

IV კლიმატი: ხანბალიყი (პეკინი), თოყაჯ(თამღაჩი — იენ-კინგის იმპერიის დედაქალაქი), ქიშირი (ქაშმირის პროვინცია ინდოეთში), ერათი (ჰერათი), გილანი, აღრიბეჯანი (აზერბაიჯანი), თავრიზი, არდა-ველი, სავა, ყუმი, ნევანდი (ნიპავენდი), ამადანი (ჰამადანი), შარიზური (შარიზური — ქურთისტანის ოლქი), იანთაი (?), ბაღდადი.

V კლიმატი: სამარყანდი, რუმის ქვეყანა (გიზანტია), ყარსარია (ყარსარი — ქალაქი თურქეთში), იუნანის ქვეყანა (საბერძნეთი), სომხითი (სომხეთი), ონდოლოსი, შანისთარა (შანთარინი — ქ. სანთარენი პორტუგალიაში). ტფილისი.

VI კლიმატი: კონსტანტინოპოლი.

VII კლიმატი: ბულყარი (ბულყარუნების ქალაქი მდ. ვოლგის შუაწელზე).

სამწუხაროდ ჩვენ ვერ დავადგინეთ თუ რომელი სპარსული თხზულებიდან თარგმნა ვახტანგმა ეს შრომა. სამაგიეროდ საინტერესო შედეგები მოგვცა ამ თხზულების შედარებამ აბდ არ-რაშიდ ალ-ბაქუვის (XIV—XV სს.) თხზულებასთან „შემოყლება წიგნისა „ძეგლების“ შესახებ და ძლევამოსილი მეფის საოცრებანი“, რომელიც, როგორც ცნობილია, ფაქტობრდევად მექანიკურ შემოყლებას წარმოადგენს ზაქარია იბნ მუხამედ ალ-ყაზვინის (1203—1283) საყოველთაოდ აღიარებული გეოგრაფიული შრომისა — „ქალაქთა ძეგლები და ცნობები ალაპის შონათა შესახებ“. ალ-ყაზვინის შრომა

აღმოჩნდა, რომ ქართული თარგმანი შედგენილობითა და წყობით ზუსტად ემთხვევა ბაქუვის და ე. ი. ალ-ყაზვანის თხზულებებს. გაცილებით შემცირებულ მასშტაბებში თარგმანის ტექსტშიც მკაფრად დაცულია ამ თხზულებათა სქემა. საერთო შესავალი არის ზოგადი მიმოხილვა ეკვატორის, ოკუმენის და კლიმატების შესახებ და 7 ქვეთავი — ჯერ ჩამოთვლის კლიმატის შესაბამის გეოგრაფიულ ობიექტებს და შემდეგ აღწერს ცალკეულად ქალაქ-ქვეყნებს.

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ თარგმანის 14 ობიექტისათვის (ზანჯა, საბა, ჩინი, ყრჩვანი, საბი, არნუშამსი, ალაბი, ანთაქია, ერუსალიმი. ისთახარი, აბარყუ, ნცვანდი, იუნანი და სომხეთი) აღწერილობა თითქმის სიტყვასიტყვით თანხვდება ბაქუვის ცნობებს, მხოლოდ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, როგორც აღვნიშნეთ, ქართული ტექსტი საგრძნობლად შემოკლებულია. ნაწილობრივ თანხვდენას აქვს აღვრელი კედევ 6 ობიექტისათვის (თოყაჭ, გილანი, ადრიბეჭანი, ყაისარია, ტფილისი და ბულყარი). ამ შემთხვევაში თარგმანის აღწერილობები მსგავს ცნობებთან ერთად დამატებით განსხვავებულ ინფორმაციას აკ შეცავენ. აქ მხედველობაში არის მისაღები აგრეთვე ის ფაქტი, რომ თარგმანში უკომენტაროდ ან ერთი წინადადებით მოხსენებული 5 ობიექტი (მაქა, მაღინა, ამაღანი, ყაზმინი და ონდოლუსი) შედარებისათვის არ გამოდგება. ასე რომ, თარგმანში აღწერილი 50 ქალაქ-ქვეყნიდან შედარებისათვის 45 ობიექტი გვრჩება. 45-დან 20 ობიექტის თანხვდენა და თხზულებათა ერთნაირი წყობა და შედგენილობა ჩვენი აზრით იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ქართული ტექსტი ალ-ყაზვინის თხზულების რომელიღაც შემოქლებული რედაქციის თარგმანს წარმოადგენს.

დანარჩენი 25 ობიექტის განსხვავებული აღწერილობა ალბათ რედაქციულ შესწორებებს უნდა მივაწეროთ. თანაც ანონიშ რედაქტორს, ბაქუვისაგან განსხვავებით, შედარებით ახალი მასალებიც უნდა ჰქონდეს გამოყენებული. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ცნობები საიდის, ქაშმირის, არდებილის და კონსტანტინოპოლის შესახებ.

საიდის აღწერილობაში ბალზამირებულ მუმიებთან დაკავშირებით ქართულ ტექსტში დამატებით მოყვანილია საინტერესო ცნობა ურთ-ერთი მუმიის გახსნის შესახებ. რას შედგადაც აღმოჩნდა, რომ შუმიფიცირებულ ქალს „სულობით ტანი მოუშლელი ჰქონია და ინით შელებულობა ჭელიდამ ღის ფეხიდამ არ გადასვლოდა“ (აიათი, გვ. 136). ქაშმირისათვის ცნობები, როგორც ტექსტია მითითებული, რედაქტორს XV საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის შარაფ ად-

დინ ალი იეზდის (გარდ. 1454) 1419 წლით დათარიღებულ „ზაფარ-ნამედან“ ე. ი. „გამარჯვებათა წიგნიდან“ აქვს აღებული („ქიშმირი როგორც მოლა შარაფალინი იეზდის „ზაფარნამაში“ დაუწერია“... — აიათი, გვ. 140—141). ასევე გვიანდელი წყაროდან უნდა იყოს აღე-ბული ცნობა არდაველის შესახებ („არდაველი შიხსეფის ტომის სამ-ყოფი არის“ — აიათი, გვ. 141). აქ იგულისხმება სუფიური ორდე-ნი სეფევიე, რომელიც XIII ს. დასასრულს ქ. არდებილში დაარსა შეიხმა სეფიმ („შიხსეფიმ“), ე. ი. შეიხმა სეფი აღ-დინ ისპაქ-მა (1252—1334). გეოგრაფიულ ლიტერატურაში ორდენის საგანგე-ბო აღნიშვნა ყველაზე უფრო XV ან XVI ს. დასაწყისიდან უნდა იყოს მოსალოდნელი (XV ს. სეფევიეს მეთაურები არდებილის ფეოდალი გამგებლები გახდნენ, ხოლო XVI ს. დასაწყისში სეფიანთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა). უფრო მყარად შეიძლება დათარიღდეს ცნობა კონსტანტინოპოლის შესახებ: „ნიადაგ კონსტანტინეპოლე ქრისტიანების კელში ყოფილა. როცა სულთან მაჰმად რუმის აულია, საყდრები მეჩიტებად გადაუკეთებია“ (აიათი, გვ. 147). სულთანმა მუჰამედ II-მ (1441—1481) კონსტანტინოპოლი 1453 წელს აიღო, ასე რომ, ეს ცნობა XV ს. მეორე ნახევრით თარიღდება.

ახალი მასალების გამოყენების ფაქტი აშეარად მიგვითოთებს იმ გარემოებაზე, რომ, ბაქუვისაგან განსხვავებით, ანონიმი რედაქ-ტორი ფართოდ სარგებლობდა სხვა წყაროებითაც. სხვათა შორის ტექსტში ზოგ შემთხვევაში მონაცემები შესულია სხვადასხვა წყაროს ურთიერთშეჯერების შედეგად. მაგ., თავრიზის აღწერილობაში აღნი-შნულია. რომ ამ ქალაქს „ქვეყნის საკვარველების“ (ე. ი. აჯაიბ ალ-ბილადის) მწერლები მეორე კლიმატში ათავსებენ, ხოლო „საღაო-ბის“ (ე. ი. თაღვიმის) მწერლები — შესამეში. თვით რედაქტორი თავრიზს მეოთხე კლიმატს აკუთვნებს და უკვე სულ სხვა წყაროდან (ე. წ. „სანდო წიგნიდან“) მოჰყავს საინტერესო ინფორმაცია მისი აშენებისა და ზემდგომ მოწისძერისაგან დანგრევის შესახებ (აიათი, გვ. 142—143).

ამრიგად დედანი, რომლითაც ვახტანგი სარგებლობდა, ალ-ყაზ-ვინის თხზულების ერთ-ერთ გვიანდელ რედაქტირის უნდა წარმო-ადგენდეს და დაახლოებით XV ს. მეორე ნახევარში უნდა იყოს შექმნილი.

რაც შეეხება ქართულ ტექსტს, ის შემდგომში შეუმოკლე-ბიათ. ვახტანგს ხელუხლებლად დაუტოვებია ქვეთავების შესა-ვალში მოყვანილი გეოგრაფიული ობიექტების დასახელებები და შემოკლება ცალკეული ობიექტების აღწერილობათა ხარჯზე გა-ნუხორციელებია. ამ ღონისძიების შედეგად თხზულებაში წინა პლან-ზე წამოწეულია კლიმატებად დაყოფის საკითხი, ხოლო მაქსიმალუ-

რად შემცირებულ აღწერილობებს ამ კლიმატების საილუსტრაციო მაგალითების ფუნქციები აქვს დაკისრებული. არ არის გამორიცხული, რომ ვახტანგს ტექსტის ამგვარ შემცირებასთან ერთად სათაურიც შეეცვალა და აქაც შესაბამისად საკვირველებათა ნაცვლად კლიმატები მოეხსენიებინა.

ვახტანგს ტექსტი შემოქლებული აქვს სრულიად გარკვეული მიზნით. ბეჭდორ გამოცემაში, როგორც „აიათის“, ისე „იყლიმების“, საკუთარი სათაურის გარდა ყოველი ორი გვერდის კოლონტიტულზე აღნიშნულია ერთი და იგივე სათაური — „ქმნულების ცნობა“.

ვინაიდან „ქნულების ცნობა“ იგივე „ქმნულების ცოდნას“ ნიშნავს, კოლონტიტულის სათაურით „იყლიმები“ „აიათის“ (ე. ი. „ქმულების ცოდნის წიგნის“) ორგანულ ნაწილად ცხადდება. ეს კავშირი, სხვათა შორის, „იყლიმების“ შესავლიდანაც ჩანს. აქ „აიათის“ 72-ე გვერდზე მოყვანილი დედამიწის ეკვატორის განსაზღვრა დამოწმებულია არა როგორც სხვა თხზულების, არამედ ერთიანი შრომის წინა ნაწილის მასალა („მართლა სწორი ხაზი, როგორც ამას წინ გვითქვამს, ერთი ხაზია, რომ მეცნიერთ... ფიქრით გაურონინებიათ“ — „აიათი გვ. 129).

ცხადია, რომ გაერთიანება მიზნად ისახავდა კოსმოგრაფიულ თხზულებაში გეოგრაფიული ნაწილის გაზრდას. მაგრამ ძირითადი თხზულების მოცულობა რომ იგივე დარჩენილიყო, ვახტანგმა „იყლიმები“ დამატებისათვის შესაფერის რაოდენობაზე დაიყვანა.

„აიათთან“ ერთად „საკვირველებათა“ შემცველი თხზულების მოყვანა დღევანდელი პოზიციებიდან შეიძლება მოულოდნელიც ჩანდეს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღმოსავლეთში უკანასკნელ დრომდეც კი ასეთი თხზულებები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. აღმოსავლური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი შეითხველი გეოგრაფიულ თხზულებათა „საკვირველებებში“ ამ ლიტერატურის მითურ-ლეგენდური ფენის თავისებურ ანარეკლს ხედავდა. და ამიტომაც ინტერესით ეტანებოდა ასეთ წყაროებს. ზუსტად ასევე ქართველი შეკითხველიც „საკვირველებებს“ ლიტერატურულ ასპექტში აღიქვამდა და სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განცირობებული ვახტანგის არჩევანიც (თვითონ მას რომ კარგად ჰქონდა შევნებული „საკვირველებათა“ ნამდვილი არსი, ეს ცხადად ჩანს მისი ერთ-ერთი წინადადებიდან, სადაც ასეთი სახის ცნობას ის „არაფად“, ე. ი. ზღაპრად თვლის. იხ. „აიათი“, გვ. 136).

„იყლიმებმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვეს საქართველოში, რაზედაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ თხზულება ხალხში ნაბეჭდიდან გადაწერილი ხელნაწერის სახითაც ვრცელდებოდა. ერთ-ერთ ხელნაწერი, თუ მასში ნახმარი ტ (უბრჯგუ)-ს მიხედვით ვიმსჯელებთ,

კანონცემიდან კარგა ხნის შემდგომ, XVIII ს. მეორე ნახევრის ან XIX ს. დასაწყისში უნდა იყოს გადაწერილი (დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჭარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 77) ცალჭი ხელნაწერის სახით).

ვა ხ ტ ა ნ გის პრაქტიკული მოღვაწეობა. ირანიდან ვახტანგის მიერ ჩამოტანილი თარგმნილი ლიტერატურა, რომელსაც ფაქტობრივად იმავე დროს სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ დაემატა, საქმაოდ ქმედით საშუალებას წარმოადგენდა ქართული გეოგრაფიული აზროვნების განვითარებისათვის. განსაკუთრებული შრიშვნელობა პქონდა 1721 წელს „აიათისა“ და „რყლიმების“ ერთობლივ გამოცემას, რაც ასტრონომიულ-გეოგრაფიული ლიტერატურის საყოველთაო გავრცელებას უზრუნველყოფდა.

ამავე პერიოდში უნდა განეხორციელებინა ვახტანგს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ლონისძიება, რომელმაც შემდგომში გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული კარტოგრაფიის შექმნაში. პირველ ლონისძიებაზე მიგვითითებს სამი საბუთი, რომელიც აკად. ქ. ნ. დელილის არქივშია დაცული. აქედან ერთ-ერთი იუწყება, რომ ვახტანგის ბრძანებით განხორციელდა მთელი რიგი ქალაქების (თბილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯის და ახალციხის) განედების ასტრონომიული გაზომვა ისპაპანში დამზადებული ასტროლაბების საშუალებით<sup>3</sup>. მაგალითისათვის მოყვანილ და ამიტომაც ამ დიდი ქალაქების აშკარად არასრულ სიას ავსებს ვახუშტის მიერ შედგენილი ორი ცხრილი, სადაც ერთში ქართლის სამეფოს, ხოლო მეორეში ამიერკავკასიის დიდი და პატარა ქალაქების გეოგრაფიული კოორდინატებია მოყვანილი<sup>4</sup>. ამ საბუთების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახტანგს საქართველოს და ნაწილობრივ მისი მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიაზე ორგანიზებული და საყოველთაო აქციის სახით ყველა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტის განედები გაუზომია. ამ დიდ სამუშაოს აშკარად წინ უსტრებდა მოსამზადებელი პერიოდი — შემსრულებლების გარკვეული რაოდენობის კვალიფიციური მომზადება. სამწუხაროდ, გრძელების გაზომვის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტუვით, თუმცა ვახუშტის ერთ-ერთი ცხრილის დასათაურება: „ჩემიგან ნაპოვნი, ზოგი გაზომვით და ზოგი აღაჭობით ერთმანეთისაგან“ იმაზე მეტყველებს, რომ გრძელებს გაზომვით თუ

3 სგს არქივი, განყ. 52, აღწ. 1, ფ. 70. .

4 იქვე, ფ. 63—64.

არა, თეორიული ფორმულების საშუალებით მაინც ანგარიშობდნენ (ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 316—317).

შეორენ მნიშვნელოვან ლონისძიებას მიეკუთვნება იმავე ტერიტორიებზე ტოპოგრაფიული აგეგმვების ჩატარება. ლ. მარუაშვილის თანახმად, ვახუშტის 1735 წ. რუკებში ქართლ-კახეთ-იმერეთის გამოსახულების ხასიათი აღასტურებს, რომ მათ საფუძვლად ტოპოგრაფიული აგეგმვა უდევთ. ამასთან დაკავშირებით პატივუემული მკვლევარი თვლის, რომ ვახუშტიმ მოგვიანებით იშვიათი ტოპოგრაფიული მასალებით ისარგებლა, რომელიც ვახტანგმა მოიპოვა ქვეყნის მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩატარებული მარშრუტული აგეგმვების საფუძველზე (მარუაშვილი, კარტოგრაფია, გვ. 324—325; მარუაშვილი, ვახუშტი, გვ. 24, 107). ჩვენი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე ტოპოგრაფიული აგეგმვის ჩატარების უშუალოდ და მაღასტურებელი საბუთიც უნდა არსებობდეს. აქ მხედველობაში გვაჟვს დელილს განმარტება, რომ ვახუშტის რუკებში, საქართველო-საგან განსხვავებით, სხვა შეზობელი ქვეყნების კარტოგრაფიული გამოსახულება გაცილებით სუსტად არის წარმოდგენილი. ამის მიზეზად დელილს მიაჩნია ას ფაქტი, რომ ვახუშტის პირველ შემთხვევაში ხელთ ჰქონდა გეოდეზიური გაზომვების მონაცემები, ხოლო შეორე შემთხვევაში ის ამ საშუალებას შოკლებული იყო (დელილი, გვ. 5). დელილს აქ რომ მარტო განედების გაზომვის ფაქტი ჰქონდა მხედველობაში, ის მაშინ ასტრონომიულ დაკვირვებებს მოიხსენიებდა. ასე რომ, გეოდეზიურ გაზომვებში ფრანგი მეცნიერი უთუოლ ორივე ლონისძიებას — განედების გაზომვასა და ტოპოგრაფიულ აგეგმვას უნდა გულისხმობდეს.

ვახტანგის მიერ გამარებული ამ, როგორც ეტყობა, საქმაოდ მასშტაბური ლონისძიებების საბოლოო მიზანი საქართველოს რუკების შედგენა იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართლში მეოუს ამ საქმის დაგვირგვინება ვერ უნდა მოესწრო, ვინაიდან 1724 წ. ის იძულებული გახდა რუსეთს გადახვეწილიყო. ამ პერიოდისათვის ქართლის კარტოგრაფიული პრაქტიკა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო იმ ნახაზებითა და რუკებით, რომლებსაც, ვახუშტის სიტყვებით, „საზოგადო მცირედ და არა ჯეროვნად“. კონკრეტულად აღნიშნული პერიოდისათვის (ე. ი. 1719—1724) მხოლოდ რამდენიმე ცნობა მოგვეპოვება, რომელიც აქვე მოვცავს.

ვახტანგის სამუშაო ქალალდებში აღმოჩნდა შემდეგი შინაარსის  
ერთი ძალზე საინტერესო ჩანაწერი:

„განი		სიგრძე
მ	კ	პგ 3
მთ	კ	მც 3
<u>0</u>	<u>კ</u>	<u>0</u> 3


საქართველოს სიგრძის დასაწყისი სამძღვარი ბარდა არის. ბარდის სიგრძე არის პგ—კ. განი არის მლ. ბოლო რომ საქართველოს სამძღვარია — აზვავი, აზოვის სიგრძე არის მც — კ. განი არის მთ — კ. კიდევ განის დასაწყისისა გურჯი ბოლაზია, მაგრამ ის არ ვიცოდი რამთონი იყო და აზრუმი დავსწერე. აზრუმის სიგრძე კგ—კ, განი მგ—ნ. მეორე დასასრული თერგია. ის არ ვიცოდი და აშტარხანი დავსწერე. აშტარხნის სიგრძე მც—კ, განი მე—მც

სიგრძე		განი
კ 1	კ	მგ ნ
მ	კ	მე მც
<u>კ</u>	<u>კ</u>	<u>ბ</u> ბ
0		ნც“ <sup>5</sup>

ჩანაწერი რომ ვახტანგის რუსეთში გამვზავრებამდე, ე. ი. 1724 წლის ივლისამდე არის შესრულებული, ამაზე მთელი რიგი დეტალები მიუთითებენ (ციფრების წაცვლად ჯერ კიდევ ასორიცხვიში ნებით სარგებლობა, ქალაქების ასტრახანისა და აზოვისათვის „ზოჯისეული“ მონაცემების გამოყენება, მონაცემების უქონლობა ქალაქ თერგისათვის, რაც გამორცხული უნდა ყოფილიყო ვახტანგის რუსეთში ყოფნის შემთხვევაში და ა. შ.). ამიტომ ჩანაწერს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს ტერიტორიის ზომების გაზრებისათვის გამოყენებულია ამ ტერიტორიის უკიდურესი პუნქტების გეოგრაფიულ კოორდინატთა სხვაობები ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, რუკის ენა. ყველა რიცხვითი მონაცემი ულულბეგის „ზიგის“ ქართული თარგმანის ცხრილებიდან არის აღებული: ბარდის (83—0//40—30) მნიშვნელობა უშუალოდ ულულბეგის ცხრილიდან, ასტრახანის (48—0//45—48) და არზრუმის (23—0//43—50) — ფრანგთა და ბერძენთა დამატებითი ცხრილიდან, ხოლო აზოვის

<sup>5</sup> K—3, საქალალდე № 4, ფ. 12.

(68—0//49—0) — „რუსთა“ დამატებითი ცხრილის დასაწყისიდან, საღაც მხოლოდ სამი პუნქტისათვის ჩაწერილია რიცხვითი მნიშვნელობები<sup>6</sup>. ტექსტის დასაწყისში ბარდის მონაცემებს აკლდება აზოვის მონაცემი, ხოლო ბოლოში — არზრუმის მონაცემებს — ასტრა-



სურ. 14. ვახტანგის ნახევი

<sup>6</sup> ს—161, ვვ. 256, 260, 262, 276.

ხანის მონაცემები. უკანასკნელ შემთხვევაში პირველი სხვაობა გადასხაზულია (გაუქმებულია), ხოლო ქვემოთ მიწერილია სხვაობის სწორი მნიშვნელობა.

ქალაქების განვითარების დასადგენად ვახტანგი რომ პირადაც აჭარებდა ასტროლაბით ასტრონომიულ დაკვირვებებს, ეს კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი მინაწერიდან: „ქცხილვანის განი სტროლაბთო რომ გავზომე, არის მენავი | მბ | წამი | ლ |“ (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 315). ყურადღებას იქცევს მისი ერთ-ერთი ჩანაწერი<sup>7</sup> რაღაც დღგილმდებარეობის ამსახველი ნახაზისა თუ გეგმის სახით (იხ. სურ. 14). სამწუხაროდ მიაწერი „მერ“ დაბოლოებული არ უნდა იყოს და ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ ვივარაუდოთ — ხომ არ იგული-სხმებოდა აյ „მერე“ (მერე სწორ ვაკესაც ნიშნავდა და უხნავ-უთეს მიწასაც — იხ. ორბელიანი IV(1), გვ. 469 და ჩუბინოვი, გვ. 705).

უკვე რუსეთში ყოფნისას, 1725 წ. 29 ივნისს ვახტანგმა რუს მინისტრებს წარუდგინა თურქეთის წინააღმდეგ მოქმედების საკუთარი გეგმა, რომელსაც დართული ჰქონდა მის მიერ შედგენილი ჩრდილოეთ კავკასიის ნახაზი (გამრეკელი, გვ. 106, 292). სამწუხაროდ ნახაზი არქივში აღვილზე არ აღმოჩნდა და ის ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი. მიუხედავად ამისა, თვით ნახაზის შედგენის ფაქტი, და თანაც ჩრდილოეთ კავკასიისათვის, ძალზე საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ვახუშტის წინარე პერიოდის ქართული კარტოგრაფიის ისტორიაში.

საარქივო მასალებიდან ცნობილია რამდენიმე რუკა, რომელთა წარმომავლობაც ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. კერძოდ, ყუად. უ. ნ. დელილის ღოკუმენტების კოლექციაში (ვარიზი) დაცულია კასპიის ზღვისპირეთის, საქართველოს და სომხეთის სამი რუკა. სამივე ისეთი პიროვნების მიერ არის შედგენილი, რომლის ვინაობა და ეროვნება. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია. აյ საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს რუკა 1718 წლით არის დათარიღებული (ინარი, გვ. 154).

მეორე რუკას ავსტრიის სახელმწიფო არქივში მიაქვლია ი. ტაბალუამ. რუკა იმ წერილთან ერთად აღმოჩნდა, რომელიც ვახტანგმა 1722 წ. 22 წოების გაუგზავნა ავსტრიის იმპერატორს კარლს VII-ს. წერილი და რუკაც იტალიურ ენაზე არის შედგენილი. ი. ტაბალუას ვარაუდით, ეს რუკა კონსტანტინოპოლიში ავსტრიის საელჩოში უნდა შეედგინათ, „რათა ელჩს წარმოდგენა შეექმნა თავისი ხელი-

7 K—3, საქ. № 3, ფ. 29v.

სუფლებისათვის საქართველოზე” (ტაბაღუა, საქართველო, გვ. 79—80). ამ ვარაუდის გაზიარებას ორი გარემოება უნდა აბრკოლებდეს. გერ ერთი, ევროპაში უკვე საყოველთაოდ გავრცელებული იყო გეოგრაფიული ატლასებისა და რუკების მრავალრიცხოვანი გამოცემები, რომლებშიც ხშირად საქართველოც იყო წარმოდგენილი. ხელნაწერი რუკა კი, თუ მასი ფოტოგრაფიით ვიმსჯელებთ, ამ რუკებისგან ისეთი უპირატესობით არ გამოირჩევა, რომ საელჩოში საგანგებოდ მის შესაძლებად ეწოდება. ამასთან ერთად ძნელი წარმოსადგენია, რომ ხელისუფლებისთვის გათვალისწინებულ რუკაში აღწერითი მასალა იტალიურ ენაზე დაწერათ. ჩვენი აზრით, რუკა იმავე მიზნით, რაც საელჩოსთვის იყო ნავარაუდევი, ქართლში უნდა შედგინათ. ამ თვალთახედვით უკვე სავსებით ბუნებრივი ჩანს იტალიური ენის გამოყენება, ვინაიდან ვახტანგს იტალიელი მისიონერების მეშვეობით მხოლოდ ამ ენაზე შეეძლო საერთაშორისო მიმოწერა ეწარმოებინა.

საქართველოს გეოგრაფიული პირობების შესწავლისას ვახტანგი სამხედრო საქმის ინტერესებსაც ითვალისწინებდა. ეს განსაკუთრებით შეკავშირდ გამოჩენდა გზების მაგალითზე. მშეიდობიან პერიოდში ვახტანგის ინიციატივით გაშლილმა სამიმოსვლო გზებს აღდგენა-მშენებლობამ დიდი როლი ითამაშა ქვეყნის პოლიტიკაში და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებაში. ამავე დროს „დასტურლამალში“ ვახტანგმა საგანგებო პარაგრაფით გზების მოვლისა და შენახვის ვალდებულება ცენტრალურ ხელისუფლებას და სათავაზო სახლებს დაკისრა (სურგულაძე, გვ. 532—533). ვახტანგისგან მომდინარეობდა აგრეთვე საერთაშორისო სატრანზიტო კზის აღდგენის მცდელობა. რასაც, სამწუხაროდ, წარმატება არ მოჰყოლია.

სამიმოსვლო პრობლემისადმი ასეთი დამოკიდებულების ფონზე სრულებით არ არის მოულოდნელი, რომ საომარ ვითარებაში ვახტანგმა გზების საფუძვლიანი ცოდნა და მათი სამხედრო მიზნებით გამოყენებას შესაშური უნარი გამოამჟღავნა. ძალზე დამახასიათებელია ამ მხრივ ვახტანგის მიერ 1721 წ. ნოემბერში რუსი სარდლის-თვის გაწეული წერილობითი კონსულტაცია, რომელიც საკითხის ლრმა მომზადებით გამოიჩინა (ბროსე, მიმოწერა, გვ. 223). საქართველოში რუსეთის ჯარის შემოყვანასთან დაკავშირებით ვახტანგი სარდალს ურჩევს სასეთის მთანი და უვარგისი გზის ნაცვლად ისარგებლოს ე. წ. „ჩერქეზეთის ველზე“ გამავალი გზით (გეოგრაფიული ნიშნებით აქ დარუბანდთან დაკავშირებული მარშრუტი უნდა იგულისხმდებოდეს). არგუმენტად ვახტანგი იშველიებს ერთ-ერთ

დოკუმენტს თავის არქივიდან, რომლის თანახმად ასეთ პრეცედენტს წარსულში უკვე ჰქონია აღვილი (ჩენი აზრით, აქ იგულისხმება XVI ს. 60-იან წლებში კახეთში რუსთა რაზმის ჩამოსვლის ფაქტი, რომელსაც ისტორიკოსებიდან მხოლოდ ვახუშტი მოიხსენიებს. იხ. ვახუშტი, გვ. 573; ნაჯვევები, IV, გვ. 121). ვახტანგს, როგორც ეტ-ჟობა, თავის ხელქვეითებისათვის საარქივო ცნობის შემოწმებაც დაუვალებია და სწორედ ამ შემოწმების საფუძველზე ის არწმუნებს სარდალს რომ, თუმცა გზა ცოტა გაფუჭებულია, მერამ მიცირე შეკეთების შემდეგ მასზე თავისუფლად შეიძლება მძიმე სამხედრო აღჭურვილობის გატარება. ამასთან ერთად, რაიმე გაუგებრობას რომ არ ჰქონდეს ადგილი, ვახტანგი ურჩევს ადრესატს, რომ მან თავის მხრივ სპეციალისტებს დამატებით შეამოწმებინოს აღნიშნული გზა. მეორე ცნობით, 1722 წლის მეორე ნახევარში, როდესაც პეტრე I ჯარით კასპიისპირეთისაკენ დაიძრა, ვახტანგის ბრძანებით პირველ რიგში ქართლის გზების შეკეთება დაუწყიათ, რათა ჯარს შემოსვლა არ გაძნელებოდა (ტაბაღუა, ავსტრია, გვ. 242).

ვახტანგს რუსეთშიც ხშირად უხდებოდა კონსულტაციების გაწევა (იხ. გამრეკელი, გვ. 105—106, 127—131). ყურადღებას იქცევს მისი პროექტი ჩეჩენეთთან ახლოს თბილ წყლებთან ციხე-სიმაგრის აგების შესახებ (1725 წ.). წერილობითი განმარტებიდან აშკარად ჩანს ადგილის სტრატეგიული ღირსება — ის რამდენიმე შარშრუტის გადაჭვეთაზე მდებარეობს და თითქმის მთელი რეგიონის კონტროლის გაწევის საშუალებას იძლევა. სამხედრო თვალსაზრისით კვალიფიცირებული მიდგომით გამოირჩევა საქართველოში დარიალიდან და დერბენიდიდან მომავალი გზების აღწერლობა, როგორიც ვახტანგს რუსეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში მოჰყავს და ა. შ.

ვახტანგის პირველი რუკების ატლასი ათვის კართული რუკების ატლასი ათვის კართული მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს რუკების ატლასის შედგენა, რაც ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეშივე განხორციელდა მისი უნიჭიერესი თანამოაზრისა და მოწაფის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. დიდ შემოქმედებით ასპარეზზე ვახუშტი ფაქტობრივად ამ ნაწილით გამოვიდა პირველად და, როგორც ირკვევა, აქაც ლვაწლი მის მასწავლებელს — ვახტანგსაც მიუძლოდა.

ვახუშტის ატლასი, როგორიც დღეს კ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება H—2079 ლიტერით, თავდაპირველად ერთი საერთო და შვიდი ადგილობრივი რუკის სახით დამზადდა. საერთო რუკა (№ 1) ამიერკავკასიის რუკას წარმოადგენდა,

ხოლო ადგილობრივ რუკებზე, როგორც ეს ატლასის თავფურცელში მოყვანილი სიიდან ჩანს, გამოსახული იყო დასავლეთი საქართველო (№ 2), სამცხე-საათაბაგო (№ 3), ქართლი (№ 4), კახეთი (№ 5), შირვანი (№ 6), სომხეთი (№ 7) და ისევ სამცხე-საათაბაგო № 8). დროთა ვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთის და მეორე სამცხე-საათაბაგოს რუკები (№ 2, № 7, № 8) დაიკარგა და დღეისათვის შემორჩენილი რუკებისათვის ასეთი ნუმერაცია არის შემოღებული: ამიერკავკასია — № 1, სამცხე-საათაბაგო — № 2, ქართლი — № 3, კახეთი — № 4 და შირვანი — № 5 (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ჩ—V, გვ. 46—49).

ამ ატლასისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი შეცნიერული ნაშრომებიდან ჩვენ უნდა შევჩერდეთ ირ. მათურელის ზოგიერთ საინტერესო დეტალებებზე, რომლებიც ავტორმა მოიყვანა რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში „Материалы по грузинской картографии“ (1961). ავტორი ყურადღებას აქცივს იმ გარემოებას, რომ ვახუშტის რუკები ძალზე მოკლე ვაღებში აქვს შესრულებული (შემორჩენილ რუკებზე მოყვანილი წარწერების თანახმად, ვახუშტიმ ქართლის რუკაზე (№ 3) მუშაობა 1735 წ. 7 იანვარს დასრულა, ამიერკავკასიის რუკაზე (№ 1) — 22 იანვარს, კახეთის რუკაზე (№ 4) — 24 იანვარს და შირვანის რუკაზე (№ 5) — 29 იანვარს). ვინაიდან ერთი პირის მიერ აღნიშნულ ვაღებში ასეთი შრომატევადი სამუშაოს შესრულება ყოვლად შეუძლებელი იყო, ირ. მათურელი სამართლიანი ასკვნის, რომ რუკებზე სხვა პირებიც მუშაობდნენ უშუალოდ ვახუშტის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ საერთო რუკაზე ორმაგი პარალელური ხაზებით ფიქსირდება გზები მონაკვეთებზე: მდ. თერგის შესართავი — ასტრაქანი, დარუბანდი — შემახა, დარუბანდი — ბაქი და შემახა — ჯულფა. თვალშისაცემ აღნიშნულასთან ერთად დეტალურად არის ნაჩენები ამ გზების გასწვრივ მდებარე დასახლებანი. ორმაგი წყვეტილი ხაზით არის აღნიშნული აგრეთვე შირვანის რუკაზე (№ 5) გზები შირვანისაკენ და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ (მათურელი, გვ. 35, 41).

ატლასის შესრულების უჩვეულოდ მოკლე ვაღები, ჩვენი აზრით, კოლექტიურ მუშაობასთან ერთად სხვა გარემოებაზეც მიგვანიშნებს. აშკარად იგრძნობა, რომ ვახუშტის სამუშაოს შესრულება ძალზე ეჩქარებოდა, ვინაიდან დამხმარე ძალების გამოყენებითაც ერთ თვეში ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო ყოველდღიური დაძაბული მუშაობის გარეშე. ცნობილია, რომ ამ რუკებიდან მსლის გადაღებაზე პეტერბურგში სულ ცოტა ორი სპეციალისტი

მარნც იქნებოდა დაკავებული და მიუხედავად ინტენსიური მუშაობისა, მათ ამ საქმეზე შვიდ თვეზე მეტი დღი დასჭირდათ (ნევსკაია, გვ. 101—102). ამასთან ერთად ისიც ცხადია, რომ ვახუშტი კოლექტივის დახმარებითაც ვერ გადაჭრიდა ასეთ პრობლემას, თუ წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების გარკვეული ეტაპები არ ექნებოდა გავლილი. მეორე მხრივ, სწორედ ეს იწვევს გაკვირვებას, რად უნდა დასჭირვებოდა ვახუშტის აჩქარება ბოლო, ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ეტაპზე, როდესაც ამგვარი სამუშაო, პირაქით, დინჯ და დამშვიდებულ შესრულებას მოითხოვს.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევ ატლასში მოყვანილი ცნობებისა და მონაცემების საშუალებით შეიძლება. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიბყრო ამიერკავკასიის რუკაზე (№ 1) წარმოდგენილმა დასათაურებამ: „აწ ახალი დახაზული — სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი კართა ანუ რუკა, რომელ არს თართა ზღვათა შორის პონტოსა და კასპიასა, ქართლი, სამცხე, რომელ არს მესხნი, ოვსნი, ძურძუკნი, რანი, მეტეორი, ოდიში ანუ მეგრელი, აფხაზი, ჯიქი, გურია, სვანეთი, სომხეთი, კახეთი, შირვანი, ლეკი ანუ დალესტანი, ყივჩაყი ანუ მცირე ყაბარდო — ჩემ მიერ მოსწრაფედ, ხალისით მოსამსახურე. თქვენი მეფოვანი ვახუშტი... 1735 წ. იანვრის 22“ (შდრ. ხელნაწერთა აღწერილობა H—V, გვ. 49). ტექსტის უკეთ აღქმისათვის თუ ობიექტის დასახელებას ამოვიღებთ, მაშინ გვექნება: „აწ ახალი დახაზული... ჩემ მიერ მოსწრაფედ, ხალისით მოსამსახურე თქვენი მეფოვანი ვახუშტი...“. აქედან აშკარად ჩანს, რომ დასათაურებასთან ერთად ვახუშტი მიმართავს ვიღაც პირს, რომლის სამსახურისთვის მუდამ მზად არის. ცხადია, რომ აღნიშნულ სამსახურში კონკრეტულად რუკების დამზადება იგულისხმება. ვახუშტი რომ თავის ინიციატივით უძლვნიდეს ამ რუკებს ხსენებულ პირს, მაშინ მიმართვაში ეს მომენტი აუცილებლად ასახებოდა. ასე რომ, მოყვანილი წინადადება ერთმნიშვნელოვნად იმაზე მიუთითებს, რომ ვახუშტის რუკები აღრესატის დავალებით შეუსრულებია.

დამკვეთის ვინაობა ადვილად შეიძლება დადგინდეს ატლასის იმ დასათაურებიდან, რომელიც ცალკე ფურცელზე არის მოყვანილი. აქ ქართულთან ერთად რუსულ ენაზე მოყვანილ ტექსტში ისევ მიმართვის ფორმით მოყვანილია შემდეგი წინადადება: „Трудами, тщением и старанием нижайшего Вашего царского высочества слуги, того царства царевича Вахушти...“ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ აქ „მეფურ უმაღლესობაში“ „ამავე სამეფოს უფლისწული“ ვახუშტი აშკარად ვახტანგს გულისხმობს და აქედან გამომდინარე შე-

იძლება დავასქვნათ, რომ ვახუშტის პირველი რუკების ატლასი ვახტანგის დავალებით იქნა შედგენილი. ეს ცნობა სხვა მონაცემებითაც დასტურდება. უ. ნ. დელილი 1738 წ. 11 თებერვლის წერილში პარიზის აკადემიის პრეზიდენტ უან მორეპასაღმი (1701—1781) აღნიშნავს: „მე მოვიპოვე აქ გასულ წელს ერთი საინტერესო შენაძენი, რომელიც საზღვარგარეთის გეოგრაფიას ეხება. ეს არის მთელი საქართველოს, სამეგრელოს და სომხეთის უმეტესი ნაწილის ძალზე დატალური რუკები, ამას წინ ტახტის მემკვიდრე პრინცს ბრძანებით შედგენილი და ქვეყნის შესანიშნავად მცოდნე მრავალი ქართველის ცნობებზე დამყარებული“<sup>8</sup>. ამრიგად, ორი ცნობის სრული თანხვდენა ნათელყოფს, რომ ვახტანგის დამსახურებათა სიაში ისეთი მნიშვნელოვანი ლონისძიებაც შედის, როგორიც არის ატლასის შექმნის ინციდატივა. ეს ახლად გამოვლენილი თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტი კი თავის მხრვ საშუალებას იძლევა დავადგინოთ თუ რატომ მოუხდა ვახუშტის მოკლე ვადებში ატლასის შედგენა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ვახუშტის ატლასზე მუშაობის დროს ვახტანგი რუსეთში არ მდიდოდა. 1734 წ. 10 ოქტომბრიდან 1735 წ. 26 აპრილამდე ის ბაქართან ერთად დარუბანდში იყო მივლინებული და ქართლის სამეფოს დაბრუნებისათვის ინტენსიურ საქმიანობას ეწეოდა. ამავე პერიოდში აქ რუსეთსა და ირანს შორის ახალი ხელშეკრულება მზადდებოდა, რომელიც ირანისთვის ყველა იმ კასპიისპირა პროვინციის დაბრუნებას ითვალისწინებდა, რომელშიც რუსეთის ჭარი იდგა (პარტაძე გვ. 172—175). ამ საკითხთან დაკავშირებით რუსი გენერლების თათბირებსა და მოსამზადებელ ლონისძიებებში ვახტანგიც იღებდა მონაწილეობას, კრხალია, როგორც ქართლის სამეფოს ინტერესების დამცველი. სწორედ ასეთ თათბირებზე საკითხებში ლრმად ჩაწერილი და არგუმენტირებული დასაბუთებისათვის ერთ-ერთ ქმედით საშუალებას რუკა წარმოადგენდა. ვახტანგი, რომელიც თავის პრაქტიკაში ხშირად იყენებდა რუკას, არც ამჯერად გადაუხვევდა ერთხელ შემოღებულ წესს. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ვახტანგმა წერილობით ან შიკრიკის საშუალებით დაავალა ვახუშტის რუკის საჩქაროდ მომზადება და დერბენდში გამოგზავნა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თვით ატლასის ზემოთ მოხსენიებული ერთი თავისებურებაც: კასპიისპირეთსა და მის მიმდებარე რაიონებში, სწორედ იქ, სადაც რუსეთის ჭარები იღვა, ამიერკავკასიის და შირვანის რუკებზე ორმა-

<sup>8</sup> სგს არქივი, განკ. 52, აღწ. 1, ფ. 65.

გი წყვეტილი ხაზებით არის გამოსახული გზები და ფერალურად არის აღნიშნული მათ გასწროვა, დასახლებული პუნქტები.

შეძლო თუ არა ვახტანგმა რუკების დანიშნულებისამებრ გამოცენება, ჩვენთვის ცნობილი არ არის. რუკების დამზადებიდან ერთი თვისა და რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ 1735 წ. 10 მარტს, განჯაში ხელი მოაწერეს რუსეთ-ირანის ახალ შეთანხმებას, რომელმაც ხაზი გადაუსვა ვახტანგის იმედებს. ხელმოკარული შეფერი მოსკოვში ალარ დაბრუნდა და მუღმივ საცხოვრებლად ასტრახანში ჩავიდა. აქედან 1735 წ. სექტემბრის თვეში პეტერბურგს რუსეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად მან ბაქარი გაგზავნა და, როგორც ეტყომა, რუკებიც თან გაატანა.

სწორედ ამ პეტერბურგის გეოგრაფიულ დეპარტამენტში აკად. ე. ნ. დელილის ხელმლვანელობით გეოდეზისტების ჯგუფი ინტენსიურად მუშაობდა სხვადასხვა რუკის შედგენასა და აქლების გადაღებაზე. სამუშაოს საბოლოო მიზანს რუსეთის იმპერიის გენერალური ატლასის შედგენა წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ აღებულ გეზს საფუძვლად ეღო ის პრინციპები, რომლებიც უ. ნ. დელილმა ჯერ კიდევ 1727 წელს წამოაყენა თავის პროექტში ასტრონომიული და გეოგრაფიული სამუშაობის ორგანიზაციის შესახებ. პროექტი ითვალისწინებდა რუსეთის დაწესებულებებში თუ პირად მფლობელობაში არსებული ყველა ხელნაწერი რუკის შეგროვებას, მათგან ზუსტი ასლების გადაღებას და მთარგმნელის მეშვეობით ფრანგულ ენაზე თარგმნილი წარწერების დატანებას. შეძლებისამებრ, დელილს უნდა მოეძებნა ამ რუკების ავტორები და დაეღინა თუ რა მეთოდით წარმოებდა აგება — გეომეტრიულად თუ განსახლერულ განედსა ან მერიდიანთან დაკავშირებული ასტრონომიული დაკვირვებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენციკლოდია იმ დაკვირვებებისა და გაზომვების ჩანაწერების მოპოვებას, რომელთა საფუძველზეც რუკები იყო აგებული (ეს აუცილებელი იყო რუკების ხარისხზე წარმოდგენის შესაქმნელად და ზოგიერთი ავტორის ყურადღების გარეშე დარჩენილი დამატებითი ცნობების მისაღებად). ამ ჩანაწერების კრიტიკული შეფასებით და მათი შედარებით აღწერილობით მოცემულ მანძილებთან ან სიგრძის ძეველ და ახალ საზომებთან, გათვალისწინებული იყო გრადუსის მიმართ ამ საზომების ფარდობების დაღვენა. ეს კი საშუალებას იძლეოდა იმ ადგილებში. სადაც არ იყო ჩატარებული ასტრონომიული დაკვირვებები, ჰეშმარიტებასთან მაჭისიმალურად დაახლოებული მოხაზულობა განეხორციელებინათ (გნუჩევა, გვ. 27, 125—126).

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ცნობა ბაქარის მიერ პეტერბურგში რუკების ჩამოტანის შესახებ უ. ნ. დელილის განსაკუთ-

რებულ დაინტერესებას გამოიწვევდა. ამასთან დაქავშირებით, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე საყურადღებო ცნობებია დაცული საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების (სეს) არქივში. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ხელნაწერი დოკუმენტები, რომლებიც ჟ. ნ. დელილის ქართულ რუკებზე მუშაობის ბევრ საინტერესო მომენტს ასახავენ და საშუალებას იძლევიან აღვადგინოთ ამ მუშაობის ცალკეული ეტაპები. ამავე მიზანს ემსახურება 1766 წ. დელილის მიერ სტამბური წესით გამოცემული კავკასიის რუკის დანართი გზესმკვლევი — ე. წ. „უწყება“, რომელშიც რუკის ისტორიასთან დაკავშირებით მთელი რიგი დამატებითი ცნობებია მოყვანილი (იხ. ბიბლოგრ., დელილი).

როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, 1737 წელს ბაქარს ასლების გადასაღებად რუკები დელილისათვის გადაუცია და ქართული წარწერების თარგმნისა და საერთოდ საქართველოს საჭირებზე კონსულტაციისათვის მისთვის საგანგებოდ თავისი მდივანი ვამოუყვია (დელილი, გვ. 1). თუ როგორ თანამშრომლობდა ეს მდივანი და საერთოდ ვინ იყო ის, ამის დაზუსტების საშუალებას 73-ე ფურცელზე რუკებიდან ამოწერილი პირობითი ნიშნების სია გვაძლევს. აქ ყოველ სტრიქონში გამოსახულ პირობით ნიშანს თანამიმდევრულად მიწერილი აქვს მისი სახელწოდება ქართულად ჯერ ქართული და წემდევ რუსული ასოებით, ამას მოჰყვება რუსული თარგმანი რუსული ასოებითვე, შემდევ ისევ ქართული სახელწოდება მხოლოდ ლათინური ასოებით და ბოლოს ფრანგული თარგმანი ლათინური ასოებითვე (მაგ., გზის პირობითი ნიშნისათვის: გზა — გვარი — Gza—Chemin). ქართული სიტყვების ასეთი შემოვლითი გზით თარგმნა ჯერ რუსულად, ხოლო შემდევ ფრანგულად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ენობრივი ბარიერის გადასალახვად აქ შუამავლის როლი ფრანგულის მცოდნე რუსი მთარგმნელი ასრულებდა. ამ მთარგმნელის, ვინაობის დადგენა ძნელი არ არის, ვინაიდან გეოგრაფიულ დეკარტამენტს ერთი შტატიანი მთარგმნელი ჰყავდა — ვინე ივანე კორლიცკი (იხ. ნევსკარა გვ. 97). ეს გვარი ხშირად გვხვდება საბუთებში. მაგ., 1 ფურცელზე მოყვანილია ქართული რუკების სათაურების ფრანგული თარგმანი, რომელსაც ბოლოში ხელს აწერს ივანე კორლიცკი.

რაც შეეხება ქართველი მეფის მდივანს, ამ სახელით 30-იანი წლების მიწურულს რუსეთში მცხოვრებ ქართველთა შორის უპირატესად მელქისედეკ კავკასიე იყო ცნობილი. ჯერ ვახტანგის, ხოლო შემდგომ ბაქარის ერთგული, თანამშრომელი, ის ყოველთვის მათ უახლოეს გარემოკეაში იმყოფებოდა და სრულიად ბუნებრივი იქნებო-

და თუ სწორედ მას დაავალებდა ბაქარი დელილთან თანამშრომლობას. მართლაც, პირობითი ნიშნების სიის შეღარებამ მელქისედეკის მიერ გადაწერილ ტექსტებთან კალიგრაფიული თანხედენა დააღმასტურა (ასო ჭ-ს თავისებური მოხაზულობა და განსაკუთრებით მელქისედეკისთვის დამახსასიათებელი გადაბმები ასოებისათვის: ყე, სა, ჲა და სხვ.).

რუკებზე მუშაობისას, როგორც ერთ-ერთ წერილში იუწყება დელილი, მრავალი საინტერესო ინფორმაცია მიიღო კავკასიისა-გან როგორც საერთოდ საქართველოს, ისე ქართული რუკების შესახებ. ამ შხრივ პირველ ჩიგში აღსანიშნავია 70-ე ფურცელზე მოყვანილი დელილის ჩანაწერები, რომელიც მან, როგორც ეტყობა, კავკასიის უშუალო გამოკითხვის საფუძველზე შეადგინა (ასეთი შტკიცების უფლებას გვაძლევს ტექსტში ლათინურად დაწერილი „აძი“-ის შემდგომ ფრჩხილებში იმავე სიტყვის ქართული ასოებით დამოწმება. თანაც სიტყვის ბოლოს ქართულისთვის დამახსასიათებელი ორწერტილის დასმით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დელილმა მაშინვე ჩაწერინა კავკასიების ქართულად მისთვის საინტერესო სიტყვა). ჩანაწერიდან აშკარად ჩანს, რომ დელილმა კავკასიებს ზუსტად ის კითხვები დაუსვა, რომლებიც მას თავის ცნობილ პროექტში ჰქონდა წამოყენებული.

პირველი, ძალზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი, რომელიც რუკისათვის გამოყენებულ წყაროებს ეხება, რატომდაც აქამდე არც სწორად იყო ამოკითხული და არც სწორად ახსნილი. მიღებული იყო, რომ აქ იგულისხმება „პრინც“ ვახტანგის რუკა („მთავარი რუკა“). რომლის შეღენისას მას უსარგებლია ბატონ გარბეკის გილანის რუკით, ხოლო სომხეთისათვის — ომანის რუკით (იხ. მაგ., მათურელი, გვ. 56—57). „მთავარი“ რუკის მოსსენიება უკვე იმაზე მეტყველებს, რომ აქ ატლასის მთავარი რუკა იგულისხმება, ასეთი რამ კი ვახტანგთან დაკავშირებით ცნობილი არ არის. ჩვეულებრივ ქართლის მეფეებს დელილი პრინცებს უწოდებს, მაგრამ ამ ჩანაწერების მეხუთე ფრაგმენტში ვახტანგს „განსვენებულ მეფედ“ მოიხსენიებს. თავისთვალ ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი ჩანაწერის ფარგლებში დელილს ერთი და იგივე პიროვნებისათვის ჭერ „პრინცი“ და შემდეგ განსვენებული მეფე ეწოდებინა. ამასთან ერთად უცნაური ფორმით არის წარმოდგენილი სახელი ვახტანგი, (Vakhtanski — ვაკტანსკი), რომელიც ერთნაირი ალბათობით რო-

9 სეს არქივი, განკ. 52, აღწ. 1, ფ. 65.

გორც ვახტანგის, ისე ვახუშტის დამახინჯებულ სახელად უნდა ჩაითვალოს. თუ გავრთვალისწინებთ, რომ ჩანაწერში დელილის ყურადღების მთავარ ობიექტს ვახუშტის ატლასი წარმოადგენს, სავარაუდოა, რომ „პრინც ვაკტანგი“ სინამდვილეში არა ვახტანგს, არამედ ჟახუშტის გულისხმობს.

შესწორებას მოითხოვს დამხმარე რუკების ავტორთა ვინაობაც. გილანის რუკის ავტორი სინამდვილეში ამოიკითხება როგორც გარბერი (Garber). ხოლო სომხეთთან დაკავშირებით სწორი წაკითხვა იქნება „ჰომიანი (d'Homian) რუკა“. გარბერის გილანის რუკა ორჯერ არის მოხსენიებული ე. ნ. დელილის დოკუმენტების კოლექციაში (იხ. ინარი, გვ. 124—150), ასე რომ, ჩვენი წაკითხვის სამართლიანობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. გარბერის გვარით ჩანაწერი უდავოდ გულძხმობს იოპან გუსტავ გერბერს (Gerber) (გარდ. 1734). რუსეთის სამსახურში მყოფ გერმანელ მოგზაურს, რომელმაც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ზაზით გამოსცა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს რუკა (გნუჩევა, გვ. 48, 80). რაც შეეწება პოშანს, ამ გვარით ცნობილია იოპან ბატისტ პომანი (1664—1724), ნიურნბერგში 1725 წ. გამოცემული ატლასის ავტორი (ვარეპი, გვ. 290—293). ატლასი სხვადასხვა ქვეყნის რუკებს შეიცავს და სომხეთთან დაკავშირებული მასალებით ვახუშტის სწორედ აქედან უნდა ესარგებლა.

ჩანაწერის 2—5 ფრაგმენტებში მოყვანილია ცნობები ქართული სიგრძის საზომების შესახებ და მათი ფარდობა გრადუსთან, ე. ი. ის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც დელილის პროგრამის მიზედვით ყოველი რუკის გაცნობისას უნდა დაზუსტებულიყო.

მეექვსე ფრაგმენტი ვახტანგის მიერ ისპაპანში ასტროლაბების დამზადებასა და მათი საშუალებით სხვადასხვა ქალაქის განედების გაზომვას ეხება. აქვე აღნიშნულია, რომ ამ გაზომვების მასალები მოსკოვში ინახებოდა. ჩანაწერი მთავრდება მოკლე ცნობით ქართველთა ეთნარქის ქართლოსის შესახებ, რომელიც ვახუშტის რუკის სათაურში იყო მოხსენიებული.

როგორც ეტყობა, დელილი ხშირად სარგებლობდა კავკასიის ასეთი სახის კონსულტაციებით. სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა ის გრაფ მორეპასადმი 1738 წ. თებერვლის თვეში გაგზავნილ წერილში, რომ მან „მთარგმნელისაგან“ (ე. ი. კავკასიისაგან) ქართულ რუკებთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღო<sup>10</sup>

10 სეს არქივი, განკ. 52, აღწ. 1, ფ. 65.

ზემოთ განტილული ჩანაწერი, უფრო ზუსტად კი ფრაგმენტი იმის შესახებ, რომ ქართლში ჩატარებული გაზომვის შედეგები მოსკოვში ინახება, გასაგებს ხდის, თუ საიდან გაჩნდა დელილს საბუთებში ქართლის და ამიერკავკასიის ქალაქების გეოგრაფიულ კოორდინატთა ორი პატარა ცხრილი (ფურცელი 63, 64)<sup>11</sup>. ცხადია, რომ დელილისთვის სწორედ გაზომვის შედეგებს ჰქონდა პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობა და ის მათ გაცნობას მოისურვებდა. მოსკოვში ეს მასალები ვახუშტისთან ინახებოდა და, როგორც ეტყობა, სწორედ მას შეატყობინეს წერილობით თუ შიკრიკის საშუალებით დელილის სურვილი.

ვახუშტიმ მის ხელთ არსებული მასალები ამ ორ ცხრილში შეიტანა და ისინი დელილს პირადად კი არ გადასცა, როგორც ამას ვარაუდობენ (იხ. ნევსაია, გვ. 102—103), არამედ მოსკოვიდან გაუგზავნა ადრესატს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ცხრილის ტექსტი ქართულთან ერთად ლათინურ ენაზეც არის წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი თითქმის ზუსტად იმეორებს ქართულის შინაარსს და იმითაც არის საყურადღებო, რომ ისიც ვახუშტის ხელით უნდა იყოს ჩაწერილი. ამ შემთხვევაში ლათინური უშუალოდ დელილისათვის იყო გათვალისწინებული, ზოლო ქართული — კავკასიისათვის, რომელსაც ცხრილში გარკვევისას შეეძლო ზეპირად დამატებითი ცნობები მოეწოდებინა მეცნიერისათვის.

პირველ ცხრილში, რომელიც მხოლოდ ქართლის სამეფოს პუნქტებს ეხება, რიცხვთი მონაცემებისათვის სვეტის თავში მოყვანილია შემდეგი დასათაურება: „ჩემგან გამოკრებული“. „გამოკრებული“ აქ შეკრებილის აზრით არის ნახმარი, მხოლოდ ის უფრო მონაცემების შეკრებას კი არ გულისხმობს, არამედ უკვე არსებული პირველადი კრებულიდან შერჩევით ამოკრეფილი ასეთი მონაცემების თავმოყრას. სწორედ ამგვარ პირველად კრებულს წარმოდგენდა ის მრავალრიცხოვანი მხსალა, რომელიც ამიჯრკავკასიის ტერიტორიაზე ვახტანგის ხელმძღვანელობით ჩატარებული ასტრონომიული დაკვირვებების შედეგად უნდა დაგროვილიყო.

ამიერკავკასიის ცხრილში (ფურცელი 64) ანალოგიური სვეტი უფრო ვრცლად არის დასათაურებული: „ჩემგან ნაპოვნი, ზოგი გაზომვით და ზოგი აღაყობით ერთმანერთისაგან“. აქ „ნაპოვნი“, თუ ქართლის ცხრილის „გამოკრებულის“ შინაარსს გავითვალისწინებთ, ისევ პირველადი კრებულის იმ მზამზარეული მონაცემების მოპოვე-

<sup>11</sup> ეს სია ჩაკრულია ირ. მათურელის მონოგრაფიაში 56-ე და 57-ე გვერდებს შორის.

ბას გულისხმობს, რომელთაგან ზოგიერთი გაზომვით და ზოგიერთი „აღაჭობით“ იქნა მიღებული. გამოთქმა „აღაჭობით ერთმანერთისაგან“ ნებისმიერი პუნქტის გრძელის გამოთვლის ტრიგონომეტრიულ წესს გულისხმობს, როდესაც ცნობილია ამ პუნქტის განედი, მეორე პუნქტის განედი და გრძელი და მანძილი ამ ორ პუნქტს შორის (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 316—317). ეს გამოთქმა ვახტანგის შემოღებული უნდა იყოს. მის მიერ თარგმნილი „ზიჯის“ მეორე კარის მე-18 თავში, რომელშიც შებრუნებული ამოცანაა დასმული (ცნობრლი კოორდინატებით უცნობი მანძილის გამოთვლა), მანძილის ცნება ზოგადად ტერმინ „აღაჭით“ არის აღნიშნული („ამ ორ ქალაქს შორის რამთონი აღაჭია“)<sup>12</sup>. ბუნებრივია, რომ ანგარიშებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის მიერ არის ჩატარებული, თუმცა შესაძლოა, რომ გარკვეული ნაწილი მოგვიანებით ვახუშტის მიერ იყოს გადაანგარიშებული. ვახუშტის რუკებს საფუძვლად რომ შხოლოდ ამ სკეტის მონაცემები დაედო, ამაზე პირდაპირ არას მითითებული დელილის „უწყებაში“ (დელილი, გვ. 3).

ამიერკავკასიის ცხრილში აღნიშნულის გარდა მოყვანილია კიდევ სამი სკეტი სათაურებით „ლანქარტებისაგან გამოღებული ჩემგან“, „სპარსულის ზიჯისაგან, რომელიც ქალაქების ზომა არის“ და „ევ-როპული და ბერძული. რ-ლიც ჩვენს ლექსიცონში არის“. ეს გამოუყენებელი მონაცემები ვახუშტის, ჩვენი აზრით, იმიტომ მოჰყავს, რათა აჩვენოს დელილს თუ საერთოდ რა მასალები იყო მის ვანკარგულებაში და როგორი განსხვავება იყო მათ და რუკებისთვის გამოყენებულ მონაცემებს შორის.

ლანდჭარტების შესახებ „უწყებაში“ არაფერი არ არის თქმული. ვფიქრობთ, აქ სხვა რუკებთან ერთად პროველ რიგში უნდა იგულისხმებოდეს ჰომანის და გერბერის დამოწმებული რუკებიც. რაც შეეხება „სპარსული ზიჯის“ სკეტს, ცხადია, რომ აქ ულულბეგის „ზიჯის“ ცნობილი სია იგულისხმება და როცხვით მონაცემებიც სწორედ ამ სიიდან არის აღებული. ლათინურ ტექსტში „ზიჯის“ ნაცვლად სპარსული მათემატიკოსი არის მოხსენიებული. „უწყებას“ თანახმად, დელილს ამ მათემატიკოსში თითქოს თავიდანვე ულულბეგი უვარაუდია, რაც სწორი არ უნდა იყოს, ვინაიდან ასეთი მონაცემებით (სპარსულობა და მათემატიკოსობა) შეუძლებელი იყო კონკრეტული პიროვნების გამოცნობა. აქ, როგორც ეტყობა, დელილმა დამატებითი ცნობები კავკასიისგან მიიღო, რომელიც, ცხადია, რომ ამ თხზულებას კარგად იცნობდა, ვინაიდან ვახტანგისეული თარგმანის ლენინგრადული ნუსხა (M—12) სწორედ მის მიერ იყო გადაწერილი. „უწყე-

ბის“ მიხედვით დაინტერესებული დელილისათვის ქართველებს „ზიჭის“ სპარსული ხელნაწერი გადაუციათ, რომელიც მისი თხოვნით პეტერბურგის აკადემიის აღმოსავლურ ენათა პროფესორს გ. ი. კერს (1692—1740) უთარგმნია (დელილი, გვ. 2).

მესამე სვეტის სათაური „ევროპული და ბერძული, რომელც ჩვენს ლექსიკონში არის“ ლათინურადაც ასევეა წარმოდგენილი და ამტომ დელილმა ის ისე გაიგო, როგორც ქართულ ლექსიკონში შესულ ევროპულ და ბერძნულ მონაცემებზე შითითება (დელილი, გვ. 3). სინამდვილეში ვახუშტი ერთი კონკრეტული წყაროს მონაცემებს გულისხმობს. ეს წყარო წარმოადგენს მსოფლიოს ქვეყნების, კუნძულებისა და ქალაქების გეოგრაფიულ კოორდინატთა სიას, რომლის სათაურიც არის „თარგმნილი ბერძნთა და ფრანგთაგან შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეულისა ქალაქებისა და ქალაკებისა, ვითარცა მოგვეცა ჩვენ და ვპოვეთ პირველთა ფილოსოფოსთაგან, რომელთა ქვეყანა ასწერეს“. ეს სია, როგორც ცნობილია, ვახტანგის მიერ დამატებით არის შეტანილი „ზიჯის“ თარგმანის თბილისურ ნუსხაში (იხ. ხელნაწერი S—161, გვ. 255—276). „ჩვენს“ ე. ი. საბამ ლექსიკონს ვახუშტი ამ შემთხვევაში მხოლოდ იმიტომ უთოთებს, რათა აუწყოს დელილს, რომ ეს მონაცემები საყოველთაოდ გავრცელებულ თხზულებაშიც მოიპოვება. თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ვახუშტის ეს მითითება მთლად ზუსტი არ არის. ერთობლივ ბერძნულ და ფრანგულ მონაცემებს, როგორც ჩვენ პირველ წიგნში დავადგინეთ, მარტო „ზიჯში“ დართული სია შეიცავს, ხოლო საბასთან მხოლოდ ევროპული მონაცემებია წარმოდგენილი (იხ. ჩაგუნავა, მათე-მატრაკა, გვ. 310 — 312). ასევე მხოლოდ ევროპული მონაცემებია გამოყენებული ვახუშტის მიერ წარმოდგენილ სიაშიც, ასე რომ, ამ შემთხვევისთვისაც სათაური ზუსტად არ ასახავს საქმის ვითარებას. ამ უკანასკნელ სიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მისი მონაცემი სრულიად მოულოდნელად ლექსიკონისა და ვახტანგის სიის მონაცემებისაგან განსხვავებული აღმოჩნდა. კერძოდ, ვახუშტის სიაში ქალაქი შემახა შესაბამისი რიცხვითი მონაცემებით არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ლექსიკონში და ვახტანგის სიაში ამ ქალაქისთვის ეს მონაცემები არ არის მოყვანილი. ასევე მონაცემების გარეშე არის წარმოდგენილი ლექსიკონში თბილისი. როგორც საბასთან, ისევე ვახტანგთან არზრუმის გრძელისათვის მოყვანილია აშეარად მცდარი მნიშვნელობა (23°), მაშინ როდესაც ეს მონაცემები ვახუშტისთან ჰეშარიტებასთან ახლოსაა (73°). გარდა ამისა, ქალაქის სახელწოდება „ერზინგანი“ ვახუშტისთან შეცვლილია „ეზინგით“ (ასე უწოდებს ვახუშტი ამ ქალაქს თავის „საქართვე-

ლოს სამეფოს აღწერაშიც”, იხ. ვახუშტი, გვ. 659, 688). საბა-ვახტანგის „არაზის მდინარის სათავის“ ნაცვლად ვახუშტისთან არის უფრო დაკონკრეტული — „არაზის სათავე — ასანყალა“ და თანაც განედი 3°-ით არას შეცვლილი (43° ნაცვლად 46°-ისა). ასეთი სხვა ობა აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ ვახუშტის ხელთ უნდა ჰქონოდა „ზიჯში“ მოყვანილი სოს კიდევ ერთი ნუსხა, რომელშიც მას ალბათ საკმაოდ ბევრი შესწორება და დამატება შეუტანია.

ვახუშტის რუკებიდან ასლების გადაღება 1737 წ. 6 ივნისს დაიწყო, როდესაც დელილის ბინაზე გეოდეზისტი თ. გრიგოროვი მეცნიერის ხელმძღვანელობით ამ სამუშაოს შეუდგა. უფრო გვიან, 25 ოქტომბერის ამიტკავების რუკის გადაღება გეოგრაფიული დეპარტამენტის მოწაფეს ბერენდს მიენდო. ინტენსიური მუშაობის წყალობით 1738 წ. დასაწყისისათვის ატლასის ასლი უკვე დამზადებული იყო (ნევსკარა, გვ. 101, 102). „უწყების“ თანახმად კი მუშაობა 1738 წელსაც გაგრძელდა. ამ დროს დედნის ექვსივე რუკა პირადად დელილმა გადმოილო (დელილი, გვ. 2). ეს ორი ცნობა, ჩვენი აზრით, ერთმანეთს არ უნდა გამორჩიცხავდეს. ვინაიდან დელილი ჩვეულებრივ რუკებიდან ორ-ორ ასლს იღებდა, ერთს — დეპარტამენტისთვის, მეორეს კი — პირადის საკუთრებისათვის. აღნიშნული ცნობები ადასტურებენ, რომ ვახუშტის რუკების მიმართაც დელილი ამგვარადვე მოქმედება.

დელილის კუთვნილი ასლების ადგილსამყოფელის დადგენა ა. ინარის 1915 წ. გამოცემული შრომის მეშვეობით მოხერხდა. აქ დელილის მიერ 1754 წ. სამხედრო უწყებისაღმი გადაცემული რუკების სიაში 122—129 ნომრით დაფიქსირებულია ვახუშტის 1 სა-ცოველთაო და 6 ადგილობრივი რუკის ასლები (ინარი გვ. 142). რიცხობრივი განსხვავება თბილისში დაცულ დედანთან (1 საერთო და 7 რუკა) იმით უნდა ასხსნას, რომ დედნისეული სამცხე-საათაბაგოს ორი რუკიდან (№ 3 და № 8) დელილი მხოლოდ ერთს, ალბათ № 8-ს, როგორც უკეთესის, ასლს აღღებდა. საფრანგეთში ვახუშტის ატლასის არსებობად სრული ასლის არსებობის ფაქტი იმედს იძლევა, რომ მომავალში მისი საშუალებით შეიძლება აღდგენილ იქნეს დედნის კომპლექტიდან დაკარგული № 2 (დასავლეთ საქართველოს), № 7 (სომხეთის) და № 8 (სამცხე-საათაბაგოს) რუკები და აგრეთვე № 5 (შირვანის) რუკის ნახევარი ფურცელი.

დელილს ვახუშტის რუკების გამოქვეყნება ჯერ კიდევ რუსეთში 1738 წლის გაზაფხულისათვის ჰქონდა გათვალისწინებული<sup>13</sup>, შაგრაშ

<sup>13</sup> სგს არქივი, განცოფ. 52, აღწ. 1, გვ. 65.

რაღაც მიზეზების გამო მაშინ მან თავისი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, 1766 წ. პარიზში გამოიცა საერთო რუკა, ე. ი. ამიერკავკასიის რუკა, რომელსაც თან ახლდა ვახუშტისეული თბილისის გეგმის სტამბური ამონაბეჭდი და განმარტებით ტექსტი „უწყების“ სახით. თბილისის გეგმასთან დაკავშირებით „უწყებას“ დართული პქონდა ცალკე ქვეთავი სათაურით „ტფილისის აღწერილობა“ (დელილი, გვ. 6—8). მისი ტექსტის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ის შედგენილია უნ შარდენის (1643—1713) თხზულების („მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთში“) IX ტომიდან ამოკრეფილი ფრაგმენტებისაგან (შდრ. დელილი, გვ. 6—8 და შარდენი, გვ. 317, 319—323, 325). როგორც ეტყობა, თავს დროზე (ე. ი. 1737—1738 წწ.) დელილს უშუალოდ თბილისთან დაკავშირებით მასალები არ შეუგროვებია და როდესაც ამ ქალაქის გეგმის გამოცემის საკითხი დადგა დღის წესრიგში, თბილისის საერთო დახასრუთებისათვის მეცნიერს შარდენის ცნობებისათვის მიუმართავს.

რაც შეეხება თვით „უწყებას“, აქ ბევრი საინტერესო ცნობაა მოყვანილი საქართველოსა და ვახუშტის ატლასის შესახებ. ზოგიერთი მათგანი ჩვენ უკვე განვიხილეთ და ახლა უნდა შევჩერდეთ დელილის მოსაზრებებზე გამოქვეყნებული რუკის შესახებ. ის აღნიშნავს რომ რუკაში შეიძინევა ზოგიერთი უზუსტობანი. საწყისი მერიდიანი აქ კანარის კუნძულებიდან 3,5°-თ დასავლეთით უნდა იყოს ნაგულისხმევი, რაც აღვილად შეიძლება გასწორდეს რუკაზე აღნიშნული მერიდიანებიდან ამ რიცხვის გამოკლებით. რუკის სამხრეთი ნაწილი არზრუმსა და ერევანს შორის მცირეოდნად გადააღვრულებული ჩანს აღმოსავლეთით, ტრაპიზონი და მთელი დასავლეთი ნაწილი კი — ჩრდილოეთით, თვით საქართველოს ტერიტორია კი ამ ხარეზებისაგან დაზღვეულია. დელილის აზრით, ავტორის ჩანაფიქრი — საქართველოსთან ერთად ეჩვენებინა მისი მოსაზღვრე ქვეუნები, სრულად ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელთათვის, საქართველოსგან განსხვავებით, მას არ ვააჩნდა გეოდეზიური გაზომვების მონაცემები. საერთოდ კი დელილი ძალზე მაღალი აზრისაა წარმოდგენილ რუკაზე და თვლის, რომ მისი ავტორი არ არის მოკლებული არც ნიჭისა და არც ღრმა ცოდნას. XIX ს. დისაწყისში აზის ერთ-ერთი ძალზე მჭიდროდ დასახლებული ნაწილის რუკის შექმნა მას დიდ საჭირო მიაჩნია. მითუმეტეს. როდესაც ეს რუკა თავისი სიზუსტით წინა საუკუნის ფრანგულ რუკებს აღმატება. (დელილი, გვ. 5).

XVIII ს. ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერის, პეტერბურგის ასტრონომიული და გეოგრაფიული სკოლების ფუძემდებლის ეს მანალი შეფასება ფაქტობრივად ეკროპული მეცნიერების მხრივ ვა

ხუშტის შრომის აღიარებას ნიშნავდა. ცხადია, რომ ვახუშტისთაა ერთად ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ვახტანგსაც, რომლის დაკვეთითაც შეიქმნა ეს ატლასი და, რომელმაც ვახუშტის ნაშრომს დეტალური ტოპოგრაფიული საფუძველი ჩაუყარა.

ვაწ ტანგის მოწაფეთა მიღწევები ი. ქ. ნ. დელილი ვახუშტის ატლასთან დაკავშირებით 1738 წლის ერთ-ერთ წერილში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ატლასი შედგენილია ქვეყნის შესანიშნავად მცოდნე მრავალი ქართველის ცნობების საფუძველზე<sup>14</sup>. როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, დელილი შემდგომაც ბევრჯერ დარწმუნებულა თავისი განცხადების სისწორეში. მთელ რიგ საბუთებში, მართლაც, ფიგურირებენ სამამულო გეოგრაფიის საფუძველინი ცოდნით გამორჩეული ქართველები. ასეთ მცოდნე პირთა სოლიდური წარმომადგენლობა შემთხვევითი მოვლენა არ იყო და ამაში დიდი დამსახურება პირველ რიგში ვახტანგს მიუძღოდა.

როგორც წინა ქვეთავებში იყო დადგენილი, ვახტანგის ინიციატივით ქართლში დაგროვდა დიდალი ქვეყანათმცოდნეობითი მასალა. საფუძველი ჩაუყარა ქართულ ენაზე გეოგრაფიულ ლიტერატურას, საგანგებოდ მომზადებული კადრების მეშვეობით ჩატარდა ასტრონომიული და ტოპოგრაფიული გაზომვები და სხვ. ყოველივე ამას არ შეიძლება შესაბამისი გავლენა არ მოეხდინა ქართული საზოგადოების გეოგრაფიულ მომზადებაზე. სამწუხაროდ, ამ ვითარების ამსახველი საბუთების უმრავლესობა საქართველოშივე მტრის შემოსევებმა გაანადგურეს. ასეთ ხევდრს მხოლოდ გვერდელი, დაახლოებით 1725—1745 წლების მასალის ნაწილი გადაურჩა და ისიც რუსეთის ან საფრანგეთის არქივებში მოხვედრის წყალობით. აქედან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ვახტანგის მოწაფეებმა და მიმღევრებმა გეოგრაფიული პროდუქტების შექმნა მხოლოდ 1725 წლის შემდგომ დაწყეს, მაშინ როდესაც ეს პროცესი გაცილებით ადრე დაწყო.

1728 წ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ ლათინურ ენაზე გამოსცა სამეცნიერო-საკვლევი შრომების პირველი პერიოდული კრებული „მეცნიერებათა აკადემიის კომენტარები“. აქ სხვადასხვა დარგის სტატიებთან ერთად წარმოდგენილი იყო აკად. თ. ზ. ბაიერის (1694—1738) ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შრომა „კავკასიის კედლის შესახებ“ (ბაიერი, გვ. 425—463). სტატიაში საქმაო აღვილი ეთმობა საქართველოს გეოგრაფიის საკითხებს. მაგ., § 430-ში განხილულია გ. დელილის (1723 წ.) და ა. ლამბერ-

14 სგს არქივი, განყ. 52, აღწ. 1, გვ. 65.

ტის რუკებზე წარმოდგენილი საქართველოს ზღვისპირეთის ტერი-  
ტორია. მოიხსენება დრანდა, მდ. კოდორი და ოდიში. № 419-ში  
აღნიშნულია, რომ „ქართველი პრინცი“, ე. ი. მეფე ვაჟტანგი, კავ-  
კასიონის ქედის მისადგომებთან ნადირობისას გეოგრაფიულ ობიექტზე  
ტებსაც სწავლობდა. ამასთან დაყვაშირებით აქვე, კავკასიონთან მი-  
მართებაში, დასახელებულია თუშეთი, თიანეთი, ჰერეთი და შემახა.  
შეგრამ ცველაზე საინტერესო ის არის, რომ სტატის მთავარი ობიექ-  
ტის — დარუბანდის ცნობილი კედლის შესახებ ბაიერს სწორი წარ-  
მოდგენა მხოლოდ ვახტანგის თარჯიშანის ინფორმაციის შედეგად  
შეექმნა, თუმცა მანამდე ავტორს კონსულტაციებს უწევდნენ 1722 წ.  
კასპიისპირეთის ლაშქრობის მონაწილე და დარუბანდის თვითმხი-  
ლველი პირები (ნევსკაია, გვ. 157). სამწუხაოდ თარჯიშნის ვი-  
ნაობა სტატიაში არ არის მითითებული, მაგრამ ცხადია, რომ ის ეროვ-  
ნებით ქართველია. ის ვახტანგს თან ახლდა კავკასიონის მთისძი-  
რეთში, ხშირად მოხვედრილია დარუბანდშიც და როგორც ეტყობა,  
იმდენად საფუძვლიანად ყოფილა მომზადებული, რომ ფასეული  
კონსულტაცია გაუწევია აკადემიუსისათვის. პეტერბურგის აკადე-  
მის ფაქტობრივად პირველ გეოგრაფიულ შრომაში საქართველოზე  
ცნობების მოყვანას, ვახტანგის გეოგრაფიული კვლევის აღნიშვნას და  
აგრეთვე ქართველი კონსულტანტის ავტორთან თანამშრომლობის  
ფაქტს, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა, რომ ქართულ გე-  
ოგრაფიულ აზრს იმ დროისათვის თავისი მაღალი დონით მეცნი-  
ერთა ყურადღება არ მიექცია.

შემოქმედებითი თანამშრომლობის მეორე საყურადღებო ნი-  
მუშს წარმოადგენს თერგის აუზის რუკა, რომელიც გენერალ ვ. ლე-  
ვაშვის განკარგულებით დაიხაზა წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრეში  
1733 წ. იავაზოში. რუკას მცირე ყაბარდოს ლანდქარტასთან ერთად  
საფუძვლად დაედო ქართული პროვინციის ხევის ნახაზი, რომელიც  
იქვე შეადგინეს ქართველებმა — ვინმე თავაღმა ჯამასპიმ და დეკა-  
ნობიმა გიორგიმ. რუკა სამხედრო დანიშნულებისაა და მიზნად ისახავ-  
და რუსეთის სამხედრო და მმართველი წრეებისათვის ხევის პრო-  
ვინციის გაცნობას იმასთან დაყვაშირებით, რომ თურქეთი აპირებ-  
და იქ შესვლას და სოფ. ჩიმთან ახლოს ციხე-სიმაგრის აგებას (გამ-  
რეკველი, გვ. 118—119; 292—293).

სამხედრო დანიშნულებისაა აგრეთვე 1737 წ. დასავლეთ სა-  
ქართველოს რუკა, რომელიც, ელ. მეტრეველის გამოკვლევების თა-  
ნახმად, ტიმოთე გაბაშვილის (გარდ. 1764 წ.) მიერ უნდა იყოს შედ-  
გენილი. სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებთან ერთად რუკაზე  
ნაჩვენებია მაღნეულის შემცველი აღვრლებიც, რაც მნიშვნელოვ-  
ნად ზრდის რუკის საინფორმაციო ლირებულებას. რუკის შესახებ

დაწვრილებითი ცნობები მოყვანილია ეს. მეტრეველისა და ის. მათურელის შრომებში (იხ. მიმოსლვა, გვ. 084—096 და მათურელი, გვ. 14—22), ამიტომ ჩვენ გამოვლენილი დამატებითი მასალის საფუძველზე მხოლოდ მისი ავტორისა და ასლების საკითხს შევეხებით.

ცენტრალურ სამხედრო-საისტორიო არქივში (მოსკოვი) დაცულ ორიგინალში რუსულად და ქართულად მოყვანილი წარწერების თანახმად, რუკა იმერეთის მეფე ალექსანდრეს, პატრიარქ გრიგოლის თანხმობით, რუსეთის იმპერატორისთვის გაუგზავნია მიტროპოლიტ ტიმოთეს (ტიმოთე გაბაშვილის) ხელით. მ. ბროსეს ცნობით, რუკის მეორე მხარეზეც ყოფილა წარწერა, რომელშიც თითქოს ავტორი უნდა ყოფილიყო მოხსენიებული, მაგრამ დაზიანების გამო ის აღარ იკითხებოდა (მიმოსლვა, გვ. 090). ამავე დროს ცნობილია ამ რუკის შემცირებული სქემატური ასლი, რომელიც 1826 წ. ფრანგმა მოგზაურმა გამბამ გამოაქვეყნა თავის თხზულებაში. ამ ასლში ქართული სახელწოდებები ფრანგული ტრანსკრიფციით არის მოყვანილი. სათაურში აღნიშნულია, რომ ასლი გადალებულია რუსული და ქართული წარწერებით შესრულებული ორიგინალიდან, რომელიც საზღვაო არქივში ინახება. შემდეგ ტექსტი ფაქტობრივად ზემოთ აღნიშნულ დასაბუთებას იმეორებს. და აზუსტებს, რომ ტიმოთემ რუკა იმპერატორს პეტერბურგში 1738 წ. 8 ივლისს მიართვა (მათურელი, გვ. 16).

გამბას მიერ საზღვაო არქივში დაცული რუკის ორიგინალურად გამოცხადება თითქოს აშეარა შეცდომა უნდა იყოს, ვინაიდან კეშმარიტი ორიგინალი, როგორც ცნობრლია. მოსკოვში ინახება. მავრამ არსებობს ცნობა, რომელიც თავის მხრივ, გამბას განცხადებას მხარს უჭირს. კერძოდ, ა. ინარს იმ რუკების სიაში, რომლებიც ჟ. ნ. დელილმა საზღვაო უწყებას გადასცა, 132-ე ნომრით დასახულებული აქცს საქართველოს ნაწილის რუკა, „გაკეთებული არქიეპისკოპოსის შიერ, დაწერილი ქართულ და რუსულ ენაზე“ (ინარი, გვ. 142). საქართველოს ნაწილის, არქიეპისკოპოსის და ქართულ-რუსული წარწერების მოხსენიება, რასაც ემატება საზღვაო უწყებაზი ობიექტის დაცვის ფაქტი გვარწმუნებას, რომ ამ შემთხვევაში იმერეთის რუკა ნაგულისხმევი. ვინაიდან კატალოგში გატანილი სახელწოდება რუკის მონაცემების მიხედვით არის შედგენილი, ცხადია, რომ რუკის ავტორად ტიმოთე გაბაშვილი იგულისხმება. ეს ძალწე მნიშვნელოვანი ცნობაა. ვინაიდან ტიმოთეს ავტორობა აქამდის მხოლოდ არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე იყო შილებული. ყურადღებას იქცევს აგრძელვე ის ფაქტი, რომ რუკის დამახასიათებელ ნიშნად, გამბას ანალოგით, რუსულ-ქართული წარწერების

არსებობაა დაღასტურებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუქა დელილის მიერ გადაღებულ ასლს არ წარმოადგენს. ვინაიდან გამბა მას ორიგინალად თვლის, დელილს ეს რუქა ამ სახით ჭართველებისგან და სავსებით დასაშვებია, რომ უშუალოდ ტიმოთესაგან უნდა ჰქონდეს მიღებული. ტიმოთეს იმპერატორთან აუდიენციის ზუსტი დროის შითითებაც (1738 წ. 8 ივლისი) ამაზე უნდა მეტყველებდეს. შომავალში რუქის უშუალოდ გაცნობა ბევრ ბუნდოვან საკითხს გაარკვეს. მათ შორის მოსკოვსა და პარიზში დაცული ეგზემპლარების ურთიერთმიმართებას, წარწერების ფრანგულად თარგმნის თარიღს (ე. ი. დელილისა თუ გამბას პერიოდს), დელილთან უშუალოდ ტიმოთეს თუ სხვა პიროვნების კონტაქტს და ა. შ. კერძერობით კი დარწმუნებით შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ არსებობდა ტიმოთეს შიერ შეღენილი რუქა ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი — იმპერატორს, ხოლო მეორე დელილს მიუძღვა.

მოყვანილი ფაქტების გარდა ვახტანგის მოწაფეთა აქტიურ კარტოგრაფიულ საქმიანობაზე აშკარად მეტყველებს ჟ. ნ. დელილის კოლექციაში ქართული რუქების საქმაო სიმრავლე.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ამ კოლექციიდან 1718 წლის საქართველოს რუქა, ვახუშტის ატლასი და ტიმოთე გაბაშვილის რუქა. გარდა ამისა ა. ინართან მოხსენიებულია 1754 წელს დელილის მოერ საზღვაო უწყებებისათვის გადაცემული შემდეგი ჭართული რუქები: № 129 — საქართველოს ერთ-ერთი კუთხის აღვილობრივი რუქა წარწერების გარეშე; № 130 — საქართველოს უფრო გავრცებილი რუქა დაუმთავრებელი წარწერებით; № 132 — ამიერკავკასის რუქა ქართული სახელწოდებებით ფრანგულ ტრანსკრიფიაში და № 133 — კახეთის რუქა (ინარი, გვ. 142). გარდა ამისა, იმავე საზღვაო უწყებაში დაცული დელილის რუქების კატალოგში შითითებულია 94-ე ნომრით შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის რუქა „ქერჩიდან ალამბარამდის, რომელიც ფოთის სამხრეთით არის“ (ინარი, გვ. 147). ეს უკანასკნელი რუქა დელილს ეკუთვნის და მასზე მოყვანილი თარიღით თუ ვიმსჯელებთ (1738 წ. 21 ოქტომბერი), ამ პერიოდში მეცნიერი ქართული მასალების გამოყენებით შავი ზღვის სანაპიროს კარტოგრაფიული გამოსახულების გაუმჯობესებაზე მუშაობდა.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ რუქებს, აქედან მხოლოდ კახეთის რუქაზე შეიძლება გარკვეული აზრის გამოთქმა. გეოგრაფიული დეპარტამენტის 1740 წ. „პროტოკოლებში“ მოიხსენიება კახეთის თავადი „უოზეფ გ'ევოროვიჩი“, რომელსაც აღრე კახეთის ტერიტორიის ესკიზი შეუდგენია (ნევსკაია, გვ. 102). როგორც ეტ-

ყობა, ინარის № 133 რუკა დელილს კახელი თავადის ნახაზისა და სხვა ახსნა-განმარტებების საფუძველზე აქვს შედგენილი. ამ რუკის სხვა ეგზემპლარები, რომლებიც გეოგრაფიულ დეპარტამენტში დარჩა, ვ. გნუჩევას კატალოგში მოყვანილ № № 44—46 რუკებს უნდა შეესაბამებოდეს (გნუჩევა, გვ. 276). ჩაც შეეხება კახელ თავადს, ირკვევა, რომ მას დელილთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდა, ფ. სიხარულიძის თანახმად, იგი ქართლსა და კახეთში ცნობილი პიროვნება როსებ გორგის-ძე ბაგრატიონი უნდა იყოს (სიხარულიძე, გვ. 96).

კარტოგრაფიულ საქმეს შემდგომ ევროპულ ცოდნაზე დამყარებული გეოგრაფიული ლიტერატურის აღმოცენებაც მოჰყვა. სხვათა შორის ამ მიმართულებით თვით ვახტანგისაც ერთგვარი წვლილი მიუძღვის. ჯერ კიდევ 1725—1726 წლებში მის მიერ ქართულად გადმოჭეთებულ გეომეტრიულ სახელმძღვანელოში საკმაოდ დიდი აღგილი ეთმობა კარტოგრაფიისა და გეოდეზიის თვალსაზრისით საინტერესო საკითხებს. კერძოდ, „ლეომეტრიაში“ აღწერილია განივი მასშტაბი და მისი გამოყენების წესი. ხაზოვანი მასშტაბი და მისი საშუალებით ფიგურის შემცირების ან გადიდების ამოცანები, რუკის შემცირება ან გადიდება „უჯრედების“ საშუალებით და ა. შ. „სივაკის ზომაში“ მთელი ერთი განყოფილება ფაქტობრივად იმდროინდელი საინჟინრო გეოდეზიის ამოცანებს ეძღვნება.

აქ გრაფიკული და ტრიგონომეტრიული მეთოდებით განსაზღვრება მიუდგომელი საგნების დაშორება, მათ შორის მანძილი, ზომები და სხვ. კუთხემზომ ხელსაწყოდ ასტროლაბია გამოყენებული (იხ. ჩაგუნავა, მათემატიკა, გვ. 186, 196—197, 258—273).

1737 წ. გაბრიელ გელოვანმა რუსულიდან თარგმნა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, 1752 წ. ვახუშტიმ ასევე რუსულიდან გადმოიღო „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“; 60-იან წლებში დაწერა ტიმოთე გაბაშვილის ცნობილი „მიმოსლეა“, განსაკუთრებით კი, რასაკვირველია, უნდა აღვნიშნოთ ვახუშტის „საქართველოს სამეფოს აღწერა“ (1745 წ.) 22-რუკიანი ატლასის დანართით, რომელიც ქართული გეოგრაფიული აზრის ახალი ეტაპის დაწყებას მოაწევს და.

## პ ი მ ი ა

ქიმიის სფეროში ვახტანგის მოღვაწეობის ამსახველი მონაცემებიდან შემორჩენილია მხოლოდ მისი თხზულება „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რომელიც საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა ამ მიმართულებით ვახტანგის მოღვაწეობის ხასიათისა და მასტერაბების გამოსავლინებლად.

სრული სახით თხზულება 279 ქიმიურ პარაგრაფს შეიცავს და მასი ერთადერთი ხელნაწერი S — 3721 ნომრით დაცულია კ. კუკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ნუსხა გადაწერილია და პარაგრაფებად დანომრილია ვახტანგის სიკვდილის შემდგომ, რის გამოც აქ მისთვის ჩვეული რედაქტირების მანერის კვალს აღიარ ვხვდებით და ამ გზით დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას მოკლებული ვართ. თვით ვახტანგის ხელით ნაწერიდან მხოლოდ მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი წყ 94—102(1)<sup>1</sup> სახით. მაგრამ ისიც, როგორც აღმოჩნდა, თხზულების უშუალო შემადგენელ ნაწილს კი არ წარმოადგენს, არამედ ვახტანგის სამუშაო ჩანაწერს, რომელიც გადამწერმა უცვლელად შეიტანა თხზულებაში (E — 121 ნომრით დაცულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცირნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში).

თხზულების ტექსტი შესავლითა და კომენტარებით 1981 წელს გამოსცეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა. ჩვენს გამოკვლევაში ვახტანგის თხზულების პარაგრაფებს ვუთითებთ სწორედ ამ გამოცემის გათვალისწინებით, ხოლო ტექსტის გამომცემლებიდან განსხვავებული წაკითხვების შემთხვევაში უშუალოდ ხელნაწერს ვიმოწმებთ. 1984 წელს ჩვენ მიერ გამოცემული მონოგრაფია „ვახტანგ ბაგრატიონი და მისი ნაშრომი ქიმიაში“ ძირითადად ეძღვნება თხზულების შედგენილობის გამოკვლევას, მის წყაროებს და ცალკეული რეცეპტების ქიმიური შინაარსის გაშიფრას. ამიტომაც ამ საკითხებ-

1 წ 102-ში გადამწერმა მექანიკურად გააერთიანა ორი სრულიად სხვადასხვა შინაარსის რეცეპტი, რის გამოც მათ განსასხვავებლად ჩვენ კხმარობთ პირობით აღნულებას და წ 102(1) და 102(2) ფორმით.

ზე წინამდებარე გამოკვლევაში არ ვჩერდებით და საჭიროების შემთხვევაში მონოგრაფიის მონაცემებით ვსარგებლობთ.

თხზულების შედეგენა, როგორც ჩვენს მონოგრაფიაში იყო დაგენილი, ვახტანგმა ირანში დაიწყო. შემდგომში კი მთელი სიცოცხლის მანძილზე საქართველოსა და რუსეთში მუშაობდა მასზე დროგამოშვებით. სამწუხაროდ მისი საბოლოო რედაქტირება მაინც ვერ მოასწრო. ზოგიერთი წმინდა ტექნოლოგიური და აგრეთვე ტერმინოლოგიური ხასიათის ნიშან-თვისებით თხზულებაში ცხადად გამოიყოფა ირანული, ქართული, ევროპული და რუსული წარმომავლობის მასალათა პლასტები, თუმცა მათი თანამიმდევრობა მოსალოდნელი რიგით არ არის დაცული. დეტალური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ამ თავისებურებებთან ერთად ძირითად ტექსტში ჩართულ ვახტანგისეულ შენიშვნებსაც ითვალისწინებდა, შესაძლებელი გახდა თხზულების შეღვენის პროცესის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენა (ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 25). ეს დადგენილი თანამიმდევრობა, რომელშიც ახალი მონაცემების გათვალისწინებით მცირეოდენი კორექტივები შევიტანეთ, შემდეგნაირად გამოიყურება: ირანში (1712—1719) ვახტანგმა დაწერა წეს1—93, 102(2) — 132; საქართველოში (1719—1724) — წეს133—136, 142—165; რუსეთში (1724—1737) — წეს 169—268. ამ პერიოდების შესაბამისად, მთელი თხზულება პირობით შეიძლება 3 ძირითად ნაწილად დავყოთ, თუმცა დანარჩენი პარაგრაფებისათვის ქრონოლოგიურობის პრინციპი აშკარად დარღვეულია. როგორც ეტყობა, გადამწერმა ვახტანგის ძირითად ტექსტიან ერთად ახალ ხელნაწერში ავტორის სამუშაო და შავი ჩანაწერებიც შეიტანა და თანაც ყოველგვარი სისტემატიზაციის გარეშე. ამ სამუშაო ჩანაწერებიდან მხოლოდ ერთი ნიმუშია შემორჩენილი ზემოთ მოხსენიებული ფრაგმენტის (წეს 94—102(1)) სახით, თუმცა, ასტრონომიული მასალების ანალოგიით, ეჭვს არ იწვევს, რომ თავის დროზე მათი რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხვანი უნდა ყოფილიყო. ახალ ნუსხაში შეტანილი ამგვარი ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით თხზულების პირველ ნაწილს დამატებით განეკუთვნება წეს166—168, 269—279; მეორე ნაწილს — წეს94—102(1) და მესამე ნაწილს — წეს87(2), 137—141.

ვახტანგის მიერ ამ საშ პერიოდში ჩატარებული სამუშაოების საკმაოდ განსხვავებული ხასიათი მიზანშეწონილად ხდის ყოველი პერიოდის ცალკე გაშუქებას. ამიტომაც თვითეული პერიოდის და მისი შესაბამისი თხზულების ნაწილის გარჩევა ცალკე თავების სახით გვაქვს ქვემოთ წარმოდგენილი.

თხზულების წყაროების უკელა ნიშნით თხზულების პირველ ნაწილს საფუძვლად დაედო ორი უცნობი ირანელი პროფესიონალი ალქიმიკოსის ხელმძღვანელობით ვახტანგის მიერ გავლილი ექსპერიმენტული სამუშაოების კურსი. ზოგიერთი ცნობა ამ სამუშაოების ხასიათის შესახებ მოყვანილია § 102(2)-ში, რომელიც ვახტანგმა საგანგებოდ ჩართო თხზულებაში, და სადაც ის სათანადო ახსნა-განმარტებას იძლევა თხზულებაში წმინდა ალქიმიური შინაარსის რეცეპტთა (წწ82—93; 103—109) ჩართვასთან დაკავშირებით (ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 10, 16). ამ ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ ალქიმიური პროფესიით მეფის დაინტერესების მიზნით პირველმა ალქიმიკოსმა ვითომდა კეთილშობილი ლითონების (სინამდვილეში კი მხოლოდ გარეგნულად მათი მსგავსი შენადნობების) მიღების რამდენიმე ხერხი პრაქტიკულად თვითონ ვახტანგს გამოაცდევინა: „წამალი მომცა, სპილენძი გამადნობინა. წამალი ჩავყარე, ოქრო შეიქმნა. ვერცხლისწყალი ბუთაში ჩამაყრევინა, ვერცხლი ჩავდევ, წამალი დააყარა, უბერე და ოქრო შეიქმნა. ვერცხლისწყალს სხვა წამალი დააყარა, ამავ წესით უბერე და სირმა ვერცხლი შეიქმნა“. ცდების ეფექტურმა შედეგებმა გამოუცდელი ვახტანგი ალქიმიური ხელობის ყოვლისშემძლებაში დაარწმუნეს. ხელობის შესწავლის მიზნით ვახტანგმა ალქიმიკოსი მასწავლებლად დაიქირავა და მისი ხელმძღვანელობით შეუდგა პრაქტიკულ მეცადინეობას. გარკვეული დროის შემდგომ, როდესაც ალქიმიკოსის გამოაშეარავების საშიშროება მოახლოვდა, ამ უკანასკნელმა გაპარვით უშველა თავს („მერმე ის გამეპარა, აღარ მოვიდა“) და ვახტანგს მარტო მოუწია ერთად დაწყებული ცდების დასრულება, რომელთაც სასურველი შედეგი არ მოუტანიათ („ესექები ვცადე — არ იქნა“) და ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან სწორედ საბოლოო სტადიები უკვე წმინდა ალქიმიურ სფეროს განეკუთვნებოდა. ალქიმიკოსმა სწავლების პროცესი თავიდანვე მისთვის ხელსაყრელი მიმართულებით წარმართა. ვახტანგს მან კეთილშობილი ლითონების მიღების რამდენიმე ხერხი გააცნო. თვითეული მათგანი ოპერაციების ორ ეტაპს მოიცავდა: საწყის, მოსამზადებელ ეტაპზე გათვალისწინებული იყო უნივერსალური წამალელექსირის („წამალის“ ანუ „აქსირის“) მომზადება, ხოლო დამამთავრებელ ეტაპზე ამ ელექტრიკით რომელიმე ლითონის გაკეთილშობილება ანუ ოქროს და ვერცხლის მიღება (საჩვენებელი ცდების დროს ვახტანგის მიერ ჩატარებული ოპერაციების მსგავსად). დამამთავრებელი ეტაპისგან განსხვავებით, მოსამზადებელი ეტაპი სრულიად რეალურ ქიმიურ გარდაქმნებს ითვალისწინებდა, რომელთა განსახორ-

ციელებლად ასევე რეალური მეთოდები იყო გამოყენებული ხელოსნური ქიმიის აჩვენალიდან. ალქიმიკოსმა ვახტანგთან ერთად ექსპერიმენტული მუშაობა მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურებით შემოფარგლა, ხოლო დამამთავრებელი საფეხურები, გასაგები მიზნით, ბოლოსთვის მოიტოვა. აქედან, ცხადია, რომ ალქიმიკოსის ხელმძღვანელობით ვახტანგმა მხოლოდ ხელოსნური ქიმიის ექსპერიმენტული კურსი გაიარა და, ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში მას არ შეიძლება რაიმე ეჭვი აღძვროდა საერთოდ ალქიმიური მეთოდების მიმართ.

მაგრამ დამამთავრებელი ეტაპების უარყოფითი შედეგებით შეცბუნებული ვახტანგი მეორე მასწავლებლის ალქიმიკოს მოლას ოპტიმისტურ დაპირებებს უნდობლად შეხვდა და საკმაოდ მაღე დაითხოვა, როცა დარწმუნდა მისი მეთოდების უნაყოფობაში.

მიუხედავად ამგვარი დასასრულისა, ალქიმიკოსებთან თანამშრომლობამ ვახტანგს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა. ალქიმიაზე ზოგადი წარმოდგენის გარდა მან საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა ხელოსნური და ტექნიკური ქიმიის სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით ყურადსალებია ის, რომ ვახტანგი პირადად ატარებდა ცდებს. რამაც საშუალება მისცა მას პროფესიულად დაუფლებოდა ქიმიური ექსპერიმენტების ჩატარების პრაქტიკულ ჩვევებს. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მიღებული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები ვახტანგმა საფუძვლად დაუდო მის მიერ ჩაფიქრებული ქიმიური სახელმძღვანელოს პირველ ნაწილს.

ვახტანგი შემოქმედებითად მიუდგა დაგროვილი მასალის წერილობით გადმოცემის პრობლემას. ალქიმიკოსი მასწავლებლების, განსაკუთრებით კი პირველის, რეცეპტებიდან მან ცალკე გამოჰყო მოსამზადებელი სტადიების ამსახველი ნაწილები. ვინაიდან თვითეული ნაწილი თავის მხრივ სხვადასხვა პრეპარატის მიღება-გადამუშავების წესების გარკვეულ ერთობლიობას მოიცავდა, მან ეს წესებიც გამოაცალკევა დამოუკიდებელ პარაგრაფებად. შემდეგ ისინი თემატური პრინციპის გათვალისწინებით ქვეჯგუფებში გაერთიანა და ის ქვეჯუფები ერთმანეთის მიყოლებით სახელმძღვანელოში შეიტანა. ამრა შედეგად მოსამზადებელი სტადიების ტექნოლოგიური რეცეპტები ერთ დიდ ჯგუფში აღმოჩნდნენ გაერთიანებული. რაც შეეხება თავდაპირველი რეცეპტების დამამთავრებელი სტადიების ამსახველ ფრაგმენტებს, ცალკე გამოყოფის შედგომ ვახტანგმა ისინიც დამოუკიდებელი ალქიმიური პარაგრაფების სახით დააჯგუფა და ტექნოლოგიური რეცეპტების ჯგუფის ბოლოს მოათავსა. ალქიმიური და ტექნოლოგიური რეცეპტების თავდაპირველი კავშირების შესანარჩუნებლად ალქიმიურ რეცეპტებში მოხსენიებული ყოველი პრეპარატისათვის ვახტანგმა სპეციალურად მიუთითა დამზადების წესი,

რომ ამ განმასხვავებელი ნიშნით გაადვილებულიყო შესაბამისი ტექ-ნილოგიური რეცეპტების მონაცემი. ამასთან ერთად, სახელმძღვანე-ლოში რომ გარკვეული მოსაზრებით შენარჩუნებულ ალქიმიურ მა-სალაზე მკითხველს არასწორი წარმოდგენა არ შექმნილა, ყოველი ასეთი რეცეპტის ბოლოს გამოთქმულ თეთროკლამურ განცხადებას (რომ აღწერილი წესით ნამდვილად შეიძლება ოქროსა და ვერ-ცხლის მიღება), ვახტანგი „პროფილაქტიკური“ მიზნით ურთავს გა-მოთქმას „ამბობენ რომ...“ ან „იტყვიან რომ“. ამის შედეგად წინა-დადების აზრი რადიკალურად იცვლება და ის უკვე დაპირებუ-ლი ტრანსმუტაციის მიმართ ვახტანგის სკეპტიკურ დამოკიდებულე-ბას გამოხატავს.

ალქიმიური მასალის შენარჩუნება ვახტანგის ახსნა-განმარტება-ში იმ მოსაზრებით არის მოტივირებული, რომ მომავალში მისი სა-შუალებით აღვილად შეიძლებოდეს მსგავს ლიტერატურაში გარკვე-ვა და ხელმეორედ მეცადინეობისათვის გაუმართლებელი დანახარ-ჯების თავიდან აცილება („და ესეები ამისათვის დავსწერე, ეგება სხვას კაცს შევხვდე, ან ამასვე, ამაებზედ მეორედ სწავლის ხარჯი აღარ მქონდეს“).

ალქიმიკოსებთან მეცადინეობის შედეგად დაგროვილმა და შე-მოქმედებითად გადამუშავებულმა მასალამ, როგორც ალვნიშნეთ, თხზულების პირველი ნაწილის ძირითადი ბირთვი შეადგინა. გარდა ამისა ვახტანგმა ისარგებლა სხვა ზეპირი და წიგნური წყაროებითაც, რომელთა ნაწილიც თემატური პრინციპის მიხედვით გაერთიანებულ ქვეჭგუფებში მოხედა. ამავე ქვეჭგუფებს დაუმატა ვახტანგმა აღწე-რითი შინაარსის პარაგრაფებიც, როგორც ჩანს. სპეციალურად დაწე-რილი თხზულების იმ ნაწილისთვის, რომლის რედაქტირებაც მან მო-ასწრო. პირველ ნაწილში მთლიანად წარმოდგენილი მასალებიდან ძნელია ზუსტად განისაზღვროს თუ რომელი მათგანი ეკუთვნის ალქი-მიკოს-მასწავლებლებს. რომელი ვახტანგს და რომელი სხვა უცნობ ავტორს, მაგრამ განსაზღვრული ნაწილისათვის ეს სავსებით შესაძ-ლებელია და ჩვენც კონკრეტულად მიღუთითებთ შესაბამისი პარაგ-რაფების ნომრებს. კერძოდ, პირველი ალქიმიკოსის მასალებიდან მომდინარეობს პარაგრაფები 3, 4, 6, 17, 19, 23, 28, 32, 33, 35, 44, 45, 47, 52, 53, 55, 56, 60, 61, 63, 65, 67 69, 70, 73, 74, 80, 82—93. არ არის გამორიცხული, რომ სინამდვილეში ამ პარაგრაფების რი-ცხვი გაცილებით მეტი იყოს. რაც შეეხება მეორე ალქიმიკოსის მა-სალებს. სათაურების მიხედვით მათ განეკუთვნებიან წს 103, 104, 107—109. პირადად ვახტანგს ეკუთვნის აღწერითი პარაგრაფები: 13, 16, 26, 34, 37, 41, 54, 57, 64, 66, 68, 79, 110 და აგრეთვე წს 42, 43, 102 (2), 126 (შდრ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 10, 12—14, 16—17).

თხზულების პირველი ნაწილის შინაარსი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ირანში ვახტანგმა დამუშავა წე 1—93, 102(2) — 132, 166—168, 269—279. აქედან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ვახტანგის მიერ საბოლოოდ რედაქტირებული წე 1—93, 102(2) — 115, რომელთა უმრავლესობა ტექნიკიმიური ხასიათის თემატური პრინციპით დაჯგუფებულ რეცეპტებს შეიცავს. თვითეული დაჯგუფება რომელიმე ცალკეული ნივთიერების ქიმიური გადამუშავების სხვადასხვა ოპერაციას აერთიანებს. ვახტანგის მიერ თვით ამ ნივთიერებების შესახებ სპეციალურად შედგენილმა აღწერითი ხასიათის პარაგრაფებმა დაჯგუფებებს ფაქტობრივად მცირე თავების სახე მიანიჭეს, რომლებიც, თანამედროვე სახელმძღვანელოების მსგავსად, ერთი განცოფილების ფარგლებში კონკრეტულ ინდივიდუალურ ქიმიურ ნივთიერებას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა გარდაქმნას განიხილავენ. ამგვარ კონკრეტულ ნივთიერებებად სახელმძღვანელოში წარმოდგენილია იმდროინდელ ხელოსნურ პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ისეთი პრეპარატები, როგორიცაა გოგირდი, ვერცხლისწყალი, გვარჯილა, დარიშხანის ოქსიდი და სულფიდი, ნიშადური, არჯასპები, სოდა, პოტაში, სუფრის მარილი და აგრეთვე ქაფური.

ამ ნივთიერებათა აღმწერ პარაგრაფებში ვახტანგი ძირითადად თვითეული მათგანის ნაირსახეობებს ასახელებს და ზოგჯერ ერთოორი სიტყვით მათ განსაკუთრებულ თვისებებს აღნიშნავს. ნივთიერებების დახსასიათების ნაცვლად მათი ნაირსახეობების წარმოდგენა ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმდროინდელი აღმოსავლური და ცალკეულ შემთხვევებში ევროპული ქიმიის პრაქტიკაშიც. ნივთიერების დამახასიათებელ ნიშნად ჯერ კიდევ ფერს ან სხვა გარეგნულ მონაცემს იყენებდნენ, რასაც, როგორც დღეისათვის ცნობილია. უმეტეს შემთხვევაში სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. ნიმუშის მოპოვების ადგილმდებარეობისა თუ დამზადების წესის მიხედვით, განსაკუთრებით კი მინარევების რაოდენობისა და ხასიათის მიხედვით, გარეგნული მონაცემები საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდნენ, რის გამოც ხშირად ძნელი იყო გარკვევა — ერთი და იმავე ნივთიერების ნაირსახეობებთან ჰქონდათ საქმე თუ სხვადასხვა ნივთიერებასთან. მიუხედავად ამისა, ღროის განმავლობაში დაგროვილი ცოდნისა და გამოცვლილების საფუძველზე ძველმა ტექნიკოსებმა მაინც შესძლეს თვითეული ნივთიერებისათვის ნაირსახეობათა გარკვეული რაოდენობის „გამოცალკევება“ და ეს ნაირსახეობები შესაბამისი ნივთიერების პრაქტიკაში არსებობის ჩვეულებრივ ფორმებად იქნა გააზრებული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველი ნივთიერების დახა-

სიათება ძირითადად მის ნაირსახეობათა ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო და ვახტანგსაც სწორედ ეს გზა აქვს არჩეული.

ვახტანგმა ული აღწერითი პარაგრაფები გოგირდით იწყება. ეს ერთადერთი აღწერითი პარაგრაფია, რომელიც დანარჩენებისაგან სათაურით და ადგილმდებარეობით განსხვავდება. თუ დანარჩენი პარაგრაფების სათაურია „ამბავი“ (მაგ., „ამბავი ზირნიხისა“, „აწყანიშადურის ამბავი ვიწყოთ“ და ა. შ.) და თვითეული მათგანი შესაბამისი ქვეგანყოფილების დასაწყისშია მოყვანილი, აქ გვაქვს სათაურად „ცნობა გოგირდისა“ და პარაგრაფი გოგირდთან დაკავშირებული ქვეგანყოფილების თითქმის ბოლოშია მოქცეული. საინფორმაციო მასალაც ისეთი სახით არის წარმოდგენილი, რომ აღნიშნული პარაგრაფი ბოლოსიტყვაობის შთაბეჭდილებას უფრო სტოკებს, მაშინ როდესაც დანარჩენ პარაგრაფებს აშეარად შესავლის ფუნქციები ეკისრებათ. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ დასაწყისში ვახტანგს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოო სახით შემუშავებული მასალების სისტემატიზაციის ის სქემა, რომლითაც მან მოგვიანებით მოძევნო პარაგრაფებისათვის იხელმძღვანელა.

პარაგრაფში მოყვანილი ცნობის თანახმად, გოგირდს 4 ბუნებრივი ნაირსახეობა შეესაბამება (ქარვისფერი, ყვითელი, „მოშაო“ და თეთრი). ზოგიერთი წყაროს მიხედვით ვახტანგი წითელ გოგირდსაც ასახელებს, მაგრამ მის არსებობაში თვითონვე ბოლომდე დარწმუნებული არ არის. სამაგიეროდ მას არ აეჭვებს ამ ნაირსახეობის ხელოვნური გზით მიღების შესაძლებლობა („ქიმიანიც გააკეთებენ წითელს“). სწორედ ამასთან დაკავშირებით წიგნში მოყვანილია ორი პარაგრაფი (ფტ 15, 122), სადაც პრაქტიკული წესები არის შემოთავაზებული სავსებით რეალური წითელი შეფერილობის გოგირდის და არა გახმაურებული ალქიმიური წითელი გოგირდის მისაღებად, რომელიც აღმოსავლური ალქიმიური ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. ყურადღებას იქცევს ვახტანგის შენიშვნა ყვითელ ნაირსახეობასთან დაკავშირებით. ეს სახეობა „ბევრ რიგია: ზოგი ნაჭერია, ზოგი მგრევალი და გრძელია, ზოგი სხვა რიგისა, მაგრამ ამ ყვითელს ყველას ერთი ხსრათი აქვს“. იმ დროს, როდესაც გარეგნული ფორმა ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობდა ნივთიერებათა იდენტიფიცირებისას და ხშირად ერთი და იმავე ნივთიერებების ფხვნილი, მასიური ნატეხი ან ფურცლოვანი ფორმა სხვადასხვა ნივთიერებად აღიქმებოდა. ვახტანგის ეს მითითება, რომელიც ნიმუშების ერთნაირი შემადგენლობით ხსნის მათი ქიმიური თვისებების („ხასიათის“) ერთსახოვნებას, უდავოდ დასაფასებელი და საგანგებო აღნიშვნის ღირსია. რაც შეეხება ვახტანგის ბოლო შენიშვნას „რაც

ზეთი რომ დაგვიწერია, ამ ყვითელის მეტი სხვა არ ვარგა და არ-  
ყად — თეთრიც კარგია“, აქ უკვე აშენად ჩანს მთელი პარაგრა-  
ფის — როგორც ერთგვარი ბოლოსიტყვაობის დანიშნულება.

შესავლის მაგიერ პარაგრაფში წარმოდგენილია ნიშადურის  
სამი ნაირსახეობა. ამათგან ერთი — თვითნაბადია, ხოლო დანარჩენი  
ორი კი — ხელოვნური. ამ უკანასკნელთა სახელწოდება მათი დამამ-  
ზადებელი ქალაქებიდან მომდინარეობს („ისპაპანის ნიშადური“ და  
„ლაპურის ნიშადური“) და თავისებური გამართლებაც აქვს გარეგ-  
ნული მონაცემების თვალსაზრისით: ისპაპანის ნიშადური, რომელსაც  
მოსაკალად ხმარობენ, თეთრია, ხოლო ლაპურისა — „მინასავით გას-  
ჭვირს და ლიბრია“ (§ 16).

აღწერით პარაგრაფებში დასახელებულია ორი ნივთიერება,  
რომელთაც ნაირსახეობები არ გააჩნიათ. „გვარჯილის“ (თანამედროვე  
ტერმინოლოგიით — კალიუმის გვარჯილის) იდენტიფიკაციისათვის  
ვახტანგი კრიტერიუმად ფაქტობრივად ქიმიურ მეთოდს იძლევა,  
რაც უკვე თავისთავად გამორიცხავდა გარეგნულ მონაცემებზე დამ-  
ყარებული ყალბი ნაირსახეობების არსებობას. ამიტომაც პარაგრაფში  
ლაპუნურად არის აღნიშნული: „გვარჯილა მარტო ერთი რიგია, თო-  
ფის წამლათ რომ გააკეთებენ“ (§ 26). გვარჯილისაგან განსხვავებით,  
ვერცხლისწყლის გარჩევას არავითარი კრიტერიუმი არ სჭირდება.  
ამიტომაც, აღწერით პარაგრაფში ვახტანგი მისი მიღების წყაროებზე  
ამახვილებს ყურადღებას. ძირითადად ვერცხლისწყალი მოიპოვება  
როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური სინგურიდან („ქანიდამეც ვა-  
მოვა, სინგურიდამეც გამოვა“). ვახტანგისათვის ცნობილია აგრეთვე  
ვერცხლისწყლის თვითნაბადი ფორმით არსებობის ფაქტიც. აქვე ის  
მოიხსენიებს ევროპელი ექიმის მიერ ადამიანის სისხლისაგან ვერცხ-  
ლისწყლის გამოყოფის ფაქტს — შემთხვევას საკმაოდ უნიკალურს,  
მაგრამ პრაქტიკის ისტორიაში სავსებით რეალურ მოვლენას (იხ. მაგ.,  
მელნიკოვი, გვ. 331).

„ზირნიხი“ ორი ნაირსახეობით არის წარმოდგენილი — წითელი  
ზირნიხით, ე. ი. რეალგარით ( $AsS$ ) და ყვითელი ზირნიხით, ე. ი.  
აურიპიგმენტით ( $As_2S_3$ ). პირველის ქვესახეობებია — „იაგუნდის  
ფერი“, „მქრაქალი“ და „ქვიანი და მიწიანი“, მეორისა კი — „მართა-  
ლი ზირნიხი“, „ვარაყი ზირნიხი“ და „მისრული ვარაყი“. ამ უკანას-  
კნელისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ მას „ხავის ფურცელსა-  
ვით ოქროსფერი ასქერება“ (§ 34). ამ შემთხვევაში ვახტანგი ყურად-  
ღებას ამახვილებს იმ უჩვეულო ფორმაზე, რომელიც მართლაც გა-  
აჩნიათ ფურცელოვანი კრისტალების მქონე ზოგიერთ თვითნაბად ნიმუ-  
შებს (იხ. მაგ., ჰესი, გვ. 357). დარიშხანის შემცველ კიდევ ერთ ნივ-  
თიერებას — „მარგომუშქს“ ანუ ქართულად „თაგვის წამალს“ ეძღვნე-

შა აღწერითი პარაგრაფი. დასახელებულ ორ, თეთრ და ყვითელ ნაირსახეობიდან პირველი უდავოდ დარიშხანის უანგს ( $\text{As}_2\text{O}_3$ ) შეესაბამება. რაც შეეხება მეორეს, ის შეიძლება სინათლეზე რეალგარის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ყვითელ აურიპიგმენტისა ( $\text{As}_2\text{S}_3$ ) და თეთრი დარიშხანის უანგის ( $\text{As}_2\text{O}_3$ ) ნარევს შეადგენდეს. ამ ნაირსახეობებთან დაკავშირებით ვახტანგი აღნიშნავს, რომ მათი „ქანი“ ირანსა (ხორავანის პროვინციას) და ევროპაში „(საფრანგეთში)“ მოიპოვება და რომ ეს ნივთიერება საწამლავს წარმოადგენს.

სახელმძღვანელოს რედაქტორებულ ნაწილში ვახტანგი არჯას-კებს შაბს უწოდებს. გამონაკლისს მხოლოდ ერთი პარაგრაფი წარმო-აღენს (§ 48), მაგრამ მას თუ რედაქტორებული ნაწილის ერთ-ერთ ბოლო პარაგრაფს (§ 105) შევუდარებთ, ირკვევა, რომ იმ პერიოდში ვახტანგი „არჯასპა“ და „შაბს“ ერთი და იმავე ცნების გამომხატველ ტერმინად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ აღნიშნულ პარაგრაფში სიტყვა არჯასპი შეცვლილია შაბით (§ 41). დასახელებულია შაბის ოთხი ნა-ირსახეობა: თეთრი, ყვითელი, მწვანე ანუ „ყიბრუსი“ და წითელი ანუ „ყულყანდი“. ამ სახელწოდებებით ნაგულისხმევი აღიერები ხში-რად იცვლებოდნენ და ამიტომაც მათი შესატყვისების მყარად მითი-თება გაძნელებულია. ვარაუდის ფარგლებში თეთრი ნაირსახეობა უნდა გულისხმობდეს ალუმინის სულფატს ( $Al_2(SO_4)_3$ ) ან თეთრ შაბს ( $KAl(SO_4)_2 \cdot 12H_2O$ ), ყვითელი—რკინის (III) სულფატს ( $Fe_2(SO_4)_3$ ), მწვანე—რკინის (II) სულფატს ( $FeSO_4$ ) ან სპილენზის (I) სულფიდს ( $Cu_2S$ ) და წითელი—ისევ რკინის (III) სულფატს ( $Fe_2(SO_4)_3$ ).

მომდევნო ორი პარაგრაფი ასევე ვახტანგს ეკუთვნის. პირველ-ში ზოგადად მითითებულია შაბებიდან (ე. ი. არჯასპებიდან) „არაყის“, ე. ა. გოგირდმუავას მიღების წესი, რომელიც გამოსახდელ პარატში არჯასპების თერმულ დამუშავებას ითვალისწინებს. ალქიმიკოსებ-თან ჩატარებულ სამუშაოებში მხოლოდ ერთხელ მოიხსენიება არჯას-პებიდან გამოხდილი მუავა (§ 105), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვახტანგს ეს მეთოდი პრაქტიკულად ათვისებული არ ჰქონდა. მიუხედა-ვად ამისა, მას საჭიროდ ჩაუთვლია სახელმძღვანელოში ამ მე-თოდის მოხსენიებაც. წარმოლდენილი პარაგრაფი ნამდვილად რომ მის მიერ არის დაწერილი, ეს თვით პარაგრაფის ზოგადი ხასიათიდან ჩანს (§ 42). ამავე დროს ამ პარაგრაფის უშუალო გაგრძელებას წარმო-ადგენს მომდევნო პარაგრაფიც (§ 43), რომელიც ვახტანგს ეკუთვნის. აქ საკითხის დასმის სახით, რაზეც სათაურიც კი მიუთითებს („შაბი-ამანის საქმე“), ვახტანგი გამოთქვამს ეჭვას, რომ პრეპარატი „შაბიამა-ნი“, რომელიც წამლებში გამოიყენება („წამლებში გაერევა“), გა-

მოხდისას ისეთივე შედეგს გამოიღებს, როგორც არჯასპი („ვეჭვობ, ეს რომ დანაყო და შაბსავით გამოხადო, შაბსავით გამოვიდეს“).

ეს შემთხვევა ერთ-ერთი ტიპიური მაგალითია იმისა, თუ რა არევ-დარევა შექმნდა იმდროინდელ ქიმიურ წარმოდგენებში ტერ-მინოლოგიის: მოუწესრიგებლობას. ვახტანგი ტერმინ „შაბიამანს“; როგორც ეს არ-რაზის ფრაგმენტის თარგმანიდან ჩანს, „თუთიის“, ე. ი. ცინკის უანგის ცნებასთან აიგივებდა (§ 167-ში „თუთიის“ — როგორც სპარსულ-არაბულ ტერმინს ის ასე თარგმნის: „თუთიია, რომელ არს შაბიამანი“). მეორეს მხრივ, თვით სახელწოდებაში („შაბიამანი“) შაბის მოხსენიება უკვე იმაზე მიუთითებდა, რომ ეს ნაერთი შაბების კლასს ეკუთვნოდა. შაბები კი გახურებისას „არაყს“ ანუ მუავას იძლეოდნენ. როგორც ეტყობა, ვახტანგისათვის ცნობილი იყო, შესაძლოა პრაქტიკულადაც, რომ თუთიის უანგი გახურებისას დისტილატს არ გამოყოფს.

პარაგრაფს „ბორის“, ანუ ქართულად, „ბორაკის“ შესახებ ერთ-დროულად აღწერითი და სამუშაო ფუნქციები ენიჭება (§ 57). აქ მოყვანილია სამი ნაირსახეობა: ერთი, რომელსაც ოქრომჭედლები ხმარობენ, მეორე — თურქული („ურუმული“) და მესამე ე. წ. „ბორის სარმასტი“. პირველი ორი, ვახტანგის აზრით, ბალახისაგან მზადდებოდა და, მაშასადამე, პოტაშისა და სოდის ნარევს შეიცავდა (ბალახისაგან დამზადება თავისთავად გულისხმობს ამ ბალახის დაწვით მიღებული ნაცრის წყლით გამოტუტვას, მიღებული თხევადი ფაზის აორთქლებას და წარმოშობილი მყარი ფაზის კალცინაციას). მესამე ნაირსახეობის იდენტიფიცირება სამწუხაროდ ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ისიც ან ასეთივე ნარევი იყო ან შესაძლოა მართლაც ბორაკს წარმოადგენდა. ეს პარაგრაფი იმითაც იძყრობს ყურადღებას, რომ მეორე ნაწილში „ბორის ზეთის“ მიღებასთან დაკავშირებით ვახტანგი საერთოდ ზეთების მიღების განზოგადებულ სქემებს იძლევა.

„ბორისაგან“ განსხვავებით, ტერმინი „კალია“, რომელსაც ასევე საგანგებო აღწერითი პარაგრაფი ეძლვნება, გულისხმობს გარკვეულ ნივთიერებებს. ვინაიდან ისიც მცენარეულობის ნაცრისაგან მზადდებოდა, საერთოდ თვლიან, რომ მის ძირითად მასას პოტაში შეადგენდა. თუმცა ანგარიშგასაწევია გ. ფესტერის შენიშვნაც, რომლის თანახმად „კალია“ სოდასაც შეიცავდა, ზოგჯერ უპირატესი რაოდენობითაც, ვინაიდან ტუტის შემცველი მცენარეულობა ჩვეულებრივ მარილიან ნიადაგზე იზრდება (ფესტერი, გვ. 95). ვახტანგის თანახმად, „კალიას“ ერევანში, ისპაპანში და ქართლში, იალლუჯის მთაზე ამზადებლნენ. ამ ფაქტს მოგვიანებით ვახუშტიც აღნიშნავს და ზოგადად „კალიის“ დამზადებისა და გამოყენების საკითხსაც ეხება („აქა არს ბალახი კალია, რომლის

ძირს დასწევენ და ნაცრითა მისითა აღულებენ საპონსა უმჯობესსა — ვახუშტი გვ. 328).

ნაირსახეობიდან ვახტანგი ასახელებს შავსა და მოთეთრო „კალიას“, რომელთაგან პირველი აშკარად ნაცრის ერთჯერადი გადამუშავებით მიღებული ე. წ. „ნედლი პოტაშია“, ხოლო მეორე — პირველის მეორეული გახსნისა და ხელმეორე გამოშრობის შედეგად მიღებული გაწმენდილი პროდუქტი. გარდა ამისა, პარაგრაფში მოყვანილია ორი შენიშვნა, რომელიც დახმარებას გვიწევს სახელმძღვანელოს შედგენასთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალის გარკვევაში. კერძოდ, ორ ნაირსახეობასთან დაკავშირებით ვახტანგი აღნიშნავს, რომ ისინი „აქ ისპაანს არი“, ხოლო კალის შემდგომი გადამუშავების პროდუქტის — ე. წ. „კალის მარილის“ შესახებ ის საგანგებოდ მიუთითებს პარაგრაფის ბოლოს, რომ „ამისი მარილის დაჭრა ხომ ზეთ დაგვიწერია“, ე. ი. მხედველობაშია სახელმძღვანელოს დასაწყისში მოყვანილი რიგით მესამე პარაგრაფი („გაკეთება კალის მარილისა“), რომლის ადგილი ტექსტში, როგორც ჩანს, სახელმძღვანელოს სქემის შემუშავებამდე განისაზღრა. მოგვიანებით, როდესაც „კალის“ აღწერითი პარაგრაფი დაიწერა, რაც თავისთავად „კალისადმი“ მიძღვნილი ქვეგანყოფილების შედგენასაც გულისხმობდა, ვახტანგი ამ შენიშვნით ნაადრევად განწესებულ პარაგრაფის ახალი ქვეგანყოფილების კუთვნილებად აცხადებს. რაც შეეხება ის პაპანის მოხსენიებას, ასევე აშკარად ჩანს, რომ ქერ კიდევ ამ ქალაქში ყოფნისას, ე. ი. 1714 წ. მარტამდე ვახტანგს არა მარტო აღქიმიკოს მასწავლებლებთან კურსის გავლა მოუსწრია, არამედ სახელმძღვანელოც უკვე რედაქტირებული ფორმით 64-ე პარაგრაფამდე მიუყვანია.

ვახტანგის მიერ წარმოდგენილი ჩვეულებრივი მარილის ნაირსახეობათა კლასიფიცირებას განსხვავებული კრიტერიუმები უდევს საფუძვლად (§ 66). „ყიზილბაშისა“ და „ყალზევანის“ მარილების სახელწოდება მოპოვების ადგილსამყოფელიდან მომდინარეობს, „ხაშური“ და „ქვამარილი“ კი წარმოშობის კრიტერიუმს ითვალისწინებს („ხაშური“ სულხან-საბას მიხედვით „მლაშე წყლის მარილი“-ა, ორბელიანი, IV(2), გვ. 417). ყურადღებას იქცევს „ყალზევნის“ (აღზევნის) მარილის საბაზოს დასახელება, რომლითაც უძველესი ღროილან სარგებლობდა ქართველი მოსახლეობა. საინტერესოა აგრეთვე ცნობა ინდური წითელი ქვამარილის შესახებ, რომელიც ბუნებაში მართლაც არსებობს და მისი ფერი მინარევების შემცველობით არის განპირობებული (იხ. მაგ., ჰესი, გვ. 197).

აღწერითი პარაგრაფი ეძღვნება ქარსაც, რომელსაც ვახტანგი „თალხს“ უწოდებს (§ 79). წარმოდგენილია ორი ძირითადი ნაირსა-

ზეობა — თეთრი და ყვითელი ქარსი. არსებობს „მოშაო“ ქარსუ, შაგრამ ვინაიდან ის გახურებისას ყვითლდება, ვახტანგი მასაც ყვითელ ნაირსახეობად თვლის. თეთრი „რუსეთიდამ მოვა“, ხოლო შავი „ქაშანს“ არის. ვახტანგი ასახელებს ქარსის ერთ-ერთ ნიმუშს, რომელიც, ჩტყობა, იმდენად ყვითელი იყო („დიალ ყვითელი“), რომ ჩვეულებრივი ყვითლისაგან მკვეთრად გამოიჩინდა. მრავალრიცხოვანი კონსულტაციების მიუხედავად, ვახტანგმა ვერ შესძლო დაედგინა — ბუნებრივ თუ ხელოვნურ ნიმუშთან ჰქონდა საქმე. აქვე ვახტანგი გვამცნობს, რომ ალქიმიკოსების მტკიცება ქარსის გადნობის ანუ „გაწყალების“ შესაძლებლობის შესახებ, მის მიერ მრავალი ცდებით იქნა შემოწებული, მაგრამ ყოველგვარი შედეგის გარეშე („ბევრი ვეცადე და არ იქნა“).

აღწერითი თავი მიუძლვნა ვახტანგმა ქაფურსაც, რომელიც, ზემოთ განხილული ნივთიერებებისაგან განსხვავებით, ერთ-ერთ ორგანულ ნაერთს წარმოადგენს (§ 37). თვით ქაფური, ვახტანგის განსაზღვრით, ხის ფისია (ფისებში ის ხეებისაგან „ნაღვენთ“ და გამყარებულ მასებს გულისხმობს). ის ცნობილია მხოლოდ ორი ნაირსახეობით, რომელთაგან ვახტანგი მხოლოდ ერთს ე. წ. „ჯოვდანას“ ახასიათებს. ეს უკანასკნელი „მარილის თვალსავით გასჭვირს, წვრილი იქნება“, გამოიყენება წამლებისათვის და უფრო ძვირიც ლირს. ამ პარაგრაფში საყურადღებოა ვახტანგის ცნობა ქაფურის ხის შესახებ: „ამისი ხე მეც მქონდა, რომ ზედ ესხა“. აქედან ჩანს, რომ ვახტანგს თბილისში ამ კულტურის დამკიდრება უცდია და, როგორც ეტყობა. წარმატებითაც, ვინაიდან ბევრგან საქართველოში ეს ხე უნაყოფოა.

ზემოთ აღნიშნული აღწერითი პარაგრაფები, როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის მიერ არის შედეგილი და ამიტომაც თვითეულ მათგანში აშკარად იგრძნობა სწავლული მეფის ხელწერა. აღზევანის მარილის საბადო. იალღუჯაზე კალიის დამზადება, ქაფურის მსხმოიარე ხე ქართლთან დაკავშირებულ მომენტებს ითვალისწინებს. გარდა ამისა, ბუნების „საკვირველებისაღმი“ (წითელი ქვამარილი, ბუნებრივი წითელი გოგირდი, ყვითელი თალხის განსაკუთრებული ნიმუში და ან თუნდაც სისხლიდან ვერცხლისწყლის გამოყოფის ფაქტი) ინტერესი, როგორც ამას შემდგომშიც ვუჩვენებთ, სწორედ ვახტანგის ცნობის-მოყვარე ნატურისათვის იყო დამახასიათებელი. 1

თვითეულ ასეთ პარაგრაფში წარმოდგენილ ნივთიერებაზე გარკვეული ინფორმაციის მიღების შემდეგ მკითხველს საშუალება ეძლეოდა იმავე ქვეგანყოფილების ფარგლებში გასცნობოდა მოცემული ნივთიერების ქმიური გადამუშავების სხვადასხვა მეთოდს.

ვინაიდან ყოველ ქვეგანყოფილებაში თითქმის ერთი და იგივე გადამუშავების მეთოდები არის წარმოდგენილი, ჩვენც ამ მეთოდების განხილვით შემოვიტარგლებით.

ნივთიერებების ქიმიური გადამუშავების ერთ-ერთ სახეობად ქვეგანყოფილებებში წარმოდგენილია მათი გაწმენდის ოპერაცია, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (წწ 20, 21, 27, 28, 36, 38), კერძოდ, ნიშადურისათვის, ორივე სახის ზირნახისათვის, ქაფურისათვის მოყვანილია სუბლიმაციის მეთოდი (წწ 20, 36, 38, ნიშადურისა და გვარჯილისათვის — კრისტალიზაციის მეთოდი (წ 21, 27) და გვარჯილისათვის — გადადნობის მეთოდი (წ 28).

ქვეგანყოფილებებში წარმოდგენილი მასალების ძირითადი ნაწილი ახალი ქიმიური ნაერთების მიღებაზე მოდის. ყველა ეს ნაერთი ვახტანგის ტერმინოლოგიით „არაყებს“ ან „ზეთებს“ განეკუთვნება. ტერმინი „არაყი“ ყოველგვარ დისტილატს გულისხმობს, რომელიც ნებისმიერი ნივთიერების ან ნარევის გამოხდით მიიღება. ამასთან, თუ დისტილატი ქიმიურად აგრესიული სითხეა ან საერთოდ გამოიჩინება თვისებების სიმკვეთრით, მას მეორე სახელწოდებაც აქვს „თეზაბის“ სახით. ეს უკანასკნელი ამავე დროს კრებით სახელწოდებასაც წარმოადგენს და აღნიშნავს ყველა აგრესიულ სითხეს, მათ შორის ტუტებსაც. რაც შეეხება „ზეთებს“, გარეგნული ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე, იმ დროს მათ რიცხვს მიაკუთვნებდნენ არა მარტო ჩვეულებრივ მცენარეულ და ცხოველურ ზეთებს, არამედ ზეთებისაგან ქიმიურად განსხვავებულ, მაგრამ კონსისტენციით მათ მსგავს ნაერთებს. ვახტანგი „ზეთის“ ცნებას კიდევ უფრო ფართო გაუტენის ხელის და მას მაღამოსმაგვარი კონსისტენციის მქონე რბილ სხეულებზედაც ავრცელებს.

ნივთიერებების გამოხდის რეცეპტებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მუავების მიღების რეცეპტი. გოგირდისა და შაბის ქვეგანყოფილებებში მოყვანილია გოგირდმჟავას მიღების იმ დროისათვის ცნობილი მეთოდი გოგირდის დაწვითა და არჯასპის გამოხდით. გამოყენებული ნივთიერებების მიხედვით პირველ დისტილატს „გოგირდის არაყი“ ეწოდება, მეორეს კი — „შაბის არაყი“ (წწ 8, 42). სხვადასხვა თანაფარდობის გვარჯილისა და თეთრი არჯასპის („თეთრი შაბის“) ნარევის გახურებით ორი სახის აზოტმევა გამოიხდება — „გვარჯილის თეზაბი“ და „ზარაფხანას თეზაბი“ (წწ 30, 31). ეს უკანასკნელი, რეცეპტის თანახმად, „ოქროს ვერცხლს დაადნობს, დაფერილს ოქროს გაარჩევს“, ვ. ი.: 1. ოქროს მინარევ ვერცხლს გახსნის (აფინაურის კლასიკური სველი მეთოდი, რომელიც უმთავრესად ზარაფხანებში გამოიყენებოდა) და 2. დაადგენს — საგანი ნამდვილ ოქროს თუ მოოქროებულ („დაფერილს ოქროს“) იმიტაციას წარმოადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე მარილმევას („მარილის არაყის“)

დამზადების რეცეპტიც (§ 67), მაგრამ აქ, ეტყობა, მარილთან ერთად სხვა აუცილებელი კომპონენტის (მაგ. არჯასპის ან შაბის) დასახელებაა გამორჩენილი, რის გამოც რეცეპტი პრაქტიკულად განუხორციელებელია.

რამდენიმე პარაგრაფი ეძღვნება ნიშადურის „თეზაბსა“ და „არაყს“ (წე 17—19, 25). „ნიშადურის თეზაბი“ — ნიშადურის გვარგილასთან ან გვარგილის და „ზღვის ქაფის“ (სეპიოლიტის —  $2\text{MgO} \cdot 3\text{SiO}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ ) ნარევთან ერთობლივი გამოხდის პროდუქტი მარილმუავასა და აზოტმუავას ნარევს უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება „ნიშადურის არაყს“, რომელიც ნიშადურის „ზღვის ქაფთან“ ან მინის ფხვნილთან<sup>2</sup> ერთობლივი გამოხდის შედეგად მიიღება, აქ საჭმეუნდა გვქონდეს ნიშადურის სპირტთან. როგორც ვხედავთ, ამ პარაგრაფში სრულიად განსხვავებული ნაერთები მიიღება, მაგრამ გადასამუშავებელი ნივთიერებების ძირითადი კომპონენტისა და გადამუშავების მეთოდის, ე. ი. გამოხდის მიხედვით ყველა პროდუქტის ერთნაირი სახელწოდებები აქვთ მიკუთვნებული. გამონაკლისს არ წარმოადგენს ე. წ. „რკინისა და ნიშადურის არაყიც“, რომლის რეცეპტიც სახელმძღვანელოს სხვა ნაწილშია წარმოდგენილი (§ 76). ეს „არაყი“, ნიშადურისა და რკინის ფხვნილის ნარევის გამოხდის პროდუქტი, ნიშადურის სპირტთან ერთად რკინის ქლორიდისაც შეიცავს, მაგრამ მის სახელწოდებაში რკინის მოხსენიება მაინც გამოსახდელ ნარევში რკინის არსებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მოუმეტეს, რომ აქ 1 „წონა“ ნიშადურზე 3 „წონა“ რკინის ფხვნილი მოდის. შეიძლება ამიტომაც ნარევში რკინის უფრო ნაკლები შემცველობისას (50%), გახურებით მიღებულ დისტილატს უკვე „მარტინიშადურის არაყი“ ეწოდებოდა (§ 121).

ყურადღებას იძყრობს კალის ოთხქლორიდის ხსნარის მიღების მეთოდი, რომელშიც წინასწარ დამზადებული კალის ამალგამისა და სულემის ( $\text{HgCl}_2$ ) ნარევი გამოიხდება (§ 74). აქაც საწყის ნარევში ვერცხლისწყალია და ამდენად პროცესი განაპირობებს პროდუქტის სახელწოდებას: „ვერცხლისწყლის არაყი“.

„არაყების“ კლასში შედის „ქაფურის არაყიც“, რომელიც ცალკე ქაფურის ან ქაფურისა და თეთრი არჯასპის („თეთრი შაბის“) გამოხდით მიიღება (§ 40). პირველი ვარიანტი საეჭვო ჩანს, ხოლო მეორეთი კი არ არის გამორიცხული, რომ გახურებისას არჯასპის ზე-

<sup>2</sup> XVIII ს. დასაწყისისათვის და საერთოდ ადრეულ პერიოდში მინები ტუტების ჭარბ რაოდენობას შეიცვლენ. ასე რომ, მინის ფხვნილის სახით ნარევში ფაქტობრივად ტუტე შეპქონდათ (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 42—43).

მოქმედებით ქაფური დაშლას განიცდიდა და დაშლის თხევადი პრო-  
დუქტები დისტილატის სახით გამოიყოფოდნენ აპარატის მიმღებში.

„არაყების“ მსგავსად დიდი ადგილი ეთმობა სახელმძღვანელო-  
ში „ზეთებს“, რომელთა უმრავლესობა ჰიგროსკოპული ნივთიერე-  
ბების თავისთავადი ან იძულებითი განთხევის (распыливание) შედე-  
გად წარმოქმნილი სიროტასმაგვარი კონსისტენციებია, თავისი სიბლან-  
ტით ზეთების მსგავსი.

„ზეთების“ მიღების რეცეპტები გვასწავლის მათი მიღების ერთსა  
და იმავე მეთოდს, როცა საწყისი ნივთიერების დამუშავება საჭიროა  
მწვავე ტუტით („საპნის წყლით“ ან „საპნის თეზაბით“) ან ჩამქრალი  
კირით. ორივე შემთხვევაში მიღებული თხევადი ნარევი გამოიხარშე-  
ბოდა სითხის სანახევროდ აორთქლებამდე, იფილტრებოდა და ფილ-  
ტრატში ხელმეორედ გამოიხარშებოდა შესქელებამდე. გამოხარშვის  
პროცესში დაშვებული იყო „მარილებად“ წოდებული მყარი პრო-  
დუქტებს წარმოქმნაც, რომლებიც მაღალი ნესტიანობის გარემოში  
შეტანისას კვლავ აღვილად გარდაიქმნებოდნენ „ზეთებად“.

აღნიშნული მეთოდი უდავოდ ყურადღებას იქცევს სხვადასხვა  
ქიმიური ნაერთის მისაღებად ტუტე რეაგენტების ფართოდ გამოყე-  
ნების თვალსაზრისით და იმითაც, რომ „ზეთების“ სახით ამ დროს  
მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაერთები მიიღებოდა.

ამ გარემოებას ჩვენც იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ძველ ქიმი-  
ურ ლიტერატურაში ქიმიური გარდაქმნებისათვის ტუტე რეაგენტე-  
ბის გამოყენება საკმაოდ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა.

„ზეთების“ კონკრეტული სახეობებიდან პირველ რიგში უნდა  
აღინიშნოს „ბორის ზეთი“. ვახტანგისეულ აღწერით პარაგრაფში ბო-  
რის შესახებ (§ 57), ნაირსახეობების წარმოდგენის შემდგომ, ვახტან-  
გი ბორასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „თუ ამისი ზეთი გინ-  
დოდეს; სხვები, რომ დაგვიწერია, კირით, თუ უკიროთ, ისე გამოხა-  
დე“. წინა პარაგრაფებში „სხვებისათვის“ მართლაც დაწვრილებით  
და სათითაოდ არის აღწერილი „კირით ან უკიროთ“ „ზეთის“ მიღე-  
ბის მეთოდები<sup>3</sup>, ხოლო ვახტანგის მითითებაში, როგორც აღრე აღვ-  
ნიშნეთ, ისინი უკვე ზოგადი მეთოდების რანგში არიან ტრანსფორ-  
მირებული. რაც შეეხება საკუთრივ ბორასაგან (ე. ი. პოტაშის და  
სოდის ნარევისაგან) „ზეთის გამოხდას“, ამ შემთხვევაში აშკარად  
ორი სხვადასხვა შემადგენლობის, მაგრამ ერთნაირი სახელწოდების  
პროდუქტი მიიღება. ჩამქრალი კირის გამოყენებისას, მიმოცვლის რე-

<sup>3</sup> ყველა ასეთ პარაგრაფში გამოხარშვისა და ფილტრაციის პროცესებისათვის  
გროვნაირი რეაქტორი და ხელსაწყოფბით მითითებული (იხ. მაგ. წყ. 5, 6, 23, 32, 33,  
35, 56).

აქციის ხარჯზე ხსნარში ნატრიუმის და კალიუმის ტუტეების ნარევი წარმოიქმნება, რომელიც ხელმეორე გამოხარშვის ღროს სქელდება და ბლანტ ზეთს ემსგავსება. წყლის ბოლომდე აორთქლებისას მასა მყარდება და „მარილის“ სახეს იღებს (ძალზე ყურადსაღები ფაქტია, ვინაიდან, ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, იმ ღროს ჯერ კიდევ არ იცოდნენ ტუტის დამზადება მყარი სახით — იხ. ფიგუროვსკი, რეცეპტები, გვ. 264). მეორე წესით, ე. ი. „უციროთ“ დამუშავებისას, რაც რეცეპტების მონაცემების თანახმად, „საპნის წყლის“ გამოყენებას გულისხმობს, პოტაში და სოდა ცვლილებას არ განიცდის, მაგრამ „საპნის წყლიდან“ შეთვისებული ტუტის წყალობით ნარევი უკვე ადვილად განითხევა.

პარაგრაფში, რომელშიც ჩამქრალი კირის ხსნარით ნიშადურის დამუშავება არის რეკომენდებული, „ნიშადურის ზეთი“ ადვილად განთხევად პროდუქტს — კალციუმის ქლორიდს წარმოადგენს (§ 23).

„გვარგილის ზეთის“ მომზადების ორი რეცეპტია. პირველი რეცეპტის მიხედვით წინასწარ გვარგილისა და, „თორთის“, ე. ი. ლვონის ქვის (კალიუმის ჰიდროტარტრატის —  $KHC_4H_4O_6$ ) ერთობლივი გადაღნობით მიიღება კალიუმის ნიტრატისა და კარბონატის ნარევი, რომელიც შემდეგ მუშავდება „საპნის წყლით“ (§ 32). მეორე რეცეპტი კი ჩამქრალი კირითა და „საპნის წყლით“ უშუალოდ გვარგილის გადამუშავებას ითვალისწინებს. ცხადია, რომ პირველი პროდუქტი ადვილად განთხევადი იქნება, ვინაიდან უკელა მის ცალკეულ კომპონენტს — კალიუმის ნიტრიტს, კარბონატს და ტუტეს თავისთავად მკვეთრად აქვთ გამოსახული ეს თვისება, მეორე პროდუქტში კი გვარგილის განთხევას ტუტისა და, შესაძლოა, კალციუმის ნიტრატის მცირე მინარევების არსებობა განაპირობებს.

რეცეპტების ერთ წყებაში მოყვანილია დარიშხანის ნაერთების გარდაქმნა ზეთოვან პროდუქტებად. „ზირნიხის ზეთი“, რომელშიც კალციუმის, ნატრიუმისა და კალიუმის არსენიტების და თიოარსენიტების ხსნარი იგულისხმება, მიიღება ზირნიხის (რეალგარის ან აურიპიგმენტის) ჩამქრალი კირით ან ჩამქრალი კირისა და „საპნის წყლის“ ნარევით დამუშავებისას (§ 35). „მარგიმუშკის ზეთისათვის „გამოიყენება „საპნის წყალი“, რომელიც მარგიმუშკთან (ე. ი. დარიშხანის ჟანგთან) ურთიერთქმედებისას კალიუმისა და ნატრიუმის არსენიტების ხსნას იძლევა (§ 53). სხვა რეცეპტში ტრადიციული ტუტე რეაგენტის ნაცვლად რეკომენდებულია აზოტმჟავასა და მარილმჟავას ნარევის გამოყენება. დარიშხანის ჟანგის ამ ნარევთან ურთიერთქმედების რეაქციას ხშირად იყენებდნენ უფრო გვიანდელ ევროპულ პრაქტიკაში დარიშხანის მეავას ( $H_3AsO_4$ ) ხსნარის მისაღებად, რომელიც შემდგომ გამოხარშვის შედეგად ადვილად განთხევად კრისტა-

ლურ მდგომარეობაში გადადიოდა (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 65—66). გოგირდის ქვეგანყოფილებაში ყურადღებას იქცევს „გოგირდის ზეთების“ მრავალსახეობა. სრულიად განსხვავებული ქიმიური შედგენილობის მიუხედავად, მათი სახელწოდებებისათვის გადამწყვეტი როლი ითამაშა ამოსავალი წივთიერების იგივეობაში და საბოლოო პროდუქტების ზეთისმაგვარმა მდგომარეობამ. აღსანიშნავია, რომ ვახტანგი ამ სახელწოდებების მიხედვით შესაბამის ნივთიერებებს ერთმანეთთან არ აიგივებს. ეს აშკარად ჩანს მისი ერთი გამონათქვა მიღან, რომლის თანახმადაც ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ერთსახელიანი ნაირსახეობების კონკრეტიზაციას და ამასთან დაკავშირებით აუცილებლად თვლის სახელწოდებასთან ერთად პროდუქტის მიღების წესის მითითებასაც (§ 128).

ორ რეცეპტში გოგირდის ზეთის დასამზადებლად გვირჩევს დაწვრილმანებული გოგირდის გამოხატვას მწვავე ტუტის ან ჩამქრალი კირის ხსნარში (და 5, 6). პირველ შემთხვევაში მიიღება კალიუმის ან ნატრიუმის პოლისულფილებისა და თიოსულფატების ნარევი, რომელიც ძველ ლიტერატურაში „გოგირდის ლვიძლის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. მეორე შემთხვევაში პროდუქტი უკვე კალიუმის პოლისულფილებისა და თიოსულფატების მარევს წარმოადგენდა, და „გოგირდის ლვიძლის“ ანალოგით, „გოგირდკირიანი ლვიძლის“ სახელწოდებას ატარებდა.

თუ ამ რეცეპტებით მიღებული პროდუქტები ადვილად განთხევადობის ხარჯზე აქმაყოფილებდნენ „ზეთის“ ცნებას, მესამე რეცეპტით, რომელიც ბუნებრივი გოგირდის ჰერმეტულ ჭურჭელში გახურებას ითვალისწინებს, როგორც ეტყობა, უკვე ნამდვილი ზეთი გამოიხდებოდა (§ 7). ლიტერატურაში ცნობილია მსგავსი ფაქტი, როდესაც გოგირდის გამოხდისას, მინარევების ხარჯზე მიმღებში ნავთობისმაგვარი ორგანული ზეთი წარმოიქმნა (ლუბავანი, I, გვ. 176).

კიდევ ერთ პარაგრაფში, რომელიც ჩვენ აღრე განვიხილეთ, გოგირდის დაწვით გოგირდმჟავას მიღების მეთოდის აღწერის შემდგომ, მოყვანილია „გოგირდის ზეთის“ დამზადების საინტერესო მეთოდი (§ 8). კერძოდ: საჭიროა ნელ ცეცხლზე განზავებული გოგირდმჟავას ხსნარის ორთქლება, რის შედეგად წყალი ორთქლდება და მიიღება ბლანტი კონცენტრირებული გოგირდმჟავა („რაც ცუდი წყალი აქვს დაიშრობს და მოსქე შეიქმნება“). სახელწოდება „გოგირდის ზეთი“, დღემდე შემორჩენილი „არჯასპის ზეთის“ მსგავსად, სწორედ პროდუქტის სიბლანტით არის განპირობებული.

განხილული ქვეგანყოფილებების გარდა სახელმძღვანელოს რედაქტირებულ ნაწილში წარმოდგენილია კიდე ერთი განყოფილება,

საღაც თავმოყრილია სხვადასხვა ხელოვნური ქიმიური ნაერთების, კერძოდ რკინის, ტყვიის და სპილენძის ოქსიდების, სპილენძისა და ვერცხლისწყლის ოქსიდებისა და სულფიდების და ა. შ. პრეპარა-ტული დამზადების რეცეპტები.

უანგაროსა და რკინის ოქსიდებს მიღება შესაბამისი მეთოდებით — ლითონების ფხვნილის ძმრით ან აზოტმჟავათი დამუშავების მსგავსი ოპერაციებით ხდება. ამის გარდა მოყვანილია რკინის უანგის დამზადებს მეორე ხერხი, რომლის მიხედვითაც რკინის ფხვნილის დაუანგვას მისი ნესტიან გარემოში შეტანით ახორციელებენ (წე 44—46). სინგურის მიღების ორი მეთოდია. პირველის მიხედვით: ჯერ ვერცხლისწყლისა და გამდნარი გოგირდის ურთიერთურებულებით სინგურის შავი ნაირსახეობა მიღება, მეორე სტადიაზე კი ამ ნაირსახეობის აქროლებით — წითელი სინგურის სუბლიმატი (წ. 47). მეორე მეთოდით სინგური მზადდება ვერცხლისწყლის, გოგირდის, არჯასპის („არჯასპი“) და სუფრის მარილის ნარევის აქროლებით. თუ საბოლოო პროცესში ხარისხით დამაკმაყოფილებელი არ არის, მას ხელმეორედ აქროლებენ არჯასპისა და მარილის უკვე ახალ პორციებთან ნარევში (წ. 48). სურინჯის დასამზადებლად ჯერ გამდნარ ტყვიას ღია ჭურჭელში მასიკოტამდე ( $PbO$ ) უანგავენ, შემდეგ კი ამ უკანასკნელის დახურულ ჭურჭელში გახურებით სასურველ პროცესში იღებენ (წ. 49).

ორი მეთოდია წარმოდგენილი სულემის დასამზადებლად (წე 50—51). პირველი მეთოდით აქროლებენ ნარევს, რომელიც ვერცხლის-წყალს, წინასწარ გამომწვარ არჯასპს („შაბს“) და მარილს შეიცავს. მიღებული სულემის („დარიშკანის“) ხარისხის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია განმეორებითი მრავალჯერადი აქროლება. მეორე მეთოდის მიხედვით თერმულ დამუშავებას განიცდის ვერცხლის-წყლის, არჯასპის („შაბის“), მარილის და გვარჯილის ნარევი, რის შედეგადაც სულემის („დარიშკანის“) აქროლებასთან ერთად დამატებითი პროცესში სახით გამოიხდება „თეზაბი“ (აზოტოვანი მეავა). ორივე მეთოდი ზოგადად და დეტალებში დიდ მსგავსებას იჩენს იმ დროს ევროპულ პრაქტიკაში გავრცელებულ ე. წ. ვენეციურ და პოლანდიურ მეთოდებთან. ამ პარაგრაფების გარდა კიდევ ერთ პარაგრაფში მოყვანილია „დარიშკანის“ დამზადების წესი, რომელიც აზოტმჟავაში ვერცხლისწყლის გახსნას და მიღებული ხსნარის მზეზე აორთქლებას ითვალისწინებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიღებული „დარიშკანა“ ვერცხლისწყლის სხვა ნაერთს — ვერცხლისწყლის ნიტრატს წარმოადგენს (წ. 53). ამავე განყოფილებას შეიძლება მრეკუთვნოს სამი პარაგრაფი ე. წ. „ლახოსტაკის“ (ე. ი. სპილენძის სულფილი) მიღების წესახებ. საბოლოო პროცესში მისაღებად ვათვა-

ლისწინებულია სპილენძისა და გოგირდის ან გოგირდშემცველი ნაერთის (ზირნიხის ან სინგურის) ერთობლივი მაღალტემპერატურული გამოწვა ჰერმეტულ ჭურჭელში (ფს 58—60).

ამ განყოფილებაში წარმოდგენილი პარაგრაფების უმრავლესობა გამოირჩევა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობითა და მასალის გადმოცემის სრულყოფილებით. შუალედური სტადიების მკაფიოდ გამოყოფა და მათი დაწვრილებითი აღწერა, რასაც თან ახლავს პრაქტიკული ხასიათის სასარგებლო შენიშვნები, მკითხველს საშუალებას აძლევს ადგილად გაიმეოროს პარაგრაფში განხილული ოპერაციები. სწორედ ამ სახის რეცეპტებია მოცემული XVIII ს. და უფრო გვიანი დროის ევროპულ ქიმიურ სახელმძღვანელოებში. გამოყენებული მეთოდების მსგავსება, გადმოცემის ერთნარი სტილი და მოცულობა გვაფიქრებინებს, რომ ეს განყოფილება ვახტანგმა ისპაპანში მყოფი ევროპელი მრავილერებისაგან მოწოდებული მასალების საფუძველზე შეადგინა.

ვახტანგის მიერ სახელმძღვანელოს სისტემატიზაციის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს ს 110 დართული გრაფიკული ილუსტრაციებითურთ. ეს პარაგრაფი უშუალოდ ვახტანგის მიერ არს დაწერილი და სპეციალურად იმ ხელსაწყოებსა და პროცესებს განიხილავს, რომლებიც წინა პარაგრაფებში ფიგურირებდნენ. მართალია, რაოდენობრივად აქ ძალზე მცირე ნაწილია მოყვანილი, შავრამ თვით ის ფაქტი, რომ ქიმიური ოპერაციები და ხელსაწყოები ცალკე განხილვის საგნად არის წარმოდგენილი, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. აშასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგს ისეთი ობიექტი აქვს შერჩეული, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება პარაგრაფებში.

როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, პარაგრაფების უმრავლესობა „ზეთების“ და „არაყების“ მიღებას ეძღვნება. ზეთებთან დაკავშირებით გამოიყენებოდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ოპერაცია — სისტემიდან წყლის მოცილება აორთქლებით და პირიქით, სისტემაში წყლის შეტანა ტენიან გარემოში მყარი ნაერთის განთხევის პროცესის ხარჯზე. სწორედ ამ პროცესებს მოიხსენიებს ვახტანგიც, უფრო ზუსტად, ის ამ პროცესების შედეგად მიღებულ პროდუქტს განმარტავს და აეტომატურად თვით პროცესების არსაც ეხება. აორთქლების ბოლომდე მიყვანის შედეგად მიღებულ პროდუქტს ის არაბული და ქართული სახელწოდებებით გვაცნობს („თაყდირი“ და „დაშრობილი“). „დაშრობილის“ შესალებად, ხსნარი, ვახტანგის თანახმად: უნდა „ცეცხლით ამდენი ხარშო, რაც წყალი ქონდეს დაიშროს და ყურსსავოთ დარჩეს, ქართულად დაშრობილი ჰქვიან“. აქ აღნიშნული არ არის, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ თუ აორთქვლის

(„ხარშეის“) პროცესს ბოლომდე არ მივიყენთ და მას ხსნარის შესაქელებისას შევწყვეტთ, მაშინ „დაშრობილის“ ნაცვლად „ზეთი“ მიიღება. რაც შეეხება უკუპროცესს, ე. ი. განთხევას, ვახტანგის თანახმად, მას ადგილი აქვს სპეციალურ თერმოსტატში („ჰელში“), რის გამოც თვით განთხეულ პროდუქტსაც „ჰელი“ ეწოდება<sup>4</sup>, ქართულად კი „ნეხვნახული“. (თერმოსტატის მთავარ ელემენტს დასველებული ნეხვი შეადგენდა, რომლის ლპობის შედეგად გამოყოფილი სითბოს ხარჯზე წყალი ორთქლდებოდა და „ჰელში“ მაღალ ტენიანობას უზრუნველყოფდა).

განთხევას ვახტანგი უშუალოდ არ განმარტავს, მხოლოდ „დაშრობილის“ განმარტებისას აღნიშნავს, რომ აორთქვლის ოპერაცია ჰელიდან ამოღებულ ობიექტზე ვრცელდება, რაც ერთგვარად მნიშვნელოვანია ჰელში ობიექტის განთხევა-გაწყლიანებისათვის. გაცილებით მყაფიოდ ჰქონდა ვახტანგს ეს პროცესი ახსნილი № 22-ში, სადაც უკვე სათაურშივე ის „[3]ალს“ ქართულად „თვითწყალს“ უწოდებს, ხოლო ტექსტში აღნიშნავს, რომ ცხენის ნეხვში შეტანილი ნიშადური რამდენიმე ხნის შემდეგ „გაწყალდება“.

„დაშრობილის“ და „ნეხვნახულის“ გარდა ვახტანგს მოჰყავს სუბლიმატის — არაბულად „თასყიდის“, ხოლო ქართულად „ყელს მიკრულის“ განმარტება. ეს განმარტებაც მხოლოდ ექსპერიმენტულ ფაქტს აღწერს: „მინაში რამ ჩაყარო და ყელში ავრცეს და მიეკრას, ქურაზე დადგმით ქართულად ამას ყელს მიკრული ჰქვიან“.


პარაგრაფში საინტერესოა აგრეთვე ორი რეცეპტი „ბრძნელი თიხის“ დამზადების შესახებ, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ქიმიურ პრაქტიკაში ხელსაწყოების და დანადგარების ჰერმეტიზაციისათვის, მინის ჭურჭლების დაფარვისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მინის დასკდომა მაღალ ტემპერატურებზე და ა. შ. აქვე მიუთითებს ამ პარაგრაფის განმაზოგადებელ ხასიათზე: „საცა რომ სწერია შემომიწვა, მინისა და ფიალისა, თუ მიწით დაჭერა, ამითი უნდა ქნა“.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვახტანგი „ჰელის“ ორმოს. რომელიც ერთდროულად ტენის გენერატორისა და თერმოსტატის ფუნქციებს ასრულებდა. მუშა მასალად ერთ შემთხვევაში „ფეინი“ (ნეხვი), ხოლო მეორე შემთხვევაში ფერნისა და ჩაუმქრალი კირის („წყალუკრავი კირის“) ნაჩევია დასახელებული, რომელთა მოქმედებაში მოსაცვანად წყლით დასველებაა საჭირო.

პარაგრაფის ტექსტი მთავრდება ლაბორატორიული ღუმელის

<sup>4</sup> ზოგიერთი პარაგრაფის მონაცემის თანახმად, შეიძლება უფრო სწორი იყოს ფორმა „ჰალი“, რომელიც არაბულად „გახსნას“ ნიშნავს (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 41).

(„ქურის“) აღწერა-განმარტებით. აქვე, ლუმელთან დაკავშირებით მითითებულია ილუსტრაცია („როგორც ეს სახე არის“), რომელიც უშუალოდ აგრძელებს პარაგრაფის შინაარსს (ჩ. სურ. 15 და, 16). ლუმელი წარმოდგენილია როგორც საღისტილაციო დანადგარის ერთერთი დეტალი. ორივე ნახაზზე გრაფიკული ენითა და სათანადო განმარტებითი მინაწერებით აღწერილია ეს საღისტილაციო აპარატი, თანაც გარკვეული წესის დაცვით: ჯერ თანამიმდევრულად. სათითაოდ გამოსახულია დანადგარის ყველა დეტალი, ხანდახან ცალკეული შეერთების ჩვენებით და ბოლოს მთლიანად აწყობილი დანადგარისა წარმოდგენილი.



სურ. 15. გამოსახდელი დანადგარის ნახაზი „ქიმიის“ წიგნიდან

ლუმელის ნახაზთან მინაწერებია: „ქურის სახე“ და „მინა“ (ე. ი. კოლბა), რაც არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. ლუმელის გვერდით, ზედა მწკრივში, გამოსახულია გამოსახდელი სითხის საცავი კოლბის თავსახური-თალფაქი ხორთუმისმაგვარი სარინით, რომ-

ლის საშუალებითაც ხდება გამოხდის პროცესში წარმოქმნილი კონდენსატის შემკრებ კოლბაში გადაყვანა. მინაწერის თანახმად („ამბუზის სახე“) ამ დეტალს „ამბუზი“ ეწოდება და შემდგომში ჩვენც ამ ტერმინით ვისარგებლებთ. ოღანიშნავია, რომ პარაგრაფში ვახტანგი ხშირად მთელ გამოსახდელ აპარატსაც ამბუხს უწოდებს. ამბუხის გვერდით ცალკე კოლბა არის გამოსახული („მინის სახე“), რომელიც შეიძლება გამოსახდელი სითხისათვისაც იქნეს გამოყენებული და კონდენსატის მისაღებადაც.


სურათის შუა რიგში ამბუხისა და კოლბების აწყობის პრინციპული სქემაა მოცემული. შესაბამის ინფორმაციას იძლევიან მინაწერებიც ამბუზთან: „ამბუზედ მრნა როგორ დაედგმის“ და შემსრებ კოლბასთან: „ამაში არაყი ჩადის“.

მესამე რიგში კოლბის დამცავი საშუალებებია გამოსახული. კოლბის ლუმელში ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად, „ბრძნული თიხისაგან“ კეთდება მრგვალი ნახვრეტიანი ფირფიტა, რომელიც კოლბის ყელს შემოეჭდობა და „ბრძნული თიხითვე“ მაგრდება კოლბაზე. ამ კონსტრუქციის გვერდებისა და ფირფიტის ზედნედს ერთი განმარტება აქვს მიწერილი: „ამას, ერთ მგრგვალს ტალახს გააკეთეა ბენ, ამგვარად ვით ეს, ბრძნულის თიხისასა. ამბუხს ქვეით მინას ჩამოაცმენ“. იმავე რიგის ბოლოს მოყვანილია „შემომიწული“ კოლბის ნახაზი წარწერით: „მინის შემომიწვა აქამდინ უნდა“.

სურ. 16-ზე, რომელიც წინა სურათის შინაარსს აგრძელებს, პირველ რიგში გამოსახულია გამოსახდელი მოწყობილობის მთლიანი ნახაზი, თანაც ორ ვარიანტად. პირველი ვარიანტით კოლბა სანახევროდ არის ჩაშვებული ლუმელში და, როგორც ეტყობა, ლუმელის ზედა ხვრელის ნაპირს იმ ფართო ნაწილით ეყრდნობა, რომელიც ამ ხვრელში ვერ გაეტევა. ნახაზზე უნებლიერ შეცდომაც არის დაშვებული: ამბუხის ხორთუმისმაგვარი სარინის ანუ, როგორც ვახტანგი § 112-ში უწოდებს — ამბუხის ლულის წვერი შემკრები კოლბის ყელზე უფრო ფართოა. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, აქ თიხის დამცავი ფირფიტის საშუალებით კოლბა მთლიანად არის ჩაკიდებული ლუმელის სილრმეში. მინაწერები ასეთია: პირველი ვარიანტისათვის — „ქურაპედ ამბუხი ასე უნდა“, ხოლო მეორე ვარიანტისათვის — „რომ მინა ქურაში არ ჩაძერეს, როგორც აქ არის“.

ბოლო ნახაზზე ისევ გამოსახდელი დანადგარია წარმოდგენილი, მხოლოდ აქ კოლბის ნაცვლად ქოთანია გამოყენებული, რის შესახებ მინაწერიც იუწყება: „ქოთნით თეზაბის გამოხდა ასეა“. ეს ნახაზი მომდევნო 111-ე პარაგრაფის ტექსტის მიხედვით არის შექმნილი. აქ თმის გამოხდასთან დაკავშირებით დაწვრილებით არის აღწერილი თუ როგორ შეიძლება დანადგარში კოლბის ნაცვლად ჩვეულებრივი ქო-

თნის გამოყენება (ქოთნის პირის დრამეტრის ტოლ ქაშანურის ფიალაში ამბუხის პირის დიამეტრის ტოლი ნახვრეტი კეთდება და „ბრძნული თხის“ გამოყენებით ეს „გადამყვანი“ დეტალი ქვაბს ამბუხთან აკავშირებს). პარაგრაფის მიხედვით კონკრეტულად „ბეჭ-“



სურ. 16. გამოსახდელი დანადგარის მეორე ვარიანტის ნახაზი „ქიმიის“ წიგნიდან

ვის „არაყისათვის“ გათვალისწინებული ეს კონსტრუქცია ვახტანგმა ნახაზზე უველა „თეზაბისთვის“ განაზოგადა.

110-ე და 111-ე პარაგრაფებით მთავრდება ორანის პერიოდის

მასალების სისტემატიზებული და რედაქტირებული ნაწილი. დანარჩენი პარაგრაფები შინაარსის მიხედვით არაერთგვაროვანია და მთელ რიგ შემთხვევებში ბოლომდეც არ არის დამუშავებული. აქ წარმოდგენილ ალქიმიურ რეცეპტებს (წე 118—120, 125—126, 128, 131—132) უკვე არ ერთვის ვახტანგისეული სპეციალური შენიშვნები. ზოგიერთი მათგანი დამთავრებულიც არ არის, ან რომელიმაც უფრო ვრცელი რეცეპტის ფრაგმენტს წარმოადგენს. მათ შორის უურადღებას იქცევს საკუთრივ ვახტანგის მიერ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ადრე შედგენილი ალქიმიური რეცეპტი. რეცეპტის დანიშნულება ნათელი არ არის, ვინაიდან ტექსტი აშკარად წყდება მორიგი ქიმიური ოპერაციის აღწერის შემდგომ. რეცეპტი საყურადღებოა მხოლოდ ერთი მხრივ. აშკარაა, რომ რეცეპტის ვახტანგი ცდების მოხედვით ადგენდა. მასში მოყვანილი ისეთი ოპერაციები, როგორიც არის ზირნიხისა და ნიშადურის აქტოლება, „დარიშხანის ზეთის“ მომზადება სულემისა და მწვავე ტუტის ურთიერთმოქმედებით და სხვ., ვახტანგმა კიდევ ერთხელ გაიმუორა ექსპერიმენტულად. ეს ფაქტი ერთობ დამახასიათებელია ვახტანგის შემოქმედებითი ნატურისათვის, რომელიც ალქიმიურ ლაბირინთებშიც კი, საკუთარი გზის მონახვას ცდილობს.

წმინდა ალქიმიური პარაგრაფების გარდა, მთელ რიგ პარაგრაფებში წარმოდგენილია რეცეპტები, რომლებიც თუმცა ისევ ალქიმიური წიალიდან მომდინარეობენ, მაგრამ რეალური პრაქტიკული გამოსავლიანობა მათ ტექნიკიმიური რეცეპტების გვერდით აყენებს. ასეთ რეალურ პროცესებს განეკუთვნება: ქარსიდან მინისმაგვარი ნივთიერებების მიღება, ბუნებრივი გოგირდისა და რეალგარის ურთიერთქმედებით წითელი გოგირდის დამზადება, გოგირდისა და ნიშადურის ურთიერთქმედებით ამონიუმის გოგირდოვანი ნაერთების მიღება, აქტოსთვის სიმყიფის მინიჭება ტყვეის მინარევის შეტანით, აქტოს შენადნობების დამზადება ვერცხლის და სპილენძის კომპონენტებით (წე 116, 122—124, 130) და სხვ.

ძალზე მსგავსი და, ვფიქრობთ, ერთი წყაროდან მომდინარე რეცეპტების ჯგუფში (წე 112—114) აღწერილია გოგირდის, ზირნიხის (აურიპიგმენტის) და ბორას (ალბათ პოტაშისა და სოდის ნარევის) „ნამდვილი ზეთების“ მიღების წესები. წყლის არეში ამოსავალი ნივთიერებების ხანგრძლივი და მრავალჯერადი გალესვა და აორთქვლის პროცედურების ჩატარება, მექანიკურ-ქიმიური ან მსგავსი რეაქციების ხარჯზე შესაძლოა მართლაც იძლეოდეს ზეთისმაგვარ პროდუქტებს. მითუმეტეს, რომ ნიმუშები მინარევებს შეიცავენ და, ამას გარდა, ცალკეულ ეტაპებზე კვალიფიციურად აღწერილი პროცესები სრულ ნდობას იმსახურებენ.

პარაგრაფში „კალის გაყვითლება“ (§ 129) მოყვანილია ქიმიურ პრაქტიკაში ფართოდ ცნობილი „ფორტალის“ დამზადების წესი, რომელიც გოგირდის, ნიშადურისა და წინასწარ ამაღვამებული კალის ნარევის გახურებით კალის დისულფიდის (S<sub>2</sub>P<sub>2</sub>S) სუბლიმატის მიღებას ითვალისწინებს. მოცუმული რეცეპტი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თანაპროდუქტების (ნიშადურის, სინგურის და სხვ.) აქროლების შემდგომ, მყარ ნარჩენს განსაკუთრებული სახეობის არჯასპი (ე. ი. „ზაჭი მახმარი მისრული“) ემატება და ნარევი თავიდან ხურდება.. ცხადია, რომ იმავე შედევის მიღება შეიძლებოდა უცნობი არჯასპის გარეშეც, რომელიც შესაძლოა ძირითად კომპონენტში სითბოს თანაბარი განაწილების მიზნით გამოიყენებოდა.

აღნიშნული პარაგრაფების გარდა ირანულ პერიოდს მიეკუთვნება სახელმძღვანელოს სხვა ნაწილებში მოხვედრილი ზოგიერთი რეცეპტი (წე 166—168; 269—279). აქედან რამდენიმე პარაგრაფი (წე 270, 272, 274, 275) წმინდა ალქიმიური შინაარსისაა. უფრო მეტ ყურადღებას დანარჩენი, ძირითადად პრაქტიკული დანიშნულების რეცეპტები იქცევენ. ორ პარაგრაფში არაორგანული სალებრების — ლახოსტაკისა და უანგაროს შემცვლელებად რეკომენდებულია შესაბამისად „სპილენძის ფერფლი, კვერის ნაცემობით ჩამოცვივნული“ (ე. ი. სპილენძის უანგი) და სპილენძის აზოტმჟავაში გახსნით მიღებული სპილენძის ნიტრატი (წე 269, 277). პრაქტიკული რჩევების სფეროს მიეკუთვნება რეცეპტები მავნე მწერებისა და ქვეწარმავლებისაგან დასაცავად და მელოტობის („სიქაჩლის“) თავიდან ასაცილებლად (წე 166, 279). სუფრის მარილისა და თოვლის ურთიერთშერევით მიღებული მაცივებელი ნარევი (წ278) დღესაც პრაქტიკულად გამოიყენება ლაბორატორიულ ტექნიკაში. ქათმის ძვლების მშრალი გამოწით რეკომენდებულია ზეთოვანი სითხის მიღება, რომელიც ცხოველური ზეთების კლასს განეკუთვნება (§ 276).

რამდენიმე პარაგრაფში საინტერესო ქიმიური გარდაქმნები არის აღწერილი. გოგირდის საშუალებით კალციუმის პოლისულფიდების მიღებას და შემდეგ სისტემიდან ისევ თავისუფალი გოგირდის გამოყოფას (ამორფული სახით) ეძღვნება პარაგრაფი „გოგირდის მარილი“ (§ 271). მეორე პარაგრაფში განხილულია ვერცხლისწყლის უანგის სუბლიმატის მიღება რამდენიმე შუალედური სტადიის საშუალებით: ვერცხლისწყალი იხსნება აზოტმჟავაში, მიღებული ხსნარის აორთქვლით წარმოიშვება ჯერ ვერცხლისწყლის ნიტრატი და შემდეგ უანგი, რომლის თეთრ არჯასპთან („თეთრ შაბთან“) გახურებით მიიღება ამ უანგის სუბლიმატი (§ 273). ნიტრატიდან წარმოქმნილი ვერცხლისწყლის უანგის წარმატებით სუბლიმირებისათვის სასურველია ფრთხილი გახურება (მელნიკოვი, გვ. 41) არჯასპის საშუალებით (როგორც

ზემოთ მოხსენიებული კალის დისულფიდისათვის, ისევე ამ შემთხვევაშიც, სინჯში ლოკალური გადახურების თავიდან ასაცილებლად არჯასპის ფხვნილი სითბოს თანაბარი გადამტანის როლს უნდა თამაშობდეს).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი პარაგრაფი (წწ 167—168), რომელიც გამოჩენილი არაბი ალქიმიკოსს აბუ ბაქრ მუჰამედ იბნ ზაქარია არ-რაზის (865—925) სახელთან არის დაკავშირებული. თავის თხზულებაში „საიდუმლოებათა წიგნი“ ხელოსნური ქიმიისა და ალქიმიის სხვადასხვა მეთოდების აღწერასთან ერთად არ-რაზიმ პირველად ქიმიის ისტორიაში შემუშავა ნივთიერებათა კლასიფიკაციის სქემა, რომელიც მე-18 საუკუნემდე ერთადერთ სქემას წარმოადგენდა. სხვათა შორის, ამ სქემას საქართველოში ჯერ კიდევ XIII ს. დასაწყისში გაეცნენ „წიგნი სააქიმოხს“ მეშვეობით (წიგნი საქმოხ, გვ. 12).

ხუთი საუკუნის შემდგომ ვახტანგმა კლასიფიკაციის სქემასთან დაკავშირებული ტექსტი უკვე მთლიანი სახით გადმოთარებულია. როგორც ქართული ტექსტის დედანთან შედარებამ გვიჩვენა, ის „საიდუმლოებათა წიგნის“ მთელ I განყოფილებასა და II განყოფილების საწყის ფრაგმენტებს მოიცავს (შდრ. როუსკა, გვ. 82—93).

ქართული ტექსტი ფაქტობრივად სიტყვასიტყვით მიჰყება დედნისეულ ტექსტს, ზოგიერთი უზუსტობები, რომლებიც ქართულ ტექსტში შეიმჩნევა, ძირითადად გადამწერის შეცდომებთან არის დაკავშირებული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეცდომები ნაწილობრივ ვახტანგისეული ჩანაწერების თავისებურებებიდან გამოდინარეობს. ვინაიდან სამუშაო და შავ ჩანაწერებში ვახტანგი სათაურებს ჩვეულებრივ ცალკე კი არ გამოჰყოფდა, არამედ ტექსტის საწყის სტრიქონშივე იძლეოდა (ამის შესახებ იხ. ნუსხა E—121), ხშირად გადაწერისას სათაურის გამორჩევა ტექსტიდან არ იყო აღვილი (მითუმეტეს, რომ იმ დროს სასვენი ნიშნების გამოკვეთილი სისტემა ჯერ არ არსებობდა). თუ ამ უზუსტობებს გავითვალისწინებთ და ამასთან ტექსტს ი. როუსკას მსგავსად განყოფილებებად, თავებად და პარაგრაფებად დავყოფთ, მაშინ ორ პარაგრაფში (წწ 167—168) გაერთიანებული მასალა შემდეგ სახეს მიიღებს:

I განყოფილება — „ცნობა რაც რომ ფერის წამლისა, რაც მი-

5 ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს ნივთიერებათა ნაცნობი დაყოფა 3 ძირითად კლასად (მინერალური, მცუნარეული და ცხოველური წარმოშობის კლასებად). თვით კლასიფიკორის სახელი ქართული ფორმით არის წარმოდგენილი — „მოჰამედ ზაქარიას შე“, რომელშიც უდავოდ მუჰამედ იბნ ზაქარია არ-რაზი უნდა ვიგულისხმოთ.

წისაგან, ბალახისაგან ან პირუტყვისაგან და ფრინველისაგან გამოვა“.  
საერთოდ სათაურში დედნის მიხედვით უნდა ყოფილიყო მარტო  
„ცნობა რაც რამ ფერი წამლისა“, მაგრამ ახტანგმა, როგორც ჩანს,  
აქვე ნივთიერებები 3 ძირითად კლასად დაჭყო.

I განყოფილების პირველ თავში მოყვანილია მინერალური („მი-  
წის“) კლასის ქვესახეობებად დაყოფა. წინადადება „რაც მიწისაგან  
გამოვა ვ(6)“, რომელიც შეცდომით საერთო სათაურის დაბოლოებას  
წარმოადგენს, სინამდვილეში ს 1-ში უნდა ყოფილიყო წარმოდგენი-  
ლი. ამ წინადადების უშუალო გაგრძელებას და იმავე ს 1-ის კუთვ-  
ნილებას წარმოადგენს ტექსტის პირველი აბზაცი („ერთი არვა, რ' ლ  
არს სული... მ[ე]ქვესე ბორაკი“), რომელშიც მოყვანილია მინერა-  
ლური კლასის 6 სახეობა: „სული“ (ე. ი. აქროლადი ნაერთები),  
ხორცი<sup>6</sup> (მყარი სხეული, კონკრეტულად ლითონები), ქვები, არჯას-  
პი, ბორაკი და მარილი. წე 2—7 სათითაოდ ამ 6 სახეობას ეძღვნება  
და თოთოეული მათგანის ნაირსახეობებს აღნუსხავს.

მეორე თავი მინერალური კლასის ექვსივე სახეობის ყველაზე  
საუკეთესო ნიმუშებს აღწერს. ამ თავის სათაური „ამათო ცნობა,  
რ' ლიც კარგია“ გადამწერს ისევე ტექსტში დაუტოვებია, როგორც  
ვახტანგს ჰქონდა (იხ. ვახტანგ VI, ქიმია, გვ. 164), რაც გადაწერილი  
ვარიანტისათვის, რასაკვირველია, მიუღებელი ჩანს. ამ თავში წე 8—  
11 აქროლად ნაერთებს „სულებს“ ეძღვნება, ს 12—ლითონებს,  
ს 13—26 — ქვებს, ს 27—36 — არჯასპებს, წე 37—40 — ბორაკებს  
და წე 41—47 — მარილებს. ქართულ გამოცემაში თვითეულ პარაგ-  
რაფს ერთ აბზაცში მოყვანილი მასალა შეესაბამება და ქვეთავის სა-  
თაური მხოლოდ ბორაკებისათვის არის სინგურით საგანგებოდ გა-  
მოყოფილი (იხ. ვახტანგ VI, ქიმია, გვ. 164—167; 168—171). გამო-  
დის, რომ ქართულ ტექსტში 168-ე ნომრით წარმოდგენილი პარა-  
გრაფი — „ამბავი ბორაკისა“ მხოლოდ ბორაკს შეეხება. სინამდვილე-  
ში, ბორაკის და მარილის ქვეთავების გარდა, აქ მოყვანილია პროვე-  
ლი განყოფილების მეორე თავის უკანასკნელი მეშვიდე ქვეთავი და  
მეორე განყოფილების პირველი თავის საწყისი პარაგრაფები. მე-  
შვიდე ქვეთავის სათაური, რომელიც დედნის მიხედვით არის „სხეა  
მასალების შესახებ“, ქართულ ტექსტში გამორჩენილია და ქვეთავი  
უშუალოდ ტექსტით იწყება: „ესენი ორი რიგი არიან: ერთი თბე,  
ერთი თბეს გარდა“<sup>7</sup>. ეს წინადადება 48-ე პარაგრაფს ეკუთვნის, რო-

6 მყარი სხეულის ცნების აღსანიშნავად გამოყენებული ეს არც თუ ისე და-  
მაკმაყოფილებელი ტერმინი ვახტანგმა შემდგომში „თბეთი“ შეცვალა.

7 ს — 3721, ფ. 51г; ტექსტის გამოცემაში შეცდომითაა „გარდა“ ნაცვლად  
„გარეთი“. (იხ. ვახტანგ VI, ქიმია, გვ. 171).

შელშიც მოყვანილია წარმოებული ნივთიერებების დაყოფა წარმოებულ-სხეულებად (წარმოებულ-ლითონებად) და წარმოებულ-არა-სხეულებად (წარმოებულ არალითონებად). პირველ სახეობას მიეკუთვნებიან ლითონის შენაღნობები, ხოლო მეორეს ხელოვნურად მიღებული სულფიდები და ჟანგეულები. № 49 და 50-ში აღწერილია შესაბამისად მცენარეული და ცხოველური კლასების ნარჩსახეობები, ქართული ტექსტის ბოლო ფრაგმენტი კვლავ სათაურის გარეშეა. დედნის მიხედვით აქ ჯერ მეორე განყოფილების საერთო სათაური („რის ცოდნა არის საჭირო ხელსაწყოების შესახებ“) და შემდეგ პირველი თავის სათაური („ლითონის დასაღნობი ხელსაწყოების შესახებ“) უნდა ყოფილიყო მოყვანილი. ამის სანაცვლოდ ტექსტი პირდაპირ იწყება ცნობით, რომ ხელსაწყოები ორი ტიპის არსებობს: ერთი — ლითონების დაღნობისათვის და მეორე — მასალების ქიმიური დამუშავებისათვის. შემდეგ ზოგადად ჩამოთვლილია პირველი ტიპის ხელსაწყოები და ერთ-ერთი მათგანის — „ბარბუთის“ აღწერის შემდგომ ტექსტი მოულოდნელად წყდება (დედნის მიხედვით ეს მასალა № 1—3-ს შეესაბამება. იხ. რიცხვები, გვ. 92—93). იქვე დართულია შენიშვნა: „ამას კვეთ ნუსხას აკლია“ და შემდეგ დაუწერავად თითქმის ნახევარი გვერდი არის დატოვებული<sup>8</sup>. ვისგანაც არ უნდა მომდინარეობეს აღნიშნული მანიპულაცია — ვახტანგისაგან თუ გადამწერისაგან, ერთი რამ ცხადია: ამგვარი შენიშვნა მხოლოდ სამუშაო ჩანაწერებთან დაკავშირებით თუ შეიძლებოდა გაჩენილიყო. მართლაც, ტექსტში ხშირად გვხვდება ასეთი ჩანაწერისათვის დამახასიათებელი დეტალები: სპარსულ-არაბული ტერმონების სიმრავლე, აშკარად არაქართული წყობის წინადადებები, გამოტოვებული ადგილები შემდგომში დაზუსტებული ქართული შესატყვისების ჩასაწერად და ა. შ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ლითონების ჩამოთვლასთან დაკავშირებული ერთი თავისებურება. ხელნაწერში პირველ ორ ლითონს — ოქროსა და ვერცხლს მიწერილი აქვს მათი ტრადიციული სიმბოლური ნიშნები, ხოლო დანარჩენებისათვის (სპილენძი, კალა, ტყვია და სხვ.) შესაბამისი ნიშნების ნაცვლად ცარიელი ადგილებია დატოვებული<sup>9</sup>. აშკარაა, რომ ვახტანგმა თარგმნის პროცესში საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტა თვითეული ლითონისათვის შესაბამისი სიმბოლური ნიშნის გამოსახულება მიეწერა, მაგრამ ვინაიდან ეს ნიშნები ზეპირად მხოლოდ პირველი ორი ლითონისათვის ახსოვდა. დანარჩენებისათვის დროებით ცარიელი ადგილების დატოვებით დაკმაყოფილდა.

<sup>8</sup> S—3721. ფ. 51v.

<sup>9</sup> ღ 33. ფ. 47v.

თუმცა ვახტანგს არ-ჩაზის მასალების საბოლოო რედაქტირება არ დასკალდა, მაგრამ დაუმუშავებელი სახითაც მათი სახელმძღვანელოში ჩართვა უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტია, მითუმეტეს, რომ არ-ჩაზისეული, იმ დროს ჯერ კიდევ ერთადერთი კლასიფიკაციის სქემა კარგად ეხამებოდა სახელმძღვანელოში გატარებული სისტემატიზაციის პრინციპებს. ვახტანგის ამ თარგმანს თანამედროვე ეტაპზედაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია თვით არ-ჩაზის „საიდუმლოებათა წიგნის“ ტექსტის დაღვენის თვალსაზრისით, ვინაიდან დღეისათვის ცნობილი ამ წიგნის რამდენიმე ხელნაწერის ტექსტი ხშირად განსხვავებულ წაკითხვებში იძლევა.

პირველი ნაწილის ზოგიერთი თავისებურების შესახებ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის ყველა მონაცემიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ვახტანგს ის დამოუკიდებელი თხზულების სახით ჰქონდა ჩაფიქრებული. მაგრამ შემდგომში, ჯერ საქართველოში და შემდეგ რუსეთში პრაქტიკული ქიმიის სხვა დარგების გაცნობამ ავტორი დაარწმუნა სახელმძღვანელოს გავრცელების აუცილებლობაში. ვინაიდან ახალი მასალები ვახტანგმა გაგრძელების სახით შეიტანა სახელმძღვანელოში, პირველმა ნაწილმა გავრცობილ ვარიანტშიც შინაარსობრივად თავისი დამოუკიდებელი სახე შეინარჩუნა. როგორც ზემოთ განხილული პარაგრაფებიდან ჩანს, ამ ნაწილში თითქმის ყველა ის საკითხია წარმოდგენილი, რაც აღმოსავლური ხელოსნური ქიმიისა და ალქიმიის პრაქტიკულ სფეროს ახასიათებდა.

სახელმძღვანელოში ყურადღებას იქცევს ქიმიური ოპერაციების მრავალფეროვნება. რეცეპტებში ხშირად არის გათვალისწინებული გამოხდის, სუბლიმაციის, დნობის, გახსნის, ამალგამაციის, აორთქვლის, კალცინაციის, დიგერირების (გაზრდილ ტემპერატურაზე დაყენების), განთხევის და სხვ. ოპერაციები. მათ განსახორციელებლად გამოყენებულია სხვადასხვა სახის და მასალის ჯამები, თასები, ტაფები, ქვაბები, ტაშტები, სანაყები, გასალესი მოწყობილობები, საცრები, მაკრატლები, გაზები, ქლიბები, შპატელები, ამბუქები, ქსოვილის, ქალალდისა და ნაბდის ფილტრები, გასახურებელი აპარატები, ჭრაქრიდან დაწყებული ლაბორატორიული ღუმელებით დამთავრებული (მათ შორის სილის და წყლის აბაზანებიც), თერმოსტატები და სხვ. სწორედ ეს ოპერაციები და ხელსაწყოები ცნობილია აღმოსავლეთის ტრადიციული ქიმიური და ალქიმიური თხზულებებიდან, მაგრამ ამასთან ერთად შეიმჩნევა გარკვეული განმასხვავებელი ნიშნებიც, რომლებზედაც უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

ვახტანგის სახელმძღვანელოში, როგორც იყო აღნიშნული, დიდი აღვილი ეთმობა არაორგანული „ზეთების“ — უმეტეს შემთხვევაში

მდლალი კონცენტრაციის შესქელებული ხსნარების მიღებას. თუმცა ამ ზეთების მისაღებად რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული ოპერაცია გამოიყენება, სინამდვილეში ყველა მათგანი ერთ პრინციპს ემსახურება და განთხევის მოვლენასთან არის დაკავშირებული. განთხევა ჩვეულებრივ პირობებში დამახასიათებელია ზოგიერთი წყალში ხსნადი ნივთიერებებისათვის, რომლებიც ჰაერის წყლის ორთქლთან ურთიერთქმედებოთ ზედაპირზე ხსნარის თხელ ფენას წარმოქმნიან; თუ წყლის ორთქლის წნევა ამ სითხზე ჰაერში მისივე პარკიალურ წნევაზე ნაკლებია, ორთქლი ხსნარში გადასვლას განავრძობს და მყარი ნივთიერების შემდგომ გახსნას იწვევს. ეს პროცესი მხოლოდ მაშინ მთავრდება, როდესაც ხსნარის კონცენტრაცია იმდენად მცირდება, რომ მასზე წყლის ორთქლის წნევა ჰაერში წყლის ორთქლის პარკიალურ წნევას გაუთანაბრდება. ჰაერში წყლის ორთქლის შემცველობის ხელოვნური გაზრდით მკვეთრად იზრდება მისი პარკიალური წნევა, რაც ხსნარში კიდევ უფრო მეტი რაოდენობის ორთქლის გადასვლას და, რაც მთავარია, ჩვეულებრივ პირობებში მდგრადი ნაერთების განთხევას იწვევს. სწორედ ამ იძულებითი განთხევის ოპერაციას ითვალისწინებს ნივთიერების დაყენება ორმოთერმოსტატში („ჰელში“) ან სხვა გაზრდილი ტენიანობის მქონე ობიექტში („ნამიან ადგილას“, „ნამიან სარდაფში“ და სხვ.). ვინაიდან ამ გზით ყველა ნივთიერების განთხევა ზეთისმაგვარ მდგომარეობამდე: არ ხერხდება, ზოგიერთი მათგანისათვის რეცეპტებში ტუტის ხსნარით ან კირისა და ტუტის ნარევით წინასწარი დამუშავება არის რეკომენდებული. აორთქვლის შედეგად ზეთისმაგვარად შესქელებული კონცენტრირებული ხსნარის მიღებას უზრუნველყოფს ან საწყისი ნივთიერების კირ-ტუტესთან ურთიერქმედებით ახალი, განთხევისადმი მიღრეკილი ნაერთის წარმოქმნა, ან საბოლოო პროდუქტში საწყისი ნივთიერებასთან ერთად ტუტის შემცველობაც, რომლის ხარჯზეც განთხევა ნარევის სხვა კომპონენტებზეც ვრცელდება.

განთხევის ოპერაცია აღმოსავლურ ქიმიურ ტრაქტატებშიც საკმაოდ ხშირად მოიხსენიება, მაგრამ ვახტანგის „ქიმიასთან“ შედარებით გაცილებით მოკრძალებულად. თანაც ეს ოპერაცია მყარი სხეულების ე. წ. „დარბილებას“ პროცესის ბოლო ეტაპად ითვლება, როდესაც სხვადასხვა ქიმიური გარდაქმნით მიღება მარილი, რომელიც მაღალ ტენიანობაზე განითხევა (იხ. კარიმოვი, გვ. 120). ვახტანგის „ქიმიის“ მიხედვით კი განთხევის ოპერაციის მთავარ დანიშნულებას ზეთის მიღება წარმოადგენს.

სხვა ოპერაციებიდან აღსანიშნავია დაწვრილმანების ოპერაცია, რომელიც ამოსავალი ნივთიერებიდან წინასწარ ძალზე წვრილდის-ჰერსიული ფხვნილების მიღებას ისახავს მიზნად. სახელმძღვანელოს

რეცეპტებში ამ ოპერაციის ხშირი გამოყენება იმით არის განპირობებული, რომ ძირითადი ქიმიური პროცესი მყარფაზური რეაქციების ხარჯზე მიმდინარეობს და მორეაგირე მყარი კომპონენტების დისპერსულობას გადამწყვეტი როლი ენიჭება. აღსანიშნავია, რომ ორ რეცეპტში აზოტმჟავაში შეტანილი ვერცხლისწყლის დაწვრილმანებაც კი არის გათვალისწინებული (ნარევის ნჯორევის გზით), რის შედეგადაც გახსნის სიჩქარე საგრძნობლად იზრდება (§ 53,69).

ზოგადი სახის განმასხვავებელ ნიშნად უნდა ჩაითვალის აგრეთვე ის ფაქტი, რომ ალქიმიკოს-ინფორმატორების მიერ ვახტანგისადმი მიწოდებულ მასალაში, თვით წმინდა ალქიმიური შინაარსის პარაგრაფებშიც კი ფაქტობრივად არსად არ არის გამოყენებული ალქიმიური ტერმინები და გამოთქმები. განსხვავებაა შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. სახელმძღვანელოს ალქიმიურ რეცეპტებს, რომლებსაც, ასე ვთქვათ, „პრაქტიკული ალქიმიის“ ელფერი ადევთ, ჩვენ ანალოგები ვერ მოვუძებნეთ აღმოსავლურ ლიტერატურაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ტექნიკიმიურ რეცეპტებთან დაკავშირებული თავისებურებები. მათი უმრავლესობა, მიუხედავად მსგავსებისა აღმოსავლური ლიტერატურის რეცეპტებთან, დეტალებში, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, აშკარად განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება. ამავე დროს ყურადღებას იქცევს ის გარემობა, რომ სწორედ ამ დეტალებით სახელმძღვანელოს რეცეპტები მსგავსებას ამჟღავნებენ XVIII და უფრო გვიანდელი საუკუნის ევროპული ქიმიური სახელმძღვანელოების მასალებთან (აյ მხედველობაში გვაქვს ი. ერქსლებენის, ი. უკინის, პ. მაკერის და აგრეთვე ჰ. ჰესის, მ. ლიუბავინის და სხვ. სახელმძღვანელოები). გარდა ამისა, ერთობ მოულოდნელი ჩანს სახელმძღვანელოს აშკარად აღმოსავლურ პლასტში ორი ისეთი რეცეპტის არსებობა, რომელთაც ჩვეულებრივ მხოლოდ და მხოლოდ ევროპული ქიმიის შემოქმედების პროდუქტად მიიჩნევენ. § 74-ში აღწერილია ე. წ. „ვერცხლის წყლის არაყის“, ე. ი. კალის ტეტრაქლორიდის მიღების მეთოდი სულემისა („დარიშკანის“) და კალის ამაღლამის ნარევს გამოხდით. საერთოდ ამ მეთოდს გერმანელ ა. ლიბავიუსს (1540—1616) მიაწერენ, რომელმაც კალის ტეტრაქლორიდი 1597 წ. აღმოაჩინა და მას „ვერცხლისწყლის სუბლიმატის სპირტი“ უწოდა (მოვეიანებით ამ „სპირტს“ ანუ „არაყს“, „ლიბავიუსის მბოლავი არაყი“ დაერქვა). კიდევ უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს წმინდა ალქიმიური 84-ე პარაგრაფის ერთ-ერთი ფრაგმენტი. აյ ს 73-ის და აღნიშნული § 74-ის მონაცემების გამოყენების საფუძველზე, მართალია, არც მთლად გამოკვეთილად, მაგრამ მაინც აშკარად ე. წ. „კასიუსის ოქროს მეწამულის“ მიღების მეთოდია წარმოდგენილი. ეს

პრეპარატი კი, ლიტერატურული მონაცემების თანახმად, 1663 წ. იქნა მიღებული კასიუსის მიერ. ამ თავისთავად მოულოდნელ ფაქტებს მხოლოდ ის ერთადერთი ახსნა აქვს, რომ XVIII საუკუნისათვის როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ პრაქტიკაში ძირითადად ერთნაირი ტექნიკიმიური რეცეპტებით სარგებლობდნენ. გაბერის, არ-რაზის, ალ-ტიფლისის და სხვ. მიერ აღრე აღწერილმა მეთოდებმა დროთა განმავლობაში, დეტალების თვალსაზრისით პრაქტიკაში გარშვაული ცვლილებები განიცადეს, რაც, ევროპული ლიტერატურისაგან განსხვავებით, გვიანდელ აღმოსავლურ წყაროებში სათანადოდ არ აისახა. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ გვიანდელ საუკუნეებში აღმოსავლურ ქიმიურ ლიტერატურაში უშუალოდ პრაქტიკაზე დაყრდნობილი ქიმიური თხზულებები ფაქტობრივად არ დაწერილა, მაშინ როდესაც ევროპაში ამ მხრივ საქმე კარგად იყო დაყენებული. ამ ფონზე ამიტომაც დღიდი მნიშვნელობა ენიჭება ვახტანგის სახელმძღვანელოს, რომელიც, უდავოდ, XVIII ს. დასაწყისის აღმოსავლური ალქიმიური და ტექნიკიმიური პრაქტიკის ამსახველ იშვიათ წყაროებს განეკუთვნება. ე. ი. ვახტანგმა არა მარტო ქართველებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო შექმნა, არამედ ერთდროულად აღმოსავლური ქიმიური პრაქტიკის „ხელწერაც“ შემოინახა. ის ფაქტი, რომ ვახტანგმა სახელმძღვანელოში აღმოსავლურ პრაქტიკაში დაკრიკილი ცოდნა აღწერა, რომელიც წინასწარ თვითონვე გამოსცადა ექსპერიმენტულად და შემდეგ შემოქმედებითად გადაამუშავა და გარკვეულად განაზოგადა კიდეც, ყოველივე ეს სახელმძღვანელოს არა კომპილაციური, არამედ ორიგინალური შრომის სტატუსს ანიჭებს და ვახტანგს ნამდვილად შემოქმედი და პროფესიონალი ავტორების რიცხვს მიაკუთვნებს.

ორიგინალობისა და მაღალპროფესიული ღონის გარდა შრომის დიდ ლირსებას ისიც შეადგენს, რომ ქართულ ენაზე ის ქიმიის პირველ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ასე რომ ვახტანგს, ქართული ქიმიური ლიტერატურის შექმნასთან ერთად, შესაბამისი ქიმიური ტერმინოლოგიის შემუშავებაც დასჭირდა, რაც თავისთავად არანაკლები სირთულის ამოცანას შეადგენდა. როგორც სახელმძღვანელოს ტექსტიდან ჩანს, ვახტანგმა ამ პრობლემასაც საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი.

სახელმძღვანელოში მოყვანილი ცალკეული ნივთიერების სახელწოდებათა უმრავლესობა დღესაც უცვლელად იხმარება თანამედროვე ტერმინოლოგიაში (ვერცხლისწყალი, კალა, რკინის ჟანგი, ნიშადური, სინგური, ქაფური, სურინჯი, მურდასანგი, გოგირდი, სპილენძი, ტყვია და სხვ.). ყურადღებას იქცევს კირთან დაკავშირებული ტერმინების მრავალფეროვნება: თუ ჩამქრალი კირი ერთი სახელწო-

დებით არის წარმოდგენილი („კირი“), ჩაუმჯრალი კირი სამი სახელ-წოდებით გვხვდება: „უწყლო კირი“, „წყალუკრავი კირი“ და „გა-უნელებელი კირი“. სამივე ტერმინი ჩაუმჯრალი კირის წყალთან მიმართებას ითვალისწინებს, მხოლოდ პირველი ორისგან განსხვავებით, მესამე სახელწოდება ამ მიმართების ქიმიურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. „გაუნელებელი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ კირს ჯერ არ დაუკარგავს რეაქციის უნარი, ანუ, ვახტანგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძალიანობა“, რომელიც, ჩვეულებრივ, კირის წყალთან შეხებისას მძაფრად მიმდინარე რეაქციის სახით იჩენს თავს.

ნივთიერებების ზოგადად აღმნიშვნელი ტერმინებიდან ყურადღებას იქცევს „წამალი“ (პრეპარატის აზრით), „თავსმიკრული“ ანუ „ყელსმიკრული“ — ე. ი. სუბლიმატი, „ნეხენახული“ ანუ „თვირთ-წყალი“ — განთხევას შედეგად მიღებული პროდუქტი, „დაშრობილი“ — ხსნარის აორთქვლის შედეგად მიღებული მყარი პროდუქტი და ა. შ. გამოხდის ან ფილტრაციის შედეგად მიღებულ მყარი ნარჩენს ვახტანგი შესაბამისად „ნახადს“ (ან „ნამწეს“) და „ნაწურს“ უწოდებს. გამოხდის ნარჩენისათვის გვხვდება ასეთი ფორმაცა — „ნახადი მიწა“ (§ 4), რომელიც ერთდროულად „ნახადის“ და „ნამწეს“ ცნებას აერთიანებს.

ტერმინი „არაყი“, როგორც აღრე აღვნიშნეთ, ყველა სახის დისტილატს ეწოდება, „თეზაბი“ — ყველა აგრესიულ სითხეს, პირველ რიგში კი მჟავებს, „ზეთი“ — ნებისმიერ შესქელებულ სითხეს, მათ შორის კონცენტრირებულ გოგირდმჟავასაც. „ზეთთან“ დაკავშირებით ხშირად არის აღნიშნული, რომ მისი აორთქვლით მყარი სხეული მიიღება. ზოგჯერ მყარი სხეულის გამოყოფას, ე. ი. გამოკრისტალებას თვით ამ „ზეთშივე“ აქვს ადგილი. მოყვანილია შებრუნებული პროცესის მაგალითებიც, როდესაც პირიქით ამ მყარი ნივთიერებიდან „ზეთი“ მიღება. სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში ვახტანგი ამ მყარ ნივთიერებებს მარილებს უწოდებს („ზეთი... გააშრევ, მარილი იქნება, ის ზეთიც მარილი“ — § 96; „ის მარილი გაახმე, ზარზამინში დადევ, ზეთი იქნება“ — § 100). პირველ ნაწილშიც პოტაშის ხსნარის მზეზე აორთქვლისას, სითხის ზედაპირზე გამოყოფილ მყარ აპკსაც „კალის მარილი“ ეწოდება (§ 3), ასე რომ, „მარილის“ ზოგადი ცნება ვახტანგთან ხსნარიდან გამოყოფილ მყარ ნაერთებს გულისხმობს, რომლებიც წყალში ხელმეორედ გახსნისას მყარ ნარჩენს არ იძლევიან. „მარილებიდან“ განსხვავებით წყალში უხსნად ნივთიერებებს წარმოადგენენ „მიწები“ (ჟანგეულები), რომლებიც ლითონების „დაწვით“ (ე. ი. კალცინაციით) მიიღებიან.

ჭრიული ხელსაწყოების სახელწოდებების უმრავლესობა ვახ-

ტანგს ხელოსნური პრაქტიკიდან აქვს აღებული. ყურადღებას იქცევს ტერმინი „ამბუსი“, რომელიც ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარება როგორც გამოსახდელი დანადგარი და კერძო მნიშვნელობითაც, როგორც კოლბის სპეციალური თავსახური. „ყელმრუდ ამბუს“ ვახტანგი რეტორტას უწოდებს, კოლბების ალსანიშნავად კი იხმარება „მინა“. საინტერესო ტერმინია „შეწყობილობა“ ანუ „შეწყობა“, რომელიც ქიმიური ხელსაწყობის დეტალების ერთმანეთთან შეპირისპირების ცნებას გამოხატავს.

ოპერაციების აღმნიშვნელი ტერმინები ზოგი ქართული პრაქტიკიდან და ზოგი არაბულ-სპარსული ტერმინების თარგმნით არის მიღებული. პირველი ტიპის ტერმინებს განეკუთვნება „გამოხდა“, „გაწურვა“, „დაშრობა“, „გაყინვა“ (კრისტალიზაცია), „გახმობა“ (გამოლექვა), „დალექვა“ (დალექვა), „გამოწვა“, „დანამედვა“ და სხვ. აორთქვლის ოპერაციისათვის, რომელიც ხსნარის შესქელებამდე მიმდინარეობს, ვახტანგი რეცეპტიდან რეცეპტში უმნიშვნელო ვარიაციებით იმეორებს სტანდარტულ გამოთქმას: „ამთონი ადუღე, რომ წყალი დაშრეს, ზეთი დარჩეს“. სამაგიეროდ კალცინაციის ოპერაციისათვის მას ორი ტერმინი მოჰყავს — „დაწვა“ და „გამიწება“. დაუანგვის ოპერაცია საკუთრივ რეინისათვის წარმოდგენილია ტერმინით „გაუანგება“. არაბულ-სპარსული ტერმინებიდან ალსანიშნავია „თასყიდი“ (სუბლიმაცია) და „ჰელი“ („ჰალი“) განთხევის ოპერაციის მნიშვნელობით. ორივე ტერმინს შესაბამის პირში ვახტანგი ზმნა „ქმნას“ უმატებს, რომელსაც ის საერთოდ ხშირად იყენებს მოქმედების გამოსახატავად („თასყიდი ქენ“ — წ 48, 50, 113; „რამდენსაც ჰელს იქ, იმდენს მოუმატებს“ — წ 82, „მერე რომ ჰელში ჩადგა, ჰელი იქნას, აღარ გაჰყინავს“ — წ 116). ზოგჯერ არაბულ-სპარსული ტერმინების გარდა ვახტანგი ზმნა „ქმნას“ გადმოქართულებული ფორმისათვისაც ხმარობს („ნიშალური სამჯერ-ოთხჯერ თავსმიკრულ ჰქენ“ — წ 18; „როგორც დაგვიწერია ისე გამიწული ის ქენ“ — წ 24).

საერთო ჯამში, ტერმინების გონივრული შერჩევისა და გამომუშავების შედევგად, ტექსტში ქიმიური ცნებებისა და მოქმედებების ენობრივი გამოხატვა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, რაც „პირველგამკვლევი“ სახელმძღვანელოსათვის უდავოდ დიდ ღირსებას წარმოადგენს.

ვახტანგის როგორც პროფესიონალი ქამიკოსის და ხასიათების თვალსაჩინო ღირსებები — მასალების შემოქმედებოთი გადამუშავება, თემატური პრინციპით ვანლაგება, საგანგებო აღწერითი პარაგრაფების შემოტანა და ა. შ. უკვე თავისთავად გარკვეულ წარმოდგენას გვექმნან ვახტანგის შემოქმედებითი ლაბო-

რატორიის დასახასიათებლად. მაგრამ ეს წარმოდგენა სრული არ იქნება, თუ არ გავეცნობით სახელმძღვანელოს სხვადასხვა პარაგრაფებში გაბრულ ვახტანგისეულ შენიშვნებსა და დასკვნებს, რომლებშიც საქმაოდ გარკვევით ჩანს ვახტანგისეული პოზიცია და მოსაზრებები ქიმიის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

პირველ რიგში უნდა შევეხოთ ვახტანგის დამოკიდებულებას ექსპერიმენტისადმი, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა მისი როგორც ნამდვილი ქიმიკოსის ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით ისევ უნდა დავუბრუნდეთ § 102(2)-ს, რომელშიც ის საინტერესო ცნობებს იძლევა ალქიმიკოს მასწავლებლებთან მეცადინეობის შესახებ. აქ ვახტანგი ორჯერ მოიხსენიებს ასეთ მეცადინეობებთან დაკავშირებულ ფინანსურ მხარეს („ბევრი სარჯელი და ხარჯი რომ იყო...“, „ამაებზედ მეორედ სწავლის ხარჯი აღარ მქონდეს“). ქვეყნის მმართველისათვისაც კი მეცადინეობის „ხარჯი“ საგრძნობი იქნებოდა ცდების ჩასატარებლად, ვინაიდან ამ „ხარჯის“ ძირითადი ნაწილი პრეპარატების და ხელსაწყოების შესყიდვაზე მოდიოდა. ხარჯთან ერთად „სარჯელის“ მოხსენებაც ისევ ამ სამუშაოებს გულისხმობს და დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ვახტანგის ექსპერიმენტული საქმიანობა დიდ გარჯასთან იყო დაკავშირებული. ვახტანგი რომ მომავალშიც აპირებს ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას, ეს კარგად ჩანს მისსავე განცხადებიდან („ეგება სხვას კაც[ს] შევხვდე ან იმასვე, ამაებზედ მეორედ სწავლის ხარჯი აღარ მქონდეს“).

ექსპერიმენტისადმი ასეთი სერიოზული დამოკიდებულება გვარწმუნებს, რომ ვახტანგს სპაპანში და შემზევ ქირმანშიც კარგად მოწყობილი ქიმიური ლაბორატორია ჰქონდა. სწორედ ამ ლაბორატორიის ხელსაწყოები უნდა იყოს გამოსახული 110-ე პარაგრაფის ნახაზებზე. როგორც აღრე ვაჩვენეთ, ეს პარაგრაფი და მისი ვრაფიცული გაგრძელება უშუალოდ ვახტანგს ეკუთვნის და ის, რასაკვირველია, საილუსტრაციო ობიექტად თავისისავე ხელსაწყოებს გამოიყენებდა.

სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში აშკარად ჩანს, რომ ქიმიური პრობლემების გარკვევის საკითხში ვახტანგი წინა პლანზე ექსპერიმენტს აყენებს. სწორედ ექსპერიმენტების საშუალებით დარწმუნდა ის თავისი მასწავლებლების ალქიმიური რეცეპტების არარეალურობაში („ეს[ე]ბი ვსცადე — არ იქნა“, „იმისგან გაკეთებული ვერა ვნახე რა“, „არა იქნა რა“ — § 102(2)). სხვა შემთხვევაში, ზეპირი თუ წერილობითი წყაროების მტკიცებას ქასრის გამდნობი პრეპარატების მრავალრიცხვნების შესახებ („ბევრს რასმეს იტყვიან, რომ გააწყალებსო“), ვახტანგი ასევე მრავალრიცხვანი ცდების საშუალებით უარყოფს („ბევრი ვეცადე და არ იქნა“ — § 79). თვით ცდე-

ბის გარევეული ნაწილი კონკრეტულად რამდენიმე პარაგრაფშია აღ-  
წერილი (წ 77, 81, 83), ხოლო ზოგიერთი პარაგრაფის ბოლოში მო-  
ყვანილია ვახტანგის კატეგორიული დასკვნა: „ვსუადე და არ იქნა“  
(წ 81). სამარტინო განსხვავებული ხასიათის შენიშვნა მოჰყავს ვახ-  
ტანგს 129-ე პარაგრაფის რეცეპტისათვის: „ბევრს ვეცადე, ზაჭი შა-  
ხმარი ვერ ვიშოვე და არ გაკეთდა“ (ე. ი. ბევრი ცდის მიუხედავად,  
საჭირო რეაქტივი ვერ იშოვა და ამიტომაც ექსპერიმენტი ვერ ჩაატა-  
რა). აქ ვახტანგი, პირიქით, წინასწარ დარწმუნებულია ცდის წარმა-  
ტებით დაგვირგვინებაში, რაც იმაზე მიუთითებს. რომ ეს ცდა მას  
პირადად ჰქონდა აღრე ნანახი და ამჯერად მის გამეორებასთან დაკავ-  
შირებით აღძრულ დაბრკოლებას აღნიშნავს. ვახტანგის ექსპერიმენ-  
ტისადმი დამოკიდებულების კონკრეტულ მაგალითს იძლევა „ბორის“  
ზეთისაღმი მიძღვნილ პარაგრაფში ჩართული შენიშვნა. ვახტანგი არ  
ეთანხმება რეცეპტის ავტორს, რომ არაორგანული ნაერთების დას-  
ტილაციის შედიგად მიღებული პროდუქტი „ზეთს“ წარმოადგენს:  
„მაგრამ მე ვეჭვობ. ეს არაყი იქნება. მე არ მიცდია“ (წ 115). მაგრამ  
ამავე დროს, როგორც ვხედავთ, ის კატეგორიულ ფორმაში არ გა-  
მოთქვამს თავის მოსაზრებას, ვინაიდან სათანადო ექსპერიმენტი არ  
ჩაუტარებია.

ყურადღებას იქცევს რამდენიმე შენიშვნა, რომელიც ვახტანგის  
რასკვნებს შეიცავს ექსპერიმენტულ მონაცემებთან დაკავშირებით.  
ამ მხრივ საინტერესოა, ასე ვთქვათ, „წესაღ“ ჩამოყალიბებული და-  
კვირვებები ნიშანდურისა და ქაფურის სსნადობის შესახებ: „ნიშანდურს  
წყალი დააღნობს უცეცხლოთაც და ცეცხლითაც. მაგრამ ცეცხლი  
ვერ დააღნობს უწყლოთ“ (წ 21) და „ქაფური ნიგვზის ზეთში რომ  
ჩაყარო, გადნება, თუ გინდა ცეცხლით და თუ გინდა უცეცხლოთ“  
(წ 39). ცდების მონაცემების საფუძველზე ასკვნის ვახტანგი, რომ  
გოგირდიდან „ზეთების“ მისაღებად მხოლოდ ყვითელი გოგირდის ნა-  
ირსახეობის გამოყენება შეიძლება, „არაყების“ გამოსახდელად „თე-  
თრიც“ დასაშვებია, ხოლო „ნიშანდურის ზეთის“ (კალციუმის ქლო-  
როის) დასამზადებლად ნიშანდურის ნებისმიერი ნაირსახეობაა მი-  
სალები (წ 13 და წ 23). გაცილებით განზოგადებული ხასიათი აქვს  
ვახტანგის დასკვნას არაორგანული „ზეთების“ მიღებასთან დაკავში-  
რებით. მის მიხედვით ზოგიერთი ნივთიერებებიდან ასეთი „ზეთების“  
მიღება შეიძლება მათი კირის და მწვავე ტუტის ნარევით ან მწვავე  
ტუტის სსნარით დამუშავებისას, რაც ერთი და იგრვე სტანდარტული  
ოპერაციების — სსნარის აორთქვლის, ფილტრაციის და ხელმეორე  
აორთქვლის ჩატარებას ითვალისწინებს („სხვების რომ დაგვიწერია,  
კირით თუ უკიროთ, ისე გამოხადე“ — წ 57). ასევე განმაზოგადებე-

ლი სახის დასკვნა-რეკომენდაციას იძლევა ვახტანგი ერთ-ერთ რე-ცეპტოში კირძო რეაქციისათვის გამოყენებულ კოჭობთან დაკავშირებით: „ამ კოჭობით რაც არაყი გინდა, ყველა გამოვა და გამოიხდება“ (§ 111). ამასთან ერთად მას საგანგებოდ მოჰყავს ნახაზზე გამოსახული დანადგარი, რომელშიც დეფიციტური მინის კოლბა ამ კოჭობით არის შეცვლილი.

ვახტანგისეული მთელი რიგი შენიშვნები საკითხებისადმი კრიტიკული მიღობის თვალსაჩინო მაგალითებს იძლევიან. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე განხილული გვქონდა მისი დაეჭვება „შაბიამნიდან“, „არაყის“, ხოლო „ბორიდან“ „ზეთის“ გამოხდის შესაძლებლობაში (§ 41 და § 115). ის ორჭოფულად უყურებს აგრეთვე ბუნებაში წითელი გოგორდის არსებობას, მაშინ როცა ხელოვნური გოგირდის მიღება ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია (§ 13). მავნე მწერებისა და ქვეწარმავლების წინააღმდეგ ობობის „ბუმბულის“ დაწვის პროცესში მას აეჭვებს სიტყვა „ბუმბული“ და, როგორც ეტყობა, სამართლიანად აცხადებს, რომ „მე აბლაბუდას დაწვა მგონია“-ო (§ 166).

ზოგჯერ ვახტანგი საჭიროდ თვლის ტექსტში შეიტანოს ისეთი მასალები, რომლებიც მისთვის სხვა დარგებიდან არის ცნობილი და რეცეპტებისათვის უთუოდ სასარგებლო დამატების როლს ითამაშებენ. მაგ., არ-რაზისეულ ფრაგმენტში მას ჩაფიქრებული ჰქონდა შესაბამისი ქიმიური სიმბოლოების წარმოდგენაც. ეს ფაქტი იმით არის საინტერესო, რომ აღმოსავლურ ქიმიურ ლიტერატურაში, ასტრონომისაგან განსხვავებით, ლითონ-პლანეტურ სიმბოლიკას არ იყენებდნენ და ვახტანგმა, ასე ვთქვათ, საკუთარი ინიციატივით ასტრონომიიდან გადმოიტანა ეს აღნიშვნები. საინტერესოა ვახტანგის ლამატება „გინასთან“ დაკავშირებით (§ 84). „გინა“ — ტყვიის უანგია, რომელიც ზარაფხანაში ვერცხლის გაწმენდის პროცესში ზედაპირზე გროვდება და „გაღმოშვებით“ სისტემიდან გამოჰყავთ. ტყვიის უანგის ნაწილი ამავე ღროს ქვედზე მოფენილ ნაცრითაც შეიწოვება და ვახტანგიც სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ძირის მიწასაც გინა ჰქვიან. ის არ ვარგა“. ვახტანგს ეკუთვნის აგრეთვე გოგირდის მასიდან ზეთის გამოსაწურავად „წიგნის ყდის ჭახრაკის“ გამოყენების იდეა (§ 112), ვინაიდან სწორედ ის, სტამბის ცნობილი მეურვე, და არა სპარსელი ალქიმიკოსები, კარგად იცნობდა ამ ხელსაწყოს. საჭიროების შემთხვევაში ვახტანგი სხვა სპეციალისტების კონსულტაციებითაც სარგებლობდა და ზოგჯერ მათი რეცეპტებიც მოჰყავს სახელმძღვანელოში. ასეთ რეცეპტებს განეკუთვნება § 14-სა და § 115-ში მოყვანილი მასალა გოგირდისა და ბორას ზეთის შესახებ. თვითეული რეცეპტი შესაბამისად ასეთი ფრაზით იწყება: „ერთი რიგი გოგირდის ზეთი ასე გამიგონია“ და „ერთმან კაცმან ასე მას-

წავლა ბორის ზეთი<sup>10</sup>. ვახტანგის სამუშაო ჩანაწერებიდან სახელმძღვანელოში მოხვედრილი ალქიმიური შინაარსის რეცეპტის ბოლოს კიდევ ერთი „გაგონილი“ წესი მოიხსენიება: „გამიგონია, ჯივის არა-ყი რკინითაც გამოიხდება“ (§ 106). კონსულტაციები ჰქონია ვახტანგს მოღებული ქიმიკოსებისაგან („ქიმიანებისაგან“) ნიშადურის ზეთის შესახებაც („ქიმიანი ბევრად იტყვიან, მაგრამ მე ამის მეტი არ მინახავს...“ — § 23). ყვითელ თალხთან დაკავშირებით კი მას მთელი გამოკითხვა მოუწყვია („ერთი დიალ ყვითელი ენახე, რომელ-მან თქვა გაკეთებულია, რომელმან თქვა მაღანია“ — § 79).

კონსულტაციებთან ერთად ვახტანგი წერილობით წყაროებსაც ეცნობოდა და ამუშავებდა. ამის თვალსაჩინო მაგალითს არ-რაზის „საიდუმლოებათა წიგნის“ პირველი განცოფილების ქართული თარგმანი წარმოადგენს ( §§ 167—168). სხვა მაგალითებზე თვით ვახტანგის შენიშვნები მიგვითითებს („წამალი გარდმოიღე და ჩემის ძმის ნუსხის პირით გააკეთე“ — § 119; „ერთი ნუსხა ვნახე...“ — § 128).

ვანსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვახტანგის ტერმინოლოგიური ხასიათის შენიშვნა, რომლითაც § 128 იწყება: „ერთი ნუსხა ვნახე, რომ ამითი ოქრო გაკეთდებათ ეწერა და არც გოგირდის ზე-თის გაკეთება ეწერა და არც სალამანდროს ჰა]ლი თუ როგორ უნდა. მარტო ეს ეწერა...“ და შემდეგ აღწერილია ამ გოგირდის ზეთისა და „ჰალგალესილი“ ქასრის („სალამანდროს“) გადამუშავების ოპერაციები<sup>11</sup>. ვახტანგის პრეტენზიები სამართლიანია, ვინაიდან მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ „გოგირდის ზეთის“ ცნება სრულიად განსხვავებულ ნაერთებს გულისხმობდა, ხოლო ქასრის „ჰალი“ ანუ განთხევა-გაწყალება, მიუხედავად მრავალრიცხვანი ცდებისა, განუხორციელებელ ამოცანად რჩებოდა. თვით ვახტანგის რეცეპტებში „გოგირდის ზეთი“ და ამ ტიპის პოლისემიური ტერმინები დაზუსტებულია დამატებითი ინფორმაციით (მითითებულია ნაგულისხმევი ნაერთის მიღების წესი ან ამოსავალი ნივთიერებები, რომლებიდანაც ის მიიღება). მაგ., „ნიშანურის თეზაბის“ სახელწოდების მატარებელი ორი განსხვავებული ნაერთი, რომელთაგან ერთი — ნიშანურის და მინის ფხვნილის (§ 19), ხოლო მეორე — ნიშანურის და გვარჯილის ( §§ 18, 70)<sup>12</sup> გამოხდით მიღება, ალქიმიურ რეცეპტებში შესაბამისად მოიხსენიებიან როგორც „ნიშანური ჭიქით რომ გამოგიხდია, ის თეზაბი“ (§90) და „ნიშანურისა და გვარჯილის ერთათ გამოხდილი თეზაფი“ (§82). თავდაპირველად ტექნოლოგიური § 19 ალქიმიური § 90-ის, ხოლო § 18 (ან § 70) § 82-ის უშუალო ნაწილს შეადგენდა, მათი

<sup>10</sup> ს—3721, ფფ. 38v—39r.

<sup>11</sup> § 70-ის სათაურში შეცდომით ნიშანურის ნაცვლად ვერცხლისწყალია აღნა-შეცვლი.

განცელებისას კი, როგორც ადრე აღვნიშნავდით, ალქიმიურ რეცეპტებში საწყისი კავშირების აღსანიშნავად ვახტანგმა პრეპარატის სახელწოდებებში მათი მომზადების წესიც მიუთითა. მაგრამ ანალოგიურ შემთხვევას თვით ტექნიკიმიურ რეცეპტებშიც ვხვდებით (სამწუხაროდ, ერთ შემთხვევას, ვინაიდან საერთოდ ტექნიკიმიურ რეცეპტებში მხოლოდ ერთხელ არის მოყვანილი პოლისემიური ტერმინი): ს 17-ის „ნიშადურის თეზაბი“ — ნიშადურის, გვარჯილის და „ზღვის ქაფის“ (სეპიოლითის) ნარევის გამოხდის პროცესში ს 55-ში რეკომენდებულია „მარგიმუშეის ზეთის“ დასამზადებლად შემდეგი სახელწოდებით: „ნიშადურის თეზაბი... ზღვის ქაფითა და გვარჯილით გამოხდილი“. აქედან გამომდინარე და ს 128-ის ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საჭელწოდებებში დამატებების შეტანით ვახტანგი რეცეპტებს შორის კავშირების მითითებებთან ერთად უფრო ზოგად ამოცანას, პოლისემიური ტერმინების დაზუსტებას ისახავდა მიზნად.

## ერთის სახელმძღვანელოს გეორგ ნაწილი

1719 წელს ირანიდან ობილისში ჩამოსვლისას ვახტანგი კელავდაუბრუნდა ქიმიის საკითხებს. სახელმწიფო საქმეებით გადატვირთვის გამო აქ მას უკვე ისეთი ინტენსიური მუშაობის საშუალება აღარ ჰქონდა, როგორც ირანში ყოფნის პირველ წლებში. მიუხედავად ამისა, თბილისის პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა, რაზედაც აშეარად მიუთითებს მისი სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი. ვახტანგის მიერ შეკრებილი და გადამუშავებული მასალა სხვა სახეობისაა და, რაც მთავარია, გამოიჩინა გამოყენებითი ხასიათით. ალქიმიური რეცეპტების არავითარი ნიშანწყალი არ იგრძნობა, რაც დამაჯერებლად მეტყველებს ალქიმიისაგან ვახტანგის საბოლოო გამიჯვნაზე.

სახელმძღვანელოს წყაროები. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, თბილისში ვახტანგის მიერ დაიწერა ს 133—136; 142—165 და აგრეთვე ს 94—102(1), რომლებიც სახელმძღვანელოს გადაწერისას შეცდომით წიგნის პირველ ნაწილში მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს საბოლოო რედაქტირება არ განუცდია, მასში მაინც შეიმჩნევა გარკვეული სისტემატიზაციის ელემენტები. ამას უდავოდ ხელი შეუწყოვ ვახტანგის მიერ ირანში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ და ამასთან ერთად თვით მასალის თემატურმა ერთგვაროვნებამ, სწორედ ეს ერთგვაროვნება იყო დამახასიათებელი ე. წ. სამონასტრო ქიმიის წარმომადგენლებისათვის, რომელთა დაოსტატების სფერო ჩეულებრივ შემოფარგლუ-

ლი იყო. ვახტანგმა ალქიმიისთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ თავისი საბოლოო არჩევანი პრაქტიკულ ქიმიაზე შეაჩერა და ამიტომაც, ცხადია, რომ ის კათოლიკე მისიონერების ამ მიმართებით საქმიანობას უყურადღებოდ არ დატოვებდა. თუ სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოხვედრილი ზოგიერთი პარაგრაფის მიხედვით ვიმსჯელებთ, ქიმიის ნიადაგზე შემოქმედებითი კავშირები ვახტანგმა მისიონერებთან ჯერ კიდევ ირანში ყოფნისას დაამყარა. თბილისში ამ კავშირებისათვის, რასაკვრველია, კიდევ უფრო მეტი ხელშემწყობი პირობები არსებობდა და ვახტანგმაც რომ მაქსიმალურად გამოიყენა ეს შესაძლებლობა, თვით სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის შინაარსიდან ჩანს.

შუა საუკუნეების ევროპაში სურნელოვანი წყლებისა და ზეთების, სპირტისა და სპირტიანი სასმელების და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პროდუქტების წარმოება, როგორც ცნობილია, თავდაპირველად მონასტრებთან აღმოცენდა და მონასტრების სამკურნალო აფთიაქებს ემსახურებოდა. მონასტრებთან არსებულ სპეციალურ ბალებში ძირითადად სამკურნალო და სურნელ-სანელებელი მცენარეების მოშენებას მისდევდნენ. ასეთი მცენარეებისაგან ქიმიური გადამუშავების გზით სამკურნალო, საპარტიუმერიო-კოსმეტიკური და სხვა სახის პროდუქტებს მიიღებდნენ (ფესტერი, გვ. 151, 154). სამედიცინო და სააფთიაქო საქმიანობის მიმდევარი ბერები ამავე დროს ქიმიის გაწაფული სპეციალისტები იყვნენ, ვინაიდან, როგორც აღნიშნავს გ. ფესტერი, „იმ დროს აფთიაქარი და ექიმი მნიშვნელოვან-წილად „გამოყენებითი“ ქიმიკოსიც იყო, თუმცა ასეთი განსაკუთრებული პროფესია არც კი არსებობდა“ (ფესტერი, გვ. 14).

ასეთი „გამოყენებითი“ ქიმიკოსები საქართველოში მოღვაწე მისიონერებს შორისაც იქნებოდნენ, ვინაიდან სამედიცინო პრაქტიკა ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ადგილობრივ მოსახლეობასთან კეთილგანწყობილი კონტაქტების დასამყარებლად. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟ. შარდენი (1643—1713) პირდაპირ მიუთითებს, რომ აღმოსავლეთსა და კერძოდ საქართველოში დიდად ფასდებოდა მისიონერების ცოდნა მედიცინის და განსაკუთრებით სამედიცინო ქიმიის დარგში (შარდენი, გვ. 323). XVII—XVIII საუკუნეების ზოგიერთი წყაროებიდან ჩანს, რომ ქართლში მისიონერები წარმატებით მცურნალობდნენ ადგილობრივ პაციენტებს. თბილისში თავის ეკლესიასთან მათ ბალიც ჰქონდათ, რომელშიც უდავოდ სამკურნალო და სურნელ-სანელებელი მცენარეულობის მოშენებას ეწეოდნენ (თამარაშვილი, გვ. 227, 234, 290).

ვახტანგის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მრავალი დეტალი მიუთითებს ვახტანგის უშუალო კავშირებზე მისიონერებთან. ერთ

პარაგრაფში ვახტანგი მოიხსენიებს ვინმე ძმა დომენიქს („ფრადომენიქ“) და მის მეტ თბილისში („ქალაქს“) გოგირდმევას მისაღებად ჩატარებულ ექსპერიმენტს აღწერს (§ 150). მეორე პარაგრაფში „სურნელი წყლის“ შემადგენელ კომპონენტად ვახტანგი ასახელებს „ვარდის კუცურის წყალს“, რომელიც მასივე ცნობით „პატრების საყდარში არის“ (§ 153). კიდევ უფრო მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის რეცეპტების უმრავლესობა ეძღვნება ეთეროვანი ზეთების ან ეთეროვანი ზეთების შემცველი პრეპარატების დამზადებას ( §§ 133—135; 152—157, 164—165) და აგრეთვე სხვადასხვა ორგანული ნაერთებიდან მშრალი გამოხდის პროცესების მიღებას ( §§ 96—100; 143—144), ე. ი. ისეთ საკითხებს, რომლებიც სამონასტრო ქიმიური პრაქტიკის ძირითად მიმართულებას შეადგენდა.

გარდა ამისა, რეცეპტებში გამოყენებულია აშკარად ევროპული წარმომავლობის ტერმინები (ლადანა, მერკურიალის, ტარტარი და ა. შ.). მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტერმინები „თრემენ-თინი“ ე. ი. სკიპორარი (§ 143) და „ონჩა“, ე. ი. უნცია (§ 162).

სკიპიდარის აღმნიშვნელად ევროპულ ენებში უფრო ხშირად იხმარება ტერმინი „ტერპენტინი“ და მხოლოდ იტალიურისათვის არსებობს განსხვავებული ფორმა — „ტრემენტინი“, იტალიური წარმომავლობისაა „ონჩაც“, ასე რომ, ვახტანგთან დაკავშირებული პირველი ასტრონომიული თხზულების („თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისა...“) მსგავსად, რომელშიც სხვათა შორის გაცილებით მეტი იტალიური სიტყვები იყო მოყვანილი, ამ შემთხვევაშიც მისიონერების ნაციონალური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.

მეორე ნაწილის მოკლე შინაარსი. წიგნის მეორე ნაწილი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარკვეული სახით სისტემატიზებულია. მონათესავე რეცეპტები ჯგუფებად არის გაერთიანებული და ეს ჯგუფები შინაარსის მიხედვით შემდეგი თანამიმდევრობით არიან წარმოდგენილი: ეთეროვანი ზეთები და მათი შემცველი პრეპარატები ( §§ 133—135), ზეთები, რომლებიც გამოხდისას დაშლის შედეგად წარმოიქმნებიან ( §§ 142—144), არაორგანული მეტავები ( §§ 148—150), ისევ ეთეროვანი ზეთების შემცველი პრეპარატები ( §§ 152—157), ფერადი შელნები ( §§ 158—161) და სხვადასხვა ორგანული ზეთები. შიგადაშიგ ამ პარაგრაფებს შორის ჩართულია ძირითადად ცალკეული რეცეპტები რამდენადმე განსხვავებული შინაარსით (შაქრის კარამელის, უანგაროს, „ანთიმონის ზეთის“ და სხვ. პრეპარატების დამზადების შესახებ). §§ 166—168 — პირველი ნაწილიდან შემთხვევით მოხვედრილი, ასევე §§ 137—141 (რუსული ტერმინების სიმრავლით გამოიჩევიან) — მესამე ნაწილის კუთვნილებას შე-

ადგენენ. სამაგიეროდ მეორე ნაწილს ეკუთვნის პირველ ნაწილში შეცდომით მოხვედრილი წე 94—102 (1). როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელთა ვახტანგისეული ჩანაწერიც არსებობს.

ეთეროვანი ზეთებისადმი მიძღვნილ რეცეპტებში აღწერილია ამ ზეთების მიღება სურნელოვანი მცენარის სხვადასხვა ნაწილიდან ორი მეთოდით — გამოხდითა და მაცერაციით. პირველი მეთოდი ეთეროვანი ზეთის შემცველი მცენარის წყალთან ერთად გამოხდას, ხოლო მეორე — დასამუშავებელი მცენარის თბილ მცენარეულ ზეთზე დაყენებას ითვალისწინებდა. გამოსავალი პროდუქტი გამოცალეკევებით, „სუფთა“ სახით ან შესაბამის გამხსნელთან ერთად მიიღებოდა.

„სუფთა“ ეთეროვან ზეთებს რეცეპტების მიხედვით ძირითადად გამოხდის მეთოდით იღებდნენ. ციტრუსების ზეთების მოსაპოვებლად ციტრუსის ახალ ან გამომშრალ ქერქს დახურულ ჭურჭელში წყალზე აყენებენ. 7—8 დღიანი დაყოვნების შემდეგ ნარევი გამოიხდება და მიიღება შესაბამისი ეთეროვანი ზეთი და „არაყი“, რომელშიც წყალი უნდა იგულისხმებოდეს უმნიშვნელო რაოდენობის გახსნილი ზეთით (წე 133—134(1)). რეცეპტი სუნელ-სანელებელი თესლებიდან მოსაპოვებელი ზეთების შესახებ გვასწავლის, რომ გამოხდამდე ამოსავალი ნედლეული წინასწარ ცხელი წყლით უნდა დამუშავდეს (წ 135).

„სუფთა“ სახით მიიღება ზეთი აგრეთვე ყარაძენის წინასწარ გამომშრალი ფოთლების გამოხდით (წ 164). წ 134(2)-ში მოყვანილია დარიიჩინისა და სანდლის ზეთების მიღების კომბინირებული მეთოდი. ჯერ დაწვრილმანებული ნედლეულის და მცენარეული (ნუშის) ზეთის ნარევი გამთბარ მდგომარეობაში მაცერაციას განიცდის ერთი კვრის განმავლობაში, ხოლო შემდეგ მცენარეულ ზეთში გახსნილი ეთეროვანი ზეთი გამოხდის გზით გამოცალეკევდება გამხსნელისაგან.

ამდენიმე რეცეპტია საპარფიუმერო-კოსმეტიკურ ნაწარმისა, კერძოდ არმატული ანუ ანტიკური ზეთების. რომლებიც ცხიმოვან მცენარეულ ზეთებში ეთეროვანი ზეთების გახსნის პროდუქტს წარმოადგენენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება „ლადანის ზეთი“, რომელიც ჰერმეტულ ჭურჭელში წვრილად დაჭრილი ლადანის, ვარდის წყლის და ნუშის ზეთის ნარევისაგან მზადდება. გამხსნელით (ნუშის ზეთით) ლადანის შემცველი ეთეროვანი ზეთის შთანთქმის ეფექტურობის ასამალლებლად ნარევს სამი საათის განმავლობაში ნელ ცეცხლზე ათბობენ, მიღებულ პროდუქტს კონსერვანტად ცოტა დამწვარ შაბს ურევენ, „რომ უცემ შეინახოს“ ეს უკანასკნელი (წ 154). სხვა რეცეპტებში, რომლებიც შესაძლოა ძალზე ძველ წესს აღწერენ, ჩვეულებრივი გამხსნელის, ე. ი. ნუშის ზეთის ნაცვლად თვით ამ ზეთის შემცველი ნაყოფი გამოიყენება. უკანასკნელს წვრილად დაჭრილი სახით მრავალჯერად ჯერ ალბობენ მიხავზე დაყენებულ ვარდის წყალში და შემდეგ აშრობენ. ასეთნაირად დამუშავებული ნუშის მასა

გამოწურვისას ნუშის ზეთს იძლევა, რომელშიც მიხაკის ეთეროვანი ზეთი არის გახსნილი. რეცეპტის თანახმად, მიხაკის გარდა ამ გზით შეიძლება მიღებულ ქქნეს დარიჩინოს, მუშკის, გუნდრუკის და ჯავჭის ზეთები (§ 155).

ნუშის ნაყოფი გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა ყვავილებიდან ეთეროვანი ზეთის მოსაპოვებლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ყვავილის დანაყილ ნუშთან უშუალოდ შერევა და 10 დღის განმავლობაში ტენიან (ნამიანს)“ ადგილას შენახვა. საქაზავში გაწურვის შემდეგ „ყვავლის რიგის ყვავილი გამოვა“ (§ 156). ტენიანი გარემო, როგორც ეტყობა, ხელს უწყობს ნივთიერებათა ურთიერთშემხებ ზედაპირზე სითხის აპის წარმოქმნას, რომელიც ეარღის წყლის მსგავსად ეთეროვანი ზეთის გადამტანის როლს ასრულებს ყვავილს ფურცლებიდან ნუშის მასაში.

საუკეთესო არომატული ზეთი, § 165-ის თანახმად, მიიღება ნარინჯის ხის ყვავილების („ნარინჯის ყვავილის“) დაყენებით ნუშის ზეთზე. ნარევს უმატებენ მცირე რაოდენობით ქარვას, ქაფურს და მუშკს (§ 165), პირველ ორს — ზეთის სუნის გასაძლიერებლად, ხოლო უკანასკნელს კეთილსურნელების გახანგრძლივების მიზნით.

რამდენიმე პარაგრაფში აღწერილია ისეთი სურნელოვანი ნივთიერებების მომზადება, რომლებიც თავისი დანიშნულებით თანამედროვე სუნამოებს უტოლდებიან. მათ რიცხვს მიეკუთვნება სურნელოვანი პროდუქტი, რომლის ამოსავალ ნედლეულს ვარდის ზეთი და მყარი სურნელოვანი კომპონენტები (ლადანი, ქარვა და მცირე რაოდენობით დარიჩინი და მიხაკი) შეადგენენ. ნარევის სითბოში დაყენებით და შემდგომში გამოხარშვით მიიღებოდა ზეთი, რომლის განმეორებითი დაყენება ციბეტის და მუშკის მინარევებთან მას სუნამოებისათვის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებდა (§ 152). მსგავსი თვისებებით გამოიჩინა „სურნელი წყალიც“ — სურნელოვანი ნივთიერებების (დარიჩინი, მიხაკი, ლადანი, მუშკი და სხვ.) ვარდის წყალზე 15 დღიანი დაყენებისა და ნარევის გამოხდის პროცესტი (§ 153).

კოსმეტიკური საშუალებებიდან წიგნში დასახელებულია „ტანის ჯასათეთრებელი წყალი“, რომლის მისალებად წვიმის წყალს ორ ჯერად ადულებდნენ, ჯერ ისრიმის, ხოლო შემდეგ ლიმონის წყლის დამატებით (§ 151).

რამდენიმე რეცეპტში განხილულია მცენარეული ნედლეულის მშრალი გამოხდის საკითხები. ამ მეთოდის გამოყენებისას აორთქლებული ზეთი ნაწილობრივ იშლებოდა და მიღებულ დისტილატს, თავისებური შესახედაობისა და ფერის გამო, ევროპულ ქიმიურ პრაქტიკაში „მიმწვარი ზეთი“ უწოდებოდა (ერკალებენი, გვ. 98—

99). მათ შორის ყველაზე უფრო მეტად ცნობილი იყო ე. წ. „ფილოსოფიური ზეთი“ — ზეთისხილის ზეთის აგურის ნატეხებთან ერთად გამოხდის პროცესში პიროვნული დაშლით წარმოქმნილი ნაერთი. § 143-ის თანახმად, ტერპენტინის („თრემენთინის“) მშრალი გამოხდის შედეგად მიიღება „სქელი და შავი“ ტერპენტინის ზეთი (ე.ი. სკიპიდარი). სინამდვილეში დისტილატი სკიპიდარისა და ფისის ზეთის ნარევს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ამოსავალი ნივთიერებას დაშლის შედეგად წარმოქმნილი შუალედური პროდუქტის — კანიფოლის შემდგომი დაშლის საფუძველზე წარმოქმნება და სწორედ მისთვის არის დამახასიათებელი შავი ფერი და სიბლანტე (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 93). მშრალი გამოხდის გზით არის რეკომენდებული აგრეთვე ქარვის ზეთის მიღება (§ 100). ამ უკანასკნელის „სველი“ წესით ღვინოსთან ერთად გამოხდისას მიღება ქარვის მეავა და „არაყი“, რომელიც მართლაც არაყს, ე. ი. ღვინის სპირტს წარმოადგენს (§ 99). სხვათა შორის ერთ-ერთი რეცეპტი გვირჩევს ღვინოსთან ერთად ღვინის ქვის გამოხდას, რის შედეგადაც ჯერ ღვინის სპირტი და შემდეგ პიროლვინის მეავას შემცველი ზეთოვანი ნარევი გამოიხდება (§ 142).

სახელმძღვანელოში მშრალი გამოხდის წესით ცხოველური წარმოშობის ზეთების, ე. ი. ძირითადად აზოტშემცველი და ზოგჯერ უაზოტო ორგანული ნაერთების მიღებაც არის აღწერილი. § 110-ის მეორე ნაწილში ასეთი წესით ზეთი მიღება ადასმინის გამომშრალი ექსკრენტებისაგან, ხოლო § 163-ით — თაფლის ცვილისაგან, რომელიც ასევე ცხოველური წარმოშობისაა.

საწრერესო ცნობებია მოყვანილი ქაფურისა და გუნდრუკის (ბენზოინის ფისის) სუბლიმაციის შესახებ. ქაფურის მრავალჯერადი აქროლებით ბოლუსის ახალ-ახალ პარტიებთან ერთად, რეცეპტის თანახმად, ის ბოლოს და ბოლოს სითხის სახით გამოიხდება (§ 98). ანალოგიური მონაცემებია მოყვანილი გვიანდელ ევროპულ ქიმიურ ლიტერატურაშიც (XIX—XX სს.), ასე რომ, საბოლოო პროდუქტად სითხის („ქაფურის არაყის“) მიღება რეალურ, ალბათ ქაფურის კატალიზურ დაშლასთან დაკავშირებულ პროცესზე უნდა მიგვითოთებდეს. გუნდრუკის, ე. ი. ბენზოინის ფისის სუბლიმაცია სახელმძღვანელოს რეცეპტში ზუსტად ისევეა აღწერილი (§ 97), როგორც ეს XVIII ს. ევროპულ ქიმიურ სახელმძღვანელოებშია მოცემული. აქაც სუბლიმატი, რომელიც ბენზოინის მეავას წარმოადგენს, კონჭსის ფორმის ქალადის სახურავის შიგა ზედაპირზე ჯდება და სახელწოდებაც — „გუნდრუკის ყვავილი“ ევროპული ტერმინოლოგიიდან მომდინარეობს (ამ ტერმინოლოგიით სუბლიმატებს ზოგადად ქიმიურ ყვავილებს უწოდებენ).

მეორე ნაწილში, პირველისაგან განსხვავებით, ძალზე მცირე რა-ოდენობით არის წარმოდგენილი არაორგანული ნაერთები და ისიც ძირითადად არაორგანული მეავების ხარჯზე. § 94-ში საკმაოდ დაწ-ვრილებით აღწერილია „ზარაფხანის თეზაბის“ მიღების წესი, რომე-ლიც, გვარჯილისა და არჯასპის („არჯასპის“) ნარევის გამოხდის გარ-და, პროდუქტის მინარევებისაგან (გოგირდმჟავასა ან მარილმჟავასა-გან, გაწმენდასაც გულისხმობს ვერცხლის ნიტრატის საშუალებით. მეავა „უფრო ძალიანი რომ გახდეს“, ორი დამატებითი მეთოდია რეკომენ-დებული: პირველი მეთოდით მეავას ნიშადური ემატება და ფაქტობ-რივად „სამეფო არაყის“ მსგავსი შემადგენლობა მიღება. მეორე მე-თოდით მეავას ვერცხლისწყალი და გოგირდი ემატება და ის ხელმე-ორედ გამოხდება. ამ დროს მეავასთან ერთად თანაპროდუქტის სა-ხით სინგურის სუბლიმატიც მიღება. პარაგრაფში მოყვანილი ყველა მეთოდი თთქმის ასეთივე სახით XVIII ს. ევროპულ ქიმიურ სა-ხელმძღვანელოებშიც გვხვდება (იხ. მაგ. მაკერი, I, გვ. 122—123; უკინი, გვ. 99, 123). ვახტანგს კიდევ ორი რეცეპტი მოჰყავს (წ 148—149), როგორც ეტყობა, სხვა წყაროებიდან, რომელმდებარება ანალოგიუ-რი წესით მეავას მიღება და მისი მეავური თვისებების გაძლიერება არის აღწერილი (ისევ ნიშადურის დამატებით ან ხელმეორედ გა-მოხდით ვერცხლისწყლის და გოგირდის ნარევთან ერთად).

გოგირდმჟავას მიღებასთან დაკავშირებით § 150-ში მოყვანილია გოგირდის დაწვის რეცეპტი. ეს რეცეპტი სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის § 8-ის რეცეპტის ანალოგიურია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის მისიონერი დომინიკის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის ჩა-ნაწერს წარმოადგენს („როგორც ფრა დომენიკ გააკეთა ქალაქს“). ეს რეცეპტი უშუალოდ მეტყველებს მისიონერების ქიმიურ საქმიანო-ბაზე. ვინაოდან ეს რეცეპტი თავისი ხასიათით ძალზე მიაგავს აზოტ-მეავას მიღებასთან დაკავშირებულ ზემოთ განხილულ რეცეპტებს (წ 148—149), არ არის გამორიცხული, რომ ისინი ვახტანგმა ამ დო-მენიკის წყალობით გაიცნო.

ყურადღებას იმსახურებს ფერადი მელნების დამზადების რე-ცეპტები (წ 158—161). საღებრებად აქ გამოყენებულია ძი-რითადად მცენარეთა (წითელი ხის მერქანი, ქაცვის ნა-ყოფი, ლილიფრის ფოთოლი) ექსტრაქტები და მხოლოდ მწვანე მელნესათვის შემოთავაზებულია არაორგანული პიგმენტი უანგაროს სახით (§ 158). შემკვრელ ნივთიერებად რეცეპტში არაბული ხის წე-ბო გამოიყენება. ცალკეულ შემთხვევებში მელნის მახასიათებლების (ფერის სრღრმას, დენადობის ხარისხის, ბზინვის და სხვ.) გასაუმჯობე-სებლად იხმარება ძმრის, ანწლის წვენის, ზაფრანის, შაბის ან ჩაუმქ-რალი კირის მცირე დანამატები.

ყველა ეს რეცეპტი ქართული წარმოშობისა უნდა იყოს, რაზე-დაც მიუთითებს ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი ტერმინების სიმრავლე („აიღე, ერთი რიგის ხე არის, ჭალაში იქნება, ყურ-ძენსავით მოისხამს“) (ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 96).

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ჯგუფებად (ქვეგანყოფილებებად) გაერთიანებული მონათესავე პა-რაგრაფების გარდა ცალკეული, ასე ვთქვათ, „დამოუკიდებელი“ პა-რაგრაფებიც არის მოყვანილი. ერთ-ერთ მათგანში (§ 146) უანგა-როს დამზადების მეთოდი ჰერმეტიულ თერმოსტატში „სპილენძის ფერფლზე“ (ე. ი. სპილენძის უანგზე) „ძალიანი“ ძმრისა და ზოგი-ერთი მინარევის (მარილის, წითელი ლვინის ქვის, ნიშადურის და დამ-ზავებული ცომის) ზემოქმედებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ეს რეცეპტი ზუსტად თანხვდება მ. აგენტოვის მიერ აღწერილ უანგა-როს მიღების ერთ-ერთ ევროპულ მეთოდს (აგენტოვი, გვ. 249). § 157-ში წარმოდგენილია ზეთის მიღების წესი ე. წ. „თარქოდან“, რომლის იდენტიფიცირებაც სამწუხაროდ არ მოხერხდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სახელმძღვანელოს ამ ნაწილშიც, უმნიშვნელო განსხვავებით, რამდენიმე პარაგრაფი გამეო-რებულია. აზოტმუავას მიღების რეცეპტებთან დაკავშირებული ერთი ასეთი შემთხვევა ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ (§ 94 და წს 148, 149). გარდა ამისა ასეთი პარაგრაფები „გოგირდის ზეთის“ (§ 102(1) და § 145) და შაქრის კარამელის (§ 136 და § 162) დამზადებასაც შე-ეხება.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის ზოგიერთი და ასე ას იათებელი ნიშნები. პირველ ნაწილთან შედა-რებით მეორე ნაწილში მოყვანილი მასალა უფრო ერთგვაროვანია და ძირითადად მცენარეული ზეთების ქიმიური გადამუშავების საკითხე-ბით შემოიფარგლება. ამ ნაწილის მთავარი დამახასიათებელი თავი-სებურება ის გახლავთ, რომ რეცეპტების უმრავლესობა პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდების აღწერას წარმოადგენს.

მეორე ნაწილის ეს თავისებურება ადვილად ხსნის იმ უცნაურ ფაქტს, რომ ვახტანგმა ქიმიის განხრით მისიონერებთან თანამშრომ-ლობა მხოლოდ ირანიდან დაბრუნების შემდეგ წარმოიწყო. როგორც ცნობილია, ვახტანგის მიზანს თავიდანვე მეცნიერების, უფრო ზუს-ტად კი ცოდნის დარგების შესწავლა წარმოადგენდა. ირანში წასვ-ლამდე არც იყო მოსალოდნელი, რომ ვახტანგი, ასტრონომიის მსგავ-სად, მისიონერების „ქიმიური“ საქმიანობითაც დაინტერესებულიყო, ვინაიდან ამ უკანასკნელს წმინდა სამომხმარებლო ინტერესებს დაქვე-მდებარებული ხელოსნური სახე ჰქონდა. სამაგიეროდ ირანში მისი

უურადღება ალქიმიაშ მიიპყრო, რომელიც იმ დროსათვის, ასე თუ ისე, ჭერ კიდევ მეცნიერების ანუ ცოდნის ერთ-ერთ დარგად ითვლებოდა. ექსპერიმენტების საშუალებით ალქიმიის ყალბ არსში გარკვევამ ამავე დროს ვახტანგს საშუალება მისცა სათანადოდ შეეფასებინა ტექნიკური ქიმიის მნიშვნელობა და შესაძლებლობები. თბილისში ჩამოსვლისას მან მისიონერებთან ასტრონომიაში მეცადინეობა აღარ გააგრძელა, ვინაიდან ირანული ასტრონომიის ფონზე მისიონერები უკვე მოყვარულებად გამოიყენებოდნენ. სამაგიეროდ ვახტანგისათვის უკვე ცხადი იყო მისიონერების მაღალი პროფესიონალიზმი ტექნიკური ქიმიის განხრით და ამიტომაც მათი შემოქმედებითი თანაშრომლობა სწორედ ქიმიის ხაზით გაგრძელდა.

მისიონერებთან ჩაწერილი მასალა ცალკე რომ განვიხილოთ, მან შეიძლება რეცეპტების კრებულის შთაბეჭდილება დატოვოს. მაგრამ სახელმძღვანელოს შემადგენლობაში მას უკვე სხვა სახე აქვს მიღებული, რაც საგრძნობლად აფართოებს სახელმძღვანელოს თემატიკას. თუ პირველ ნაწილში ძირითადად არაორგანული ნაერთები იყო წარმოდგენილი, მეორე ნაწილში უმრავლესობას უკვე ორგანული ნაერთები შეადგენენ. თითქმის ყველა რეცეპტში ამა თუ იმ ნაერთის მიღების წესის აღწერის შემდგომ, მყაფიოდ მითითებულია მისი პრაქტიკულად გამოყენების სფერო. ძირითადად ხაზი ესმება პროდუქტების სამკურნალო, ხშირად კოსმეტიკურ, საპარფუმერიო, პიგიენურ და სხვა დანიშნულებას.

პარაგრაფებში წარმოდგენილი ამოსავალი ნივთიერებების უმრავლესობა მცენარეთა სხვადასხვა ნაწილებს განეკუთვნება, ხოლო საბოლოო პროდუქტებად ეთეროვანი ზეთები მიიღება ცალკე ან სპირტში, გადამდნარ ცხიმებში ან სხვა მცენარეულ ზეთებში გახსნილი სახით. ხელსაწყოებში რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე არ აღინიშნება, თუ არ ჩავთვლით რეტორტის, სილის და წყლის აბაზანების ძალზე ხშირად ხმარებას, ქიმიური ცდებისთვის საყოფაცხოვრებო არყის გამოსახდელი დანადგარით სარგებლობას და სხვ. ახალი ქიმიური ოპერაციებიდან აღსანიშნავია დაყენება, მაცერაცია, ანთლერაჟი და ექსტრაჟცია.

პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, მეორე ნაწილში სპარსულ-არაბული ტერმინების ნაცვლად უკვე ევროპული ტერმინებია წარმოდგენილი (თართარი, ანტიმონი, თრემენთინი, ლავანდა და სხვ.), მაგრამ საერთოდ კი აშკარად იგრძნობა უპირატესად ქართული ტერმინების გამოყენების ტენდენცია. ზოგიერთ შემთხვევაში უცხოურ ტერმინს სპეციალური განსაზღვრაც აქვს დამატებული („მერკურიალის, ეს ერთი მარილია“ — § 102(1)); „ონჩა, რომ 24 მისხალი

არის“ — § 162; „კანტუკი — სომხურ ჰევიან, რომელს საკმელში გაურევენ“ — § 153 და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნაწილის ტექსტი საბოლოოდ ჩედაქტირებული არ არის, ეს გარემოება ვერ ახდენს გავლენას ამ ნაწილის საერთო ავკარგიანობაზე. თითქმის ყველა პარაგრაფი თავიდანვე ისე კვალიფიციურად არის შედგენილი, რომ მისი შემდგომი გადამუშავების საჭიროება ფაქტობრივად არც იგრძნობა. აյ, რასაკვირველია, გარევული როლი ითამაშა ვახტანგის მიერ ირანში შეძენილმა პროფესიონალურმა ჩვევებმა და თვით მასალის პრაქტიკით დახვეწილმა ხასიათმა.

## პიმის სახელმძღვანელოს მასახუ ნაწილი

სხვა დარგებისგან განსხვავებით, ქიმიის საკითხებზე მუშაობა ვახტანგმა რუსეთშიც გააგრძელა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ქიმიის მიმართ ვახტანგის დამკიდებულებაზე. როგორც ცნობილია, რუსეთში ჩასვლისას ვახტანგმა პირველხარისხოვან ამოცანად ქართული მათემატიკური ლიტერატურის შექმნა დაისახა და ამ მრმართულებით ინტენსიური მუშაობაც გაშალა. ეს არც იყო გასაკვირრი, ვინაიდან პეტრესეული პრაქტიკის გათვალისწინებით მათემატიკაში ვახტანგი ქართული ტექნიკური და სამხედრო საინჟინრო კადრების შექმნის აუცილებელ პირობას ხედავდა. ამ ფონზე ქიმიაში მუშაობის გაგრძელება კი იმას ნიშნავდა, რომ ამ დარგსაც ვახტანგი ვარკვეულ ფარგლებში ქვეყნის პრაქტიკულ ინტერესებს უკავშირებდა. მართლაც, სახელმძღვანელოს მესამე ნაწილში, მეორესთან შედარებით, უფრო საგრძნობლად არის გამოკვეთილი ქიმიის გამოყენებითი მიმართულება. ფაქტობრივად აქ წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი ქიმიური მეთოდი, რომელიც იმდროინდელ საყოფაცხოვრებო და ხელისნურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ვახტანგს არც ამ შემთხვევაში არ გააჩნდა გზისმქვლევად რაიმე კონკრეტული სამაგალითო ნიმუში და ის აქც დამოუკიდებლად მივიდა შემუშავებულ სქემამდე.

ლიტერატურული წყაროები. XVIII ს. პირველ ნახევარში, უფრო ზუსტად 40-იანი წლების დასაწყისამდე, რუსეთში ქიმიური ლიტერატურა დამოუკიდებელი სახით ფაქტობრივად არ არსებობდა. სამაგიეროდ ძალზე მრავალრიცხოვანი ქიმიური და ტექნოლოგიური რეცეპტურა ჩართული იყო სხვადასხვა ხელნაწერ კრებულებში, რომლებიც თემატიკის მიხედვით 3 ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ. პირველ ჯგუფს შეადგენდნენ კრებულები, რომლებშიც მო-  
16. რ. ჩაგუნავა

ყვანილი იყო ავადმყოფობათა სამკურნალო და წამლების დასამზადებელი მითითებები და რეცეპტები (ე. წ. „лечебники“ და „травники“); ხეორე ჯგუფის კრებულებში გაერთიანებული იყო ახსნა-განმარტებები და მითითებები იუველირების, მხატვრების, წიგნის ოსტატებისა და ხატმწერებისათვის (ე. წ. „иконописные подлинники“); ხელო მესამე ჯგუფის კრებულებში მოყვანილი იყო რეცეპტ-მითითებები ტექნიკისა და ხელოსნური წარმოების სხვადასხვა საკითხი-სათვის. ეს კრებულები ძირითადად XVII საუკუნეს განეკუთვნებოდნენ და მათში წმინდა რუსული წარმომავლობის საკითხების გარდა ზოგ-ჯერ ძველი ბიზანტიური ან, პირიქით, ახალი ევროპული მასალებიც იყო გარეული (ფიგუროვსკი, რეცეპტები, გვ. 241).

წერილობითი წყაროების გარდა ვახტანგს შეეძლო პირადად გას-ცნობოდა რუსეთში მოქმედ ქიმიურ საწარმოებს. ამ პერიოდში უკვე არსებობდა რამდენიმე სასინჯი ლაბორატორია, საკმაოდ მრავალრი-ცხოვანი აფთიაქები ლაბორატორიებით და მოქმედებლნენ ქიმიური მასალების დამამზადებელი მთელი რიგი ქარხნები და კუსტარული სა-ხელოსნოები.

ასევე არ იყო გამორიცხული ვახტანგის მხრივ ევროპული წყა-როებით სარგებლობის შესაძლებლობა, განსაკუთრებით 1732 წლი-დან, როდესაც მის ლეიბ-მედიკოსად მედიცინის ღოქტორი გუსტავ შობერი (1670—1739) დაინიშნა. შობერზე აქ საგანგებოდ უნდა შევ-ჩერდეთ, ვინაიდან ვახტანგთან დაკავშირებით მისი საქმიანობის კვლევისას ძალზე საყურადღებო ფაქტები გამოვლინდა რუსული ქი-მიის ისტორიის თვალსაზრისით.

წინასწარ მოკვეყავს მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, რო-მელსაც „რუსული ბიოგრაფიული ლექსიკონის“ 1911 წელს გამოცე-მული ტომის მიხედვით ვიძლევით (გვ. 359): შობერი დაიბადა ქ. ლე-იპივიში, აქვე მიიღო განათლება, ხელო 1696 წ. უტრეხტის უნივერ-სიტეტში დისერტაციის დაცვის შემდეგ მიენიჭა მედიცინის დოქტო-რის ხარისხი. 1712 წ. პეტრე პირველმა ის თავის ლეიბ-მედიკოსად დაინიშნა, ხოლო მომდევნო წელს, რუსეთში გადმოსული მოსკოვის სამეფო კარის აფთიაქის ინსპექტორად და სამედიცინო კანცელარიის ორდინარულ მედიკოსად. 1717 წელს პეტრეს დავალებით შობერმა სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო რუსეთის სამხრეთ და კავკასიის ჩრდილოეთ რაიონებში. ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ შეთავ-სებით შტატიანი ფიზიკოსის თანამდებობაზეც მუშაობდა. 1732 წელს, როგორც აღვნიშნუთ, ის ვახტანგის ლეიბ-მედიკოსად დაინიშნა. 1738 წელს სამსახურს თავი დაანება, ხელო 1739 წ. გარდაიცვალა. გამო-ქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე სამეცნიერო შინაარსის წიგნი, რო-

მელთა შორის ქიმიის თვალსაზრისით აღსანიშნავია „სათანაო ფარ-მარკოპეა“ (1707, ლეიპციგი).

რუსული ქიმიის ისტორიაში გ. შობერის შესახებ არავითარი ცნობები არ არის მოყვანილი (უფრო მეტად ცნობილია მედიცინის ისტორიაში, სადაც ის რუსეთში ბალნეოლოგიური კვლევების ერთ-ერთ პიონერად არის დასახელებული). უკვე ის ფაქტი, რომ გ. შობერი წლების განმავლობაში სამეფო კარის აფთიაქთან იყო დაკავშირებული, იმაზე მეტყველებს, რომ მისი სახით 1713—1738 წწ. რუსეთს ჰყავდა მაღალი დონის ქიმიკოს-ანალიტიკოსი. ყველა იმდრო-ინდელ აფთიაქთან, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალური ქიმიური ლა-ბორატორია ფუნქციონირებდა, სადაც, მთელი რიგი მონაცემებით, ქიმიური ნაერთების ფართო ასორტიმენტის ანალიზური კვლევა წარ-მოებდა (იხ. ლუკიანოვი, I, გვ. 435).

გ. შობერის ქიმიური მომზადება მთელი სიცხადით 1717 წ. ექს-პედიციაში გამოვლინდა. თავის გამოკვლევები გერმანულ ენაზე მან, როგორც ეტყობა, 1718 წ. წარუდგინა პეტრე I-ს. რაღაც მიზეზებისა გამო გ. შობერის ეს შრომა თავის დროზე არ გამოქვეყნდა. მხოლოდ 1760 წელს ამ გამოკვლევების ნაწილი რუსული თარგმანის სახით დაიბეჭდა პერიოდულ გამოცემაში („აკადემიური ყოველთვიური თხზულებები“, ნაწ. II, გვ. 387—414) 2 სტატიად („წმინდა პეტრეს თერმების<sup>12</sup> აღწერა“, გვ. 387—405 და „გოგირდოვანი წყაროს აღწე-რა“, გვ. 406—414). წარმოდგენილი შრომის შესწავლამ ჩვენ და-გვარწმუნა, რომ მისი სახით ანალიზური ქიმიის ერთ-ერთ საკმაოდ აღრეულ და ლირსშესანიშნავ სამუშაოსთან გვაქვს საქმე. საკუთრივ ქიმიისა და ქიმიური ანალიზის საკითხებს ეთმობა შემდეგი გვერდები: 392—401, 407, 409—412. დანარჩენ გვერდებზე მოყვანილია იმ რა-იონების გეოგრაფიული და ბოტანიკური აღწერა და სამედიცინო დას-კვნები წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ. ასე რომ, რო-გორც ჩანს, ეს ნაწილი შრომის მთავარ ნაწილს წარმოადგენს.

ანალიზები, როგორც მდ. თერგთან აღმოჩენილი ცხელი და ცივი მინერალური წყაროებისათვის (დღევანდელი გროზნოს რაიონი, ე. წ. ბრაგუნების თერმები), ისე მდ. ვოლგასთან მდებარე გოგირდიანი წყლებისათვის (კურიშევის ოლქში, კურორტი სერგიევსკის წყლე-ბი) ერთნაირად არის ჩატარებული. ქიმიურ კვლევას წინ უძღვის ორგანოლეპტიკური ანალიზი. გამოსაკვლევ სინჯებში მუავების, ტუ-ტეების, ფავისუფალი და ბმული გოგირდის, კარბონატური მარილე-ბის და რკინის შემცველი ნაერთების აღმოსაჩენად გამოიყენება რე-

<sup>12</sup> რუსულ „თეოლიამ“-ს, რომელიც პანეპისტი ცხელ წყალს გადასცმობს, ჩეკნ „თერმებიანი“ ვთარებით.

აქტივები „ღვინის ქვის ზეთი“ (კალიუმის კარბონატი), „არჯასპის სპირტი“ (გოგირდმყავა), „ვერცხლისწყლის სუბლიმატი“ (სულფა) და „მელნის კაფლები“ (გალის მყავას შემცველი მცენარეული მასა). ინდიკატორებად — ისა და რევანდის ექსტრაქტები. გამოხდის ოპერაციით შობერი ამოწმებს ნავთობის შემცველობას ნავთობის სუნის მქონე წყლის სინჯში. წყალში მინერალური კომპონენტის დასადგენად გამოყენებულია აორთველის მეთოდი. მყარი ნაშთის ნაწილზე შობერი ისეთივე ანალიზს ატარებს, როგორც სითხეზე. მეორე ნაწილს ხსნის წყალში და გაუხსნელ ნაწილს დაშლამდე ახურებს. თვითეულ სტადიაზე, წონების ზუსტი ფიქსირების საფუძველზე, შობერს გამოაქვს დასკვნა წყალში მყარი ნაშთის საერთო რაოდენობაზე, აგრეთვე მყარ ნაშთში მარილის და აქროლადი ნაერთების წონით შეფარდებაზე.

შობერის მიერ ჩატარებული სამუშაო, რომელიც რაოდენობრივი ანალიზის ელემენტებსაც მოიცავს, ახლად ფეხადგმული ანალიზური ქიმიის ყველაზე მოწინავე მეთოდებს ემყარება (ეს მაშინ, როდესაც 40—60 წლის შემდგომაც კი რუსულ პრაქტიკაში გაცილებით არქაული და არაეფექტური მეთოდების გამოყენების ფაქტები გვხვდება). სამწუხაროდ, ვინაიდან შრომა იმავე პერიოდში არ გამოქვეყნდა (ე. ი. 1718 წ.) და ფართო წრეებისათვის ცნობილი არ გახდა, გ. შობერის სახელი რუსული ქიმიის ისტორიაში ვერ მოხვდა. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორიც. გ. შობერის ჩატარებულ სამუშაოს მაშინვე მოჰყვა პრაქტიკული შედეგი: საფუძველი ჩაეყარა თერგზე ბალნეოლოგიური კურორტის ათვისებას, ხოლო ვოლგაზე, სადაც, შობერის მითითებით, წყაროდან წელიწადში 40—70 ფუთი გოგირდის მოპოვება შეიძლებოდა, პეტრეს ბრძანებით გოგირდის ქარხანა იქნა აგებული. ასეთი პრაქტიკული გამოსავლის მქონე სამუშაო, მითუმეტეს, რომ მისი კვლევითი ნაწილი სანიმუშო დონეზე იყო შესრულებული, იმ დროს და შემდგომშიც საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომაც ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ რუსეთში ბუნებრივ სიმდიდრეთა ქიმიური შესწავლა-ათვისება 1717 წელს პეტრე პირველის ინიციატივითა და გოტლიბ შობერის კვლევებით დაიწყო.

დასანანია, რომ ვახტანგისა და შობერის უშუალო კონტაქტების ამსახველი სხვა დოკუმენტები ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. მაგრამ ვახტანგის „ქიმიის“ ზოგიერთი მასალა უფლებას გვაძლევს ვივარაულოთ, რომ მათი ნაცნობობის ხანმოკლე პერიოდის მიუხედავად (1734 წ. ვახტანგი კასპიისპირეთში გაემგზავრა და მოსკოვში აღარ დაბრუნებული), შობერს საკმაოდ ნაყოფიერი კონსულტაციების გაწევა უნდა მოესწრო.

სახელმისამანელოს მცხვარე ნაწილის შოკლუში შინაგანი როგორც ადრე დადგინდა, რუსეთში დაწერილ მასალებს განეცუთვნება წე 169-268, 87(2), 137—141. მქსამე ნაწილსაც, მეორის მსგავსად, საბოლოო რედაქტორება არ გაუცლია და ამ შემთხვევაში ეს გარემოება მასალის მრავალფეროვნების გამო უფრო შესამჩნევად ჩანს. ტექსტში, მართალია, რამდენჯერმე გვხვდება თემატურად ერთგვარი რეცეპტების ჯგუფებად გაერთიანება (მაგ., წიგნის მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებასთან, მინის წარმოებასთან ან სპირტიანი სასმელების დამზადებასთან დაკავშირებული რეცეპტები), მაგრამ ეს შედეგია წყაროებიდან ასეთი მთლიანი სახით გადმოტანისა და არა რედაქტორებით გამოწვეული დაჯგუფებისა.

აქედან გამომდინარე, შინაარსის უკეთ აღქმისათვის ჩვენ პარაგრაფებს მოცემული თანამიმდევრობით კი არ განვიხილავთ, არამედ თემატურად გაერთიანებული ჯგუფების მიხედვით. ასეთი ჯგუფების რიცხვი საკმაოდ დიდია. რეცეპტების ერთი წყება ქიმიური ტექნიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგს მოიცავს, როგორიც არის ლითონების დნობისა და დამუშავების საქმე. სხვა ჯგუფებში წარმოდგენილია სალებრების დამზადება, საოქრომჭედლო საქმე, სამკურნალო საშუალებათა დამზადება, სხვადასხვა მუავების მიღება. რამდენიმე რეცეპტი საყოფაცხოვრებო და გასართობი ტექნიკის სფეროდან არის შემოტანილი. ჩამოთვლილ სიას ზემოთ აღნიშნული ჯგუფები უნდა დაემატოს (ე. ი. წიგნის გაფორმების, მინის და სასმელების წარმოების რეცეპტები), ასე რომ, განსახილველი მასალა ქიმიური ტექნიკის საკმაოდ მრავალრიცხოვან დარგებს მოიცავს.

ამ დარგებიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ლითონის დნობისა და დამუშავების საქმე. სახელმძღვანელოში რამდენიმე რეცეპტია შენაღნობების მოღებისა (წე 246, 247, 255). ე. წ. „ფრანგული თითბრის“ დასმზადებლად რეკომენდებულია სპილენძის. თუთიის მინერალ გალმეის („ღალმეის“) და ნახშირის ნარევის ერთობლივი დნობა, რის შედეგადაც მიიღება ოქროსფერი სპილენძ-თუთიის შენაღნობი (წ 246). ამ მეთოდს ჯერ კიდევ XI ს. აღწერს თავის მანოსკრიპტში ჰეოფილე, ხოლო გაცილებით უფრო ადრე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ის ცნობილი იყო ჩვენი წინაპრების — მოსინიკების ტომისათვის, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერება თითბერის პირველამომჩენად თვლის (ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 108—109). მეორე რეცეპტში თითბერსა ან სპილენძისაგან „თეთრი თითბერის“ მისალებად ამოსავალ ლითონს აღნობენ დარიშხანის ჟანგთან („თეთრი მარგრამუშეი“) ერთად, რის შედეგადაც „თითბერი უფრო გათეთრდება. სპილენძი უფრო ფერმკრთალი იქნება“ (წე 247). „მაგარი და თეთ-

რი“ კალის შენადნობის დასამზადებლად მესამე რეცეპტი ინგლისური („ალლინციის“) კალის გადადნობას ითვალისწინებს სპილენძისა და სტიბიუმის სულფიდის („ანტიმონიას“) მინარევებთან ერთად (წ 255). სამივე რეცეპტი აშკარად ევროპული წარმოშობისაა. პირველი ორი ვახტანგმა შესაძლოა გ. შობერისაგან ჩაიწერა, რაზედაც უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ თუთიის მინერალის სახელწოდება გერმანულად არის მოყვანილი და არა ფრანგულად („ლალმეი“ „კალამინის“ ნაცვლად), მიუხედავად იმისა, რომ თუთიის მადნის მიმწოდებელ ქვეყნად საფრანგეთია მითითებული და პროდუქტის სახელწოდებაც („ფრანგული თითბერი“) ამ ქვეყნასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება მესამე რეცეპტს, სიტყვა „ალლინციი“ აშკარად რუსულია და ევროპული რეცეპტის რუსული წყაროებიდან წარმომავლობაზე მიუთითებს. 1

სახელმძღვანელო შეიცავს ტყვიის საფანტის მიღების საინტერესო ცნობებს. ერთ-ერთი ძირითადი ოპერაცია ტყვიის შენადნობის დამზადებაა (წ 262). რეცეპტის თანახმად, საფანტი მიიღება გამლღვალი შენადნობის წყალში წვეთებად ჩასხმის საშუალებით. ამ დროს კი ცნობილია, რომ წვეთები უკვე ჰაერშივე ასწრებენ სფერული ფორმით გამყარებას და ამ სახით წყალში საბოლოოდ გაცივებას. რეცეპტში სამართლიანად არის ხაზგასმული, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შენადნობის შემადგენლობას საფანტისათვის სფერული ფორმის მისაცემად.

ჯერ ერთი, „ტყვიის უნდა იცნობდე... სხვა არაფერი არ ერიოს. თუ რამ ურევია, იმისაგან საფანტი არ ჩამოისხმის“. რაც შეეხება შენადნობებისათვის დასამატებელი დარიშხანის კომპონენტების ანუ „წამლის“ რაოდენობრივ მხარეს, რეცეპტის თანახმად, საფანტისათვის „ამისი ნიშანი ეს არის: თუ მოგრძო მოვიდა და ან ბოლო მოპყვა: იცოდე, რომ წამალი აკლია; თუ ბრტყელი მოვიდა, იცოდე წამალი მეტი არის. წამალი არც მეტი უნდა იყოს და არც ნაკლები“. წამლის შემადგენლობასთან დაკავშირებით რეცეპტში რეკომენდებულია ორი ვარიანტი: ან „2 წილი ყვითელი მარგიმუშეის და 1 წილი თეთრი დარიშქანის“ ნარევი, ან მარტო „ყვითელი მიშიაკი“, რომელიც შეიძლება „ზირნიხითაც“ შეიცვალოს. აქ პირველად ვახტანგი „დარიშქანას“ თანამედროვე, ე. ი. დარიშხანის მნიშვნელობით ხმარობს და „თეთრი დარიშქანათი“ დარიშხანის უანგს ( $\text{As}_2\text{O}_3$ ) აღნიშნავს. რაც შეეხება „ყვითელ მარგიმუშეს“, ის რუსულ „მიშიაკთან“ ან, უფრო ზუსტად, „ყვითელ მიშიაკთან“ ერთად აურიპიგმენტის ( $\text{As}_2\text{S}_3$ ) გულისხმობს, ხოლო „ზირნიხის“ სახელწოდებით ამჯერად რეალგართან ( $\text{AsS}$ ) გვაქვს საქმე. აღსანიშნავია, რომ განხილული რეცეპტი, ზუსტად ასეთივე განმარტებებით და დარიშხანის ანალოგიური პრეპა-

რატებით XX ს. დასაწყისშიც ფართოდ გამოიყენებოდა პრაქტიკაში (იხ. ლუბავინი, IV, გვ. 692—693).

ასევე პრაქტიკული დანიშნულება აქვს რეცეპტს, რომელშიც ტყვიის ან კალის საგნების ერთმანეთთან დასაკავშირებლად რეკომენდებულია კალის სარჩილი. გამლოვალი სარჩილის და დასაკავშირებელი ზედაპირების დაუანგვის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება დათვის ქონი, რაც სავსებით მისაღებია, ვინაიდან მირჩილვისათვის გამოიყენებულ ფლოუსებში დღესაც შეყავთ ცხოველური წარმოშობის ცხიმები (§ 251).

ერთ-ერთ პარაგრაფში (§ 256) მოყვანილი ლითონური სტიბიუმის მცენების მეთოდი, ისევე როგორც „ფრანგული თითბრის“ დამზადების მეთოდი ერთგვარად ძველი ქართული ქიმიური ტექნიკის ისტორიასთან არის დაკავშირებული. ცნობილია, რომ თუ ევროპაში მაღნიდან ლითონური სტიბიუმის გამოდნობა XV ს. დაიწყო, ზემო რაჭაში ამ პროცესს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II—I ათას წლეულებში იცნობდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ძველი ხელოსნები, რეცეპტის მონაცემების მსგავსად, ანთიმონიტს ანუ „ანტიმონის“ (Sb<sub>2</sub>S<sub>3</sub>) ჯერ არააქროლად სტიბიუმის ოთხვანგამდე უანგავდნენ და შემდეგ ამ უკანასკნელს რომელიმე მცენარეული ზეთისა ან ცხრმოვანი ნივთიერების საშუალებით ლითონამდე აღადგუნდენ. რეცეპტის სათაური „ანტიმონია როგორ გაწმდება“ კარგად გამოხატავს ევროპელი ტექნიკიმიკოსების შეხედულებას ლითონურ სტიბიუმსა და ანტიმონიტზე. ეს უკანასკნელი, მათი წარმოდგენით, გოგირდით გაჭუჭყანებულ სტიბიუმს წარმოადგენდა და ამიტომაც გოგირდის მოცილება სტიბიუმის გასუფთავებად („გაწმედად“) ითვლებოდა (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 115—116).

რეინისა და ფოლადის ცემენტაციისა და წრთობის შესახებ ორი პარაგრაფია (ფფ 249—250). პირველი რეცეპტი: ჰერმეტულ რკინის ყუთში, დანახშირებული ტყავის ფენებში მოთავსებული რკინის ან ფოლადის საგნების თეთრ ვარვარებამდე (ე. ი. 1000°-მდე) გახურებით დაცემენტებული ფოლადი მიიღება. მეორე რეცეპტი: წრთობის პროცესშისათვის ნაკეთობის გასაცივებლად ზეთისხილის ზეთი გამოიყენება.

რეინის ნაკეთობათა ზედაპირზე მხატვრული სახეებისა და ფიგურების ამოსაცვანად შემოთავაზებული მეთოდი ითვალისწინებს ზედაპირის გამდნარი ცვილის აპკით დაფარვას, აპკზე საჭირო ფიგურის დახატვას და ამოსაჭმელი ხსნარით ობიექტის დამუშავებას (§ 179). ამოსაჭმელი ხსნარების („ოტკების“) შემადგენლობა, რომელიც რამდენიმე რეცეპტში არის მოყვანილი (ფფ 174, 183, 197—200), ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდება. თითქმის ყველა ნარე-

ვი შეიცავს ნიშადურს და არჯასპეტს, ხშირად გამოიყენება სულე-მა, გვარგილა და ძმარი, უფრო იშვიათად უანგარო, შაბი. ზოგიერთი შემადგენლობა ორ-ორ რეცეპტად მეორდება, მხოლოდ კომპონენტების სხვადასხვა სახელწოდებით („ნაშატირი“ — „ნიშადური“; „სულემა“ ან „სულეიმანი“ — „დარიშქანა“, „ოტკა“ — „არაყი“), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სახელმძღვანელოში რატომდაც ზოგიერთი რეცეპტისათვის ორივე, ნედლი და დამუშავებული მასალა შეუტანიათ. ალსანიშნავია, რომ ყველა რეცეპტი აშკარად რუსული წარმომავლობისაა (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 105—107).

სახელმძღვანელოში მოყვანილი ლითონებიდან ყველაზე უფრო მეტი გამოყენება ოქროს აქვს და თანაც ეს ლითონი თითქმის ყველა დარგის რეცეპტებში მოიხსენიება. ამიტომაც მისი დამუშავების მეთოდები (წმ 180, 184, 190, 260) ერთნაირად საინტერესო უნდა იყოს ყველა ამ დარგისათვის. წ 180-ში სარეწიდან მოპოვებული ოქროს გასაწმენდად რეკომენდებულია ამ უკანასკნელის გადადნობა დამწვარი საპნის, სულემის, გვარჯილის და გოგირდის დანამატებთან ერთად. ამ შემთხვევაში თვითეული დანამატი გარკვეული მინარევებისაგან ოქროს გაწმენდას ითვალისწინებს. დამწვარი საპონი, რომელიც მყარ ტუტეს წარმოადგენს, ოქროში შერეულ სილასთან წიდას წარმოქმნის. სულემა არაკეთილშობილი ლითონების მინარევებთან აქროლად ქლორიდებს იძლევა, რომლებიც ვერცხლისწყალთან ერთად ორთქლდებიან. ხოლო გოგირდი მინარევ რკინასთან ურთერთქმედებით სულფიდებს წარმოქმნის, რომლებიც ასევე წიდაში გადადიან. სულემა რეკომენდებულია აგრეთვე ოქროს რაფინირებისათვის (წ 190). საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ვახტანგის მიერ რაფინირების ცნების გამოსახატავად გამოყენებული ტერმინი „დარბილება“ სხვა ენებშიც გვხვდება და ეს სავსებით გასაგებია: ქიმიური ანალიზის მეთოდების არარსებობის პერიოდში ოქროში მინარევების შემცველობას მექანიკური გზით, სიმყიფე-სირბილის შემოწმებით აფასებდნენ, ვინაიდან ეს უკანასკნელი ფაქტორი ძალზე მგრძნობიარე იყო მინარევების მიმართ.

ოქროს გაწმენდის გარდა ყურადღებას იქცევს მისი დაწვრილმანების ორი გონებამახვილური ქიმიური მეთოდი (წმ 180, 260). პირველი რეცეპტი, რომლის ტექსტი ხარვეზებით არის წარმოდგენილი, ჩვენ მიერ აღდგენილ ექნა და დადგინდა, რომ ის თეოფილეს (X I ს.) ერთ-ერთი მეთოდის გამეორებას წარმოადგენს: ოქროს ვერცხლის-წყალთან ურთიერთქმედებით მზადდება ამალგამა, რომელსაც ემატება გოგირდი. ნარევის გახურებისას ქროლდება სინგური (აგრეთვე რეაქციაში შეუსვლელი გოგირდი ან ვერცხლისწყალი) და რჩება

ოქროს წვრილდისპერსიული ფხვნილი, რომელსაც ოქროს მელნის დასამზადებლად იყენებენ (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 99—101). მეორე რეცეპტი (§ 260) ლითონის დასაწვრილმანებლად შემდეგ ღონისძიებებს ითვალისწინებს: ჯერ ოქრო იხსნება სამეფო არაყში, შემდეგ მილებული ხსნარით იქლინთება ქსოვილის ნაჭერი („დოლბანდი“). „ცივ ადგილას“ სითხის გამოშრობის შემდეგ ნაჭერს წვავენ და ნამწვს წყალში ყრიან. „ოქრო ძირს წავა, ნამწვი დოლბანდი ზეით ამოვა“. ამ გზით მილებული ოქროს ფხვნილი XVII საუკუნიდან მოყოლებული უკანასკნელ დრომდე სხვადასხვა პრეციზიული აპარატურის მოოქვრისათვის გამოიყენებოდა და მას, როგორც მოქმედ მეთოდს, რ. ვაგნერის სახელმძღვანელოც მოიხსენიებს (ვაგნერი, გვ. 259). მოოქვრის ოპერაცია საგნის ზედაპირზე მილებული ფხვნილის ჩაზელით ხორციელდებოდა და სწორედ იმ „უცეცხლო მეთოდს“ წარმოადგენდა, რომელსაც საგანგებოდ აღნიშნავს ვახტანგი.

ოქროსთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სამეფო არაყის ორი რეცეპტი (§§ 212, 254), რომელთა მიხედვით ამ ხსნარის დასამზადებლად ერთი და იგივე საწყისი კომპონენტები — აზოტმჟავა (1 წილი) და ნიშალური (1/4 წილი) გამოიყენება. ყურადღებას იქცევს იქვე მოყვანილი განმარტებები, რომლებიც შეიძლება ვახტანგს ეკუთვნოდეს. ერთ შემთხვევაში (§ 212) მილებულ ხსნართან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ის ოქროს „ვერცხლსავით დაადნობს“, ე. ი. აქ იგულისხმება, რომ აზოტმჟავა ნიშალურის დამატებით ოქროს ისევე გახსნის, როგორც ის ვერცხლს ხსნიდა ნიშალურის დამატებამდე. მეორე შემთხვევაში კი დაზუსტებულია მილებული ნარევის შესაძლებლობები: „ეს წყალი ოქროს შესჭამს და ვერცხლს არა“. საკუთრივ აზოტმჟავას მილებას ეძღვნება § 253, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი გვარჯილისა და არჯასპის ნარევის გამოხდით ამ მუავას მილების წესი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქროსთან დაკავშირებული ყველა რეცეპტი, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, ევროპული წარმოშობისაა და მსგავს მასალას XVIII საუკუნის ყველა ქიმიურ სახელმძღვანელოში ვხვდებით.

საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სახელმძღვანელოში მოოქვრის მეთოდებს, რომლებიც საოქრომჭედლო პრაქტიკის გარდა ხელოსნური ტექნიკის სხვადასხვა დარგებშიც გამოიყენებოდნენ. რეცეპტებში წარმოდგენილია ორივე მეთოდი, რომლითაც იმ ღროს მოოქვრას აწარმოებდნენ, ე. წ. ფურცლოვანი მოოქვრის და ცეცხლო მოოქვრის მეთოდები. ფურცლოვანი მეთოდი, რომელიც ოქროს თხელი ფურცლებით, ე. ი. კილიტებით სხვადასხვა მასალისაგან შემდგარი ნაკეთობების ზედაპირის დაფარვას ითვალისწინებს, ზედაპირსა და კილი-

ტას შორის შეჭიდულობის უზრუნველსაყოფად გრუნტის სხვადასხვა მასალას და შემადგენლობას იყენებს. სწორედ ამასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში გრუნტებად შემოთავაზებულია რეინისა და მინისათვის ძმრით დამუშავებული სინგური (§ 170), კალისათვის — ქალალდის, თევზის წებოს და ფქვილის ერთად გალესილი მასა (§ 182), სპილენძისათვის — ოლიფა თეთრი ნავთოსა და სურინჯის („სურიკის“) მინარევებით (§ 186), ნებისმიერი მასალისათვის და განსაკუთრებით ხისათვის — „სანდალოზის სქელი ზეთის“ (ე. ი. ფაქტობრივად ოლიფის), ტყვიის თეთრას („უმარილის“) და სურინჯის ნარევი (§ 186).

ერთი რეცეპტით სპილენძის ზედაპირი გრუნტის ნაცვლად ვერცხლისწყლით უნდა დაიფაროს (§ 287). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ვერცხლისწყლის სპილენძისა და ოქროს ზედაპირებთან ურთიერთქმედებით მათი ამალგამების შუალედური ფენა წარმოიქმნება, რომელიც უზრუნველყოფს კილიტის შეჭიდულობას სპილენძთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფურცლოვანი მოოქვრის მეთოდს ვახტანგი „ვარაყის დაკვრას“ ან „მოვარაყებას“ უწოდებს.

განხილულ რეცეპტებში ხშირად გვხვდება რუსული ტერმინები (ფეჩა, ალიფა, სლივოტერთი და სხვა). და მათი წარმომავლობა სავსებით ნათელია. ასევე რუსული კრებულებიდან აქვს ვახტანგს ამოკრეფილი რეცეპტები ცეცხლის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ოქროს ან ვერცხლის ამალგამით საგნის ზედაპირის დაფარვას და სისტემის გახურებას გულისხმობს, რის შედეგადაც ვერცხლისწყალი ორთქლდება, ხოლო ოქრო დანაფარის სახით ჩატარდა საგანზე. ამ მეთოდს ვახტანგი ზოგადად „ოქროთი დაფერვას“ (ან „ვერცხლით დაფერვას“) უწოდებს. (სწორედ ამ დანიშნულების მიხედვით სახელმძღვანელოს წინა ნაწილში ოქროს ამალგამს „საფერავი“ და „დასაფერავი ოქრო“ ეწოდება). § 193-ში მოყვანილია სპილენძის „დაფერვის“ რეცეპტი, რომელშიც წინასწარ მჟავე არეში სპილენძის ზედაპირის უანგეულისაგან გაწმენდა არის ნავარაუდევი. ვინაიდან, სპილენძისაგან განსხვავებით, რეინა ამალგამაცის არ განიცდის, წყ 177, 178-ში გათვალისწინებულია წინასწარ მის ზედაპირზე სპილენძის შემცველი ხსნარებიდან ქიმიური გზით სპილენძის გამოლექვა და შემდგომ ძირითადი პროცესის ჩატარება (მსგავსი შემოვლითი გზა — რეინაზე შაბიამნის ხსნარიდან სპილენძის გამოყოფა და შემდეგ მასთან ვერცხლისწყლის ურთიერთქმედება — აღწერილია § 261-შიც).

ვახტანგს მოჰყავს კიდევ ერთი რეცეპტი, რომელიც ერთგვარ კავშირშია მოოქვრასთან, ვინაიდან მიზნად ისახავს ძველი მოოქვრილი ნაკეთობიდან ოქროს „გამოღებას“. ამ მიზნით რეცეპტში შემოთავაზებულია ოქროს გამსსნელი ხსნარი, რომელიც არაუში გახსნილი შაბიამნის, ნიშადურის, გვარჯილის და „ბორას“ ნარევისაგან შე-

დგება (§ 191). როგორც ჩანს, ძველი ტექნიკოსები მართლაც იყენებდნენ ასეთ ხსნარს, ვინაიდან მსგავსი რეცეპტები კარგად არის ცნობილი რუსული ხელოსნობის პრაქტიკიდან (ლუბავინი, IV, გვ. 870).

მოოქვრა-მოვერცხვლის აღნიშნული რეცეპტების გარდა ვახტანგმა რუსული წყაროებიდან იმიტაციური მეთოდებიც გადმოიღო. ასეთ რეცეპტებში ოქროს ვარაყის შემცვლელად მოყვანილია ერთად გალესილი ზაფრანა და ქარიყლაპისა („შუკის“) ნალველი (§ 171); ან კვერცხის გული და ვერცხლისწყალი (§ 173), ხოლო ვერცხლის-წყლის ვარაყის შემცვლელად — თევზის წებოში გალესილი გამომწვარი ქარსის ფხვნილი (§ 172).

ოქრო-ვერცხლის ნაკეთობათა ზედაპირის დეკორატიული გაფლრმებისათვის სახელმძღვანელოში ნაკეთობებზე მხატვრული სახეების გამოსაყვანად გათვალისწინებულია „შავი მინანქრის“ — სევადის გამოყენებაც. ვერცხლისა და სხვა ლითონების სულფიდების შემცველი ამ ადვილად დნობადი შენადნობის დასამზადებლად რეკომენდებულია ვერცხლის, სპილენძისა და ტყვიის გამღნარი ნარევის ურთიერთქმედება გოგირდთან (§ 188). კიდევ უფრო საინტერესოა ოქროს ნაკეთობიდან სევადის ამოყრის ქიმიური მეთოდი, რომელიც ნაკეთობის გოგირდთან ერთად გახურებას და შემდეგ წყლით დამუშავებას ითვალისწინებს (§ 196). პირველ სტადიაზე გოგირდის სევადთან ქიმიური ურთიერთქმედების გამო, ამ უკანასკნელში გოგირდის შემცველობა იზრდება, რაც, თავის მხრივ, იწვევს სევადის გამყიფებას და ოქროს საფუძველთან შეჭიდულობის შესუსტებას. წყლით დამუშავებისას გახურებული სევადი ადვილად იბზარება და ნატეხების სახით ოქროს ნაწილაკების წარტაცების გარეშე სცილდება საფუძველს. ორ პარაგრაფში სევადის შემცვლელად („სევადის მაგიერათ დაიხატება“, „სევადათ იქნება“) გვირჩევენ ნიშადურის, უანგაროს და ერთ შემთხვევაში სულემის („სულეიმის“), ხოლო მეორე შემთხვევაში არჯასპის ნარევის გამოყენებას (ჩს 195, 201). აღსანიშნავია. რომ ოქროსიდირებით მოსევადებისათვის რუსულ რეცეპტურაში ტრადიციულად სწორედ ამ შემადგენლობის ნარევები გამოიყენებოდა.

საოქრომჰედლო ნაკეთობების დამზადებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დაბალტემპერატურულ სარჩილებს, ვინაიდან მაღალ ტემპერატურაზე მოოქვრილი ან ოქროს ნაკეთობა ადვილად ზიანდებოდა. სწორედ ამ ტიპის ოქროს სარჩილის შემაღებენლობა არის მოყვანილი § 185-ში (ერთნაირი რაოდენობის ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ნარევი). ვერცხლის ძაფებისათვის („გრეხილი სირმისათ-

ვის“) და მინანქრისათვის ჩეკომენდებულია ვერცხლისა და სპილენძის ნარევი შეფარდებით 5:1 (§ 185).

ყურადღებას იქცევს ჩეცეპტები საღებავების („სახატავის წამლების“) შესახებ. § 176-ში ჩამოთვლილია ის ახალი ფერები, რომლებიც ორ-ორი ცნობილი საღებავის შერევით მიიღება. მხატვრებისა და ხატმწერთათვის ეს საყურადღებო სამახსოვრო თითქმის ყველა რუსულ კრებულში იყო მოყვანილი. რუსული წყაროდან მომღინარეობს აგრეთვე ჩეცეპტი უანგაროს დამზადების შესახებ (§ 192), რომელშიც სპილენძთან ურთიერთქმედებისათვის საჭიროა მუავე რე მუავე ყველის დამატებით (სწორედ რუსეთში, ძმრის უქონლობის გამო, იყენებდნენ მუავე რძეს, რომელიც დულილის შედეგად დროში ძმარს იძლეოდა — იხ. ლუკიანოვი, IV, გვ. 530). მეორე ჩეცეპტშიც რე არის შემოთავაზებული, მხოლოდ გვარჯილის და არჯასპის დამატებით (§ 202). სამაგიეროდ პარაგრაფი სინგურის შესახებ ევროპული წარმოშობის უნდა იყოს (§ 181), მაგრამ არაზუსტად ჩაწერილი, ვინაიდან საწყის ჩეაგნენტად გოგირდის ნაცვლად რატომლაც სანდალია დასახელებული. § 175 ზეთის საღებავების გამოყენებას ითვალისწინებს; რკინაზე წასასმელად საჭიროა ოლიფაში გალესილი საღებავები. ასევე § 194-ში, ჩეცეპტის თანახმად, „სხვადასხვა ფერი სახატავი წამლები ზეთით“ მზადდება, რომელსაც სიმაგრისათვის ცვილი აქვს დამატებული.

წიგნის მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში მოყვანილია როგორც ცალკეული ჩეცეპტები (§§ 205, 214), ისე ერთი დიდი ფრაგმენტი, რომელშიც მხოლოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილი პარაგრაფებია გაერთიანებული (§§ 235—245). § 205-ის ჩეცეპტი, რომელიც საწერი ქალალდის ფერადი ჩარჩოს (სპარსულად „გადვალის“) გაფორმებას ეძღვნება, სახელმძღვანელოში ვახტანგის ძევლი მასალებიდან უნდა იყოს მოხვედრილი. რაც შეეხება მეორე ჩეცეპტს, ქალალდზე, ტექსტის ამოფხექის შემდეგ, ხელმეორედ დაწერისას რომ არ მოხდეს მელნის გადღაბნა, ამოფხექილ აღგილზე საჭიროა სანდალოზის („სანდრაკის“) ფხვნილის გასმა (§ 214). ეს პრაქტიკული მეთოდი იმდენად ქმედით საშუალებას წარმოადგენდა, რომ მას XIX საუკუნეშიც კი იყენებდნენ (იხ. ლუბავინი, VII, გვ. 76).

§§ 235—245 ძირითადად წიგნის სხვადასხვა ნაწილების (ყდის, ფურცლების ჩამონაჭერის) მოვარაყების საკითხებს ეძღვნება. შემკვრელ ნივთიერებად ყველა შემთხვევაში გამოყენებულია ცილოვანი ნივთიერებების შემცველი სითხე (ვახტანგის ტერმინოლოგიით, „კვერცხის წყალი“), რომელიც კვერცხის ცილის ათქვეფის შემდეგ გამოიყოფა (§ 235). კვერცხის წყლით ოქროს კრლიტების დაწებება ორი

გზით ხდებოდა. პირველი წესით კილიტას საგნის ზედაპირზე აფენენ მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელზე წინასწარ წასმული კვერცხის წყლის ფენა ჯერ კიდევ არ გამშრალა. ეს წესი არის გამოყენებული მთლიანად ქალალდზე კილიტას დასაკრავად (§ 241) და ამავე მიზნით წიგნის ჩამონაჭერის მოოქერისათვის (§ 236). წიგნის ჩამონაჭრისათვის მხატვრული ჭდეულის ამოტვიფვრაც არის გათვალისწინებული, რაც ცივი ტვიფვრის მეთოდით — ჩამონაჭერის ზედაპირზე მიჭერილ შტამპზე (თეგზე) ჩაქუჩის ფრთხილი დარტყმით ხორციელდება (§ 237).

მეორე წესით კილიტას კვერცხის წყლის უკვე გამშრალ აპკზე აფენენ და ცხელ თეგს, იმისდა მიხედვით თუ როგორი კონსტრუქციისაა, მასზე აჭერენ, უსვამენ ან აგორებენ. კილიტის იმ ფართობზე, სადაც ცხელი თეგის ზემოქმედებას აქვს ადგილი, ცილა დედლება და მჭიდროდ უკავშირდება კილიტას. ამიტომ ამ უკანასკნელზე ნაჭრის გადასმისას ოქროს დაუმაგრებელი ნაწილი გადაიფერთხება და ზედაპირზე რჩება ორნამენტი, რომელიც თეგის დეკორს იმეორებს. ამ წესითვე გვირჩევენ წიგნის ყდისათვის გამოყენებული ტარსიკონის ფიგურულ მოოქერას (§ 238), ქალალდის, წიგნის ფურცლების და პერგამენტის არშიების მხატვრულ გაფორმებას (§ 240), ოქროსა და ვერცხლის ვარაყებით ტყავის დაჭრელებას (§ 292) და ზედაპირების იმ ადგილების აღდგენას, საიდანაც კილიტა რაღაც მიზეზით ამოვარდა (§ 243). ცალკე პარაგრაფები ეძღვნება თვით თეგების ორ სახეობას, რომელთაგან ერთი ტვიფრავს გაგორებით, ხოლო მეორე — ტვიფვრას რწევით ასრულებს (§§ 244, 245). აღსანიშნავია, რომ ფრაგმენტში მოყვანილი რეცეპტების ანალოგებს რუსეთსა და ევროპაში XIX საუკუნეშიც კი იყენებდნენ (იხ. ლუბავინი, IV, გვ. 995—996; ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 101—105).

ერთად თავმოყრილი რეცეპტების სახით არსებ წარმოდგენილი სახელმძღვანელოში მინის ქიმიასთან დაკავშირებული საკითხებიც (§ 216—232). პარაგრაფების ერთი ნაწილი ფერად მინებს (§§ 216, 228—232), ხოლო მეორე — ხელოვნურ ძერტის ქვებს (§§ 217—227) ეძღვნება. ამ პარაგრაფების უმრავლესობა საექიმო რეცეპტების მსგავსი ფორმით არის მოყვანილი (დასახელებულია მხოლოდ იმ საწყისი კომპონენტების სახელწოდებები და წონითი მონაცემები, რომლებიც გამოსადნობ ნარევს შეადგენენ), რაც სხვათა შორის თანამედროვე მინის წარმოების პრაქტიკისათვის არის დამახასიათებელი. ყურადღებას იქცევს კომპონენტთა ლათინური და გერმანული სახელწოდებების სიმრავლე, რომლებიც რეცეპტების ევროპულ წარმომავლობაზე მიუთითებს, თუმცა ზოგიერთი ტერმინი ტექსტში აშკარად

რუსული წყაროების გზით არის შემოსული (დაწერილებით ამ ტერმინების შესახებ იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 168—171).

§ 216 ერთგვარ საერთო შესავალს წარმოადგენს როგორც ფერადი მინების, ისე ხელოვნური ძვირფასი ქვების რეცეპტებისათვის. აქ აღწერილია მათი ამოსავალი კაზმების ძირითადი კომპონენტების — შესაბამისად მინის და „ბროლის“ (იმდროინდელ ტერმინოლოგით კალიუმკალციუმის მინის) დაწვრილმანების მექანიკური და თერმული ხერხები, დნობისათვის გამოყენებული „თვითშერავი ქურის“ კონსტრუქცია (მისი ქვედა ნაწილის ნახაზითურთ) და კერძო მაგალითად მოყვანილი წითელი მინის კაზმიდან საბოლოო პროცესტის მიღების ტექნოლოგიური პროცედურა.

ხელოვნური ძვირფასი ქვებისათვის თითქმის ყველა რეცეპტში კაზმის მთავარ კომპონენტებად დასახელებულია ბროლი და სურინჯი. ამათ გარდა სალებრებად მიჩნეულია: ცაფრა (კობალტის გამომწვარი მადანი) ფირუზის იმიტაციის ერთი სახეობისათვის და ჰმალტა (კობალტის მინის ფხვნილი) მეორე სახეობისათვის (§ 219); ცაფრა და „მალეზი ფედემანთლი“ (პიემონტური მანგანუმის დიოქსიდი) — ლურჯი იაგუნდის იმიტაციის ერთ-ერთი სახეობისათვის (§ 220); ცაფრის და მანგანუმის დიოქსიდის სხვადასხვა შეფარდება სეილანის (ცირკონის) იმიტაციის სამი სახეობისათვის (§ 221); ჟანგარო ან ჟანგაროს და რკინის ჟანგის ნარევი ზურმუხტის იმიტაციის ორი სახეობისათვის (§ 222). სალებრების გარეშე, მარტო ბროლის და ჰურინჯის გარევეული თანაფარდობის საფუძველზე § 218-ში წარმოდგენილია აღმოსავლეთის დუმბაზის (ყველელი იაგუნდის) კაზმის რეცეპტურა. ფაქტობრივად იგივე რეცეპტი მხოლოდ სხვა წყაროდან მოყვანილია § 224-ში, რომელშიც სურინჯი უმარილით (ტყვიის აცეტატით) არის შეცვლილი. ასევე სხვა წყაროებიდან აქვს აღებული ვახტანგს რეცეპტები, რომლებშიც კაზმის ასეთი შემადგენლობა არის მოყვანილი: ბროლი, „ზალალკალი“ (სოდა) და ცაფრა ლურჯი იაგუნდის ერთ-ერთი სახეობისათვის (§ 220); „ანიმალუნერი“ ანუ „ვერცხლის სული“ (წვრილდისპერსიული ვერცხლი), „ანიმაზოლის“ (წვრილდისპერსიული ოქრო), ბროლი და „ზალის ზალმონიაცი“ (კალციუმის ქლორიდი) — ზურმუხტის ერთ-ერთი სახეობისათვის (§ 222); ასევე ბროლი და ტყვიის აცეტატი „მსგავსის იაკინთისათვეს“ (§ 223); „ანიმაზოლი“, „ანიმამარტის“ (რკინის წვრილდისპერსიული ფხვნილი უნდა იყოს) და „ზალმონიაცი ჭიქსი („კალციუმის ქლორიდი“) „წითელი რუბინის“ ანუ „წითელი იაგუნდისათვის“ (§ 225). სხვადასხვა წყაროების გამოყენებაზე მოუთითებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ დასახელებულ პარაგრაფებში განსხვავებული წონრთი სისტემა იხმარება (ამის შესახებ

დაწვრილებით იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 170). აშკარად რუსული და თანაც ადგილობრივი პრაქტიკის ნიმუშს წარმოადგენს ს 226-ს რეცეპტი, რომელიც „მწვანე საფირისათვის“ კაზში ბროლის, ბორაჟის, თეთრი მარგიმუშების, გვარჯილის, „ფოთაშის“ და ლაუვარდის არსებობას ითვალისწინებს (აქ „ფოთაშთან“ ერთად წონის ერთეულს სახელწოდება „გირანქა“ რუსული ენიდან მომდინარეობს).

ფერადი მინების დამზადებასთან დაკავშირებით ჯერ ს 229-ში მოყვანილია ფრიტის („მასის“) შემადგენლობა: 4 წილი მინა, 2 წილი გვარჯილა და 1 წილი ბორაჟი. დანარჩენ პარაგრაფებში ამ ფრიტის უმატებენ შემდეგ საღებრებს: შმალტას ან „სპილენძის ნაცარს“ (სპილენძის უანგს) — ლურჯი მინისათვის (ს 230), რკინის უანგის სხვადასხვა რაოდენობას მწვანე და ყვითელი მინებისათვის (ს 231—232), რაც შეეხება წითელ მინას, მისი მონაცემები კერძო მაგალითად ჯერ კიდევ ს 219-ში იყო მოყვანილი. აქ საღებრად ოქროს ქლორიდი (სამეფო არაყში გახსნილი ოქრო) არის მოცემული, რომელიც, სხვათა შორის, ამ მიზნებისათვის ლიტერატურაში უფრო მოგვიანებით არის დასახელებული.

ცალკე ჯგუფს შეადგენს რამდენიმე რეცეპტი, რომლებიც ზოგიერთ საკითხებზე ძალზე სასარგებლო რეკომენდაციებს იძლევიან. კერძოდ, „მინის დამძიმებისათვის“ საჭიროა მინის ფხვნილში ლითონური ტყვიის ისეთი ფორმით შეყვანა, რომელიც საბოლოო პროდუქტში მხოლოდ ტყვიის უანგეულის არსებობას უზრუნველყოფს (ს 227). ს 228-ში მინის გასაწმენდად ვათვალშწინებულია მის ნადნობში მანგანუმის დიოქსიდის დამატება, ხოლო ს 233-ს მიხედვით „სპილენძის ნაცარი“ სპილენძის წილის და წრთობის დროს უნდა შეგროვდეს. განსაკუთრებით საინტერესოა ს 234-ში წარმოდგენილი „ვერცხლის ნაცრის“ მიღების მეთოდი, რომელიც გვასწავლის ვერცხლის ნიტრატის ხსნარიდან წვრილდისპერსიული ვერცხლის გამოყოფას ამ ხსნარში სპილენძის დამატებით.

მინის თემატიკასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ს 215 („სათვალის ყალიბის გაეთება“), რომელიც ფაქტობრივად გამოყენებითი ინსტრუმენტული ოპტიკის მოკლე სახელმძღვანელოს წარმოადგენს. პარაგრაფში მკაფიოდ გამორყოფა სამი ნაწილი. პირველ ნაწილში განხილულია ლინზების ზოგიერთი ოპტიკური მახასიათებლები და სახეხი ყალიბების დამზადების ძირითადი მეთოდები; მეორე ნაწილში — სარკის მინისაგან ლინზების დამზადების ტექნიკულოგიური პროცესი; მესამე ნაწილში კი — ჭოვრების („დურბინის“) კონსტრუქციების ძირითადი პრინციპები. ქიმიასთან უშუალოდ დაკავშირებული მეორე ნაწილი ჩვენ მიერ ადრე იყო განხილული (ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 179—181), ამიტომ აქ პირველ და მესამე ნაწილებს უნდა

შევეხოთ. თუმცა ამ ნაწილების შინაარსი „არაქიმიურია“, ვახტანგს ის მოხერხებულად შემოყავს სახელმძღვანელოში როგორც ქიმიურ ობიექტზე (მინაზე) დაფუძნებული მასალა და ჩევნც ვახტანგის სქემის გათვალისწინებით ასევე ქიმიური სახელმძღვანელოს შემადგენლობაში განვიხილავთ აღნიშნულ ნაწილებს.

მინის ლინზების დასამზადებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახეს ყალიბებს, ვინაიდან ლინზის ზედაპირების ფორმა ზუსტად იმეორებს ყალიბის ფორმას. ვახტანგი შესავალში სწორედ ამ საკითხებს ეხება და მოკლედ მიმოიხილავს იმ ყალიბებს, რომელთა საშუალებით შეიძლება სხვადასხვა ტიპის ლინზების დამზადება. ყველაზე უფრო საინტერესო კი აქ ლინზების მოკლე დახასიათებებია. ავტორი, თუ ვახტანგის ინფორმატორი, საკითხების გადმოცემისას აშკარად უნდა ხელმძღვანელობდეს ი. კეპლერის (1571—1630) ფორ-

$$\frac{1}{F} = \frac{1}{2} \left( \frac{1}{r_1} + \frac{1}{r_2} \right), \quad \text{სადაც } F \text{ — ლინზის ფოკუსური მანძილი, } r_1 \text{ და } r_2 \text{ კი — ლინზის ზედაპირების სიმრუდის რადიუსები.}$$

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტი ძალზე რთულია და მისი სწორი წაკითხვა საკმაოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენს. აქ თავი მარტო იმ გარემოებამ როდი იჩინა, რომ ვახტანგისათვის ცოდნის ეს სფერო სრულიად უცნობი იყო. ტექსტი აშკარად ზეპირი გზით, რომელიდაც ინფორმატორის მეშვეობით არის შედგენილი. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის ერთი კრიტერიუმით არ უდგება განსახილველ ოპტიკურ ობიექტებს, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს მის ისედაც თავისებურ ინფორმაციაში ჩაწვდომის შესაძლებლობას.

ტექსტის შესავალშივე მოყვანილია რამდენიმე წინადადება, რომელთა სწორად წაკითხვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სათვალის ლინზების დასამზადებელ (სახე) ყალიბებთან დაკავშირებით ვახტანგი აღნიშნავს: „მოიტანე ფარგალი და რამთონისაც ცერის დადებაზე დასანახავათ გინდოდეს, იმთონათ ფარგალი გაშალე და ერთი კრკალი მოავლე“. ამავე საკითხს ის კვლავ უბრუნდება: „რამდონისაც დიღზე გაშლი ფარგალს, შორ დაანახვებს და რამდენისაც უფრო ახლოსზე გაშლი, ახლოს დაანახებს და მსხვილად“<sup>13</sup>. აქ ფარგლის გაშლილობა თუმცა სახეზი ყალიბის ნახაზთან დაკავშირებით მოიხსენიება, მაგრამ ძირითადი აქცენტი გადატანილია ორმხრივამოზნექილი ლინზის მაჩვენებლებზე. თანაც ეს ფარგლის გაშლილობა სიმბატურ კავშირშია „დასანახავ“ მანძილთან. ვინაიდან ფარგლის გაშლილობაში ლინზის ზედაპირის სიმრუდის რადიუსი იგულისხმება,

„დასანახავი მანძილი“ სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს, თუ არა ლინზის ფოკუსური მანძილი. ამასთან ერთად ფრაზა „ახლოს დაანახვებს და მსხვილად“, საიდანაც ჩანს, რომ ფოკუსური მანძილის შემცირებისას ადგილი აქვს გამოსახულების გაღიღებას, დამაჯერებლად მიგვითითებს, რომ ამ შემთხვევაში ორმხრივამოზნექილი ლინზა განიხილება როგორც ჩვეულებრივი ლუპა. სწორედ ლუპის შემთხვევაში შეიძლება „დასანახავი“ საგანი ფოკალურ სიბრტყეში მოთავსდეს და ეს შემთხვევა განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება დამზერისათვის, ვინაიდან თვალი მოსვენებულ მდგომარეობაში პარალელურ სხივთკონას ერთ წერტილში კრებს.

ლუპადვე განიხილება ეს ლინზა ორმხრივჩაზნექილ ლინზასთან შედარებისას. ტექსტის თანახმად, ეს უკანასკნელი „ოთხს იმდენს წვრილად აჩვენებს“, რასაც „სქლად გათლილი აჩვენებს“. თანამედროვე ფორმულებით ეს პირობა ასე ჩაიწერება:  $\frac{K_1}{K_2} = 4$ ,  $K_1$  და  $K_2$  შესაბამისად ორმხრივ ამოზნექილი და ჩაზნექილი ლინზების გამადიდებლობის მაჩვენებელია. პირველისათვის, როგორც ლუპისათვის,

$K_1 = \frac{L}{F}$ , სადაც  $F$  — ფოკუსური მანძილია, ხოლო  $L$  — ხედვის საუკეთესო მანძილი ( $L=25$  სმ). რაც შეეხება მეორე გამადიდებლობას, როგორც ქვემოთ დავინახეთ, ორმხრივჩაზნექილი ლინზისათვის

$K_2 = \frac{1}{2}$  (ე. ი. საგანი მოთავსებულია ლინზის ფოკუსში, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თავიდანვე ტექსტი ფოკუსურ მანძილს „დასანახავ“ მანძილს უკავშირებს). აქედან გამომდინარე,  $K_1=2$  და

$F = \frac{L}{2} = 12,5$  სმ, რაც იმაზე მიგვრთითებს, რომ ტექსტში მოყვანილი შეფარდება იმ კონკრეტულ ორმხრივამოზნექილი ლინზისათვის არის გათვალისწინებული, რომლის ფოკუსური მანძილი 12,5 სმ-ს შეადგენს.

შემდეგ წარმოდგენილია ერთნაირი სიმრუდის რადიუსების მქონე ჩაზნექილ-ამოზნექილი ლინზა ანუ მენისკი, რომელიც, ტექსტის თანახმად, „რომ ორისავ ზომა ერთი იყოს, ისე აჩვენებს“. განმარტება საკმაოდ ბუნდოვანი ჩანს, მაგრამ თუ XVIII ს. ფიზიკის ერთ-ერთი სახელმძღვანელოს მიხედვით ვიმსჯელებთ, აქ ფოკუსისა და დასამზერი საგნის ერთსა და იმავე წერტილში განლაგება უნდა იგულისხმებოდეს (გილაროვსკი, გვ. 258).


ბრტყელზედაპირიანი ჩვეულებრივი მინისათვის აღნიშნულია, რომ ის „როგორც არის, ისე გამოაჩენს, არც მოუკლებს არც მოუმატებს შორ“. ბრტყელ-ამოზნექილი ლინზა კი, ტექსტის თანახმად, „რასაც ზომის სათვალის ყალიბია, ერთს ამდონათ უშორესად აჩვენებს“. აქ ზომა უკვე სიმრუდის რადიუსის აზრით არის ნახმარი, „უშორესად ჩვენება“ — ფოკუსური მანძილის, ასე რომ, წინადადების თანახმად, ბრტყელ-ამოზნექილი ლინზის ფოკუსური მანძილი მისი ზედაპირის სიმრუდის რადიუსის გაორკუცებულ მნიშვნელობასთან არის გატოლებული.

ორმხრივჩაზნექილი ლინზისათვის ტექსტში ასეთი განმარტება არის მოყვანილი: „თუ ორივ პირი ამოსთალე, რასაც ზომის სიმსხოსია, იმდონს წმინდად აჩვენებს“. „სიმსხო“ პარაგრაფში სხვაგანც არის ნახსენები აშკარად დიამეტრის აზრით („რაც სიმსხო ღურბინისა გინდოდეს“), თანაც იმდროინდელ ლიტერატურაში ლინზის ზედაპირის სიმრუდის რადიუსთან ერთად ხშირად იხმარებოდა სიმრუდის დიამეტრის ცნებაც. ამიტომ ციტირებული წინადადება ასე უნდა გავიგოთ: რაც ორმხრივჩაზნექილი ლინზის ზედაპირის სიმრუდის დიამეტრია, მასი ფოკუსური მანძილი ამ დიამეტრზე ორჯერ ნაკლებია („ორ იმდონს წმინდად აჩვენებს“ უშუალოდ დასამზერი საგნის ორჯერ შემცირებულ გამოსახულებას ნიშნავს და ამავე ღროს გულისხმობს, რომ მანძილიც ორჯერ მცირდება). ასევე უნდა გავიგოთ ბრტყელ-ჩაზნექილი ლინზისათვის მოყვანილი განმარტებაც: „რასაც ზომის სიმსხოს აჩვენებს, იმდონს წმინდად წვრილად აჩვენებს“, ე. ი. რა დიამეტრიც აქვს ბრტყელ-ჩაზნექილ ლინზას, ფოკუსური მანძილიც მისი ტოლია.

პარაგრაფის მესამე ნაწილში განხილულია კეპლერისა და გალილეის ჭოგრების კონსტრუირების საკითხები. კეპლერის ჭოგრი წარმოდგენილია ოთხლინზიანი ვარიანტით, სადაც სამი ორმხრივამოზნექილი ლინზა ოკულარისათვის არას განკუთვნილი, ხოლო მეოთხე — ობიექტივის როლს ასრულებს. გალილეის ორლინზიან ჭოგრში კი ოკულარისტვის, — ბრტყელ-ჩაზნექილი, ხოლო ობიექტივისათვის — ორმხრივამოზნექილი ლინზები არის გამოყენებული.

კეპლერის ჭოგრის კონსტრუირებისათვის ტექსტი შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა: ჭოგრის წინასწარ გათვალისწინებული დიამეტრის შესაბამისად სახეს ყალიბებში იმავე დიამეტრის („სიმგრგულის“) ორმხრივამოზნექილი ლინზები ითლება. ჭოგრის კორპუსის ერთ ბოლოში თანამომდევრულად ოკულარს სამი ლინზა თავსდება ერთმანეთისაგან ლინზის ზედაპირების სიმრუდის რადიუსის გაორკუცებული მანძილის დაშორებით („რასაც ზომის ჭიქებად გაგეთალოს. ორი ივთონა სიზორუ ერთმანეთზე ჰქონდეს“), რაც ორმხრივ-

ამოზნექილი ლინზების შემთხვევაში ორმაგ ფოქუსურ მანძილს თანხვდება. ლინზების ასეთი განლაგებისას „რა ერთი სიგრძე მოვიდეს“, იმ სიგრძით „სათვალის ყალიბსავით“ ყალიბი მზადდება და ამ უკა-



სურ. 17. პიგრების კონსტრუქციული ნახატი „ქიმიის“ წიგნიდან

ნასკნელში ობიექტივის ლინზა („წინა ჭიქა“) გამოითლება. „სიგრძე-ში“, თუ პარაგრაფში მოყვანილი ნახაზით ვიმსჯელებთ (იხ. სურ. 17), კიდურა ლინზების გარე ფოკუსური მანძილებიც შედის, ასე რომ, ობიექტივის ლინზის ზედაპირის სიმრუდის რადიუსი (R) ოკულარის ლინზის ამავე პარამეტრის (r) გაექვსეცებული მნიშვნელობის ტოლი იქნება. კორპუსში ეს ლინზა ისეთ ადგილზე ფიქსირდება, რომ მისი მანძილი ოკულარის კიდურა ლინზიდან (R+r) სიღიდეს შეადგენს. მეორე ვარიანტით დასაშვებია, რომ ობიექტივის ლინზა ზედაპირის ნებისმიერი სიმრუდის რადიუსით დამზადდეს, მაგრამ მანძილის შერჩევის წესი უცვლელი რჩება.

გალილეის ჭოვრის დასამზადებლად ობიექტივის ორმხრივამოწევებილი მინა ისეთი ფოკუსური მანძილით უნდა გამოითალოს, რა სიგრძეც ჭოვრისთვის არის გათვალისწინებული (ამჯერად ფოკუსურ მანძილს ტექსტში „სიგრძე“ ეწოდება. მაგ., „იმ სიგრძით გასთალე“, უ. ი. ლინზა იმ ფოკუსური მანძილით დაამზადე). ოკულარის ლინზა ანუ „თვალის ჭიქა“<sup>14</sup>, რომელიც ბრტყელ-ჩაზნექილ ლინზას წარმოადგენს, ტექსტის თანახმად, შეიძლება ნებისმიერი ფოკუსური მანძილით დამზადდეს. ჭოვრის ფოკუსში ჩასმისას მისი დაშორება ობიექტივის ლინზიდან იმ მანძილის ტოლი უნდა იყოს, რომელიც ობიექტივის და ოკულარის ლინზების ფოკუსური მანძილების სხვაობას შეადგენს<sup>15</sup>. ასეთი განლაგებისას ორივე ლინზის ფოკუსი შეთავსებულია და ამ შემთხვევაშიც ჭოვრში ტელესკოპური სისტემა დაცულია.

ტექსტის ბოლოს აღნიშნულია, რომ „სათვალეებსავით“ შეიძლება დამზადდეს გამაღიდებელი შუშა („ცეცხლის მოსაკიდებელი ჭიქა“) და ლორნეტი („ხელის სათვალე“) და მათ მთავარ მახასიათებლად ისევ ფოკუსური მანძილი არის დასახელებული („რამსიგრძეს საღცეცხლის მოკიდება გინდა“, თუ დანახვა გინდა“).

პარაგრაფის წმინდა გამოყენებითი ხასიათი და დანიშნულება კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება ჭოვრების ნახაზებიდან. აქ ფიზიკის სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელი და საილუსტრაციო დანიშნულებს აპტრიური სქემა კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მუშა კონსტრუქციული ნახაზი, რომლის მიხედვითაც უნდა აიგოს ხელსაწყო. კეპლერის ჭოვრის ნახაზზე წარწერებით მინიშნებულია თითქმის ყველა დეტალი: 4 ფოკუსი (სამ შემთხვევაში მიწერილია „ჭოკუს“, სადაც „ფ“ ასო „¤“ მსგავსია), 3 ოკულარის ლინზა

<sup>14</sup> ტექსტის „თავის ჭიქა“ აშკარად გადაწერის დროს დაშვებული შეცდომაა. უნდა ყოფილიყო „თვალის ჭიქა“ — რუსული „стекло оглаш“-ის თარგმანი.

<sup>15</sup> ტექსტში „წინა ჭიქის“ და „თვალის ჭიქის“ ნაცვლად შეცდომით ორჯერვე „წინა ჭიქა“ არის დასახელებული.

(აქედან ორს მიწერილი აქვს „კონვექს“ ე. ი. „convecs“ — „ამოზნე-ქილი“) და ობიექტივის ლინზა „ჭიქა აფექტ“ (რუსული „стекло օбъектив“-ის კალკი). სხვთა სვლის ნაცვლად ნახაზზე წყვეტილი ხა-ზებით ნაჩვენებია ის ორი უცილურესი მდებარეობა, რომელიც ფარ-გლის გაშლილობას აქვს ფოკუსის წერტილიდან ლინზის ზედაპირის შემოხაზვისას. თუმცა თანამედროვე ნახაზებს მსგავსად აქ რიცხვი-თი მონაცემები არ არის მოყვანილი, მაგრამ საკმარისია მარტო ფო-კუსური მანძილის ცოდნა, რომ კონსტრუქტორი ადვილად გაერკვეს სხვა ზომებში.

ვახტანგის როგორც ქიმიკოს-პრაქტიკოსის ინტერესების სფერო იმდენად ფართო იყო, რომ მისი ყურადღების გარეშე არც სპირტი-ანი სასმელების წარმოების საკითხი დარჩენილა. წს 264—268 მოყ-ვანილია სპირტიანი სასმელების ერთ-ერთი სახეობის — ლიქიორების დამზადების წესები. ყველა რეცეპტში ლიქიორებისათვის, როგორც სპირტისა და შაქრის მაღალი შემცველობის სურნელოვანი სასმელე-ბისათვის, ამოსავალ ნედლეულად წარმოდგენილია სპირტი, წყალი, შაქრის სიროფი და მრავალრიცხვანი სურნელოვანი ნივთიერებები. დამზადების ტექნოლოგიაც ფაქტობრივად ერთი და იგივეა და შე-იცავს შემდგომ სტადიებს: სურნელოვანი ნივთიერების სპირტზე და-ყენებას, რათა, ვახტანგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის წამლებმან გე-მო გამოიცეს“ (§ 267), ნაყენის გამოხდას, დისტილატთან შაქრის სი-როფის და სურნელოვანი ნივთიერების დამატებითი პორციის შერე-ვას, ნარევის დროში დაყოვნებას და ბოლოს ფილტრაციით სასურვე-ლი პროდუქტის მიღებას.

ყურადღებას იქცევს რეცეპტების ზოგიერთი თავისებურებები. ყველა მათგანში დაწვრილებით არის აღწერილი ტექნოლოგიური პროცესის თვითეული სტადია. რეცეპტების ბოლოს ასევე დაწვრი-ლებით აღინიშნება თუ რომელი ავადმყოფობის სამკურნალოდ შეიძ-ლება მიღებული პროდუქტის გამოყენება, რა დოზებით და რა დროს. ამრიგად, რეცეპტების თანახმად, ლიქიორები აშკარად სამკურნალო სა-შუალებებს მიეკუთვნებან. წს 264—267 მთელი რიგი ნიშნებით ერთი წყაროდან უზღა მომდინარეობდნენ, ხოლო § 268-ის ნაწილი სხვა წყაროდან უნდა იყოს ნასარგებლები (აქ და § 264-ში მოყვანი-ლი მონაცემები დარიჩინის ლიქიორის შესახებ სავრძნობლად გან-სხვავდებიან ერთმანეთისაგან). ლიქიორის საწყისი კომპონენტების, მათ შორის მრავალრიცხვანი სურნელოვანი მცენარეების სახელწო-დებები მხოლოდ ქართული ტერმინებით არის წარმოდგენილი, მა-შინ როდესაც ჭურჭლის სახელწოდებები შეგნებულად რუსული ტერმინოლოგიიდან არის აღებული (ვეღრა, ჩეთვერთი, ჩარკა და სხვ.). ასევე შეგნებულად იხმარება რუსული „ოტკა“ ლიქიორის,

ხოლო ქართული „არაყი“ — სპირტის ან არაყის აღსანიშნავად. ლი-ქიორების რეცეპტები ვახტანგმა, როგორც ჩანს, ჯერ ცალკე შეაგ-როვა და დაამუშავა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანა სახელმძღვა-ნელოში (მინის საქმესთან დაკავშირებული რეცეპტების გაერთიანე-ბის ანალოგიურად).

ლიქიორების გარდა სამკურნალო მიზნებით გამოიყენება მთელი რიგი ბუნებრივი და ხელოვნური პრეპარატები. სამკურნალო მცენა-რების ლვინის სპირტზე („ლვინის ოტყის ოტყა“) ნაყენის ორ რე-ცეპტს იძლევა § 257 (იატროქიმიკოსები ასეთ ნაყენებს ტინქტურებს, ესენციებს ან ელექტირებს უწოდებდნენ). სახელწოდება „ელექტირი“ ამ რეცეპტშიც არის მოყვანილი); კბილის და ლრძილების სამკურნა-ლოდ ერთ შემთხვევაში რეკომენდებულია ნივრის, „მკვარის“ და „საკმელის“ ძმარში მონადულები ნარევი (§ 210), ხოლო მეორე შემ-თხვევაში აშკარად იატროქიმიკოსების მიერ შემუშავებული არაორ-განული პრეპარატების (გოგირდმჟავას და შაბის) შემცველი სითხე (§ 248). წყლულების მაღამოდ რეკომენდებულია სელის ზეთის, თეთ-რი ცვილის და კარაქის ერთად მოდულებული მასა (§ 209). სამკურ-ნალო მაღამოდ („ბალსამად“) რეცეპტი გვირჩევს აგრეთვე ნარევს, რომლის მთავარ კომპონენტს ჯავჭის ზეთი და ცვილი შეადგენს, ხო-ლო მინარევებად გამოყენებულია მთელ რიგ სურნელოვან მცენარე-თა (მიხაკის, დარიჩინის, პიტნის, ვარდის და ა. შ.). ეთეროვანი ზეთე-ბი (§ 252). რეცეპტი ყურადღებას იქცევს იმით, რომ აქ უკვე მზამ-ზარეული ეთეროვანი ზეთები გამოიყენება და არა მათი შემცველი მცენარეები.

სამკურნალო რეცეპტებით არის წარმოდგენილი აგრეთვე სა-ხელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოყვანილი პარაგრაფები (§§ 137—141). ცხოველური წარმოშობის სურნელოვანი ნივთიერე-ბების — ამბრის და მუსკუსის ფხვნილოვანი ნარევის და ვარდის ზეთ-ში გახსნილი სურნელოვანი ხსნარის მომზადების წესებია მოყვანი-ლი § 139, 141-ში (თვით ვარდის ზეთის მიღებას ეძღვნება § 140). აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ ამ ნივთიერებებს პარფიუმერულ წარმოებაში იყენებდნენ, აქ კი ისინი სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენებიან. გარდა ამრა, ეს სურნელოვანი ნივთიერებები ხში-რად ჩვენ მიერ აღრე განხილული ლიქიორების ამოსავალ კომპონენ-ტებს წარმოადგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა იატროქიმიკოსების მიერ „უნი-ვერსალურ წამლად“ გამოცხადებული „საქმელი ოქროს“ მიღების მეთოდი, რომლის რეცეპტიც ვახტანგმა ორ პარაგრაფად დაპყო ·§ 137 — „ოქროს სულის გაკეთება ასე არი“ და § 138 — „გაკეთე-

გა მარილის „ზეთისა“, რომლის მეორე ნაწილში გადამწერმა შეცდო-  
მით პირველი რეცეპტის გაგრძელება მოათავსა — იხ. ჩაგუნავა, ქიმია,  
გვ. 136—138). აქ საეჭვო ჩანს მხოლოდ მითითება კონცენტრირე-  
ბულ მარილმჟავაში („მარილის ზეთში“) ოქროს გახსნის შესახებ, თუ,  
რა თქმა უნდა, გამოტოვებული არაა ზოგიერთი მონაცემები, რომ-  
ლებსაც მართლაც შეუძლიათ მიანიჭონ მარილმჟავას ოქროს გახსნის  
უნარი (მაგ., მბოლავი მარილმჟავას დაშვადება ან მარილმჟავასთან  
ერთად აზოტმჟავას მინარევების მიღება). რეცეპტებში მოყვანილი  
დანარჩენი პროცესები სრულ ნდობას იმსახურებენ და თანაც ქიმი-  
ის უახლეს მიღწევებს განეკუთვნებიან. აქ წარმოდგენილია XVI ს.  
შემუშავებული ოქროს ანთიმონით გაშენდის მეთოდი, რომელიც  
გამლლვალ მასაში ანთიმონიტის გოგირდით მინარევი ლითონების სულ-  
ფიდებში გადაყვანას და სტიბიუმის სორსალში გახსნილი ოქროს გა-  
მოწვის ოპერაციით გამოცალეებას ითვალისწინებს; XVI—XVIII  
საუკუნეებში ათვისებული ოქროს ქლორიდის ( $AuCl_3$ ) ეთეროვან  
ზეთში („დარიჩინის ზეთში“), ხოლო ამ უკანასკნელის სპირტში („სამ  
ნადულ ცხარში“) გახსნის პროცესები; მარილმჟავასა და სპირტის  
ურთიერთქმედებით ქლორეთილის ( $C_2H_5Cl$ ) მიღების მეთოდი, რო-  
მელიც XVII ს. ი. რ. გლაუბერმა (1604—1668) დაამკვიდრა ქიმიურ  
პრაქტიკაში.

ქიმიის უახლეს მიღწევებს განეკუთვნებიან აგრეთვე პარაგრაფე-  
ბი, რომლებიც საყოფაცხოვრებო-ტექნოლოგიური და სახალხო-გა-  
სართობი შინაარსის რეცეპტებს შეიცავენ. ს 208-ში რეკომენდებუ-  
ლია შაბის, გოგირდის და ფქვილის ნარევის მაღალტემპერატურული  
დამუშავებით ისეთი „მტვრის“ მიღება, „რომელს ჰარეს ცემით ცე-  
ცხლი მოუციდება“. პროდუქტი, რომელიც ამ დროს მიიღება — კალი-  
უმის სულფიდის, ალუმინის ოქსიდის და ნახშირის ნარევი, მართ-  
ლაც პირიფორს წარმოადგენს და იმდროინდელი ტერმინოლოგით  
„ახალი ფოსფორის“ ანუ „პომბერგის პიროფორის“ ერთ-ერთ სახე-  
ობას განეკუთვნება. ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რეცეპტში  
წარმოდგენილი პიროფორის სახეობა ცნობილი გახდა მხოლოდ მ. ლე-  
მერი-უმცროსის მიერ 1714—1715 წწ. ჩატარებული მუშაობის შე-  
დეგად. ცხადია, რომ ასეთ ახალ მასალას ვახტანგი რუსეთში გ. შო-  
ბერის გარეშე ვერ მიიღებდა. გ. შობერთან უნდა იყოს დაკავშირე-  
ბული აგრეთვე მგრგვინავი ფხვნილისა (ს 207) და სასმელი წყლის  
ვარგისიანობის შემმოწმებელი რეაქტივის (ს 213) რეცეპტები. პირ-  
შელ რეცეპტში რეკომენდებულია კალიუმის კარბონატის („თორ-  
თის მარილის“), გვარჯილისა და სუბლიმირებული გოგირდის („გო-  
გირდის ყვავილის“) ნარევი, რომელიც რკინის ჭურჭელში გახურები-  
სას თოფის ხმას გამოსცემს. მეორე რეცეპტით „კაის წყლის და ავის

გამოცდისათვის“ საჭიროა ვერცხლის ნიტრატის ხსნარის დაშვადება. ამ უკანასკნელის წყალში ჩაწვეთებისას წყლის ვარგისიანობა მისი ამღვრევის ხარისხით ფასდება (§ 213). ამღვრევა წყალში ქლორიდების ან ორგანული ნარჩენების არსებობით არის განპირობებული (პირველ შემთხვევაში გამოიყოფა ვერცხლის ქლორიდის ნალექი, მეორე შემთხვევაში კი წვრილდისპერსიული აღდგენილი ვერცხლი), ამ კომპონენტებს კი სწორედ მავნე წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით.

სხვა პარაგრაფებში რეცეპტები ითვალისწინებენ სარკისმაგვარი ზედაპირის გაკეთებას გოგირდის მასიდან (§ 206), ფრინველის დასაჰქონი წებოს დაშვადებას მუხის ფითრისაგან (§ 259), თმის შესაღები ნარევის დაშვადებას მელნის გუნდისა და სპილენძის ჟანგის საფუძველზე (§ 211) და სხვ.

ორი პარაგრაფი ( §§ 87(2), 263) „გოგირდის ღვიძლის“ მიღებას ეძლვნება გოგირდის კალიუმის კარბონატის წყალშსნარში გამოხარვით. ცალკე დგას პარაგრაფი ძვირფასი ქვების შესახებ (§ 169), რომელიც იმით არის საგულისხმო, რომ პირველწყაროდ იგივე მასალა უნდა იყოს გამოყენებული, რითაც სულხან-საბა ორბელიანმაც ისარგებლა ლექსიკონისათვის (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 145—146).

სახელმძღვანელოს მესამე ნაწილის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნები. მესამე ნაწილში კიდევ უფრო შესამჩნევად გამოიკვეთა ვახტანგისეული კონცეფცია ქიმიის გამოყენებითი დანიშნულების შესახებ. საგრძნობლად გაიზარდა სახელმძღვანელოში ახალი, ქიმიურ მეთოდებზე დაფუძნებული ხელოსნური დარგების წარმომადგენლობაც. მართალია, ვახტანგმა ამ ნაწილის საბოლოო რედაქტირება ვერ მოასწრო. გარკვეული რეცეპტების გაერთიანება კი მაინც მოუხერხებია. წიგნის მხატვრულ გაფორმებისთან, მინისა და ლიქიდორების წარმოებასთან დაკავშირებული რეცეპტები მას თავიდან ცალ-ცალკე შეუგროვებია და გარკვეული გადამუშავების შემდგომ უკვე პლასტების სახით ჩაურთავს სახელმძღვანელოში.

შემოქმედებითი თვალსაზრისით ვახტანგი ამ შემთხვევაშიც ძალაშე მაღალ შეფასებას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს ეს ნაწილი ერთი შეხედვით რეცეპტების ჩვეულებრივ კრებულს უნდა წარმოადგენდეს. აქ მხედველობაში არის მისაღები ის გარემოება, რომ ვახტანგმა დამოუკიდებლად სხვადასხვა კრებულებში გაფანტულ ქიმიურ მასალას და პრაქტიკაში ათვისებულ ქიმიურ წესებს თავი მოუყარა და ქიმიურ სახელმძღვანელოში მიუჩინა ადგილი. როგორც აღვნიშნეთ, იმდროინდელ რუსეთში საკუთრივ ქიმიისადმი მი-

ძლვნილი სახელმძღვანელო ჯერ არ არსებობდა. ასე რომ, ვახტანგის სახელმძღვანელო პირველ ქიმიურ შრომას წარმოადგენს, რომელშიც რუსულმა ქიმიამ თავისი წიგნური ასახვა ჰპოვა.

ისევე როგორც სახელმძღვანელოს პირველ და მეორე ნაწილში, ამ შემთხვევაშიც ვახტანგი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მოქმედი პრაქტიკის მასალებს. ამ მასალებს მიეკუთვნება წიგნის გაფორმებას-თან დაკავშირებული პარაგრაფები, მინის რეცეპტის ერთი ნაწილი, ლიქიორების რეცეპტები, ოპტიკურ ხელსაწყოებთან დაკავშირებული პარაგრაფი და სხვ. ჯერ კიდევ XVII ს. მოსკოვის სააფთიაქო უწყება სხვადასხვა სამკურნალო სპირტიანი სასმელების დასამზადებლად წელიწადში 60000 ლ ლვინოს იყენებდა (ფიგუროვსკი, ისტორია, გვ. 183). ცხადია, რომ XVIII ს. პირველ მეოთხედში ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდებოდა. სწორედ ამ დროს წარმოებას უშუალო კონტ-როლს უწევდა გ. შობერი, როგორც მოსკოვის კარის აფთიაქის ინსპექტორი და სამედიცინო კანცელარიის ორდინალური მედიკოსი. ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ ლიქიორის მიღების მეთო-დებს ვახტანგი გ. შობერის დახმარებით გაეცნო უშუალოდ წარმო-ებაშივე. ერთ-ერთი პირველი საწარმო, რომელსაც ვახტანგი რუსეთ-ში უნდა გასცნობოდა, რა თქმა უნდა, სტამბა იყო და სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს წიგნის გასაფორმებელი რეცეპტების პლასტი. პეტერბურგის ცნობილი ოპტიკური სახელოსნოს დათვალიერების და ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად აღწერის შედეგები წარმოად-გინა ვახტანგმა § 215-ში (იხ. ჩაგუნავა, ქიმია, გვ. 179—180).

სახელმძღვანელოდან უშუალოდ არ ჩანს, განაგრძო თუ არა რუსეთში ვახტანგმა ექსპერიმენტული საქმიანობა. მაგრამ ზოგიერ-თი მინიშნებებით ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. მაგ. „ლურჯი იაგუნდისფერი“ ხელოვნური ქვის რეცეპტში (§ 220). მე-სამე წესის დასათაურებაში, აღნიშნულია სიტყვა „გამოცდილი“ („კიდევ ლურჯის მსგავსი, გამოცდილი“). პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით ყველა რეცეპტი „გამოცდილი“ (ამაზე მიგვითითებს თუნდაც ის გარემოება, რომ ანალოგიური რეცეპტები ხშირად გვხდე-ბა ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში), ასე რომ, ამ შემთხვევაში ეს სიტყვა ვახტანგის მიერ „გამოცდილს“ უნდა ნიშნავდეს. ლიქიო-რების რეცეპტში საწყაო ჭურჭლების რუსული სახელწოდებების შეგ-ნებულად ხმარება (იმ დროს, როდესაც სხვა ყველაფერი ქართული ტერმინებით არის გადმოცემული) აშკარად გამოყენებითი მიზნებით არის ნაკარნახევი: რუსეთში ვახტანგს საჭირო წონითი ნარევების მი-ღება პრაქტიკულად მხოლოდ ადგილობრივი საწყაოებით შეეძლო და ამიტომაც მათი სახელწოდებები უცვლელად დატოვა. არ არის გა-მორიცხული, რომ ვახტანგს ჭოგრების დამზადებაც ეცადა. ყოველ

შემთხვევაში დანამდვილებით ცნობილია, რომ მოგვიანებით ასეთი განზრახვა ჰქონდა ვახტანგის ვაჟს ბაქარს. 1738 წ. წერილში ის პეტერბურგის აკადემიის არაოფიციალურ ხელმძღვანელს ი. შუმა-ზერს თხოვდა გამოეგზავნათ მისთვის ჭოგრის ლინზების დასამზადებელი სახეხი ფორმების კომპლექტი, ტრეპელი (სახეხი ფხვნილი) და მინის ზედაპირის გასაპრიალებელი ქსოვილი (ვათეიშვილი, გვ. 67). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ დროს პეტერბურგში მზა ჭოგრები დიდი რაოდენობით იყო გაყიდვაში, ცხადია, რომ ბაქარს თვითონ უნდოდა დაემზადებინა ინსტრუმენტი. ვინაიდან სხვა მასალები და იარაღები წერილში დასახელებული არ არის, ისინი ბაქარს, როგორც ჩანს, ან შეძენილი ჰქონდა, ან ვახტანგისაგან შემორჩენილი. ამასთან ერთად ეჭვს არ იწვევს, რომ თვითნაკეთები ჭოგრის დასამზადებლად ბაქარს ვახტანგის აღნიშნული პარაგრაფით უნდა ეხელმძღვანელა, რომელიც სწორედ ამგვარი მიზნებისათვის იყო ჩაფიქრებული და ყველა ტექნოლოგიურ დეტალს ითვალისწინებდა.

მესამე ნაწილში სახელმძღვანელო მთლიანობაში კიდევ უფრო მეტად საინტერესო გახდა. შეუძლებელია იმდროინდელი სხვა სახელმძღვანელოს დასახელება, რომელიც ერთდროულად აღმოსავლურ (სპარსულ-არაბულ და ქართულ), რუსულ და ევროპულ მასალებს აერთიანებდეს. „გეოგრაფიულ“ მრავალფეროვნებასთან ერთად თემატური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა და ქიმიურ-პრაქტიკული და ქიმიურ-ტექნიკური მიმართულების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხით არის წარმოდგენილი. შექრებილი მასალების ლირებულებაზე თავისთვალ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი თითქმის უცვლელი სახით XVIII ს. ყველა ცნობილ ქიმიურ სახელმძღვანელოში გვხვდება (მაკერის, ერკელებენის, უაკინის, ლომონოსოვის, ჰესის და ა. შ.). ასევე უცვლელი სახით ეს მასალები მოყვანილია XIX ს. ტექნიკური თუ ტექნოლოგიური ქიმიის ფუნდამენტურ სახელმძღვანელოებში (ვაგნერი, ილენკოვი, ლიუბავინი). სწორედ ამის გამო უნდა იყოს, რომ დ. ჩუბინაშვილი თავის 1887 წელს გამოცემული „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ შესავალში ვახტანგის ამ შრომას „ტექნოლოგიურ ქიმიას“ უწოდებს. დ. ჩუბინაშვილის შრომა აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ ის ფართოდ იყენებს ვახტანგის „ქიმიის“ ტერმინოლოგიას, თანაც სიტყვების განმარტება უმეტეს შემთხვევაში ვახტანგისეული განსაზღვრების მიხედვით არის შესრულებული. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ტერმინისათვის (მაგ. ლახოსტავი, ტარო, სინგური) საგნის მიღების მეთოდი თითქმის უცვლელად „ქიმიის“ ტექსტიდან არის აღებული.

დასასრულს არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ აღინიშნოს ვახტანგის „ქიმიის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა მასში აღმოსავლური

ალქიმიის შესალების, ასე ვთქვათ, კონსურვირებული სახით შენარჩუნებასთან დაკავშირებით. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ იმ დროისათვის (და არც მოგვიანებით) არ არსებობდა ქიმიური თხზულება, რომელშიც ალქიმიის ასეთი აღგილი ჰქონდა დათმობილი.

საერთოდ კი, „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ ვახტანგის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ძეგლად უნდა ჩაითვალოს. მასში მთელი სიცხადით გამოვლინდა ავტორისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი მეცნიერული აზროვნება და შემოქმედებითი ნიჭი.

## სამთო საქმე და გეტალურგია ვახტანგ VI-ის მმართველობის პერიოდში

ქართული მეტალურგიისა და სამთო საქმის უძველესი ტრადიციების აღორძინებას თანამედროვე ისტორიოგრაფია მეცნე ერეკლე II-ის (1720—1798) სახელს უკავშირებს. XVIII საუკუნის 60—70-იან წლებში ქართლ-კახეთის ენერგიულმა და შორსმჭვრეტელმა მმართველმა თურქეთიდან მოწვეული ბერძენი სპეციალისტების („მადანჩების“) საშუალებით წამოიწყო ტყვია-ვერცხლის და სპილენძის მაღნების მოპოვება და მათი გადამუშავება ახტალის, ალავერდის, შაბბლულის და სხვ. ახლად აშენებულ საღნობ ქარხნებში (ნარკვევები, IV, გვ. 547).

ერეკლე II-ის ღვაწლი მართლაც ძალზე დიდია, მაგრამ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ამ კეთილშობილ წამოწყებაში მას წინამორბედი ჰყავდა მეცნე ვახტანგ VI-ის სახით. ლიტერატურულ წყაროებსა და საარქივო მასალებში გაბნეული მთელი რიგი ცნობებიდან და აგრეთვე ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემებიდან იჩვევა, რომ ვახტანგს ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი შედეგებისათვის მიუღწევია.

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ყველა ამ ცნობას, მაგრამ წინასწარ ვახტანგის მმართველობის წინა პერიოდის ზოგიერთ თავისებურებებს უნდა შევეხოთ. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ არ მოიპოვება რაიმე ხელშესახები ისტორიული დოკუმენტი, რომელიც XVII საუკუნის ქართლში სამთო და მეტალურგიული წარმოებების არსებობაზე მიუთითებდეს. ჯერ კიდევ XIII—XIV საუკუნეებში განადგურებული სამთო-მეტალურგიული ცენტრების ხელახალი აღორძინება, მტრების განუწყვეტელი შემოსევების პირობებში, მოულწეველ ამოცანას წარმოადგენდა. ამას დაერთო სხვა სახის და არააჯლებ შემაფერხებელი დაბრკოლება: უმოქმედობის პირობებში თანდათანობით დავიწყებას მიეცა საუკუნეებით გამომუშავებული პროფესიული ცოდნა და ჩვევები, ასე რომ, დროის შედარებით მშვიდობიან შუალედებშიც კი სპეციალისტების გარეშე დარჩენილ ქვეყანაში ძველ წარმოებათა აღორძინება ტექნიკურად შეუძლებელი იყო. ამიტომაც არის, რომ XVII ს. ქართლის სამეფოს შესახებ ის-

ტორიულ ცნობებში მხოლოდ გაკვრით მოიხსენიება რამდენიმე საბა-  
ზო და ისიც, როგორც ჩანს, უმოქმედო, ვინაიდან მათი ექსპლუატა-  
ციის შესახებ ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი. ამასთანავე ზოგიერთი  
წყაროდან ირკვევა, რომ თუმცა ქვეყნის მმართველებს კარგად ჰქონ-  
დათ შეგნებული საბადოების ამუშავების უცილებლობა, მაგრამ მათ  
ლონისძიებებს, ტექნიკური მოუმზადებლობის გამო, სასურველი შე-  
დეგი არ მოჰყოლია.

ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია ორი ისტორიული ცნობა,  
რომელიც XVII ს. შუა წლებს განეკუთვნება. 1646 წ. ქართლ-კახეთის  
მეფემ თემურაზ I რუსეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა,  
რათა მათ საქართველოში სამთო საქმის სპეციალისტები გამოეგზავ-  
ნათ. უფრო ადრე, ამავე მიზნით მეფემ თავის ელჩს მიტროპოლიტ  
ნიკიფორეს კონსტანტინოპოლიდან ოსტატის ჩამოყვანა დაავალა. სამ-  
წუხაროდ, თურქეთის შიშით ელჩმა ვერ შესძლო დავალების შესრუ-  
ლება და არც რუსეთის ხელისუფლებამ სცნო საჭიროდ დახმარების  
გაწევა (ტოლოჩანოვი, გვ. 51).

მეორე ცნობა ფრანგ მოგზაურს ჟ.-ბ. ტავერნიეს (1605—1689)  
ეკუთვნის, რომელიც უფრო მოგვიანებით იყო ქართლში და საინ-  
ტერესო დაკვირვებები აქვს ჩაწერილი. საქართველოს წიაღისეულთან  
დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ „იქ მოიპოვება არა მარტო რეინის  
მაღნის საბაზო, არამედ ოქროსა და ვერცხლის საბადოებიც, რომ-  
ლებიც ვეხვდება ორ ადგილას ხუთი ან ექვსი საათის სავალზე თბი-  
ლისიდან, რომელთაგანაც ერთს ეწოდება სვანეთი, ხოლო მეორეს —  
ოსეთი<sup>1</sup>. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ძნელი ხდება ადგილობრი-  
ვი მოსახლეობის ჩაბმა ამ სამუშაოზე არსებული საშიშროების გა-  
მო, რათა მიწა არ ჩამოინგრეს და არ გაულიტოს ადამიანები, რომ-  
ლებსაც იქ აგზავნიან, რაც ხშირად ხდება“ (ტაბაღუა, საფრანგეთი,  
გვ. 97).

როვორც ვხედავთ, სამთამაღნო სამუშაოების წარმოების უცო-  
დინარობა გამონამუშევრების ჭერის ავარიულ ჩამოქცევებს იწვევდა  
და ამიტომაც მომპოვებლები იძულებული იყვნენ ხელი აეღოთ მი-  
წისქვეშა სამუშაოების წარმოებაზე.

ვახტანგმა, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, წარმატე-  
ბით შესძლო არსებული ტექნიკური დაბრკოლებების გადაჭრა. არ  
არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში მან თურქეთში მცხოვრე-  
ბი იმ ბერძენი ოსტატების დახმარებით ისარგებლა, რომელთა წინა-  
პრეზებს ჯერ კიდევ თემურაზ I ეპატიუებოდა, ხოლო შთამომავლების  
საშუალებით ერეკლე II-მ თავისი ცნობილი სამთო-მეტალურგიული

<sup>1</sup> იგულისხმება წრდომო თხეთი.

წარმოება აამუშავა. ბერძენი ოსტატები მთელს აზიაში განთქმული იყვნენ თავისი მაღალი პროფესიული დონით და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მათი სამსახურით თვით პეტრე პირველმაც კი ისარგებლა: 1702 წელს ნერჩინსკის ლქჲში ექსპლუატაციაში შევიდა რუსეთისათვის ქრონოლოგიურად პირველი ტყვია-ვერცხლის საბადო და ვერცხლის საღნობი ქარხანა, რომელთა ამუშავება ბერძენი ოსტატების, ჯერ ალექსანდრე ლევანდიანის, ხოლო შემდგომ (1707 წლიდან) სიმონ გრიგოლის-ძმისა და ოთანე სიმონის-ძმის მეშვეობით განხორციელდა (შაბარინი, გვ. 42—43). ამიტომ არც ის არის გამორჩიული, რომ ვახტანგის არჩევანზე თეიმურაზ I-ის მცდელობას და პეტრე I-ის ლონისძიებას მოეხდინოს გავლენა, მითუმეტეს, რომ სწავლული მეფე კარგად იცნობდა თავისი წინამორბედების საქმიანობას და რუსეთში მიმდინარე რეფორმების საქმის კურსშიც იყო.

წერილობითი წყაროებიდან, რომლებიც ვახტანგის დროს ქართლში სამთო მეტალურგიული კერების მოქმედებას აღასტურებენ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვახუშტი ბატონიშვილის ფუნდამენტური შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თუმცა ეს შრომა მოსკოვში დაწერა მოვეიანებით (1743—1745), მთელ რიგ საკითხებთან და მათ შორის სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებით ის ვახტანგისდროინდელი ქართლის საქმის ვითარებას ასახავს.

ვახუშტის ცნობები ერთის შეხედვით თითქოს ცალსახა ინფორმაციებს შეიცავენ და სამთო-მეტალურგიული პუნქტების უბრალო მითითებით შემოისაზღვრებიან. სინამდვილეში, თვითეული მათგანი გარკვეული ნიუანსებით მაინც საგრძნობლად აფართოებს საინფორმაციო მონაცემების სფეროს.

აღნიშნულ თავისებურებებში გასარკვევად განვიხილოთ რამდენიმე ცნობა, რომელიც ოსეთის წიალისეულის აღწერას ეხება.

პირველი ცნობა წიალისეულზე მოყვანილია ოსეთისადმი მრძღნილი ნაწილის ერთ-ერთ შესავალ ქვეთავში („ქვეყნისათვის“) შემდეგი სახით: „არიან აქა ლითონნი ვერცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა, გუარჯილისა და ქვისა ბროლისა. არამედ არა უწყიან ხელოვნება გამოღებისა, რათამცა იხმარონ მრავლად“ (ვახუშტი, გვ. 636—637). მეორე ცნობა მომდევნო ქვეთავში („კაცისა და ჩვეულებისა, ზნისა და ხელოვნებისათვის“) არის დაცული: „გამოიღებენ ბრპენისა, გუარჯილისა და გოგირდისა“ (ვახუშტი, გვ. 691). მესამე ცნობა, პირველი ორისაგან განსხვავებით, უკვე კონკრეტულად ოსეთის ერთ-ერთი პროვინციის (კასრისხევის) პლწერას შეეხება: „აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, რომელსა სწურვენ იგინივე. კუალად არს გოგირდი ფრიად კარგი. არს ლითონიცა ვერცხლისა, არა-

მედ არა უწყიან გამოლება. კუალად კლდის ნოტიობისაგან აკეთებენ „გუარგილასაცა“ (ვახუშტი, გვ: 645).

პირველი ცნობა ანუ ქვეთავი („ქვეყნისათვის“) ოსეთის ბუნების ზოგად აღწერას ეძღვნება და მასში, როგორც ორგანული ნაწილი, ჟესულია ფრაგმენტი ბუნებრივი სიმდიდრეების ერთ-ერთ სახეობაზე. მინერალური წილისეულის ჩამოთვლასთან ერთად ვახუშტი სავსებით ლოგიკურად საჭიროდ მიიჩნევს მისი ათვისების საკითხსაც შეეხოს. ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებლები არ ფლობენ „გამოლების“ ანუ მოპოვების ხელოვნებას, ისინი მოკლებული არიან „მრავლად“ ანუ მსხვილ მასშტაბებში წილისეულის გადამუშავებისა და მოხმარების შესაძლებლობას.

მეორე ცნობა ასევე თავის შესაბამის ქვეთავს („კაცისა და ჩვეულებისა, ზნისა და ხელოვნებისათვის“) პასუხობს. ქვეთავის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, როგორც სათაურიდან ჩანს, ოსთა პროფესიული ჩვეულების აღწერას ეძღვნება. აქედან გამომდინარე წინადადება: „გამოლებენ მიწიდან ბრპენსა, გუარგილასა, გოგირდსა“, პირველი ცნობის საწინააღმდეგოდ, თითქოსდა ადგილობრივ მოსახლეობაში „გამოლების ხელოვნების“ ცოდნაზე უნდა მიუთითებდეს. სინამდვილეში აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. ამ შემთხვევაში იგულისხმება კუსტარული დონე და ძირითადად საკუთარი მოთხოვნილებისათვის იმ ნივთიერებების მიღება, რომლებიც „პირველი მოხმარების საგნებს“ შეადგენენ თოფ-იარალის ინდივიდუალური მფლობელებისათვის. ვინაიდან მაღნიდან ტყვიის ჩამოსხმა, გოგირდის და გვარგილის შემცველი მიწებიდან ქიმიური გზით საბოლოო პროდუქტის გამოცალკევება გარკვეულ ცოდნას მოითხოვდა, ცხადია, რომ ასეთი საქმის მცოდნები „გამოლების ხელოვნებას“ მეტნაკლებად მაინც ფლობდნენ. მაგრამ ამ კუსტარული „ვამოლების“ ანუ მოპოვების „ხელოვნებიდან“ განსხვავებით, პირველი ცნობის „გამოლების ხელოვნებაში“ სულ სხვა აზრია ჩადებული. აქ უკვე ის სისტემატიზებული ცოდნა იგულისხმება, რომელიც დახვეწილი წარმოების ჩარჩოებში, სამთო საქმის, მეტალურგიის და ქიმიის მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფდა წილისეულის ფართო მასშტაბებში გადამუშავებას. არანაკლებ საინტერესოა მესამე ცნობაც, რომელიც ოსეთის ერთ-ერთი კუთხის — კასრის ხევის აღწერისას არის მოყვანილი. პირველივე წინადადებაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე ნიუანსი. კერძოდ, სიტყვა „მრავალი“ იხმარება რეგიონში ტყვიის მაღნების სიმრავლის აღსანიშნავად. ფრაზაში „რომელსა სწურვენ ივინვე“ მრავალსტადიური გადამუშავების აღმნიშვნელი „გამოლების“ ნაცვლად უკვე მისი საბოლოო სტადრის „წურვის“ ანუ ჩამოსხმის

სტადიაა ნავარაუდევი. ტყვიის გარდა კუსტარული გადამუშავების ობიექტად ისევ ვვარჯილის და გოგირდის საბადოებია მითითებული. რაც შეეხება ვერცხლის „ლითონებს“, მისი მოპოვების ანუ „გამოღბის“ ხელოვნებას ადგილობრივი მცხოვრებლები საერთოდ არ ფლობენ („არა უწყიან გამოღბა“). ვახუშტის ცნობებს ვერცხლის მაღნების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ გავითვალისწინებთ ამ ლითონის ბუნებაში არსებობის ზოგიერთ თავისებურებას. ქანებში ის ძირითადად გოგირდოვანი შენაერთების — სულფომარილებისა ან ტყვიის კრიალას კრისტალებში ვერცხლის სულფიდის წვრილქრისტალური ჩანართების სახით იმყოფება. კავკასიის რეგიონში მხოლოდ მეორე ფორმაა გავრცელებული. ასე რომ, როდესაც ვახუშტი ვერცხლის „ლითონს“ ასსენებს, აქ, უდავოდ ვერცხლის შემცველი ტყვიის კრიალას მაღანი იგულისხმება. ამ მაღნის გამოღნობისას პირველ სტადიაზე ვერცხლის შემცველი ტყვია მიიღება, რომლისაგანაც შემდგომი მეტალურგიული გადამუშავებით ვერცხლის ამონტება წარმოებს.

ვერცხლის სულფომარილების მარაგი ბუნებაში უმნიშვნელოა, ამიტომაც ტყვიის კრიალა არა მარტო ტყვიის, არამედ ვერცხლის მთავარი მადანიც არის. კავკასიის რეგიონში და კერძოდ ოსეთშიც ტყვიის კრიალა არის გავრცელებული ვერცხლის მინარევით ან მის გარეშე. ამგვარად, ვახუშტის „ვერცხლის ლითონში“ ვერცხლის შემცველი ტყვიის კრიალა იგულისხმება, რომლის გადამუშავებაც ჯერ მაღნიდან ვერცხლის შემცველი ტყვიის სორსალის გამოღნობის და შემდეგ ამ უკანასკნელიდან ვერცხლის გამოცალკევების საკმაოდ რთულ ოპერაციებს შეიცავდა (დაწვრილებით ამ პროცესების შესახებ იხ. გვ. 275). ჩვეულებრივ, ვერცხლის შემცველობა ასეთ მაღნებში ტყვიასთან შედარებით ძალზე უმნიშვნელოა (მსოფლიოს 27 საბადოდან აღებულ სინჯებში ტყვია 55-დან 85,3%-მდე, ხოლო ვერცხლი 0,0016-დან 0,769%-მდე მერყეობდა — ლუბავინი, IV(2), გვ. 654). ამიტომაც გარეგნული მონაცემებით ვერცხლის შემცველი და უვერცხლო ტყვიის მაღნები, ისევე როგორც მათგან გამოღნობილი შესაბამისი ტყვიის სორსალები, ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ამის გამო სავსებით ბუნებრივია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც სათანადო დონეზე ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამომუშავებული სამთო საქმისა და მეტალურგიის პროფესიული ჩვევები, არ შეიძლება ერთმანეთისაგან გაერჩია და დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა ტყვიისა და ვერცხლის მაღნები. ამ ფონზე კი ის ფაქტი, რომ სრულიად გარე პიროვნება ვახუშტის სახით უფრო ღრმად ერკვევა ოსეთის მინერალური რესურსების საექსპლუატაციო შესაძლე-

ბლობებში, შორს მიმავალი დასკვნების გამოტანის უფლებას გვაძლევს. გამოდის, რომ იმდროინდელ ქართლში სამთამაღნო ხელოვნება სუ დაწინაურებულა, რომ თავისი სამთო-დაზეურვითი სახის სამუშაოები მეზობელ ქვეყანაზეც გაუვრცელებია. აქვე დავსძენთ, რომ სწორედ ასეთი დაწინაურება აძლევდა უფლებას ვახუშტის, რომ მეზობელი ქვეყნის რესურსების შეფასებას „მრავლად გამოღებისა“ და „გამოღების ხელოვნების ცოდნის“ კრიტერიუმებით მისდგომოდა.

ამრიგად, უკვე წინასწარი და ამასთან არა უშუალო ცნობებიდან ჩანს გარკვეული მინიშნება ქართლში სამთო-მეტალურგიული წარმოების არსებობაზე და ამ მიმართულებით ავტორის საკმაოდ მაღალ მომზადებაზე. ის ფაქტები, რომ ვახუშტი ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებს სამთო და ქიმიურ-მეტალურგიული მეთოდებით მოქმედ სპეციალიზებულ საწარმოებს კუსტარული სარეწებისაგან, გარკვეულია ვერცხლის მაღნების თავისებურებებში და მათგან საბოლოო პროდუქტების მიღების წესებში და სხვ. სწორედ ასეთი მომზადებით უნდა იყოს განპირობებული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ვახუშტის ცნობებს უშუალოდ ქართლთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ქვემოთ თანამიმდევრულად და პირობითი ნუმერაციით მოგვყავს ეს ცნობები (ვახუშტი, გვ. 311, 313, 315, 341, 358, 376):

1. (სომხითში) „სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა, და იპოვების მცირე ლაჟვარდიცა“.

2. (ტაშირში) „მისხანას ითხრების ლითონი სპილენძისა მრავალი. კუალად ითხრების ქვა წითელი და ფრიად მაგარი, ელვარე და წმინდა“.

3. (დმანისას ხევში, დაბა აბულმაგთან) „ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“.

4. (თემის ხეობაში, სოფ. რკონთან) „არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვერცხლსაცა“.

5. (ხევში) „იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა“.

6. (მეტების მახლობლად, ძალინასთან) „არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათვის დაუტევეს“.

ამ შემთხვევაშიც ეს ცნობები სამთამაღნო ობიექტების უბრალო ჩამოთვლასთან ერთად მთელ რიგ დამატებით ინფორმაციას გვაწვდიან. ჯერ ერთი, ამ ობიექტების უმრავლესობა მოქმედად იგულისხმება, რაზედაც მიგვითითებს არა მარტო აწმყო დროის მაჩვენებელი ფორმა „ითხრების“, არამედ სოფ. რკონთან არსებული ვერცხლის საბადოს მიტოვების ფაქტიც. ზოგიერთი საბადო მსხვილმასშტაბურ წარმოებას განკუთვნება. მაგალითად მისხანის საბადო, რომელთან დაკავშირებით პირდაპირ არის მითითებული, რომ იქ „მრავალი“ სპი-

ლენძი „ითხრების“, აშეარად მსხვილმასშტაბურ წარმოებას განეკუ-  
თვნება. რაც შეეხება სარკინეთის და აბულმაგის საბადოებს, მათი  
მოხსენიების ფაქტი უკვე იმას ნიშნავს, რომ წარმოების მასშტაბები  
იქ, ყოველ შემთხვევაში, კუსტარული წარმოების მასშტაბებზე გა-  
ცილებთ დიდი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, XVIII ს. პირველი მეოთხედის  
ქართლში სულ მცირე, სამ-სამი რკინისა და სპილენძის მომპოვებელი  
და გადამამუშავებელი სამთო-მეტალურგიული კერა ფუნქციონირებ-  
და სარკინეთში, მისხანასა და აბულმაგში.

ტყვიაზე ქვეყნის მოთხოვნილებას, როგორც ეტყობა, ტყვის  
მაღნებით შედიდარი სოფ. რკონის საბადო აქმაყოფილებდა.

ძალზე თავისებურად არის წარმოდგენილი ვერცხლის საბადო-  
ების საკითხი. ამ შემთხვევაში ვახუშტი საქართველოს ტერიტორიაზე  
მდებარე საბადოებს ისე მოიხსენიებს, თითქოს საერთოდ არც კი  
იყოს მათ არსებობაში დარწმუნებული. რკონისა და ხევის გარდა, და-  
ბა წესთან (რაჭა) დაკავშირებითაც ის ისევ ხმარობს გამოთქმას „იტ-  
ყვიან“ („ზეით არს წესი, დაბა კარგი. აქა იტყვიან ვერცხლის ლი-  
თონს“). არადა სხვა ლითონებისა და არალითონების საბადოებისათ-  
ვის, ორ ათეულზე მეტი ცნობიდან არც ერთ მათგანში ვარაუდის  
ფორმა არ იხმარება.

დარწმუნებით მიუთითებს ვახუშტი მხოლოდ ძალინასა და ოსე-  
თის ვერცხლის საბადოებზე. საერთო სქემიდან არც ეს „გადახვე-  
ვა“ უნდა იყოს მოულოდნელი. ძალინას საბადო სარგებლობის თვალ-  
საზრისით უპერსპექტივობა და ამ მხრივ დაინტერესების ობიექტს არ  
შეიძლება წარმოადგენდეს, ხოლო ჩრდ. ოსეთის საბადოები საერთოდ  
არ ეკუთვნის საქართველოს. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ვახუშტი  
საკმაოდ გარკვეული უნდა იყოს საქართველოს ვერცხლის საბა-  
დოების საკითხებში, მაგრამ ის მაინც სრულიად შეგნებულად მათ მი-  
მართ ხმარობს გამოთქმას „იტყვიან“. ძველი დროიდანვე საქართვე-  
ლოს ვერცხლისა თუ ოქროს საბადოები ერთგვარი დასაიდუმლოე-  
ბის ობიექტებს შეაღენდნენ, რომ თავრდან აეცილებინათ მათი ხელში  
ჩაგდების სურვილით ამხედრებული მტრის შემოსევები. ვახუშტის  
ცნობებიც სწორედ ამ ტრადიციის გათვალისწინებით უნდა იყოს გად-  
მოცემული, რაც იმ დროისათვის ყოველმხრივ გამართლებულად უნდა  
ჩაითვალოს. მეორე მხრივ, სამწუხაროდ, ჩვენც მოკლებულ ვართ  
ვახუშტის ცნობებიდან მყარი ინფორმაციის მიღების შესაძლებლო-  
ბას. უდავოა, ძალინას მადანი იმდენად მცირე რაოდენობის ვერცხლს  
შეიცავდა, რომ საბადოს ექსპლუატაციის გარკვეულ ეტაპზე, მი-  
წისქვეშა გამონამუშევრების შემდგომი გაღრმავებისათვის გაწეულმა  
შროვამ და დანახარჯებმა საერთო მოგებას გადააჭარბეს. საბადო

არარენტაბელური გახდა და მაღნის მომპოვებლები იძულებული იყვნენ მისთვის თავი დაენებებინათ. რაც შეეხება რკონისა და ხევის საბადოებს, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. რკონის საბადოდან, რომელიც უვერცხლო ტყვიის მაღნის დიდ რაოდენობას შეიცავდა, შეიძლება რაღაც რაოდენობით ვერცხლის შემცველ ტყვიის მაღანსაც ამუშავებდნენ, ხოლო ხევის საბადოში უფრო მეტად დაუმუშავებელი მაღნები უნდა იგულისხმებოდეს. ერთი რამ მაინც ცხადია: ქართლში ვერცხლის მაღნების სამთო-მოპოვებითი გამომუშავება და განსაკუთრებით კი მეტალურგიული გადამუშავება ოსტატებს საქმაოდ მაღალ დონეზე ჰქონიათ ათვისებული.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ მაღნებიდან ვერცხლის მიღების მეტალურგიულ მეთოდს. ეს მეთოდი, რომელიც ჯერ კიდევ პლინიუსს (23—79) აქვს აღწერილი, რამდენიმე სტადიისაგან შედგება. საწყის სტადიაზე მაღანს ფქვავენ, წყალში განლექვით ფუჭ ქანებს აცილებენ და აშრობენ.

მეორე სტადიაზე გოგირდის მოცილების მიზნით მიმდინარეობს მაღნის გამოწვა, რის შედეგადაც დაუანგული გოგირდი  $\text{SO}_2$ -ის სახით გამოიყოფა, ხოლო მყარ მასაში ძირითადად შემცვარი ტყვიის უანგი რჩება. ამ უკანასკნელს გაფხვიერების შემდგომ ხის ნახშირს ურევენ და მიღებულ ნარევს ღუმელში ახურებენ. აღდგენითი ღნობის შედეგად მიღებული პროდუქტი — ვერცხლის შემცველ ტყვიის სორსალი გადააქვთ მეორე ღუმელის ქვედზე, რომელიც გამოტუტული ნაცრით არის დაფარული. ამ ღუმელში ჰაერის განუწყვეტელი შებერვის პირობებში აღვილი აქვს უანგვით ღნობას, რის შედეგად წარმოიქმნება თხევადი ტყვიის უანგი, რომელშიაც გახსნილია ამავე უანგვითი პროცესის სხვა პროდუქტებიც მინარევი ღითონების უანგეულების სახით. ვინაიდან ეს თხევადი მასა ღუმელში განშრევებულია ვერცხლის თხევადი მასისაგან, რომელიც ამ პირობებში არ იყანება, მათი დაცილება ერთდროულად ორი გზით მიმდინარეობს: ტყვიის გარკვეული ნაწილი ნაცრის მიერ შეიწოვება, ნაწილი კი ზედაპირული ფენის სახით ღუმელიდან გადმოისმება. მიღებულ ვერცხლს დანიშნულებისამებრ იყენებენ ან მისი რაფინირების მიზნით სუფთა ტყვიისთან ერთად ხელმეორედ აღნობენ. რაც შეეხება ტყვიის უანგს, ჩვეულებრივ მას აღდგენით ღნობას უტარებენ და მისგან თანაპროდუქტის სახით ტყვიის ღითონს მიიღებენ.

ვახუშტის ცნობები ქართლში სამთო-მეტალურგული წარმოების არსებობის შესახებ სხვა წყაროებითაც დასტურდება.

სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობასთან დაკავშირებულ ფრანგულ დოკუმენტში ყურადღებას იქცევს ორი ცნო-

ბა. 1714 წელს შედგენილ მემორანდუმში საქართველოს შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ქართველებმა „იყიან რკინის დნობა, რაც უხვად გააჩნიათ“. კიდევ უფრო მრავლის მეტყველია იქვე დაცული მეორე ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს საფრანგეთისათვის სავაჭრო გზით შეეძლო მიეწოდებინა აბრეშუმი, ენდროს ძირი, მატყლი, ცვილი და ტყვია (ტაბალუა, საფრანგეთი, გვ. 192, 196). აბრეშუმი და ენდროს ძირი მატყლთან და ცვილთან ერთად ხშირად ჩანს სხვადასხვა წყაროებში როგორც საქართველოსათვის ვაჭრობის ყველაზე უფრო გასავლიანი საქონელი. 13 წლით ადრე, 1701 წელს, თბილისთან დაკავშირებით ფაქტობრივად ამავე პროდუქტებს ასახელებს ჟ. პ. ტურნეფორიც (ტურნეფორი, გვ. 65—66). ამიტომაც ამ ტრადიციულ სიაში ტყვიის დასახელება უკვე სიახლეს წარმოადგენს და თანაც ძალზე მნიშვნელოვანს. ცხადია, რომ საფრანგეთის მოთხოვნილება ტყვიაზე მცირე მასშტაბით არ იქნებოდა. შეორე მხრივ კი არც ქართლი შეიძლებოდა მიმწოდებლის როლში ეგულისხმათ, რომ იქ არ არსებულიყო შესაფერისი სიმძლავრის ტყვიის სამთო-მეტალურგიული წარმოება.

ვახუშტის ცნობებს, მართალია არა უშუალოდ, მაგრამ საქმაოდ დამარტიმუნებლად ადასტურებენ XVIII ს. პირველი მეოთხედის ქართული დოკუმენტები. სომხით-საბარათიანოს ტერიტორიაზე ამ დროისათვის იქ მობინადრე 54 კომლი ხელოსნიდან 35 მჭედელი იყო (ნარკვევები IV, გვ. 390). ამ აშკარა დისპროპორციის მიზეზი სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ამ რეგიონში იყო ძირითადად თავმოყრილი იმდროინდელი სამთო-მეტალურგიული წარმოებები:

ვახტანგისძროინდელ სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებით გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ა. გიულდენშტედტის (1745-1781) ცნობებს. ამ მრავალმხრივმა მეცნიერმა, რომელიც ამავე დროს სამთო საქმისა და მეტალურგიის ჩინებული სპეციალისტიც იყო, 1772 წელს ერეკლე II-ის ხელშემწყობით გულდასმით დაათვალიერა და შეისწავლა ქართლის ტერიტორიაზე მდებარე მაღნის შემცველი ობიექტები. ამ ობიექტების ღიღი ნაწილი წარმოდგენილი იყო გაპარტახებული საბადოებისა და მათთან მიმდებარე სადნობი შენობების ნანგრევების სახით. 20-იანი წლების მეორე ნახევარში თურქების, ხოლო 30—40-იან წლებში კი განსაკუთრებით ირანელების დამანგრეველმა შემოსევებმა, რომელთაც დროდადრო ლექთა თარეშიც ერთვოდა, მიწასთან გაასწორეს და გააუკაცრიელეს ოდესლაც აყვავებული სომხითის, საბარათიანოს, ტაშირის და სხვ. პროვინციები. სხვებისაგან განსხვავებით, სწორედ იმ პროვინციებმა რომ გა-

ნიცადეს მტრის განსაკუთრებული დამანგრეველი დარტყმა, ეს კარგად ჩანს 1770 წლის ერთი დოკუმენტიდან, რომელშიც მოყვანილია მოკლე ცნობები იმდროინდელი ქართლ-კახეთის მოსახლეობაზე. თუ ივრისპირეთს არ ჩავთვლით, გაპარტანებულ მხარეთა სიაში მხოლოდ და მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პროვინციები მოიხსენიება: „არს აოხრებული და უმკვიდრო ქმნილი თრიალეთი... დიდი და სოფელ მრავალი. არს აოხრებული ყაიყული, უმკვიდრო ქვეყანა, ფრიად კითილი და მრავალი სოფელი. არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი, ქვეყანა დიდი და მრავალი და ამისი აყრილი კაცი ორმოცისაგან ერთი დარჩენილა. ერთმანეთში არიან ხიზნათ. არს საბარათისშვილო ქვეყანა დიდი, ასისაგან ერთი დარჩენილა. ხიზნათ არიან“ (დოლიძე, II, გვ. 421—422). ასეთ ვითარებაში, ცხადია, რომ გიულდენშტედტის მიერ ნანახი დანგრეული სამთო-მეტალურგიული კომპლექსების წარმომავლობა ყველაზე მეტი ალბათობით ვახტანგის პერიოდს უნდა განკუთვნებოდეს. ასე რომ, გიულდენშტედტის ცნობები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი 1772 წლის მდგომარეობას ასახავენ, თავისი მნიშვნელობით XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ცნობების გვერდით უნდა დავაყენოთ.

პირველ რიგში მოვიყვანთ სომხითთან დაკავშირებულ ცნობას: „[სომხითში] სხვადასხვა ადგილებში არს მიტოვებული ჭები (მაღაროები) და სპილენძის და რკინის სადნობი დანგრეული შენობები“ (გიულდენშტედტი, II, გვ. 13). უკვე აქედან ჩანს, რომ სომხითის ტერიტორიაზე სამთო-მეტალურგიული კერების რაოდენობა არც თუ სე ცოტა უნდა ყოფილიყო. ვახუშტი, სხვათა შორის, მხოლოდ მისხანას ასახელებს, გიულდენშტედტს კი მაგალითის სახით მარტო მისხანა როდი მოყავს („სოფელ მისხანასთან, ყულფილან ექვს ვერსზე ბევრი მიტოვებული საბადო არის“, „გაუდაბურებულ სოფელ მისხანაში, სადაც ადრე მოქმედებდნენ სპილენძის საბადოები“ — გიულდენშტედტი, I, გვ. 73; II, გვ. 13).

დასახელებულია აგრეთვე ისევ ყულფთან ახლო მდებარე პუნქტები: შელოგინო — სადაც მეცნიერმა „ყველგან ნახა რკინის მიტოვებული მაღნები“ (ე. ი. მიტოვებული საბადოები), გაუდაბურებული სოფელი ვარდისუბანი — რომლის შემოგარენშიც არსებული სპილენძის და რკინის საბადოების აღრინდელ ექსპლოატაციაზე იქვე აღმოჩენილი „სამი საუკუნი სილრმის“ ჭი მიუთითებდა (გიულდენშტედტი, I, გვ. 73; II, გვ. 13). ტაშირთან დაკავშირებით გიულდენშტედტი ზოგადად აღნიშნავს, რომ იქ „ბევრი სპილენძის და რკინის საბადოები უნდა ყოფილიყო“ (გიულდენშტედტი, I, გვ. 81). წარსულ დროში საბადოების დასახელება, ცხადია, რომ მათ ექსპლუატაციას

გულისხმობდა. ასე რომ, გიულდენშტედტის მიხედვით ტაშირშიც ადრე „ბევრი“ სპილენძისა და რკინის სამთო-მეტალურგიული კურა მოქმედებდა. სხვა ცნობებიდან, სადაც კონკრეტული პუნქტის ადრე მოქმედი საბადოებია მითითებული, აღსანიშნავია მონაცემები ახტალისა და ბოლნის-წულრულაშენთან ახლო მდებარე პუნქტის შესახებ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გიულდენშტედტი წერს, რომ „წულრულაშენიდან ორი ვერსის მოშორებით ბოლნისის ციხეა, ხოლო მის პირდაპირ, მდინარის მეორე მხარეს წინათ უდგნიათ სპილენძი“. რაც შეეხება ახტალს, აქ გიულდენშტედტმა „დაათვალიერა ზოგიერთი საბადო და მიტოვებული მაღარო“, რომლებიც ავტორის განცხადებით „მხოლოდ ათი წელია რაც... მიტოვებულა“ (გიულდენშტედტი, I, გვ. 81). თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ერეკლეს მიერ თურქეთიდან ჩამოყვანილი ბერძნების მეშვეობით პირველი წარმოება 1763 წელს სწორედ ახტალაში ჩადგა მწყობრში, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ავტორს არა ვახტანგის-დროინდელი, არამედ ერეკლესეული საწარმოს მიტოვება აქვს მხედველობაში.

სხვა ადგილებისათვის გიულდენშტედტი ჩვეულებრივ მაღნის სახეობებს აღნიშნავს და, სამწუხაროდ, არაფერს არ ამზობს მათი გადამუშავების შესახებ. მაგალითად, ძალინასთან დაკავშირებით, რომლის საბადოც, ვახუშტის თანახმად, არარენტაბელობის გამო მიატოვეს, გოულდენშტედტი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ იქ „არის ალმადანიანი ტყვიის კრიალას მაღანი“ (გიულდენშტედტი II, გვ. 13). მიუხედავად ამისა, ზემოთ განხილული ცნობები საესებით საკმარისია ვახუშტის მონაცემების დასადასტურებლად, ნაწილობრივ მათ შესავსებადაც კი და საერთოდ ვახტანგის ღროს სამთო-მეტალურგიული წარმოების არსებობის დასამტკიცებლად.

აქ შეიძლება წამოიჭრას სრულიად სამართლიანი კითხვა, თუ რამდენად უფლებამოსილი ვართ გიულდენშტედტის მიერ ფიქსირებული წარმოების ნაშთები ვახტანგის ღროს მივაწეროთ და გამოვრიცხოთ მათი უფრო აღრეული ან გვიანდელი არსებობა. რაც შეუხება აღრეულ პერიოდს, პასუხის გაცემა არ არის ძნელი. უშუალოდ ვახტანგის წინარე ხანაში და საერთოდ XVII საუკუნეში, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ასეთი კითხვისათვის საფუძველი არ არსებობს. XIV—XVI საუკუნეებში, ქვეყნის არნახული დაქვეითების პერიოდში, სამთო-მეტალურგიული წარმოების ფუნქციონირებაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. რაც შეეხება XIII და უფრო აღრეულ საუკუნეებს, იმ ღროს მართლაც არსებობდა განვითარებული სამთო-მეტალურგიული წარმოება, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ მისი

დანგრეული ნაშთები ხუთსაუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ შესაძ-  
ჩნევი სახით დახვედროდა გიულდენშტედტის. რაც შეეხება ვახტან-  
გის შემდგომი პერიოდის წარმოების არსებობას, ამაზედ პასუხს თვი-  
თონ გიულდენშტედტის ცნობები გვაძლევს. ზემოხსენებული პრო-  
ვინციების გაპარტახებისა და ნანგრევებად ქცევის მიზეზად ის, რო-  
გორც ეტყობა, ადგილობრივ თვითმხილველთა ინფორმაციით, ნადირ-  
შაჰის (1688—1747), ე. ი. ირანელთა 30—40-იანი წლების შემოსე-  
ვებს ასახელებს (გიულდენშტედტი, I, გვ. 243—245). ასე რომ, მის  
მიერ დათვალიერებული სამთო-მეტალურგიული ნაშთების ერეკლეს  
შერიოდთან დაკავშირება სავსებით გამორიცხულია. ერთადერთ გა-  
მონაკლის ახტალის მაგალითი შეაღენდა და ამ შემთხვევაშიც გი-  
ულდენშტედტს არ ავიწყდება საგანგებოდ მიუთითოს, რომ „მხოლოდ  
ათი წელია, რაც ახტალა მოტოვებულია“.

ზემოთ განხილული მონაცემების ფონზე განსაკუთრებული მნიშ-  
ვნელობა ენიჭება რუსული საარქივო მასალების ერთ ცნობას, სა-  
იდანაც ირკვევა, რომ ვახტანგის ინიციატივით სამთო-მოპოვებითი  
სამუშაოები ჩრდილო ოსეთშიაც უწარმოებიათ. ეს ცნობა ოსეთის  
სასულიერო კომისიის წევრის (შემდეგ კი ხელმძღვანელის), ქართ-  
ველი არქიმანდრიტის გრიგოლის 1766 წ. 30 დეკემბრის მიმართვას  
წარმოადგენს ყიზლარის კომენდანტისადმი. გრიგოლი, რომელიც  
ოსეთის მთებში მისიონერულ მოღვაწეობასთან ერთად გეოლოგიურ  
ძიებასაც აწარმოებდა, ამ ძიებების მოქლე ანგარიშთან ერთად შემ-  
დგომს აუწყებს კომენდანტს:

«Известился же я через осетинского новокрещенного старшину Давида Мамнева, что из вышеписанных прежних мест серебрянную руду еще покойный грузинский царь Вахтанг Леонович, который по выезде из Грузии в Россию скончался, через даваемую от него плату, многое число себе в Грузию получил. А кроме его до сего времени никто об оной руде известен не был. Только нынешним летом грузинский же царь Ираклий отыскал в тех местах, где оная руда состоит, одного знающего в металле искусство человека. Несколько пуд той серебрянной руды получил, за что того человека немалою сумою наградил. Токмо оной тое руду ему, Ираклию доставляет тайным образом, а не явно» (კუკუვი, გვ. 288).

თითქმის იგრვე შინაარსია გადმოცემული რუსეთის საზღვარგა-  
რეთის საქმეთა კოლეგიის 1767 წლის 3 დეკემბრის რესკრიპტი, რო-  
მელიც გაეგზავნა ასტრახანის გუბერნატორს (კუკუვი, გვ. 180). ამი-  
ტომ ჩვენ მხოლოდ არქიმანდრიტ გრიგოლის ცნობის განხილვით და-  
ვკმაყოფილდებით. როგორც მიმართვიდან ჩანს, ვახტანგი მადანს  
დიდი რაოდენობით, ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მრავლად“

იღებდა. ეს კი მიწისქვეშა ფართო სამუშაოების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. როგორც ჩანს, ვახტანგმა წარმატებით გადაჭრა ის სამთო-საინჟინრო პრობლემა, რომელიც, ტავერნიეს ადრე მოყვანილი ცნობის თანახმად, ხელს უშლიდა ქართლის მესვეურთ ოსეთის საბადოს ათვისებაში. რაც შეეხება საბადოს ადგილმდებარეობას, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის ალაგირის ხეობაში მდებარეობდა: მამასახლისი დავით მამიევი, გრიგოლის ინფორმატორი, როგორც სხვა საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, ალაგირის ხეობიდან არის (ბირზე, გვ. 151).

საბადოს ტექნიკური მხარეების გაშუქებამდე, უმჯობესია დრო-ებით ვახუშტის ცნობებს დავუბრუნდეთ. ოსეთიდან ვერცხლისშემც-ველი ტყვიის კრიალას მაღნის გატანის ფაქტი ვახუშტისათვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ფაქტის პირდაპირ აღნიშვნას ის, როგორც ეტყობა, შეგნებულად ერიდება (თუმცა ცნობა კასრის-ხევში ვერცხლის მაღნის არსებობაზე, რომლის გადამუშავებაც ად-გილობრივმა მაცხოვრებელმა „არ უწყიან“ ერთგვარ ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს ვახტანგის ღონისძიებისა). გასაგები ხდება ცნობის შესავალი წინადაღების თავისებურებაც („აქა არს ლოთონი ბრძენისა მრავალი, რომელსა სწურვენ იგინივე“). აქ ფორმა „გრ-ნივე“ დაბეჭითებით ხაზს უსვამს, რომ ღონბა ადგილობრივი და არა გარეშე ძალებით ხორციელდება. ეს თავისთავად ცხადი გარემოება არ გახდებოდა საგანგებო აღნიშვნის ღირსი, რომ ვახუშტის არ სკოდნოდა საწინააღმდეგო მაგალითი ვერცხლის საბადოებთან და-კავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერცხლის საბადოს ად-გილმდებარეობას ვახუშტი კასრისხევში მიუთითებს, მაშინ როდესაც ვახტანგის მიერ ამუშავებული საბადო ალაგირის („ვალაგირის“) ხე-ობაში მდებარეობდა. მიუხედავად ამისა, აქ ერთი და იგივე ობიექტი უნდა იგულისხმებოდეს, ვინაიდან ვახუშტი შეცდომით ერთი ხეობის ორ ნაწილს — სამხრეთით კასრის, ხოლო ჩრდილოეთით ალაგირის ხეობას ორ სხვადასხვა და ერთმანეთის პარალელურ ხეობად მიიჩნევს (იხ. თოვოშვილი, გვ. 19—20).

ალაგირის საბადოს ექსპლუატაციის ტექნიკურ მხარეებთან და-კავშირებით შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის დაზუს-ტება. თუ კვლავ უ.-ბ. ტავერნიეს ცნობას დავუბრუნდებით, გა-მოდის, რომ ვახტანგმა სამთო-საინჟინრო პრობლემასთან ერთად წარ-მოებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმის საკითხიც მოაგვარა. ამას პირდაპირ ადასტურებს არქიმანდრიტ გრიგოლის ცნობაც, რომ ვახტანგი მაღნის საფასურად გარკვეულ თანხას იხდიდა. გრიგოლი საჭიროდ არ თვლის დააზუსტოს თუ ვის უხდიდა ამ თანხას ვახტანგი, მაგრამ ისედაც ნათელია, რომ ამ შემთხვევაში მას წარმოებაში და-

საქმებული ოსების ჯამაგირი აქვს მხედველობაში. სწორედ ერთ-ერთი ამ ადგილობრივი მაცხოვრებლებიდან ერეკლეს პერიოდსაც მო-ესწრო და მისი საშუალებით მეფემ პირველი ნაბიჯები გადადგა თი-თქმის ნახევარი საუკუნის წინ მიტოვებული საბაღოს ხელახლა ასათ-ვისებლად. ერეკლეს მეგზურს აჩქიმანდრიტი გრიგოლი „ლითონე-ბის ხელოვნების მცოდნე პირს“ უწოდებს. ცხადია, აქ კონკრეტულად სამთო-მოპოვებითი საქმის ცოდნა იგულისხმება, რომელიც მევ-ზურმა ვახტანგის დროს საბაღოზე მუშაობისას აითვისა. სწორედ ამ პირვენებასთან დაკავშირებით ირკვევა, რომ საბაღოზე, მაღნის ამო-ლების გარდა, მისი წინასწარი გადამუშავების ოპერაციაც ტარდებო-და. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 1767 წლის რუსული საარქივო დოკუმენტი, სადაც საინტერესო დეტალებია მოყვანილი ერეკლეს მიერ მიღებული მაღნის შესახებ: „Грузинский царь бе-рет из состоявших в Осетии превеликих гор отменную от прочей разных видов з блещущими искрами крепкую землю и камышки, употребляя за провоз того плату осетинцам, ко-торые по простоте своей не только ему препятствия никако-го делают, но дивятся и не понимают, на что ему то» (კოკივი, გვ. 172—173).

ამ დახასიათებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში უშუ-ალოდ მაღანი კი არ მოჰქონდათ, არამედ მისი წინასწარი გადამუშა-ვების შედეგად მიღებული კონცეტრატი. ისიც ცხადია, რომ მაღ-ნის გადასამუშავებლად ერეკლეს მეგზური იმ წესებს გამოიყენებ-და. რაც ვახტანგისდროინდელ საწარმოში იყო დამკვიდრებული. აქე-დან გამომდინარე შეიძლება დაგასკვნათ, რომ ვახტანგის დროს მაღ-ნის ამოლებასთან ერთად იქვე გამამდიდრებელ სამუშაოებსაც აწარ-მოებდნენ.

შეიძლება უფრო კონკრეტულადაც მიუუთითოთ ამ სამუშაოების ხასიათზე, ვინაიდან ტყვიის მძიმე და ვიზუალურად ადვილად გამო-საცნობი მაღნის გადამუშავება თითქმის ყველგან და ყველა დროში ერთსა და იმავე სტანდარტულ ოპერაციებს ითვალისწინებდა: ჯერ მიმართავდნენ მაღნის ნატეხების ხელით დახარისხებას და შემდეგ დახარისხებულ მაღანს მექანიკურად ამდიდრებდნენ წყლით ჩარე-ცხვის საშუალებით.

კონცენტრატის ტრანსპორტირება, რასაკეირველია, გაუილებით ხელსაყრელი იყო და ამ ნაბიჯშიც აშკარად ჩანს ვახტანგის სპეცი-ალისტების პროფესიული სიმწიფე. რაც შეეხება კონცენტრატის მე-ტალურგიულ გადამუშავებას, მას, ჩვენი აზრით, აწარმოებდნენ თბი-ლისში ზარაფხანაში, სადაც საღნობი განყოფილება არსებობდა სა-

თანადო ტექნიკური აღჭურვილობით. ასეთ პირობებში მაღნის სხვა-  
გან გამოღნობას აზრი არ ჰქონდა, რომ გამოღნობის  
მთავარი პროდუქტის — ლითონური ვერცხლის ძირითადი მომხმარე-  
ბელი ისევ ზარაფხანა იყო, ვინაიდან კეთილშობილი ლითონის უდი-  
დესი ნაწილი ფულის მოსაჭრელად გამოიყენებოდა. ამასთან დაკავში-  
რებით ყურადღებას იქცევს ვახტანგისეული „დასტურლამალის“  
ერთი პარაგრაფი, რომელიც მეთოფეთა დებულებას გადმოგვცემს. ამ  
დებულებით 120 მეთოფისათვის განწესებულია, რომ „წელიწადში კა-  
ცის თავს თვითოს ჩარექ ტყვიას ზარაფხანიდან მისცემდნენ და თვი-  
თოს ჩარექს გვარჯილას მისის გოგირდითა გერაქიარალი მისცემდეს“  
(სურგულაძე, გვ. 469).

გერაქიარალი სასახლის სალაროს სამეურნეო ფუნქციების მქონე  
მოხელე იყო. ასე რომ, გვარჯილა და გოგირდი უშუალოდ სალარო-  
დან გაიცემოდა. რაც შეეხება ტყვიას, ნიშანდობლივია სალაროს  
ნაცვლად ზარაფხანის დასახელება. ტყვიის რაღაც რაოდენობა ზარა-  
ფხანას ისედაც ექნებოდა, ვინაიდან ის ვერცხლის გასაწმენდად აუცი-  
ლებელ კოპონენტს წარმოადგენდა. მაგრამ საკუთარი მოთხოვნილე-  
ბისათვის საჭირო ამ მარაგს ზარაფხანა სხვა პირებზე ვერ გასცემდა.  
ის ფაქტი, რომ ზარაფხანა მაინც გამოდის ტყვიის მიმწოდებელი პუნ-  
ქტის როლში, იმაზე მიუთითებს, რომ ეს დაწესებულება ტყვიის გა-  
ცრლებით ჭარბ მარაგს ფლობდა. ასეთი მარაგი კი სწორედ ოსეთის  
მაღნის გადამუშავებით შეიძლება დაგროვილიყო.

ოსეთის მაღნის ათვისების მაგალითი ნათლად გვიჩვენებს თუ  
რამდენად იყო დაინტერესებული ვახტანგი სამთო-მეტალურგიული  
პრობლემატიკით. ქართლიდან ძალზე მოშორებით საბადოს ექსპლო-  
ატაციის წამოწყება უკვე თავისთვის ნიშნავს, რომ საკუთარ ტერი-  
ტორიაზე ვახტანგი კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდებოდა  
სამთო-მეტალურგიული კერების მუშაობას.

სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან ერთად გარკვეული წინ-  
სელა განიცადეს სხვა სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელმა სა-  
რეწებმაც. ვახუშტის თანახმად, ქართლში იღებდნენ და სათანადოდ  
ამუშავებდნენ სამშენებლო და წისქვილის ქვებს, გადასახურ ფიქ-  
ლებს, ქვის ბროლს, ლაუვარდს და სხვა მინერალებს. განსაკუთრებუ-  
ლი ყურადღება ექცეოდა ცეცხლმსროლელი იარაღისათვის საჭირო  
წიაღისეულის — გვარჯილის, გოგირდის და კაუის მოპოვებას (კაუს —  
ჩახმახების დასამზადებლად იყენებდნენ). თბილისის გარეუბანში  
(ნავთლუღში) უძველესი პერიოდიდან ცნობილი იყო ნავთობის სა-  
ბადო, რომლის მეტნაკლებად ორგანიზებული მოპოვება, ვახუშტის  
მიხედვით, XVIII ს. პირველ მეოთხედში უნდა დაწყებულიყო. ავტო-

რი არ აზუსტებს მოპოვების წესს, მხოლოდ სინანულით აღნიშნავს, რომ „მუნ დის ნავთი კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვრთ მრავალი არ აიღების“ (ვახუშტი, გვ. 338). ვახუშტის დაინტერესება ნავთობის „მრავლად აღებაში“ იმაზე მიუთითებს, რომ იმდროინდელ ქართლში ნავთობზე, როგორც საწვავ მასალაზე, მოთხოვნილება დიდი იყო. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ნავთლულის უბანზე სპეციალური ჭებით ნავთობის მოპოვება ვახტანგის დროს დაწყოთ და არა XVIII საუკუნის ბოლოსათვის, როგორც აქამდე ვარაუდობდნენ ზოგიერთი ლიტერატურული წყაროები (იხ. მაგ., მინერალური რესურსები, გვ. 782).

არქეოლოგიური კვლევების შედეგები. ქართლში ვახტანგის დროს სამთო-მეტალურგიული წარმოების არსებობა გეოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება. ვახუშტის მიერ მითითებული საბაზოების ტერიტორიაზე, მაგ., აბულმაგასა და სარკინეთში, მართლაც აღმოჩნდა რკინისა და სპილენძის შემცველი მაღნები. ასე რომ, ცნობა ამ ორ პუნქტში რკინისა და სპილენძის მაღნების გადამუშავებაზე ჭეშმარიტებას შეეფერება. ძალინაში ტყვიის მაღნების არსებობა ვერცხლის მინარევების გარეშე ასევე აღასტურებს ვახუშტის მითითებას ამ საბაზოს არარენტაბელობის შესახებ (მინერალური რესურსები, გვ. 216—227, 906; სასარგებლო წიაღისეული, გვ. 102; გიულდენშტედტი, 1, გვ. 81, II, გვ. 185).

განსაკუთრებით საინტერესოა არქეოლოგიური კვლევით მიღებული შედეგები. დღეისათვის კარგად არის შესწავლილი რამდენიმე სამთო-მეტალურგიული, ძირითადად კი მეტალურგიული ობიექტი, რომელთა არსებობაც ვახტანგს უკავშირდება (რკინისწყლის, ფოლადაურის, ძველი ბოგვისა და ლოქის პუნქტები). ამ ობიექტების განხილვამდე წინასწარ უნდა შევეხოთ მათი დათარიღების საკითხს, ვინაიდან ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ერთგვარი აზრთა სხვაობა არსებობს.

ძველი ბოგვის სახელოსნოს ი. გძელიშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც გამოვლინდა და შესწავლილ იქნა ძველი ქართული სამთო-მეტალურგიული კერების უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლები, ერთ შემთხვევაში XVII—XVIII, ხოლო შემთხვევაში XVIII საუკუნის დასაწყისით ათარიღებს (იხ. გძელიშვილი, სპილენძი, გვ. 36, შდრ. გძელიშვილი, რკინა, გვ. 80). რკინისწყლისა და ფოლადაურის პუნქტებს იგივე მკვლევარი XVII—XVIII სს. მიაკუთვნებდა (გძელიშვილი, ფოლადაური, გვ. 747, 752; გძელიშვილი, აღმოსავლეთი საქართველო, გვ. 190), თუმცა პირველი პუნქტისათვის XVIII ს. პირველი ნახევარიც აქვს მითითებული

(ბოხოჩაძე, გვ. 72). რკინისწყლის პუნქტის XVIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებას მხარს უჭერს ა. ბოხოჩაძეც (ბოხოჩაძე, გვ. 72), რომელიც ამავე თარიღს დებს ლოქის პუნქტსაც (ბოხოჩაძე, გვ. 73, 84).

აღნიშნული დათარიღებები ქრონოლოგიურად ისე ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ რომელიმე მათგანის უპირატესობის მინიჭებას თითქოს არც უნდა ჰქონდეს რაიმე პრინციპული მნიშვნელობა. მაგრამ ეს საკითხი სხვა ელფერს იძენს, თუ მას ვახტანგის მოლვაწეობის პრიზმიდან შევხედავთ. ამ შემთხვევაში რამდენიმე წელსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. და ამიტომაც მყარი თარიღის შერჩევა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ვახტანგის ჭეშმარიტი წვლილის დასადგენად.

ადრე ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ რაიმე ხელშესახები ცნობა, რომელიც ვახტანგის წინარე პერიოდში ქართლში სამთო-მეტალურგიული წარმოების არსებობას ადასტურებდეს, წერილობით წყაროებში არ მოიპოვება. ფაქტობრივად ეს არც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს. ყოველ შემთხვევაში რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი, რომელიც XVIII საუკუნეზე ადრინდელ პერიოდზე მიუთითებდეს, არც ამ შემთხვევაში არ არსებობს. უფრო მეტიც, რკინისწყლის ობიექტზე ბაქარის 2 მონეტის აღმოჩენის ფაქტს, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ობიექტის XVII—XVIII ს. დათარიღებას (იხ. გძელიშვილი, ფოლადაური, გვ. 747, 752), სინამდვილეში პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის პერიოდისათვის აქვს დამაჯერებელი არგუმენტის ძალა. ვინაიდან ფოლადაურის პუნქტი რკინისწყლის საღნობ სახელოსნოსთან მსგავსებრი საფუძველზე დათარილდა (გძელიშვილი, აღმოსავლეთი საქართველო, გვ. 190), ეს ობიექტიც ავტომატურად შეიძლება XVIII საუკუნის საწყისი პერიოდით „გადათარილდეს“.

ლოქის პუნქტის დათარიღება, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარზე მიუთითებს, ჩვენი აზრით მცირე კორექტივს მოითხოვს ზედა ქრონოლოგიურ ზღვართან დაკავშირებით: სომხითმა 1747—1748 წწ. აბდულ-ბეგის დამარბეველ შემოსევებზე უწინ ნაღირ-შაჰის გამანადგურებელი დარტყმა განიცადა. ამაზე ადრე კი ოციანი წლების მეორე ნახევარში თურქების შემოსევამ და ლეკების პარკება სათავე დაუდო სამთო-მეტალურგიული წარმოების მოშლის პროცესს.

რაც შეეხება ძეელ ბოგვს, სხვა პუნქტების ფონზე არც ის უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს, მით უმეტეს, რომ რამდენჯერმე და, რაც მთავარია, უფრო გვიანდელ პუბლიკაციაში ის XVIII ს. დასაწყისით თარიღდება (გძელიშვილი, რკინა, გვ. 80; გძელიშვილი, სამთო საქმე, გვ. 150).

ამრიგად. არქეოლოგიური დათარილებებიდან ჰეშმარიტეპასთან ყველაზე უფრო ახლოს XVIII ს. დასაწყისი, უფრო ზუსტად კი პირველი მეოთხედი უნდა იდგეს და შემდგომში, ობიექტების თარიღებთან დაკავშირებით, ჩვენ ყველგან ეს პერიოდი გვექნება მხედველობაში.

არქეოლოგიურად შესწავლილი ობიექტებიდან ყველაზე მეტად საყურადღებოა რკინისწყლის პუნქტი, რომელთანაც ერთდროულად არის დაკავშირებული რკინის მაღნის მოპოვების, მეტალურგიული გადამუშავების და ლითონისაგან მზა ნაწარმის მიღების მთელი საწარმო ციკლი.

ეს ობიექტი სოფ. ბოლნის-ხაჩინის სანახებშია. რკინისწყლის სახელწოდებით ცნობილ უბანზე, სადაც რკინის მაღნის საბადოა, რამდენიმე ადგილას შეიმჩნევა რკინის საღნობი ქურა-სახელოსნოების ნაშთები, რაც წილის დიდი გროვებითაც დასტურდება. ამავე უბანზე ძველ სამთო გამონამუშევრების (XI—XIII სს.) გარდა „გვიანი საშუალო საუკუნეების“ 4 გვირაბიც აღმოჩნდა, საიდანაც რკინის მაღნას — „ჰეშმატიტს“ იღებდნენ. თვითეული გვირაბის პირი უფრო დახრილ ღრმა ორმოს ჰგავს. სამწუხაროდ, ამ გამონამუშევრებში შესვლა არ მოხერხდა, რადგანაც ათიოდე მეტრის შემდეგ ისინი ჩამონაგრეული აღმოჩნდა (გძელიშვილი, სამთო საქმე, გვ. 146—147). გვირაბის პირს დახრილი ორმოს ფორმა, ჩვენი აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ საწყის სტადიაზე აქ მაღნის გამომუშავებას ლია წესით აწარმოებდნენ (ორმოებით, ლია მლვიმის ტიპის კამერებით). შემდგომ ეტაპზე კი, როდესაც ჩალრმავება გახდა აუკილებელი, გადავიდნენ მიწისქვეშა გამოლებაზე დახრილი წოლხვრელების საშუალებით. ი. გძელიშვილის ვარაუდოთ, შესაძლოა ამ შემთხვევაში მაღნის დამუშავება პატარა კამერებით ეწარმოებინათ, როგორც ეს ინუ. ვალბერგმა ნახა, წულრულაშენის (სარკინეთის) საბადოს რამდენიმე ადგილას გასული საუკუნის სამოციან წლებში (ი. გძელიშვილი, სამთო საქმე: გვ. 147). როგორც არ უნდა ყოფილიყო, თვით გვირაბების არსებობის ფაქტი დამაჯერებლად მეტყველებს, რომ ვახტანგის პერიოდში მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებას რეალურად ჰქონდა ადგილი სამთამაღნო პრაქტიკაში.

ხევა პუნქტებისათვის ანალოგიური გამონამუშევრები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. უფრო ზუსტად, გამონამუშევრები კი არსებობს, მაგრამ მათგან ვახტანგის პერიოდის ობიექტების გამოყოფას ადგილი არ ჰქონია. ამ მხრივ, შეიძლება უფრო მეტად საალბათო იყოს ძველი ბოგვის (თეთრი წყაროს რაიონი, სოფ. არდისუბნის სანახები) მახლობლად მდებარე საბადო. ამ საბადოს დათარიღებისას

ი. გძელიშვილმა აღმოაჩინა სამთო გამონამუშევრების მთელი სისტემა, რომელიც სხვადასხვა დროს განეკუთვნება, მაგრამ არ სცილდება XVIII საუკუნეს (გძელიშვილი, რკინა, გვ. 80).

გაცილებით ვრცელ ცნობებს იძლევიან არქეოლოგიური გამოკვლევები ძალის მეტალურგიულ გადამუშავებასთან დაკავშირებით. რკინისწყლის უბანზე, სამთო გამონამუშევრების უშუალო სიახლოეს, რამდენიმე დანგრეული მაღნის საღნობი სახელოსნოს ნაშთები გამოვლინდა. ერთ-ერთ მათგანში პირველი დანგრევას გადარჩენილი მართულთხედი ფორმის ქურა გაითხარა, რომელიც მაღნის გამოსაწვავი და გამოსაღნობი ორი განყოფილებისაგან შეღებოდა. იქვე აღმოჩნდა ხსს ნახშირის სათავსო, ლუგვის დასაბეჭვავი ქვის გრძელი და მაღნის ფხვნილი, ხოლო სახელოსნოს წინ მდებარე ფერდობი და მისი ძრობი მოფენილი იყო რკინის წიდის უამრავი ნატეხებით. აღმოჩენილი ქურა, როგორც ფიქრობს ი. გძელიშვილი, თავისი კონსტრუქციით ჰაუპტმან ლოგინოვის მიერ 1807 წ. ბოლნის-ხაჩინის სანახებში აღწერილი მოქმედი ქურების განმეორებაა და ამიტომაც აღწერაში მოყვანილი რკინის გამოღნობის ტექნოლოგია შეიძლება აღმოჩენილ სახელოსნოებზედაც გავრცელდეს. ლოგინოვის მიხედვით, ყუთისმაგვარ ქურაში სამი საათის განმავლობაში ერთდროულად მიმდინარეობდა მაღნის გამოწვისა და გამოღნობის პროცესი. რკინის შემცხვარი ლუგვის გახურებულ მასას მიწის პატარა ორმოში გადატანის შემდეგ უროს მსუბუქი დარტყმებით არალითონური მინარევებისაგან ათვისუფლებდნენ და თანდათან ამჭიდლოვებდნენ. სამუშაოს ხელოსანი ასრულებდა თანაშემწესთან და ორ „მბერავთან“ ერთად, რომლებიც ჰაერის მიწოდებას უზრუნველყოფდნენ ქურის საღნობ განყოფილებაში ცილინდრული ტყავის საბერველის საშუალებით. ერთი ფუთი ლუგვის მისაღებად ოთხი ფუთი მაღანი და თვრამეტი ფუთი ხსს ნახშირი იხარჯებოდა (გძელიშვილი, ფოლადაური, გვ. 751).

რკინისწყლის სახელოსნოდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით მდებარე ნასოფლარ თალაში ბევრ ადგილას ნასახლარის წინ სამჭედლო წილების გროვა დაფიქსირდა და ერთ-ერთი ასეთი ნასახლარის გათხრებმა სახელოსნოს თანადროული სამჭედლოს ნაშთები გამოვლინა (გძელიშვილი, ფოლადაური, გვ. 751). ეს აღმოჩენა თავისთვად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ერთ ლოკალურ ტერიტორიაზე დადასტურდა მაღნის მოპოვების, მეტალურგიული გადამუშავების და ლითონის მზა ნაწარმის დამზადების ერთიანი სისტემა. არანაკლებ საინტერესოა ეს აღმოჩენა იმ თვალსაზრისითაც, რომ ის უშუალოდ ეხმაურება ჩვენ მიერ ადრე მოყვანილ ცნობას, რომლის თანახმადაც XVIII ს. პარველ მეოთხედში სომხით-საბა-

რათიანოს ტერიტორიაზე დასახლებული 54 ხელოსნის კომლიდან 35 მჭედლებზე მოდიოდა (იხ. აქვე, გვ. 276.). ნასოფლარის ანალოგით უკვე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამ 35 მჭედლის სახელოსნოც ასევე ერთიანი საწარმოო სისტემის „მაღნის მოპოვება — გამოდნობა — მზა ნაწარმის დამზადება“ ბოლო რგოლს წარმოადგენდა.

ბოლნისის რაიონში XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რკინის სადნობი სახელოსნოების ნაშთები სხვა ნასოფლარების მახლობლადაც აღმოჩნდა. ერთ-ერთ მათგანში (სოფ. ფოლადაურთან) ჩატარებულმა გათხრებმა რკინისწყლის მსგავსი რკინის სადნობი სახელოსნო გამოავლინა (გძელიშვილი, აღმოსავლეთი საქართველო, გვ. 190). ასევე მსგავსება დადასტურდა იმ ორი სადნობი სახელოსნოსათვის ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქურებისათვის, რომლებიც მდინარე ლოქის ხეობაში მდებარე ნასოფლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქურებიდან გაიხსნა (ბოხოჩაძე, გვ. 72, 81—82). არქეოლოგიურად შესწავლილი ობიექტებისათვის ისეთი თავისებურებების დადგენა, როგორიც არის ქურების კონსტრუქციული იდენტურობა და მათ მიერ გამონამუშევარი წიდების ერთი და იგივე ქიმიური შემადგენლობა, დამაჯერებლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ამ რეგიონში თავის დროზე მოქმედი სახელოსნოები ლითონს ერთნაირი ტექნოლოგით აწარმოებდნენ.

რკინისწყლის ტიპის ქურებისაგან განსხვავებით, ძველი ბოგვის ნასოფლარში (თეთრი წყაროს რაიონი, სოფ. არდის სანახები) გამოვლენილ იქნა სულ სხვა ტიპის ქურა. თანაც საინტერესო ის არის, რომ ქურაში ჯერ რკინის იღებდნენ, ხოლო შემდგომ სპილენძის გამოდნობა დაუწყიათ. ამაზე მიუთითებს იქვე აღმოჩენილი 12% სპილენძის შემცველი მაღნის მარაგი და წილის ქიმიური ანალიზის შედეგები. ეს უკანასკნელი სპილენძის ძალზე დიდ რაოდენობას ჟეიცავს (9 და 36%) და წარმოადგენს არა ჩვეულებრივ წილას, არამედ შტეინს — სპილენძის, რკინისა და სხვა მცირერიცხოვანი მინარევების გოგირდოვანი ნაერთებს ხელოვნურ შენაღნობს. ქურა თავისი კონსტრუქციით უნივერსალურ აპარატს წარმოადგენს. ექსპლუატაციის პროცესში უმნიშვნელო გადაკეთებების შედეგად მას შეეძლო ორი განსხვავებული ოპერაციის — რკინის ან სპილენძის ღნობა ეწარმოებინა (გძელიშვილი, სპილენძი, გვ. 35; გძელიშვილი, სამთო საქმე, გვ. 150).

უნივერსალობის გარდა ქურა იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ის უშუალოდ ადასტურებს ვახტანგის დროს სპილენძის გამოდნობის პრაქტიკის არსებობის ფაქტს. აღმოჩენილი შტეინის საფუძველზე

შეიძლება მიახლოებით სპილენძის მაღნის გადამუშავების იმდრო-ინდელი ტექნიკუროგიის წარმოდგენაც. პირველ სტადიაზე ქალკოპი-რიტიდან გოგირდის ძირითადი მასის მოსაცილებლად ცხადია, რომ მიმართავდნენ მაღნის წინასწარ გამოწვას. მეორე სტადიაზე გამო-მწვარი მაღნის გამოდნობისას ფუჭი ქანები და რკინის ნაწილი წი-დაში გადადიოდა, ხოლო სპილენძი, რკინა და ზოგიერთი მინარევი ერთმანეთს შტეინად შეედნობოდა. მესამე სტადიაზე, შტეინის გა-მდნარ მასაში ჰაერის განბერვით ადგილი ჰქონდა გოგირდისა და ტყვი-ის ამოწვას და მიიღებოდა 95—98% სპილენძის შემცველი პრო-დუქტი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გეოლოგიური და განსა-კუთრებით არქეოლოგიური მონაცემები დამაჯერებლად ადასტურე-ბენ ვახუშტისა და სხვა წერილობით წყაროების ცნობებს XVIII ს. პირველი მეოთხედის ქართლში საკმაოდ განვითარებული სამთო-მე-ტალურგიული წარმოების არსებობის შესახებ.

ვახტანგის დამატებითი ლონის ძიებები. სამთო-მეტალურგიული კერების ალორძინება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობ-და ქვეყნის გარკვეულ წრეებში პროფესიული ცოდნისა და ტექნი-კური ჩვევების უფრო ფართოდ გავრცელებას. ამ მიზანს ემსახუ-რებოდა აგრეთვე ვახტანგის ზოგიერთი დამატებითი ლონისძიებებიც.

1713 წ. ვახტანგის დავალებით ევროპაში გამგზავრებული სულ-ხან-საბა ორბელიანი, ფრანგებთან მოლაპარაკების დროს, მეფის სა-ხელით სხვადასხვა თხოვნასთან ერთად, როგორც ეტყობა, ქართლის სამთო-მეტალურგიული წარმოების სრულყოფისათვის ითხოვდა შე-მწეობას. ამიტომაც არის, რომ მემორანდუმში საქართველოს შესახებ ეს საკითხი საგანგებოდ არის წარმოდგენილი. ფრანგები ვალდებუ-ლებას იღებდნენ ქართლში შემოეროთ მაღნების მოპოვებისა და მა-თი მეტალურგიული გადამუშავების პროგრესული ევროპული მე-თოდები. განზრახული იყო ქართული საინინრო კადრების სპეცია-ლური მომზადებაც კი, რომ ისინი ამ წარმოებებს მომსახურებო-დნენ (ტაბალუა, საფრანგეთი, გვ. 196). სამწუხაროდ, ამ პროექტს, სხვადასხვა მიზეზების გამო, პრაქტიკული განხორციელება არ ეღირ-სა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ფრანგებთან ერთად ქართლის მეცვეურთა მეცადინეობითაც ასეთი საკითხი დაისვა, ძალზე მრავ-ლისმეტყველია.

სამთო-მეტალურგიული წარმოების ალორძინების პროცესში გარ-კვეული სარგებლობის მოტანა შეეძლო და ალბათ მოიტანა კიდეც ვახტანგის სახელმძღვანელომ ქიმიაში, უფრო ზუსტად კი მისმა პირ-ველმა ნაწილმა. ამ ნაწილის გაცნობა ჯერ კიდეც საქართველოში შეეძლოთ 1719—1724 წლებში. მასში მოყვანილი მრავალრიცხვანი

ცნობები სასარგებლო წიაღისეულის სხვადასხვა სახეობებზე, რომლებსაც თან ერთვოდა მათი გაწმენდის ქიმიური მეთოდები, დაინტერესებულ პირთა ყურადღების გარეშე არ დარჩებოდა.

ასეთივე როლს, ცხადია, ვერ ითამაშებდა უკვე მოგვიანებით და თანაც რუსეთში შედგენილი სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი, მაგრამ ის მაინც უნდა მოვიხსენიოთ, ვინაიდან ძალზე საინტერესო მასალებს შეიცავს მეტალურგიის დარღიდან. აქ ყურადღებას იქცევს პრაქტიკაში რეალურად განსახორციელებელი პარაგრაფები ოქროს, ტყვიის, სპილენძის და კალის შენადნობებისა და სხვადასხვა ლითონებისათვის სარჩილების დამზადების შესახებ. ასევე პრაქტიკული მნიშველობა აქვს ფოლადის მიღების რამდენიმე მეთოდს, რომელთა შორის ცემენტაციური მეთოდის რამდენიმე ვარიანტიც არას წარმოდგენილი. დიდი ადგილი ეთმობა სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ვერცხლისწყლის, სპილენძის და კეთილშობილი ლითონების გაწმენდის სხვადასხვა წესებს.

ვახტანგის მიერ აღწერილი მეთოდები, რასაკვირველია, კარგ სამსახურს გაუწევდა ქართულ მეტალურგიულ პრაქტიკას, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ქართლში ველარ დაბრუნდა, სადაც მის მიერ აღორძინებული მეტალურგიული წარმოება ფაქტობრივად უკვე აღარც არსებობდა.

ვახტანგი რომ დაუღალავად იღვწოდა სამთო-მეტალურგიული ცოდნის ამაღლებისათვის, ეს კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ სწორედ მის დროს იწყება განათლებულ ქართველობაში სამთო საქმით და მეტალურგიული საკითხებით დაინტერესება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: ტიმოთე გაბაშვილი, ავტორი იმერეთის რუკისა, სადაც პირველად ქართულ პრაქტიკაში ნაჩვენებია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საბაზოების ადგილმდებარეობა; ვახტანგის აღზრდილი იმერეთის მეფე ალექსანდრე V, რომელმაც რუსეთის მთავრობას სინჯად გაუგზავნა იმერეთში მოპოვებული მაღნეულის ნიმუშები; ვახუშტი — რომლის ისტორიულ შრომაში სხვა სიახლეებთან ურთად, როგორც ვიცით, მოყვინილია ცნობები საქართველოს მინერალურ წიაღისეულზე; ქართველი სასულეურო მოღვაწეები, რომლებიც მოგვიანებით ოსეთში მისიონერულ მოღვაწეობასთან ერთად გეოლოგიურ ძიებებსაც ატარებდნენ და ა. შ. სწორედ ვახტანგის ამ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველების იმ ნაწილს, რომელიც სწორედ 1724 წ. ქართლში დარჩა ან შემდგომ რუსეთიდან დაბრუნდა, შესამჩნევი როლი უნდა ეთამაშა მეფე ერეკლეს სამთო-მეტალურგიული წარმოებით დაინტერესების საქმეში.

აქვე უნდა შევეხოთ ვახტანგისა და ერეკლეს წარმოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს იმ თვალსაზრისით, არსებობდა

თუ არა მათ შორის უშუალო მემკვიდრეობითი კავშირი. ამ კითხვას, ჩვენი აზრით, მხოლოდ დადებითი პასუხი შეიძლება გაეცეს. ჯერ კი-დევ ისეთი დიდი დრო არ იყო გასული, რომ ერეკლეს თვითმხილველ მცოდნე პირთაგან არ სცოდნოდა თუ რა სარგებლობა მოჰქონდა ვახტანგისათვის სამთო-მეტალურგიულ წარმოებას. გარდა ამისა, არ-სებობს ამ კავშირის დამადასტურებელი მთელი რიგი ფაქტობრივი მონაცემები. ა. გიულდენშტედტის მარშრუტი, რომელიც მას ერეკ-ლემ შეუდგინა, ძირითადად ვახტანგის ყოფილი საწარმოების პუნქ-ტებზე გადის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეოთე კარგად იცნობდა ამ პუნქტებს და მათი ოლდგენა ჰქონდა ჩაფიქრებული (ერთ-ერთი მათ-განი — მისხანა კი ათი თუ მეტი წლის წინ უკვე აღდგენილიც იყო და შემდგომ მტრებისგან ისევ დანგრეული). ერეკლეს მიერ 80-იანი წლების დასაწყისში ძალინის, ხოლო უფრო მოგვიანებით რკონის ათვი-სებული საბალოები<sup>2</sup>, ისევ და ისევ ვახტანგის ყოფილ ობიექტებს წარმოადგენდნენ (ძალინაში, როგორც ეტყობა, ერეკლე ტყვიას იღებ-და, ვინაიდან, როგორც ვერცხლის საბალო ის ჯერ კიდევ ვახტანგის დროს იქნა დაწუნებული). ერეკლეს მიერ ოსეთშიაც კი ვახტანგისე-ული საბალოს ძიების და მაღნის პირველი, ალბათ სასინჯი პარტიე-ბის მიღების ფაქტი ეჭვს აღარ ტოვებს მემკვიდრეობითი კავშირის არსებობაში. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება ი. გძელიშვილის ცნო-ბას იმის შესახებ, რომ სოფ. ბოლნის-ხაჩინის სანახებსა და ტაშე-სანში (ბოლნისის რაიონი) ლონგინოვისა და ა. ვიატკინის მიერ 1805—1807 წწ. აღწერილი მოქმედი ქურები კონსტრუქციით ზუს-ტად თანხედუებიან რკინისწყლის ტიპის ქურებს (გძელიშვილი, ფო-ლადაური, გვ. 750—751). ვინაიდან აღნიშნულ წლებში ჯერ ერეკლე-სეული საწარმოები მოქმედებდნენ, მათი მსგავსება უშუალო მე-მკვიდრეობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო გამოვლინებას წარმო-ადგენს. ასე რომ, ათეული წლების ინტერვალის მიუხედავად, ვახ-ტანგისეულმა წარმოებამ, თუმც განადგურებულმა, მაინც „შესძლო“ არაპირდაპირი გზით კიდევ ერთხელ მოეტანა სარგებლობა თავისი ქვეყნისათვის.

ვახტანგის როლი ალაგირის საბადოს ათვი-ს ების საქმეში. ვახტანგის დამსახურების სია სრული ვერ იქ-ნება, თუ ჩვენ არ მოვიხსენიებთ მის ღვაწლს ჩრდილო ოსეთის სამთო-მეტალურგიული წარმოების აღმოცენების საქმეში. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებუ-ლი ალაგირის ტყვია-ვერცხლის საბალოს ორგანიზებული ექსპლუ-

2 სცია, ფ. 1450, დავთ. № 31. ფფ. 5v, 8v; Sd—3011.

ატაციის პირველი ნაბიჯები. მაგრამ ვახტანგის მოღვაწეობა ამ მიმართ თულებით მხოლოდ აღნიშნული წარმოების ამუშავებით როდი ამოიწურება. შემდგომში მან პირადად და აგრეთვე მისმა მიმღევრებმა ზოგიერთი ღონისძიებები განახორციელეს, რომელთაც მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოიტანეს გარკვეული შედეგი.

1725 წ. პეტერბურგში ყოფნისას ვახტანგმა რუსეთის მთავრობას წარუდგინა საკუთარი გეგმა, რომელიც ამიერკავკასიაში თურქეთის ექსპანსიის აღკვეთას გულისხმობდა. ამ გეგმაში სხვადასხვა რეკომენდაციებთან ერთად, ვახტანგი რუსეთისა და კავკასიელი მთიელების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებსაც იხილავდა. ავტორი აუცილებელ საქმედ თვლიდა რუსეთის სახელმწიფოს მიერ კავკასიელი მთიელების სათემო მამასახლისების თავის მხარეზე გადაბირებას, რასაც, მისი აზრით, მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ეს გადაბირებული მამასახლისები უფლებას მისცემდნენ რუსებს, სურვილისამებრ ნებისმიერ ადგილზე ქალაქი აეგოთ. განსაკუთრებით ხაზს უსვამს ვახტანგი იმ გარემოებას, რომ მთიან ადგილებში ვერცხლის მაღნები მოიპოვება, რომლებიც შეიძლება საექსპლუატაციოდ იქნან გამოყენებული („А в них серебреные руды есть и то может человек в дело производить“). თანაც გარკვეული საფასურით ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმაც შეიძლებოდა (გამრეკელი, გვ. 106).

ამ შემთხვევაში ვახტანგს უდავოდ ჩრდილო ოსეთის მაღნებიც ჰქონდა მხედველობაში და საზღაურით ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმის იდეაც საკუთარი გამოცდილების მიხედვით ჰქონდა წამოყენებული.

რუსეთის მიერ ვერცხლის საბადოების დამუშავება ადგილობრივი მოსახლეობის მეშვეობით, რომელსაც შემოსავლის მუდმივი წყარო უჩნდებოდა, ორივე მხარისათვის სასარგებლო ღონისძიებას წარმოადგენდა. ვახტანგი იმედოვნებდა, რომ მისი წინადადებით რუსეთის ხელისუფლება დაინტერესდებოდა.

ეს დოკუმენტი ვახტანგმა რუსეთის მინისტრებთან მოლაპარაკების პროცესში შეადგინა მათი წინასწარ ინფორმირების მიზნით. ვინაიდან მოლაპარაკება 1725 წლის მთელ ზაფხულს გრძელდებოდა, ამ დოკუმენტში აღმრული საკითხები და მათ შორის მაღნების პრობლემაც, ცხადია, რომ ბევრჯერ იქნებოდა საგანგებო განხილვის საგანი. როგორც ჩანს, ვახტანგის წინადადება რუსეთის მთავრობამ იმ

დროს სათანადოდ ვერ შეაფასა, ვინაიდან ამ მიმართულებით არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. მაგრამ შედეგის შიუხედავად, ჯეროვანი შეფასება უნდა მიეზღოს ვახტანგს. ის არის პიროვნება, რომელმაც რუსეთის მთავრობის წინაშე პირველმა დასვა ჩრდ. ოსეთის მაღნების ათვისების საკითხი და საგანგებო განხილვის საგანიც გახადა.

ვახტანგის გარდაცვალების შემდგომ ოსეთის მაღნების საკითხი, განსხვავებულ ვითარებასა და ფორმებში, ისევ წამოიჭრა და ერთგვარად ვახტანგის სახელთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან მისი უახლოესი თანამოაზრების წრიდან მომდინარეობდა.

1742 წ. არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა და არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ჯაფარიძემ რუსეთის იმპერატორს ელიზავეტას არზა გაუგზავნეს, რომელშიც ითხოვდნენ ქართველი სასულიერო პირების ოსეთში მისიონერებად გაგზავნის ნებართვას. უზენაესი ხელისუფლების დაინტერესების მიზნით არზის ავტორები ყურადღებას ამახვილებლნენ თანამოაზრების მინიჭალურ წიაღისეულზე და მათი შესწავლის შესაძლებლობებზე. ამასთან დაკავშირებით არზაში აღნიშნულია, რომ: „Места их изобилуют золотою, серебряною и прочими рудами и минералами, камением преизрядным. Только тех мест обыватели в действо оные руды, камения за неискусством знать никому не дают, а кроме християн: и кроме христиан во оные их места никому не входимо“ (კოკიევი, გვ. 48—50). ამ ფრაგმენტებში ყურადღებას იქცევს შემდეგი ინფორმაცია: ადგილობროვი შაცხოვრებლები, რომლებმაც ვახუშტის სიტყვებით რომ ვთარგმნოთ, „არ უწყიან ხელოვნება გამოლებისა“ («за неискусством знать»), ლითონებისა და მინერალების საბადოებს საექსპლოატაციოდ („в действо“) არავის არ აძლევდნენ, გარდა ქრისტიანებისა («в действо они руды, камения... никому не дают, а кроме христиан»). ასეთი განცხადება შესაბამისი პრეცედენტის გარეშე, ცხადია, ვერ გაკეთდებოდა და ისიც ცხადია, რომ ამ პრეცედენტში ავტორები პირველ რიგში ალაგირის ვახტანგისეულ საბადოს გულისხმობდნენ, თუ, რასაკვირველია, ვახტანგი კიდევ სხვა ჩვენთვის უცნობი საბადოებით არ სარგებლობდა.

როგორც ვხედათ, ვახტანგის ტრადიციებზე აღზრდილი სასულიერო პირებიც კი საკმაოდ ჩახედული ჩანან სამთამაღნო საკითხებში, გარკვეული წარმოდგენა აქვთ ოსეთის წიაღისეულზე, სათანადო აფასებენ მის პერსპექტივებს და ამ წიაღისეულის შესწავლასაც კი კისრულობენ.

1744 წ. ბოლოდან, როდესაც არზის საფუძველზე ოსეთის სა-სულიერო კომისია ჩამოყალიბდა, მისი წევრებისათვის რეალური პირობები შეიქმნა წინასწარ აღებული ვალდებულების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. და მართლაც, აქედან მოყოლებული მრავალი წლის განმავლობაში ქართველი სასულიერო პირები მისიონერულ შორვაწეობასთან ერთად სასარგებლო წიაღისეულის ინტენსიურ კვლევას ეწეოდნენ. ზოგიერთმა მათგანმა „მაღნისმოღნის“ ჩვევების გამომუშავებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მხარდაჭერის საშუალებით საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს არქიმანდრიტი გრიგოლი, რომელიც თანამედროვეთა მოწმობით მაღალნიჭიერ პიროვნებას წარმოადგენდა. საარქივო დოკუმენტების თანახმად, ის ხან პირადად და ხან თავისი ქვეშევრდომების მეშვეობით საგულდაგულოდ ეცნობოდა ყველა კუთხეს, რის შედეგადაც მან მაღნებისა და მინერალების ნიმუშების დიდალი რაოდენობა დააგროვა. დამოუკიდებლად ან ზოგჯერ მცოდნე პირებთან კონსულტაციით, გრიგოლმა დაადგინა, რომ მის მიერ მოპოვებული მაღნის ნიმუშები ოქროს, ვერცხლს, სპილენძსა და ტყვიას შეიცავდნენ, ხოლო ქვები აღმოსავლურ ბროლს ან ანალოგიური ტიპის მინერალებს წარმოადგენდნენ. გრიგოლი თავის მინაგნებ სინჯებს განუწყვეტილივ აწვდიდა ყიზლარის კომენდანტს, რომ მას ისინი დანიშნულებისამებრ გაეგზავნა დედაქალაქში.

1767 წ. კი ის სპეციალურად ამ საქმისათვის გაემგზავრა მოსკოვს და თან წაიღო სხვადასხვა სინჯები, რომ რეალური მასალის საფუძველზე თანამდებობრივ პირთა ინტერესი გამოეწვია (ცოციევი, გვ. 173, 174, 287—288).

ჯერ კიდევ 1764 წელს ბერგ-კოლეგიამ ყიზლარიდან გამოგზავნილი სინჯების ქიმიური ანალიზის საფუძველზე მაღალი შეფასება მისცა ოსეთის მაღნებს. 1767 წლის გამოკვლეულებმა ანალოგიური სურათი უჩვენა: ბერგ-კოლეგიის დასკვნის თანახმად, ტყვია-ვერცხლის ზოგიერთი ნიმუში ტყვიისა და ვერცხლის შემცველობით ნერჩინსკის ცნობილი საბადოს მაღანსაც არ ჩამორჩებოდა (ბირზე, გვ. 188—191).

ოსეთის მაღნების პერსპექტიულობა რუსეთის მთავრობამ საბოლოოდ მაშინ ირწმუნა, როდესაც ცნობილი გახდა ქართლის მეფის ვახტანგის მიერ ალაგირის საბადოს ათვისება და შემდგომ ამ მიმართულებით ერეკლე მეორის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი. სასარგებლო წიაღისეულის ადგილზე საგულდაგულოდ შესწავლისათვის ძალზე მოკლე დროის ინტერვალში (1768—1774) რუსეთის მთავრობამ ოსეთში სამი სამთო ექსპედიცია მიავლინა. მაღნების სამრეწველო ათვისება სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ XIX საუკუ-

ნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. 1853 წ. ახლად დაარსებული დაბა ალაგირის ტყვია-ვერცხლის ქარხანამ პირველი პროდუქცია მიიღო და აქედან დაედო დასაბამი ოსეთის ტყვია-ვერცხლის წარმოებას. დღეს ქალაქ ალაგირის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი საყოველ-თაოდ ცნობილი უმსხვილესი წარმოებაა და არ შეიძლება კანონიერი სიამაყის გრძნობა არ დაგვეუფლოს იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ნაბიჯები ოსეთის მაღნების ათვისების საქმეში ჯერ ვახტანგის, ხოლო შემდეგ მისი თანამოაზრების მიერ გადაიდგა.

## გოლოსიტუვაობა

ვახტანგ VI-თან დაკავშირებული მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სწავლული მეფის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღაწეობა ძირითადად ასტრონომიის, ელემენტარული მათემატიკის (არითმეტიკის, გეომეტრიის და ტრიგონომეტრიის), გეოგრაფიისა და ქიმიის დარგებს მოიცავდა.

ასტრონომიის დარგში ვახტანგის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველაზე აღრეულ ძეგლს მიეკუთვნება Q — 884 ხელნაწერში მოყვანილი დაუმთავრებელი კოსმოგრაფიული თხზულება „თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისა და ვარსკვლავისანი მოსწავლეთათვის მშვენიერი“. ეს თხზულება ვახტანგის დაკვეთით დაიწერა, მანვე გაუკეთა რედაქტია და მისივე ჩანაფიქრით ის სახელმძღვანელო წიგნი უნდა ყოფილიყო ქართველი მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელო წარმოადგენს ვახტანგის მიერ 1709 წ. კათოლიკე მისიონერთა უფროსის ხელმძღვანელობით გავლილი ასტრონომიის კურსის ნაწილობრივ ჩანაწერს. მთელი რიგი ნიშნებით ეს სახელმძღვანელო იოანე დე საკრაბოსკოს (გარდ. 1256 წ.) ცნობილი თხზულების — „ტრაქტატი სფეროს შესახებ“ — მიხედვით შედგენილი ჩანს და ამ უყანასქნელთან ანალოგით სასწავლო პროცესში სადემონსტრაციო მოდელის (არმილარული სფეროს) გამოყენებას ითვალისწინებს. ჩვენთვის ცნობილი არ არის, შეძლო თუ არა ვახტანგმა „თარგმანი და გამოცხადებანის“ დანიშნულებისამებრ გამოყენება, მაგრამ თვითონ რომ უფრო ადრე ამავე პროგრამით საფუძვლიანი ცოდნა მიიღო, ეს ეჭვს არ იწვევს. Q — 884 კრებულის ბოლო გვერდზე ჩვენ მიერ გამოვლინდა მზის საათის ვახტანგისეული ნახაზი, შესრულებული ძალზე მაღალ დონეზე.

შემოქმედებითი თვალსაზრისით ვახტანგისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ირანში ყოფნის პერიოდი. აქ მან ჯერ მირზა აბდურიზა თავრიზელის დახმარებით საფუძვლიანად შეისწავლა აღმოსავლური ასტრონომია და მისი შომიჭნავე დარგები და შემდეგ საჭირო ლიტერატურის თარგმნა-გადმოკეთებას მიჰყო ხელი. აღმ ყუშჩის „ქმნულების ცოდნის წიგნის“, ულულბეგის „ზიჯის“ და ნასირ ელ-დინ თუსელის „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის“ თარგმა-

ნებით ვახტანგმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულ ასტრონომიულ ლიტერატურას. ალი ყუშჩის „ქმნულების ცოდნის წიგნი“ აღმოსავლეთში ერთ-ერთ საუკეთესო პოპულარულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ულულბეგის „ზიჯში“ თავმოყრილი იყო სამარყანდის ობსერვატორის სიზუსტით ცნობილი ექსპერიმენტული მონაცემები, ხოლო ნასირ ედ-დინ თუსელის „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“ საყოველთაოდ იყო აღიარებული ამ სახის თხზულებებს შორის. არანაულები მნიშვნელობა ჰქონდა სსპაპანში ქართულწარწერებიანი ასტროლაბების დამზადებას აბდალ-აიმა-უმცროსთან უშუალო თანაშრომლობით. როგორც დადგინდა, ეს პიროვნება თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოსტატი იყო ასტროლაბების დამზადებელთა შორის.

საქართველოში დაბრუნებისას თითქმის ყველა პირობა შეიქმნა წამოწყებული საქმის სწრაფი ტემპებით განვითარებისათვის. სტამბურად გამოიცა „ქმნულების ცოდნის წიგნი“, „ზიჯის“ და ასტროლაბის გამოყენების საკითხებზე ინტენსიურად ამუშავდა ვახტანგთან დაახლოებულ პირთა ჯგუფი და ა. შ., მაგრამ თურქეთის შემოსევამ ეს წამოწყებაც შეაჩერა.

ცალკე უნდა გამოყოთ ვახტანგის ნაშრომები ქრონოლოგიის საკითხებზე. 1710 წლის ნუსხური „უამნის“ 422—424 გვ. მოყვანილია 19-წლიანი მთვარის ციკლში ახალმთვარეობის თარიღების ცხრილი. რომელიც ვახტანგის ინიციატივით უნდა იყოს დაბეჭდილი. 1713 წ. ვახტანგმა შეადგინა ძალზე კომპაქტური პასქალური ტაბულა, რასაც 532-წლიანი ციკლის ყოველწლიური მასალის 35 აღდგომის დღეზე გადანაწილებით მიაღწია (S—1400). მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ვახტანგმა „ზიჯის“ კალენდარულ ნაწილში. აქ მან ცალკე ქვეთავად მოათავსა მის მიერვე დამუშავებული ნებისმიერი წლის დღეთა ნომრების გამოთვლის წესი საქართველოში გამოყენებული 5508 წლიანი ბიზანტიური წელთაღრიცხვისათვის (S—161, გვ. 43—44). დამოუკიდებლად გამოიანგარიშა ჩვენი წელთაღრიცხვის („ქრისტეს აქათის“) სხვა წელთაღრიცხვებში (პიჭრის, სელევკიდების და სხვ.) გაღასაყვანი სამოცობითი კოეფიციენტები. ამ მონაცემების ძირითად ტექსტში შეტანით (S—161, გვ. 47—50) ულულბეგის მთელი ეს მასალა ქართველი მკითხველის უშუალო ინტერესებს დაუქვემდებარა. კალენდრის სისტემებზე და მათ შორის ქართულ კალენდარზე ზოგადი წარმოდგენის მისაღებად შესანიშნავ წყაროს წარმოადგენდა „ქმნულების ცოდნის წიგნში“ ცალკე თავად მოყვანილი საქმაოდ ვრცელი მასალა (აიათი, გვ. 111—120). რუსეთში 1731 წელს ვახტანგმა შეიმუშავა კალენდრის საბოლოო ფორმა ცხრილ-კალენდრის სახით (E—106, S—2266-ბ, S—1400-ს) პირ-

ველი ნაწილი), რომელიც „სათანაო“ ანუ ჯიბის კალენდრად იყო ჩაფიქრებული. აქ საჭირო მონაცემების მიღება ორი წესით — ხელთის ან გამოთვლების საშუალებითაა გათვალისწინებული. გამოთვლებისათვის, კერძოდ გაყოფისათვის, დიოფანტეს (III ს.) მიმდევრობითი გამოკლების ხერხის ნაცვლად ვახტანგს შემოაქვს ჩვეულებრივი გაყოფის წესი შესაბამისი ახსნა-განმარტებებით (S—1400, ფ. 27v). ძალზე საინტერესოა ვახტანგის მიერ სიტყვიერად ჩამოყალიბებული მზის და მთვარის წრეების გამარტივებული ფორმით გამოთვლის წესი, რომელშიც წლები „ქართული ქორონიკონით“ არის მოცემული. თანამედროვე ფორმულებით, რომლებსაც ჩვენ ვახტანგის ფორმულები ვუწოდეთ, ეს წესი ასე გამოისახება:

$$S = \left\lceil \frac{N+16}{28} \right\rceil \text{ და } L = \left\lceil \frac{N-1}{19} \right\rceil.$$

სადაც სიმბოლო || ნიშნავს, რომ განაყოფიდან მხოლოდ ნაშთი აიღება, S და L შესაბამისად მზის და მთვარის წრეებია, ხოლ N — წლების რიცხვია „ქართული ქორონიკონით“. 1743 წელს გამოცემულ ქართულ ბიბლიაში ვახტუშტიმ დამატების სახით შეიტანა ვახტანგის ცხრილ-კალენდრი (გვ. 1082—1084) და 1713 წ. შედგენილი კომპაქტური პასქალური ტაბულა (გვ. 1085—1092). ტაბულით სარგებლობის გასაადვილებლად ვახტანგის შრომას მან წაუმძღვარა უკვე მის მიერ საგანგებოდ შედგენილი საძიებელი („რიცხვი პასქეთა“ — გვ. 1077—1081). ცხრილ-კალენდრის გამოქვეყნების ფაქტი უფლებას გვაძლევს, რომ ბეჭდურად გამოცემული პირველი ქართული საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო შრომის ავტორად ვახტანგი ვალიაროთ.

მათემატიკის საკითხებით ვახტანგი, როგორც ჩანს, თავიდანვე იყო დაინტერესებული. Q — 884 კრებულში აღმოჩნდა მაგიური კვადრატების (47r—48v) და მათემატიკური ამოცანების (56v—57v) ჩანაწერები, რომლებსაც ვახტანგმა თავი მოუყარა როგორც მათემატიკური გასართობების ნიმუშებს. ირანში ასტრონომიულ ლოტერატურაზე მუშაობისას ის დამხმარე მათემატიკურ აპარატზეც მუშაობდა. ასე რომ, „ქმნულების ცოდნის წიგნის“ და „ზიჯის“ თარგმნასთან ერთად 1713—1719 წწ. შესაძლოა პირველად ამეტყველდა ქართულ ენაზე მათემატიკური ლიტერატურაც: „ქმნულების ცოდნის წიგნში“ კალკე თავად მოყვანილი იყო გეომეტრიის მოკლე სახელმძღვანელო ეველიდეს „საწყისების“ I და XI წიგნების შესავლების მიხედვით (გვ. 1—7), ხოლო „ზიჯის“ მეორე კარის II და III თავში ტრიგონომეტრიის მოკლე სახელმძღვანელო (S—161, გვ.

70—72). მოგვიანებით მათ დაემატა ვახტანგის მიერ საგანგებოდ „ზიგისათვის“ დაწერილი მოკლე სახელმძღვანელო არითმეტიკულ მოქმედებებზე თვლის სამოცობით სისტემაში (S—161, გვ. 554—556).

ქართული მეცნიერების ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა რუსეთში 1725 წ. ვახტანგის მიერ დაწერილი „ანგარიშის ცოდნა“ — პოზიციური არითმეტიკის პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო (S—161, გვ. 1—17). იმდროინდელი პრაქტიკული არითმეტიკის დოგმატური სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, „ანგარიშის ცოდნაში“ საკმაოდ დაწვრილებით იყო გადმოცემული არითმეტიკულ მოქმედებათა წესები, რაც საშუალებას აძლევდა მოსწავლეს დამოუკიდებლად შეესწავლა საგანი. შინაარსობრივად სახელმძღვანელომ კიდევ უფრო საინტერესო სახე მიიღო რედაქტირების შემდეგ (1726), როდესაც ვახტანგმა მას დაუმატა თავისივე მოკლე სახელმძღვანელო თვლის სამოცობით. სისტემისათვის შესაბამისი გამრავლების ტაბულით ( $60 \times 60$ ), ქვეთავები ქართულ ასორიცხვნიშნებზე და ქართული ფულის ანგარიშის წარმოების სისტემაზე. იმავე წელს დაასრულა ვახტანგმა ფაქტობრივად მუშაობა გეომეტრიულ სახელმძღვანელოებზე. „სივაკის ზომა“, გამოთვლითი გეომეტრიის საკითხებთან ერთად, ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელოსაც შეიცავდა, რომელშიც სინუსების, ტანგენსების და სეკანსების ნატურალური და ლოგარითმული ცხრილების საშუალებით საკუთხედების ამოხსნისა და მიუღომელი საგნების ზომების გამოთვლის წესები იყო გადმოცემული. თარგმნის პრობლემებისადმი ვახტანგის შემოქმედებითი დამოკიდებულების თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენდა „ლეომეტრია“ — კონსტრუქციული გეომეტრიის სახელმძღვანელო, რომელსაც საფუძველად დაედო პირველი რუსული გეომეტრიული სახელმძღვანელოს „ფარგლისა და სახაზავის ხერხების“ 1725 წ. მეოთხე გამოცემა (რუსული გამოცემა თავის მხრივ ავსტრიელი მათემატიკოსის ბურკპარდ ფონ პიურკენშტეინის 1690 წ. ანონიმურად გამოქვეყნებული წიგნის თარგმანს წარმოადგენდა). დადგინდა, რომ თარგმნის პროცესში ვახტანგი მიხეილ ელივიჩის (მოსკოვის ძეველი ქართული კოლონიის წევრის მიხეილ ილიას ძე დავითაშვილის) დახმარებით ჯერ თვითეული ამოცანის შინაარსს ეცნობოდა, შემდეგ დამოუკიდებლად შესაბამის აგებებს აწარმოებდა და ქართულ ტექსტს უშუალოდ ამ აგებების მიხედვით აყალიბებდა. ამგვარი „თავისუფალი თარგმანის“ მეთოდის გამოყენებით ქართულმა „ლეომეტრიამ“, როგორც ტექსტუალურ, ისე გრაფიკულ ნაწილში, რუსული წყაროდან საკმაოდ განსხვავებული სახე მიიღო. კიდევ უფრო მეტი, აგებების „კვლავწარმოების“ შედეგად ვახტანგმა

შეასწორა მთელი რიგი გრაფიკული უზუსტობები, რაც რუსულ წყაროში იყო დაშვებული პიურქენშტეინის წიგნიდან ნახაზების მე-ქანიკური გადმოღების შედეგად. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს შე-სავალ ნაწილში ვახტანგმა გეომეტრიული ფიგურების დედნისეულ განსაზღვრების ნაცვლად „ქმნულების ცოდნის წიგნის“ გეომეტრიულ თავში მოყვანილი განსაზღვრები შეიტანა (S—167, გვ. 55—223; H—2204, ფფ. 2v—81v). კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა „ლეომეტრიამ“ რედაქტირების შედეგად: ვახტანგმა გა-აუქმა თითქმის ყველა ქვეთავი, რომლებშიც აგებისათვის ფარგალი და სახაზავი არ იყო გამოყენებული, დიდალი მასალა გადააჭვულა და ახალ წყობას დაუქვემდებარა, შემოიტანა სხვა წყაროებიდან ახა-ლი ქვეთავები. ასე რომ, საბოლოო რედაქციაში „ლეომეტრიის“ 1/3 ნაწილი ახლად შემოტანილ მასალას დაეთმო, ხოლო დანარჩენი 2/3 ნაწილი კი ისე საფუძვლიანად იყო გადამუშავებული, რომ ვახ-ტანგმა ფაქტობრივად ახალი სახელმძღვანელო შექმნა (ხელ. № 313, გვ. 32r—117v).

ვახტანგის სახელმძღვანელოებმა, და განსაკუთრებით „ანგარი-შის ცოდნამ“ დიდი როლი ითამაშეს რუსეთში მცხოვრებ ქართველ-თა შორის მათემატიკური ცოდნის გავრცელების საქმეში და საფუ-ძველი ჩაუყარეს ქართულ მათემატიკურ ლიტერატურას.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ვახტანგს ქართული გეოგრა-ფიული აზრის განვითარებაში მოღვაწეობის აღრეულ ეტაპევე (1703 წლამდე) მის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი გეოგ-რაფიული ცნობები ისტორიული გეოგრაფიის საკითხების დამუშა-ვების პირველ ცდას წარმოადგენდა, რომელიც შემდგომში სახელმ-ძღვანელო პრინციპებად გამოიყენა ვახუშტიმ. ქართლის მმართველო-ბის პერიოდში ვახტანგის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეო-ბით შეგროვდა მრავალრიცხვანი ქვეყანათმცოდნეობითი მასალები. საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო გზის აღდგენის ვახტან-გისეული იდეის მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში გამგზავრების წინ საგანგებოდ აღიმურვა სათანადო გეოგრაფიული მასალებით, ხოლო კათოლიკე მისიონერმა უან რიშარმა ამ გზის მონაკვეთები ადგილზევე შეისწავლა. ქართვე-ლი ელჩების მიერ საფრანგეთში წაღუბული მონაცემების და ზეპირი კონსულტაციების საფუძველზე მარსელში 1714 წ. ფრანგმა მოხე-ლეებმა შეადგინეს რუკა, რომელიც შემდგომში გამოიყენა გ. დე-ლილმა ამიერკავკასიის (1723) და, როგორც ირკვევა, კიდევ სპარსე-თის (1724) ნაბეჭდი რუკებისათვის.

ირანში ვახტანგის მიერ თარგმნილი „ქმნულების ცოდნის წიგ-ნით“, „ზიჯითა“ და „სტროლაბის წიგნით“ საფუძველი ჩაუყარა ქარ-

თულ გეოგრაფიულ ლიტერატურასაც, ვინაიდან ამ თხზულებებში, აღმოსავლური ტრადიციების თანახმად, დიდი ადგილი ეთმობოდა გეოგრაფიას, განსაკუთრებით კი მათემატიკურ გეოგრაფიას. გარდა ამისა დადგინდა, რომ „ქმნულების ცოდნის წიგნის“ ბეჭდური გამოცემის მეორე ნაწილი — „იყლიმების ზოგიერთის ადგილის მოთხოვანია“ (გვ. 129—148) დამოუკიდებელი გეოგრაფიული თხზულებაა (ტექსტის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ის ზაქარია ალ-ყაზვინის (1203—1283) ცნობილი შრომის „ქალაქთა ძეგლები და ცნობები ალ-პატის მონების შესახებ“ გვიანდელი შემოკლებული რედაქციის თარგმანს წარმოადგენს). კარტოგრაფიული და გეოდეზიური თვალსაზრისით საინტერესო მასალებს შეიცავდა აგრეთვე ვახტანგის მიერ რუსეთში თარგმნილი გეომეტრიული სახელმძღვანელოები.

საქართველოს სინამდვილისათვის განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა ვახტანგის ინიციატივით ქართლის ტერიტორიაზე ჩატარებული ასტრონომიული დაკვირვებები და ტოპოგრაფიული აგეგმვები (1719—1724), რის შედეგადაც დაგროვილი მდიდარი კარტოგრაფიული მასალა მოგვიანებით საფუძვლად დაედო მისივე შეკვეთით ვახტანგის მიერ შესრულებულ რუკების ატლასს (1735).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვახტანგის მოლვაწეობა ქიმიის დარგში. ირანში (1713—1719) ალქიმიკოს მასწავლებლებთან გავლილი ექსპერიმენტული კურსის შემდგომ ვახტანგი კარგად გაერკვა ალქიმიის ნამდვილ არსში და თავისი შემდგომი მოლვაწეობის ობიექტად ტექნიკური ქიმია აირჩია. ამავე კურსის მიხედვით მან შეადგინა სახელმძღვანელო (უფრო ზუსტად სახელმძღვანელოს პრეველი ნაწილი), რომელშიც ალქიმიური რეცეპტებიდან სისტემატიზებული სახით გამოყო ტექნიკური ნაწილი. ცალკე, სათანადო კომენტარებით ვახტანგმა დაწუნებული ალქიმიური რეცეპტებიც მოათავსა, რათა მათი საშუალებით მომავალში მსგავსი ლიტერატურის გამოცნობა გაეადვილებინა. ამ გზით შექმნილი სახელმძღვანელო, რომელიც იმდროინდელ ევროპულ ტექნიკურობის სახელმძღვანელოს ჩამოგავს, ნამდვილად ძალზე მაღალ შეფასებას იმსახურებს. ვახტანგმა ის დამოუკიდებლად შეადგინა და ამ დროს ის მხოლოდ ექსპერიმენტების მონაცემებით ხელმძღვანელობდა. სახელმძღვანელო ვახტანგმა შემდგომში მნიშვნელოვნად განავრცო საქართველოში (1719—1724) და რუსეთში (1724—1737) მოპოვებული მასალების ხარჯზე. საქართველოში მან ისარგებლა კათოლიკე მისიონერების პრაქტიკული სამუშაოებით. რაც შეეხება რუსეთს, მრავალრიცხოვანი ხელოსნური და ტექნიკური ლიტერატურიდან მან საგულდავულოდ ამოკრიფა ქიმიური ხასიათის რეცეპტები და მათთან ერთად ასევე თავი მოუყარა თავის სახელმძღვანელოში ზოგიერთი მოქმედი

წარმოების ტექნოლოგიურ რეცეპტებს. ამ დროს რუსეთში ცალკე ქიმიური თხზულებები და სახელმძღვანელოები ჯერ არ არსებობდა და ვახტანგი პირველი ავტორი იყო, რომლის ქიმიურ სახელმძღვანელოშიც რუსული ქიმიური მასალები ერთიანი სახით იქნა წარმოდგენილი.

დიდი დამსახურება მიუძღვის ვახტანგს საქართველოში ტექნიკური აზროვნების განვითარების საქმეში. სხვადასხვა ნაგებობათა აღდგენა-მშენებლობა, გზების გაყვანა, საირიგაციო საქმის წინ წამოწევა, სტამბის დაარსება და ა. შ. მნიშვნელოვნად განაპირობებდა საინჟინრო-ტექნიკური საქმიანობის გამოცოცხლებას. როგორც იჩვევა, ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული ქართლში სამთო საქმისა და მეტალურგიის უძველესი დარგების აღორძინებაც. ვახტანგის დროს ხელახლა დაიწყო მთელი რიგი საბადოების ექსპლოატაცია და მიღებული მაღნების ქიმიურ-მეტალურგიული გადამუშავება.

ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოში XVIII ს. დასაწყისში ხანგრძლივი უძრაობის შემდგომ დაიწყო საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცოდნის აღორძინების პროცესი და ამ საქმის ფუძემდებლად მეფე ვახტანგ VI მოგვევლინა.

Ց Ա Յ Ո Թ Ց Ւ Վ Ո Ւ

- Հ Յ Ե Ծ Ո Յ Ո — Մ. Աղոտով. Открытие сокровенного художеств... ч. I. — СПб., 1763.
- Հ Ո Յ Թ Ո — Ջմբուլցին Սոֆին Թոշին անդու. — Ծագ., 1721.
- Հ Ա Յ Ո Կ Շ Ի Ո — Ալի Կոշչի. Астрономический трактат. Перевод на русский язык и примечания А. У. Усманова. — Самарканд, 1970.
- Հ Ա Յ Գ Ի Ո — Bayeri Th. S. De Migr. Caucaseo. Commentarii Academiae scientiarum imperialis Petropolitanae. 1728, t. 1, p. 425—463.
- Հ Ա Յ Ե Յ Յ Ո Յ Ո — Г. С. Баранкова. Об астрономических и географических знаниях. Естественнонаучные представления древней Руси. — М., 1978, 48—62.
- Հ Ա Յ Ե Յ Ո — Абд ар-Рашид ал-Бакуви. Қитаб Талхис ал-асар ва аджаиб ал-малик ал-қаххар. Изд. текста З. М. Буняитова. — М., 1971.
- Հ Ե Խ Ո — А. Берри. Краткая история астрономии. — Л., 1946.
- Հ Ե Յ Ը Պ Ո Յ Ո Յ Ո, I—III — Г. П. Матвиевская и Б. А. Розенфельд. Математики и астрономы мусульманского средневековья и их труды. т. 1—3. — М., 1983.
- Հ Ե Կ Յ Յ Ո — К. М. Бирзе. Попытки освоения природных богатств Осетии в XVIII ст., „Красный архив“. — М., 1937. № 4 (83), 188—198; № 6 (85), 148—167.
- Հ Ե Կ Յ Յ Ո I—VI. — Абдурайхан Бируни. Избранные произведения, т. I—VI. — Ташкент, 1957—1975.
- Հ Ե Կ Բ Ի Ա Ժ Ե — ալ. Ջոնիսիածյ. Թասալցին լոյժին եղոնին արյեռլոցուսագովուն. Թասալցին սայահաջութեղուն և զազկանուն արյեռլոցուսագովուն, Ը. V. — տե., 1973, 71—101.
- Հ Ե Կ Ե Ս Ե, Պ Ե Լ Ո Ո — М. И. Броссе. О бумагах астронома Делиля, хранящихся в архиве Русского географического общества. — Изв. Русского географического общества. — СПб., 1865, т. I, ч. 2, 179—187.
- Հ Ե Կ Ե Ս Ե, Թ Ո Յ Թ Ե Հ Ո Յ Ո — М. И. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями. — СПб., 1851.
- Հ Ե Կ Ե Ս Ե, Վ Ա Ր Ե Վ Ո Յ Ո — В. Н. Гамрекели. Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом. — Тб., 1968.
- Հ Ո Յ Ա Կ Ե Ս Ե Յ Ո — П. Гиларовский. Руководство к физике. — СПб., 1793.
- Հ Ո Յ Ի Հ Ո Յ Ա Բ Ո Յ Ո — Ձ. Յուրցումինով. Թյուրքամյերյ և այսպահուն յարտուղարանուն. — աճատուղմուն աւրհուցույունուն ոճերիցարունուն ծովուրենուն. — տե., 1965, № 32, 235—241.
- Հ Ո Յ Ա Կ Ե Ն Շ Ծ Ե Ծ Ո Յ Ո — Գուլլումի Շիրունուն մոցիալրուն սայահաջութեղուն. տարչ շմանուն և գամոյցութեղուն Ձ. Ցելամանուն, Ը. 1—2. — տե., 1962—1964.

- ვნუჩევა — В. Ф. Гнучева. Географический департамент Академии наук XVIII века. — М. — Л., 1946.
- გრიგოლია — კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება. — თბ., 1954.
- გურევი ი. — Е. Я. Гуревич. Тайна древнего талисмана. — М., 1969.
- გელიშვილი, აღმოსავლეთი საქართველო — ი. გელიშვილი. რეინის სადნობი ძველი სახელოსნოები აღმოსავლეთ საქართველოში. „მაცნე“, № 1, 1964. 186—192.
- გელიშვილი, რკინა — И. А. Гдзелишвили. Железоплавильное дело в древней Грузии. — Тбилиси, 1964.
- გელიშვილი, სამთო საქმე — ი. გელიშვილი. სამთო საქმე და რკინის მეტალურგია შუასაუკუნეების საქართველოში (ფოლადაური), ბუნების მეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს შრომების კრებული, 1—2. — თბ., 1970. 145—151.
- გელიშვილი, სპილენძი — ი. გელიშვილი. სპილენძის გამოდნობა საშუალო საუკუნეების ბოგვის სახელოსნოში. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1964, № 9.
- გელიშვილი, ფოლადაური — ი. გელიშვილი. რკინის სადნობი სახელოსნო ფოლადაურში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1964, ტ. 35, № 3, 745—752.
- დელის კარტა — Delisle J. N. Sur la Carte générale de la Géorgie, Arménie, etc. Paris, 1766.
- დემანი — И. Я. Депман. История арифметики. — М., 1965.
- დოლიძე, I—VIII — ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I—VIII. თბ., 1963—1985.
- ენციკლოპედია, I—XI. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I—XI. — თბ., 1975—1987.
- ერკსლებენ — И. Х. Ерксслебен. Начальные основания химии. — СПб., 1788.
- ვაგнер რი — Р. Вагнер. Химическая технология. — СПб., 1892.
- ვათევაშვილი — Д. І. Ватейшвили. Из истории грузино-русского научного и культурного сотрудничества в XVIII веке. — Мацне, (сер. ист...) 1975, № 4. 62—73.
- ვარეზი — Э. Ф. Вареп. О картах, составленных русскими, в атласе И. Б. Гомана. Известия Всесоюзного географического общества, т. 91, вып. 3, май—июнь, 1959. 290—298.
- ვახტაგვა VI — ვახტაგვა VI. წიგნი ზეთების ზეზავებისა და ქიმიისა ქმნის. წიგნი გამოსაცემად მომზადეს თ. ენციკლოპედია ვ. კოკოჩაშვილმა. — თბ., 1981.
- ვახტაგვა — ვახტაგვა ბაგრატიონი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. — თბ., 1973.
- ვორონცევა — Д. Г. Вороновский. Астрономы средней Азии от Мухаммеда Ал-Хорезми до Улугбека и его школы (IX—XVI вв). Из истории эпохи Улугбека. — Ташкент, 1965, 100—140.
- ზარდალიშვილი — გ. ზარდალიშვილი. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. — თბ., 1966.

- Ч უ ბ თ ვ ი — В. П. Зубов. Неизвестный русский перевод „Трактата о сфере“ Иоанна де Сакробоско. Историко-астрономические исследования. — М., 1962, VIII, 221—241.
- თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი — მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. — ტფ., 1902.
- თ ო გ ო შ ე ი ლ ი — გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი თხეთისა და თხების შესახებ. — თბ., 1977.
- ი გ ნ ა ტ ი ე ვ ი — А. Е. Игнатьев. В царстве смекалки. — М., 1987.
- ი ნ ა რ ი — Isnard A. Joseph Nicolas Delisle, sa biographie, et sa collection des cartes géographiques à la Bibliothèque Nationale. — Bull. sec. Geogr., 1915, t. 30, p. 34—164.
- კ ა რ ი მ თ ვ ი — უ. И. Каримов. Неизвестные сочинения Ар-Рази „Книга тайны тайн“. — Ташкент, 1957.
- კ ო კ ი ვ ი ვ ი — Г. Қокиев. Материалы по истории Осетии (XVIII в.). — Орджоникидзе, 1933, т. I.
- კ რ ა ჩ კ ი ვ ა ჟ ი — И. Ю. Крачковский. Избранные сочинения, т. IV. — М.—Л., 1957.
- ლ უ ბ ა ვ ი ნ ი — М. И. Любавин. Техническая химия, т. 1—6.—М., 1882—1922.
- ლ უ კ ი ა ნ ი ნ ი — П. М. Лукянов. История химических промыслов и химической промышленности в России. т. 1—6.—М., 1946—1956.
- მ ა თ უ რ ე ლ ი — И. В. Матурели. Материалы по грузинской картографии.—Тб., 1961.
- მ ა ი ე რ ი — Islamic astrologists and their works by L. A. Mayer, Genève, 1956,
- მ ა ი ს ტ რ ა ზ ი — Л. Е. Майстров. Научные приборы. — М., 1968.
- მ ა კ ე რ ი — Господина Макера начальные основания умозрительной химии, пер. Коэмы Флоренского.—СПб., 1774.
- მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, ვ ა ხ უ შ ტ ი — Л. И. Маруашвили, Вахушти Багратиони, его предшественники и современники.—М., 1956.
- მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, კ ა რ ტ ო გ რ ა ფ ი ა — ლ. მარუაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომები. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები. 1948, ტ. VIII, 299—347.
- მ ე ლ ნ ი კ ი ვ ი — С. М. Мельников. Ртуть.— М., 1951.
- მ ი მ ი ს ლ ვ ა — ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. ტექსტი გამოსცა ელ. მეტრევლმა, — თბ., 1956.
- მ ი მ ი ხ ი ლ ვ ა — Обозрение российских владений за Кавказом, ч. I. --СПб., 1836.
- მ ი ნ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ს ტ რ ა ე ბ ი — Минеральные ресурсы Грузинской ССР. — Тб., 1933.
- ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი, — I—VII — ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. I—VII. — თბ., 1970—1980.
- ნ ე ვ ს კ ა ი ა — Н. И. Невская. Петербургская астрономическая школа XVIII в. —Л., 1984.

- ო ს ი ბ ი ვ ი — М. Осипов. Астролябия-планиграфа или персидско-арабская астролябия.—Ташкент, 1920.
- ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ს. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I—IV. — თბ., 1959—1966.
- პ ა ი ჭ ა ძ ე — გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე. — თბ., 1981.
- შ ა კ ი ნ ი — И. Ф. Жакин. Начальные основания всеобщей и врачебной химии, т. I. — СПб., 1795.
- შ ი ტ ი მ ი რ ს კ ი — С. В. Житомирский. „Небесный глобус“ Архимеда.—Историко-астрономические исследования. вып. 14 —М., 1978, 271—302.
- რ ა ი ბ ი ვ ი — Т. Райнов. Наука в России XI—XVII веков.—М.—Л., 1940.
- რ ი უ ს კ ა — Rusca J., Al-Räzis Buch Geheimnis der Geheimnisse mit Einleitung und Erläuterungen in deutscher Übersetzung von J. Rusca. Quellen und studien zur Geschichte der Naturwissenschaften und der medizine. Bd. 6. Berlin, 1937.
- რ ო ზ ე ნ ფ ე ლ დ ი , კ ა ტ ა ლ მ გ ე ბ ი — Б. А. Розенфельд. Звездный каталог Ал-Бируни с приложением каталогов Хайяма и Ат-Туси. Историко-астрономич. исследования.—М., 1962, 83—192.
- ს ა ს ა რ გ ე ბ ლ მ წ ი ი ა ლ ი ს ე უ ლ ი — Полезные ископаемые Кавказского края. —Тифлис, 1917.
- ს ვ ი ა ტ ს კ ი II — Д. О. Святский. Очерки истории астрономии в Древней Руси, ч. II. Историко-астрономические исследования. вып. VIII.—М., 1962, с. 9—83.
- ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე — П. М. Сихарулидзе. Карты кахетского царства в географическом департаменте, тезисы научной сессии Института географии АН ГССР и Грузинского научного совета по системно-географическому исследованию горных стран. — Тб., 1985, с. 71—72.
- ს თ ბ ი რ თ ვ ი — Г. Собиров. Творческое сотрудничество ученых средней Азии в самарканской научной школе Улугбека.—Душанбе, 1973.
- ს უ რ გ უ ლ ა ძ ე — ი. სურგულაძე. ქართული სამართლის ძეგლები. — თბ., 1970.
- ტ ა ბ ა ლ უ ა , ა ვ ს ტ რ ი ა — ი. ტაბაღუა. ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა აფსტრიისთან). საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მომბეჭ, 1967, ტ. 47, № 3, 241—246.
- ტ ა ბ ა ლ უ ა , ს ა ბ უ თ ე ბ ი — საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, ტექსტი გამოსცა ი. ტაბაღუამ. — თბ., 1975.
- ტ ა ბ ა ლ უ ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი — ი. ტაბაღუა. საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII ს.—თბ., 1972.
- ტ ა ბ ა ლ უ ა , ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ი — ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. — თბ., 1979.
- ტ ო ლ თ ჩ ა ნ თ ვ ი . — ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652 წწ.— თბ., 1970.
- ტ უ რ ნ ე ფ თ რ ი — ე. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ტექსტი გამოსცა მ. მგალობლიშვილმა.— თბ., 1988.
- ფ ე ს ტ ე რ ი — Г. Фестер. История химической техники.—Харьков, 1938.

ფიგუროვსკი, ისტორია — Н. А. Фигуровский. Очерк общей истории химии (с древнейших времен до начала XIXв.).—М., 1964.

ფიგუროვსკი, ჩეცეპტები—Н. А. Фигуровский. Об одном старинном русском сборнике химических рецептов.—Труды Института истории естествознания, т. 2. — М.—Л., 1948, 238—268.

Д. О. Дорофеев. *Химия в древности*.— Возникновение и развитие химии с древнейших времен до XVII века.—М., 1983.

у а т а-б о а ё т з о — Т. Н. Карап-назов. Астрономическая школа Улугбека.  
Избранные труды, т. VI.—Ташкент, 1967.

Часть 6.— С. К. Шабарин. Возникновение аффинажа золота и серебра в России. Труды Института истории естествознания и техники, т. 9.— М., 1957. 36—61.

ଶାର୍ଦ୍ଦେନ୍ଦ୍ର — ଶାର୍ଦ୍ଦେନ୍ଦ୍ରିଲ୍ ମନ୍ଦିରାଳୟରେ । — ତଥା, 1975:

ჩ ა გ უ ნ ა ვ ა, მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა — რ. ჩ ა გ უ ნ ა ვ ა. ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს-  
მ ე რ ყ ვ ე ლ ლ - ს ა მ ე ც წ ი რ ი მ ლ ლ ვ ა წ ე რ ი ბ ა (მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა). — თ ბ., 1986.

ჩაგუნავა, ქიმიკი — Р. В. Чагунава. Вахтанг Багратиони и его труд по химии.—Тб., 1984.

ჩ უ ბ ი ნ თ ვ ი — დ. ჩ უ ბ ი ნ თ ვ ი. ქ ა რ თ უ ლ - ჩ უ ს უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი . — ს პ ბ . , 1887.

წიგნი სააქიმო — ლ. კოტეტიშვილის გამოცემა. — თბ., 1936

ხელნაწერთა აღწერილობა — ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა:

Ա—յոդոլոն սայշլեսօն թրէցէթիօն (A) յուղային գույնու, Ը. I, IV, V. տճ., 1954—1985.

H — საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებრივი კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმის მიერ 1946-1953

S—ქორფილი ქართველთა მოსს უქონა-კიბისის გამარტინულებას და გადაღება (S) კოლექციისა, ტ. I—VII. — თბ., 1959—1973.  
Q—ხალხური ტაძარის აჭარა (Q) კოლექციისა, ტ. I—II. — თბ., 1957—1958.

— Б. Д. Джадядов. Отличие "Зидж" Гурагони" от других по-

— Г. Д. Джалилов. Отличие „Зидах“ туратони от других подобных Зидах. Народные легенды и мифы. Исследование. Вып. I. 1955.

добных Зиджея. Историко-астрономические исследования, вып. 1, 1955,  
с. 85–100.

କେତୁରୁଷ—ବ୍ୟାପାରୀ—ମାର୍ଗବିହାରୀ—ଶାନ୍ତିକାଳୀ—ଶାନ୍ତିକାଳୀ

ପ୍ରକାଶକ. — ହୃଦୀ. 1973.

Задачи Г. Гесса. Основания чистой химии. Изд. третье — СПб., 1849.

— Г. Гесс. Основания чистой химии. Изд. Третвое.— СПб., 1840.

## შ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა მ ბ ა

წინასიტყვაობა	3
ასტრონომია	4
მოქლე ცნობები ასტრონომიის ისტორიიდან	5
„თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისანი და ვარსკულავისანი მოსწავლეთათვეის მშენიერი“	9
ვახტანგის მეცნიერული მემკვიდრეობა ასტრონომიის დარგში	43
„ქმნულების ცოდნის წიგნი ანუ სპარსული აიათი“	45
ულულბეგის „ზიჯი“	93
ასტროლაბი	105
გეოგრაფია	155
ქიმია	194
ქიმიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი	196
ქიმიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი	232
ქიმიის სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი	241
სამთო საქმე და მეტალურგია ვახტანგ VI-ის მმართველობის პერიოდში	268
ბოლოსიტყვაობა	295
ბიბლიოგრაფია	302

Рауль Владимирович Чагунава

ЕСТЕСТВЕННОНАУЧНАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ  
ВАХТАНГА БАГРАТИОНИ

(отрасли естествознания и техники)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА»  
1990

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სტ 3924

გამომცემლობის რედაქტორი ი. ვოლკოვა  
მხატვარი ნ. კოხუეიძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური ე. ბოკერია  
კორექტორი გ. გრეჩიშვილი

გადაეცა წარმოებას 10.3.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.89;

ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;

გარნიტურა ენურია; პირობით საბეჭდი თაბახი 19.25;

პირ. საღ. გატ. 19.25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.34;

ფე 02416;

ტირაჟი 1500;

შეკვეთა № 771;

ფასი 3 მან. 80 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Типография АИ Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19